ალ. ღლონტი

ქართული ზღაპრები და ლეგენდები

შესავალი, ტექსტები, შენიშვნები

საბჭოთა მწერალი
19 თ ბ ი ლ ი ს ი 48

შესავალი

I

ქართლური ზღაპრები და ლეგენდები ძველადაც გამოქვეყნებულა. XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან მოკიდებული ქართულს პერიოდიკასა და, ზოგჯერ, ცალკე კრებულებშიაც ვპოულობთ ქართლური ხალხური ზღაპრების მშვენიერ ნიმუშებს. ქართლში ფოლკლორული მასალების შეკრების პიონერობა ეკუთვნის **პეტრე უმიკაშვილს**, რომლის მიერ შეკრებილ-შეჯერებულ უთუოდ ყურადსაღებ პროზაულ ტექსტებს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ იცნობს მკითხველი საზოგადოება.* აგრეთვე, უანგარო ღვაწლი ქართლური ზღაპრების შეკრებასა და პუბლიკაციაში ცნობილ ქართველ მწერალსა და ფოლკლორისტს **თედო რაზიკაშვილს** მიუძღვის. მან ქართლის სხვადასხვა კუთხეებში ჩაწერილ ზღაპრებს დაუთმო მთელი ტომი: „ხალხური ზღაპრები, ქართლში შეკრებილი“, რომელიც 1909 წელს გამოიცა. ამათ გარდა არის კიდევ ზღაპრების ცალკე (მაგალითად: სიბავშვო) გამოცემებიც, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზნით დაბეჭდილა.

გამოქვეყნებული ტექსტები, უწინარეს ყოვლისა, ფოლკლორული მიზნებისათვის იყო ჩაწერილი. მათ ისე, როგორც ხელნაწერების სახით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და რუსთაველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ფოლკლორის სექციის არქივში დაცულ მასალებს, ერთი მთავარი ნაკლი იმთავითვე თან ახლავს: ემჩნევა ჩამწერის შემოქმედებითი ხელიც. ზოგი ტექსტი რამდენიმედ თუ უახლოვდება ქართლურ თავისებურ მეტყველებას, მეტი ნაწილი მას შორდება და წმინდა ლიტერატურულად დახვეწილ-დამუშავებულ მასალას წარმოადგენს. ასეთ ძეგლს, რა თქმა უნდა, ენათმეცნიერული მნიშვნელობა ეკარგება. წინათ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს ბავშვებისათვის საკითხავ წიგნებად სცემდნენ, ამდენად მათ თავისებურ ენას ლიტერატურული გემოვნებისა და ნორმების მიხედვით ხვეწდნენ და ამუშავებდნენ. ასეა, მაგალითად, გაწყობილი ზღაპრების ყოველი ძველი მასობრივი (სიბავშვო) გამოცემა. ამ გავლენას ვერ ასცდენია ვერც თედო რაზიკაშვილი, რომლის მშვენიერი პროზაული ლიტერატურული ენა აშკარად ამჩნევია მის მიერ ჩაწერილ ტექსტებს.

ტექსტების ჩაწერის დროს ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობდით თავიდან აგვეცილინა ლიტერატურული ენის გავლენა. ახლა, როცა საკოლმეურნეო სოფელი

---

* ათეული წლების განმავლობაში დაგროვებული მასალიდან ჰოეტური ტექსტები გამოსცა „ოქტომბერი“ 1937 წელს პროფ. ფ. გოგენიძეულის რედაქციით და კომენტარებით.

ალარ ჰგავს ძველს: მან დიდი ხანია წარსულს ჩაბარა მემკვიდრეობით მიღებული უკულტურობა, ჩამორჩენილობა და გაუნათლებლობა; როცა საკოლმეურნეო სოფელში ჰყავავის საბჭოთა კულტურა, სკოლა და თეატრი; როცა დავიწყებას მიეცა უვიცობა, წერა-კითხვის უცოდინარობა, და როცა წიგნი და გაზეთი ჩვენი კოლმეურნე გლეხის პირველმოთხოვნილების საგნებს წარმოადგენს, რა თქმა უნდა, მეტისმეტად ძნელია იპოვო წმინდა ხალხური, დიალექტის, ენით მოლაპარაკე მთქმელი და ინფორმატორი. თანამედროვე მთქმელის მეტყველებას უკვე საკმარისი სიძლიერით ამჩნევია ლიტერატურული, წიგნისა და გაზეთის, ენის გავლენა. ახლანდელი მთქმელი გათვითცნობიერებული და განათლებული ადამიანია, იგი ოღნავადაც ალარ ჰგავს ძველ შეზღაპრესა თუ მელექესს. ეს გარემოება ერთგვარ სიძნელეს ქმნიდა, მაგრამ მიუხედავად ამ არსებითი ხასიათის დაბრკოლებისა, ჩამწერი ცდილობდა თანამიმდევრულად დაეცვა მთქმელების ენა და სტილი, ყოველი ტექსტი ისე ჩაეწერა, როგორც მას მთქმელთაგან ისმენდა. ტექსტებში, რამდენადაც ეს მოსახერხებელი გახდა, წარმოდგენილია ქართული კილოს კოლორიტი, მისი ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სინტაქსურ-სტილისტიკური თავისებურებები. მაგრამ ერთი სისტემის დაცვა თავიდან ბოლომდის მაინც ვერ მოხერხდა. თვით ცალკე მთქმელის ენაც არ აღმოჩნდა ერთნაირი. თითქმის ყოველი მთქმელის ენაში დიალექტური ნორმების პარალელურად მათი წმინდა ლიტერატურული ფორმებიც გვხვდება. დასავლეთ საქართველოს კილოების გავლენასაც თავისი ანარეკლი უპოვია ქართლურში. ამიტომაა, რომ ცალკე აღებული ფორმების ხმარებაში შეინიშნება ერთგვარი არევ-დარევა. ძნელი ხდება იმის გარკვევა, ამ ფორმებიდან თუ რომელია კილოური. მაგალითად: ერთი ზღაპრის ტექსტში (№ 22, „ირმიშვილი"), რომელიც ჩაწერილია სოფ. ყარაღაჯში, ერთსა და იმავე დროს გვხვდება: „მდევსა ძინამ" და „ის რო ხვრინამს"; „შენ მაგად გამოდკითხე" და „შახედეს მშვენიერი ქალის სურათს"; „მდიდარ ჯავრი მოუვიდა" და „მდიდარს შაუთვალა"; „ერთ ირემ ბიჭი დადგემ" და „ეს ბიჭიც თან მოადგემს შორიახლო"; „ქალ ლეექინა" და „ბიჭს გული წაუვიდა;" „შვილდისარი" და „შვინდისარი" და ა. შ. ჩაწერის შემდეგ ტექსტს მთქმელს ვუკითხავდით და ამით ვამოწმებდით ჩაწერილის სისწორეს. მაგრამ ზოგიერთი მთქმელი ცდილობდა შეეცვალა მის მიერვე ხმარებული ცალკეული დიალექტური ფორმები ლიტერატურული გამოთქმებით. ჩამწერი კი ასეთ შემთხვევებში თავს იკავებდა უკვე ფიქსირებული ფორმების ინტერპოლაციისაგან და მათ იმ სახითვე ტოვებდა, რა სახითაც კარნახის დროს იყო ნახმარი. ენათმეცნიერული ტექსტების სისწორის შემოწმების ეს სანდო მეთოდი, რომელიც მიუცილებელია უცხო ენის ნიმუშების ზუსტი ფიქსირებისათვის, ნაკლებად გამოსაყენებელი აღმოჩნდა ქართული ენის კილოების მიმართ, განსაკუთრებით მათს ღღევანდელ ვითარებაში.

ქართული მდიდარია ხალხური შემოქმედების ყველა ჟანრით. მშვენიერი

მისი პოეტური ფოლკლორი, ანკარა ნაკადულივით მოედინება მისი ხალხური მუსიკა-სიმღერები, დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს მისივე მაღალ პლასტიკური ცეკვები. მეცნიერების მიერ გამოკვლეულია, რომ ქართლში ახლაც შემონახულია წარმართული ეპოქისეული ხალხური ყოფის მთელი რიგი ისეთი ეთნოგრაფიული ჩვევები, რომელთა გაშიფვრა საშუალებას იძლევა საქართველოს წინაკლასობრივი ეპოქის ისტორიის გაშუქებისათვის. ცნობილია, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილმა ამ საწესო რიტუალებისა და ლეგენდების ისტორიულ-შედარებითი შესწავლით ნათელი მოჰფინა ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის იმ სტადიას, რომელსაც არ სწვდება წერილობითი წყაროები და, რომელიც მანამდის ბურუსით იყო მოცული.*

მაგრამ ყველაზე მეტად ხალხური შემოქმედების სახეთა შორის ქართლი ზღაპრებით არის მდიდარი. საქართველოში, შეიძლება ითქვას, არ მოიძებნება მეორე კუთხე, რომელსაც ასე ფართოდ ჰქონდეს შეთვისებული ზღაპრის კულტურა.

ტექსტები, რომლებიც აქ ქვეყნდება, პირველყოვლისა დიალექტოლოგიური ჩანაწერებია. ისინი ენათმეცნიერებისათვის წარმოადგენს სანდო მასალას ქართლურის ენობრივი თავისებურებების გასათვალისწინებლად. მეორე მხრით, მათ დაუფასებელი მნიშვნელობა ენიჭებათ ქართული ზღაპართმცოდნეობისათვის. თითოეული ტექსტი ამდენად ენათმეცნიერულთან ერთად ფოლკლორულ ინტერესს იწვევს. ტექსტების მეტი ნაწილი პირველად ქვეყნდება, მცირე ნაწილი კი წარმოადგენს უკვე ცნობილი ზღაპარ-ლეგენდების განსხვავებულ ვარიანტებს.

II

აქ სულ 63 ზღაპარი ქვეყნდება. ისინი ქართლის სხვადასხვა რაიონშია შეკრებილი. მასალების შეკრების ცენტრად არჩეული გვქონდა გორის რაიონი და მისი ახლო-მახლო მიდამოები. კერძოდ, ატენის ხეობაში, ბერშუეთსა და ყარალაჯში მოეწყო საგანგებო ექსპედიციები, რომელთა ხელმძღვანელობა ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა დაკისრებული. მასალები იკრიბებოდა აგრეთვე დირბში, ბრეთში, ბერბუკში, ტინისხიდში, მეჯვრისხევში, ტუვიავში, ქიწნისში, შინდისში, შავშვებში, კარალეთში, უფლისციხეში, გრაკალში, ქარელში, ხიდისთავსა და სხვა სოფლებშიაც. იწერებოდა არა მარტოოდენ ზღაპრები და ლეგენდები, არამედ ხალხური ლექსები, შაირები,** გადმოცემები, ანდაზები, გამოცანები, ნაკვესები, მოსწრებული სიტყვები, ანეკდოტები, საწესო რიტუალების შესახებ შემონახული ცნობები, გაბმული დიალექტური მეტყველების ნიმუშები, ლექსიკური

---

* ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 33—151.

** შეკრებილი შაირების მცირეოდენი კოლექცია დაბეჭდილია აკადემიის მონოგრაფიაში: ქართული შაირები, ნარკვევები, ტექსტები, შენიშვნები, თბ., 1941.

მასალები, რომელთა დამუშავება და პუბლიკაცია ახლო მომავლის საქმეა. ექსპედიციებსა და მასალების ინდივიდუალურად შეკრებაში ჩვენთან ერთად სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: ილია მაისურაძე და გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უოფილი მოწინავე სტუდენტები: ვასილ ტატულაშვილი, ვასილ ბიბილური, დავით კაპანაძე, რუსუდან სუხიაშვილი, მარიამ ლობჟანიძე. წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი ტექსტები მხოლოდ პირადად ჩვენ მიერ არის ჩაწერილი.

ეს 63 ზღაპარი 15 მთქმელიდან არის ჩაწერილი. სახელდობრ დავით ქვრივიშვილისაგან (სოფ. უარღაჯი)—26; სიმონ ქვრიშვილისაგან (სოფ. უარღაჯი)—16; ფიდა კვიწინაძისაგან (სოფ. ბერშუეთი)—4; ბაგრატ ტატიშვილისაგან (სოფ. ტუვავი)—4; დიმიტრი უიფშიძისა (სოფ. ბრეთი) და გიორგი უოჩიშვილისაგან (ქ. გორი)—ორ-ორი; ხოლო ვანო ქარქიშვილისა, იოსებ ვანიშვილისა, არსენ პავლიაშვილისა, დიანოზ პავლიაშვილისა, ვლადიმერ ჩიხლაძისა, გიორგი წიქარიძისა, ნიკო ჯიოშვილისა (ატენის ხეობა), ოლღა უიფშიძისა (ქ. გორი) და მარო ბუთხუზისაგან (ატენის ხეობა)—თითო-თითო.

მთქმელებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფიდა კვიწინაძე, მარო ბუთხუზი, დავით და სიმონ ქვრივიშვილები.

ფიდა კვიწინაძე იშვიათი მეხსიერების ადამიანია, სკოლაში არასოდეს უსწავლია, კარგა ხნის წინათ კი დაბრმავებულა. მან ლექსებიცა და შაირებიც ბლომად იცის, მაგრამ მისი რეპერტუარიდან უმთავრესი მაინც ზღაპარ-ლეგენდებია. სოფელში მას იცნობენ, როგორც ზღაპრის პროფესიულ მთქმელს. მისგან ჩავიწერეთ 86 ზღაპარი და ლეგენდა: ეს ზღაპრები ნაირი თემატიკისაა.

პროფესიული მთქმელია მარო ბუთხუზიც, ასე იცნობენ მას ატენში. მისი ზღაპრების თემატიკა შედარებით განსაზღვრულია. იცის ლექსებიცა და შაირებიც. კარგად იცის ზღაპრის მბობის რიტუალური წესები, „ჩემს არაფერს ვუმატებ, რაც გამიგონია, იმას მოგახსენებთო.“

თავისებური მთქმელია დავით ქვრივიშვილი. იგი ნამდვილი ცოცხალი ენციკლოპედიაა. გვიამბო 57 ზღაპარი და ლეგენდა, ასოცზე მეტი ლექსი, სამოცდახუთამდის ანდაზა, მრავალი გამოცანა, თქმულება, ნაკვესი, შაირი. მისი რეპერტუარი ამოუწურავი და ფერადოვანია. პირადად ოხუნჯი და ენაწყლიანი მოლაპარაკეა. ყოველ სიტყვას მოაყოლებს მოსწრებულ ნაკვესს, აქვს საუკეთესო მეხსიერება, თუ მოჰკრა რამეს ყური, ზუსტად გაიმეორებს. მშვენივრად იცის „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი და ყარამნიანის ცალკე კარები. ზეპირად ახსოვს მთელი რიგი ქართველი მგოსნების ლექსები. მას ესენი სკოლაში როდი უსწავლია, რადგან მეორე კლასიდანვე გამოსულა, არამედ სხვებისაგან გაუგონია და მეხსიერებაში ჩარჩენია. დ. ქვრივიშვილი შემოქმედი მთქმელთაგანია. იგი, ზოგჯერ, თვითონვე თხზავს ამა თუ იმ ზღაპრის ცალკეული პერსონის ფანტასტიკურ თავგადასავალს. მის მიერ ნაამბობ ზოგ ზღაპარს აშკარად ამჩნევია მთქმელის

„შალაშინი“. მბობის პროცესში აგრეთვე, ხშირად, ისე გადაბამს ორი ან მეტი ზღაპრის პერსონაჟების თავგადასავლებს, რომ მსმენელი ამას ვერ ამჩნევს. ამიტომ მის მიერ ნაამბობი ზოგიერთი ზღაპრის ცალკე პერსონაჟების თავგადასავლები შეიძლება დამოუკიდებელ ფანტასტიკურ მოთხრობად გამოიყოს. ამის ნიმუშს ზღაპარი „როკაპის ქალი“ წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ეს ზღაპარი სულ ცოტა სამი სიუჟეტის გაერთიანებას წარმოადგენს. სამივე სიუჟეტი მთქმელს გადაუბამს ერთმანეთზე და. ახლა ძნელი ხდება მათი დაშორება. ზღაპრის პირველი ნაწილი, სადაც ლაპარაკია მომაკვდავი ხელმწიფის ანდერძზე—დამოუკიდებელი სიუჟეტია. ამ ხელმწიფემ თავის ვაჟს დაუბარა: „ღღეს თუ ხვალ შე მოკკვდები... ვინც გთხოვოს ჩემი ქალები, პირდაღებული მგელი რო იყვეს, მიეცეო“. ვაჟი თავის დებს, მართლაც, მგელს, ითხოვს და არწივს მიათხოვეს. ეს სიუჟეტი სრულდება, როცა ვაჟი გაიცნობს თავის სამივე სიძეს; მაგრამ მთქმელი აქვე ანვითარებს ახალ სიუჟეტურ მოთხრობას, ესაა როკაპი ქალის ამბავი. მრავალი განსაცდლის შემდეგ ვაჟი ხელში ჩაიგდებს როკაპის ქალს, და აქ კიდეც დასრულდება მეორე სიუჟეტიც, მაგრამ მთქმელის ფანტაზია უცებ სცენაზე გამოიყვანს ახალ გმირს კაკან-ლევის სახით. ამ უკანასკნელის თავგადასავალი კი ცალკე დამოუკიდებელ ზღაპარს წარმოადგენს.

ენაწყლიანობით ლავით ქვრივიშვილს მოგვაგონებს სიმონ ქვრივიშვილიც. ეს გაცილებით ნაკლებ შემოქმედია, მაგრამ მეხსიერება მასაც მშვენიერი აქვს. გვიამბო 30 ზღაპარი, ასამდის ხალხური ლექსი და შაირი, ორმოცამდის ანდაზა და ორი ამდენივე გამოცანა. ს. ქვრივიშვილის მიერ ნაამბობი ზღაპრები უფრო მარტივი სიუჟეტებისაა; ეხება ისინი როგორც ჯადოსნურს, ისე ანტირელიგიურსა და სხვა ჟანრებს. განსაკუთრებული ინტონაციებით ყვება იგი ზღაპრებს მღვდლებსა და ტერტერებზე...

III

ზემოთ აღინიშნა ტექსტების ენათმეცნიერული მნიშვნელობის შესახებ. ეს ტექსტები უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს დიალექტოლოგიურ მასალებს ქართლური კილოს თავისებურებათა გასათვალისწინებლად. ქართლურის (კერძოდ, ტყვიავის ენობრივი რაიონისა) ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები მისი მიმართებით ძველ ქართულთან მოცემულია ვ. თოფურიას სტატიაში—„ქართლური“,—რომელიც 1925 წელს დაიბეჭდა.* რამდენადაც ქართლური დიალექტოლოგიური ტექსტები პირველად ქვეყნდება, ამიტომ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ აღგვენუსხა მასში შეხვედრილი ლიტერატურული ქართუ-

* კრებ. «ენრალი», თბ., 1925, გვ. 127—152.

ლისაგან განსხვავებული ნორმები. ეს მით უმეტეს მიუცილებელია, რადგან ამ ტექსტებით დასტურდება ზოგი ისეთი მოვლენა, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში მოხსენებული არ არის.

ენობრივი თავისებურებების ჩვენება იწყება ფონეტიკით. მას მისდევს მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები. ყურადღება გამახვილებულია მხოლო მთავარ თავისებურებებზე, რადგან ყველა მოვლენის დაწვრილებით განხილვა შორს წაგვიყვანდა. დამოწმებული წყაროებიდან მკითხველი გაარჩევს თუ რა ქართლურისათვის სპეციფიკური და რა საერთო მოვლენები აქვს მას დანარჩენ კილოებთან.

ფონეტიკური მოვლენები

1. ზმნის ფუძისეული ხმოვანი ჩვეულებრივ იწვევს პრევერბისეული ხმოვნის ასიმილაციას: 1. ა—ე: ეეტუზა,* ეეშვა ცაში; 2. გა—გე: გეეხვიე, გეეღვიძა, გეეგზანა; 3. გამო—გამე: გამეეცალა, გამეეშვიდობა, გამეეცხადა; 4. და—დე: დეედევნა, დეერთო; 5. მო—მუ: მუუტანეიო, მუელი. ეს სპორადული შემთხვევაა, იგი უფრო გურულისა და აჭარულისათვისაა დამახასიათებელი; 6. მო—მე: მეესპოთ, მეეპაროს; 7. გამო—გამე: გამეეცნაურა, 8. ჩა—ჩე; ჩეეუარათ, ჩეეძინათ; 9. გა-და—გადე: გადეეხვია.

2. პრევერბები მო, შე, ამო, გამო, წამო გადმოცემულია მა, შა, ამა, გამა, წამა (წამე) სახით: მამყვანი, მამეციო, მაიყვანა; შარჩენოდა, შაგროვდა; ამაყოფინა; გამაგდო, გამაიქცა; წამაიყვანა, წამეიჩრიხვა.

3. ოვე—უე: უპუე; დავტუე; მაწუეიო. ეს მოვლენა ჩვეულებრივია გურულისათვისაც: მიეთხუებია—მიეთხოვებია, მათხუარიზგან—მათხოვარისგან.**

4. ოვა—ოა—უა: ჩამუა, გამუა.

5. ვი— უ: საკურელი; რა საკურელი სიზმარი ვნახე.

6. ა-ს წინ უ დასუსტებულია ვ-დ: ვარი.

7. უმნიშვნელოვანესი ფონეტიკური მოვლენა, რომელიც ამ ტექსტებითაც დასტურდება ქართლურში, არის გრძელი ა. ლიტერატურულ ქართულს არ ახასიათებს გრძელი ხმოვნები და იგი არც მისი კილოებისათვის არის ბუნებრივი. ამიტომ ქართლურში გრძელი ა-ს მხოლოდ სპორადულ არსებობაზე შეიძლება

---

* შდრ. ვ. ბ ე ბ ე ლ ი ა, К характеристике нижнеимерского говора груз. яз., კრებ. „Памяти акад. Н. Я. Марра“, М.—Л., 1938, გვ. 120; ხმოვანთა კომპლექსების ბრეცვების ახსნისათვის იხ. მისივე: ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ ბრეცვთა სივრცითი ხასიათისა ქართულ კილოებსა და ზანურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, თბ., 1946, გვ. 19—34.

** შდრ. ნკენი: ძირითადი ფონეტიკური მოვლენებისათვის გურულში, „თბილ. უნივ. შრომები“, V, 1936, გვ. 315.

ლაპარაკი. როცა მოსაუბრე ნახულსა თუ გაგონილს გადმოგვცემსო, თქო ნაწილაკების მოშველებით, ვარ და ხარ მეშველი ზმნების გამოთქმისას გვესმის გრძელი ა.* მაგ. ხარო, რიტვინ მოსულხარო, აქა ვარო. ა რამდენიმედ გრძლად ისმის აგრეთვე ასეთ შემთხვევებშიაც: არაფერი ბიჭი არ ყოფილხარო, უუვარვარო. ოდნავი სიგრძე ემჩნევა ა-ს მაგალითებში: ზნე მაქსო; რა გაჭირება გაქსო; საკუთარი აბანო მაქსო (გრძელი ა ტექსტებში დაბეჭდილია შავად).

8. თანხმოვანთა ცვალებადობიდან აღსანიშნავია: 1. ევ კომპლექსი იძლევა ო-ს: კიდო; 2. თშ-ჩ: საჩი; 3. ნ ენაცვლება მ-ს: სამთელი; 4. უკანაენისმიერ მეღერ გ-ს ენაცვლება მკვეთრი კ: ამხანაკი; 5. ძ.ზ: გადაიზრო; იგივე მოვლენა პირიქით: ზ-ძ: საძღვარზე; 6. ღზ-ძ: გვერძე; 7. ვ—მ: მასკვლავი.

9. ბგერის დაკარგვა ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა ტექსტების მიხედვით. იკარგება: 1. დ: უნა გავათენოთ, უნა შემჭამოს; 2. ვ: ვიყაი, ჩამოიდა; 3. ზ: სარდო, რდის; 4: რ: ფთაზე, სპიტი; 5. ლ: სახში, სისხში, ხემწიფე; 6. ხ: ჩამობრძანდი ძირაო; 7. თ: მარლაც—(მართლაც); 8. მ: რო, მაგრა, ხარზე (მხარზე).

10. წინაენისმიერი მეღერი დ ასიმილაციით ურუვდება და ვღებულობთ ტ-ს: კლტე (კლდე), მკვტარი, ამოტოლა, იმიტვინ, სიკეთიტვინ; ბ—პ: ტპა; ფ—შ: ვაშკაცი; გ—ქ: მოქცე; ღ—ხ: ხვთის; ს—ზ: ვამზგავსე, ზდია.

11. სტ და შტ კომპლექსებში ჩვეულებრივია ს-ანისა და შ-ინის დასუსტება ჲ-ღ. ს-ანის იოტაცია ქართლურისა და კახურის საერთო ფონეტიკური მოვლენაა.** ა. სტ—ჲტ: ქრიჲტე, გაჲტუმრა, კკირიჲთავი (კვირისტავი—კვირიშტავი); ჲტოლი (სტოლი), ჲტიროდა, აჲტკივდა, სუჲტ არსებასა, ეჲტუმრა. ხშირია ასეთ შემთხვევებში ჲ-ის დაკარგვაც: ტაქანი, ტუმრისა; B. შტ—ჲტ: გამოიტანა ლიდი ტაჲტით თვალმარგალიტი. სტ—შტ კომპლექსის მსგავსად სწ და სც კომპლექსებშიაც სუსტდება ს. ამის მაგალითებია: ჲწორეთ, კარავი ლაჲცა, მიჲცა, გაჲცურეს. ხთ კომპლექსი სტ-ს ბგერს იზიარებს, იმ განსხვავებით, რომ ს ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ სრულიად იკარგება, ხოლო მფშვინვიერი თ ურუ მკვეთრი ტ-ს სახეს იღებს: შენტვინა, მოვლიტვინ, რიტვინ; აგრეთვე გვაქვს: ხთ—ჲთ: ჲთხოვა, ლაჲთესოო; სკ—შკ: ქვეშკნეთი, ფაშკუნჯი. ს-ს ასიმილაციის შემთხვევები შ-სთან ბუნებრივი ფონეტიკური მოვლენაა ტექსტების მიხედვით, კერძოდ იქ, სადაც მოსალოდნელია სჭ კომპლექსი შჭ გვევლინება: მოშჭრა, შაშჭამს, შჭამ.

---

* დაწვრილებით ამაზე შეხედეს წვენი: გრძელი ა-ნის საკითხისთვის ქართლურში, „თბილ. უნივ. შრომები", XII, 1940, გვ. 103—109.

** ა რ ნ. ნ ი ქ ო ბ ა ძ ე, ბერგ-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 66—67; მასალა: ხ ბაკრაძე ლიხუტაბა ქიზიეურში, ენიმეა-ს მოამბე, I, თბ., 1937, გვ. 60—69; კ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 187.

12. ბ-ს ენაცვლება ფ: რას კითხულოფ, მეჯინიფობა, მეჯინიფე, უცეფ.

13. მეტათეზისის ნიმუშებიც უხვად გვაქვს: დამესხენ, დამითვარიელეო, ხლმები, შავლაი, ხლმიდან, გმლათ იქცეს, ბლენა, მძრაული, მემრე.

14. მითითებულ ფონეტიკურ მოვლენებთან ერთად ტექსტებში გვხვდება სხვა საინტერესო მაგალითებიც: ხმოვნის წინ შერჩენილია ჰაე უცხო წარმოშობის სახელში: ჰარამი; ქართული ენის დასავლური კილოების მსგავსად გვაქვს: კაი. ხშირია: ჲუვანდა, ჰუეხარ, რავი (რა ვიცი), როისაც და სხვ.

15. ქართლურის ერთ უძირითადეს ფონეტიკურ მოვლენას რედუქცია წარმოადგენს. ტექსტებშიაცა და ბუნებრივ გაბმულ მეტყველებაში რედუქციის ყველა შემთხვევას ვპოულობთ. ამიტომ აქ ნიმუშებად გაბმულ მეტყველებაზე დაკვირვებისას შეკრებილი მასალებიც მოგვაქვს.

რედუქცია ფუძისეული ხმოვნის დაკარგვას, ან მის თანხმოვნით შეცვლას ეწოდება. იგი ფონეტიკური რიგის მოვლენაა, სათანადო ბგერობრივი მიზეზებით გამოწვეული: სახელებში აფიქსების დართვით, ზმნებშიაც მაწარმოებელი ელემენტების მიმატებით. ქართულში ყველა ხმოვანი არ ემორჩილება რედუქციის კანონს. ნ. მარის, ა. შანიძისა და ვ. თოფურიას ნაშრომებით დადასტურებულია მხოლოდ ა, ე და ო ხმოვნის რედუქცია* და ისიც არა ყოველ მოსალოდნელ შემთხვევაში, არამედ როცა ფუძე ვ, ლ, რ, მ, ნ თანხმოვნებით ბოლოვდება. ამ სამი ხმოვნიდან ა და ე უკვალოდ ამოვარდება ფუძიდან, ო კი ხან დაჰკარგავს ხმოვნიანობას და მიიღებს ვ თანხმოვნის სახეს, ხანაც იზიარებს პირველი ორი ხმოვნის ბედს და ისიც დაიკარგება.

ფუძისეული ხმოვნის რედუქციას იწვევს როგორც ფლექსია, ისე მაწარმოებელი აფიქსები.

A. ხმოვნით დაწყებული ფლექსია, ანუ ბრუნვის ნიშანი არუევს სახელის ფუძისეული ხმოვნის სიმყარეს (ა, ე, ო) და იწვევს მის ამოვარდნას. ქართულში ასეთი ძალის მქონე სამი ბრუნვის ფლექსიაა: ნათ.—ის, მოქმედ.—ით და ვითარ.—ად (ქართლური:—ათ). ამ სამ ნიშანს, და აგრეთვე ჰლურალობის მაჩვენებელ ებ სუფიქსს, შეუძლია ფუძისეული ხმოვნის რედუქციის გამოწვევა.

ჯერ რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი:

ა. ა-ს რედუქცია: არაყი: ნათ. ბრ. არუ-ის, მოქმ. არუ-ით, ვით.—არუ-ათ; ქმარი: ქრმ-ის (—ქმრ-ის); ძმარი: ძრმ-ის; ანალოგიურია: კარჩხალი, კვალი, სამხარი, ხიდითავი, გორიჯვარი, კვარი, კედარო, მაგარი, სალამი...

ბ. ე-ს რედუქცია: ატენი: ნათ. ბრ. ატნ-ის, უფრო მკაფიოდ: გარდატნ-

---

* ნ. მარი, Грам. древнелитературного груз. яз., Ленинград, 1925, § 63, გვ. 41—47; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის ხაფუძვლები. I, თბ., 1942, § 29, გვ. 24; ვ. თოფურია, რედუქციისახეობა ქართველურ ენებში, „ობერ.—კეკე. ენათმეცნ.", I, გვ. 68—90.

ის (სოფელია), მოქმ.—გარდატნ-ით, ვით.—გარდატნათ; მგელი—გლმ-ის; შაეენი: შაენ-ის; ანალოგიურია: საბძელი, მთელი, სქელი სასჯელი, ნაღველი...

გ. ო-ს რედუქცია: აქ უნდა გავარჩიოთ ორი შემთხვევა: ო-ნის სრული და ნაწილობრივი რედუქცია. სრულია: მირონი: მირნის, მირნ-ით, მირნ-ათ; ტირიფონი: ტირიფნ-ის („ტირიფნის ველი"). ანალოგიურია: ღრინჭოლა, ჯონ-ჯოლი, სოლომონი... უსრულია: დანდური: დანდვრის („დანდვრის ბალახი"), დანდვრ-ით, დანდვრ-ათ. ანალოგიურია: ფოთოლი, ნიგოზი, მინდორი...

ეგ-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში ზემორე მოტანილ მაგალითებს გადაჰყვებათ შეკუმშული ფუძეები (შდრ. არუ-ებ-ი, შაენ-ებ-ი, კვრ-ებ-ი...).

Ბ. მაწარმოებელი აფიქსები ჩვეულებრივ ახალ ფუძეებს ქმნიან. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით წარმოების ორგვარი წესი (სუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური) უნდა გავარჩიოთ.

ა. სუფიქსური წარმოება. 1.—**ელ**: ატნელი (ზუსტად: გარდატნელი), ტირიფნელი; 2.—**ნარ**: წიფლნარი (უფრო: წიფნარი); 3.—**ურ** ||—**ულ**: ტირიფნული, ციკნური; 4.—**იან**: შაენიანი, საბძლიანი; 5.—**ეულ**: ბოდგნეული; 6.—**იერ**: ძლიერი, მეტათეზისით: ძრიელი (* ძალიერი); 7.—**ივა**: ძლივა. (* ძალ-ივ-ა), ოხრივა; 8.—**დელ**: იმ წლინდელი; 9.—**ობა**: სამხრობა...

ბ. პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება: 1. **ნა**—**ალ**: ნაქრმალი, ნაარუალი; 2. **ნა**—**ევ**: ნაკვლევი (ნაკვალევი); 3. **სა**—**ე**: საარუე, სასამხრე; 4. **სა**—**ო**: სამირნო; 5. **სი**—**ე**: სიგლმე (სიმგლე); 6. **სა**—**ის**: სამხრისი (—სამხარისი, სოფ. ოხერა, სპორადულია); 7. **უ**—**ეს**: უსაპურესი; 8. **მო**—**ო**: მოარეო (სპორადულია); 9. **მე**—**ულ** ||—**ულ**: მეარეული (სპორადულია); 10. **ნა**—**არ** ||—**ალ**: ნასაბძლარი, ნანივრალი; 11. **მე**—**ე**: მეკვრე (მეკვარე); 12. **უ**—**ურ**: უხორბლური და ა. შ.

როგორც ზემოთ ითქვა, ფუძისეული ხმოვნის რედუქცია დამახასიათებელია ზმნებისათვისაც, თუმცა აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ზმნის ფუძეებში ეს მოვლენა შედარებით იშვიათია, ვიდრე სახელებში.

ქართლურში—**ამ** (ლიტ.—**ავ**) თემიანი და სხვა ზმნები უღლების დროს ჭკარგავენ ფუძისეულ ხმოვანს. ასეთი ზმნები ორ ფუძეს გვიჩვენებენ: გ. შეუკუმშავს, აორისტის პირველსა და მეორე პირში და წართქმითი ბრძანებითის მეორე პირში; B. შეკუმშულსა, პირველი, მეორე და მესამე სერიის დანარჩენ მწკრივებში.

გ. შეუკუმშავნი: ა. აორისტი: მოგხანი, მოვკალი, შავშჭერი; მოგხანი, მოგკალი, შაშჭერი; მაგრამ მესამე პირში: მოხნა, მოკლა, შაშჭრა.

ბ. წართქმითი ბრძანებითი: მოგკალი, შაგშჭერი.

მაგრამ არის ზმნები, რომელთაც ფუძე არც მესამე პირში ეკუმშებათ, არამედ შეკუმშულ ფუძეს გვაჩვენებენ პირველისა და მესამე სერიის მწკრივებში. ასეთებია: თვლა, გვრა და სხვ.

ᲑᲐ. შეკუმშულნი: ა. აწმყო: ვხნამ, ვკლამ, ვშჭრი, ვთლი, ვგვრი; ᲐᲮᲜᲐᲛ, ᲐᲙᲚᲐᲛ, ᲨᲭᲠᲘ, ᲐᲗᲚᲘ, ᲐᲒᲒᲠᲘ; ᲮᲜᲐᲛᲡ, ᲙᲚᲐᲛᲡ, ᲨᲭᲠᲘᲡ, ᲗᲚᲘᲡ, ᲒᲒᲠᲘᲡ... ᲑᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲣᲠᲛᲔᲝᲑᲘᲗᲘ: ᲛᲝᲛᲘᲮᲜᲐᲛᲡ, ᲛᲝᲛᲘᲙᲚᲐᲛᲡ, ᲛᲝᲛᲘᲭᲠᲘᲐ, ᲛᲝᲛᲘᲒᲒᲠᲘᲐ; ᲛᲝᲒᲘᲮᲜᲐᲛᲡ, ᲛᲝᲒᲘᲙᲚᲐᲛᲡ, ᲛᲝᲒᲘᲭᲠᲘᲐ, ᲛᲝᲒᲘᲒᲒᲠᲘᲐ; ᲛᲝᲣᲮᲜᲐᲛᲡ, ᲛᲝᲣᲙᲚᲐᲛᲡ, ᲛᲝᲣᲭᲠᲘᲐ, ᲛᲝᲣᲒᲒᲠᲘᲐ.

ᲐᲛ ᲖᲛᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲣᲛᲨᲣᲚᲘ ᲤᲣᲫᲔ ᲐᲥᲕᲗ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲠᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲛᲬᲙᲠᲘᲕᲔᲑᲘᲗᲘᲐᲪ (ᲣᲬᲣᲕᲔᲢᲔᲚᲨᲘ, ᲐᲬᲛᲧᲝᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗᲘ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ, I ᲮᲝᲚᲛᲔᲝᲑᲘᲗᲘᲗᲘ, ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗᲘ, II ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗᲘ, II ᲗᲣᲠᲛᲔᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ III ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗᲘ). ᲨᲔᲙᲣᲛᲨᲣᲚᲘ ᲤᲣᲫᲔ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲖᲛᲜᲔᲑᲡ ᲒᲐᲭᲣᲕᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲓᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ. A. ᲛᲐᲡᲓᲐᲠᲘ: ᲮᲜᲐ, ᲙᲚᲐ, ᲭᲠᲐ, ᲒᲒᲠᲐ... B. ᲛᲘᲛᲓᲔᲝᲑᲐ: ᲐᲒ. ᲡᲣᲤᲘᲥᲡᲘᲗᲘ: ᲮᲜᲣᲚᲘ, ᲭᲠᲘᲚᲘ, ᲙᲚᲣᲚᲘ (ᲖᲣᲡᲢᲐᲓ: ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ)... Ბ. ᲞᲠᲔᲤᲘᲥᲡ-ᲡᲣᲤᲘᲥᲡᲘᲗᲘ: ᲜᲐᲮᲜᲐᲛᲘ, ᲛᲝᲜᲐᲙᲚᲐᲛᲘ, ᲨᲐᲭᲠᲘᲚᲘ, ᲣᲠᲩᲠᲐᲛᲘ, ᲣᲮᲜᲐᲛᲘ...

ᲛᲝᲪᲐᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ, ᲗᲣ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲤᲝᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠ ᲜᲣᲐᲜᲡᲡ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲣᲠᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲐ. ᲥᲐᲠᲗᲚᲣᲠᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲦᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲣᲢᲐᲜᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲮᲓᲘᲐ ᲡᲐᲣᲗᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲓ.

ᲤᲣᲫᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲮᲛᲝᲕᲜᲘᲡ ᲠᲔᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲓᲐᲜ ᲨᲝᲠᲡ ᲓᲒᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲙᲘᲚᲝᲑᲘ (ᲘᲛᲔᲠᲣᲚᲘ, ᲐᲭᲐᲠᲣᲚᲘ, ᲒᲣᲠᲣᲚᲘ), ᲘᲡᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲗᲣ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ ᲒᲣᲠᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲕᲘᲛᲘᲡᲯᲔᲚᲔᲑᲗ, ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲚᲣᲠᲡ ᲨᲔᲕᲐᲓᲐᲠᲔᲑᲗ, ᲡᲣᲚ ᲡᲐᲠᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲕᲜᲐᲮᲐᲕᲗ. ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐ ᲤᲣᲫᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲑᲠᲘᲕ ᲠᲔᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ. ᲗᲣ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲕᲮᲕᲓᲔᲑᲐ, ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲮᲡᲜᲐ. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲒᲣᲠᲣᲚᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲫᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲮᲛᲝᲕᲜᲘᲡ ᲠᲔᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲝᲚᲝᲜᲓᲔ ᲖᲛᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲖᲛᲜᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑ ᲛᲐᲡᲓᲐᲠ-ᲛᲘᲛᲓᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲨᲘᲐᲪ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲨᲔᲙᲣᲛᲨᲣᲚᲘ ᲤᲣᲫᲔᲔᲑᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲐᲠᲗᲚᲣᲠᲨᲘ.

ᲐᲛ ᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲗᲡ:

1. ᲤᲣᲫᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲮᲛᲝᲕᲜᲘᲡ ᲠᲔᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲚᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲖᲛᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲫᲔᲔᲑᲘ ᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ-ᲣᲧᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲐᲜ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐ ᲤᲣᲫᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲔᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲘ Ა, Ე, Ო.

2. ᲠᲔᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲓᲘᲡ ᲖᲛᲜᲘᲡ ᲤᲣᲫᲘᲡᲔᲣᲚ ᲮᲛᲝᲕᲜᲔᲡᲐᲪ (Ა-Ს, ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ Ე-Ს), ᲡᲔᲠᲘᲐᲗᲐ ᲛᲬᲙᲠᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲐᲑᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲖᲛᲜᲘᲡ ᲤᲣᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲣᲛᲨᲕᲐᲡ, Გ. Ი. ᲤᲣᲫᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲮᲛᲝᲕᲜᲘᲡ ᲠᲔᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲨᲘ, ᲘᲬᲕᲔᲒᲡ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲛᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲮᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘ.

3. ᲥᲐᲠᲗᲚᲣᲠᲨᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲦ-

მოსავლური კილოსათვის. დასავლური კილოები (კერძოდ გურული) ამ წესს მთლიანად არ იზიარებენ. ლიტერატურული ენის გავლენით უკანასკნელად იქაც ვრცელდება შეკუმშული ფუძეები. რაც შეეხება ზმნის ფუძისეული ხმოვნის ამოვარდნის შემთხვევებს, ეს თითქმის ყველა კილოსათვისაა დამახასიათებელი.

4. ლიტერატურულ ქართულს, უმთავრეს მორფოლოგიურსა და სინტაქსურ მოვლენებთან ერთად, სახელებისა და ზმნების ფუძისეული ხმოვნის რედუქციის წესი მთლიანად აუღია ქართული კილოდან. ქართულ ბუნებრივ მეტყველებაში დაცდენილი ფუძისეული ხმოვნის დაკარგვის ჩვეულებრივი ტრადიციის შედარება დასავლურ კილოებთან და თვით ლიტერატურულ ენასთან, გვაფიქრებინებს, რომ რედუქციის ეს წესი ქართლურიდან შეუთვისებია ლიტერატურულ ენას და არა პირიქით, იგი ლიტერატურული ენიდან არ გავრცელებულა ქართლურში, როგორც ახლა იკიდებს ფეხს გურულში. დამაჯერებელია სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით „რედუქცია შედარებით გვიანდელი მოვლენაა“ (ვ. თოფურია).

მორფოლოგიური მოვლენები

ბ რ უ ნ ე ბ ა

1. სახელობითი ბრუნვის ნიშნად ბოლოხმოვნიან სახელებისათვის ი ხმოვანია გამოყენებული: * წავიდა ციებაი, მე ციებაი ვარო, დაუდო შეშაი, ერთი ურემი ოქროი გმართებია, მთელი სახემწიფოი, შაჯდა მეჯინიფეი. ეს ი ზოგჯერ უფრო ჲ-ს უახლოვდება და მარცვლიანობის ძალა არ გააჩნია.

2. მოთხრობით ბრუნვაში მ-ზე დაბოლოებულ სახელებს უფრო ხშირად ერთი მ აქვთ: აბესალომა.

3. მიცემითში ან დასუსტებულია სათანადო ხ-ანი — ჲ-ად,** ან იგივე მორფოლიგიური ელემენტი სრულიად დაკარგულია და მიც. ბრუნვა სუფთა ფუძით არის წარმოდგენილი: ა. ბოლოჲ ორი ჯამი ღვინოჲც დაატანა; იმაჲ შაუძლიან; ბ. ხემწიფი კანონ არ ემორჩილებოდნენ; ქალ უთხრა; კერძ გაგვიკეთებს, ცეცხლ დაგვინთებს; ც. თან თანდებულით წარმოდგენილ მიცემითი ბრუნვის ფორმებში ბრუნვისეული ხ დასუსტებულია ჲ—ად: ცხელებაჲთან, მენავეჲთან; მსგავსი ნიმუშები ბუნებრივია კახური მეტყველებისათვისაც.

4. ნათესაობითი ბრუნვისეული ხ მიცემითისეულის ბელს იზიარებს და იკარ-

---

* შდრ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 138.

** ა რ ნ. ნ ი ქ ო ბ ა ძ ე, გბრე-კახეთი, გვ. 68; მიხეილ: ხ ბ ე ლ ი ს დასუსტება ქიზიეურში. გვ. 66—69; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, 132—133.

გება.* ტყი პირში; წაიყვანა ბავშვი ჩიტი დასაჭერათ; შაიყვარა ამ გლეხი ცოლი; წამოიღნენ მამი ქვეყანაში; კომპოზიტებსა და თანდებულიან სიტყვებში: რითვინ, იმითანა; **ხტ** კომპლექსის გამარტივების გამო დაკარგულა ნათესაობითი-სეული **ს**, როცა ფუძეს თვინ || თვის თანდებული დამატებია, მაგრამ უკანაენის-მიერი ურუ **თ** აბრუპტივად ქცეულა თვინ || ტვინ, შენტვინა, მოვლიტვინ, სიკეთიტვინ, იმიტვინა; ნათესაობითისეული **ს**-ანი ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებში **ჲ**-ის სახითაა შემონახული: ოქროჲ ხილი, სპილჲ გალიაში; ნათესაობითისეული **ს** თანდებულიან სახელებში დასუსტებულა **ჲ**-ად: ქალჲთვინ.

5. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი ამ ტექსტების მიხედვითაც ემთხვევა გარეკახურ, იმერულ, აჭარულ, გურულ და სხვ. კილოების ნორმებს. ეს ნიშანია—**ათ**** და არა—**ად**: ფეხათ, მასხარათ, ბლომათ, ერთათ, კარქათ, ცუდათ.

6. მიცემითსა და ნათესაობითს ბრუნვას ჩვეულებრივ თან ახლავს ემფატიკური **ა**: შავეკითხები ჩემ ქაჯებსა, ჩაჲცხო კომბლესა, მაახსენა დავრიშსა.

7. **ში** თანდებული გამოითქმის როგორც—**შია**: იმ ქვეყანაშია, მივიდა ხემწიფი თონეშია, შავიდა ვეზირი კარებშია, ბევრი ფული გაატანე საიქიოშია.

8. მრავლობითი რიცხვის ფორმა კარები ქართლურში გააზრებულია მხოლობითად და კვლავ იმატებს—**ებ** ფორმანტს: „ღია კარებები დაკეტა“, საღაც მრავლობითი რიცხვის მწარმოებელი სუფიქსი გაორმაგებულია. პლურალობის მაწარმოებელი—**ებ** სუფიქსი მიცემითს ბრუნვაში სპორადულად—**ეფ**-ად ისმის:*** დაუძახა თავი ძმეფს.

ზ მ ნ ა

1. მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად გვევლინება **ჲ**, რომელიც **ჰ**აესა და **ს**ანიდან არის განვითარებული **** (ჰ—ს—ჲ—0). მაგ. გაჲყიდე; მესამე პირის ობიექტურ ნიშნადაც იგივე **ჲ** გვაქვს, ანალოგიურ ნიადაგზე წარმოშობილი: ჲქონდა. მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი **ჰ**აე ქცეულა **ს**ანად **ც**-სა და **ჩ**-ს წინ, სანი კი დასუსტებულა **ჲ**-ად და ვღებულობთ ასეთ ფორმას: რათა ჲცემ. ზოგჯერ **ჲ**, რომელიც პირის ნიშნის ფუნქციას ასრულებს, შორდება ზმნის ფუძეს და ეკვრის წინა სიტყვას: ვერაჲ ჭრის, რაც მიღებულია: ვერა ჰჭრის—

---

* ა რ ნ. ნ ი ქ ო ბ ა ვ ა, გბრე-კახეთი, გვ. 68; მისივე: **ს** ბგერის დასუსტება ქიზიეურში გვ. 66—69; ვ. თ ო ფ უ რ ი ა ქართლური, 132—133.

** ა რ ნ. ნ ი ქ ო ბ ა ვ ა, გბრე-კახეთი, გვ. 63, შნ.; ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 139; შდრ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ერუ mediae ქართულში, ეურნ. „განათლება“, № 4—5, 1920; ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 59.

*** ს. ჟღენტი, გურული კილო, გვ. 48.

**** ა რ ნ. ნ ი ქ ო ბ ა ვ ა, გბრე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 75; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 144. აქვე უნდა შეგნიშნოთ, რომ ჲ ‖ ჲ და ჲ კომპლექსები ზმნებში, როგორც ეს დამოწმებული აქვს ვ. თოფურიას, ამ ტექსტებით არ დასტურდება.

ვერა სჭრის—ვერა ჯჭრის; შავლამაჯ კითხვა, ქალმაჯ თქვა, არაჯ გონია, სალაჯ ხარო, ვერაჯ ხვდებოდა. პრევერბის შემდეგ ჰაეს ბგერინაცვალი ხანი, მითითებული წესის თანახმად, ღ, ტ, თ, ც, წ, უ, კ... თანხმოვნების წინ მესამე ობიექტური პირის ნიშნად ჯ-ს გვაძლევს: მოჯშივდათ, აჯუვება და ლაჯუვება.

2. -ავ თემიან ზმნებს იმავე ფუნქციის შესასრულებლად -ამ სუფიქსი მოუდით. * მოგკლამ, ვნახამ; ებ თემიანებს კი ევ: ეუბნევიან, მეუბნევი.

3. უწუვეტელსა, აწმყოს კავშირებითსა, I ხოლმეობითსა, მომავლის კავშირებითსა, აორისტსა (ლონიან), და II კავშირებითს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში-ნენ სუფიქსი მოუდით. ** მიდიოდნენ, ეუბნებოდნენ.

სინტაქსური მოვლენები

1. მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს რიცხვში: კაი მძრაული ბიჭები იყვნენ ორთავენი.

2. მხოლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი მსაზღვრელი საზღვრულთან მრავლობითს რიცხვშია შეთანხმებული: სამი ძმობილები; ორი მონადირენი; ორმა მონადირემ რო დაიძინეს; ყველამ სიცილ-ხარხარი დააყარეს.

3. საზღვრულად წარმოდგენილი ნაგენიტივარი სახელი ემფატიკურ ხმოვანს ირთავს და თანაც ი-ს ინვიოარებს: ამბავი ჯუმჯუმ ხემწიფისაი; მონადირი-შვილ მეძახიან და იარაღი კი მამისაი არსადა ჩანსო; მარტო სახნის-საკვეთი დაიჭირონ რკინისაი. ***

4. გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე მოთხრობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება II სერიის მწკრივებში, დასავლური კილოების მსგავსად: შეება ბიჭმა თითონ და წავიდა ტყეში; ბიჭმა დაჯდა ხალიჩაზე; წამოიდა ბიჭმა და დაფიქრთა; შაჯდა ვეზირმა ცხენზე; ბიჭმა ისევ ისე დაიმალა; ღვენახა ქალმა; ამ ბიჭმა ჩააცივდა (შდრ.: „ამ კაცმა გეიქცა“, გურ. ფოლკლორი, 150; „ამ ცოლქმარმა კი გამდიდრდნენ ამდონეთი ვოქრუებით“, იქვე, 151).

5. გარდაუვალ ზმნას თან მოსდევს გარდამავალი და მისი გავლენით პირველიც გარდამავლადაა გაგებული: **** დაწვნენ ამ ბიჭებმა და დაიძინეს; ადგა ხემ-

---

* შდრ. ა რ ნ. ნ ი ქ ო ბ ა ვ ა, გბრე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 65; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 141.

** შდრ. ა რ ნ. ნ ი ქ ო ბ ა ვ ა, გბრე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 75; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 142.

*** დაწვრილებით იხ. ნაკვნი: ემპატიკურზმოვნიანი გენეტიური მსაზღვრელი ქართლურში, „ენის ინსტიტუტის შრომები“, II, 1947, გვ. 177—186.

**** შდრ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 146.

წიფემ და ეს ბიჭები ორთავენი გადაეარა თავი სახემწიფოდან; ამოიღა ამ გველმა, ღალია ეს რძეი და ერთი ოქროს თუმნიანი ჩააგდო შიგა.

ეს სინტაქსური მოვლენა ქართლურისათვის სპეციფიკური არ არის. იგი მეტ-ნაკლებად ახასიათებს დასავლურსა და აღმოსავლურ კილოებს: კახურს, მთიულურს, ფერეიდნულს, ქართლურს, მესხურს, იმერულს, მთარაჭულს, გურულს, აჭარულსა * და სხვ. ამიტომ იგი ქართული კილოების საერთო სინტაქსურ თავისებურებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ.

ზემოთ მითითებულ სინტაქსურ, ფონეტიკურსა და მორფოლოგიურ მოვლენებთან ერთად ტექსტებში ვპოულობთ სხვა საინტერესო ფორმებსაც, რომლებიც ცალკე არ გამოგვიყვია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დიალექტოლოგიური თვალსაზრისით ყველა მთქმელის ენა ერთნაირი არ არის, შეინიშნება ფორმათა აღრევა ცალკეულ მთქმელთა ენაშიაც.

განხილული მოვლენების შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვა: რა არის აქიდან სპეციფიკური ქართლურისთვის და რა აქვს მას საერთო სხვა კილოებთან?

დამოწმებული წყაროებიდან ჩანს, რომ სინტაქსურსა და ფონეტიკურ-მორფოლოგიურ თავისებურებათა სფეროდან წინამდებარე ტექსტებში აღნუსხული მოვლენები მეტ-ნაკლებად მეორდება სხვა კილოებშიაც. სპეციფიკურ ქართლურად ზოგ სხვა მოვლენასთან ერთად, რის დადასტურებაც ამ ტექსტებით ხერხდება, ჩვენ გვაჩვენება გრძელი ა და რედუქციის ფართოდ გავრცელება. ტექსტების შემდგომი ენათმეცნიერული შესწავლა გამოწვლილავს ქართლურის სხვა სპეციფიკურ ენობრივ თავისებურებებს.

დასასრულ, ავტორს სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია, მადლობა მოახსენოს მიხ. ჩიქოვანსა და შ. ძიძიგურს საგულისხმო შენიშვნებისათვის.

ალ. ღლონტი

---

* ა ბ რ ნ. ნ ი ქ ო ბ ა ვ ა, გბრე-ენსეთი დიალექტოლოგიურად, კრებ. «ბრილი», გვ. 74; მისივე: მოიულურის თავისებურებანი, ენიმეკ-ს მოამბე, II „თბ., 1937, გვ. 55; მისივე: ეკრედნულის მოკაბრი თავისებურებანი, „თბ. უნ. მოამბე“, VII, 1927, 217; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 146; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, К характеристике нижнеимерского говора груз. яз., კრებ. „Памяти акад. Н. Я. Марра“, М.—Л., 1938, გვ. 132; მისივე: ქართული ენის მოთრაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიმეკ-ს მოამბე, II, გვ. 84; მისივე: მესხური დიალექტის ადწერითი ანალიზი, ენიმეკ-ს მოამბე, X; ვ. ნ ო ლ ა ი ა ვ ლ ი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათომი, 1936, გვ. 20; ს. ე ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, თბ., 1936, გვ. 69.

1. ციება, ცხელება და სიკვდილი

ციება, ცხელება და სიკვდილი დაძმობილდნენ. ერთ ტრიალ მინდორზე პური მოშივდათ. სერზე მეცხვარე დაინახეს და ციებას უთხრეს:

— წადი და ერთი ცხვარი გამაართვიო. წავიდა ციებაი და მეცხვარეს უთხრა:

— ერთი ცხვარი უნდა მამცეო.

— განა ვინა ხარ, ცხვარ რო მთხოვო?

— მე ციებაი ვარო.

— ციება თუ შენ ხარ, აბა ნახეო, — დაუძახა მეცხვარემ, წამაავლო ჩომბახ ხელი და უდო და უდო.

შაუჯდა ჯანში ეს ციებაი და მეცხვარე გააცია. წინ ცივი წყაროი მოადიოდა, თითი რო ჩაგეყო მოადრამდა, გაქანდა ეს მეცხვარეი და ტყაპა გაადინა შიგა. ციებამ ვეღარ გაუძლო ცივ წყალსა, გამეეცალა და წავიდა. მივიდა სიკვდილთანა და ცხელებაადთანა.

— რაა ქენიო,—ჰკითხა სიკვდილმა.

— ციება მე კი არა, ის ყოფილაო.

— აბა ეხლა მე წავალო, — ცხელებამ თქვა. მივიდა ცხელებაი მეცხვარეადთან და უთხრა:

— ერთი ცხვარი უნდა მომცეო.

— განა ვინა ხარო, — ჰკითხა მეცხვარემ.

— მე ცხელებაი ვარო. — აი, თუ ცხელება ხარო, წამააავლო ჩომბახ ხელი და უდო და უდო.

შაუჯდა ჯანში ეს ცხელებაი და მეცხვარე გააცხელა. ამ ბიჭ ცხვრის ტყავები აქვ მოგროვილი, გაქანდა და ჩაწვა შიგა. ცხელებამ ვეღარ გაძლო სიცხითა, გამეეცალა და წამოვიდა.

— რაა ქენიო, — უთხრა სიკვდილმა.

— ცხელება მე კი არა, ის ყოფილა, კინაღამ დაძწვაო,—უთხრა ცხელებამ.

— აბა, ახლა მე წავალო,—თქვა სიკვდილმა,—ვნახოთ მოვიყვან თუ არაო.

მივიდა სიკვდილი და უთხრა მეცხვარეს:

— ერთი ცხვარი უნა მამცეო.

— განა ვინა ხარ, ცხვარ რო მთხოვო.

— მე სიკვდილი ვარ.

— მთელი ფარა წაიყვანე, მხოლოდ ერთი მითხარი, როდი უნა მოვკვდეო.

— ჩემი ძალით ხო ვერ მოგკლაშ, აგერ სიას ვნახაშ და გეტყვიო.—გადაშინჯა სიკვდილმა სია და უთხრა:

— შენა ხარ ოცი წლისა, ოთხმოცი კიდე უნდა იცოცხლო, ასათ შაასრულოო.

— რახან ოთხმოცი წელი კიდე უნდა ვიცოცხლო, ცხვარი რაში უნდა მაგცეო,—უთხრა მეცხვარემ, უდო და უდო ჩოშბახი და გააგდო ეს სიკვდილიც. ასე გაიმარჯვა მეცხვარემ!..

2. ელია, ქრისტე და წმინდა გიორგი

ელია, წმინდა გიორგი და ქრიჟტე მიჟდიოდნენ ერთათ, პური მოჟშივდათ. დაინახეს მეცხვარე და ჯერ ელიას უთხრეს:

— წადი და ცხვარი მაიყვანე, რო ვჭამოთო. მივიდა ელია მეცხვარეჟთან და უთხრა:

— ერთი ცხვარი მამეციო.

— ვინა ხარო? — ჰკითხა მეცხვარემ.

— წვიშისა და სეტყვის მამყვანი, ელია ვარო.

— შენ ცხვარ როგორ მოგცემ, საწყალ კაც ჭინახულ რო უტიალებო.—გადმოიღო და უდო და უდო ჩომბახი. წამოიდა ელია ცარიელი. ეხლა ქრიჟტე წამოიდა მეცხვარეჟთან.

— ერთი ცხვარი მამეციო.

— განა ვინა ხარო?

— მე ქრიტე ღმერთი ვარო.

— შენ ცხვარ როგო მოგცემ, ავსა და კარგს ვერაჟ ცნობო. გამააგდო ცარიელი ქრიჟტეც.

ეხლა წმინდა გიორგი წავიდა მეცხვარეჟთან.

— ერთი ცხვარი მამეციო.

— განა ვინა ხარო?

— მე ვარ წმინდა გიორგი, მთელი ქვეყნის მფარველიო.

— მთელი ფარა წაიყვანეო, — უთხრა მეცხვარემ.

— არა, მთელი ფარა არ მინდა, ერთი ცხვარი მამეციო. აიყვანა მეცხვარემ ერთი კარგი ჭედილაი და მიჟცა.

მაიყვანა წმინდა გიორგიმ ჭედილაი, დაკლეს, შაჴწვეს და ერთი კარგი პური ჭამეს, როცა სადილ მორჩნენ ქრიჴტემ კალთა დაბერტყა და თქვა:

— ეს ალაგი ვინც მოხნას, მთელი წლის სარდო მოუვიდესო.

ესენი რო წამოიდნენ, წმინდა გიორგი მივიდა მეცხვარეჴთან და უთხრა:

— ჩვენ რო პური ვჭამეთ, იქ ქრიჴტემ კალთა დაბერტყა, რაც არ დაგიჯდეს, ეს ალაგი უნა მოხნა და პური დაჴთესოო.

ჴართლაც, მეცხვარემ შეისყიდა ის მიწა, მოხნა და დაჴთესა პური. ისეთი ყანა გახთა, ისეთი, რო მშვენიერი სანახავი.

ერთ დღეს გადმოიხედა ზეციდან ელიამა და ეს ყანა რო დაინახა, ქრიჴტეს უთხრა:

— შენ რო კალთა დაბერტყე, ნახე იქ რა ყანაა. წმინდა გიორგიმა ეს რო გაიგონა, უთხრა:

— ეს ყანა იმ მეცხვარეს ეკუთვნის, მე რო ცხვარი მამცაო.

— რახან იმას ეკუთვნის, აბა ნახე რა დღე დავაყენოო, — თქვა ელიამა. მანამ ელია წამოვა, მანაჴ წმინდა გიორგიმა მიირბინა მეცხვარეჴთან და უთხრა:

— მაგ ყანას მაინც გევაჭრებიან და რაც გინდა აიღე, ოღონ ამაღამვე ფეხათ გაჴყიდეო. მეცხვარემ, მართლაც, მიჴყიდა ერთ მეცხვარეს ფეხათ.

იმ ღამე ელიამ ისე დასეტყვა ეს ყანა, ისე, რო ნაალაგევიც აღარ გაუშვა. მეორე დღეს ელიაჴ წმინდა გიორგის უთხრა:

— აბა ნახე იმ შენი მეცხვარის ყანას რა დღეი დავაყენეო. წმინდა გიორგიმა უპასუხა:

— ის ყანა მეცხვარესი აღარ გახლამს, ერთ ვაჭარ მიჴყიდაო. ელიამა თქვა:

— რახან მისი არ ყოფილა, აბა ნახე როგო გამოვაცოცხლოო. ეს რო წმინდა გიორგიმა გაიგო, მიირბინა მეცხვარეჴთან და უთხრა:

— შენი ყანა ისევისე შენ დაიბრუნე, ვაჭარი რო დასეტყვილ ნახამს, მოგყიდისო. დაიბრუნა მეცხვარეჴ ყანა. ელიამ მეორე დღეს მაიყვანა ჟუჟუნა წვიმა და ეს ყანა ფეხზე წაჴააყენა.

მეორე დღეს ელიამ წმინდა გიორგის უთხრა:

— შეხედე, როგო გამოვაცოცხლე ვაჭრი ყანაო.

— ის ყანა ისევისე მეცხვარმ იყიდა, ვაჭარი აღარ არიო.

ეს რო ქრიჴტემ გაიგო, გაბრაზდა და დაჴწყევლა:

— იმ ყანი მოსავალსა თითო ურემზე თითო კოდის მეტი არ

გამოიდესო. წინდა გიორგიმა ეს რო გაიგო, გამაიქცა მეცხვარეებთან და უთხრა:

— ქვეყანამ რო მასხარათ აგიგდოს, რაც არ უნა დაგიჯდეს თითო ურემზე არ დაადო თითო ძნაზე მეტიო. მეცხვარე მართლა ეგრე მოიქცა და პური ბლომათ მოუვიდა...

3. სამი მეცნიერი და გლეხი

სამი მეცნიერი წავიდნენ ადგილთ-დებარეობისა და ამინდი გამოსარკვევათ. სოფელში დაუღამდათ. მივიდნენ ერთ გლეხთან. დასხდნენ პური საჭმელათ. აბათ თავაანთი საჭმელი ამაალაგეს, გლეხმა კი ლობიო დაისხა. ჯერ ერთი არაყი დაადლია და ერთი დიდი ჯამი ლობიო შემდეგ შაჭამა. ბოლოდ ორი ჯამი ღვინოდაც დაატანა. მეცნიერებმა უთხრეს:

— ხო მოგკლამს, ამოტოლა საჭმელი ჭამა განა შაიძლებაო?

— არაფერ არ მომკლამ, ხო ნახეით, ჯერ ერთი არაყი დავლიე, ბოლოდ ღვინო დავაყოლე, ლობიო შუაში მავაქციე, აბა რა უნდა მიქნასო.

ეხლა ნაემზადნენ დასაწოლათ. მეცნიერებმა თქვეს:

— გარეთ მავისვენებთო. გლეხმა უთხრა:

— ვიცი, ამაღამ გაავდარდება, ლოგინი ალაგებ-დალაგება ჩემი საწვალებელი იქნება, ჯობს შინ დაიძინეთო.

— რა უნა გაავდარდეს, ცაზე ღრუბელი არ არი, აბა საიდან უნა მოიდეს წვიმაიო.

დაწვნენ და დაიძინეს. ღამე მართლა გაავდარდა. გლეხმა შინ შაიყვანა ეს მეცნიერები.

— როგორ გაიგე, რო უნა გაავდარებულიყოო,—ჰკითხეს მეცნიერებმა:

— როგორაო და როცა ღორები მოიდნენ და გოჭები ჭყმუტუნობდნენ, ეს ავდრი ნიშანი იყოო; ფინაცა როგო მაიკუნტა და სათივი ქვეშ დაწვაო. როცა ფინა და გოჭები ეგრე მოვიდნენ, მე გავიგე ავდრი ნიშანიაო.

მეცნიერებმა ერთმანეთ უთხრეს:

— წავიდეთ, წავიდეთ, რახან ამ გლეხ, ფინასა და გოჭებ ყველაფერი სცოდნიათ და ჩვენ კი ვერა გაგვიგია რა, ჯობია სახში წავიდეთო.

4. მეცნიერი და მენავე

ერთი მეცნიერი მენავეჲთან მივიდა და უთხრა:

— მოდი, ჩამსვი და ვიკატაოთო. ჩასხდნენ ნავში და გაჲცურეს. გზაში მეცნიერმა ჰკითხა:

— შენ ცოდნა რამე გაქვს თუ არაო?

— არაფერიო!

— მაშ ნახევარი სიცოცხლე დაგიკარგიაო.

— განა მენავობაზე მეტი ხელობა არა იცი რაო,—ისევისე ჰკითხა მეცნიერმა.

— არა, ეს არი ჩემი ხელობაიო.

— არაფერი ბიჭი არა ყოფილხარო.

ამ ლაპარაკში არიან და მენავემ უცებ მაატრიალა ნავი, თუ არაფერი ვყოფილვარ, გაჩვენებო. მეცნიერი იხრჩობა.

მენავემ წაავლო ქოჩორში ხელი და დაუჭირა. ამოაყოფინებს წყლიდან თავ და ჰკითხამს:

— როგორი ბიჭი ვყოფილვარო.

— ერთი შენა ხარ და მეორე ღმერთი ცაშიო. კიდე აიღო და ჩაᲮყურᲯუმელავა წყალში, რო ამააყოფინა თავი, ჰკითხა:

— როგორი ბიჭი ვყოფილვარ, აბა თქვიო.

— შენიჲთანა ამ ქვეყნიერობაზე არავინ ყოფილა, შენ ყოფილხარ ყველაფერიო.

ჩაისვა ეს მეცნიერი ნავში და გამაიყვანა. როცა გადარჩა მეცნიერი, თქვა:—თავი დროზე, თურმე, ყველაფერი კარქი ყოფილაო.

5. მგელი და მელა

ერთი მელა და მგელი ერთმანეთს შახვდნენ. გზა გაიარეს და ერთი აქლემი დაინახეს ტრიალ მინდორზე. Ძელამ უთხრა მგელსა:

— აბა Ძიდი აქლემთან, მიუქაუც-მოუქაუცე და ცხვირი დაუჭირეო. ცხვირ რო დაუᲭერ, ვერსად წაგვივა, დავადგეთ და ვᲭამოთო. მივიდა ეს მგელი და მართლაც წაᲯწვდა ცხვირში აქლემსა. აქლემი თავ იქნევს, მგელ ვერ იშორებს, ვერც მგელი სძრამს, რო წააქციოს.

აიქნევს და დაიქნევს
ასრ ბარაქიანი,

აჲყვება დაჲყვება
ბიჭი ხომალდიანი.
შახე შორიდან უყურებ
ბიჭი გოგირდიანი.

ამ ბარტყა-ბურტყში აქლემმა მგელიც მოჲკლა, თვითონაც გადაიჩეხა და მოკვდა.

მივიდა ბელა და ორთავეს დაუწყო ნელნელა ჭამა.

6. მეცხვარე და მარტი

ერთმა მეცხვარემა თქვა:

ისე გავიდა მარტიო,
ვერ მოჲკლა ციკნი ბარტყიო.

გაბრაზდა მარტი. ადგა და აპრილიდან სამი დღე ისესხა. ამ სამ დღეს ქარბუქი და ნამქერი აჲტეხა. მეცხვარემ ცხვარი ვეღარ გამოჲყარა ფარეხიდანა. იშოვა ერთი კატაი, ჩასვა გუდაში და ჩამოჭიდა შუა ფარეხში. ეს კატა რო აფხაკუნეფს ამ გუდასა, ცხვარიც იმას უყურეფს. ამ სამ დღეჲ გაართო ე ცხვარი და ამოცოხნი საშუალებაი არ მიჲცა.

გავიდა სამი დღე და მარტი სახელი გაჲწყდა. მეცხვარემ ცხვარი ისევისე გამორეკა.

ასე მოატყვილა მეცხვარემ მარტი.

7. ღმერთი და ქრისტე

ქრიჲტე და ღმერთი ძალიან დიდი ძმობილები იყვნენ. ერთხელ ღმერთმა უთხრა ქრიჲტესა:

— წადი და ქვეყნიერობა დამითვარიელეო. წამოიდა ქრიჲტე და ქვეყნიერობას ათვალიერებ. ერთ მეცხვარეს ცხვარი ჰყამ ერთ ღრანტელშია, რო გაავდარდება ცხვარი იქ უნა მოგროვდეს. ქრიჲტეს ძალიან გაუკვირდა ესა.

— გამარჯვება მეცხვარევ!—უთხრა.

— გაგიმარჯოსო!—უპასუხა მეცხვარემაც.

— შე კაი კაცო, აქ რო არ მაგეშენებინა ეგ ფარები, მაღლა ვეღარ გააშენე, რო გაავდარდეს სუ დაგეღუპება ეგ ცხვარიო. გაიცინა მეცხვარემ და უთხრა:

— ნეტავ შენ, საქმე გაჲოგლევიაო; რა უნდა დამეღუპოსო, ამ

მთვარეზე ნამი არ გავარდებაო, მეც ამ თვეზე მეტს აქ არა ვჩერდები, შემდეგ სხვაგან უნა წავასხა ცხვარიო. ავდარი რო არ იქნება, ცხვარი აბა საიდან დამეხრჩობაო. წამოიდა ქრიჟტე, მიიარ-მოიარა და ისევისე ავიდა ღმერთთან.

— აბა დაჯე, მიამბე, რა ნახე, როგორ არი ქვეყნიერობი საქმეო,—უთხრა ღმერთმა.

— ყველაფერი კარგი ვნახე, მაგრა ერთი ძალიან საკურველი საქნე შამხვთაო. ერთ მეცხვარეჟ ცხვარი ჰყამ ღრიანტელ ხევშიო, მე უთხარი, ეგ ცხვარი რო მანდ არ დააყენო განა არ ჯობსო, რო გაგიავდარდეს, ხო დაგეღუპება ეგ ცხვარი-თქო. გაიცინა და მასხარათ ამიგდო.

— რა უნა დამეხრჩოს ცხვარი, ამ მთვარეზე ნამი არ გავარდება, მეც მეტ არ გავაჩერებ აქ ცხვარაო, ავშლი და სხვაგან წავასხამო. ავდარი რო არ იქნება, ცხვარი აბა საიდან დამეხრჩობაო.

— კარგი, რახან შენ გაწყენინა, აბა გადავშინჯო სიებიო. გადაშინჯა სიები და მართლა არ გაავდარდებაო,—თქვა ღმერთმა,—მაგრა რახან შენ გაწყენინა, უყურე როგორი ღვართქაფი დავაყენო ამეღამო.

წამოიდა ელვა-ქუხილი. მეცხვარემ შახედა მაღლა და თქვა:— ეე, დიდი ავდარი მოვაო და ცხვარი მაღლა ვაკეზე ამოდენა. გაავდარდა, კოკისპირული წვიმა მოიდა.

გათენდა დილაი და ღმერთმა უთხრა ქრიჟტესა:

— წადი, ნახე, შენი მეცხვარე აბა რა დღეში იქნებაო.

ჩამოუარა ქრიჟტემ მეცხვარეს. გადახედა რო იმ ფარეხში ნაალაგევიც არ არი, მაგრა მეცხვარეს კი ცხვარი დაუდი მთაზე მშვენივრათ ისევისეა.

— აკი ამ მთვარეზე არ უნა გაავდარებულიყოო, — უთხრა ქრიჟტემ.

— არ უნა გაავდარებულიყო, მაგრა ჯაშუში ღმერთმა დაჟწყევლოსო. შენ რო ღმერთითვინ აჟბავი არ მიგეტანა, იმან ჩვენი არა იცოდა•რა და არც გაავდარდებოდაო.

8. როგორ გაჩნდა გამარჯობა

ქართველები მუდამა კარგი და მამაცი მეომრები იყვნენ. თამარ დედოფლი დროსა კი ჩვენიჟთანა მეომარი ხალხი მთელ ქვეყანაზედაც არღა ბაიძებნებოდა. ქართველი კაცი იმიტვინა იყო გულადი,

რო მკლავში ძალა ქონდა, მარჯვენაი არ უღალატებდა. ქართველ კაც სანამ მარჯვენა შარჩენოდა, მტერ შავ დღესა ათენებდა. ერთზე ასიც რო მოსულიყო, გამარჯვები იმედს არავინა დაჰკარგამდა.

ერთხელ ქართველებმა გადაიხადეჰ დიდი ბრძოლაი. მტრი ლაშქარ ხმალამოღებული ეკვეთნენ. ერთზე ათი კაცი მოდიოდა მტრისა, ბაგრა არავინა შაშინებულა. ქართველები ხმალ აელვებდნენ. მარცხენა ხელში აღვირი ეჭირათ და მარჯვენაშია — ხმალი. ბრძოლა გათავდა. სისხლი ზღვა დამდგარიყო. მტერი ისრე მეესპოთ, რო ამბი მთქმელიც არღა დარჩომილიყო.

ლაშქარი ომის შემდეგ ერთათ შაგროვდა. ყველას მარჯვენა ხელში ხლმები ეჭირათ და იძახდნენ:

— ჩვენ მარჯვენას გაუმარჯოსო!

ხემწიფემ ხალხ ამ მტრი მოსპობა ჩიულოცა და უთხრა:

— თქვენ მარჯვენას გაუმარჯოსო!

— გაუმარჯოს, მრავალჟამიერ გაუმარჯოსო!—უპასუხა ლაშქარმა.

ამის შემდეგა წესათ გახდა ეგა. ქართველები ეხლა, როცა სადმე ერთმანეთ შავხვდებით, თავ დაუკრამთ და ვეტყვით: „შენ მარჯვენას გაუმარჯოსო“.—ასე გაჩთა ჩვენი გამარჯობა.

9. ბრმა მოსამართლე

ერთ ქვეყანაში ბრმა კაცი ამოირჩიეს მოსამართლეთ. ისრე არ-ჩევდა საქმეს, რო მოწამე არა სჭირდებოდა. გაიგო იესო ქრიჰტემა და წავიდა იმაჰთან გამოსაცთელათ. ქრიჰტე ჯორ-ცხენათი მიდიოდა. სოფელში ერთი პატარა ხბო დეედევნა ჯორსა. გამოუდგა ქვრივი ქალი, პატრონი:

— ხბო ჩემიაო.

— არა, ხბო ჩემიაო,—უთხრა იესო ქრიჰტემა (უნდა გამოსცადოს ის ბრმა-კაცი, თუ როგორ სამართალს აჩენს!).

ბივიდნენ ჰწორეთ სასამართლოს კარებზედა. ქალმა შეჰჩივლა მოსამართლეს:

— ხბოს აღარ მანებებს ჩემსასო.

— ეს ხბო ჩემია, გთხოვთ გაარჩიოთ ეს საქმეო,—უთხრა ქრიჰტეს. ბრმა-კაცმა თქვა:

— მე არა მცალიან თქვენთვინ, დაბარებული ვარ, ორაგულები გამოსულან, ყანა მოუძოვიათ და იქ მივდივარო.

— ვინ ორაგული და ვინ ყანაო, — გაუკვირდა ქრიდტეს.

მაშინ მოსამართლემ უპასუხა:

— ვინ ჯორი და ვინ ხბოო.

ქრიდტემ უთხრა:—ისემც აგეხილება ეგ თვალებიო და კიდეც აეხილა. იგი ღირსი არ იყო სიბრძავისა, როგორც მართლის მთქმელი!..

10. ღვინო

როდესაც ვაზი გაჩნდა, მოისხა ყურძენი. მოკრეფის დროს დაწურეს. ხალხს უკვირდა: ხმელი ხისაგან როგორ მოვიდა ასეთი ტკბილი წვენიო. მიდიოდა ხალხი სანახავათ.

უწინ მიფრინდა ბულბული.

— გაუმარჯოს ღვინოს, ვინც რომ დალიოს, ჩემსებ სიმღერა დაიწყოსო;

მერმე მივიდა ქათმის ყვინჩილა.

— ვინც რო დალიოს, ჩემსებ ჩხუბი უყვარდეს და ყოყლოჩინი იყოსო;

მოვიდა მელაც.

— ამის დამლევს ჩემსებ ქურდულათ მეეპაროს ღვინოო.

ბოლოს მივიდა ერთი კარგი მსუქანი ღორი; მანაც თქვა:

— გაუმარჯოს ღვინოს, ვინც რო ბევრი დალიოს, ჩემსეებ ტალახში გაგორდესო.

ამის შემდეგ ღვინო ასრე უშვება კაცსა!..

11. ბრმა მეჩონგურე

ერთ ქალაქში ბრმა მეჩონგურე ცხოვრობდა, გულთმისანი და კარგი მომღერალიც.

მოუვიდა ხემწიფეს ამბავი: შენს სახემწიფოში ასეთი მომღერალიაო. დაიბარა ხემწიფემ ეს მეჩონგურე.

თავი ეზოში კი გაათხრეინა ხაროი და ზედ გადააფარა ხალიჩა. დაბარები დროს მივიდა ეს ბრმა მეჩონგურე და გაჩერდა ეზოს კარებში. დაუკრა ჩონგური:

ნეფე ღმერთმა ადღეგრძელოს
ეზო კარგათ დაუგვია;

ხალიჩებიც დაუგია
ქვეშით ორმო გაუთხრია.

გამოქანდა ნეფე, უნდა ეკოცნა ბრმა მეჩონგურისათვის. თავი გათხრილ ხაროში თვითონ ჩავარდა. ძლივ ამაიყვანეს. მეჩონგურეს ეთხოვა: ერთი ლექსი კიდე იმღერე ჩემ თავზეო.

მეჩონგურემ უმღერა:

შენ გული პასუხს
სხვას ნუ გაუცხადებ;
სხვას ორმოს ნუ გაუთხრი,
ნუ დაუმზადებ...

12. ზნიანი ქალი

ერთ ხემწიფეს ერთი ქალი ჰყამდა. ვინც მათხოვარი მივიდოდა, ქალი ეუბნებოდა: — ერთი ზნე მაქსო. ზნიანი აბა ვის რათ უნდოდა და ყველა უკან მიდიოდა.

ამ ქალი ამბავი ერთმა ჯიელმა გაიგო და სათხოვრათ მივიდა. ქალმა უთხრა:

— მოგთხოვდები, მაგრა ერთი ზნე მაქსო.

— რა ზნეო?—ჰკითხა ჯიელმა.

— ქალბატონობა მამივლის ხოლმეო. ბიჭმა უთხრა:

— მეც მაქვს ერთი ზნე, ვაჟბატონობა მამივლისო.

— მაშ კარქა ყოფილა ჩვენი საქმე, შენც ზნე გაქ და მეც, მოგთხოვდებიო.

ითხოვა ამ ჯიელმა ეს ქალი და წაიყვანა სახში.

ერთხელ პური მკა არი. ჯიელმა მამითადი წაასხა სამკაულშია, გოჭი დაკლა და ცოლ უთხრა:—სადილი წამოგვიღეო. ქმარი გაიჯტუმრა ამ ქალმა თუ არა, რაც კარქი ტანისამოსი აქ, ჩაიცვა, დაიხურა, გამეეწყო, დაჯდა და ფერ-უმარილ ისვამს. ძაღლმა შამოვიდა და ეტოლიდან გოჭი მოიტაცა.

სადილობაჲ უკვე გადავიდა. მუშებ მოშივდა. ჯიელ უთხრეს:

— არ გვინდა გოჭი, ცარელა პური მაინც გვაჭამეო. წამოიდა ეს ჯიელი სახში. ნახა რო ქალი ფერ-უმარილ ისვამს.

— რა დროს ეგ არი, დედაკაცო,—უთხრა.

— შენი მუშები რაში მეკითხება, დღეს ქალბატონობამ მამიარაო,—ქალმა უთხრა.

— ჰო, რახან ქალბატონობა მოგსვლიაო, გოჭი რაღა იქნაო.

— შამოიდა ცუგაი და გაიტაცა ქუცუაიო.

— აბა ნუ გეწყინება, მეც ვაჟბატონობა თუ მამიაროსო,—უთხრა ქმარმა. წამოავლო სახრეს ხელი და ერთი მაგრა ურტყა, სუ ატრიალა.

— შენი ჭირიმე, ოღონ დამეხსენ, ბიდღეში აღარ მამივლის ქალბატონობაიო,—უთხრა ქალმა.

ამი შემდეგ აღარც ქალ მოჲვლია ქალბატონობაი და არც ქმარსა ვაჟბატონობაი.

13. ამირანის შვილი

სამი ძმანი იყვნენ: უსიბი, ბადრი და ამირანი. ამირანი ხვთის ნათლული იყო. ქალს თუ მიეკარებოდა, მოკვდებოდა; ძრაკლი იყო, მდევებს სუ სისხლს უშრობდა. უსიბი და ბადრი შინა მუშაობდნენ, ამირანი დადიოდა აქეთ-იქით. ძმებთან იმი შიშით აბა ვინ მივიდოდა.

დადიოდა ამირანი და ერთ პატარა სოფელში დაუღამდა. არ უნდა შავიდეს სადმე. თანაც ბანზე დადის. გადიხედა ამ ბანიდან, ერთი ბაკი არი, ქალი კამეჩსაჲ წველამს. ზაქმა გააჯავრა და საწველელი გაუტეხა. ქალმა დაავლო ფეხში ხელი ზაქსა და ღობეს გადაღმა გადააგდო. ამირანმა რო დაინახა, თქვა:

— ამ ქალთან რო დავწვე ამაღამ, ვაჟი გამიჩნდება და ამირანთ-ამირანი გამოვაო.

იმ ღამე დაწვა. რო გათენდა, დილაი თავი იარაღი აიღო და ბოძზე ჩამოჲკიდა. ქალ უთხრა:

— შენ ვაჟი გაგიჩნდება, ვინც წლით გაირდება, ის დღით გაირდება, მე უნა წავიდე, ჩემ ძმებთან რო მოვალ, მოვკვდები, ეს იარაღი ჩემ შვილ მიეციო.

წავიდა ამირანი ძმებთან და მოკვდა. ძმებმა დამარხეს. მდევებმა რო გაიგეს ამირანის სიკვდილი, ძმები ზეცაში წაასხეს, რაც სარჩოჲ ქონდათ, სუ წაართვეს.

იმ ქალ გაუჩნდა შვილი. ვინც წლით ირდებოდა, ის დღით ირდებოდა. რო გაიზარდა, ბიჭებში თაჲაშობა დაიწყო. ვერავინ ჯობნის, ბიჭები ეუბნევიან:—რას გვერჩი, შე ნაბიჭვაროო. ამირანის შვილი გაიქცა და დედას უთხრა:

— დედი, ძუძუი მამაწოდეო.

— რა დროს შენი ძუძუჟაო; არ მეეშვა, ჩაიდო ძუძუი და კბილი მაუჭირა.

— მამა არა მყამდა? რათ არ მეუბნევი, ნაბიჭვარი რათაჟ შეძახიანო.

დედამ უთხრა:

— შენი მამა ამირანი იყო, ეს იარაღი შენია, მამაშენ ძმები ჟყვანდა: უსიბი და ბადრიო.

ბიჭმა აისხა ეს იარაღი, უნა იპოვოს საცა არიან უსიბი და ბადრი. მივიდა იქა, საცა ამირანის ძმები იყვნენ.

მდევებს აუზიდნიათ ყველაფერი, ჩაუკეტიათ ოთახში უსიბი და ბადრი და ასუქებენ, რო დაჟამონ.

მდევებს დაულევიათ ღვინოი და ღრიალებენ.

ამირანის შვილმა თქვა:

ლამაზო და მშვენიერო,
ღვინი ფერო, მძინარეო,
ხლმი სიმოკლეჟ რაჟ დაგიშლის,
ფეხი წადგი წინარეო.

რო შავიდა, ნახა ზოგ მდევს სამი თავი აქვ, ზოგ ხუთი და ათი. გაუსვა ხმალი და სუ წააცალა ეს თავები. ერთსა ერთი შაარჩინა და უთხრა:

— ზეცაში როგო ადიხართ მითხარი, თორემ ამ თავსაც წაგაცლიო. მდევმა უთხრა:

— ფარდაგში გეეხვიე, თოკი შამაიხვიე, კარებზე გაგორდი, ზეციდან კავ გადმოჟდებენ და აგიტანენო. ბიჭი ასეც მაიქცა; ის მდევი კი იქვე მოჟკლა, გადმოჟდეს კავი და აიყვანეს ზეცაში.

საცა უსიბი და ბადრი უყენიათ და ასუქებენ, ეს ფარდაგი იქ შაიტანეს. იმათ გონიათ ზინათი ამაიტანეს.

იმ ღამეს უსიბმა და ბადრმა ბიჭს უთხრეს:

— ჩვენ ამირანის ძმები ვართ, იგი მოგვიკვდა, დავმარხეთ და ძდევებმა მოგვიტაცესო. აქ ერთი მდევების ხუმწიფეა—ათთავიანი, იმან უნა დაჭამოს უსიბი და ბადრი. დაუძახა მდევმა უსიბს:

— წუხელი სიზმარში შენი თავი დამეკლა, მამეხარშნა და ვჭამდიო. უსიბმა დაუძახა:

— წუხელ სიზმარში ჩემი ძმიწული გამოსულიყო აქა, ცხრა თავი მეეჭრა შენტვინა და მეათესაცა გჭრიდაო, რითი ჩაჟდიხარ ქვეშკნეთ, მითხარი, თორე მაგ თავსაც მოგჭრიო.

ათთავიანმა მდევმა დაუძახა მდევებსა: ჩქარა, უსიბი დაჟკალით,

ენა შავჭამოო. კარებში ჩადგა ამირანის შვილი და რამდენიც მდევი მივიდა, დახოცა. იმ ათთავიან მდევსაც ცხრა თავი დააგდებინა და უთხრა:

— მაგ თავსაც მოგჭრი, თუ არ მეტყვი, დაბლა რითი ჩადიხართო. მდევმა უთხრა:

— ოღონდ ეს თავი შამარჩინე და გეტყვიო,—ჩემ ყუთში ერთი გორგალი არი, გადააგდე, კიბეთ იქცევა და ჩადითო. ამირანის შვილმა მოსჭრა მეათე თავიც. გადააგდო გორგალი, იქცა კიბეთა, გამაიყვანა უსიბი და ბადრი, მიიყვანა კიბეჲთან და უთხრა:—ჩადითო. რო ჩაიხედეს, ვერცერთმა ვერ გაბედა ჩასვლა, შეეშინდათ, მერე ამირანის შვილმა ერთი იქით კალთაში გამაიხვია, ᲫᲔᲝᲠᲔ აქითაში და ისე ჩავიდა.

რო ჩავიდა, წაასხა, მოუყვანა დედასა:

აჰა, თქვენი ბადრი,
ერთი მაგიჲ მადლიო;
ბევრი არა ყოფილა რა,
ცარიელი ლართხიო.

ამირანი შვილმა უთხრა ბიძებსა:

— თქვენ იცხოვრეთ თქვენ კარზე, იქ მზისა და წვიმის მეტი ვერაფერი მიჲბედამს, მე მამაჩემივით ენა ვიაროო.

აისხა იარაღი და წავიდა. იარა და ერთ ციხეს მიადგა. ცხრა დღე და ღამე უარა გარეშამო და კარები ვერ უპოვა. მეცხრე დილა რო გათენდა, მზე საცა მიადგა, ᲯᲙᲠᲐ წიხლი და კარები შაება. შავიდა იმ ციხეშია და ნახა ხემწიფი ქალი ზის, სახელათ კამარი. სარდო აქვს იქა და ცხოვრობს. კამარს ხემწიფე გაუჯავრებია და აქ დაუტუსაღებიათ. ამირანის შვილმა ქალ უთხრა:

— ენდა წაგიყვანოო!

— რახან ჩემი წაყვანა გინდა, რაც ᲭᲣᲠᲭᲔᲚᲘ მაქ პირქვე ენა დამიმხო, თუ ვერ დაამხე, ვერ წამიყვანო.

ამირანი შვილმა დაუარა ᲭᲣᲠᲭᲔᲚᲡᲐ, სუ დაამხო, მაგრა ერთი ბადია ჯამია, იმაჲ დაამხობს და გადმობრუნდება, დაამხობს გადმობრუნდება; გაბრაზდა ამირანი შვილი, წაᲩᲐᲐᲢᲐᲜᲐ ხელი ამ ჯამსა, სთხლიშა კედელსა და დაამტვრია. იმ ჯამის ნაᲭᲣᲭᲘ გაფრინდა და ხემწიფეჲ, იმ ქალის მამას, შაატყობინა; კამარ ქალი წაიყვანესაო. ამირანის შვილმა წაიყვანა ეს ქალი.

ხემწიფემ შაᲯᲧᲐᲠᲐ ჯარი და გამოუდგა. წამეწია. ბურუსი დაუდგა.

— ეს რასაჲ ნიშნამსო?—ჲკითხა ამირანი შვილმა კაჩარსა.

— ეს მამიჩემი ჯარი ორთქლიაო.

ჯარი რო მეეწია, ამირანი შვილმა კარავი დაჲცა და შაიყვანა ეს ქალი შიგა და მიუბრუნდა ჯარსა. სუ დახოცა ეს ჯარი. ეხლა მამაჲ დაჲდემ. ამ მამაჲ მუხლებამდისინ სპილო აქვ ჩამოგდებული, სცემ ხმალსა, მაგრამ ვერაჲ ჭრის.

კამარმა გამაიხედა კარავიდანა, რო დაინახა ესა, დაუძახა:

ამირანის შვილო, ჩამაცო,
კილო არ იცი ომისა,
მაღლა რათაჲ ცემ სპილოსა
ძირსა შამოჲკარ რბილოსა,
რბილონი დააწყდებიან,
დეეცემიან ძიროსა.

ამირანის შვილჩა მოუსვა ფეხებზე და ჰკლამს. მამამ გამოჲძახა:

დახედე კახპა ქალასა,
ქმარი ირჩია მამასა,
რითვინ გაგზარდა დედამა,
რითვინ გეტყოდა ნანასა.

ახლა ქალმა დაუძახა:

არც გაურდივარ დედასა,
არცა მაკტელი მამასა;
კარებს უკა მიმაგდებდნენ,
სხვები მეტყოდნენ ნანასა.

ამირანის შვილმა რო ესენი დახოცა, სისხლიანი ხმალი უჭირამ და მიდის კარავში. წინ ეშმაკი გადუდგა:

— ეს ხალხი ხო დახოცე, ხჩალი ჩააგდეო. ამირანის შვილმა ჩააგდო ხმალი, ეშმაკმა ლახვარი ჰკრა, ბიჭმა მააჲწრო, ხმალი გადაჲკრა და ეშმაკი მოჲკლა.

ეშმაკო, ხო შენც მაცდინე,
მამექეც მელეურათა,
მგონი შენც ვერ მოუხვიდე
დედაშენს შენეულათა.

ამირანი შვილი მივიდა კარავთან, ლახვარი ისე მაგრათ მოხვედროდა, რო მოკვდა. კამარ-ქალი ტირის. სისხლი მოდის ღვარათა. იმ დროს ერთი თაგვი გამოვიდა სოროდან და სისხლს დაუწყო ლოკვა. ამ ქალმა ქოში წაიძრო და თაგვი ჩოჲკლა,—რა ღირსი ხარ ამი ჭამასაო.

თაგვის დედა გამოძვრა და დაუწყო ლანძღვა ამ ქალსა:

— შე კახპა, შე ასეთ-ისეთო, ამოდენა ხალხი დაახოცინე და შვილიც მამიკალიო. აიღო ეს მკვდარი თაგვი და მიათრია სოროსთან:—შე უბედურო, შენაო, მე კი მოვარჩენ ამ ჩემ შვილსა, მ�ერა შენ რა გეშველებაო.

თაგვი წავიდა, ერთი ნამიანი ბალახი მოიტანა, მოუსვა გაჭეჭყილ თაგვსა და გააცოცხლა. ეს დაინახა კამარ-ქალმა, მოძებნა ეს ბალახი, მიუსვ-მოუსვა ამირანის შვილსა და გააცოცხლა. გეეხარდა ამირანის შვილსა. ქალი მიიყვანა თავი დედაჲთან. ჯვარი დაიწერა და დღესაც კარგათ ცხოვრობს.

ელასა, მელასა.
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ძილი გაამოთ ყველასა.

14. შავლაი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ძალიან საწყალი კაცი. ერთი შვილი ჰყვანდა, სახელათ შავლაი. ამ ბიჭმა უთხრა დედ-მამას:

— ესე ღარიბები როდემდინა უნდა ვიყვეთ, წავალ სადმე, იქნებ რამე ვიშოვნო და ჩვენც გავმდიდრდეთო. ეს შავლაი ძალიან ღონიერი იყო, გათქმული ვაშკაცი.

წავიდა შავლაი. გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე და ერთი მონადირე შამოხვდა.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— საიდან ჩოდიხარ, ვინა ხარო? — შაჲკითხეს ერთი მეორეს.

— მე შავლაი მქვიანო,—ამ ბიჭმა უთხრა. მონადირეს გაგებული ჲქონდა შავლაის სახელი, მთელ ქვეყანაზე გათქმული იყო.

— მოდი, დავძმობილდეთო, მონადირემ უთხრა. დაძმობილდნენ. მიდიან ორნი. ცოტა რო გაიარეს, შამოხვდათ კიდე ერთი მონადირე.

— გამარჯობათ!—გაგიმარჯოთ!

— ვინა ხართ, საიდან მოდიხართო? — ამ მონადირემ ჰკითხა.

— მე შავლაი მქვიანო, ესეც ჩემი აჩხანაგი არისო. ძაან ღარიბები ვიყაით, ჩვენ დედ-მამას გამოერიდენით, იქნებ რამე ვიშოვნოთო.

— წორეთ მეც ეგრეთი ვარო,—ამ მონადირემ უთხრა,—მოდი მეც თქვენი ამხანაგი ვიქნებიო. დაძმობილდნენ სამთავენი და წავიდნენ. მიდიან სამი ძმობილები და ერთ ტყი პირში დაუღამდათ.

— ამაღამ აქ უნა გავათენოთო. დადგნენ ტყი პირში. შავლამ უთხრა:

— თქვენ წამოყრით ნადირ ტყიდან, თუ მე წამოვყარო და თქვენ დახოცამთო. ეს ორი მონადირეები მშიშრები იყვნენ.

— მოდი, შენ წამოყარე და ჩვენ დავხოცამთო. წამოყარა შავლამა და გამორეკა ირმები, თანაც დაუჭირა ისარი და მოჴკლა ერთი ირემი. ეს ორი მონადირე შიშით ხეზე აცვივდნენ. იქიდან ისრებს უშენენ, მაგრა აბა რას მოჴკლამდნენ. შავლამ დაუძახა:

— აი, გენაცვალეთ, მაგრე უნაო.

გაატყავეს შავლაჴ მოკლული ირემი, დაანთეჴ დიდი ცეცხლი, შაწვეს ირმი ხორცი და ჭამეს.

შავლაჴ უთხრა ამხანაგებს:

— მე დავწვე დასაძინებლათ და თქვენ მიყარაულებთ, თუ თქვენ დაწვებით და მე გიყარაულოთო?

— ჩვენ დავიძინებთ, შენ გვიყარაულეიო. ორმა მონადირემ რო დაიძინეს, შავლა ავიდა ერთ მაღალ ხეზე და გაიხედ-გამაიხედა. დაინახა ერთ ალაგას შუქი გამოდის—რაღა ჩემი ბიჭობაა, თუ არ გავიგე, საიდან გამოდის ის შუქიო.

ჩამოიდა ხიდან, მონადირეები მძინარები დატოვა და წავიდა. მივიდა ამ შუქთან. ნახა, სახლია ერთი. შააღო კარები და შავიდა. სახში მზეთუნახავი ქალი იჯდა.

— გაბარჯობაო!—შავლამ უთხრა.

— გაგიმარჯოსო!—ქალმაც უთხრა,—მაგიჴთანაი კარგი ვაშკაცი ხარ და მენანები, საცაა ჩემი ქმარი, სამთავიანი ბდევი, მოვა და მოგკლავსო. შავლამ უთხრა:

— მაიცა, ჯერ საჭმელი გექნება და მაჭამეო. გადმოიღო ამ ქალმა პური, არაყი და აჭამა. მერე შავლამაჴ კითხა:

— რო მოსვლაი იყოს, შენი ქმარი საიდან უნდა მოიდესო.

— რომელ მთაშიაც იყოს სანადიროთ, ე მაგ ბოგირზე უნა გამაიაროსო,—უთხრა ქალმა. წამოიდა შავლაი და იმ ბოგირთან ჩაიმალა. სად იყო, სად არა, გამოჩნდა სამთავიანი მდევი, ბააფრენს თავი რაშსა. ბოგირთან რო მოიდა, გაჩერდა იმ სააჩი. მდევმა უთხრა. თავი რაშსა:

— გადი, შე ოხერო, რა მოგივიდა, აქაც ხო შავლაი არ დაგიხვთაო. გამოიდა შავლაი და მდევს უთხრა:

— აქა ვარ ბიჭი შავლაი და ჩამოდიო. გადმოხტა მდევი რაშიდან. ეძგერნენ შავლაი და მდევი. აიღო შავლამ მდევი და შიგ ხევში გადააგდო. მიკურწა-მოკურწა ხმლითა და შავიდა იმ ქალთან.

— მე შენი ქმარი მოვკალი, აი ბეჭედი, დანიშნული ხარო. გამეემშვიდობა და წამოიდა.

მოიდა მძინარე მონადირეებთან. გააღვიძა,—ადექით, როდემდი უნდა გეძინოთო. მე წაველი ერთი მდევი მოვჰკალი და ერთი ქალიცა ვნახეიო. ბიჭებმა შიშით კანკალი დაიწყეს:—რო მოსულიყო რამეი და შავეჭამენითო! ცოტა შანაყრდნენ და წავიდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ერთი ტყი პირში კიდე დაუღამდათ. წამოუარა შავლამ იქაც და გაპრეკა ტყიდან ირმები. ჰკრა ისარი და მოჟკლა ერთი ირემი. ეს მონადირეები კიდე ხეზე აცვივდნენ შიშით და იქიდან ისროდნენ ისარ. შავლა კიდე აქეზებს:—აი, ყოჩაღ, ბიჭებო, ეგრე უნაო. გაატყავეს ეს ირემიც, დაანთეჟ დიდი ცეცხლი და ერთი კაი პური ჭამეს. შავლამ უთხრა:

— მე დავიძინო, თუ თქვენ დაიძინებთ და მე გიყარაულოო?

— მოდი, ჩვენ დავიძინებთ და შენ გვიყარაულეო. დაწვნენ ამ ბიჭებმა და დაიძინეს. შავლაი ავიდა ერთ მაღალ ხეზე კიდე, გაიხედ-გამოიხედა და ერთ ალაგას კიდე დაინახა შუქი—რა ჩემი ბიჭობა იქნება, თუ არა ვნახე, ე შუქი რა არიო,—თქვა შავლამ. ჩამოიდა ხიდანა და წავიდა. მივიდა შუქთანა, ნახა, სახლია. შააღო კარები და შავიდა. ერთი მზეთუნახავი ქალი ზის იქაც.

— გამარჯობაო! — შავლამ უთხრა.

— გაგიმარჯოსო! — ამ ქალმაც უპასუხა,—მაგრა გირჩევნია წახვიდე, თორე საცაა, ჩემი პირცეცხლიანი ქმარი, ექვს თავიანი მდევი, მოვა და მოგკლამსო. შავლამ უთხრა:

— ჯერ გექნება რამე, მაჭამეო. გადმოუღო ამ ქალმა პური, ცოტა არაყიც და აჭამა. უთხრა ქალსა:

— რო მოსვლაი იყოს, შენი ქმარი საიდან უნდა მოიდესო.

— საცა არ უნდა იყოს სანადიროთ, მაინც ემ ბოგირზე უნა გამაიაროსო. გავიდა შავლაი და ბოგირთან დაიმალა. მააფრენს ეს მდევი რაშსა და სუ ზანზარებს ტყეი და მთაი. მოიდა თუ არა ამ ბოგირთან, გაჩერდა რაში. სცემს მათრახსა მდევი, მაგრა აღარ მიდის.

— გადი, შენ ოხერო, მანდაც ხო შავლაი არ დაგხვთაო.

— აქა ვარ ბიჭი შავლაიო და გამოიდა, — აბა, ჩამოდი ძირსაო.

გადმოხტა ეს ექვსთავიანი მდევი, ეძგერნენ, შავლამ აიღო და გადააგდო ხევში ისიც, მიჩეხ-მოჩეხა, შავიდა და ქალს უთხრა:

— მოვჰკალი შენი ქმარიო. აიღო და ერთი ბეჭედი ამ ქალსაც გაუკეთა, დანიშნული იქნებიო. გამეემშვიდობა და წამოიდა. მივიდა ამ მძინარე მონადირეებთან. გააღვიძა ორთავენი. — ადექით, როდემდი უნა გეძინოთო, მე წავედი, ერთი ექვს თავიანი მდევი მოვკალი და ერთი მზეთუნახავი ქალი ვნახეიო. მონადირეებმა ერთი მეორეს შახედეს: — რო მოსულიყო რამე და შავეჭამენითო!

ცოტა კიდე შანაყრდნენ და წავიდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ერთი ტყი პირში კიდე დაუღამდათ. შავლამ თქვა:

— აი, ამაღამ აქ უნა ვიყვეთო. მოდი, ახლა თქვენ წამოყარეთ ნადირი და მე ვესვრიო.

— არა, შენ ჩამოუარეო, — ?ონადირეებმა უთხრეს. შავარდა შავლაი ტყეშია და წამოურბინა ხელათ. გამააფრთხო მშველი, ირემი. ჰკრა ისარი და ერთი მშველი გადააბრუნა. ეს ბიჭები კიდე ხეებზე აცვივდნენ და იქიდან ესვრიან ისრებ შიშით.

— აი, გენაცვალეთ, ბიჭებო, ეგრე უნაო, — შავლამ უთხრა მონადირეებსა.

გაატყავეს ეს მშველი, დაანთეს დიდი ცეცხლი და ერთი კაი გემრიელი პური ჭამეს. შავლამ უთხრა:

— ორი ღამეა არ მძინებია, მოდი, ახლა მე დავიძინებ და თქვენ მიყარაულეთო.

— არა, შენ გვიყარაულეო. დაწვნენ მონადირეებ?ა და დაიძინეს. შავლაი ავიდა ერთ მაღალ ხეზე და გაიხედა. კიდე დაინახა შორ ადგილას შუქი ჩანს ისევ-ისეა: — ერთი უნა წავიდე და ის შუქი ვნახოო. ჩამოიდა ხიდან, მძინარე მონადირეებს თავი გაანება და წავიდა შავლაი. მივიდა ამ შუქთან, ნახა, სახლია, შააღო კარები და შავიდა. აქაც, ერთი მზეთუნახავი ქალი ზის ტახტზედა.

— გამარჯობაო! — შავლამ უთხრა.

— გაგიმარჯოსო! — ქალმაც უთხრა, — მაგრა აფსუსი ხარ, საცაა მოვა ჩემი პირცეცხლიანი ქმარი, ცხრათავიანი მდევი და გაგაფუჭებსო.

— ჯერ გექნება რამე და მაჭამეო. გადმოუღო ამ ქალმა პური, არაყი და აჭამა.

— რო მოსვლაი იყვეს, საიდან უნა მოიდეს შენი ქმარიო.

— რომელ მხარესაც არ უნდა იყვეს სანადიროდ წასული, ე მაგ გზაზე უნა გამოიაროსო.

გავიდა შავლამა და დაიმალა გზიპირში. მააფრენს რაშსა ეს ცხრათავიანი მდევი და მისი ქარით სუ ტყეი იგლიჯება. მოიდა თუ არა იმ ადგილას, საცა შავლაა დამალული, რაში გაჩერდა, სცემს მდევი რაშსა, მაგრა აღარ მიდის.

— შე ოხერო, აქაც ხო შავლაი არ დაგიხვდა, რა მოგვიდაო!

— აქა ვარ ბიჭი შავლაი, ჩამობრძანდი ძირაო. გადმოხტა ცხრათავიანი მდევი და ეძგერნენ. დიდხანს იჭიდავეს. მაინც ბოლოს შავლამ აიღო ეს მდევი და დედამიწაზე დაახეთქა. მოშეერა ცხრანივე თავები. შავიდა ამ ქალთან და უთხრა:

— მოვკალი შენი ქმარიო. ერთი ბეჭედი ჰქონდა და იმ ქალ მისცა.

— შენ იქნები ჩემი დანიშნულიო. გამეემშვიდობა და წაბოიდა. მოიდა მძინარე მონადირეებთან. გააღვიძა:—ადექით, როდემდი უნდა გეძინოთ. — აი, მე წუხელი ცხრათავიანი მდევი მოვკალი და ერთი მზეთუნახავი ქალი ვნახეი კიდევაო. შანაყრდნენ ცოტაი კიდე და შავლამ უთხრა მონადირეებსა: —.ახლა უნა წავიდეთ, ის მდევები რო დავხოცეთ, მათი ქალები უნა შაგრთოთ ცოლებათო.

წამოიყვანა და პირველათ რო მონადირეი ნახა, ის პირველათ რო ქალი იპოვა, იმაჲთან მიიყვანა.

— ეს ქალიცა და მთელი ქონებაც შენთვინ დამილოციაო. ჭერში ორი შაბფური ჩამაუკიდა. — თუ ჩვენ გაგვიჭირდებაო, ეგ შამფურები ქანაობას დაიწყებსო. წამაიყვანა მეორე მონადირეიც, მეორეი ქალი რო ნახა, ის მონადირეი იქ დაასახლა. იმასაც ორი შამფური ჩამოუკიდა. — თუ მე გამიჭირდება, ეგ შამფურები ქანაობას დაიწყებსო. თვითონ წამოიდა, ბოლოს რო ქალი ნახა, იმასთან. თავი სახშიაც ორი შამფური ჩამოჲკიდა, თუ ორ ძმებს გაუჭირდება, შამფურები ქანაობას დაიწყებენო.

ცხოვრობენ სამთავენი კარგათ და ბედნიერათ. შავლას მააგონდა დედ-მამაი, რო ღარიბათ დავტუე, იმათ პატრონობა უნდათო. თავი ცოლ უთხრა:

— მე დედ-მამაი მყამ და ისინი უნა მოვიყვანო აქაო. ცოლსაც გაუხარდა:

— წადი, მაიყვანეო. წამოიდა შავლამა და გამაუარა მონადირეებს.

— ესე ესე დედ-მამაჲთან მივდივარო. მონადირეებსაც გაუხარდათ, კაი პური ჭამეს და გზაი დაულოცეს შავლასა.

მოიდა შავლაი თავი ქვეყანაშია. ნახა, თავი დედ-მამაი ხიდი

ყურზე მათხოვრებათ სხედან. იცნო ხელათ. გაივლის და გამაივლის ამ ხიდზე. ეს მოხუცებულები იძახიან:

— რა კაი ბიჭია, სუ ჩვენ შვილსა არა ჰგამო? ამ დროს ერთი მდიდარი კაცი მოადის. მათხოვრებმა ხელი წაუშვირეს. მდიდარმა აიღო და ორთავეს მათრახები გადაჟკრა.

რას დამსხდარხართ აქა და ხალხს აწუხებთო. ეს დაინახა შავლამ და მივიდა მასთან.

— რა დაგიშავეს მაგ გლახებმა, რო მათრახი გადაარტყიო.

— რაო და აქ ხალხს აწუხებენო. დაავლო ხელი შავლამ ამ მდიდარ კაცსა და შიგ წყალში გადააგდო.

მივიდა ამ გლახებთან და უთხრა:

— ჩე თქვენი შვილი შავლაი ვარო. დედ-მამას ძალიან გაუხარდათ. ააყენა ორთავენი და წაჩაიყვანა თავი სახში. დაბანა, ჩააცვა ახალი ტანისამოსი, შესხა ცხენებზე და წაიყვანა თავისთან. გაუარა ამ მონადირეებს, დედ-მამა გააცნო და მივიდა თავი ცოლთან. ემ საჩიაც ბედნიერათ ცხოვრობენ.

15. ეთერი

იყო და არა იყო რა იყო ერთი ღარიბი გლეხი. ჰყვანდა ცოლი და პატარა ქალიშვილი, სახელათ ეთერი. ძალიან ლამაზი. ეთერი როცა ცოტა წამაიჩრიხვა, მოუკვდა დედაი. მამამ ოჯახი მოვლიტვინ შაირთო მეორე ცოლი. დიდი დრო არ წასულა, რო ეს გლეხიც მოკვდა.

დედინაცვალი ამ ეთერს ტანჯვით რდის. რო გაგზავნის ტყეში ძროხი საძოვრათ, თან გაატანს ერთ კუტსა, თითიტარსა და მატყლსა. საღაჩოთი მოვა და უწყალოთ სცემს და ცრემლებ აღვრეინებს.

ერთ დილასაც ერთი კუტი და მატყლი გაატანა ეთერსა და გაუშვა ძროხი საძოვრათ ტყეში. ამ ტყეში ეთერი წამოჯდა ერთ ხეზე, ძროხა საძოვრათ გაუშვა და მატყლს ართავს. ტყეში ხემწიფი შვილი აბესალომი ნადირობს. რო დაინახა ეთერი, ძალიან მეეწონა. მივიდა ხეჟათან აბესალომი და ეთერს უთხრა:

ეთერ, ჩამოდი ძირსაო,
მანდ რას იღერებ ყელსაო,
ჩამოდი ცოლად შაგირთო
ჯობია ჩვენთვინ ესაო.

— შენ მე ცოლათ არ შამირთავო, — უთხრა ეთერმა, — მამატ-ყუებო:

შენ დიდი ხარ, დიდებული,
დედ-შამითაგან ქებული;
წახვიდე, არ წამიყვანო,
გამიშვა წყალწაღებული.

აბესალომა ხვთისა და დედამიწის ფიცი მიჲცა.

— ჩვენი მოწმე ძირს დედამიწა და მაღლა ღმერთი იყვესო, — დაუფიცა აბესალომა.

ეთერ შენს მოღალატესა,
წყალსაცა მოწყურებულსა,
ზღვა იყვეს ამამიშრება,
პურსაცა მოშივებულსა,
სეფიკვერი გამიწყრება.
ომშში ხმალამოღებულსა
აბჯარა ჩამომიწყდება.

ეთერი დაეთანხმა. ჩამოიდა ხიდან და აბესალომ უთხრა:

— წავიდეთო. აბესალომა ნიშნათ მიჲცა ერთი შავტარა დანა.

აბესალომ თან ახლამ თავი ვეზირი, სახელათ მურმანი. აბესალომა გაგზავნა მურმანი დაჲთან:

— წადი, ჩემ დას, მარეხასა, უთხარი, ქალი მამყამ-თქო და საქორწილო ტანისამოსი გამამიგზავნოსო. წავიდა მურმანი მარეხაჲთან და წამაიღო ტანისამოსი. ჩაიცვა აბესალომა და ეთერმაც და მივიდნენ სასახლეში. დაატარა შურმანი და ქორწილში დაჲპატიჟა მთელი სახემწიფო.

მურმან ეთერი სიყვარული გულში ჩაუვარდა. რო მიდის გზაში, ფიქრობს:— ნეტავი კაცი მაჩვენა, ეთერი აბესალომ შააძულოს და ხელში ჩამაგდებინოსო. ამ დროს მურმანს ეშმაკი გამეეცხადა.

— ეთერ მე ჩაგაგდებინებ ხელში, აბესალომი თავი ხელით მოგცემს ეთერს, ოღონ შენი სული შამეციო.

— სულ როგორ დაგიჭერ, ოღონ ეთერი კი ხელში ჩამიგდეო,— უთხრა მურმანმა. ეშმაკმა მიჲცა ერთი მუჭა ფეტვი და აჲწავლა:

— როცა საყდარში ჯვარი დაიწერონ, ეს ფეტვი ხელუკუღმა გადააყარე ეთერსა; შაეხვევა კბენარი, უვლიდნენ, უვლიდნენ, მაგრა მანამ შენი ხელი არ მახვდება, კბენარი არ მაშორდებაო.

გამობრუნდა სულგაყიდული მურმანი და შოიდა სახლში. მართლა ჯვრისწერი დროს, როცა გამოდიან საყდრიდან, მურმანმა ეს

ერთი მუჭა ფეტვი გადააყარა ეთერს. ეს ფეტვი კბენრათ იქცა, შაეხვა ეთერს, ვეღარ მააშორეს. შაეწუხდა აბესალომი. გამაიყვანა ეთერი თავი ხელით და საჯაროთ დაიძახა:

შაფათს შაყრილნი მიჯნურნი,
ორშაფათ გავიყარენით,
ვისაც რო შაყრა გეწყინათ,
გავყრილვართ, გაიხარენით.
ვის გინდათ ქალი ეთერი
თავ გვირგვინ, ოქროს გმოსანი.

მაშინ წადგა მურმანი მუხლი ჩოქით და სთხოვა აბესალომ:

— მე მსურ ქალი ეთერი. შენი უფროსი ვეზირი და ერთგული კმაო. აბესალომმა გადაულოცა. მურმანი ხელი რო მოხვდა ეთერს, კბენარი იმ საჩი მოშორდა. წამაიყვანა სახში და დაქორწინდა. აბესალომი ნაწყენი დაბრუნდა. აბესალომს ეთერი სიყვარული გულიდან არ შორდებოდა. ერთ დღეს შამოხვთა მურმანი გზაში. აბესალომა უთხრა:

მურმან, მურმან, შენსა მზესა
შენი ცოლი რა რიგია!

მურმანმა უთხრა:

რას კითხულოფ ჩემსა ცოლსა,
ქალი ქება გაგიგია?!
შენ გინახამ ბროლი ციხე,
როგორ ცამდინ ამიგია,
შიგა ზი ქალი ეთერი,
ყელიც მოუღერებია.
ცხრანი ნული თავს ადგანან
დალალ-კავის დამწვნელია,
დედამთილი გვერდით უზის
თავი პირი ფარეშია.
მამამთილი ეზოსა წემ
გველაშაპი მყლაპავია;

ამის გაგებაზე აბესალომი ძალიან შეაწუხდა და წამოიდა სახლში. ჩავარდა ლოგინათ. წამალმა არაფერი უშველა. ერთ დღეს დაიბარა მურმანი და უთხრა:

— უნა წახვიდე და უკვდავების წყალი მამიტანოო. მურმანი უარ აბა ხო ვერ ეტყოდა. წაწოიდა სახში და თავი ძმებსა და დედას უთხრა:

— ეთერ გაუფრთხილდით, არავინ ხელი ახლოსო.

ამაღამდელო ღამეო,
ნუ გათენდები მალეო,
ვეხვევი ბროლი ~~ძაბაბსა~~
ვეღარა ვნახამ ხვალეო.
ქალო, ალგეთსა მგზავნიან,
ალგეთსა ჭალისასაო.
ვაი, თუ ვეღარ დავბრუნდე,
ვეღარა გნახო მალეო.
ნურცა მიხვალ ძმისასა და
ნურცა მეზობლისასაო;

ეხლა ეთერმა უთხრა:

გავიხდი ფარჩა-ფურჩასა
ჩავიცმევ ბამბა-ბუმბასა,
თუ წავალ მეზობლისასა,
როგორც და იყოს ძმისასა.
ავიღებ კოკა-კუტალსა
მოვიტან წყალსა მდინარსა.

გამეემშვიდობა მურმანი და წავიდა. აბესალომი დაი, მარეხი, დადი ქალაქში და ხალხ ეკითხება:

— ძმა ჩიკვდება თუ იცით რამე, მიშველეთო. ხალხმა უთხრა:

— იქნებ ეთერი სურვილითა კვდებაო. წამოიდა მაშივე მარეხი, აიღო ერთი მტრედი ფრთა, ყორნი ბოლო, ერთი ჭიქა წითელი ღვინო, ერთიც გამტკიცული პური, მიუტანა აბესალომ და დაუწყო წინა.

— აბა რასა ნიშნავ ესაო?!...

აბესალომა აიღო მტრედი ფრთა და თქვა:

— მტრედი ფრთა, თეთრი ხარ, მაგრა ეთერიჟთანა კი არა ხარო. აიღო წითელი ღვინო და თქვა: — წითელო ღვინო, წითელი ხარ, მაგრა ეთერიჟთანა კი არა ხარო. აიღო ყორნი ბოლოი და თქვა:—ყორნი ბოლო, შავი ხარ, მაგრა ეთერი თვალ-წარბიჟთანა კი არა ხარო. აიღო გამტკიცული პურიც და თქვა: — გამტკიცულო პურო, გამტკიცული ხარ, მაგრა ეთერიჟთანა კი არა ხარო. აბესალომა უთხრა მარეხსა:

ადექ, მარეხო, მასკვლავო,
ეთერსა კარი უარე,
თუ გკითხოს ჩემი ამბავი,
სუ დაწვრილებით უამბე.

წამოიდა ნარეხი და შამაუარა ეთერის სასახლეს. დაინახა ეთერი და უთხრა:

— ძნა მიკვდება და წამოდიო. ეთერი არ გამოჟყვა. დაბრუნდა სახში მარეხი. აბესალომ მეორე დაი ყამ მარიაი, ისიც წამოიდა. ამ დროს ეთერი დედამთილი გარეთ გამოიდა და ეთერიც გამეეპარა, შავიდა ბაბესალომი ბაღში დაღონებული. იტირა, ივაგლახა და დეეძინა. მარი ქალი რო მოიდა, იარა, მაგრა ეთერი ვერსად ნახა. შამაიარა თავი ბაღშია და ნახა, რო ბოლოში სძინამ. მძინარეს უთხრა:

მე ბანი-ბანათ გეძებდი,
შენ ბაღჩი ბოლოს გეძინა,
გაგხსნოდა გული საკინძე,
ბროლი გულ-მკერდი გეჩინა.
სუ ნარმარილოს გაგიშლი,
ფეხი არ დაჟკრა ქვიშასა,
ალვი ხეებსა დაგირგამ
საჩრდილობელსა მზისასა,
ადექ, ეთერო, წამომყე
იმ ჩემ ერთგული ძმისასა.

ეთერმა უთხრა:

მარი ქალო, იქით წადი,
ნუ დამფერფლე ენითაო,
თავ გვირგვინი აიხადა
სხვას დაადგა ხელითაო.

— წადი და წამოვალო, — უთხრა ბოლოს. მივიდა მარი ქალი და აბესალომს უთხრა:

— ეთერ ქალი მოვა და ცხენი მამეცითო. აბესალომა თქვა:

ეთერსა ცხენი არ უნდა
არა აქ შორი სავალი,
თუ ნოვა, აქაც შამოვა
არსად აქ წამოსავალი.

მოიდა ეთერი. ბანზე რო შამოდგა, აბესალომა ხელათ გაიგო და თქვა:

ეთერი ბანზე შამოდგა,
ბანი და კარი სკდებაო,
ეთერსა კარი გაუღეთ,
ნარეხი კარსა ხვთებაო.

გაუღეს კარები და შამოიდა ეთერი. ეთერი რო დაინახა აბესალომ შარცხვა და კედლიჟკენ გადაბრუნდა. ეთერმა უთხრა:

აბესალომ ნისლიაო,
პირი კედლათ გიქნიაო,
აბა აქეთ შამამხედე,
მე რა ავი მიქნიაო.

გადმობრუნდა აბესალომი და სული დალია. ეთერმა ეს რო დაინახა, ამოიღო უბიდან აბესალოშის დანა და თქვა:

აბესალომი დანაო,
უბეს მიდეხარ თანაო,
ამაგიღებ და დაგიკრამ
მარჯვენა ძუძუჟთანაო.
პირი ჩემკენ, ტარი შენკენ
მეც უნა მაგყვე თანაო.
ერთათაც დავიხოცებით,
ერთათაც დაგვმარხიანო.
თავით ყვავილი ამოვა,
ბოლოში წყარონიაო.
რო მოიდოდნენ მუშები
შანდობას შამოთვლიანო.

დაიცა ეთერმა დანა გულში და აბესალომ დააკვდა. აბესალომი და ეთერი ერთათ დაშარხეს. მართლაც, ამოუვიდათ თავით ია და ვარდი და ფეხთით ცივი წყარო.

მურმანი ამ ხანში დაბრუნდა, როცა გაიგო ეთერისა და აბესალომის სიკვდილი და ერთათ დამარხვა, მოიკლა თავი და შუაში ჩაიმარხა. ზეთ ამოიდა ნარი და ეკალი, ფეხთით კი-ძაღლი ლეკვი. ია და ვარდსა რო უნა მეეხვივნონ ერთმანეთს, ეს ნარი და ეკალი უშლის.

მეცხვარეები მოიდნენ წყაროზე, ნახეს აქამდინ ია და ვარდი იყო, ეხლა ნარ-ეკალი და ძაღლი ლეკვი გაჩენილა, დაუგდეს ჩომბახები, ამააგდეს მურმანი, გადაუგდეს ძაღლებს და შააჭამეს. ისევისე ია და ვარდი ერთმანეთს ეხვევიან და ვინც წყალ სვამს, შანდობას უთვლის აბესალომსა და ეთერს.

აბესალომ და ეთერი,
ღმერთმა შაჟყარა ერთფერი!

16. ᲭᲐᲠᲘᲔᲚᲘ

იყო ერთი მგალობელი, ღმერთი შენი მწყალობელი. სამი ძმანი იყვნენ: ავთანდილი, ფრიდონი და ტარიელი. ფრიდონი მამა-პაპის მამულზე დაბინავდა და ცხენი ჯოგი იყოლია. წამოვიდნენ ავთანდილი და ტარიელი. ავთანდილმა დასავლეთი ხემწიფი ქალი შაირთო და იქ დაბინავდა, ტარიელი მივიდა აღმოსავლეთ ხეᲬწიფეთანა და თავისი რაშით მოურავათ დაუდგა.

აქ რო მივიდა, ხემწიფი მზითუნახამი ქალი შაიყვარა. ხემწიფემ ერთხელ გაგზავნა ბეგრის ასაღებათ ხატუეთ. ხემწიფეᲫთან ამ დროᲫ მოიდა ხოროშაანთ ნეფის შვილი და ქალი Ძთხოვა, უნა წაიყვანოს ეს ტარიელის შაყვარებული!

ქალმა დაᲫწერა წიგნი, მიᲫწერა ტარიელს და მტრედ შაბა ფთაზე. უთხრა: — საცა იყვეს და არ იყვეს, ტარიელ მუუტანეიო.

ტარიელი მთაზეა, მოკეცილი ზის. წიგნი Წუუტანა მტრედმა და კალთაში ჩაუგდო. წერილი რო წაიკითხა, მაშინა თქვა:

შავდექი ხატუეთზედა,
საცა რო დიდი მთანია;
ქალსა წიგნი მოეწერა
დანაწერი ქაღალდზედა.
— მამაჩემსა ქალსაᲫ თხოვენ,
თუ მოუᲫწრებ ალმასზედა.

დაბრუნდა ტარიელი მაშინვე უკან. ხოროშაანთ ნეფის შვილს ჯვარი დაუწერია ლერწამ-დარეჯანზე და მიᲫყამ.

ტარიელმა ქალ უთხრა:

ხალხი მიდის, ხალხი მოდის,
ხალხი მეუცხოებიან:
Ჩამაშენი ქალ რო ათხომ,
მე რათ არ შამკითხებიან...

ლერწაᲬ-დარეჯანმა უპასუხა:

ხალხი მიდის, ხალხი მოდის,
ხალხი მეუცხოებიან:
მამაჩემ რო ქალი სთხოვეᲫ,
საქორწილო ჩამლაგდიან.

ტარიელმა ლერწამ-დარეჯანს დაუძახა:

—ხარს ვესროლო, თუ ფურსაო?

— ფურისა რა ბრალია, ხარსაო! ტარიელმა ესროლა და ხორ-
შაანთ ნეფი შვილს კედელი გაატანინა. გამობრუნდა და ჯარ დაუწ-
ყო ხოცაი. ლერწამ-დარეჯანმა დაიძახა:

ლომო და გმირო ტარიელ,
მჯობო ყოველთა გმირთაო,
უბრალოთ კაცი სიკვდილსა,
ცოდოა, ნუ იტვირთამო.

ხემწიფემ გაიგო, რო ტარიელმა ნეფი შვილი მოჰკლა. ძიენ გა-
ჯავრდა. მოიხმო ტარიელი და უთხრა:

ტარიელ, დაგვსვი ვეზირათ
სიტყვა შენ გაგამჯობინე;
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რატო არ შამატყობინე,
შვიდი წლის უძრავი ხმალი
სისხლში რათ გამარევინე.
არცა შენ მოგცემ, არც იმაჲ,
ორივ ხელ აგაღებინებ.
დავიბარებ ხუროებსა,
ძალითი, ‘განა ნებითა,
კიდობანს ვაკეთებინებ,
სუ ოქროჲ ვარაყებითა;
შიგ ჩავსვაშ ლერწამ-დარეჯან,
ზღვას მივცემ, წავაღებინებ;
შიგ ჩაუსვამ სამ წყეულსა
წითელ, ყვითელსა რჩეულსა,

— ან ერთი შაშჭამს, ან მეორე, ან მესამეო. ტარიელმა უპასუხა:

— ვერ იზამ მაგ საქმესაო და სანადიროთ წავიდა. ხემწიფემ
იმავე დღეს დაიბარა ხუროები, გააკეთებინა კიდობანი, ჩაუსვა შიგ
წყეულები და თავი ქალი ზღვაში გადააგდო. იმი ტანისამოსი ჩააც-
ვა მოხუც ძიძასა, ‘ნოვა ტარიელი და მოიტაცებსო.

ტარიელი მოვიდა საღამოს, მოიტაცა და წაიყვანა, ნახა, ერთი
კბილი არ უზის ამ ბებერსა. მიაბა ცხენი კუდზეა და სულ ლუკმა-
ლუკმათ დააგლეჯინა:

მოვდივარ, მომიხარიან,
ბებერი მამყამ ქალათა;
დავჯექ და კბილი უნახე,
ერთი არ ქონდა წამლათა,

მოვიბი ცხენი ძუაზე,
გავხადე ნიავ-ქარათა.

გაჴწია და წავიდა ტარიელი. მივიდა წყალი ნაპირასა, უნა იპოოს ლერწამ-დარეჯანი. წყალ ჩაჴტირა:

წყალო, ბამეცი ჩემი მზე,
შენ წყალო, არეზიანო;
არ თოფი გეკვრი, არ ხმალი,
არც შუბი გეცემიანო.

— რაც გინდა გულით მცხელოდეს, შენგნით გულ არ გავიგრილებ, ჩემი მზე მანდ არი და უნდა მამცეო. მიჴდემ ამ წყალსა ტარიელი. შახვთა წყლის მონაი:

— ეგრე არ უნა იტიროო!

— აბა როგორ?

— აი ასეო:

ჩიტი ხოცა და ჭივჭავი,
ისარმა ჩემმა წყეულმა;
ვჭამე და ცეცხლი მაბიდო
ჭადმა ნაცარში რეულმა.
იმან უარესი მიყო,
ხარშო რო ვჭამე სნეულმა.

ტარიელმა წყლი მონას ხელი ცერები დააგლიჯა და ყურში გაუკეთა, წადი, შენ ხემწიფე ამბავი მიუტანეიო.

წყლი მონა მივიდა ხემწიფეჴთან და უთხრა:

მინდორ ერთი მოყბე ვნახე
ნამტირალი წყლისა პირსა;
ხელთ ეჭირა შავი რაში,
დაბღუჯული გვანდა გმირსა.
ხშირათ ესხა მარგალიტი
იმი ლაგამ-უნაგირსა;
საყვარელი დაჴკარგოდა,
იჯდა, ძაან მწუხრათ ტირსა,
ვეუბენ და არ მეუბნა,
ხელი აიფარა პირსა.
იმი ცრემლსა ჩამონადენ
დიდი მთები დეერთვილა...

ხემწიფემ უთხრა თავი ფალავნებს:

ადექით, აიყარენით,
ჩემო ედემ და ომარე,
ის კაცი აქა მამგვარეთ
ვინც იყო ველთა მდგომარე.

ხემწიფეჲ ერთი ფალავანი ჲყვანდა, ომანი ერქვა, ადგა და მაახსენა ხემწიფესა:

მიდგა და მოდგა ომანი,
ტახტსა შაჲცვინდა ჯარანი;
მე წავალ, მარტო მოვიყვან,
რათ მინდა ბევრი სხვანანი.

წყლი მონამ უთხრა ხემწიფესა:

— სამოცი ფალავანი გაგზავნე, თუ მაიყვანებენ, ვაჟკაცობა იქნება, ერთი რას დააკლებსო. ხეᲬწიფემ გაგზავნა ფალავნები. დაინახეს ტარიელი წყლი პირ ჩაჲტირის. შორიდან დაუძახეს, ახლოჲ ვერ მიჲბედეს.

ომანმა დაუძახა:

ხემწიფემა თქვა: — ვინ ხარო,
სახელი შენი გვითხარო,
ჯარსა და ტახტსა შენ მოგცემ,
ჯარისა თავი იყავო.

უნდათ მოიტყუონ, მაგრამ ტარიელმა გამოჲძახა:

მინდორში ერთი კერჩხა დგა
გარს ურიგია თასები,
ახლო მობრძანდი, მიჯნურო,
შორით არ დავიფასები.

მივიდნენ ფალავნები და სამოციენი სუ დახოცა. წყლი მონა იქ საყურებლათ იყო. გაᲬოუდგა და დაიჭირა ტარიელმა. ახლა ფეხი ცერები დააგლიჯა და ყურში გაუკეთა.

— წადი, ერთი გუდა ნაცარი აიკიდე და ხემწიფე ამბავი მიუტანეიო. წყლი მონაᲬ ამბავი მოუტანა:

დღეს ამ ჩემი სიტყვითაო
კარგი ვერა ვნახეთ რაო;
შენი კვახეთ ნაომარი
გაწყვიტა მათრახითაო.
ცხენი-ცხენ ჲკრა, კაცი-კაცსა,
შააყენა დიდი გორა,

იმი შენატყორცნი კაცი
მაღლა დადის როგორც ბორა.

ხემწიფემ ბრძანება გაიცა:

— უნდა დავიჭიროთ ეს უცხო გმირიო. ტარიელი ძმა ავთანდილი ამ ხემწიფეთან არი.

წაასხა ჯარი ხეიწიფემა. ავთანდილი ვერაი ცნობ ძმასა. წყლი პირზე ტარიელსა ჰძინამ. მძინარეს ხემწიფემ ჯარი ცხრა პირათ შემაარტყა. ხემწიფემ ხალხ უთხრა:

— ვინც ამ ტყვესა გაუშვებთ, იმ მხარეს სუ დავწვამო.

რაშმა ფეხი წაჰკრა და გააღვიძა ტარიელი. ტარიელმა რო ხალხი დაინახა, თქვა: — ე, რა ბუზები დამხვევიანო. შამაახტა რაშსა, საცა ხემწიფე იყო, ზედ გადაახტა და ვაიქცა. წამოვიდა ხემწიფე ისევ ისეა. ავთანდილმა ვერც ახლა იცნო თავი ძმაი. წავიდა ტარიელი და ისევ ჩაჰტირის წყალსა.

ავთანდილი ცოლი გულთმისანია. ქმარ უთხრა:

ავთანდილო, შენ და როჰტომ,
მინდორ ხორცი მოგეხოცა,
ნამტირალი ძმა გეპოვნა,
თვალზე ცრემლი მოგეხოცა.
გირჩევ და ისევ მონახე
ძმა შენი დაკარგულია.

ავთანდილმა ცოლ უთხრა:

— შენ კურო გეყოლება და იმიტვინ მგზავნი, თორე ის ჩემი ძმაი არ იყოო. ავთანდილის ცოლ თინათინი ერქვა. თინათინმა შააჰფიცა:

თინათინ ჯვარი რისხამდეს
თორმეტი შენი რჯულისა,
შენ მეტი ქმარი უნდოდეს,
ათასი მოხდეს გულისა.
გირჩევ და ისევ მონახო
ძმა შენი დაკარგულისა.

— საგზაოთ ჩამიწყე რამე, იმდენი უნა ვდიო, რო გავიგო მისი გზაკვალიო, — უთხრა ავთანდილმა ცოლ. შაჰჯდა ცხენზე და წავიდა.

მეეწია ტარიელსა: წყლი პირ ჩაჰტიროდა.

შავი ხარ და შავ ცხენს ზიხარ,
შავათ რასა შებურულხარ,

მობრუნდი მისა პოვნამა,
თორემ დღეზე მოწირულხარ.

ტარიელმა უპასუხა:

თეთრი ხარ და თეთრ ცხენ ზიხარ,
თეთრათაცა შაბურულხარ,
გაბრუნდი მისმა პოვნამა,
თორემ დღეზე გაწირულხარ.

ტარიელმა თქვა: ეს კაცი შამამაკვდებაო, შამოჟკრა რაშსა და გაიქცა. ავთანდილი გაედევნა ცხენი კვალსა, თუ ჩემი ძმა მამიდაჟთან მივა, იქ ვნახამო.

ტარიელი მიდის. ნახა, შვიდ დევსა გუთანი უბიათ. მდევებს უნდოდათ მეეკლათ ტარიელი. ტარიელმა ჩაიარა, ჩაავლო ხელი ჯამბარასა და გაჟტყორცნა, უმცროს ბდევ მათრახი მოხვდა და მკლავი მოჟტყდა.

ტარიელმა კიდე ჩაიარა და ნახა მდევი ურემზე ზის და მოდის.— ღმერთმა ლუკმა მამცაო, — თქვა მდევმა. ტარიელმა გაჟაჟკრა ურემს მათრახი და სუ ლუკმა-ლუკმათ აქცია. გაჟწია და ბამიდაჟთან ჩავიდა.

მამიდამ სადილი აჭამა.

— სანადიროთ უნა წავიდე, თუ ვინმე მოვიდეს, ისე დაიყვირე, რო ცხრამთას იქით გავიგონოო. ტარიელი წავიდა სანადიროთ: ავთანდილი მიჟდემს რაში ნაფეხურზე. მიდის და ნახა შვიდ მდევს მოუტანიათ დაგლეჯილი გუთანი და აკონკებენ. — აქ ცხენით მოყმე ხო არ ჩაბოუვლიაო? მდევმა უპასუხა:

ერთმა შენფერმა მოყმემა
თავხეთქით ჩამაიარა;
ჯამბარას ხელი დაგვიკრა
ზღვი იქით გაგვისრიალა.
უმცროს ძმას მათრახი მოხვთა,
მკლავ მოგვიტეხა ძრიალა.

ავთანდილმა უთხრა:

ეგრე შაჟყავით ოდესა
იქ ტყეჟთან ამოდენასა;
დანა და სალესი დამრჩა, მაბიტანეთ,
თქვენ ძმას ის მიჟცემ ლხენასა.

წავიდნენ ექვსნი. ვერც დანაი ჩამოიტანეს, ვერც სალესავი. მკლავმოტეხილი მდევი წავიდა და ორივე ჩამოუტანა. ავთანდილ

უკვდავების ხელსახოცი ჰქონდა. გადაუსვ-გადმოუსვა და მოურჩა მკლავი. წავიდა ავთანდილი. ნახა, მდევი აკონკებს დამტვრეულ ურემსა.

— აქ ცხენით მოყმესა ხო არ ჩამაუვლიაო? მან უთხრა:

ერთმა შენფერმა მოყმემა
თავხეთქით ჩამაიარა,
ურემსა მათრახი დაჲკრა
ნაცარმტვრათ გადაიარა.

მივიდა ავთანდილი მამიდაჲთან. პური ჭამეჲ. — ტარიელი რო მოიდეს, ერთმანეთ დაჲხოცამთო. მამიდამ დამალა ავთანდილი.

ტარიელი მოვიდა. მოუკლამ ირემი, რამე. შავიდა ტარიელი და მამიდაჲ უთხრა:

— ადამიანი სუნი მამდისო.

— ნამინდვრი ხარ და ის იქნებაო. მაგრამ უთხრა: — შენი ძმაი რო იყოს, ხო არას ერჩი?

— არაო.

— ავთანდილია აქაო.

— მაშ მოდი, ხელები შამიკარ, რო გაჲდავეხვიო, არა მოვტეხო რაო. ხელები შაუკრა ტარიელსა. გადაეხვივნენ ერთმანეთ ძმები, ავთანდილმა ორი წიბოი მოჲტეხა ამ ხვევნაშია. გააკეთეს კარგი სადილი და ჭამეს.

დაიწყეს სიმღერა. ტარიელმა სიმღერაში უთხრა ავთანდილსა:

ავთანდილ, გემღერებიან,
მე არას მემღერებიან,
მე ორი წიბო მომტეხე
ისინი მეტკინებიან.

ავთანდილმა უკვდავები ხელსახოცი გადაუსვა და მოურჩინა ნეკნები.

სადილი რო ჭამეს, თავიანთი თავგადასავალი უამბეს ერთმანეთსა. ტარიელმა უთხრა:

— მოდი, ერთი შენი ცხენი გავატაროო. შაჯდა ტარიელი, მოუჭირა ლაჯები, ნახევარი წინ გადავარდა ცხენი და ნახევარი უკან. ავთანდილმა უთხრა:

— მოდი, ეხლა მე შავჯდები შენ რაშზეო.

— ნუ შაჯდები, დაგამტვრევსო. ავთანდილმა რო არ დაიშალა, შვიდი ლაგამი და შვიდი ქარშიკი გაუკეთეს და შაჯდა ავთანდილი.

რაშმა გაიტაცა და ვეღარ მაატრიალა. გაიტაცა სხვა სახემწიფო-

ში. მივიდა ეს რაში და ზედ ზღვი პირზე დადგა. ამ წყალში ჭაბუკი არი. ეს ჭაბუკი წყალს თურმე არავის არ ანებებს.

ავთანდილმა ჩაჴძახა ჭაბუკსა:

— აუშვი, წყალი მიეცი ხალხსა, უწყლოთ ნუ ხოცამო. ჭაბუკმა გამოჴძახა წყლიდანა:

შენ კაი კაცი მოსულხარ,
კაი პასუხი მთქმელიო:
შენი რაში მე მამეცი,
ჩვენ ვიყვეთ ორი ძმანიო.

ეხლა ავთანდილმა ჩაჴძახა:

ტარიელმაც აგრე მითხრა,
წყალში ჭაბუკი არიო;
ჩემი რაშიც იმას მიე,
შენ მოდი ცარიელიო.

ავთანდილ მივიდა აჴ ქვეყნის ხემწიფეჴთან და უთხრა:

— სამი კამეჩი ტყავი მამიტანე, სამი ქარშიკი და ერთი თუნგი ზეთი, უნა ჩავიდე იმ ჭაბუკთანა, ან ის მამკლავს, ან-მეო. თუ მე მამკლა, სისხლი ამოვა და თავ უშველეთო, თუ მე მოვკალი, ზეთს დავღვრი და წყალი წაიღეთო.

ავთანდილმა ჩაიცვა ეს სამი კამეჩი ტყავი, სამი ქარშიკი შამაიკრა, წაიღო თუნგი ზეთი და წავიდა. დაიძგერნენ. სამი კამეჩი ტყავი სუ შამააგლიჯა ჭაბუკმა. რო ხორცზე დააყენა, ავთანდილი მეერია და მოკლა ეს ჭაბუკი. ზეთი დააქცია, ამოვიდა ზეთა და გაახარა ქვეყანაი. ზღვასა და ზღვის შუა ქაჯების ქვეყანაა და ავთანდილი იქ გავიდა. მივიდა ერთ ბებერთან და უთხრა:

— აქ ლერწამ-დარეჯანი ხო არავი გამოუყვანიაო? ბებერმა უთხრა:

— აქ ცხრა ძმანი ქაჯები არიან და იმათა ყამთ ლერწამ-დარეჯანიო. ავთანდილ თანა აქვ ტარიელი ბეჭედი.

— არ შეიძლება ეს ბეჭედი ლერწამ-დარეჯან მიჴცეო?

— შაიძლებაო. ბებერი იქცა ბუზათა და წაუღო ეს ბეჭედი. მიუტანა. ცხრა ქაჯ ბებერი ჰყამთ დედაი. იმ ბებერმა უთხრა შვილებსა:

— თუ ამ ბუზმა რა ქნასო, ხვალ დილამა ცნასო.

ლერწამ-დარეჯანმა ნახა ბეჭედი და გეეხარდა, — ჩემი მშველელი მოსულაო.

ავთანდილი წამოვიდა ტარიელთან. ტარიელ უტირნია: საყვა-

რელი დავკარგე, ძმა დავკარგე, რაში დავკარგეო და ორთავ თვალით დაბრმავებულა. მივიდა ავთანდილი და ეკითხა:

— რაჲ დაღონებულხარ, ძმაო ტარიელ, შენი საყვარელი ვიპოვნევიო!

— მე კი დავბრმავდი და გინდა იპოვე და გინდ არაო. ავთანდილმა უკვდავები ხელსახოცი გადუსვ-გადეზოუსვა და მოურჩინა თვალები ძმასა. ავთანდილმა უთხრა:

— მოდი, ჩვენ ძმას ფრიდონს შავატყობინოთ და იგიც დაგვეხმარებაო.

ავთანდილი და ტარიელი წავიდნენ ფრიდონთან. მინდორზე ცხენის ჯოგი დაინახეს.

— ამ ჯოგში ყველაზე უკეთესი ცხენი რომელიაო, — ეკითხეს. მეჯოგემ უთხრა:

— ეზოში რო შავრეკამ და დილაზე გამოვრეკამ, ბოლოს რო გაეზოვა, იგი დაიჭირეთ, გულთმისანიაო. მეჯოგე გაგზავნეს ფრიდონთან: შაატყობინე ჩვენი მოსვლაო.

მეჯოგე მივიდა ფრიდონთან და უთხრა:

— ვიღაცეები მოვიდნენ და ცხენსა მტაცებენო. გამოვიდა ფრიდონი, მოგლიჯა ერთი დიდი მუხაი, გაეკრა ხელი, გალოპრა, გაიდო მხარზე და წავიდა.

გაჯავრებულმა ფრიდონმა,
მუხა მოგლიჯა ძირითა,
გაეკრა ხელი და გალოპრა,
მინდორ გააგდო ხიდათა.

ავთანდილმა და ტარიელმა დაუძახეს: — შენი ძმები ვართო. იმ ღამეს კაი პური ჭამეს. მეორე დღეს ცხენი უნა მიეცეს ფრიდონმა. ცხენი ჯოგი რო გამორეკეს, ფრიდონი ეუბნევა:

— ეს კაი ცხენია, ეს კაი ცხენიო, მაგრამა ბოლოს რო ცხენი დარჩა, ის წაიყვანეს. ფრიდონი მიხვდა, რო მეჯოგე დაუქრთამიათო.

შესხდნენ სამივენი და გავიდნენ ქაჯეთში. ლერწამ-დარეჯანი ტახტზე ზის მოკეცილი. ტარიელი რო დაინახა, იქით იცაჲ წაუვიდა გული და აქით ტარიელსა.

ავთანდილი და ფრიდონი დაეხვნენ ქაჯებსა. გაუქრათ სანათი და ერთმანეთ დეეძგერნენ. ფრიდონი მეერია და უნა მოკლას ავთანდილი.

— ვაჲმე, ფრიდონ, მიშველე, ქაჯმა დამინარჩუნაო. ეს ფრი-

დონმა გაიგო და ძმა გაუშვა. აანთეს სანათი და ქაჯები დახოცეს. წამოიყვანეს ლერწამ-დარეჯანი და წამოვიდნენ. ამ ქალსა ცხრა ქაჯი უზის მუცელში.

მაადგნენ ერთ წყალი პირს. ტარიელს უთხრა ავთანდილმა:

— ეს ქალი სამათ უნა გავშჭრაო.

— შენი ნება არიო, ავთანდილმა ამაიღო ხმალი და რამდენ მოუქნემს ხმალ, იმდენ ქაჯს ამააგდებს. ექვსი მოჴკლა და სამი წყალში ჩაუვარდა. წამაიყვანეს ეს ქალი. გზაში დაუღამდათ. იქ კარავი დაჴცეს და დადგნენ. სამმა ქაჯმა კიდე მოიპარა ლერწამ-დარეჯანი. გაჴოუდგა ავთანდილი. ერთი მოკლა, ორი წყალში ჩაუვარდა; ორმა კიდე მოიპარა, ერთი მოკლა — ერთი წყალში ჩაუვარდა, ბოლოს კიდევ ერთმა მოიპარა ლერწამ-დარეჯანი. ისიც მოკლა ავთანდილმა და გაანთავისუფლა ქალი.

ტარიელმა ეუვი აიღო — ჩემი ცოლი აქეთ-იქით დაგყამდაო.

ავთანდილმა უთხრა ძმასა:

— აიღე თოფი, მესროლე გულში, რაც ასო ლერწამ-დარეჯანისათვის მეხლოს, იქ მომხვდესო. ესროლა ტარიელმა და ნეკა თითი გააგდებინა. ბევრი ინანა ტარიელმა, მაგრამ რაღას იზამდა.

შემდეგ ძმები გაიყარნენ და ცხოვრობდნენ ბედნიერათ.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე,
ნაცარი იქ დავყარე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

17. მონადირის არაკი

ერთი მონადირე იყო და ერთი შვილი ჰყვანდა. შვილ უთხრა:

— ჴე რო მოვკვდები, სანადიროთ წახვალ, ერთი მთა ინადირე, მეორეზეც გადადი, მესანეზეცა, მაგრა მეოთხეზე არ წახვიდეო.

მამა მოკვდა. ბიჭმა აისხა იარაღი და წავიდა სანადიროთ. ერთი მთა ინადირა, მეორე, მესამე, მეოთხეზე გადავიდა. მიდის ირემი, ბიჭმა ესროლა, თურმე ეს ქალი ყოფილა, ტყავი მოიხსნა, თვითონ გაფრინდა, ზღვაში ლერწამი იყო და იქ შავიდა.

მონადირემ ეს ტყავი აიღო და წამოიღო. მააქ შინა. ხემწიფი ნაზირ-ვეზირი შახვთა.

— ოღონდ ეს ტყავი ჩვენ მოგვეცი და რასაცა გვთხოვ, მოგცემთო.

ბიჭმა არ მიიცა, ხემწიფეიათან დააბეზღა. ხემწიფემ დაიბარა მონადირე.

— ირმი ტყავი მამიტანე, რაცა ღირ მოგცემო. მიუტანა ტყავი. ნაზირ უთხრა ხემწიფემ:

— წადი, რაშდენიც გთხოვოს ფული, იმდენი მიეციო. ნაზირმა წაიყვანა: ორი შაური მიიცა და ორიც სილა გაარტყა. მონადირე წამოვიდა სახლში.

— ამ შენ ტყავსა კაი ოთახი ეკუთვნისო. ნაზირ-ვეზირმა უთხრა ხემწიფესა:

— ვინ გააკეთებსო?

— ვინც ეგ ტყავი მოგიტანაო! დაიბარა ხემწიფემ მონადირეი და დაავალა ოთახი გაკეთება.

— კალატოზი არა ვარ, დურგლობა არ ვიცი და რით გავაკეთოო! ბიჭი ტირის. დედამ ეკითხა: რათაი ტირიო? — ასე მითხრა ხემწიფემაო. ღამით სიზმარში ნახა მამაი.

— აკი გითხარ, შვილო, მეოთხე მთაზე არ ინადიროო. წადი, ხემწიფეი საცა უნა ოთახი, ოთხი კუთხე გაუკეთე, შიგ დაჯექი და ოთახი გაიმართებაო. დილით მივიდა ხემწიფეიათან, იმ ღამეი დადგა ბიჭი იქა და ისეთი ოთახი გაიმართა, თვალი უკეთეს ვერ იპოვიდა.

ხემწიფეი ოთახი მეეწონა. ნაზირ უთხრა:

— ფული ბლომათ მიეცი ბიჭსაო. ნაზირმა წაიყვანა, აბაზი მიიცა და ოთხი სილა გაარტყა. ხემწიფეი უთხრეს:

— ამ ოთახთან ისეთი ბაღი უნდა გააშენო, რო იადონი და ბულ-ბული შიგ გალობდეს, ათასნაირათ ყვაოდესო.

— ვინ გაშენებს მასეთ ბაღსაო?

— ვინც ოთახი ააშენაო. ხემწიფეს ისევ დაიბარა ბიჭი და ბაღი გაშენება დაავალა.

ბიჭმა თავში იცა ხელი, მაგრა რას იზამ. იმ ღამეი სიზმარში ნახა მამაი.

— აკი გითხარი, შვილო, მეოთხე მთაზე არ ინადიროო, ახლა ხო ხედამ, რა დღეში ჩავარდიო. მაგრამ მაინც ეიწავლა: საცა უნდა ბაღის გაკეთება ხემწიფეი, ოთხივ კუთხივ ბოძები დაურჭე, ხემწიფეი ათასი ფერადი გამაართვი, ის ფერადი გარეშემო შამაარტყი, ღამით შიგ დადექი და ისეთი ბაღი გაიმართება, რო თვალ ვერ მააშორებო.

ბიჭი ასეც მაიქცა და ისეთი ბაღი გაიმართა, რო იადონი და ბულბული სუ შიგ გალობდა.

ხემწიფეᲐ გეეხარდა ესა. ნაზირ უთხრა:

— რასაც მეერიოს, იმდენი ფული მიეცი ბიჭსაო. ნაზირი წავიდა, ექვსი შაური მიᲐცა და ექვსი სილა გაარტყა.

ნაზირ-ვეზირმა კიდე უთხრა ხემწიფეს:

— ამ ტყავის პატრონიც აქ უნდა გყავდესო.

— ვინ მაიყვანსო.

— ვინც ეს ტყავი მაიტანაო.

დაიბარა ხემწიფემ ეს ბიჭი და იმ ტყავი პატრონი მოყვანა დააავალა.

იმ ღამეᲐ სიზმარში მოვიდა მაᲐმაი და უთხრა:

— აკი გითხარი, შვილო, მეოთხე მთაზე არ ინადიროო. რაკი ხემწიფე არ გეშვებაო, ხემწიფეᲐ ოქროᲐ ნავი გააკეთებინე, ზღვაში ერთი ლერწამია, იქ ზი ის ქალი და შაიძლება წამაიყვანოო. ნავი იმ ნაზირ გააკეთებინოს, ვინც სილა გაგარტყაო.

მივიდა ბიჭი ხემწიფეᲐთან და ესე უთხრა. ნაზირი სუ დაგირავდა ცოლ-შვილითა და გააკეთა ოქროᲐ ნავი. ბიჭი ჩაჯდა, გაᲐწია და შავიდა ზღვაში. ეს ნავი ისეთია, რო სუ ბდღვრიალებს.

ამ ქალ ორაგული ყამ მოსამსახურეთ და ეს ნავი რო დაინახა, ქალ უთხრა:

— აქ Შოიპატიჟეო. მოვიდა ბიჭი ლერწამთან.

— არ შაიძლება ნავში ჩამსვა და გამატაროო, — უთხრა ქალმა ბიჭსა.

— მეტი აბა რა ხელობა Შაქო.

მიუტანა ეს ნავი და ქალი ჩაჯდა შიგა. ბიჭმა წამაიყვანა ქალი ხემწიᲨეᲐთან.

— მიმაბრუნე უკანაო.

— არა, ხემწიფეᲐთან უნდა წაგიყვანოო. ქალმა წაიძრო ხელიდან ბეჭედი და ჩააგდო ზღვაში, ნავი დადგა, ბეჭედი კი თევზმა ჩაყლაპა. მაშინ უამბო ყველაფერი. ქალი დეეთანხმა. ოღონ ბეჭედი უნდა იპუონ, თორე ნავი არ მიდის. ქალმა ორაგულ უთხრა: — მოძებნე ბეჭედიო. ორაგული დაᲐყვა მეთევზეებ და იპუა ბეჭედი. მიუტანა ქალსა. რამ წამ გაიკეთა ბეჭედი, დაიძრა ნავი.

ხემწიფეᲐ მომზადებულა: ქალზე ჯვარ დავიწეროო. ქალმა უთხრა:

— შენი იარაღი შამომარტყი სამ დღესაო და მერე შაიძლება ჩემზე ჯვარი დაიწეროო. ეხლა ქალმა ჰკითხა: — ამ ბიᲨმა რო ეს ტყავი მოგცა, რა მიეციო?

— ნაზირ უთხარი, ფული მიეციო.

— ბიჭო, რა მოგცესო?
— ორი შაური და ორი სილაო!
— ოთახში რაღა მიეციო?
— ოთხი შაური მამცეს, ოთხი სილაი გამარტყესო.
— ბაღშიო?
— ექვსი შაური მამცეს და ექვსი სილა გამარტყესო.

ქალმა გაუსვა ხელი, ჯერ ხემწიფეი მოკლა, მერე ნაზირ-ვეზირი, აგ ბიჭზე დაიწერა ჯვარი და სახემწიფო მაგ დარჩა. მათ ქორწილში მეც ვიყაი, ერთი-ორი ჯამი ღვინოი დავლიე.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა!

18. ქაჩალაი

იყო და არა იყო რა. ხვთის უკეთესი რა იქნებოდა. ცხოვრობდა ერთი გლეხი. ამ გლეხ ეყოლა ერთი ვაჟიშვილი. ეს ბავშვი წამოიჩრიხვა და შკოლაში შაიყვანეს. ძალიან კარქათ ჯწავლობდა. ბავშვ დედა მოუკვდა. კაცმა მეორე ცოლი შაირთო. დედინაცვალი ბავშვ უხეიროთ არ ეკიდება. ეს ბიჭი შკოლიდან რო მოვა, ჯერ საჭმელ არა შჭამ, მინამ რაშ არ მოუვლის. დედინაცვალმა საყვარელი გაიჩინა და უთხრა საყვარელსა:

— ეს ბიჭი როგორმე უნა მავიშოროთო.

— იყვეს, ეგდოს, ჯერ-ჯერობით არაფერ გვიშავებსო, — უთხრა საყვარელმა.

ერთხელაც ეს ბიჭი შკოლიდან მოიდა. დააწყო თუ არა წიგნები, დედინაცვალმა უთხრა:

— მოდი, პური ჭამეო.

— არა, ჯერ რაში უნა ვნახოო. შავიდა რაშთან და რაში ტირის.

— რათა ტირი, ჩემო რაშოო?

— რაღა რათა ვტირი, ხვალ რო მოხვალ შკოლიდან, უნა მოგკლან და იმიტვინა ვტირიო.

— როგო უნა მამკლანო? — ჰკითხა ბიჭმა.

— შე რო მოხვალ ხვალ შკოლიდან, დედინაცვალი მოგეგებება, მოდი, შვილო პური ჭამეო, მაგრა შე უთხარი: — არა, მრცხვენია ტუმრისა და გარეთ უნა ვჭამო-თქო, ის პური მოწამლული იქნება. გამოდი გარეთ, ის პური ძაღლ გადაუგდე, ძაღლი მოკვდება და შენ გადარჩებიო.

ᲬᲐᲠᲗᲚᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ, ᲔᲡ ᲑᲘᲭᲘ ᲛᲝᲘᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲨᲙᲝᲚᲘᲓᲐᲜ, ᲓᲔᲓᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡ ᲛᲝᲬᲐᲛᲚᲣᲚᲘ ᲞᲣᲠᲘ ᲛᲬᲐᲗ ᲐᲥᲕ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲫᲐᲮᲐ ᲒᲔᲠᲡᲐ:

— ᲛᲝᲓᲘ, ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲞᲣᲠᲘ ᲭᲐᲛᲔᲝ.

— ᲐᲠᲐ, ᲛᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲣᲛᲠᲘᲡᲐ ᲛᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐᲜ, ᲒᲐᲠᲔᲗ ᲨᲐᲕᲭᲐᲛ ᲞᲣᲠᲡᲐᲝ. ᲒᲐᲛᲝᲘᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲔᲡ ᲑᲘᲭᲘ, ᲒᲐᲓᲣᲒᲓᲝ ᲞᲣᲠᲘ ᲫᲐᲦᲚᲡᲐ, ᲫᲐᲦᲚᲘ ᲘᲥᲕᲔ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲑᲘᲭᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡᲔᲕᲘᲡᲔ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ. ᲠᲝ ᲛᲝᲘᲓᲐ ᲡᲐᲮᲨᲘ, ᲓᲔᲓᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲛᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ:

— ᲛᲝᲓᲘ, ᲠᲐᲛᲔ ᲭᲐᲛᲔᲝ.

— ᲐᲠᲐ, ᲯᲔᲠ ᲠᲐᲨ ᲣᲜᲐ ᲓᲐᲕᲮᲔᲓᲝᲠᲝ. ᲨᲐᲕᲘᲓᲐ ᲠᲐᲨᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲔᲡ ᲠᲐᲨᲘ ᲘᲡᲔᲕᲘᲡᲔ ᲢᲘᲠᲘᲡ.

— ᲠᲐᲗ ᲢᲘᲠᲘ, ᲩᲔᲛᲝ ᲠᲐᲨᲝᲝ?

— ᲘᲬᲘᲢᲕᲘᲜᲐ ᲕᲢᲘᲠᲘ, ᲠᲝ ᲔᲮᲚᲐ ᲠᲝ ᲨᲔᲮᲕᲐᲚ, ᲛᲝᲬᲐᲛᲚᲣᲚ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲬᲕᲓᲘᲐᲜ, ᲣᲜᲐ ᲛᲝᲒᲙᲚᲐᲜᲝ. ᲠᲝ ᲨᲐᲮᲕᲘᲓᲔ, ᲣᲗᲮᲐᲠᲘ:—ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲣᲛᲠᲘᲡᲐ ᲛᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲣᲜᲐ ᲓᲐᲕᲚᲘᲝ-ᲗᲥᲝ. ᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲮᲕᲘᲓᲔ, ᲬᲐᲛᲝᲫᲙᲐᲠ ᲤᲔᲮᲘ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲩᲐᲠᲩᲝᲡᲐ, ᲬᲐᲘᲥᲔᲪᲘ, ᲢᲐᲥᲐᲜᲘᲪ ᲒᲐᲫᲢᲔᲮᲔ ᲓᲐ ᲩᲐᲘᲪ ᲓᲐᲦᲕᲐᲠᲔᲝ.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲨᲐᲕᲘᲓᲐ ᲔᲡ ᲑᲘᲭᲘ. ᲓᲔᲓᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲛᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲐᲩᲘ ᲛᲝᲐᲬᲝᲓᲐ ᲩᲐᲘ.

— ᲐᲠᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲢᲣᲛᲠᲘᲡᲐ ᲛᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲣᲜᲐ ᲓᲐᲕᲚᲘᲝᲝ. ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ, ᲬᲐᲛᲝᲫᲙᲠᲐ ᲤᲔᲮᲘ, ᲢᲐᲥᲐᲜᲘᲪ ᲒᲐᲫᲢᲔᲮᲔ ᲓᲐ ᲩᲐᲘᲪ ᲓᲐᲦᲕᲐᲠᲐ.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲡ ᲑᲘᲭᲘ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲘᲡᲔᲕᲘᲡᲔ. ᲛᲘᲜᲐᲛ ᲑᲘᲭᲘ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘᲐ, ᲓᲔᲓᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲩᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲡᲐᲣᲙᲐᲠᲔᲚᲛᲐ ᲛᲐᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲡ:

— ᲛᲐᲒᲐᲡ ᲗᲣ ᲔᲒ ᲠᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲙᲐᲚᲘᲗ, ᲛᲐᲜᲐᲛ ᲛᲐᲒᲐᲡ ᲕᲔᲠᲐᲡ ᲣᲬᲐᲛᲗᲝ. ᲒᲐᲓᲐᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ ᲠᲝ ᲠᲐᲨᲘ ᲛᲝᲐᲙᲚᲐᲜ. ᲔᲡ ᲑᲘᲭᲘ ᲠᲝ ᲛᲝᲘᲓᲐ ᲨᲙᲝᲚᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲨᲘᲕᲔ ᲠᲐᲨᲗᲐᲜ ᲨᲐᲕᲘᲓᲐ. ᲨᲐᲮᲔᲓᲐ, ᲠᲝ ᲠᲐᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜᲐ ᲢᲘᲠᲘᲡ.

— ᲠᲐᲗᲐ ᲢᲘᲠᲘ, ᲩᲔᲛᲝ ᲠᲐᲨᲝᲝ?

— ᲡᲐᲢᲘᲠᲐᲚᲘ ᲔᲮᲚᲐ ᲛᲐᲥ, ᲗᲝᲠᲔ ᲐᲥᲐᲛᲓᲘ ᲠᲐ ᲘᲧᲝᲝ!

— ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲐᲗᲐ ᲢᲘᲠᲘᲝ?

— ᲛᲔ ᲣᲜᲐ ᲛᲐᲛᲙᲚᲐᲜ, ᲛᲔ ᲠᲝ ᲛᲐᲩᲙᲚᲐᲕᲔᲜ, ᲛᲔᲠᲔ ᲨᲔᲜᲪ ᲣᲜᲐ ᲛᲝᲒᲙᲚᲐᲜᲝ. ᲑᲘᲭᲛᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ:

— ᲐᲑᲐ ᲗᲐᲕ ᲣᲜᲐ ᲣᲨᲕᲔᲚᲝᲗᲝ.

— ᲓᲘᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲘᲤᲘᲥᲠᲔ ᲨᲔᲜᲐᲝ, ᲕᲘᲗᲐᲛ ᲬᲐᲕᲚᲐᲘ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲥᲕ, ᲨᲐᲛᲐᲯᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲛ ᲒᲐᲕᲘᲐᲠ-ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲐᲠᲝᲗᲝ.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲐᲛ ᲑᲘᲭᲛᲐ ᲠᲐᲨᲘ. ᲓᲔᲓᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲛᲐ ᲰᲙᲘᲗᲮᲐ:

— ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲮᲐᲠᲝ?

— ᲓᲦᲔᲡ ᲬᲐᲕᲚᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕ ᲓᲐ ᲣᲜᲐ ᲒᲐᲕᲘᲐᲠ-ᲒᲐᲛᲐᲕᲘᲐᲠᲝᲗᲝ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲐᲯᲓᲐ ᲠᲐᲨᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲓᲐ, ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲐᲛᲐᲪ ᲛᲝᲘᲓᲐ.

— სად მიდიხარ, შვილო?

— მე მამა, მივდივარ და შენ იცი და შენმა ტუმარმა, როგორ მაიქცევიო.

წავიდა ეს ბიჭი რაშით. ერთ უდაბურ ტყეში ერთ მშვენიერი ოქროს წყალი ნახა. ეს რაშიც აბანავა შიგა, თვითონაც იბანავა, რაშიც ოქროსფერი გახთა და ბიჭის თმაც ოქროს ფერათ შაიღება. რაშმა უთხრა:

— რაც არ უნა დაგიჯდეს, ერთი კურდღელი უნდა მოკლაო. გაუარა ბიჭმა რაშით და კურდღელი ცოცხლათ დაიჭირა. გაატყავა, ტყავი გადმააბრუნა და ამაკერა ქუდივით. რაშმა უთხრა:

— წადი, ხემწიფეს უთხარი, მებაღეთ დაგიდგები-თქო. მას რო მებაღეთ დაუდგები, მისი ბოლოლა ქალი შენი იქნებაო. როცა ჩემ აღვირ დააკღარუნებ, მე იმ სააჩი იქ დავიბადებიო. გამეემშვიდობა ბიჭი რაშსა. აღვირი იქვე შეინახა და წამოიდა ხემწიფეიდთან.

— დიდებულო ხემწიფე, მებაღე ხო არ გინდაო?

— ჩუჩირდებაო, — უთხრა ხემწიფემ. წაიყვანა ბაღშია და ამუშავებს. ერთი დღე გავიდა, ორი, სამი, წელიწადი და ეს ბიჭი მუშაობს ამ ბაღში. ხემწიფემ სახელი ჰკითხა.

— მე ქაჩალა მქვიანო.

ერთ დღეს ხემწიფი პატარა ქალმა ჩაიარა ბაღში. ქაჩალას იმ დროს ძინამს. ერთი თმი ბეწვი გარეთ დარჩომია და ბდღვრიალებს. ქალმა რო ბეწვი დაინახა, თქვა:

— ამას ქაჩალა კი არ ერქმევა, ალბათ, მალამს თავის სახელსო.

ჩოგლიჯა სამი კაი ყარფუზი და წამოუღო მამას. მოუტანა და დაუყარა წინ ეს ყარფუზები.

— რა არი, შვილო, ესაო, — ჰკითხა მამამ.

— შენ უნა გაიგო. რასა ნიშნავსო.

— რა ვიცი, რასა ნიშნავსო.

— მა რის დიდებული ხემწიფე ხარ, თუ ვერ გაიგეფო. ხემწიფემ დაიბარა მაშივე მეცნიერი და ჰკითხა:

— რასა ნიშნამ ესენიო? მეცნიერმა დაუსვა დანა და დაშჭრა სამთავენი. სამთვენი მოსულებია.

— რასა ნიშნამ და იმას რო, როგორც ეს ყარფუზებია მოსული, ისე შენი ქალებიც დასათხოვრები არიანო.

ჩეორე დილით დაიბარა ხემწიფემ მთელი თავი სახემწიფო, გამოიყვანა თავი ქალები და უთხრა:

— რომელიც გსურთ გამაარჩიეთო. გამოიდა უფროსმა და ერთ

ღერანალ დაადო ხელი, შუათანამ — აფიცერ, ბოლოლამ იარა, იარა და ქაჩალაი ვერ იპოა.

— რა ჰქენ, შვილო, ვერ იპოეო?

— ვერა, მამა, არავინ მამეწონაო.

ხემწიფემ უთხრა ვეზირებ:

— წადით, თუ ვინმე დაგრჩათ კოჭლი, ბრმა სუ ყველა მაიყვანეთ აქაო. სუ მოუყვანეს ყველაი, მაგრა ქაჩალა კიდე არ არი იქა. დაიარა აჲ ქალმა და ვერ იპოა ქაჩალაი.

— რა ჰქენი, შვილო?

— ვერ ვიპოე. არავინ მამწონ, მამაო. ხემწიფეჲ იკითხა:

— განა არავინ დაგრჩათ, ყველა მოიყვანეთო?

— მხოლოთ ერთი მებაღეი ქაჩალაი დარჩაო, — გაახსენეს ხემწიფეს.

— წადით და ისიც მაიყვანეთო. რო მოვიდნენ მოსაყვანათ ქაჩალაჲთანა, იმ დროს ქაჩალამ ერთი პატარა ბაჭია დაიჭირა, ჩაისვა უბეში და მაიყვანეს.

დატრიალდა ეხლა ბოლოლა ქალი ამ ხალხში, მივიდა ქაჩალაჲთან, რო დაავლო ხელი, ამ დრო ქაჩალა დაუჭერს კურდღელს ხელს და დააჩხავლებ, ქალი შაშინდება. ხემწიფემ უთხრა:

— რა ჰქენი, შვილო, ვერ იპოეო?

— ვიპოეო, მამა, მაგრამ რაღაცა ჰყამ და მაშინებსო.

— წადი, შვილო, ნუ გეშინია, ახლო მიდიო. წავიდა ეს ქალი, მივიდა ქაჩალაჲთან, ქაჩალამ კიდე დააჩხავლა ეს ბაჭიაი და ისევისე წამოიდა უკან.

— ძალიან მაშინებს, მამაო, — უთხრა ხემწიფეს.

— დახუჭე თვალები და ისე მიდიო, — უთხრა მამამ. მართლა, მივიდა ბოლოლა ქალი, ბევრი აჩხავლა ქაჩალამ ბაჭიაი, ჲაგრა ქალი მაინც მეეხვია.

— უჰ, ქაჩალა შეუყვარებია, ქაჩალაო, — დაიძახა ხალხმა. ძალიან ეწყინა ხემწიფეს, ქვეყანაზე თავი მამჭრა, მაგაზე მეტი არავინ მეეწონაო.

ხემწიფემ აიღო ათი ბატი, ქალაქ გარეთ გაუკეთათ ერთი საქათმე და უთხრა შვილსა და სიძეს:

— რახან სირცხვილი მაჭამე, წადით და იქ იცხოვრეთო.

წამოიდნენ და ცხოვრობენ თავაანთვინ. ქაჩალა რო ჩამაატარებს ბატებს, ხალხი დაჲცინის, მაგრა იმათ ხმას არა ჲცემს. სად არი, სად

არა, ერთმა ხემწიფემ ამ ხემწიფეს ომი შამოუთვალა. ხემწიფემ დაიბარა უფროსი სიძე ღერანალი და უთხრა:

— შე უნა წახვიდე ჯარის უფროსათაო. გამოიდა ესეც, წაიყვანა ჯარი და წავიდა ომში. ქაჩალა მივიდა ხემწიფეჲთან და უთხრა:

— ერთი ცხენი მეც მამეცი, მეც წავალ ომშიო. ხემწიფემ ბრძანა:

— გამაიყვანეთ ერთი მკვდარი ცხენი და მიეცით, იქნებ გადაჲჩეხოს გზაშიო. გამაიყვანეს ცხენი, შაჯდა ქაჩალა და წავიდა. ქალაქში რო გაჲაიარა, ერთი ამბავი დააყენეს. ყველა დაჲცინოდა. მოიდა ქაჩალაი თავი ქოხთან, დააჟღრიალა აღვირი და იმ სააჩი მოიდა თავი რაში. რაშ უთხრა:

— აბა ერთი დიგლიგი ჰკარი ამ ჩემი სიმამრი ცხენსაო. ჰკრა დიგლიგი და იქვე გააპნეინა სული. შაჯდა თავი რაშზე და წამოიდა. ზეციერათ დეეცა მტრი ჯარსა და ნახევარი გაუნადგურა. ამ ხემწიფი ჯარმაც იბრძოლა და მტერი დაამარცხეს.

მოიდა ქაჩალაი და გამოცხადდა თავი ღერანალ ქვისლთან. შახედეს რის ქაჩალა, რის რამე, გააქვ ბდღვრიაღი, ოქროს ფერია, ზის ოქროს რაშზე.

— რით დაგასაჩუქროთ, რო აჲოტოლა ჯარი გაგვითავისუფლეო, — უთხრა ღერანალმა.

— მე არაფერი არ მინდა, ხოლო ფეხის ცერა თითი მაიჭერი და მამეციო. ღერანალმა წაიჭრა ცერა თითი, ქაჩალამ გაახვია და ჩაიდო ჯიბაში. ქაჩალა თავი ბინაში წამოიდა და ესენი თავიან ხემწიფეჲთან მოიდნენ.

ხემწიფეს ახარეს: — უფროს სიძეს გაუმარჯვებია, ოღონ ფეხის ცერა თითში დაჭრილიაო. ხემწიფემაც ერთი მეჯლისი გადაიხადა.

არ გასულა რამდენიმე ხანი, რო მეორე სახემწიფომ შამოუთვალა ომი. ხემწიფემ დაიბარა შუათანა სიძე და უთხრა:

— ეხლა შენ უნა წახვიდე ჯარის უფროსათაო.

— წავალ,—შუათანა სიძემ უთხრა.

მოიდა ქაჩალა და ხემწიფეს უთხრა:

— ერთი ცხენი მეც მამეცით, მეც წავალ ომშიო.

— მიეცით ერთი მკვტარი ცხენი, იქნებ სადმე გადაჲჩეხოსო, — ბრძანა ხემწიფემ.

შაჯდა ეს ქაჩალა და ქალაქში რო გაიარა, ყველამ სიცილ-ხარხარი დააყარეს. მივიდა თავი ქოხთან, დააჟღრიალა აღვირი და ხელათ გაჩნდა იქ თავი ოქროსფერი რაში. შაჯდა ზეთ ქაჩალა და ზეციე-

რათ დეერთო იმ სახემწიფო ჯარს. დაუწყო უწყალოთ ხოცა. თვითონ თუ ხმლით ომობს, ეს რაში წიხლითა და კბილით. სახემწიფო ნახევარი რო გაჟწყვიტა, იბრუნა მტერმა პირი და გაიქცა.

ჩამოიდა და გამეეცხადა თავი ქვისლ აფიცერს. აფიცერმა უთხრა:

— რით დაგასაჩუქრო.

— მე ბევრი არაფერი მინდა, შენი ყურის ბიბილო მამიჟარიო. მოიჟრა აფიცერმა ბიბილო, ქაჩალამ ისიც შაინახა.

ახარეს ხემწიფეს — შუათანა სიძეს გაუმარჯვებია და ყურში დაჟრილაო. ხემწიფემ ერთი კარგი მეჯლისი გადაიხადა.

რამტელიმე ხნის შემდეგ, ერთმა ხემწიფემ კიდე შაბაუთვალა ომი. ხემწიფემ დაიბარა თავი პატარა ქალი და უთხრა:

— შენ ქმარ ხო შნო არა აქვ, შენ უნა წახვიდე ჯარის უფროსათაო.

— კარგიო, — უთხრა ქალმა. მოიდა ქალი და ეს ამბავი ქაჩალაჟ უთხრა. ქაჩალამ დააბარა:

— როცა ჯარის უფროსათ წახვალ, ხემწიფეს რო დილის ბაღდადი აქვ, ის წაიღეო, შენ ნუ გეშინიან, მე ხმალ არ გაგაქნევინებ იქაო.

წავიდა ეს ქალი, გამაართვა ხემწიფეს თავი დილის ბაღდადი, გაუძღვა ჯარსა და წავიდა. ამ დროს კიდეც მოიდა ქაჩალაი.

— ერთი მკვტარი ცხენი მეც მამეციო, — უთხრა ხემწიფეს.

— გამაუყვანეთ ერთი მკვტარი ცხენიო, — ბრძანა ხემწიფემ. ბიჟცეს ცხენი. შაჯდა ქაჩალაი და ქალაქში რო გაიარა, კიდე სიცილ-ხარხარი დააყარეს, — ქაჩალაც მიდის საგმიროთო. მივიდა ქაჩალა თავი ქოხთან, დააჟღარუნა აღვირი და იმ სააჩი დაიბადა თავი ოქრო-ფერი რაში, მააჯდა ზურგზე და წავიდა ომში. ჯერ თავი ცოლი არ მისულა ომში და ქაჩალაი დეეცა იმ სახემწიფოს, სუ გაანადგურა იქაურობა ისე, რო ხმალიც არ გააქანებინა თავი ცოლსა.

მოიდა წინ და გამეეცხადა ჯარის უფროს.

— რით დაგასაჩუქროო, უთხრა თავი ცოლმა.

— რითაც შენი ნება იქნებაო. აიღო ცოლმა და ხემწიფის დილის ბაღდადი მიჟცა. გამოჟწია და ეს ქალი წაჟლოიდა თავი მამაჟთან.

მაახარეს ხემწიფეს: — ბოლოლა ქალს გაუმარჯვებია, არც დაჟრილა და არც არაფერიო. რო მოიდა ქალი, ხემწიფემ ჰკითხა:

— რა უყაი დილი ბაღდადიო.

— ვინც დამეხმარა, იმას ვაჩუქეო. ხემწიფემ გამართა დიდი მეჯლისი ქალი კი გაგტუმრა ქოხში, ისე რო მეჯლიში არ დაგპატიჟა.

რამტელიმე ხნის შემდეგ ეს ხემწიფე ავათ გახთა ძალიანი. დაიბარა უფროსი და შუათანა სიძე და უთხრა:

— აბა, ჩემო სიძეებო, თუ მამიტანთ ამა და ამ უკვდავები წყალ, მოვრჩები, თუ არა, მოვჰკვდებიო. სიძეებმა აისხეს იარაღები, თითო ხურჯინი ოქროც წაიღეს, შასხდნენ ცხენებზე და წავიდნენ. ისინი რო წავიდნენ, მოიდა ქაჩალა და ხემწიფეს უთხრა:

— ჩემო სიმამრო, მეც მამეცი ცხენი, იქნებ მე უფრო შოგიტანო ის უკვდავები წყალიო.

— მიეცით ერთი მკვტარი ცხენიო, — ბრძანა ხემწიფემ. გამოუყვანეს ერთი მკვტარი ცხენი, შაჯდა ეს ქაჩალაი, ქალაქში რო გამაიარა, ერთი სიცილი და ხარხარი დააყარეს, მაგრა მათ ქაჩალამ ყურადღება არ მიაქცია. შოიდა თავი ქოხში, გააჟღრიალა აღვირი და იმ სააჩი გაჩნდა იქ თავი ოქროს რაში. შაჯდა ზურგზე ქაჩალაი და გამოუდგა თავი ქვისლებსა. უკანიდან წამოუარა და თითო მათრახი უთავაზა.

— ეს როგორი თავადი იყოო, — ჩაილაპარაკეს სიძეებმა. გაგწია ამ ქაჩალამ და ნახა, რო ერთი კლტე იღება და იკეტება, უკვდავების წყარო იმ კლტეს იქით არი. ქაჩალამ დაგკრა მათრახი თავი რაშსა და გადაახტუნა ამ კლტესა. აამსო ლიტრა წყლით, გადმაახტუნა რაში და წამოიდა. შამოხვთა ქვისლებ გზაში.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოთ! სიძეებშაგ ჰკითხეს:

— ეგ რის წყალია, რო მოგაქო?

— ეს უკვდავები წყალიაო.

— მოდი, ორ ხურჯინ ოქროს მოგცემთ და ეგ წყალი მოგვეციო. გამაართვა ეს ოქროი, მიგცა წყალი და ქაჩალაი წამოიდა.

მოუტანეს ხემწიფეს ეს უკვდავები წყალი. დალია ხემწიფემ და გასაღდა. არ გაიარა ორმა კვირემ და კიდე გახთა ავათ. ისევისე დაიბარა სიძეები და უთხრა:

— აბა, ჩემო სიძეებო, აგა და ამ ალაგას უკვდავების ყურძენია, გველის სარი უდგია და გველაშაპის ღობე აქვო, თუ იმ ყურძენს მომიტანთ, მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო.

წავიდნენ სიძეები და კიდე წაიღეს თითო ხურჯინი ოქროი. როცა სიძეები წავიდნენ, ხემწიფეთან მივიდა ქაჩალაი და უთხრა:

— ერთი ცხენი მეც მომეცი, იქნებ მეც მოვიტანო უკვდავები ყურძენიო. გამაუყვანეს ერთი დავარდნილი ცხენი და მიჯცეს. შაჯდა ეს ქაჩალაი, ქალაქში რო გაიარა, კიდე სიცილ-ხარხარი დააყარეს, — ჰაი ქაჩალაი კი მაიტანს უკვდავები ყურძენსაო.

მოიდა სახში ქაჩალაი, დააჟღრიალა თავი აღვირი, მოვარდა ოქროს რაში, შაჯდა ზეთ და წაჩეეწია თავი ქვისლებს, თითო კაი მათრახი არტყა და წავიდა.

მივიდა იმ ვენახში, საცა ეს უკვდავების ყურძენია. დაინახა, რო გველსა და გველაშაპს სუ წივილი გააქვთ.

— რაც იქნება იქნებაო, — თქვა. დაჯკრა ერთი მათრახი თავი რაშსა და დეეცა ამ ყურძენ ზეიდან. დაჯწვდა ერთ ვაზსა და ყურძნიან-ფოთლიანათ ამაგლიჯა. გველმა და გველაშაპმა წივილ-კივილი აჯტეხეს, მაგრა ქაჩალას ვერაფერი ვერ უყვეს.

გამაუარა ამ ქვისლებ.

— რა არი, რო მოგაქვ, უკვდავები ყურძენი ხო არ არიო, — ჰკითხეს ქვისლებმა.

— წორეთ ის გახლამსო, — უთხრა ქაჩალამ.

— რა ღირსო?

— ფულზე არა ვყიდიო, მყიდველ ჩემა რაშმა თითო წიხლი უნა დაჯცხოს რბილ ადგილზეო.

— კარგიო, უთხრეს სიძეებნა. დაჯცხო ამ რაშმა წიხლი და დადაღა ეს სიძეები. ბოლოს მიჯცა უკვდავები ყურძენი სიძეებ, თვითონ გამოჯწია და წამოიდა შინ.

სიძეებმა მაიტანეს უკვდავები ყურძენი, ხემწიფემ ჭამა და მორჩა.

ხემწიფემ თქვა: — ამტელი ომი, ამტელი უკვდავები წყარო და უკუდავები ყურძენიო, მოდი ერთი დიდი მეჯლისი უნა გადავიხადოო. თავისი პატარა ქალი და ქაჩალაი არ დაჯპატიჟა. ქაჩალამ თავი ცოლს უთხრა:

— აი, მაჩაშენი დილის ბაღდადი, ჩაიცვი რაცა გაქვ კარგი ტანსაცმელი და წადი, როცა მამაშენმა პირველი ჭიქა აიღოს და დაილოცოს, ბაღდადურ რო დაუკრამენ, მაშინ გადახტი და ჩამოუარე, არავი არ გაჯცე ხმაო.

წამოიდა ეს ქალი მართლა და მივიდა ჩეჯლიში. ხემწიფემ აიღო ჭიქა და დაილოცა, თქვა თავი სიძეები სადღიგრძელო და დაჯკრეს ნაშინ შალახო, გადახტა ამ ქალმა გაშალა ეს ბაღდადი და ჩამაუარა. ჭყიტეს თვალები ყველამა.

— ამას ეს ბაღდადი ვინ მიიცაო. ხემწიფემ დაუტია, გააგდეთ ეგ დედაკაცი, საწყალი ქაჩალაი დაუტოვებია და ვიღაცა შაუყვარებია, ეგ ბაღდადი ვინ მიიცა მაგასაო, მაგრა ქალი არ იშლის არაფერს. ხემწიფემ უთხრა:

— ვინ მოგცა ეგ ბაღდადიო?

— ვინ მამცა და ჩემა ქმარმაო.

— შენ ხო მითხარი, ბაღდადი ვინც ომში დაეხმარა, იმას მივეციო.

— ჩემი ქმარი დამეხმარა ომში და იმას მივეციო, — უთხრა ქალმა. ხემწიფემ ვეზირებ უთხრა:

— აბა შასხედით ცხენებზე, თუ სახშია ქაჩალაი, აქ მამიყვანეთო. ამ დროს ქაჩალას ოქროს რაშიც კარებზე უბია, თავი კარგი ტანისამოსი აცვია, თავზეც მოხდილი აქვ თავისი ქაჩალი, გადაწოლილია თავი საქათმეში და ისვენებს.

ვეზირებმა რო ეს რაში დაინახეს, შაშინდნენ. მოუხადეს ქუდები და უთხრეს:

— თუ შაიძლება, ხემწიფე გიბარებსო. ქაჩალამ უთხრა:

— წადით, უთხარით ხემწიფეს თითონ მიახლოს ემ სააჩი აქაო. ვეზირები წავიდნენ ხემწიფეჲთან და უთხრეს:

— ის ჩვენ რას წამოგვყვებოდა, ხემწიფეც ის არის და ღმერთიც, ისეთი რაში უბია, რო თვალ მოგჭრის, ხოლო მას თავი ქაჩალა ქუდი ხელში უჭირამო.

ადგა ხემწიფე, გაიყოლა ვეზირები და წავიდა. ხემწიფემ თხოვა:

— წამობრძანდით და ჩემ მეჯლიშს დეეჲწარითო.

— წადით და ეხლავე შოვალო. ესენი რო წამოიდნენ, ქაჩალამ რაშ უთხრა:

— ამსვი-დამსვი და ხემწიფი ბალკონში დამსვიო. დასვა რაშმა ბალკონში. დააყენა რაშიც იქვე, სად არი, სად არა ხემწიფე და თავი ვეზირებიც მოიდნენ. გაუკვირდათ ძალიან, ქაჩალაი იქ დატოვეს და მათ აქ დახვდათ.

ყველა თავთავი ალაგას დასხდნენ. ქაჩალაი კი თავი ცოლ მიუჯდა გვერდში. ხემწიფეს უთხრა ქაჩალამ:

— გავიგე, რო ომებში გაიმარჯვეთ, ერთი მიამბეთ, როგორ გაიმარჯვეთო.

— ჩემა სიძეებმა გაიმარჯვესო, — უთხრა ხემწიფემ. უფროს სიძეს უთხრა სიმამრმა:

— აბა, უამბეთ, როგორ გაიმარჯვეთო.

— მე გავიმარჯვე ზოგი ხვთითა და ზოგიც ჩემითაო, — თქვა უფროსმა სიძემ. შუათანამაც უთხრა:

— ჭეც ზოგი ხვთითა და ზოგიც ჩემით გავიმარჯვეო. ეხლა თავის ცოლ უთხრა:

— თქვენ როგორ გაიმარჯვეთო. ქალმა უთხრა:

— ჭე ერთი ხმალი არ გამიქნევია, ერთი შენნაირი კაცი მოიდა იქა, იმან გაიმარჯვა და მე ამ ბაღდადით დავასაჩუქრეო, ყასითათ უთხრა თავი ცოლმა.

ქაჩალმა ქვისლებ კიდე უთხრა:

— აბა ერთი ის უკვდავები წყალი რო მაიტანეთ, მაგი საქმე როგო იყოო.

— რაც მართალიშ, მართალი, ვიყიდეთ, ჩვენ არ მაგვიტანიაო, — უთხრეს სიძეებმა.

— ის უკვდავები ყურძენი რო მაიტანეთ, ის როგორღა იყოო.

— გზაში ერთ კაც მოჟქონდა და მან მოგვცაო,—თქვეს სიძეებმა.

— მე ხო არ ჭგვანდა ის კაციო, — უთხრა ქაჩალამ.

— რავი, რაღაც ეჭვები კი გვეპარებაო. ადგა ქაჩალამა და უთხრა უფროს სიძეს:

— ნუ გრცხვენია, გაიხადე მარჯვენა ჩექმაო. გაიხადა ჩექმა, ნახეს ხალხმა, რო ცერა თითი მოჭრილი აქ. შუათანა სიძეს უთხრა:

— შენ ეგ ქუდი გვერდზე ნუ გხურამ, ყარაღაჯულათ, მაიხადეო. მაიხადა ქუდი, ნახეს იმასაც მოჭრილი აქ ყური. მიცა ყური ბიბილოი და უთხრა:

— დაატოლე წორია თუ არაო. დაატოლეს, წორი იყო; უფროს ცერა თითი გადაუგდო,—ნახე, შენია თუ არაო, დაატოლეს და ისიც, ის ცერა თითი აღმოჩნდა. ეხლა უთხრა:

— აბა ერთი გაიხადეთ ჩემი რაში ნალები მაჩვენეთ, უკვდავები ყურძენი რო მოგეცითო. გახადეს და მართლაც აღჭოაჩნდათ დაღები.

— წორია თუ არაო, — დაუძახა ხემწიფეს.

— წორეაო, — თქვა ხემწიფემ.

— თუ წორეაო, და აიღო თავისი ქაჩალა ქუდი და ზეთ თვალებში მოარტყა ხემწიფეს.

— აი, ეს ქაჩალაჲ ქუდია.

— მე ვარ შენი ქაჩალაი სიძე და ესენი შენი ნაქები სიძეები არიან; უფროს სიძეს ეგ ცერა თითი მე მოვაჭერი, მე გავიჭარჯვე, მაგან კი არაო, შუათანას ყური მე მავაჭერიო ნიშნათ, მე გავიმარჯ-

ვე, ბაგან კი არაო, უკვდავები წყაროც და ყურძენიც მე მაგიტანე, მაგათ კი არაო.

ხემწიფეს ძალიან გაუხარდა და თქვა:

— ხემწიფეც შენა ყოფილხარ და გმირიც, ხემწიფობაც შენთვინ დამითმია და სახემწიფოცო.

მაისვა გვერდზე თავი ბოლოლა ქალი და ქაჩალამ და ხემწიფემ ერთი დიდი ქორწილი გადაიხადეს.

ქაჩალამ მაიყვანა თავი მამა იქ, დედინაცვალი და მისი საყვარელი დახოცა და დღესაც ხეშწიფეა.

მთას ურემი ავიტანე,
ძირ ჩამოვა გორვებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხიო,
საიქიოს ცხონებითა.
შაიყრებიან ქვისლები,
წიწილებ უგამთ კისრები!

19. ᲕᲐᲨᲚᲐᲓᲐᲛᲘ

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხემწიფე. მას ჰყამდა ერთი ᲔᲖᲔᲗᲣᲜᲐᲮᲐᲕᲘ ქალი, რომელსაც სამჯერ აწონიდა დღეში. შვილიᲐᲗᲕᲘᲜ ნათქვამი ჰქონდა:—თუ რამე მოიმატე, იმ სააჩი ჩამოგახრჩობო. მუახლეთ ამ ქალსაᲐ ყამდა ერთი ქალი. მისი ნახვის უფლება მოახლეს და თავი მაᲔᲐᲐ ქონდა.

ერთხელ მუახლე ქალმა ნახა, რო წყალსა მუაქ ვაშლი. შეᲐᲢᲝᲠᲐ და დაიჭირა. რო გამოიტანა, უნა შეეჭამა, მაგრამა თქვა: მოდი, ჩემ ქალბატონ მიუტან და გეერთობაო. მარლაც მიუტანა. მზეთუნახავ ძაან მეეწონა ვაშლი, გაშჭრა შუაზე და ნახევარი შეჭამა. წორეთ ის დრო არი, რო მამაᲔ საღამოთი უნა ᲐᲐწონოს მესამეთა. მამამ ნახა, რო მომატებული არის ეს ქალი, ხემწიფემ იმ სააჩივე მუახლეს თავი მუაგდებინა. ქალი თავი ხელით ვერ გაიმეტა მოსაკლავათ, ნაზირ-ვეზირებ მიᲐცა და უთხრა:

— წაიყვანეთ ეს ქალი, მე არ დაᲔანახოთ ისე მოᲐკალით და მის სისხში რამე მოსვარეთ და ნიშანი მომიტანეთო. ვეზირებმა წაიყვანეს ეს ქალი უღრან ტყეში, შაებრალათ და არ მოკლეს. ქალი დაᲐტოვეს ტყეში, გაუმართეს პატარა ქოხი. ერთი კურდღელი მოკლეს და იმი სისხში მისივე თავშალი მოსვარეს და ხემწიფეს მიუტანეს ნიშნათ. ხეᲔწიფეც დარწმუნდა, რო თავი შვილი მკვტარი იყო.

ქალი დარჩა მარტოთ ტყეში. მეორე დღეს მუცელი აიტკივდა და ეყოლა ოქროს ქოჩრიანი ბიჭი. ქალმაი თქვა:—მე კაცთან საქმე არაი მქონია და საიდან გამიჩნდა შვილიო? რახან ვაშლმა მიქნა ეგაო, დაარქვა თავი შვილსა ვაშლადამი!

ეს ბიჭი გაიზარდა. რომელიც წლით ირდება, ის დღით ირდება. შვიდი წლისა უკვე მგლებზე ნადირობდა, თავი ქოხი სუ ვეფხვისა და ნადირები ტყავით მორთო. ახლო-მახლო ნადირი სუ გაიწყვიტა და სუ შორ იწევს. წორეთ ერთ დღეს მოხვთა იმ ადგილს, საცა მის პაპას ოქრო გუთანი უბია. გაიარა, იმას ეგონა მხეცებ წავაწყდიო, დაავლო იმ გუთან ხელი და სახში წაიღო. სახში რო მიიყვანა ხარ-კამეჩი, ზოგი დამხჩვალიყო კიდეცა. დედამ რო ეს გუთანი დაინახა, იმ საჩივე იცნო. შვილ უთხრა:

— ეგ რა გიქნიაიო. ეგეთი რამე მეორეთ აღარ ჩაიდინოო. როგორც ჩვენა ვართ ხალხი, ეგეთივე ხალხი სხვაგანაც ცხოვრობენ და ეგეთი ნადირი მოშინაურებული ჰყამთო. ამ ბიჭ თავი დედის მეტი ქვეყანაზე არავინ არაი გონია. მეორე დღეს კიდე წავიდა სანადიროთ, ნახა, რო ერთი მონადირე თოფით ნადირობს. წორეთ იმ დროს მონადირემ ფრინველს ესროლა. ეს ხმა რო გაიგო, თქვა:—ეს რა კაი გასართობიაო. შემოიცხო იმ მონადირესა და თოფი წაართვა, დაკუნჭა ეს მონადირეი და დედას მიუყვანა მკვტარი. დედამ რო ეს დაინახა, შვილ უთხრა:

— განა კიდევ შეიცთი, კიდე მოიკალი ვინმეიო?

თოფი დაუტოვა დედას გასართობათ.

ბიჭი ისევ წავიდა სანადიროთ. დედამ კიდე დაარიგა: მეტი აღარ შაიცთეიო. ნახა ბიჭმა, რო ორი კაცი ჩხუბობენ. მეშოკით სამსე ოქროი ფული უდგიათ. რო დაინახეს ეს ბიჭი, დაფრთხნენ და გაიქცნენ. ბიჭმა ორთავენი მოკლა, წამოიღო მეშოკიცა და დედას მიუტანა. დედაშ კიდე დაარიგა:—მეტი აღარა შაიცთეო.

დედამ დაწერა პატარა ქაღალდი და უთხრა:

— წადი ამა და ამ ადგილას, ნახამ მჭედლებს, ამ ქაღალდს აჩვენებ და ისეთ შვინდისარ გაგიკეთებენ, როგორც შენ შაგეფერებაო. თანაც გამაატანა ფული და ოქროი გუთანი. ხალხი დაფრთხა, ამოტოლა კაცი რო დაინახეს.

მთელი მჭედლები შეკავშირდნენ და დაუწყეს შვინდისარს კეთებაი, მაგრა ისეთი ვერ გააკეთეს, როგორც მას შეეფერებოდა. ორი დღი შემდეგ ჩავიდა ვაშლადამი და შვინდისარი გაკეთებული დახვდა. წამოიღო თანა. მთას რო ესვრის, სუ ძირიანათ გლეჯამს.

ამ შვინდისრით უფრო ნადირობს, ეხლა სუ ერთი-ორ კვირას ნადირობს განუწყვეტლივ.

ამ ხეტიალში ერთ მაღალ მთაზე ავიდა და დაუღამდა. შორს გახედა, რაღაცა ბრჭყვინავს. თავი გულში გადაიწყვიტა:—უნა წავიდეიო. ადგა და წავიდა. ნახა, რო სასახლეია, გალავანი სუ სპილოს ძვლისაა. შემოუარა გარშემო, მაგრა კარები ვერ უპუა. იქვე დაწვა. რო გათენდა, ერთ ადგილას დაიცხო წიხლი გალავანსა და შევიდა შიგნით. სასახლე სუ ბროლისაა, ვერც კარები უპუა და ვერც ვერაფერი. თურმე აქაი ცხოვრობენ თორმეტი ძმანი მდევები, სუ უმფროს აბია ერთი თავი და სუ უმცროს თორმეტი, ეს თორმეტ თავიანი მდევი ჰყამთ ხემწიფეთ. ეგ მდევმა მაშივე გაიგო, რო ადამიანის შვილი მისულა იქა. უმფროს ძმას უთხრა:

— გადი, ნახე ვინ არი ეოსულიო. გამოიდა უმფროსი ძმაი თუ არა, იმ სააჩი მოკლა ვაშლადამა. მერე გაგზავნა მიმდევნო,—ისიც მოკლა, ესე რო თერთმეტი ძმაი მდევი სუ დახოცა. ბოლოს თორმეტ თავიანი მდევიც გავიდა. დაიტაკნენ. მდევს რამდენ თავსაც მააჭრი, იმტელი ებმევა. დილიდან საღამომდე იომეს, მაგრა ბოლოს ვაშლადამს ერთი ბეღურა ჩიტი მეეშველა, ბეღურამ შაუყვირა:

— სამჯერ ჰაერში ხმალი უკუღმა შაატრიალე და თავები აღარ ამოუვაო. მართლაც, ასე მოიქცა და მდევი მოკლა. ბიჭმა დახოცილი მდევები ხაროში ჩაყარა და თავზე სარქველი დახურა. შავიდა სასახლეში და ნახა აუარებელი ქონება, ოქრო-ვერცხლი, ბიჭმა მოიყვანა თავი დედაი აქა.

გავიდა რამტელიმე ხანი. ამ ეზოში ერთი პატარა კანაო იყო, რომელიც ჩადიოდა იმ ხაროშია. დედამ კანაოში წყალი გადააქცია. და ეს წყალი ხაროში ჩავიდა. უცეფ ხაროდან დედას რაღაც ფრუტუნი შამეესმა. ბიჭი სანადიროთ იყო წასული. თანაც ამოიძახა მდევმა ხაროდანა:

— რახან წყალი ჩამაასხი, შადი მეცხრე ოთახში, იქ სამნაირი სურა დგას, ერთი წითელი, ერთი ლურჯი და ერთიც შავიო, ლურჯი სურაი გამაიტანე, იცაში რაც არი, ამ კანაოში ჩაასხიო. ქალი ეგრეც მოიქცა: ჩაასხა ეს წყალი კანაოში, ჩავიდა ხაროშია, მეესხა თორმეტ-თავიან მდევ თავები და ამოვარდა ხაროდანა. ეცა ამ ქალ და უთხრა:

— თუ არ გამთქვამ, მე ქმარი და შენ ცოლიო. ქალი დეეთანხმა.

— ჩემი შვილი რო მოვა, გაგვიგეფს და დაგვხოცამსო,—უთხრა ქალმა. მდევმა დაარიგა:

— ცხრა კლიტულში დაშმალეი და როცა წავა სანადიროთ, ერთათ ვიყვეთო. მართლაც, ეგრე მოიქცნენ. ეს ქალი ფეხმძიმეთ გახთა. ბიჭმა არაფელი არ იცის. მოახლოვდა მშობიარობის დღეი. გაუჩნდა ქალ ისევ ოქროს ქოჩრიანი ვაჟი. ქალმა დაიწყო ტირილი, როგორ უნა მოვიქცე, რო ჩემა შვილმა ეს არ გამიგოსო. მდევმა დაარიგა:

— წაიყვანე ეს ბავშვი, იმ გზაზე დააგდე, საიდანაც შენი შვილი მოდისო. როცა იპოვის შენ მოგიყვანს და გარდიო.

მართლაც, ქალი ეგრე მოიქცა. დასვა ეს ბავშვი იმ გზაზე, საიდანაც მოდიოდა თავი შვილი. ვაშლადამი რო მოდის თავი ნანადირევით, იპოვა მტირალი ბავშვი. ბავშვ რო დააცქერდა, გაუცინა და წამოუყვანა თავი დედას.

— როგორც ბე ამზარდეო, ისე გაზარდე ესაიო,—უთხრა დედასა.

ბავშვი წამოიზარდა. რომელიც წლით ირდებიან, ის დღით ირდება. დავაშკაცთა. როცა ვაშლადამი სანადიროთ წავა, ბავშვი სახში რჩება. ამ დროს ამოდის მდევი. ბავშვს ბრაზი მოდის და ტირილს იწყებს. ენა რო ამოიდგა, ძმას უთხრა. მივიდა ვაშლადამი ცხრაკლიტულთან, მაგრა ვერ გააღო. გასაღები ქალსა თმაში ჰქონდა. ბავშვმა მოიპარა გასაღები, გააღო ცხრაკლიტული და ვაშლადამი და მდევი დეეტაკნენ. ქალი მდევ ეხმარება. წავა, მოიტანს კოკით წყალსა და ვაშლადამს ფეხთით დაუქცევს,—რა არი დაეცეს,—ბავშვმაჲ კრა დედი კოკას ხელი, დედა იქით გადავარდა, კოკა მდევი ფეხთით დეეცა, მდევი მუხლით დავარდა. მდევმა რომ შაატყო, მარცხთებოდა, ქალ დაუყვირა:

— შედი მეცხრე ოთახში, გამაიტანე შავი სურაცა და წითელიცაიო. წითელი გატეხე ჩემ ფეხებში, შავი—ამი ფეხებშიო. გამოიქცა ქალი და ეს სურები მაარბენინა, რო უნა დააგდოს ეს სურები, გამოჲტაცა ბავშვმა ხელიდან, შავი სურა მდევი ფეხებში დაახეთქა და წითელი—ვაშლადამი ფეხებში. მდევ ფეხი დაუსხლტა და ვაშლადამა იგი ბოჲკლა. აჩეხ-დაჩეხეს ეს მდევი და დაწვეს.

ვაშლადამა უთხრა თავი ძმას:

— ჩვენ აღმზრდელი ერთი გვყამდა, დღეის შემდეგ ეს აღარ არი ჩვენი დედაიო. მააჭრეს დედას ორივე ძუძუი, მარჯვენა ძუძუი იქნება ჩემი დედაიო და მარცხენა შენიო. დედა მოკლეს და ეს ძუძუები შაინახეს.

ვაშლადამა თავი ძმას შაუძინა იგივე იარაღები. ძმა სუ მას ჰგამდა.

ვაშლადაცა შემდეგ ძმას უთხრა:

— მე წავალ და შენ დარჩი, თუ რამე გამიჭირდება შენი ხმლი პირი ასისხლიანდება, თუ შენ გაგიჭირდება—ჩემი ხმლი პირიო და ერთმანეთს უშველითო. წავიდა ვაშლადამი. იარა რამტელიმე ხანი. ჩოიდა ისეთ სახემწიფოში, სადაც წყლი ხსენებაი არ არი. ბიჭს ერთი დედაბერი შახვდა და უთხრა:

— დედაშვილობასა, ამაღამ შამინახეიო. დედაბერმა წაიყვანა თავი სახში. ვაშლადამს წყალი მოჟწყურდა. დედაბერცა ბინძური წყალი მიუტანა:

— შვილო, ჩვენ ხემწიფეს ერთი გველაშაპი გადეემტერა და წყალ არ გვაძლემს, თუ ას კაც გაუგზავნის ხემწიფეი, წყალ მიჟცემ გველაშაპი, თუ არა და არა და იმიტვინ არა მაქ წყალიო.

ვაშლადამა ეს რო გაიგო, წავიდა წყალთან, გამაართვა დედაბერს სურები და ქვევრები. წორეთ იმ დროს წავიდა ეს ბიჭი, როცა ხემწიფი ქალიშვილი მიყამთ გველაშაპთან, ქალი დააბრუნა სახში და თვითონ წავიდა იქ, საცა გველაშაპი ეგულებოდა. უცეფ მოიღრუბლა, თანა წვიმ და ქუხ და გამოჩნდა ეს გველაშაპი. რო შახედა ქალის მაგივრათ ერთი ბიჭი ზის, უფრო გაბრაზდა. ვაშლადამა ესროლა შვინდისარი და ეს გველაშაპი შუაზე გახეთქა.

მოუტანა ბებერს წყალი. ხემწიფემ გაჟცა განკარგულება:

— გველაშაპის მკვლელი მამიყვანეთო. წავიდა ბებერმა ხემწიფეჟთან და უთხრა:

— ის ბიჭი მე მყამო. ხემწიფემ დაიბარა ვაშლადამი და უთხრა:

— რასა მთხომ ასეთი სიკეთიტვინ, ჩეჩი ქალი შენთვინ დამილოცნიაო. დააქორწილეს ვაშლადამი ხემწიფი ქალზე—დიდი ქორწილი გადიხადეს.

როდესაც ღამე დაწვნენ ერთათ, ბიჭმა დაინახა, რო შორს რაღაც ანათებდა. თავი ცოლ შაეკითხა:

— რა არი ესაიო? ქალს არ უნდოდა ეთქვა, ძალაუნებურათ ათქმეინა. ქალმა უპასუხა:

— იქ სცხოვრობენ ცხრა ძმანი, მათა ჰყამთ ერთი დაი და ის ანათებსო. თანაც უთხრა:

— ვინც წასულა, იქიდან ცოცხალი არ დაბრუნებულა, იქ ერთი ჟტოლი დგა, ზედ სურით წყალი და ერთი ბურთი დემსო. იქ მისული რო დაისვენებს, დაავლებს ამ ბურთ ხელსა და ეს ნიშანია იმისა, რო იწვემს საომრათაიო. ვინც მათ დააჟარცხებს, ქალიც იმას დარჩებაო.

მეორე დღეს ადგა ბიჭი და წავიდა. როგორც ცოლმა უთხრა, ისე მოიქცა. გამოუძახა ძმებსა და ოთხი ერთათ დახოცა. ძმებმა რო დაატყეს, ეს დაგვამარცხებსო, იშკილი დააგდეს და უთხრეს:

— მობრძანდი, ჩვენი სიძეი იყაი, ჩვენი ავლადიდება გაჩვენოთო. ეს ბიჭიც დაჲთანხმდა. მაატყუილეს და ცხრა კლიტულში შააგდეს. ასისხლიანდა მისი ძმის ხმალი და ისიც წამოიდა ძმი საძებნათ.

წორეთ იმ სახემწიფოში მოიდა, სადაც რო თავი ძმას ცოლი ჰყამდა. ხემწიფე გამეეგება წინა და უთხრა:

— სადა ხარ, რამტელი ხანია, შენი ცოლი თავს იკლამსო. ბიჭმა თქვა:

— ეტყობა ჩემ ძმას აქ ქალიც შაურთამსო და დღეს აქ აღარ არისო, მაგრა არა თქვა რა.

იმ ღამეს ქალი და ეს ბიჭი ერთათ დაწვნენ. ბიჭმა ხმალი ამაიღო და შუაში ჩადო და ქალ უთხრა:

— ამაღამ ისეთ გუნებაზეი ვარ, რო ახლო არ გამეკაროო, მაგრა ქალმა მაინც წაიწია, ბიჭი ნეკა თითით შაეხო და უთხრა: დაიწეი უკანო. აჲ ბიჭმაც დაინახა სინათლეი და ქალ უთხრა:

— ის რა არიო? ქალმა უთხრა:

— აკი გითხარი იმ დღესა, რაც არიო.

— მაინც მამიყეიო. ადგა და ქალი მოუყვა. ბიჭმა რო ეს გაიგო, თქვა:

— აკი მითხარი, გადამავიწყდაიო.

მეორე დღეს გათენდა თუ არა, ეს ბიჭი მივიდა იქა. ძმებმა იმასაც პურმარილით გაჲეეგებნენ და ისიც თავი ძმაჲთან შააგდეს ცხრაკლიტულში. როცა ძმები ერთი ერთმანეთს შახვდნენ, გატეხეს ცხრაკლიტული, დეეები დახოცეს და ქალი წამაიყვანეს.

მოიდნენ ხემწიფის ქალთან. ქორწილი კი გადაიხადეს, მაგრა ვერც ხემწიფემ და ვერც ცოლჲა ვერ იცნო ვაშლადამი. ბოლოს ძმამ უთხრა ვაშლადამსა:—მე წუხელი შენ ცოლთან ვიწექი, ხმალი ამავიღე და შუაში დავდეი, მხოლოთ ნეკა თითით შავეხეიო. თუ არ გჯერამს, აი, ამ ხმალ ავისვრი მაღლა და რითაც შავეხე, წორეთ იმ ადგილას დამეცესო. აისროლა მართლაც ბიჭმა ხმალი და ნეკა თითზე დეეცა.

ხელმეორეთ იქორწილეს და წამოიდნენ თავაანთ ბროლი კოშკში. ცოლებს აჩვენეს ძუძუები და უთხრეს:

— ეს ჩემი დედაი არი და ეს ამისიო. ეს ქალებ გაუკვირდათ, და როცა თავაანთი თავგადასავალიც მოუყვნენ, ქალები ძრიან განცვიფრებულნი დარჩნენ.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

20. თეთრცხენა მონადირე

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ღარიბი კაცი. ჰყამდა სამი ვაჟიშვილი. უმცროსი გათქმული მონადირე იყო. უნფროსები კი შინ ისხდნენ. უმცროს ვაჟიშვილ თეთრი ცხენი ჰყამდა, რაშივით დაფრინავდა ეს ცხენი, საცა კი წავიდოდა, სუ თან დაჰყამდა. ცხენ თუ მათრახ გადაჰკრამდა, საცა ბიჭი ნება იყო, იქ გაჩნდებოდა. ამ ბიჭ თეთრცხენა მონადირეს ეძახდნენ.

ერთხელ მააჯდა თავი თეთრ რაშსა და ეს ბიჭი წავიდა სანადიროთ. შამოხვთა ბებერი დედაკაცი.

— გაბარჯობა, დედი!—უთხრა.

— გაგიმარჯოს, შვილო!

— ემ მთაში ბევრი ნადირი თუ არიო?—ჰკითხა ბიჭმა.

— არიო, შვილო, მაგრა შენითანა კაც გააფუჭებენ, იქ თორმეტ თავიანი მდევი ცხოვრობსო, ბიჭმა არ დაიშალა და გაჰწია იმ მთაში. დახვდა ატეხილი ტყეი. ადამიანიშვილ იქ არ გეევლო. რაში მიქრის. ბიჭი მღერის თავი საყვარელ სიმღერას (ეს ბიჭი გათქმული ნომღერალიც იყო!). ამ სიმღერაში ვერც გეეგო, რო თორმეტთავიანი მდევი სასახლეს მოჰდგომოდა.

მდევის ქალ სიმღერა ძრიან მეეწონა და კოშკიდან გადმოჰხედა ბიჭსა.

— რა კარგი ჭაბუკი ხარო, მაგრა მებრალები, საცაა მდევი მოვა და გაგაფუჭებსო.

ბიჭი ახლა გამოფხიზლდა. დაინახა, რომ მზითუნახავი სუ ანათებდა იქაურობას. შაუყვარდა ქალი, მაგრა როგო ავიდეს კოშკში! დაჯდა და სიმღერა დაიწყო. ისე ნაღვლიანად ნღეროდა, რო ქალ ცრემლები ჩამოჰცვივდა. მაღლა არწივი მიფრინავდა. გაიგონა ეს ნაღვლიანი სიმღერაი და ბიჭსა ჰკითხა:

— რატო ასე ნაღვლიანად მღერიო?

— ესე და ესეა ჩემი საქმე, მაღლა კოშკში თორმეტთავიან მდევ მზითუნახავი ჰყამ და ვერ ავსულვარო.

— შამაჯედი ფრთებზე და მე აგიყვანო. ვაჟმა თავი თეთრი რაში

იქვე დატოვა, შააჯდა ფრთებზე არწივსა და მზითუნახავი სარკმელთან მიფრინდა.

— რა ხარ, რა სურიელი ხარ, აქ რამ მოგიყვანაო, აქ თორმეტთავიანი მდევი შიშით ადამი შვილს ფეხი არ დაუდგამო!

— მე ღარიბი მონადირეი ვარო, ერთი თეთრი რაში ბეტი არაფერი მაქო.

ქალსაც შაუყვარდა ეს ბიჭი და უთხრა:

— ეხლა წადი, თორე საცაა წყეული მდევი ბოვა და შეგეპამსო.

სად იყო, სად არა, მოიდა თორმეტთავიანი მდევი. ბიჭი რო დაინახა, დაეტაკა. შაიქნა ერთი დიდი ომი. ბიჭმა მოიქნია მდევი და ჩარგო მიწაში, იძრო თავი ხმალი და დაუწყო თავებ ჩეხაი. მდევმა უთხრა:

— ერთი თავი მაინც შამარჩინე და ბედსა გწემ, დიდ სიმდიდრეს გაჲწავლიო. ქალბა ბევრი უშალა, მაგრა ბიჭმა თქვა:

— თორმეტთავიანმა ვერა დამაკლო, ერთთავიანი აბა რაჲ დამიშავებსო და დევი აუშვა.

მდევმა რო თავისუფლება იგრძნო, წამაატანა ხელი მზითუნახავ ქალსა და გაიტაცა ჰაერში. დარჩა ბიჭი ცარიელი. მივიდა თავი რაშთანა და დაიწყო გულისაკლავათ სიმღერაი. მისი ცოდვით რაშიც ჲტიროდა. მოფრინდა ისევისე ის არწივი, შაებრალა ბიჭი და უთხრა:

— რა გაგჭირვებია, ასე ნაღვლიანად რო მღერიო?

— ესე და ესე დამემართაო!

— შამაჯექ ზურგზე და ბე გაჲწავლი იმ მდევი გზასაო.

არწივი გაფრინდა და ბიჭიც თან წაიყვანა თავის თეთრი რაშითა. ბევრი იფრინეს, თუ ცოტა, მაადგნენ ერთ დიდ მთას. არწივმა უთხრა:

— აი, ამ მთაში ცხოვრობს ის მდევი, ქალიც აქა ყამო. ბიჭმა მადლობა გადაუხადა არწივსა, მააჯდა თავი თეთრ რაშსა და გაუდგა გზას. მთი ძირში მაღალი კოშკი იდგა. ბიჭმა ისევ-ისე თავისი საყვარელი სიმღერა დაიწყო. კოშკი ფანჯარა გაიღო და მზითუნახავმა გამოიხედა.

— აქ რაბ მაგიყვანა, ჩქარა წადი, თორემ საცაა წყეული მდევი მოვა და გაგაფუჭებსო.

— შენ ის გამიგე, მდევ სული სადა აქვსო,—გაჲძახა ბიჭმა.

როცა შეღამდა მდევი ნადირობიდან დაბრუნდა და ცხრა მოკლული ირემი მაიტანა.

— ადამიანი სუნი მამდის, ხომ არავინა ყოფილაო?

— არაო, აქ აბა ვინ მოვიდოდაო,—უთხრა ქალმა. მაგრა მე სუ მარტოთა ვარ, მაინც მითხარი, შენი სული სად არი, პატივი ვცეო.

— ჩემი სული ემ დედაბოძშიაო.

მეორე დღეს ქალმა ეს ბოძი ააყვავა, ნაირნაირათ შაღება, მდევ მეეწონა:—მაგრა ვყვარებივარო.

— ჩემი სული ბოძში კი არა, ე მაგ ცოცხშიაო. ახლა ქალმა ეს ცოცხი ააყვავა, სუ ნაირ-ნაირი კაბები შაუკერა. მდევ ესეც მეეწონა.—ასე ვყვარებივარ, უნა უთხრა, საცაა ჩემი სულიო.

— ჩემი სული ცოცხში როდია, ამ მთი ძირში ერთი წყაროია, წყაროში ოქროჲ კიდობანი, კიდობანში ორი კურდღელი ზი, ერთი ჩემი ძალაა და მეორე სულიო.

მეორე დღით მდევი ისევ სანადიროთ წავიდა. ქალმა კი ეს უამბო ბიჭსა. ბიჭი შამაახტა თავი თეთრ რაშსა და წავიდა. სამი დღე და სამი ღამე იარა, მაადგა ერთ კლდესა, გადმოჩუხჩუხებს ოქროს წყაროი. აშალა კალაპოტი და გადმოვარდა ოქროს კიდობანი, ნაშინვე გახსნა. ორი კურდღელი იპოვა. ერთს იქვე გაუყარა ხანჯალი და მეორე კი თან წაჰოიყვანა. მდევი უძალო იქნა.

— ვინც ქალ ენდოს, ჩემებრ მოუვიდესო, — თქვა მდევმა. ამ დროს შემოვიდა ეს ბიჭიც თავი თეთრი რაშითა.

— ეგ მე ვიყავი, გახსოვს, რო მაჰატყვილეო, აბა, ეხლა მითხარი სად არი შენი სიმდიდრეიო.

მდევმა ყველაფერი უამბო, მიჲცა გასაღებები, აჲწავლა საიდუმლო, და უთხრა:

— ყველაფერი წაიღე, ოღონ სიცოცხლე შამანარჩუნეო.

ბიჭმა იქვე გაუყარა ხანჯალი მეორე კურდღელსაცა და მდევი მოკვდა. დარჩა მას მდევის ოქრო-ვერცხლი, კოშკი და მთელი სიმდიდრეი. დაქორწინდა ამ ქალზე, თან მოიყვანა თავი-ძმები და იცხოვრა ბედნიერათ.

ჭირი იქა, ლხინი აქა!

21. გრძნეული ვაშლი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხემწიფე. ყამდა ერთათერთი ვაჟიშვილი. სიბერე რო მოუახლოვდა, შვილს უთხრა: — შენ დღეში დასავლეთისაკენ სანადიროთ არ წახვიდეო. ამოიღო და მისცა ერთი კოლოფი,—ვიდრემდის არ გაგიჭირდეს, თავი არ ახადოო.

ბოლოს, გადიცვალა ნეფეი. შვილი ძალიან დაღონებული იყო ვეზირებმა სანადიროთ წაიყვანეს. ბევრისაგან ბევრი ნადირი დახოცეს, მაგრამ მოხდა ისე, რომ დასავლეთისაკენ მეექცნენ. დაინახეს შორს ერთი კოშკი. დაინტერესდა ხემწიფი შვილი. მივიდნენ კოშკთანა, ზედ ეწერა: „შემოხვალთ ინანებთ, არ შემოხვალთ, ინანებთ.“

ვეზირმა თქვა:—უწინ მე შევალო; გააღო კარები თუ არა, დახვდნენ შვიდი კაცი ხმალამოღებული. წაიყვანეს ვეზირი, ცხრა კარები გაატარეს, მეათეში რომ მიიყვანეს, ნახა, რო თვრამეტი წლის ახალგაზრდა ჭაბუკი სწემს საწოლზე. უთხრეს ვეზირსა:

— იმთენი უნდა ილაპარაკო, რო ეს ჭაბუკი გააცოცხლოო. ვეზირმა ვერაფერი უთხრა და თავი მოჭკვეთეს.

შევიდა ბეორე ვეზირი. იმასაც ესე მოშჭრეს თავი.

ხემწიფის შვილმა თქვა: — მოდი, ეხლა მე შევალო. შეაღო თუ არა კარები, დახვდნენ შვიდნი ხმალ ამოღებულნი, წაიყვანეს ხემწიფის შვილი და მოიყვანეს ჭაბუკთანა. უთხრეს:

— იმთენი უნდა ელაპარაკო, რო ეს ჭაბუკი გააცოცხლოო.

ხემწიფის შვილმა იფიქრა: ამაზე მეტათ რაღა გამიჭირდება, მამაჩემმა რო კოლოფი მამცა, ეხლა უნდა გამოვიყენოო. ამოიღო კოლოფი და ახადა თავი; გადმოვარდა ვაშლი და მიგორდა ჭაბუკთან. ვაშლმა უთხრა ჭაბუკსა:

— ჭაბუკო, ორი ძმანი მიდიოდნენ გზავრათ, ერთსა ცოლი ჰყამდა, მეორესა — არა, ბევრისაგან ბევრი იარეს, შეხვდნენ ავაზაკები, ორთავე ძმასა თავი მოშჭრეს, ქალს როგორც სუჯტ არსებასა, ხელი არ ახლეს. ამოვიდა მიწიდან ერთი პაწაწა თაგვი და სისხლს დაუწყო წოვნა. შემოუქნია ქალმა და მოჰკლა. გამოვარდა დედა თაგვი და უთხრა: — თვალი, ქალო, შენ დაგიდგეს, თორე ჩემ წრუწუნას მე გავაცოცხლეფ.

მოგლიჯა ბალახი, მიუს-მოუსვა თავი შვილსა და წრუწუნა გააცოცხლა. ადგა ქალი, მოუვიდა აშიპკა, ქმრის თავი მაზლ მააბა, ბაზლისა ქმარსა და გააცოცხლა. რომელს ეკუთვნის ამ ქალის ქრმობა?

ამ დროს ჭაბუკმა გამაახილა თვალები და თქვა:

— იმას ეკუთვნის ქალის ქრმობა, ვისაც ქრმის თავი აბია!..

კიდევ გორაობს ვაშლი და ამბობს:

— სამნი მიდიოდნენ გზავრათ: ღვდელი, დურგალი და მკერალი. ერთ ტყეში დაუღამდათ. ცეცხლი დაანთეს. დარაჯობა პირველათ ერგო დურგალს. დურგალმა, როგორც ხელოსანმა, გამოთალა ერთი პაწაწა ბავშვი, დედოფალა. მერე ერგო მკერალს დარა-

ჯობა. მკერალმა დედოფალს შეუკერა პაწაწა კაბა. ბოლოს დარაჯობა ღვდელს ხვდა. მამამ ულოცა და სული ჩაუდგა. ქალი არც ერთს არა ჰყამდა. — ჭაბუკო, აბა, ვის ეკუთვნის ეს ქალი შვილათა?

ჭაბუკმა უთხრა:

— იმას, ვინც ბოლოს სული ჩაუდგა.

ვაშლი კიდემ ლაპარაკობს:

— ჭაბუკო, ერთ ხემწიფეს ყამდა ერთი შვილი დაჭლექებული. გაგზავნეს ექიმთან ჩიკრიკი. წამალი მოიტანა. მოარჩინა ხემწიფის შვილი. ვისი მორჩენილია?

— ვინც წამალი მოუტანაო.

შემეეხვივნენ ხემწიფის შვილსა: — რა უნდა მოგცეთ საჩუქარი, რო ჭაბუკი გაგვიცოცხლეო.

— არაფერი ზინდა, მხოლოთ ჩემი ვეზირები, გამიცოცხლეთო. ვეზირები გაუცოცხლეს და დიდი პატივისცემითაც გამოიჯტუმრეს ხემწიფის შვილი.

ჭირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე.

22. ირმიშვილი

იყო და არა იყო რა. იყო ორი ხემწიფე: ერთი მდიდარი და ერთიც ღარიბი. მდიდარი ხემწიფეი ღარიბსა სადილი დროს სადილ უგზავნიდა, ვახშმი დროს—ვახშამს. ისე კვებავდა, როგორც თავი ჯარსა. ამ ღარიბ ხემწიფეს თავისი თუ რამე გააჩნდა, სუ რჩებოდა. ისე გამდიდრდა ღარიბი ხემწიფე, რო ერთ დღეს მდიდარს შაუთვალა:

— შენი სადილი აღარ მჭირდებაო. გამოგზავნილი სადილი უკან წაიღეს ისევ-ისე და მიუტანეს მდიდარ ხემწიფეს. მდიდარ ჯავრი მოუვიდა და თქვა: — აბა თუ არ უნა ჩემი სადილი, წავიდეთ და ამოვწყვიტოთ ერთიანათაო.

ამ ღარიბი სახემწიფოდან მდიდართან ერთი ბებერი დედაკაცი ტუმრათ იყო, გამაიქცა ეს ბებერი და შაატყობინა ღარიბ ხემწიფეს. ღარიბ ხემწიფეს ბრძოლა არ შაეძლო, ადგა და თავი ოჯახითა და ხალხით გაიქცა, დაიმალა. რო გარბოდნენ, ყველას ერთ ხიდზე უნდა გაევლოთ. სუ ბოლოს ერთი მელოგინე დარჩა და ისიც გაიქცა, მეც არ მაწკლანო. აიყვანა ახალ-გაჩენილი ვაჟი და გამაუდგა გაქცეულებს. ამ ხიდზე რო გაირბინა, ეს ბავშვი ხევში ჩაუვარდა. ხევი ფოთლებით იყო სამსე, წყალი არ მოდიოდა. აწოყვანა აღარ შაეძლო, გაანება თავი ბავშვსა და თვითონ გაიქცა. მდიდარი ხემ-

წიფე რო მოიდა, ნახა დაცლილი სახემწიფო. გაბრუნდა და ისევისე უკან წავიდა.

ბავშვი ხევში ტირის, ტირის ისე, რო აღარ იცის რა ქნას. ცრემლების მაგივრად თვალებიდან სუ მარგალიტი გადმოდის. ბევრი ტირილისაგან წინ თვალმარგალიტის ზვინი დადგა. იმ ხევზე ერთმა ფურ-ირეშმა გამაიარა, შვილ ეძებდა. ეს ბავშვი რო დაინახა, შაებრალა, მივიდა ახლო, მაგრა თვალ-მარგალიტი რო ბჭყვიალებს, დაფთხა. როგორც იყო მივიდა და თავი ძუძუ ჩაუდო პირში ამ ბავშვსა. მააწუა ძუძუი და ბავშვი გაჩუმდა. შემდეგ დადიოდა ეს ირემი ამ ბავშვთანა და სუ აწუებდა ძუძუსა. ვინც წლით ირდებოდა, ეს ბავშვი საათობით და ნიმუტობით ირდებოდა. შაიმსო ეს ბიჭი ბალნით, დაიწყო სიარული და საითაც ეს ირემი წავა, მიადემს. ისეთი ღონიერი გახდა, რო იმაზე ღონიერი კაცი აღარ შაიძლება. ეს ირეში და ბავშვი მივიდნენ ერთ უდაბურ ტყეში. ეს ტყე შაკრული ჰქონია ერთ ხემწიფეს, იქ არ ატარებს არც მონადირესა და არც არავის. წორეთ იმ დროს ის ტყეი გასხნა ხემწიფემ და ხემწიფიშვილი წამოიდა სანადიროთ. ამ ბიჭმა დაინახა თუ არა, ტყეს რო ჯარი შამაესია სანადიროთ, შაუტია და ნახევარზე მეტი დახოცა.

მონადირეები შაშინდნენ და მივიდნენ ხემწიფეადთან:

— ესე და ესე ვნახეთ, ერთ ირემ ბიჭი დაადემ და ნახევარი ჯარი დაგვიხოცაო. ხემწიფემ ხელახლათ გამოგზავნა სხვა ჯარი, მაგრა მაინც ვერ დაიჭირეს ეს ბიჭი. მერე თქვა ხემწიფემ:

— იმ ტყეს შამოვაკრათ ეკლიანი რკინა, შემოვაყაროთ თივა და ცეცხლი წაუკიდოთ, ხოლო ერთ ალაგას დავტუოთ გასასვლელიო. რო წაუკიდეს ცეცხლი, გაქანდა ეს ბიჭი და გადახტა ეკლიან რკინებში. ირემი გაქანდა და გაება ეკლებში. დაიჭირეს ირემი. მოადყამთ ირემი და ეს ბიჭიც თან მოადემს შორიახლო. მიიყვანეს ირემი ხემწიფი სასახლეში და ჩაამწყვდიეს ერთ სახში. შაამტვრია ამ ბიჭმა ის სახლი და შავიდა ირემთანა. როგორც იყო დაიჭირეს ეს ბიჭი, გაადკრიჭეს ბალანი, აბანავეს და ჩააცვეს სუფთა ტანისამოსი. ბიჭმა არც ლაპარაკი იცის და არც არაფერი.

ხემწიფი ვაჟიშვილ ჩააბარეს ეს ბიჭი აღსაზრდელათ. ხემწიფიშვილმა დღე-ღამე ჩაადჩიჩინა და ირმიშვილ აადწავლა ლაპარაკი, ჩაცმა, დახურვა, სადილი ჭაჭა, წიგნი. ხემწიფიშვილმა ისე აადწავლა წიგნი, რო ირმიშვილმა მას აჯობა.

ხემწიფე თავი შვილ არ ენდობოდა სასახლეს და არსად არ დაადიოდა, სუ შინ იყო. იმიტვინა, რო ერთ ცხრა დაკეტილში ხემწიფეს

ჰქონდა ხემწიფიშვილის შაყვარებული ქალის სურათი, ეს ქალი ერთმა ცხრა ძმა მდევმა მოიტაცა და როცა ხემწიფიშვილი ქალის სურათს ნახამდა, ავათ ხთებოდა.

ერთხელ ეს ხემწიფე ტუმრათ დაიპატიჟა მეზობელმა ხემწიფემ. ხემწიფეს ირმიშვილი თავიშვილზე უფრო უყვარდა და მას აბარებდა ყველაფერს. გასაღებები ჩააბარა ირმიშვილს ხემწიფემ და დაუბარა:

— არამც და არამც არ გააღო ცხრა დაკეტილის კარებებიო და თვითონ წავიდა ტუმრათ. ხემწიფიშვილი იმდენი ჩააცივდა ირმიშვილსა, რო გააღებინა ცხრა დაკეტილი. ერთი გააღეს, არაფერი არ იყო, მეორეშიც ვერაფერი ნახეს, ასე რვა, მაგრამ მეცხრე ოთახი რო გააღეს, შახედეს მშვენიერი ქალი სურათს, ხემწიფიშვილს იმ საახი წაუვიდა გული და ავათ გახთა. გამაიყვანა ირმიშვილმა, მაასულიერა, მაგრა მაინც ჩავარდა ლოგინათ. დაღონდა ირმიშვილი. მოიდა ხემწიფეც. ირმიშვილი გარეთ დახვდა.

— რათა ხარ დაღონებულიო?—ჰკითხა ხემწიფემ.

— ჩამაცივდა, დამაღებინა კარებები, ქალი სურათი ნახა და ავათ გახთაო. შავიდა ხემწიფე სახში. ბოლოს ირმიშვილმა ჰკითხა:

— განა ვინ არი ის ქალიო?

— პატარაობისას უყვარდა ეგ ქალი ჩემ შვილსა, ქალი ცხრა ძმა მდევმა მოიტაცა და მის სურათს არ უჩენთო.

— რახან ეს ჩემ საბაბბაზე მოხდა, ნახე, ის ქალი თუ არ მოუყვანო მაგასაო, — თქვა ირმიშვილმა.

აისხა ირმიშვილმა იარაღი, აიღო შვილდისარიც და აპირობს წასვლას. ხემწიფიშვილი ჩააცივდა, რო ვეც თან უნა წიმიყვანოო. ხათრი აღარ გაუტეხა, შამაისვა ზურგზე, გაიწია და წავიდა.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, რაღოტენიმე მთა გადაიარეს. მოვიდნენ იმ მთაში, საცა ეს ცხრა მდევი ცხოვრობდნენ. სახში მარტო ქალი დახვდათ მდევები სანადიროთ იყვნენ წასულნი. ქალმა უთხრა:

— რა კარგი ბიჭები ხართ, მაგრა თავს უშველეთ, თორე ჩემი ძმები რო მოვლენ, გაგაფუჭებენო. ხემწიფიშვილმა ნახა თუ არა ეს ქალი, კარგათ გახდა. საღამოზე მოიდნენ მდევები. ირმიშვილი კარებზე ზის. ამ მდევებმა იფიქრეს:—ეს ვიღაც ვაშკაცი იქნება, რო ასე თამამათ ზის ჩვენ კარებზეო, ჯერ გამოვცადოთ ბაგი ძალა და მერე მივცვივდეთო.

მოიდნენ მდევები.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოს! მდევებმა ხელათ ნანადირევი დაატყავეს, აჩეხ-დაჩეხეს, ჩაყარეს ერთ დიდ ქვაბში, შამოურბინეს ცხრანივემ აქეთ-იქიდანა და დაადგეს ცეცხლზე. ირმიშვილს უთხრეს:

— ჩვენ დაღლილები ვართ, ცოტას დავისვენებთ, შენ კი ქვაბს უყარაულეო. წამოწვნენ, მაგრამ აბა რა დააძინებთ. ირმიშვილმა თქვა: აბა, ერთი ვნახო, ეგ ქვაბი ცხრანივემ რომ აადგია, განა ეგრე მძიმეა თუ არაო. დაავლო აბ ქვაბ ხელი, გადმოდგა და შადგა ერთ სამ-ოთხჯერ. მდევებმა იფიქრეს: ჩვენ ცხრანივ ძლივას ვერევით და ეს როგორ ბურთივით ათამაშებს ამ ქვაბსაო. აბასთან ბრძოლა ჩვენ არ გამოგვადგებაო.

გათენდა დილა. ცხრა ძმა მდევი სანადიროთ მიდიან. ირმიშვილმა უთხრა:

— მეც თან გამაგყვებითო. ხემწიფიშვილი ქალთან დატუეს და თვითონ წავიდნენ. რასაც ცხრა მდევი ხოცამს ნადირსა, ირმიშვილი მარტო ხოცამს.

ქალ დეეძინა ხემწიფიშვილის მუხლზე. გაუშინჯა ბიჭმა ნაწნავები და ნახა გასაღებები აქ ჩაწნული. გამააცალა გასაღებები და ჩაიდო ჯიბეში. გამააცალა მუხლი თავიდან და მუთაქა დაუდო. მდევებ ცხრა დაკეტილი ოთახები აქვს და დაუწყო იმას გაღება. გააღო ერთი, მეორე, მესამე, რვა ოთახი სუ დააღო. მეცხრე ოთახი რო გააღო, ერთი დიდი ცხრა თავიანი მდევი ნახა დაბმული. ამ ბიჭს გული წაუვიდა შიშითა. მდევმა უთხრა:

— ნუ გეშინია, კედელზე რო ხმალი ჰკიდია, ის შამაწოდეო. ეს ბიჭი იმოტოლა ხმალს როგორ მოერეოდა. მდევმა უთხრა:

— შენ ხმალ ხელი მოიკიდე, მე ფეხებს დაგიჭერ და ხმალი მოვითრიოთო. მეეჭიდა ეს ბიჭი ხმალსა, მდევი წვდა ფეხებში და ხმალი მოითრია თავისთან. ეს ბიჭი შუაზედ კინაღამ გაიწყვიტა. დაიკრა ამ მდევმა ხმალი, რითაც იყო დაბმული და გათავისუფლდა. ამ ბიჭ გული წაუვიდა. დაინახა მდევმა იქ ერთი ბოჩკა ჭრაყი, ხელათ დაცალა, დაიწვდა მძინარე ქალ, გაიტაცა და წავიდა.

საღამოთი მოიდნენ ცხრა ძმა მდევი და ირმიშვილი. ნახეს, ქალი და დაბმული მდევი აღარ არი. ხემწიფიშვილი კი გულწასული გდია. ამ მდევებმა თქვეს: ნამდვილათ ის მდევი მოიტაცებდა აბ ქალსაო. მაასულიერეს ხემწიფიშვილი. ირმიშვილმა თქვა:

— მე უნა წავიდე და ის ქალი ვიპუოო. ხემწიფიშვილმა უთხრა:

— მეც წამიყვანეო.

— არა, შენ აქ უნა იყო, ხომ ხედავ როგორ გამტანჯეო.

ხემწიფიშვილი აქ დატუა. ბდევებ დაუდო სამი წლი ვადა ირმიშვილმა.

— თუ მუელი ამ სამ წელიწადში, მუელი, თუ არა, ამ ბიჭს რაც გიბდათ ის უქენითო, — დაუბარა მდევებსა და წავიდა.

ბევრი იარა, ცოტა იარა, დრო წავიდ-წამოვიდა. გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე. ერთი დიდი ხარო ნახა. ჩაიხედა ამ ხაროში, ყურიც დაუგდო, რო ბრახაბრუხი გამოდის. ჩახტა ხაროში. ნახა კარები იღება და იხურება. თურმე კარებში იმ ცხრა თავიან მდევსა ძინამ და ის რო ხვრინამს, იმი ჰაერით კარები იღება და იხურება. ირმიშვილმა შააღო კარები და შავიდა. ქალმა შახედა თუ არა, იცნო ირმიშვილი და ძალიან გაუხარდა.

— რო გამაიღვიძებს ეგ პირცეცხლიანი მდევი, გაგაფუჭებს, სჯობს თავი დაანებოო. ირმიშვილმა უთხრა:

— მე აქვე დავიმალები და შენ მაგაგ გამოგკითხე: სადა აქვს ძალაო. დაიმალა ირმიშვილი. მდევ გაბაეღვიძა, ქალმა უთხრა:

— სულ მარტო ვარ, გული მიბეზრდება, მითხარი შენი ძალა რაშია, რო ვესიყვარულოო.

— აგერ ემ დედაბოძშია, — უთხრა მდევმა. მდევი გამოიდა გარეთ და დაიმალა, აბა, ერთი ვნახო, მართლა თუ უყვარვარო. ამ ქალმა ისე მორთო ეს ბოძი, ისე ააყვავა, რომ სულ ფიფინურები შაასხა ზეთ. ბდევმა შაბრუნდა და კიდე უთხრა:

— მართლა ძაან გიყვარვარ, ძაან გინდა გაიგო ჩემი ძალა სად არიო? მაშ აგერ რო ცოცხი აყუდია, იმაში არიო. მდევი კიდე დაიმალა. ქალმა კი ეხლა ის ცოცხი მორთო. დაგყამ ეგ ცოცხი და ათამაშებს, ვითომ ძაან უყვარს. მდევმა თქვა: მართლა ძაან ვყვარებივარ, უნა უთხრა ჩემი ძალა საცა არიო. შავიდა და უთხრა: — მაგ ცოცხში კი არ არი ჩემი ძალაი, ამა და ამ მთაში ერთი ირემი ცხოვრობს, მარჯვენა რქაში სამი კოლოფი უდემ, შიგა ზის სამი ჩიტი, ერთში ჩემი ძალაი არი, ერთში ჩემი სინათლეი და მესამეში სიცოცხლეიო. ის ირემი წელიწადში ერთხელ გამოდის ტბაზე წყლის დასალევათ, თორე ისე ვერ ნახამო.

გამეემშვიდობა ირმიშვილი და წავიდა.

მივიდა იმ ტბაგთან და შორი ახლო ერთი დიდი ხარო ამოთხარა. ჩაჯდა შიგ. წორეთ იმ დროს ეს ირემი გამოიდა წყლი დასალევათ. დაუჭირა ირმიშვილმა ისარი და ირემი ძირ დაგცა. აქ რო ირემი დეეცა, მდევი შეტორტმანდა. მდევმა თქვა: ჩემი საქმე ცუდათ არიო და გამაიქცა სახში. აიღო ირმიშვილმა და გახსნა ის კოლოფი, რო-

მელშიც მდევის ძალა იყო. ჩიტ მოჴგლიჯა თავი და კიდეც შავიდა ნდევი სახში, მაგრა ქალი დამალულია. ამ ხანში ირმიშვილიც მოიდა. აიღო და სინათლი ჩიტსაც მააგლიჯა თავი. მდევი გახთა უღონო და უსინათლო. ეს ქალიც გამოიდა. ირმიშვილმა მდევ უთხრა:

— რას იტყვი, სიცოცხლესაც მოვაგლიჯო თავი, თუ ესე გაგიშვაო?

— მოდი, ნუ მააგლეჯ მაგ ჩიტ თავ, ხო უღონო და უსინათლო ვარ, ვეგდო ჩემტვინაო. ირმიშვილმა სიცოცხლი ჩიტსაც მააგლიჯა თავი და მდევი მოჰკვდა. ამ ქალმა გამაიყვანა მდევის რაში, შაასხდნენ და წამოიდნენ.

ამ ხანში უკვე სამი წელიწადი გადის. ცხრა ძმა მდევი დანებსა ლესამენ, რო ხემწიფიშვილი დაჴკლან და შაჭამონ. ცხრა ძმა მდევ კარებზე ერთი მაღალი ალვი ხე უდგიათ. გაამსეს რძით თავი ჯამი, მიჴცეს ერთ ნდევსა და უთხრეს:

— ამ ჯამ თუ აიტან ალვი ხი წვერზე, ისე რო არ გადმოგექცა, ირმიშვილი ცოცხალი არ იქნება, თუ გადმოგექცა — ცოცხალი იქნებაო. მინამ მდევი ნახევრობამდი ავიდოდა ოთხჯერ-ხუთჯერ გადმოექცა რძეი. ყველა ძმებმა ჴცადეს ჯამის ატანა. ამ ცდაში რო არიან, ირმიშვილი კიდეც მოუარდა და მაიყვანა ქალი. მდევებმა იმ სააჩი დამალეს გალესილი დანები. დასხდნენ, ერთი კაი პური ჭამეს.

ირმიშვილმა უთხრა ხემწიფიშვილს:

— აბა, ეხლა უნა წავიდეთო. შასხდნენ რაშებზე, წამაიყვანეს ეს ქალი და წამოიდნენ.

ხემწიფემ შვილები დაკარგულებათ ჩათვალა და ქალაქ შავები გადააკრა. ხემწიფე ხალხი ჭოგრიტებით უყენია, იქნებ საიდანმე გამოჩნდეს ირმიშვილი და ხემწიფიშვილიო. მოუვიდა ხემწიფეს კაცი, რო შენი შვილები ნოდდიან და ქალიც მოყამთო. ქალაქს ხელათ გადააძრეს შავები და მორთეს წითლათ. მოიდნენ გამარჯვებული ბიჭები და მაიყვანეს ქალი. ხემწიფეს ძალიან გაუხარდა. ხემწიფემ ირმიშვილსაც ერთი კაი ქალი უთხოვა და გამართეს დიდი ქორწილი. მეც კაი ორი ჯაჴი ღვინო დამალეინეს, ხემწიფობა დაულოცა ირმიშვილს და ემ სააჩიაც ხემწიფეთ არი.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოიტანე,
ქატო იქ გაუშვი,
ფქვილი აქ ნოიტანე.
ალი ართალი, ბალი ართალი
ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი...

23. ცხრა ძმანი

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყვნენ ცხრა ძმანი. მათ ჰყამდათ ერთი დაი. ცხრა ძმანი წავიდნენ მინდორში სამუშაოთ და დედას დაუტოვეს ამბავი: — შუადღისას ჩვენ დას პური გაამატანეთო. დამ არ იცოდა მიწაი სათ ქონდათ, დაიჭირეს ცხრა ძმებმა ხელში კიტრები და დაყარეს მისი ნაფცქვენი გზა და გზა, რო მისულიყო თავაანთი დაი იქა.

მივიდა ბდევი, აკრიფა ის კიტრი ნაფცქვენები და თავი სახლიჟკენ დაყარა. წავიდა ცხრა ძმის დაი და წაიღო პური. მივიდა მდევის კარებზე. მდევი გამობრძანდა და უთხრა:

ამ ჯერს მე მივირთმევ და შენ ჩემთან დაგტოვებ. დაღამდა საღამო, მივიდნენ ძმები სახში და დედას დაუწყეს ჩხუბი:

— რაზე დაგვხოცე დღეს შივრები, რატო პური არ გამაატანე დასაო.

— შვილებო, პური გამუატანე, ბაგრა დილას გოგო წყალზე იყო და ასე მითხრა: მდევი დამხვთა და მითხრა: — შე რო პურ წაუღებ შენ ძმებსა, იმ პურ მე შევჭამ და შენც მე შეგჭამო. მე ტყუილი მეგონა, ვთქვი: პური წაღება ეზარება და კიდევაც ვცემე გოგოსა.

ადგნენ ცხრათავ ძმები და წავიდნენ მდევთან საომრათ, რო თავაანთი დაი წაბეეყვანათ. გაიარეს ერთ მინდორში, დახვდნენ მეღორეები. შეეკითხნენ:

— სად მიბრძანდებით?

— ჩვენ მივდივართ მდევთან საომრათ!

— მოდი ემ ღორებს დავჭიდებთ, თუ დააშველებთ ცხრათავ ძმები, მაშინ მდევთან გაიმარჯვებთ. დაჭიდეს ღორები მეღორეებმა, დეეხვივნენ ცხრათავ ძმები, მაგრა ვერ დააშველეს.

მემრე წავიდნენ, დახვდნენ მენახირეები. მენახირეებმა უთხრეს,

— სად მიდიხართო?

— მდევთან საომრათაო!

— ჩვენ ამ კამეჩებ დავჭიდებთ და, თუ დააშველებთ, მდევთანაც გაიმარჯვებთო. დაჭიდეს კამეჩები, მაგრა ვერ გააშველეს.

კიდე წავიდნენ და დახვდათ მეცხვარე.

— სად მიხვალთო?

— მდევთან საომრათ!

— მოდი, ემ ცხვრი რძეს მოგიწველით, თუ შეშჭამეთ, მაში

მდევთანაც გაიმარჯვებთ, თუ არა, ვერაო. ძმებმა რძეი ვერ შეშჭამეს, მაგრა მაინც წავიდნენ.

ამ დროს მივიდნენ მდევის სახთან. ახლო წყალი ჩამოდის და პატარა ქვი ხიდები არი, ვერ გადავიდნენ მშრალათ და დასველდნენ. მივიდნენ ჭდევის კარებზე. ერთი წისქვილი ქვაი იყო. მდევის დედამ უთხრა:

— შვილებო, ეგ კვირიჟტავი მამაწოდეთო. დეეხვივნენ, მაგრა ნძრევა ვერ უყვეს. შავიდნენ საბში. დახვდათ თავაანთ დაი. დამ მაშივე ძმებს უთხრა:

— რამ მოგიყვანათ აქ, მდევი მოვა და სუ ყველაჟ შეგჭამთო, წადით, გააწარითო.

— ჩვენ მოსაკლავათ მოვედით მდევისა, განა თუ იმან შეგვჭამოს? — ჭოვიცდით, მოვა, მოვკლავთ და შენც წაგიყვანთო. მოვიდა მდევი. მოიტანა ნანადირევი ირემი და თან დიდი შეშაი. მივიდა მოყვრებთან და სალამი მიჟცა.

— აბა, მოყვრებო, ირემ გაატყავებთ, თუ შეშას დააპობთო.

— შეშას დავაპობთ, — ძმებმა უთხრეს. ძმებმა შეშას დაუწყეს პობა, მდევმა ირემი გაატყავა, დაჟჭრა და ჩაჰყარა ქვაბში, იმათ იჭდელი შეშა დააპეს, რო ერთ შეკეთებაზე ვერ ეყო. გამოიდა მდევი, დაავლო ხეს ხელი და სუ ნაფოტებათ აქცია.

მოიხარშა ხორცი და დასხდნენ პური ჭამაზე. როდესაც გაძღა მდევი, დაუწყო მოყვრებ ჭიდაობაში თხოვნა. ეცნენ ცხრათავ ძმები, მაგრა ნძრევა ვერ უყვეს. დაადგა სათითაოთ და ცხრათავ ძმები შაულაპა.

დედამ ცხრა ძმისა შეჭდეგში რამოტელიმე წლისა ნახა სიძმარი, ერთი ვაშლი ჰქონდა წითელი, სამჯერ: დილით, შუადღისას და საღამოთი შეეჭამნა ის ვაშლი და ეყოლებოდა ვაჟი; შეჭამა ვაშლი სამ იჯრათ და ეყოლა ვაჟი; ვინც წლით ირდებოდა, ის ერთი დღით ირდებოდა. გახთა ოცი დღისა და ოცი წლის ვაშკაცს გამდა. ბავშვებში ზის და კოჭაობს. ამ დროს ერთი გოგოი წყალზე მიდის, ესროლა ბიჭმა ქვაი და კოკა გაუტეხა. ჭიუბრუნდა გოგოი და უთხრა:

— დასაწყევლათ კი ვერ გაგიმეტეფ, დედისერთა ხარო, შენ თუ კაი ბიჭი ხარ, წადი და შენი ძმები მონახეიო. ბიჭი გაიქცა სახში და უთხრა დედას:

— ძუძუი მამაწუეო.

— შვილო, რა დროს შენი ძუძუია, უნა დაგაქორწილო.

— არა, დედა, ოღონ გთხოვ ერთი ძუძუი მამაწოდე. დედამ ძუძუი ჩაუდო პირში, ვაჟმა ძუძუზე უკბინა.

— ჩქარა მითხარი, ჩემი ძმები და დაი სად არიანო. დედამ გაუქარწყლა:

— არა, შვილო, ვინ მოგატყუა, შენ ძმები არ გყოლია, არც დაი.

— მითხარ წორეთ, თორე ძუძუს მაგაწყვეტამო. მემრე დედამ უთხრა:

—ცხრა ძმაი და ერთი დაი მდევმა წაასხაო.

ადგა ბიჭი მაშინვე და წავიდა მდევთან საომრათ. შახვთა ერთ მინდორში ისევისე მეღორეები და უთხრეს:

— სად მიხვალ, ძმობილოო?

— მდევთან საომრათ!

— მოდი, ემ ღორებ დავჭიდამთ და, თუ დააშველებ, მდევთან გაიმარჯვეფო. დაჯიდნენ ღორები და ბიჭმა ერთი ხელი ერთს მაავლო, მეორე-მეორეს, ერთი აქეთ ქედს ესროლა, მეორე-იქით, ორთავ ღორები დაუხოცა მეღორეებს.

— კარქი, ძმაო, ღორები დაგვიხოცე, მართალია, მაგრა ღმერთმა გამარჯვება მოგცეს, წადი და მდევთანაც გაიმარჯვეფო. წამოიდა ბიჭი და შამოხვთა მენახირეები:

— სად მიხვალო? — ჰკითხეს.

— მდევთან საომრათო!

— ჩვენ ემ კამეჩებ დავჭიდამთ, თუ დააშველებ, იქაც გაიმარჯვეფო. დაჯიდეს კამეჩები. ბიჭმა ერთი აქეთ მთას ესროლა და მეორე-იქითა. იმათაც უთხრეს:

— წადი, ძმაო, მდევთანაც გაიმარჯვეფო. კიდე შახვთა მეცხვარეი.

— სად მიხვალო?

— მდევთან საომრათო!

— მოდი, ამ ცხვრი მონაწველებ თუ შეშჭამ, დევთანაც გაიმარჯვეფო. ბიჭმა შეჭამა ცხვრი მანაწველი და სთხოვა მეცხვარეს:

— ეს არ მეყო და ერთი ჭედილაც დამიკალიო. მეცხვარემ დაუკლა და ისიც შეჭამა. მეცხვარემ უთხრა:

— წადი, ძმაო, ეგ შენზე ალალი იყოს, მდევთანაც გაიმარჯვეფო.

ამ დროს ბიჭი მივიდა მდევის კარებ ახლო. იქ წყალი ჩამოდის. ბიჭმა შიგ მორევში შეჯტოპა და ისე გავიდა. მდევის დედამ უთხრა:

— შვილო, ეგ კვირიჯტავი მამაწოდეიო. ბიჭმა ნოავლო ხელი ამ

წისქვილი ქვას და მდევი დედას ყბაში მაარტყა. მდევის დედამ თქვა: — ვაი, მდევის ბრალიცაო. ბიკიდა სახში. დახვდა თავისი დაი, დამ არ იცის, რო ის თავი ძმა არი. ძმა ეუბნევა:

— ჩემო დაო, სად არი მდევი და ჩემი ძმებიო. და უპასუხებს:

— შენ ვისი ძმა ხარ, რომელ ძმებს კითხულობო?

— ცხრა ძმისა და ერთი დისაო. დამ უთხრა:

— მე იმ ცხრა ძმის მეტი ძმაი არ მყოლია და შენ საიდან ხარო.

—მე შემდეგში გაუჩნდი დედას და თქვენ საძებრათ წამოვედი.

— მდევი მოვა, მოვკლამ, და თქვენ წაგიყვანთო. დამ უთხრა:

— გააჯწარ, თორე შენც შეგჭამს, როგორც ისინი შეჭამაო. ძმამ უთხრა:

— მდევს მოუცთი, ბოვიდეს, ვნახოთ, ვინ არი. საღამოს მოვიდა მდევიც. მოიტანა ირემი და ხეი.

— ირემ გაატყავეფ, თუ ხეს დაჯჭრიო.

— ირემს გავატყავეფო, — უთხრა ბიჭმა. მდევმა ხეს დაუწყო ჭრაი, ბიჭმა ირემ გატყავებაი. გაატყავა, ჩაჯყარა ქვაბში, მდევ ნახევარიც ვერ დეეპო შეშაი. მუავლო ხეს ბიჭმა ხელი და სუ ნაფოტებათ აქცია. დასხდნენ პური ჭამათ. რამდელ ძვალსაც მასვლეპამს ბიჭი ესვრის მდევსა თავებში, მდევი ცხრა თავიანია.

შემდეგში გამოჯთხოვა მდევსა ჭიდაობაი. ეცნენ და დაიჭიდნენ. მოიქნია ბიჭმა, დაარჭო მიწაში, იძრო ხმალი და დაუწყო თავების ჭრაი..

— ჩქარა მითხარი, ჩემი ძმეზი რა უყავიო. ბდევმა უთხრა:

— თითები დამჭერი და შენი ძმები იქ არიან. თითები. დაჯჭრა და გამოიდნენ თავი ცხრანი ძმები. მდევმა უთხრა ბიჭსა:

— ნუ მამკლავ, ერთი თავი შემარჩინე, ერთი თავი წაიღე, დააგორე, საცა ეს თავი დადგეს, იქ ფულია და მაიხმარეო. ბიჭმა მაინც სუ ყველა თავები დააჭრა, წამაიყვანა თავი ძმები და დაი და წამოიდა, დააგორეს თავი, საცა გაჩერდა, იქ ფულის ორმოი იყო. ჩავიდა ეს ბიჭი ორმოში, ყარა და ყარა ფული. ძმებმა აღარ ამაიყვანეს.

შემდეგში დარჩა ეს ბიჭი იქა და ცხრა ძმანი წამოიდნენ. დამ ტირილი დაიწყო, ეხვეწებოდა ძმებ: — ამაიყვანეთო, მაგრა ძალათ წაიყვანეს.

ემ ბიჭმა დაუწყო მიწას თხრაი. გავიდა ერთ ხემწიფი თავლაში. იქ იმყოფებოდა ერთი კვირა, ცხენების ბაგაში ჭამდა ქიშმიშსა. ეს გაუგო ხემწიფემ, დაიბარა და უთხრა:

— ვინ ხარ, რა ხარ, რა სურიელი ხარო. ბიჭმა შეშჩივლა:

— ესე იყო ჩემი საქმეი, ესე. ხემწიფემ ბიჭი თავიდთან დაიყენა.

ერთ დღეს ბიჭი წავიდა წყალზე. ნახა, რო ზის გასათხოვარი ქალი და ტირის. ბიჭმა უთხრა:

— რათაჲ ტირიო?

— მე ხემწიფი შვილი ვარ, გველაშაპმა უნა შამჭამოს, წყალს არ გვანებებს, მამაჩემა წყლიდთვის მიმცა გველაშაპსაო.

წავიდა ბიჭი და მივიდა მჭედელთან. გამააჭედინა შვილდისარი, მოიდა ჩქარა ამ ქალთან, დაიძინა ქალი კალთაზე და ხანჯალი მიდცა: გველაშაპი რო წამოა, ხანჯალი მატაკე და გავიღვიძეფო. დეეძინა ბიჭსა. წამოიდა გველაშაპი. ქალი ვერ იმეტებს, რო ბიჭს ხანჯალი ატაკოს. ამ დროს გველაშაპი დორბლი დეეცა ბიჭსა და ეეწვა. წამოდგა ბიჭი, ესროლა შვილდისარი და შუაზე გააპო.

ქალი გამაიქცა სახში და მამას ახარა:

— ჩვენი გველაშაპი მოკლა ერთმა ბიჭმაო. ხემწიფემ დაუტაა:

— რას ამბობ, ვინ მოკლამს გველაშაპსო.

— თუ არ გჯერა, აბა ნახეიო. ნახა ხემწიფემ, მართლაც, გველაშაპი წყალში ეგდო მკვდარი. მიიყვანა ბიჭი და უთხრა:

— ამ ქალ შაგრთამ და ჩემი სიძეი იყაიო. ბიჭმა არ ინდომა.

— მე ერთ რამეს გთხოვ და ის ამისრულე, ზეცაში უნა ამიყვანოო. ხემწიფემ უთხრა:

— არწივთან მიდი, თხოვე და ის აგიყვანს, საკვებ ჩე მოგცემო.

წავიდა ბიჭი არწივთან. თურმე ამ არწივ ბარტყებს უჭამს ერთი მხეცი—ფასკუნჯი. მივიდა ბიჭი არწივი ბუდეჲთან. არწივი იქ არ იყო. დაინახა, მოდის ფასკუნჯი, რო უნა შესჭამოს არწივის ბარტყები. დაუჭირა შვილდისარი და მოკლა. ამ დროს მოიდა არწივი და უთხრა:

— რახან ეგ ჩტერი მამაშორე, რა გინდა, რაჲ მთხოვო? ბიჭმა უთხრა:

— ზეცაში ამიყვანეო.

— აგიყვან, ოღონ იშოვნე ცხრა კოკა ღვინოი, ცხრა კამეჩი და ცხრა კოდი ნაჩცხვარიო.

წავიდა ბიჭი და ესენი ჲთხოვა ხემწიფეს. ხემწიფემ მაშივე მიდცა. აიკიდა არწივჩა, ბიჭიც შაისვა და გაფრინდა. არწივმა უთხრა:

— რამტელიც დავიწივლო, იმტელი ლუკმა პური, ღვინოი და ხორცი ჩამიდე პირშიო. მიატანა ზეცას, დააკლდა ერთი ლუკმა ხორცი, არწივი ვეღარ მიდის, აპირობს უკან დაბრუნებას. ბიჭმა ბარ-

კალი გამოიჭრა და პირში ჩაუდო. ავიდნენ მაღლა. ბიჭმა კოჭლობა დაიწყო.

— რათაჲ კოჭლობო?

— ესე ესე ვქენი, ხორცი დაშაკლდა და ჩემი ბარკალი შაგაჭამეო.

— რო მცოდნიყო ასეთი კარგი ხორცი გქონდა, იქვე შეგჭამდიო, — უთხრა არწივმა.

წამოიდა ეს ბიჭი და მივიდა ძმებთან. მეორე დღისით წაასხა ძმები ტყეში და უთხრა:

— მე ხეს დავწემ და თქვენ ძირიდან ამიწიეთ, რო ავხეთქოთ შეშაიო. ბიჭმა დაჲწია ხე და ცხრა ძმამ ხელები გაუყარეს. ბიჭმა უცებ გაუშვა ხე და ცხრა ძმას მოყვათ ხელები შიგა. დაატყუა ასე ზოლალატე ძმები და წამოიდა შინა.

ეგრეა, ცოდო კაცს არ შარჩება!..

24. უმცროსი შვილი

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხემწიფეი. იმას ჰყამდა სამი ვაჟიშვილი. როდესაც ეს ხემწიფეი მოხუცთა, იფიქრა, რო ჩემ შვილებ გამოვცთიო. დაიბარა თავი შვილები და უთხრა:

— ვინც ისეთ რამეს, გასაკურელს მამიტანს და გამაკვირვებს, იმას დაულოცამ ჩემ სახემწიფოსო.

ადგა და გაგზავნა უმფროსი ბიჭი. წავიდა, ბევრი იარა, ნახა ერთ ადგილას წყაროი იყო, ძრიან ზშვენიერი და იფიქრა: — ამას მიუტან მამაჩემ, ამ წყაროს იგი თავიდღეში ვერ დაჲლემდაო. აამსო პატარა სურაი და წამოუღო საჩვენებლათ მამას. მამამ უთხრა:

— მე რამტელიმეჯერ ვყოფილვარ იმ წყაროზე და პურიც მიჭამიაიო. არაფლათ არ მიიღო ეს.

გაგზავნა შემდეგ შუათანა შვილი. იმანაც ბევრი იარა და მივიდა ერთ მუხი ძირას. მუხი ქვეშ დაიძინა, როცა გამაიღვიძა, შეხედა მუხას, რო დიდი ფოთლები ესხა. იფიქრა: მოდი, მამაჩემ ამ ფოთლებ მიუტან, ასეთი დიდრონი ფოთელი თავი დღეში არ ენახვება იმას და ამაზე გასაკურელ რას ნახამსო. მიუტანა მამას ეს ფოთელი. მამამ უპასუხა:

— რამტელიმეჯერ მძინებია, შვილო, იმ მუხი ძირშიო.

შემდეგ გაგზავნა ხემწიფემ უმცროსი შვილი და მიჲცა ერთი

ცხენი. წავიდა ეს ბიჭი, გაიარა რამტელიჰე დროი. ერთ ალაგას უკან გამეედევნა ადამიანის მარტო თავი, ტანი არ ჩანდა. თავმა უთხრა:

— შენ მამაშენ მაგ ცხენით ვერაფერ საკურელ ვერ მიუტანო.

— მაშ როგო მოვიქცეო! — უთხრა ბიჭმა თავსა.

— გაბრუნდი და მამაშენ უთხარი: შე რო კარგი რაში გყამ, ის მომეცი-თქო, ის რაში გულთჰისანი არი და საკურელ რამეს იმით მიუტანო. ბიჭჰა არ იცოდა, თავი მამას თუ ჰყამდა რაში. დაბრუნ-და სახში და მამას უთხრა:

— გზაში ცხენი დამჰვარდა, თუ მამცემ შენ რაშსა, მოგიტან საკურელს, თუ არა, ვერაფერ საკურელ ვერ მოგიტანო.

მამას ეგეც გაუკვირდა: ვინ ადწავლა, რო მე რაში მყამო. მიდ-ცა რაში და ბიჭი გაუდგა გზასა. ერთი დღეი იარა, მეორე დღისით გზაში ნახა, რო ერთი კარგი ვაშლი გდია. რაშ შეეკითხა:

— ეგ ვაშლი ძალიან მამწონს და ავიღო თუ არაო. რაშჰა უთხრა:

— აიღე, მაგრა გასაცთელს გავივლითო. ბიჭმა აიღო ვაშლი.

გაიარეს რამტელიმე მანძილი და ნახეს გზაში გდია ერთი ქათ-მი ფრთაი, რომელიც საუკეთესო სანახავი იყო. ბიჭი კიდე შეეკით-ხა რაშსა:

— ძრიან მამწონს ეს ფრთაი, ავიღო თუ არაო. რაშმა უპასუხა:

— აიღე, ოღონ გასაცთელს მოველითო. აიღო ბიჭმა ეს ფრთაიც და წავიდნენ. ერთ სახემწიფოში გავიდნენ. შეეხიზნა ერთ მოხუცე-ბულ ქალსა. რამტელიჰე დღეები ამ ქალთან ცხოვრობს. ერთ დღეს ბიჭმა მოხუც უთხრა:

— დედი, ხემწიფეადთან საქმეი გამიკეთე, რო მოჯამაგირეთ მი-მიღოსო. მოხუცმა მიაღებინა მოჯამაგირეთა ეს ბიჭი. ბიჭმაც დაიწ-ყო მუშაობაი. რაში ჰყაძს იმ ბებერ ქალთან. როდესაც ხემწიფე ავალებს რამე საქმესა, თავი რაშით მიდის და ჩქარა აკეთებს რაშის დახმარებით, რაში სუ ფრინავს. ხემწიფეს ეს ბიჭი შაუყვარდა ძრიან,—ეს რა ყოჩაღი მოჯამაგირეი ვიშოვნეიო. ბიჭს გადეეკიდნენ ხემწიფი ვეზირები: — ხემწიფეს ეგ უყვარს და ჩვენ არაფრათ არ გვაგდებსო. შურ ძიობენ, რო რაიმე უპოონ. ბოლო დროს მიიკვ-ლიეს გზაი მოხუც ქალთან, ვიადთანაც ეს ბიჭი იყო. ქალს დაადპირდ-ნენ ფული, ოღონ ეს ბიჭი მოვაშოროთ ხემწიფეისო. ბევრი ფული მიადცეს ბებერსა და ბებერმაც ბოუწყო საქმეი. ბებერმა იცოდა, რო იმ ბიჭსა ვაშლი და ქათმი ფრთაად ქონდა. ბებერმა ვეზირს უთხრა:

— თქვენ ხემწიფეს მაახსენეთ, თუ ეს კაი ბიჭი არის, მაგას რო ერთი ვაშლი აქ, იმის ხილი გააჩინოს შენ ბაღში-თქო. ვეზირებმა ეს ამბავი ციუტანეს ხემწიფეს. ხემწიფემ დაიბარა ბიჭი და უთხრა:

— შენ რო ვაშლი გაქ, მაჩვენეიო. ბიჭმა უარი ვერ განუცხადა და მიუტანა.

— აბი ხე თუ არ გაგიჩენია ჩემ ბაღში, აღარ გაცოცხლეფო, — უთხრა ხემწიფემ.

წამოიდა ბიჭი დაღონებული. მაახსენა თავი რაშსა:

— ხემწიფე მეუბნევა ემ ვაშლი ჯიში გააჩინე ჩემ ბაღშიო. რაშმა უთხრა ბიჭსა:

— ეგ არაფერი, სხვებია გასაცთელიო, დილაზე წავიდეთ და მოვიტანოთო. ბიჭი დილას ადრე შაჯდა რაშზე და წავიდა ვაშლი ხიჩოსატანათ. გზაში რაში არიგებს ბიჭსა:

— ერთი დიდი ჭაობია, შუაზე დგას ვაშლი ხეი, იმ ჭაობ გარეშამო შამორტყულია გველაშაპი და კუდი უდემ პირშიო, გველაშაპს ჰყამს გველი, ბაყაყი და რო მივალთ ჩვენა, ადტეხამენ ხმაურობას: — წაიღეს, წაიღესო. მაში გადავხტებით, მე პირ მოვავლეფ, შენ ხელსა, ორთავემ ამავგლიჯოთ და გამოაქციოთო, თორე თუ გაიღვიძა გველაშაპმა, ორთავენს დაგვჭამსო. ეს დარიგება რო დაამთავრა რაშმა, კიდევაც მივიდნენ იმ ჭაობთან. გადახტა რაში და მოგლიჯეს ეს ვაშლი. მშვიდობიანათ გადარჩნენ გველაშაპს და გამააჯწრეს. ბიჭმა მაიტანა ეს ვაშლი და ხემწიფეს დაურგო ბაღში. ხემწიფეს ბიჭი უფრო ძრიან შაუყვარდა. ვეზირები ბებერთან გაიქცნენ მაშივე:

— შე უფრო შააყვარეიო. ბებერმა უთხრა:

— ერთსაც გაჯწავლით კიდე, მაახსენეთ ხემწიფეს, ბიჭ რო ქათმი ფრთაი აქ, იმი ჯიში ქათამი გაგიჩინოთო. ვეზირებმა მაახსენეს ხემწიფეს:

— ბიჭ რო ერთი ქათმი ფრთაი აქვ, იმი ჯიში ქათამი გაგიჩინოსო. ხემწიფემ კიდე დაიბარა ბიჭი და უთხრა:

— შე რო ქათმი ფრთაი გაქ, მაჩვენეიო. ბიჭმა ხათრი ვერ გაუტეხა და აჩვენა. ხემწიფემ უთხრა:

— მაგი ჯიში ჩემ ქათმებში თუ არ გაგიჩენია, არ გაცოცხლეფო.

წამოიდა ბიჭი დაღონებული თავი რაშთან და უთხრა:

— ხემწიფე ჩვე რო ფრთაი ვიპუეთ, იმი ჯიში ქათამ მთხოვო. რაშმა უპასუხა:

— ეგ არაფერი, გასაცთელებს სხვას მოველითო. მეორე დილით წავიდნენ. რაში კიდე არიგეფს ბიჭსა:

— ერთ ადგილას არი ერთი დღის ფეტვი, შუადღე რო შაიქნება, იმ დროს ზეციდან წამოვა სამი ქათამი, შე აქეთკენ დაიმალე, მეც ფეტვებში დავიმალები, რაკი მესამე ქათამ ფრთაი აკლია, ის სუ უკან მოადისო. ჩამუა თუ არა ეს ფრთამოტეხილი ქათამი, იმავე წუჩი ჩავწვდები მე და დავიჭერო. ამ საუბარში კიდევაც მივიდნენ ფეტვთანა. როგორც რაშმა დაარიგა, ბიჭიც ისე მოიქცა. მივიდნენ ფეტვთან, ბიჭი იქით დაიმალა, ფეტვში ჩაძვრა. როგორც შაიქნა შუადღე, მოდიან სამი ქათამი ციდან. ფრთა მოტეხილი მოადიოდა სუ ბოლოს. როგორც ჩამოიდა ძირსა, წვდა რაში და დაიჭირა ფრთამოტეხილი ქათამი, ორი კი გაფრინდა ისევ ზეცაშია.

ეს ქათამი ბიჭმა მოუყვანა ხემწიფესა და გაუჩინა მისი ჯიში. ხემწიფეს უფრო ძალიან შაუყვარდა ეს ბიჭი. ვეზირები ისევ მიადცივიდნენ ბებერ ქალს. ბებერმა უთხრა:

— ერთსაც კიდე გეტყვით, მაგ ქათამ გამრდელი ჰყამ და თუ კაი ბიჭია ის მაიყვანსო. ვეზირებმა ხემწიფეს მაახსენეს:

— თუ ეგ კაი ბიჭია, მაგ ქათმი გამრდელი მაიყვანოსო. ხემწიფემ იფიქრა: ეს ქათამი ასეთი მშვენიერია და ამი გამრდელი რაღა იქნებაო. საჩქაროთ გამოუძახა ბიჭსა.

— სადაც არ უნა იყვეს, ამ ქათმი პატრონი მამიყვანე, თორე არ გაცოცხლეფო, — უთხრა ხემწიფემ.

ბიჭმა ტირილი დაიწყო და მაახსენა რაშს:

— საცაღა ციდან ქათმები მიფრინავდნენ და სად უნა ვიპუოთ მაგი პატრონიო. რაშმა უპასუხა:

— ეგ არაფერი, სხვა უფრო მეტ გასაცთელ მოველითო, წადი, ხემწიფეჲ უთხარი, მოგცეს სამი შახვეული ქონი, ერთი ჭედილაი, ერთ ბაბორი და დილაზე წავიდეთო. ხემწიფემ ბიჭს შაუსრულა ეს ყველაფერი. დილას ბიჭი შააჯდა რაშსა და გაფრინდნენ ზეცაში. გზაში რო მიდიან, რაში კიდე არიგებს ბიჭსა:

— ჩვენ რო ჩივალთ, სამნი დანის სახლია, წინა აქვთ პატარა ბაღი, ბაღი ბოლოზე უდგიათ პანტაი, რო ჩამოუარდება და დეეცემა, ადამიან ბნედამს, ისინი ეძახიან მწარე პანტას, შენ თქვი:—ნეტაი მეცალოს და გჭამო-თქო. ცოტა რო გავცდებით, წყაროი არი. ისინი შმორიან წყალ ეძახიან. შენ თქვი: — რა მშვენიერი საკმელივით წყარო ხარ, ნეტაი, მეცალოს, რო დაგლიო-თქო. რო მივატანთ, კიდე ახლო, სამი სვავი ზის Ძედზე და დარაჯობენ ქალებს, ისინი გამო-

ფრინდებიან ჩვენ შესაჭმელათ, შენ ეს ქონები თითო- თითო მიეცი თითო სვავსა და ჩვენ ჩამოგვეხსნებიანო; კარებში რო მივალთ, მგელი დაგვხვთება, გამოქანდება ჩვენ შასაჭმელათ და შენ ეს ჭედილაი იმას მიუგდეიო. შიგნით რო შავალთ, ერთ ოთახში ერთი ქალი ზის ბებერი, ოშხივარით ხალხსა ხოცამს, ადექი ბაშივე, ეს ბაბორი წამაასხი და უთხარი: — დაბრძანდი, დაბრძანდი-თქო. იმათ ოთახსა აქ ცხრა კარები. ერთი კარები ღია, ერთი დაკეტილი, შენ რომელიც ღია არი, დაკეტე, დაკეტილი გააღეი. შიგ რო შავალთ, სამნი დანი არიან, ჩვენ რო ქათამი წამოვიყვანეთ, ამითვინ ის დაღონებულია. ორ დას კი გეეხარდება ძრიანა, ღვთის ტუმრები გვეწვივნენო, დაუწყებენ სადილ მზადებას. შე იმ დაღონებულ ქალ ხელი უნა წაავლო, შაჯდე და გამავიქცეთო.

ამ დარიგებაში კიდეც მივიდნენ იმ ქალები ბაღთან. შახვდა პანტაი. ბიჭმა თქვა:

— რა მშვენიერი პანტაი ხარ, ნეტაი მეცალოს რო გეჭამოო; გაჴცთა ცოტაი და შახვთა წყაროი:

— რა მშვენიერი წყაროი ხარ, ნეტაი მეცალოს, რო დაგლიოო,— თქვა ბიჭმა. მაღლიდან გადმოფრინდნენ სამი სვავი შესაჭმელათ. ბიჭმა თითო შახვეული ქონი მიჴცა და ჩამეეხსნენ. კარებთან ბგელი გამეექანა შესაჭმელათა, ბიჭმა ჭედილაი მიუგდო. შააღო კარები, წამოდგა მოხუცებული ქალი, უნა ოხშივარი ამოუშვას და ისინი დახოცოს კარებში, ბიჭმა წამაასხა ბაბორი და უთხრა:

— დაბრძანდი, დედი, დაბრძანდიო. დაკეტილი კარები გააღო, ღიაი დაჴკეტა და შავიდა ოთახშია. ორ ტას გეეხარდათ:

— ხვთის ტუმრები გვეწვივნენო, დატრიალდნენ, რო მიერთმიათ რამე. ისინი რო სახში მზადებას შაუდგნენ, ბიჭმა დაავლო ხელი აბ ქალ, მაახტა რაშ და გამააქანა. ქალებმა აჴტეხეს წიოკობა:

— არიქა, მოხუცო, არ გაუშვაო. ბოხუცმა უპასუხა:

— თქვე სიცივითა მკლამთ, მაგან ბაბორი მამართვაიო.

— არიქა, მგელო, შენ მაინც არ გაუშვაიო.

— თქვე მშიერსა მკლამდით, მაგან ჭედილაი მომართვაიო.

— არიქა, სვავებო, თქვე მაინც დაიჭირეთო.

— თქვენ მშიერსა მკლამდით, მაგან თითო შახვეული ქონი მოგვცაიო.

— არიქა, აშმორებულო წყალო, არ გაუშვაო.

— თქვენ აშმორებულ მეძახით, იმას რო ცლოდა, დამლემდა, საკმეველ მეძახოდაო.

— არიქა, მწარე პანტა, შენ მაინც არ გაუშვაო.

— თქვე მწარე პანტას მეძახით, იმას რო ცლოდა, შამჭამდა, მშვენიერ პანტას მეძახდაო.

წაგოიყვანა ეს ქალი ბიჭმა და მოუყვანა ხემწიფეს. ხემწიფეი ემზადება, რო იმ ღამე ქალი დაიწვინოს თვითონ. ქალმა უთხრა:

— ჯერ უნა ვიბანაოთ ერთათ და შემდეგ დავწვები შენთანაო.

— წამოდი და ვიბანაოთ, საკუთარი აბანო მაქსო. ქალმა უთხრა:

— მე მაგითანა აბანოში არ ვიბანავეფო, ზეცაში არი ერთი საარაყე ქვაბი, უნა ჩამაიტანო და იმაში ვიბანაოთო. ხემწიფემ ჰკითხა:

— იმ ქვაბ ვინ მოგვიტანსო.

— ვინც მე მაგიყვანა, იმ ქვაბსაც ის მაიტანსო. ხემწიფემ საჩქაროთ დაიბარა ის ბიჭი და უთხრა:

— ზეცაშია ერთი საარაყე ქვაბი და ის უნა მამიტანოო, თუ არ მოგიტანია, ცოცხალ არ გაგიშვეფო.

ბიჭი ძრიან დაღონდა და ეს ამბავი რაშ უთხრა. რაშმა უპასუხა: ეგაც არაფერია, გასაცთელი შემდეგ გვექნებაო. დილით შაჯდა რაშზე და გაფრინდნენ ზეცაში. რაში არიგებს კიდე ამ ბიჭსა:—ზეცაში რო ავალთ, შვიდ სოფელ აქვ ერთათ სამხთოი. ერთი საარაყე ქვაბი უდგიათ და მთელი მათი კერძი იმაშია მოთავსებულიო. რო მოვალთ, ძრიან გეეხარდებათ. ხვთი ტუმარი ბოგვივდაო, წამოხტებიან და გეტყვიან:—თავში დაჯექიო, მაგრა შენ არ წაჰყვეიო. ჩემ თავ წამოგეტანებიან, მაგრა შენ მიმიყვანე და ქვაბი ყურზე დამაბიო. შენ მოდი და შუაკაცებში ჩაჯექი, როცა გაძღები პურითა, მე დავაფრუტუნებ, შენ დაიძახე: — აჩუ, შე ვერანო, ქვაბი არ დააქციო-თქვა და გამაიქეცი, ხელი შენ წამაატანე, მეც შაგეშველები, შიგ რაც დგა, გადავაქციოთ და წამოვიღოთ ქვაბიო. ხალხი გამოგვეკიდება, მაგრა ნუ შაშინდები, ვერაფერ დაგვაკლებენო.

ამ დარიგებაში მივიდნენ ზეცაში. როგორც რაშმა დაარიგა, ბიჭიც მოიქცა ისე. ბიჭი რო დაინახეს, გეეხარდათ, ხვთი ტუმარი გვეწვიაიო. გაიწვიეს ბიჭი პური საჭმელათ, ეხვეწნენ სუფრი თავზე დეესვათ, მაგრა ბიჭი შუა ხალხში ჩაჯდა, რაში კი გამააბა ქვაბი ყურზე. რაშმა რომ მიხვდა, ეხლა კი გამაძღარი იქნება ბიჭიო, წაიფრუტუნა. წამოხტა ბიჭი და დაუძახა:

— აჩუ, შე ვერანო, წვენი არ დამიქციოო. წამააკლო ხელი ბიჭმა ქვაბ, რაშიც მეეხმარა, გადააქციეს წვენი და ქვაბი წამაიღეს. შვიდი სოფელი გამეეკიდა, მაგრა ვერაფერი ვერ უყვეს.

ქვაბი მოუტანა ხემწიფეს. ხემწიფემ ქალ უთხრა:

— ეხლა ვიბანაოთო!

— მე წყალში არ ვიბანავებ, იარქნების რძეი უნა მომიტანო და იმაში ვიბანავეფო,—უთხრა ქალმა.

— იარქნები რძეი ვინ უნა მაიტანოსო?—ჰკითხა ხემწიფემ.

— ვინც მე მამიყვანა და ვინც ქვაბი მაიტანა, იმანაო. ხემწიფემ დაიბარა ბიჭი და უთხრა:

— იარქნები რძეი უნა შამიტანო, თორე ცოცხალ არ გაგიშვეფო.

ბიჭი ტირილით დაძმარებული მივიდა თავი რაშთან.

— ამოტოლა ვეწვალე და იარქნები რძეი საიდან უნა მოვიტანოო. რაშმა უპასუხა:

— გასაცთელი წორეთ ეხლა გვაქ, თუ ამას გადურჩით, მემრე არა გვიშამ რაო. წადი და ხემწიფეს მაახსენე: გვიშოვნოს ცხრა კამეჩის ტყავი და ცხრა ურემი ქვიშაი. ერთი ტყავი რო გადამაფინო, ერთი ურემი ქვიშა დამაყარე ზეთაო. რაშტოლი ტყავი გადამაფარო—იმტელი ურემი ქვიშაი დამაყარეიო, თან თასმებით შამკარი მაგრაო. ხემწიფემ ბიჭ ყველაფერი შაუსრულა. ბიჭმა ერთი ტყავი რო შამააკრა რაშსა, თითო ურემი ქვიშაი შამააყარა და თასმები შამოუჭირა, თან ხემწიფეს გამაართვა ჩაფი რძიჟთვინა და ბეორე დღეს წავიდნენ იარქნები რძი მოსატანათ. რო მიდის, გზაში რაში კიდე არიგებს ბიჭსა:—შენ რო იქ მიხვიდე, იარქნები მაშივე შეგჭამენ, დაიმალე კარში, მე შავალ საჩხუბრათ, როცა დავიძახო, მაშინ მოდი, მანამდი არ გამოჩნთეო. დარიგები შემდეგ მივიდნენ იმ იარქნები ქვეყანაში. ბიჭი დაიშალა, რაში კი შავიდა იარქნებთან. დეეხვიენ იარქნები შესაჭმელათ რაშსა, რაშმა კიდე კბილითა თუ წიხლითა ხოცა და გაჟწყვიტა იარქნები, სუ შამააცალეს ტყავები და შაჭამეს, დარჩა ერთი ტყავიღა. შემდეგ იარქნები შაეკითხნენ:

— რა ხარ, რა სურიელი ხარ, მთასავით მოხვედი, ყველაფერი შემოგაცალეთ და ისევისე ცოცხალი ხარო, რა გინდა, რა გვთხოვო? რაშმა უპასუხა:

— მე არაი მინდა რა, თქვენი რძი მეტიო.

იარქნებმა მოუწველეს და აუმსეს ჩაფი. მოჟდიან ხემწიფიჟკენ. რაში კიდე არიგეფს ბიჭსა:

— ჩვენ რო ბივალთ, ქალი ამ რძეს ჩაასხამს იმ საარაყე ქვაბში, აადუღებს და ეტყვის ხემწიფეს:—მოდი, ჯერ შენ იბანავე და მერე მეო, ხემწიფე შიგ მოკვდება, მემრე შენ გეტყვის—იბანავეიო

(შენი სიკვტილი უნა იმ ქალსა!), ამ დროს მე მთაში გავიქცევი ყინულზედა და როდესაც ქალი შენ გეტყვის:—იბანავეიო, მე ჩამოვივლი და ყინულ ჩავყრი ქვაბში და შენ მემრე იბანავეიო.

მოიდნენ ხემწიფეჲთან და მოუტანეს ეს იარქნები რძეი. ქალმა აადუღა რძეი და ხემწიფეს უთხრა:

— ჯერ შენ იბანავე და მემრე ჩეო. ხემწიფემ გაიხადა და ჩახტა ქვაბში. ამაიღეს კვტარი. მემრე ქალმა უთხრა ბიჭსა:

— ეხლა შენ იბანავეიო. ამ დროს მოიტანა რაშმა ყინული, ქალის ჩუმათ ჩააგდო ქვაბშია და გააცია რძეი. ბიჭმა იბანავა და ჩშვიდობიანათ გადარჩა.

ქალმა იფიქრა:—ეს ბიჭი გამოცთილი ყოფილა და მოდი ამაზე ჯვარ დავიწერო. კიდევაც მაახთინეს ასე და დიდი ქორწილი გადაიხადეს.

ბიჭმა წამაიყვანა ეს ქალი და წამოიდა თავი მამაჲთან. მამას ყველაფერი უამბო და ძრიან გააკვირვა, აჩტელი ამბავი იმას თავი დღეში არ გეეგონა.

დაულოცა თავი სახეჩწიფოი ამ უმცროს შვილსა და რამტელიმე საათის შემდეგ თვითონაც მოკვტა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა
ძილი გაამოთ ყველასა!..

25. ლ ო მ კ ა ც ა

იყო და არა იყო რა. ხვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. ერთ სახემწიფოში იყო ერთი მოხუცებული კაცი, ჰყამდა სამი შვილი, უმფროს ერქვა არჯევანა, შუათანას—არაკაცი და ნაბოლარას—ლომკაცა.

სამ ძმას შეუჩთა ხალხი, რო ჩამაშენი რატო არა კვდებაო. ვინც კი ახალგაზრდა მოკვდებოდა, ყველა ამ ბებერს აბრალიდა, ეგ აცლის ახალგაზრდას გულ-ღვიძლსაო. შვილებმა ჰკითხეს მამას: როდის მოკვდებიო. მამამ გაიცინა და შვილებს უთხრა:

— მე მაშინ მოვკვდები, როდესაც გასაკვირველ ამბავს გავიგონებო. უმფროსმა თქვა:

— მე წავალ, ისეთ ამბავს გავიგებ, რომ მამას გავაკვირვებო.

შეჯდა ცხენზე და წავიდა. იარა, იარა, ცოტა, თუ ბევრი, ერთ ტრიალ მინდორზე შახვთა ქოხს, რომელსაც მარტო კედლები ჰქონდა. შავიდა ქოხში და კედლის ჩრდილში მზეს თავი მიაფარა. უცებ ქოხში გაჩნდა ცეცხლი. დაედგა ზედადგარი, მოიდა ქვაბი და ერთი ცხვარი დაიკლა, გაკეთდა, ჩაიდვა ქვაბში და შაიდგა ზედ ცეცხლზე. ამის მნახველ არჯევანას გაუკვირდა ძრიენ, მეტი შიშისაგან თმა ყალყზე წაუვიდა: ამის მეტი აღარა უნა მამაჩემს, გაუკვირდება და მოკვდებაო. მართლაც, წამოვიდა სახში. უამბო მამას ეს საკვირველი ამბავი. მამამ გაიცინა და უთხრა:

— შვილო, ნეტაი იმ დღეს, როცა მე იმ ქოხს ვაშენებდიო. შენისთანა მგზავრები იქ მიდიან, შენსეეფ სადილობენ და იმის ლოცვითა და მადლით ჩე აქ ვიცოცხლოფო. არჯევანა დაღონდა.

ეხლა შუათანა ძმამ თქვა:—მე შოვიტან გასაკვირველ ამბავსო. შაჯდა ცხენზე და წავიდა. გაიარა ის ქოხი, ისადილა იქ და განაგრძო გზაი. იარა, იარა, ცოტა იყო, თუ ბევრი, მიადგა ერთ დიდ მუხას. იქ იჯდა ერთი კაცი და რკინას წვრილ წვრილათ შჭრიდა. არაკაცი შეეკითხა:

— რითი ჩაცხოვრობ, ან რათა შჭრი მაგასაო? კაცმა ხისკენ გაუშვირა ხელი. მართლაც, არაკაცი წავიდა ხის სანახავათ. ნახა, იქ ება ერთი ცხენი, შუბლზე რქაი ჰქონდა, წინ რკინა ეყარა და შჭამდა. რკინას ისე გაჩქონდა გრამაგრუმი, რო კაცს ცის ჭექა ეგონებოდა. ამის მნახველი არაკაცი დაბრუნდა უკან. ეხლა უამბო ამ კაცმა: ჩე მაგ ცხენს აუშვებ ხოლმე წელიწადში ერთხელ, წავა მოივლის ქვეყნიერებას, მოიტანს საგზალს, თავითვინ რკინასა და ჩემთვინ პურსაო. უჭრი რკინასა და ვაჭმევო. არაკაცს ეს ძრიან გაუკვირდა და წავიდა სახში. მამას უთხრა:

— აბა გეემზადე, სიკვდილის დრო მოვიდაო. უამბო ეს საკვირველი ამბავი, მაგრამ მამამ გაიცინა და წვერზე ხელი ჩამოისვა:

— ეხ, შვილო, ნეტაი იმ დღესა, როცა იჩ ცხენზე ვიჯექი და თეთრ მდევ დავდევდი მოსაკლავათაო. დაღონდა არაკაციც.

ეხლა ნაბოლარამ თქვა:

— მე გავიგებ გასაკვირვალ ამბავსო. შაჯდა ცხენზე და წავიდა. გაიარა ის ქოხი, იქ პური შჭამა, მივიდა იმ ცხენთან, წამაიყვანა ეს ცხენი. უარობდა ცხენი, მაგრა როგორც იყო შაჯდა. ცხენი გაფრინდა, რომ ბიჭი ცაზე ეეჭყლიტა, მაგრამ ლომკაცა ჩუცელზე მეექცა, წამოვიდა ისევ ძირს, რო მიწაზე დეეჭყლიტა, მაგრამ ეხლა გვერდზე მეექცა, წავიდა მზისკენ, მაგრამ მეორე გვერდზე მეექცა, ბევრი

ეწვალა ცხენი, მაგრა ვერ ბოკლა ლომკაცაი. ცხენმა ბოლოს უთხრა:

— რახან პატრონი ვიშოვნე, აბა შემჯექი და წავიდეთო. გაუდგნენ გზას. იარეს, იარეს, ბევრი იარეს, იპოვეს ერთი ოქროს ფრთაი, რომელსაც ეწერა: „აიღეფ, ინანებ, არ აიღეფ, ინანებ“. ლომკაცამ აიღო და გაუდგა გზას. შახვდა ერთი ვაშლი, რომელსაც ეწერა: „აიღეფ, ინანებ, არ აიღეფ, ინანებ“. ესაც აიღო. კიდე გაიარეს გზაი და შახვდა ერთი ოქროს მტევანი, რომელსაც იგივე ეწერა. ესეც აიღო ლომკაცამ. რამტელიმე ხნის შემდეგ შავიდა ერთ სახემწიფოში, რომელიც სუ თალხებში იყო ჩასმული. გაშოცხადდა ხემწიფესთან და ნობათათ ხემწიფის სამ ქალს მიართვა ეს სამი ნივთი. ხემწიფეს ძრიენ გაუხარდა, მაგრამ მისმა სახთუხუცეს-მეწისქვილემ რო გაიგო, თქვა:

— ეგ თეთრი მდევის ნივთებია და შდევი უფრო აგვაოხრებსო. ხემწიფემ დაიბარა ლომკაცა და უკან დაუბრუნა თავი ნივთები.

— თუ მამიტან ამის ვაზს, ვაშლსა და ქათამს, მაშინ ჩემი ქალები მიიღებს შენ ნივთებსო. ლომკაცამ შისცა პირობა და გაუდგა გზას. იარა, იარა, ბევრი იარა და მიადგა ერთ სალ კლდეს, რომელზედაც თლათ გაშოხრული არჩვები დადიოდნენ. შაეკითხა მათ:

— რათა ხართ ეგრეიო?

— რო ჩამოგვივლი, მაშინ გეტყვითო. გაჯწია და მიადგა ერთ ბაღს, რომელშიც ყველაფერი ოქროსი დგა. ამ ბაღში იყო ის ფრინველიც, ის ვაშლიც და ის ვაზიც, რომელიც ლომკაცამ იპოვნა. შავიდა ბახში, დაიჭირა ოქროს ქათამი, ამოიღო ვაზი და მოგლიჯა ვაშლი. ბაღიდან გამოსვლისთანავე სულიერმა და უსულომ, ქვამ, ხემ, ბოძმა, წყალმა აჯტეხეს ყვირილი:—ლომკაცამ ვაზი მოიპარაო. თეთრი მდევი იქვე იწვა, მას ჩვეულება ჰქონდა, ერთი კვირა ეძიხა და ერთიც ეღვიძა. გამეეღვიძა მდევს და გამოუდგა ლომკაცას. რაბტელიმე ხნის შემდეგ დეეწია, სტაცა ლომკაცას ცხენს, კლანჭი და გამოაგლიჯა უკანა კუნთი. ცხენი წაიქცა. სანამ მდევი დეეწეოდა, ლომკაცამ დაუჭირა შვინდისარი და მდევი გააპო შუაზე. მაარჩინა ცხენი და დაბრუნდა ბახში, უკან. დასარწმუნებლათ წამოიღო ყველაფერი ორ-ოლი: ეხლა სულიერი და უსულო იძახის: „ლომკაცას გაუშარჯოს, ლომკაცას გაუმარჯოსო!“

მოუტანა ხემწიფეს ეს ნივთები და აცნობა იმ თეთრი მდევის ბოკვლაი. ხემწიფეს ეს გეეხარდა. მაშინ ხემწიფეშ თალხები გადააძრო სახემწიფოს და ლომკაცს უთხრა:

— ჩემი სახემწიფო თალხებში იმიტომ იყო, რო წელიწადში

ერთხელ მოვიდოდა თეთრი მდევი და მიიყავდა ახალგაზრდა ქალი და ვაჟიო, მათი ვინაობა აღარ ვიცოდით, ხოლო ერთი კვირის შემდეგ ჩამოივლიდა ხოლმე სისხლის წყალიო.

ლომკაცამ ამ ნივთებით დანიშნა ხემწიფის სამი ქალი, უმცროსი თვითონ, შუათანა არაკაცითვინ და უმფროსი არჯავანასათვინ და გაუდგა გზას. მივიდა იმ ხესთან, საიდანაც ცხენი აუშვა, გაათავისუფლა ის კაცი, მივიდა სახში და მამამაც თქვა, რო ჩემი აღსასრული მოსულაო. უამბო ლომკაცამ მამას ამბავი და რო გაათავა, მამამ უთხრა:

— ნეტაი იმ დღეს, იმ ცხენზე მე ვიჯექი და თეთრ მდევ დავდევდი მოსაკლავათაო, რო გამოუდექი და ვერ მოვკალი, იქვე დავისვენე, ცხენი იქ დავაბი, საიდანაც შენ აუშვიო, ზედ ის კაცი დავაყენე მაშინ პატარა იყოო. თეთრი მდევის დარდით მე აღარ ვკვდებოდი და რახან შენ მოკალი, დამილოცია ეს ცხენი და ჩემი ქონებაცაო,—თქვა ესა და ბოკვდა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა!

26. ბოლიათი

ერთ ქვეყანაში ერთი საწყალი კაცი იყო. შვილი არ ეძლეოდა. ცოლ-ქმარი კი დაბერდნენ. ეს კაცი სხვას ემსახურებოდა დღეში ერთ პურათ. სიბერი დროს ცოლ-ქმარ ვაჟიშვილი შეეძინა. დაიბადა ბავშვი თუ არა, იმ დღიდან იძახოდა: „პური მშია, პური მშიაო“. ამ გლეხის ერთი პური ბავშ მოუნდა, დედა კი-მშიერი დარჩა. გლეხმა თქვა:

— რა ვქნა, პური არა მაქვს, ჯობს წავიდე, ხემწიფე უშვილოა და მას ვთხოვო ბავშვის გარდაო. ადგა და წავიდა სასახლეში. ხემწიფეს ეს გაუხარდა და ბავშვი აიყვანა ერთ ჩანახ ოქროთა. წლისა რომ გახდა, ამ ბავშვს ჯერზე ერთი კამეჩი, ერთი ფურნე პური და ხუთი კოკა ღვინოი უნდოდა. ხემწიფე იძახის:

— ერთი წლის ბავშ რო ამდენი რამე უნდა, კიდე რო გაირდება, რაღა გააძღებსო. ათი წლისას ჯერზე ათი კამეჩი, ათი ფურნე პური და ათი კოკა ღვინოი უნდოდა. ისეთი ღონიერიც გაიზარდა, რო ქვას ნაცრათ აქცევდა. ხემწიფემ თქვა:

— თუ თავიდან არ მოვიშორე, ჩემ ცხოვრებას გადამიჭამს და რათ მინდა ამნაირი შვილობილიო. დაიბარა თავისი ვეზირები და

გამართეს თათბირი. ვეზირებმა ურჩიეს: — შენი გამხთარი საქონელი წავასხმეინოთ, ამა და ამ ადგილას რო ერთი ოქროი ყანაი არი იქა, ზევიდან ღმერთი ქვას დააშენინებს და მოჟკლამს მაგ ბიჭსაო.

ადგნენ და მააგრუეს გამხდარი საქონელი. დაიბარა ხემწიფემ ბიჭი, მიჟცა საქონელი და უთხრა:

— საცა ყანა არის ოქროსი, იქ წაასხიო. წაასხა ბიჭმა საქონელი და შარეკა ყანაში. გადმოიხედა ღმერთმა: „ამ ყანაში ბუზსაც არ გაუვლია და ეს ჯოგი ვინ შარეკა შიგაო.“ გაბრაზდა ღმერთი, ადგა და ზეიდან დაუშინა ფუთიანი ქვის სეტყვა. ბიჭი იმ სააჩი გაწვა მიწაზე გულაღმა. იჭერს ამ ფუთიან ქვებსა და გვერდზე ყრის. საქონელი კი სუ დაიხოცა. ღმერთ გაუკვირდა:—ეს ვინ ყოფილა, ჩემ გასროლილ ქვებს რო ასე ხელში იჭერსო. გამოგზანა ანგელოზი.

— წადი, გაიგე, ის ვინ და რა კაციაო.

დაინახა თუ არა ბიჭმა ანგელოზი, ჩაბრუნდა, პირი მიწისკენ ქნა და ზურგი ღმერთს შაუქცია. ანგელოზი მივიდა ბიჭთან და დაუწყო გაღვიძება. ჟგონია მოკვდა. ჟწვდა ბიჭმა, დაიჭირა ანგელოზი და სასიკვდილოთ ბოუჭირა ხელები. ანგელოზი ეხვეწება:

— რა გინდა, გამიშვი, ნუ მკლაო. ბიჭმა უთხრა:

— ბევრი მჭამელი ვარ და რამე მიშველეო. მინდა ჯერზე ერთი ქათამი, ერთი პური და ერთი ბოთლი ღვინოი მეყოსო...

— ეგრე იქნება, შეგეცვლებაო,—უთხრა ანგელოზმა.

— არა, ჯერ აბა აქ გააჩინე ეგენი, რაც გითხარი, ვნახოთ მეყოფა თუ არაო. ანგელოზმა შაულოცა და ერთი ქათამი, ერთი პური და ბოთლი ღვინოი გაჩნდა იქვე. ჭაბა, ჭამა ბიჭმა და ისე გაძღა, რო ნახევარიც ვერ შაჭამა.

— ახლა გაბიშვიო.

— არა, ჯერ ვერ გაგიშვებ, ეს საქონელი რაც დახოცევით, სუ უნა გამიცოცხლოო. შაულოცა და ეს საქონლებიც სუ ფეხზე წამაიშალა, ხო გამხთრები იყო, ეხლა ისე დასუქებულები, რო ტანში ვეღარ ეტევიან. დალალა და წამაასხა, ანგელოზი კი გაუშვა.

ხემწიფემ მომზადებულ საჭმელს ნავთი გადაასხა, რო მოიწაბლოს გოლიათი, მაგრა ბიჭი გაჯავრდა და სუ აღარა ჭამა. ხემწიფემ კიდევ დაიბარა ვეზირები, რო სხვა რამე მოიფიქრონ ბიჭის ბოსაკლავათ.

ვეზირებმა უთხრეს:

— მოდი, შეში მოსატანათ გავგზავნოთ ამა და ამ მთაში, ეს მთა

ცხრა ძმა მდევისაა და ისინი მოჰკლამენო. დაიბარა ხემწიფემ ბიჭი და უთხრა:

— ამა და ამ მთიდან ურმით შეშაი უნა მოგვიტანოო.

— წავალ, ოღონდ რკინის ურემი და რკინის უღელი გამიმართეთო.

ხემწიფემ მოიხმო მჭედლები და ერთი კაი დიდი რკინის საძნე ურემი გააკეთებინა. შეება ბიჭმა თითონ და წავიდა ტყეში, არც ცული წაიღო და არც არაფერი. მივიდა ტყეში, ერთ ხეს მიაწვა და გადაჩეხა, მეორესაც ეგრე უყო, ამტვრევს ტყეს ხელით. დიდი მდევები სანადიროთ იყვნენ წასული, სახში პატარა ყოფილიყო დარჩოზილი.

პატარა მდევმა გაიგონა ეს ლაწა-ლუწი, მტვრევა და მსხვრევა. გამაიქცა სახლიდან. დაინახა, რო ერთი ადამიანი აოხრებს ტყესა. გაუხარდა: ხელათ შევჭამო.

— მოდი აქა, შენი ძმებიც წამაიყვანეო,—უთხრა ბიჭმა. გაიქცა პატარა მდევი, დაუძახა თავი ძმებსა და მააგროვა ყველანი. მდევებმა რო დაინახეს, ეს ბიჭი დიდ ხეებს ასე ამტვრევს, კანკალი დაიწყეს შიშითა. ბიჭმა მდევებს მაატანინა დიდი ღვედი, გამართა ოთხი უღელი, შააბა ისინი შიგა, დაუდო შეშაი და მააქ სახში. ხემწიფე და მისი ვეზირები ჭოგრიტებით უყურებენ, მოდის თუ არა ბიჭიო.

ხემწიფემ რო დაინახა მდევები, გული გაუსკდა შიშით,—მე ერთის შანახვა მიჭირდა და ამდენ მდევებს რა გაუძლებსო! მოიტანა ბიჭმა ურემი, დააყენა კარებზე შეშაი და თვითონ თავი გაანება. ხემწიფემ მდევები გაგზავნა თავაანთ ტყეში. დაიბარა ისევ თავისი ვეზირები და უთხრა:

— ეს ბიჭი თავიდან უნდა ეამაშოროთ, თორე მაგის დარდით ლამის მოვჰკვდეო. ვეზირებმა უთხრეს:

— მოდი, ეს ბიჭი ამა და ამ ხემწიფესთან გავგზავნოთ, ვითომ მას შენი ერთი ურემი ოქროი მართებს, ის მაგას ოქროს არ მიჰცემს და თავ მოშჭრისო. ხემწიფემ დაიბარა ბიჭი და უბრძანა:

— წადი აშადა ამ ხემწიფესთან, ჩემი ერთი ურემი ოქროი მართებს და მამიტანეო. ბიჭმა უთხრა:

— ჩვენ რკინი ურემს შამააკარი რკინი ლასტები და წავალო. შემოუკრეს რკინი ლასტები, გაჟწია და წავიდა. მივიდა და ზეთ ხემწიფის კარებზე გააჩერა ურემი. ხემწიფემ შიშით კანკალი დაიწყო,

თანაც დაფაცურდა: ბიჭი ბევრის მჭამელი ეგონა და საჭმელებს უმზადებდა.

— არა, ბევრ საჭმელ ეხლა აღარ ვჭამო, შენ ჩემი ხემწიფის ერთი ურემი ოქროი გმართებია და იმითვინა ვარ მოსულიო.

ხემწიფემ ბრძანება გაიცა:

— ურემი ოქროთი გაუმსეთ და გაატანეთო. ხალხი ებღოჭიალებიან და ვერა ძრამენ, რო ხაზინასთან მიიტანონ ეს ურემი. ჩაირბინა ბიჭმა კიბეზე და ურემი უცეფ მააგორა ხაზინასთან. გაამსო ოქროთი, შაება შიგა და წამაიღო. იმ ხემწიფეს გაუხარდა. ბიჭმა აიღო ერთი ჩანახი ოქროი და დაუბრუნა ხემწიფეს, „ეს როჴ მიყიდე იმაშიო“ და დანარჩენი მიუტანა თავი მამას. ეს ხემწიფე ჩამააგდო და თითონ დაჯდა მის ადგილას.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავაგორე,
აქ ჩამოვა გორვებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით
საიქიოჲ ცხონებითა.
ელასა, მელასა,
ძილი გაამოთ ყველასა!

27. ოქროს ჩიტის კვერცხები

იყო და არა იყო რა. ერთ ქვეყანაში ერთი გლეხი იყო. ეს გლეხი მუდამ დღე ვირით ტყეში დადიოდა. ჩამოჲქონდა შეშა და ჰყიდამდა. ერთ დღესაც ტყეში პატარა ბავშვი წაიყვანა. შეშა რო უნა მაიტანოს, ერთ ჭრელი ჩიტი აწოფრინდა. ბავშვმა მივიდა და ბუდეში ერთ კვერცხი ნახა.

წამოიდნენ სახში შეშით დატვირთულნი. მეორე დღეს გლეხმა შეშა წაიღო გასასყიდლათ. ბავშვმა ის პატარა კვერცხი გაატანა და უთხრა:

— მამა, ესეც გაჲყიდე და ცოტა რამე წამომიღეო. შეშა რო გაჲყიდა, გლეხმა გამოიარა და ერთ ვაჭარ უთხრა:

— ამ კვერცხ არ იყიდიო?

— რა ღირსო?

— რაც გინდა მომეციო. ამაიღო და მიჲცა ათი თუმანი. გლეხ გეეცინა:

— რას აᲒბოფო!

— ოც მოგცემ, შე კაცო, რა არიო. გლეხ გონია ეხუმრება და კიდე უთხრა:

— აბა, რას ამობ, შენ მაგი ფასი განა არ იციო?

— ოცდა ათი იყოს, ორმოციო! გლეხმა იფიქრა, მასხარათ ამიგდოო, დაანება თავი და წამოიდა. ვაჭარმა კიდე დაუძახა:

— ორმოცდა ათი იყვეს, სამოცი თუმანიო! გლეხმა უთხრა:

— Გე მიგდებ მასხარათ, თუ როგო არი შენი საქმეო. მას გონია, აბაზი მეტი არ ღირს ეს პატარა კვერცხი.

— კარგი რა, ასი თუმანი იყვესო,—უთხრა ვაჭარმა. გლეხმა იფიქრა:—მოდი, გამოვართმევ, ვიღაც გიჟია, იქნებ შამრჩესო. გამაართვა ასი თუმანი და წამოიდა, თანაც უკან იხედება არ მამდევდესო. ვაჭარი კი მას უყურებს: არ მობრუნდეს და არ Გიშაროსო. წამოიდა გლეხმა ბაზარში, იყიდა თეთრი პური, ტანსაცმელი ცოლ-შვილიტვინა, ბევრი რამე, გაᲐწია და წავიდა. მივიდა სახში და ცოლმა უთხრა:

— ვინ მოგცა ამოტონა ფული, საიდან იყიდე ესენიო.

— რა შენი საქმეა, ვინც მამცაო.

გლეხმა ბავშვ უთხრა:

— შვილო, საცა ეს კვერცხი იყო, კიდე არი რამეო?

— არაო,—უთხრა ბავშვმა.

— ხო მიაგნეფ იᲒ ალაგს?

— მივაგნეფო.

მეორე დილით წაიყვანა გლეხმა თავი ბიჭი და წავიდნენ ტყეში. ნახეს, ჩიტი ამაფრინდა, კვერცხი არ არი. ის ჩიტი კვირაში ერთ კვერცხსა დებს. წამოიდნენ სახში და ერთი კვირი შემდეᲥ წავიდნენ, ნახეს კვერცხი და წამოიღეს, ამ გლეხმა კვერცხი კიდე წაუღო იმ ვაჭარ და კიდე ასი თუმანი გამაართვა.

ეს გლეხი ძალიან გამდიდრდა. ბოლოს ვაჭარმა უთხრა:

— შაგიძლია, ის ჩიტი დაიჭიროო? წამოიდა გლეხი და წაიყვანა ბავშვი ჩიტი დასაჭერათ. საღამოთ უთვალთვალეს აᲒ ჩიტსა, გაუკეთეს საფარი და ღამით წვდა ეს კაცი და დაიჭირა. ჩამოიყვანა სახში, კაცმა თქვა:—ეს რო ვაჭარ წაუყვანო, უარესია, ეს მუდამ კვირა ერთ კვერცხ დადებ, იმას გავყიდი, უკეთესიაო. გაუკეთა გალია, ჩასვა შიგა და შაინახა სახში. ეს ჩიტი მუდამ კვირა ერთ კვერცხსა სდებ, მიაქვ გლეხ ვაჭართან და ასთუმან იღებს. ვაᲭარი

ძალიან დაუმეგობრდა ამ გლეხსა. კიდეც დაუნათლიავდა. ვაჭარმა შაიყვარა ამ გლეხი ცოლი. ერთხელაც ეს გლეხი სხვაგან წავიდა. ვაჭარმა უთხრა ქალსა:

— თუ დამიკლავ იმ ჩიტსა და შამაჭმევ, მეყვარები, თუ არა და არაო. ქალმა თქვა:

— ეს ჩიტია ჩვენი ცხოვრება და როგორ დავკლაო. ვაჭარი არ ეშვება. ბოლოს ქალმა უთხრა:

— რა ვქნა, ისევისე დაგიკლამო!

ამ ჩიტს აწერია: ვინც ჩემ თავს შეშჭამს, ხემწიფეთ იქცევა, ვინც გულსა — გულთმისანი გახთება და ვინც კუჭსა — ასი თუმანი მუდამ დილით თავთით დახვთებაო.

დაკლა ჩიტი ქალმა. ამ გლეხ სამი ბიჭი ჰყამ. ჩინამ ვაჭარი მოიდოდა, ბავშვები დეეხვივნენ დედას: პური გვშიანო: აიღო დედამ და ერთს თავი მიჴცა, მეორეს—გული და მესამეს—კუჭი. მოიდა ვაჭარი:

— რა ქენი, დაკალი ჩიტიო?

— დავკალიო!

— აბა რა უყავი თავი, გული და კუჭიო?

— ესენი ბავშვებ შავაჭამე, შენ სხვარამე დაგიტოვეიო. ვაჭარმა ბევრი ირტყა თავში, ჩაგრამ რას იზამდა. ბოლოს ქალ უთხრა:

— თუ დაჩიკლავ მაგ ბავშვებს, ამააცლი თავ, გულ და კუჭ, მეყვარები, თუ არა და მივდივარო. ქალ ეს ვაჭარი გაგიჟებით უყვარს, ცოტა შაჴწუხთა, ჩაგრა უთხრა:

— საღამოთი რო დაიძინებენ, დაგიკლამო!

საღამოთი ბავშვები რო დაწვნენ, ამათ დანას ლესა დაუწყეს. შუათანა ბავშვმა, რომელმაც ჩიტი გული შაშჭამა, გაიგო, რო დედა და ვაჭარი მათ დაკვლას უპირობენ, ააყენა საჩქაროთ ძმები და უთხრა:

— გავიპაროთ, თორე დედაჩვენი და ნათლიაი დახოცვას გვიპირობენო. გამოცვივდნენ ბავშვები და ჩოედვნენ ერთ უდაბურტყეს. ერთ ჯვარედინ გზაზე რო მივიდნენ, თქვეს:—მოდი გავიყაროთ, ყველა თავ-თავიანთ გზაზე წავიდეთო. გაიყარნენ ძმები და წავიდნენ.

პატარა ძმა ერთ ქვეყანაში მივიდა. ერთ ვაჭარს შახვდა და უთხრა:

—დუქან დაგიგვი, მოგემსახურები და შენთან დამაყენეო.

— დაგაყენებ, პურსაც გაჭმევ, ჯამაგირსაც დაგინიშნამ, ოღონ ხელბრუნდობა არ შაგამჩნიოო,—უთხრა ვაჭარმა.

საღამოთი ვაჭარი სახში წავიდა, ეს ბიჭი დუქანში დაჯტოვა. დილით ამ ბიჭ რო გეეღვიძა, ასი თუმანი თავთით უდემ. ბიჭმა აიღო ეს ასი თუმანი და იფიქრა:—საცთელათ დაუდვია ჩემ ხაზეინსო. დილაზე ვაჭარ მიჯცა, აქ დაგრჩენიაო. ვაჭარმა თვალები ჭყიტა:

— მე ასი თუმანი საქონელი სულ არა მაქვს და ეს საიდან გაჩნდაო. მეორე ღამესაც დუქანში დატოვა ეს ბიჭი. დილით კიდე ასი თუმანი უდემ თავთით. ბიჭმა კიდე იფიქრა:—აი, არ მენდობა ვაჭარი და კიდე მცთისო. აიღო და კიდე ჩიჯცა ეს ფული ვაჭარ. ვაჭარმა თქვა:—ერიჰა, აქ რაღაც საქმეა, აჩ ბიჭ თუ კარქათ არ მოუარე და გამიგო, საქმე ცუდათ წამივაო. წაიყვანა სახში და ისე უვლის, რო არაფერ აკლებს, მუდამ დილით ვაჭარი ადგება და ამ ბიჭ თავთით ას თუმან აცლის. ვაჭარი ძალიან გამდიდრდა.

გავიდა რამტენიმე ხანი. ვაჭარი მეზობელ ხემწიფეს მზეთუნახავი ქალი ჰყაჩ. ამ ქალი სახის დანახვაი ასი თუმანი ღირს, ვინც ნახევარ ტანს—ორასი და ვინც მთელათ დაინახამს—სამასი თუმანი უნდა გადაიხადოს. ამ ბიჭ ქალის ამბები ესმის შორიდან. ერთ დღეს ხაზეინს უთხრა:

— მოდი, ერთი გამგზავნე, ვნახო, ის ქალი რა არიო. ვაჭარ ფული კი არ ენანება, მაგრა ეშინია, ვაი, თუ გაიგოს ბიჭმა, რო დილით თავთით ასი თუმანი ხვთება და ამიტვინ უთხრა:

— ასი თუმანი·აბა როგო მენანება, მაგრა მეშინია, ვინმეჩ არაფერი გაწყინოსო. ბიჭმა არ დაიშალა. ბოლოს ვაჭარმა ყაბალახი შამააკრა თავზე და უთხრა:

— შელოცვილი ყაბალახია და მინამ სახში არ მოხვიდე, არ შამოიხსნაო. წავიდა ეს ბიჭი. დიდი გზა აქვს გასავლელი. საცა დაიძინებს, ასი თუმანი თავთით უჩნდება და ყაბალახში გროვდება.

იმ ხემწიფი ქვეყანაში რო მივიდა, ერთ ბებერ ეჯტუმრა.

— ბაბო, აქ რა ამბავიაო?—ჰკითხა ბებერსა.

— აქ ქალი ჰყაჩ ჩვენ ხემწიფესა, მარტო თავ თუ დაანახვებს ვინმეს, ას თუმან ართმევს, ნახევარ ტანსა—ორასს და მთელ ტანსა—სამასსო. რამტენიმე დღე დარჩა ამ ბებერთან და ეს ყაბალახი ძალიან დაუმძიმდა. თქვა: უნა შამოვიხსნაო. ამ ბიჭმა შამოიხსნა ყაბალახი ისეთ დროს, როცა ბებერი იქ არ არის, ნახა შვიდასი თუმანი მეტია შიგა. ეხლა კი თქვა:—თურმე მე გაჩიკეთებია ის ვაჭარიო. ბებერი რო მოიდა, ბიჭმა უთხრა:

— მე წავალ, იმ ქალ ვნახამ და ისევისე დავბრუნდებიო. წავიდა ის ბიჭი, ჩააბარა სამასი თუმანი და უთხრა ხემწიფი ხალხს:

— ბარემ მთელათ დამანახვეთო.

ბიჭმა რო ქალი დაინახა, ძალიან მეეწონა. გამობრუნდა და წამოიდა. უცებ ისევ დაბრუნდა და მაითხოვა:

— ერთი კიდე დაშანახეთო. ჩააბარა სამასი თუმანი და კიდე დაინახა ეს ქალი. გამობრუნდა. ასი თუმანი კიდე აქ ჯიბეში. თქვა:— მოდი, ამ ას თუმანსაც დავხარჯამ, ერთსაც დავინახამ. მივიდა და უთხრა:

— ასი თუმანი კიდე მაქ და კიდე უნა მანახოთო. ქალს ეუბნებიან, რო კიდე ის ბიჭი მოიდაო. დაინახა ბიჭმა კიდე ქალი, გამოიწია და წამოიდა. ნოიდა ბებერთან. მინამ ბებერთან მივიდოდა, ცოტა წაიათვლიმა და ასი თუმანი გაუჩინთა იმ საჩი. მოიდა ბებერთან, იყიდეს რამე, ჭამეს, სვეს, აბა ას თუმან როგორ დახარჯამდა. გათენდა დილაი და ასი თუმანი ისევისე თავთით გაუჩნდა. ბიჭ ქალი სიყვარული ძალიან ჩაუვარდა გულში. იმტენი მაითმინა, რო სამასი თუმანი ნააგროვა. მივიდა ისევისე იმ ქალი სანახავათ. მიიცა სამასი თუმანი და ქალს უთხრეს:

— ისევისე ის ბიჭი არიო. ქალმა თქვა:

— საიდან, როგორ, სადა აქვ ამტელი ფულიო. ქალმა უთხრა ვეზირებს:

— ამაიყვანეთ, ვნახო, ერთი რა კაციაო. ბიჭმა ჯერ დიდი ვარი დაურტყა, მაგრა ქალმა შამოუთვალა:

— რა ფულიც მაგიტანია, უკან წაიღე, ოღონ გნახო, რა კაცი ხარო. შავიდა ბიჭი ქალთან. დასხდნენ და ქალმა უთხრა:

— დღესაც ჩემი ხარ, ხვალაც, ზეგაც, გულში ჩამივარდი და ესაო. გააჩაღეს ნიშნობა, ქორწილი და შაირთო ეს ქალი. რამტელიც ადგებიან დილით, ამ ბიჭ ასი თუმანი ხვთება თავთით. ქალნა უთხრა:

— საიდან მოდის ეს ასი თუმანი, როგორ ჩნდებაო.

— საიდანაო და მე ჩაყლაპული მაქ აშა და ამ ჩიტის კუჭი და ეს მიწერიაო. ქალმა თქვა:

— აბა, რა ქალი ვარ, ეს კუჭი თუ არ წამოგაგდებინეო. დაათრო ეს ბიჭი, არწყეინა, ანთხეინა და ეს კუჭი წამააგდებინა. გარეცხა ხელათ და ამ ქალმა ჩაყლაპა.

როდის იყო ამ ბიჭ გაშოეღვიძა. ერთი დღე გავიდა, ორი, სამი, თავთით ასი თუმანი აღარ ხვთება. ქალმა უთხრა:

— აბა, აიკრიფე გუდანაბადი და აქედან გამეცალე, მე ფული გულიჲტვინ მინდოდი, ფული შენ კი არა გაქვსო. გამააგდო ეს ბიჭი. წამოიდა, იარა, იხეტიალა და ერთ ჯვარედინზე მოიდა.

ამ ჯვარედინზე სამნი ძმანი იყრებიან. გასაყოფი აქვთ: ერთი ოქროი სუფრა, რასაც ინატრებ სუ ყველაფერ რო აჩენს, ერთიც ხალიჩა ამსვი-დამსვისაი და ერთიც ქუდი უჩინმაჩინისაი. ძმები ჩხუბობენ, სამთავეს სუფრაზე აქვთ ცილაობა. ბიჭმა უთხრა:

— რასა ჩხუბობთ, ამ ჯოხ გავისვრი, მეორე ჯოხ მეოოე მხარეს, მესამეს-მესამე მხარეს, ვინც ადრე მოვა, სუფრა მისი იყვეს, ვინც გვიან—ხალიჩა დარჩეს, და ვინაც ბოლოს—მას უჩინმაჩინის ქუდი ერგოსო. გაიქნია ამ ბიჭმა ჯოხები, ძმები გაიყვნენ თავ-თავი ჩხარესა. ბიჭმა დაჯდა ხალიჩაზე, დაიდო გვერდზე სუფრა, ქუდიც თავზე დაიხურა და ხალიჩას უთხრა:

— აბა, ხალიჩავ, ამსვი-დამსვი და საცა ჩემი ცოლია, იქ დამსვიო. აფრინდა ხალიჩა და წავიდა. ძმებმა რო ხალიჩა გაფრენილი დაინახეს, თქვეს:

— ჩვენ შნო არა გვაქვს და ვისაც შნო აქვ, წაიღო და მაიხმაროსო. ეს ბიჭი ჩამოფრინდა თავი ცოლი ქვეყანაში. გათენდა დილა და ხალიჩას უბრძანა:

— აბა, ხალიჩავ, ქალის აივანზე დამსვიო. სუფრას უბრძანა:

— აბა, საუმელები გააწყეო და მან უჩინმაჩინის ქუდი დაიხურა. ბივიდნენ ბალკონში. ქალი გამოიდა გარეთ. დახედა ამ სუფრასა და თქვა:—საიდან, როგორ გაჩნდა აქაო. ქალი ხალიჩაზე დაჯდა. ბიჭმა ეხლა ხალიჩას უბრძანა:

— აბა, ხალიჩავ, ამსვი-დამსვი და ამა და ამ ზღვი პირას დამსვიო. ზეცით რო მიფრინავენ, ამ ბიჭმა აიხადა ქუდი და ქალს უთხრა:

— ხომ მატყობ, ვინცა ვარ, რა უნა მიყოო. ქალმა კიდე მოულბო და უთხრა:

— დღესაც ჩემი ხარ და ხვალაცაო. ზღვი კუნძულზე რო ჩამოიდნენ, რამტენიმე ხანი დარჩნენ. ქალჲა უთხრა:

— მოდი, ზღვაში ვიბანაოთო. რო გაიხადეს და იბანავეს, ქალი ადრე გამოიდა. დაჯდა ამ ხალიჩაზე და უბრძანა:

— ხალიჩავ, ამსვი-დამსვი და ისევ ისე ჩემ ქვეყანაში დამსვიო. დარჩა ეს ბიჭი ამ უდაბურ კუნძულზე. ბიჭი გამოიდა ზღვიდან, ბევრი იარა, ბევრი იხეტიალა და ერთ ალაგას დეეძინა. თავი სიპ ქვაზე დადო. ესიზმრა: რო გამოიღვიძო, ამა და ამ ალვი ხეზე ადი, ის ხეი

გადაიხრება და ზღვი ნაპირზე გადავა, რო გადაჴხვიდე, ერთი წკეპ-ლა როგორმე ჩამოჴტეხეო, რასაც დაარტყამ იმ წკეპლასა და გუ-ნებაში იტყვი, იმათ აქცეო.

გამაიღვიძა ბიჭმა და თქვა: ხო მაინც ვკვდები ამ კუნძულზე, მო-დი, წავალ იმ ალვი ხეჴთანაო. ავიდა ალვი ხეზე. გადაიხარა ხეი ზღვი ნაპირზე, ბიჭმა ერთი წკეპლაი მოჴტეხა და გადავიდა. იმტე-ლი იარა, იმტელი იხეტიალა ამ ბიჭმა, რო მოიდა ისევისე აჴ სახემ-წიფოში. ჩაიცვა ძველი ტანისამოსი და მოვიდა ხემწიფეჴთან.

— დიდებულო ხემწიფე, მოჯამაგირეთ დაგიდგებიო. დაიყენა ხემწიფემ მოჯამაგირეთ და ჩააბარა ცხენის მეჯინიფობა. ამ ბიჭმა გადაუსვა წკეპლა ცხენებს და უთხრა:

— ისე დასუქთით, რო ყველა გააკვირვეთო. დასუქთნენ ცხენე-ბი. ჴეჯინიფემ სახელი გაითქვა, რაც უნდა მკვდარი ცხენი მიუყვა-ნონ, ყველას ასუქებს. ქალმა გაიგო სახელგათქმული მეჯინიფის ამბავი და თქვა: — მოდი, ჩავალ და ვნახამო. ჩავიდა, მართლა, ქალი და ცხენებსა და მეჯინიფეს რო ათვარიელებს, ბიჭმა ხელათ ამ ქალ წამოუარა, დაჴკრა წკეპლა და აქცია დედალ ვირათ, მიიყვანა და დააბა ცხენებთან.

ხემწიფეჴ ხმა დაადგო, ქალი დამეკარქაო. მდევრათ გაუშვა მთე-ლი სახემწიფოი, ჴაგრა ვერ იპოვეს.

ჴეჯინიფეს ერთი ვირიღა დარჩა, დანარჩენი ცხენები სუ წაასხეს საძებნელათ. მეჯინიფემ უთხრა ხემწიფეს:

— დიდებულო ხემწიფე, მოდი მე შავჯდები ამ ვირზე და ჴოვ-ძებნი ქალსაო. მიჴცა ხემწიფემ ნება. შაჯდა მეჯინიფეი, მაგრა ვირი ეზოდან არ გამოდის. მეჯინიფეს სახრე უჭირამ, უდო და უდო ამ ვირათ ქცეულ ქალსა. გაჴაიყვანა, შაჯდა და მოუსვა. იმტელი სცემა, იმტელი უდო, იმტელი არწყეინა და ანთხეინა, რო ის კუჭი წამააგ-დებინა. გარეცხა და ჩაყლაპა ამ ბიჭმა.

ეს ბიჭი ვირით ერთ ქალაქში მივიდა. საცა ნაგავი და ნეხვია გა-სატანი ყველას აქირავებს ამ ვირსა:—რაც თქვენი ნებაა, ის მამე-ცით, ოღონ ვირი არ დამიკარქოთო.

ეს ვირათ ქცეული ქალი ისე გაატყავეს, ისე გაატყავეს, რო გვერდები სუ გადააგლიჯეს. ერთ ალაგას ბიჭი სადილი საჭმელათ შავიდა დუქანში, ვირი მაღლა დაბა. ვირმა აგლიჯა თოკი და გაიქ-ცა. ერთი ხემწიფი ეზოში ზარი ჰკიდია, ვისაც საჩქარო რამე აქვ იმ ზარ დარეკამს. ჴივიდა ვირმა და ის ზარი დარეკა. გამოცვივდნენ

ხემწიფი ვეზირები, დაუშინეს ამ ვირ და გააგდეს. კიდე დარეკა ვირმა. კიდე გააგდეს. ხემწიფემ უთხრა ვეზირებს:

— აქ მაიყვანეთ ის ვირიო. მაიყვანეს ეს ვირი და თქვა: ნეტაი ამის პატრონი ჩამაგდებინა ხელშიო, განა ვირის ასე გატყავება შაიძლებაო.

ბიჭი რო გამოიდა, ნახა, ვირი არ არი. ეძებს გამწარებული. ვეზირები კიდე დადიან და კითხულობენ:

— ვირი ვის დეეკარგა, ვირი ვის დეეკარგაო. შახდნენ ამ ბიჭს და უთხრეს:

— წამოდი, წაიყვანეო. მიიყვანეს ბიჭი ხემწიფეჲთან. ხემწიფემ უთხრა:

— რის გაჩენილი ხარ, ღმერთისა, ქაჯისა თუ რისა, განა შაიძლება ვირის ასე გატყავებაო.

— შენ რო მაგ ვირის ამბავი იცოდე, მგონი ანთებულ ცეცხლში ჩააგდოო.

— აბა, ვირი რა არი და მაგი დაშავება რა უნდა იყოსო,—უთხრა ხემწიფემ.

— ეგ განა მართლა ვირიაო? ეგ ამა და ამ ხემწიფი შვილი მზეთუნახავი ქალი არი, ჩემი ცოლიო. მე ვიყავი ერთ გლეხი შვილი, მყვანდა ორი ძმებიო. დედა ჩვენმა საყვარელი გაიჩინა, უნა დევეხოცეთ, ერთ ჩიტი დაგვიკლა, მე კუჭი შამაჭამა, უფროს თავი და შუათანას გულიო, თითოს სხვადასხვა რამე გვეწერა, მე კი თავითი, ყოველ დილით ასი თუმნის გაჩენაო. ძმები გავიყარენით, მე ამ ქალ შავხვთიო. ხემწიფემ აღარ აცალა დამთავრება, გადეეხვია და დაჲკოცნა, მე შენი ძმა ვარო. ბიჭ ძალიან გეეხარდა. დაჲკრა მაშივე ამ ვირ წკეპლა და აქცია ქალათ. დაადებინა პირობა:

— ამ ჩემი ძმი ხათრით, თუ აღარ მიღალატეფ, ცოლათ შაგირთამ, თუ არა ეხლავე მოგთლი თავსაო. დაუდო ქალმაც პირობა და ბიჭმა შაირთო ცოლათ.

შუათანა ძმას გულთმისნობა დავიწყნია, დაგლახაკავებულა და უფროსი ძმი სახემწიფოში მუშაობს. გაიგო, რო ეს ხემწიფე მისი ძმა არი და პატარა ძმაც იქაა. ადგა და თითონაც გამეემცნაურა თავი ძმებსა. ერთმანეთის ნახვა ძალიან გაუხარდათ. პატარა ძმამ უთხრა:

— მე უნა წავიდე და ვიქორწილო ჩემი ქალი ქვეყანაშიო, წავიდეთ, შემდექ მშობლები ვნახოთო. წამოიდნენ ჯერ ბოლოლა ძმი ქვეყანაში. ხემწიფეს უთხრა თავი თავგადასავალი ამ ბიჭმა. ხემწიფემ მაიწონა: თუ ქალმა გაგტანჯა, შენც უნა გაგეტანჯაო. გადაიხა-

დეს დიდი ქორწილი, სამთავენი ძმები დასხდნენ ამ ხალიჩაზე და წამოიდნენ თავი მამი ქვეყანაში. იმ დროს მოიდნენ, რა დროსაც მამა ამ ბავშვების წირვას ხთილობს. ეჯტუმრნენ გლეხსა.

დედამ, როცა მამა მოიდა სახში და შვილები არ დახთა, ქმარ უთხრა:

— შვილები დაგვეხოცნენო, და ეხლა მათ წირვას ხთილობდა.

— რის წირვა გაქვთო,—შაეკითხა უფროსი ძმა.

— ესე, ესე, სამი შვილი მყვანდა, მე სხვაგან ვიყაი, დამეხოცნენ და იმათიო.

— აბა, ვნახოთ საფლავიო. წავიდნენ, ნახეს საფლავი, ამოთხარეს, შიგ კუნძები ნახეს.—ჩვენ შენი შვილები ვართ, ეს დედაა, მართალია, გვშობა, მაგრამ მოღალატე არიო. ამ ქალ ჩოჭრეს თავი, წაიყვანეს მამაი თანა, შუათანა ძმაც დააქორწილეს და დღესაც კარქათ ცხოვრობენ.

28. ჩეთვრიანი ქალი

ერთ ქვეყანაში ერთი სოვდაგარი იყო. მთელი ქვეყანა შააჯერა და წამალი ვერ იშოვნა, რო შვილი გაშჩენოდა. ერთხელ გზაში მოდის და დაინახა, დურგალი ყანასა მკის. დურგალი ამ დროს პურსა შჭამდა. სოვდაგარმა დაუძახა:

— წყალი ხო არა გაქვსო?

— მობრძანდი, წყალიცა მაქვ და ღვინოცაო!

მივიდა სოვდაგარი, დასხდნენ და პური ჭამეს. ერთიმეორეს თავაანთი თავგადასავალი უამბეს. სოვდაგარმა უთხრა:

— ჩემი საქმე ესეა, ამოტელა ქონება მაქვ და შვილი არა მყაო. დურგალმა უთხრა:

— მე შვილი გაჩენი წამალ გაჯწავლი, წლი თავზე ვაჟიშვილი გაგიჩნდება, თუ მე მამანათვლინებო.

— ოღონ შვილი გამიჩინე და თუ გინდა ასჯერ მოგანათვლინებო. დურგალმა მიჯცა ერთი ვაშლი და უთხრა:

— გაშჭერი ეს ვაშლი, ნახევარი შენ შეშჭამე, ნახევარი ცოლმა და წლი თავზე ვაჟიშვილი გაგიჩნდებაო.

წამოიდა ეს სოვდაგარი. გაშჭრა ვაშლი, ნახევარი მან შეშჭამა, ნახევარიც ცოლმა და წლი თავზე, მართლაც, ვაჟიშვილი გაუჩნდა.

დაიბარა დურგალი და მაანათვლინა. კაი დრო გაატარეს. დურგალმა უთხრა:

— ამას მე უნა დავანათლო ისეთი რამე, ეხლა რო წავალ—თვრამეტ წლამდინ ის უნა ვიმუშაოო; რო გახთეს თვრამეტი წლისა, ჩემთან გაგზავნეო,—თქვა ეს დურგალმა და წამოიდა სახში.

დაიწყო დურგალმა ერთი ხი ცხენის გაკეთება. ეს ბიჭიც რო წამეიჩრიხვა და თვრამეტი წლისა გახთა, მამამ უთხრა:

— უნა წახვიდე შენ ნათლიადთანაო. ბიჭი რო თვრამეტი წლისა შასრულდა, დურგალმაც დაამთავრა ხი ცხენი გაკეთებაი. სოვდაგარმა გაგზავნა ბიჭი. მივიდა დურგალთან. ჯერ კაი პური ჭამეს და ბოლოს დურგალმა უთხრა:

— მე შენ რო მოგნათლე, მა შემდეგ ამ ცხენ ვაკეთებ, რო შენ დაგანათლოო, ეს ცხენი მფრინავია, მაღლა აუწევ აღვირს, მაღლა გაფრინდება, დაბლა დაჯდეს, დაბლა წამოვა, გვერდზე მოაწევ, გვერდით წავაო.

გამოიტანა ბიჭმა ეს ცხენი, გამეიმშვიდობა თავი ნათლიასა და ნათლიდედას, აუშვა ეს ცხენი და წამოიდა.

ერთ ქვეყანაში ჩამოფრინდა. ერთ ბებერ ეჯტუმრა. ბებერმა უთხრა:

— შვილო, შენი საკადრისი მე არა ბაქვს რაო.

— არ გინდა, ბებო, მე ყველაფერი მაქვ ჩემთვინო. მიჯცა ფული ბებერს ბიჭმა და დაუბარა:

— რაც გინდა იყიდეო. ბებერმა იყიდა ყველაფერი და სახში დაბრუნდა. როცა კაი პური ჭამეს, ბიჭმა ჰკითხა ბებერსა:

— ბაბო, ამ ქალაქში რა ამბავიაო?

— ამ ქალაქში, შვილო, ერთ კაი საინტერესო სანახავია, მეტი არაფერიო, ჩვენ ხემწიფეს ერთი ქალი ჰყამს, წონით ერთი ჩეთვერიაო, ყველა ასო ქალისა აქვ, რამტელიხანია ოქროს სინაზე დევს და არც ირდება და არაფერი, მაგრამ დილით ხემწიფეი წონისო.

ბიჭმა თქვა:—რაც მამივა, მამივა, ის ქალი უნდა ვნახოო. შაჯდა თავი ხი ცხენზე და წავიდა. შავიდა ხემწიფი სახში, ცხენი კარებში მიაყუდა. დახედა ამ ქალ, გადააბრუნა, გადმოაბრუნა, ქალია, მაგრა ერთი ჩეთვრი წონაი აქვს. დატოვა ეს ქალი და წამოიდა. მოიდა ბებერთან და უთხრა:

— მართალი ყოფილა, ბაბო, რაც შენა თქვიო. გათენდა დილა და ეს ქალი აჯწონა ხემწიფემ, ნახა ქალი ნახევარი ფუთია წონით.— ჩემ შვილ ვიღაც უცხო თვალი ბახვედრია წუხელო და რაც გარეთ

ყარაულები ჰყვანდა, სუ დახოცა. ბიჭმაც გაიგო, რო ეს ქალი წუ-ხელ გაიზარდა, უკვე ნახევარი ფუთია. ბიჭი დაინტერესდა:—კიდე უნა ვნახოო. დაღამდა თუ არა, ბიჭი შაჯდა თავი ხი ცხენზე და წავი-და. ჩაფრინდა ხემწიფი სასახლეში, ჩუმათ შაიპარა სახში. ნახა ეს ქალი უკვე ბავშვია, ნახევარი ფუთი. აიღო ხელში, ესურვილა, ბო-ლოს დასვა ისევისე ოქროს სინაზე და წამოვიდა. ბებერს უთხრა:

— მართლა ნახევარი ფუთია, ისეთი ყმაწვილი გამხთარა, რო-გორც ბადრიო.

— შვილო, უცხო თვალი მოხვედრია, თორე რამტელი წელიწა-დია, ეს ბავშვი ისე არის და არისო.

მეორე დილით ხემწიფემ აწონა ქალი, ნახა ფუთნახევარია. ხემ-წიფემ იმ ღამეს რო ყარაულები ჰყანდა, ისინიც დახოცა: ვიღაც შა-მოდის და ვერ იგებთო და ახალი გუშაგები დააყენა.

ბიჭმაც გაიგო, რო ეს ქალი უკვე ფუთნახევარია. დაღამდა თუ არა, შაჯდა თავი ცხენზე და ჩაფრინდა ხემწიფი სასახლეში. ნახა, ბავშვი მართლა ფუთნახევარია. ელაპარაკა ამ ბავშვ და ისევისე წამოიდა.

ბებერს უთხრა:

— მართლაც ფუთნახევარი გამხთარაო. გათენდა დილა. ნახა ხემწიფემ ქალი, აიწონა და სამი ფუთია. მესამე ყარაულებიც გაიგ-წყვიტა ხემწიფემ.

გავარდა ხმა: ქალი უკვე სამი ფუთი გახთაო. ეს ბიჭიც კვირობს. ერთი კიდე უნა ვნახოო,—ბიჭმა იფიქრა. როცა დაღამდა, შაჯდა თა-ვი ხი ცხენზე და ჩავიდა ისევისე ხემწიფი ქალთან. ნახა, მართლა სამი ფუთია. მოუჯდა გვერდში, იარშიყეს, ისურვილეს, ბოლოს ერ-თი აკოცა. გამოიწია და წამოიდა. სადაც აკოცა, იქ ქალ ხალი დაა-ჩნდა. მოიდა ბებერთან და უთხრა:

— ბართლა სამი ფუთი გამხთარაო.

დილაზე აწონა ხემწიფემ თავი ქალი, ნახა სამი ფუთი კი არა, ოთხფუთსა აღარა აკლია .რა. შამოურა ხემწიფემ სახლსა, ბანიდან არის ნავალი. თავში იცა ხელი, რო ტყუილა დახოცა ყარაულები. ვეზირებმა უთხრეს ხემწიფეს:

— სახლ ირგვლივ კუპრი შეპოვავლოთ, ბანზეც კუპრი დავღვა-როთ, თუ მოვა ვინმე, შიგ ჩარჩება და დავიჭერთო. შემაასხეს კუპ-რი მართლაც.

ბიჭმა გაიგო, რო ის ქალი ოთხი ფუთია. წამოიდა ღამით სანა-ხავათ. ბანიდან რო წამოიდა, თავი ცხენი ჩეეფლო კუპრში. იფორთ-

ხა, იწვალა და როგორც იყო, ამოიდა და გაფრინდა თავი ცხენით. დილით ხემწიფემ ნახა, რო ცხენი ნავალია. გაჴცა განკარგულებაი:

— საცა კუპრიანი ცხენი და კაცი ნახოთ, დაიჭირეთ და აქ მამგვარეთო. დაუარეს, მთელი ქვეყანა გაშინჯეს და ვერსად იპოვეს ასეთი კაცი. ხემწიფემ იკითხა:

— აღარავინ დარჩა, რო არ გენახოთო?

— ბებერთან ამ წინეებზე ერთი ტუმარი იყო და არ გვინახამო.

— ისიც მამიყვანეთო. წაიყვანეს ბიჭი, უპოეს კუპრიანი ტანისამოსი და გადაუწყვიტეს დახრჩობა. ვეზირებს უთხრა ხემწიფემ:

— წაიყვანეთ და ქალაქ გარეთ დაახრჩეთო. ბიჭი რო მოჴყამთ, ბებრი კარებზე გამაატარეს. ბიჭმა უთხრა:

— ერთი კვირაა, აჴ ბებერთან მაქვ ბინაი და შავალ ერთ მაინც დავკოცნი და მერმე გინდა დამახრჩეთ და გინდა დამწვითო. შავიდა ეს ბიჭი, აასხა თავი ხი ცხენი, შაჯდა, აჴყარა ჭერი და გაფრინდა. მივარდა ხემწიფი სასახლეჴთან, გამოიტაცა ეს ქალი, შამაისვა ცხენზე და გაფრინდა. ხემწიფემ დაინახა ეს ყველაფერი. ვეზირებმა კიდე ვეღარ ნახეს ეს ბიჭი.

ერთ უდაბურ ტყეში მოიდნენ. ამ ქალ მუცელი აჴტკივდა. ბიჭ უთხრა:

— ძირს უნდა ჩავიდეთო. ბიჭმა გახედა წყალ გაღმა და დაინახა, რო დიდი ცეცხლი ანთია. ჩამოიდნენ ძირსა და ქალ უთხრა:

— მე წავალ აჴა და ამ ალაგას, ცეცხლი ანთია და ცეცხლ მოვიტან, თუ ცოცხალი მოვედი ხო, თუ ვერ მოვედი, თუ ბიჭი გაგიჩნდეს აბრამი დაარქვი, თუ ქალი, რაც შენი ნება იყოს—ისაო. დატოვა ეს ქალი ამ უსიარ ტყეში და თვითან წავიდა. მივიდა ეს ბიჭი, საცა წყალგაღმა ცეცხლი ანთია. დახედა ზევიდან ამ ცეცხლსა, გარშემო ათი-თომრეტი მდევი უწევ, ძირს რო ჩავიდეს, ალაგი არაა, რო ცეცხლი აიღოს, მაღლიდან რო დაჴწვდეს, ეშინია, ეს კუპრიანი ხი ცხენი არ დაეწვეს. დაჴწვდა ისევისე ზევიდან ამ ცეცხლსა, მაგრა წეეკიდა კუპრიან ხი ცხენს ცეცხლი და დეეწვა. ამ ბიჭმა იფიქრა:— წავიდე ფეხითა, იჴ წყალში მაინც ვერ გავალ, ისევისე დავრჩები, ეგებ მდევებმა შამიცოდონო. მივიდა და რომელიც დიდი მდევები იყვნენ, იმათ შუაში ჩაწვა. რო გათენდა დილა, მდევებმა ნახეს ადამიანი.—კარგი საუზმე მოგვსვლიაო,—თქვეს. ზოგი დანას აჴზადებს, ზოგი წყალ. დიდმა მდევმა უთხრა:

— ჯერ დაიცათ, გამოვკითხოთ, ვინ არი და ჴერე შავჭამოთო. გამოჴკითხეს ამ ბიჭ.

— მე ამა და ამ უდაბურ ტყეში მუცლი მტკივანი ქალი დავტოვე მარტოკანაო და ცეცხლიტვინ წამოველი აქაო. ხი ცხენი მქონდა და რო დავწვდი, დამეწვაო, ავდექი და ვთქვი: აბა, სად უნდა გავეპაროო და ისევისე თქვენ შუა დავწექი და რაც გინდათ, ის მიყავითო. მდევებმა თქვეს:

— იყვეს, სახში დავტოვოთ, კერძ გაგვიკეთებს, ცეცხლ დაგვინთებს, მაგი შაჭმა რა არისო. დაიყენეს ეს ბიჭი ბოსამსახურეთ.

იმ ქალ მართლა ვაჟიშვილი დეებადა, დაარქვა აბრამი. იხეტიალა, იწვალა, ხან ბალახი ჭამა, ხან რა და გამოიდა ამ უსიარ ტყეს. მაადგა ერთ ქვეყანას. წორეთ იმ დროს ხემწიფეს ირჩევენ. ააფრინეს მტრედი და ამ ქალ დააჯდა მხარზე. კიდევ ააფრინეს და ისევისე ამ ქალ დააჯდა. წაიყვანეს ეს ქალი და დაამწყვდიეს ერთ ალაგს, მტრედი მაინც ამ დამწყვდეულ ქალ დააჯდება. გამაიყვანეს და თქვეს:

— რაც არი, არი, ეს ყოფილა ჩვენი ხემწიფეო.

ქალი სახემწიფოს კარგათ განაგებს. მან იცის, რო თავი ქმარი იმ წყალ გადაღმაა წასული. ერთ დღეს მაიწვია ხალხი და უთხრა:

— ხო იცით, რო წყალ გაღმა მინდორი ჩვენთვინ ძალიან საჭიროაო, იმაზე ისეთი ხიდი უნდა გავაკეთოთ, რო გასვლა-გამოსვლა შაიძლებოდესო, თავსა, შუაზე და ბოლოს ჩემი სურათი გავაკრათო. ვინც იმ სურათს შეხედავს, დაიჭირეთ და მამიყვანეთ აქაო.

მართლაც, გამართეს ისეთი ხიდი, როგორც ხემწიფე ქალმა ბრძანა. ბიჭმა იჱწავლა დეური ენა. გაიგო, რო დევები ლაპარაკობდნენ: — ამ წყალზე ხიდი გაუკეთებიათ და აქედან უნა გადვიკარგოთო. ბიჭმა იფიქრა: დღე გავიპარო, ვაი, თუ გზაში შემოვხვთე ამ მდევებსა და შამჭაბეს, მოდი, ისევ ღამით გავიპარები და სანამ მამძებნიან, გავასწრეფო. ერთ ღამეს გამაიპარა ეს ბიჭი და მაადგა ამ ხიდს. შახედა ქალი სურათსა და იქვე ფერ-ფური წაუვიდა, წვდნენ და დაიჭირეს. შუაზე რო ბოიდა, სურათ შახედა ისევისე და უკვე მუხლთ მოჱკვეთა, ნაპირში რო გამოიდა, შახედა სურათსა და გულიც წაუვიდა. მოუყვანეს ეს ბიჭი ხემწიფე ქალსა.

ქალს ვაჟკაცური ტანისამოსი ეცვა. შახედა და იცნო თავი ქმარი. დაუტყაპუნა ფეხები:

— რა უფლება გქონდა, რო შენ იმ სურათ შახედეო?

— რა ვქნა, შავხედეო, გინდ თავი მომჭერით და გინდ რაც გსურთ, ის მიყავითო!

— მაინც რა იყო მიზეზიო?

— თუ სიმართლეს მათქმევინებ, ვიტყვი, თუ არა და არაო! დართო ხემწიფემ ნებაი. ბიჭნაც დაიწყო:

— ერთი ჩეთვრიანი ქალი გამოვზარდე წვითა და დაგვითაო, ბოლოს მოვიტაცე, ცოლათ შავირთე, მე ცეცხლიდთვინ წავედი, მდევებ ჩაუვარდი ხელში, ეხლა ის სურათი ჩემ ქალ ვამზგავსე და იმიტვინ შავხედეო.

— როგორ თუ შენი ცოლი, ის ჩემი ცოლიაო, დაუტყაპუნა კიდე ხემწიფემ ფეხები.

— ვაჟი შვილი რო უნა გაგჩენოდა, რა უნა ერქვასო? — ჰკითხა ხემწიფემ.

— ჩემ შვილ აბრამი უნა ერქვასო!

— აბრამო! — ერთი დაიძახა ხემწიფეშ და იმ სააჩი იქ გაჩნდა ეს წამოჩრიხული ბიჭი.

— ეს შენი შვილიაო? — ჰკითხა ხემწიფემ.

— არ ვიცი, კი არ მინახამ ჩემი შვილიო!

— ეგ შენი შვილია და მე შენი ცოლი ვარო,—თქვა ხემწიფემ. გადაიზრო ქურქი და შეეხვია თავი ქმარს .

გადიხადეს ერთი დიდი ნეჯლისი. ქალმა ხალხ უთხრა:

— სახემწიფო თქვენთვინა დამითმია, მე კი უნა წავიდე ჩემ ქვეყანაშიო.

წამოიდნენ ჯერ თავი ნათლიდთან. იქ ერთი კაი პური ჭამეს და ნათლია წამოიყვანეს. მოვიდნენ თავი მამა სოვდაგართან. იგიც ძალიან გაახარა. შასხდნენ სუ ყველა ცხენებზე და წავიდნენ ქალი ნამის ქვეყანაში. დრო, ჟამი, ხანი იარეს და მაადგნენ ქალი მამის ქვეყანას.

ხემწიფემ ერთი დიდი ქორწილი გადაიხადა. ხემწიფობაც ამ სიძეს დაულოცა და სახემწიფოც.

ალი ართალი, ბალი ართალი,
ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი!

29. მონადირის შვილი

იყვნენ ცოლ-ქმარნი. ქმარი იყო მონადირე. ერთი შვილი ჰყვანდათ. როცა ქმარი კვდებოდა, ცოლ უთხრა:

— ჩემი იარაღი შვილ არ გამოუჩინო, აიღე და დედაბოძ უკან ჩაადფალიო. ეს ბიჭი რო მაიზარდა, მონადირი შვილ ეძახიან. არც კი იცის თავი მამა, თუ ვინ იყო. შვილი მივიდა დედადთან და უთხრა:

— მონადირი შვილ მეძახიან და იარაღი კი მამისაი არსადა ჩანსო. დედამ არაფერი უთხრა, ქმრი ანდერძი არ გაგტეხა.

შვილმა უთხრა: — ერთი ძუძუი მამეციო. მოუჭირა ძუძუზე კბილი, — მამიჩემი იარაღი გამომიჩინეიო. მეტი რაღა გზაგ ქონდა, გამაუჩინა იარაღი:

— მიდი, შვილო, დედაბოძ უკან მარხია და ამაიღეიო.

ბიჭმა ბეორე დღეს აისხა მამი იარაღი და წავიდა სანადიროთ. იმოტონა ფრინველი მოგკლა, იმიტანაი, რო სუ არ იყო ისეთი ფრინველი იმ ქვეყანაში, ჩადო გუდაში და მოგქონდა შინა, ფრინველ ფთები უჩანდა.

ხემწიფეს იმ ტყეში გეეგზანა თავი ნაზირ-ვეზირი სანადიროთ. იმათა ვერა მეეკლათ რა და ცარიელა მოგდიოდნენ. შახვდნენ ამ ბიჭსა:

— ამან ე ფრინველი მოგკლა და ჩვენ ცარიელი ხემწიფეგთან როგო მივიდეითო.

— ამა და ამ მონადირი შვილ ისეთი ფრინველი მეეკლა, რო მთელ სახემწიფოში არ მოიძებნება ისეთიო, — მაახსენეს ხემწიფეს.

დაიბარა ხემწიფემ ეს ბიჭი. მანაც აუტანა ე ფრინველი. ნაზირ-ვეზირი გადეეკიდა ბიჭსა და ხემწიფეს უთხრეს:

— ვინც ეს ფრინველი მოგკლა, იმას გაცოცხლებაც შაუძლიანო. ხემწიფემ ბიჭ უთხრა:

— როგორც მოკალი, ისე გააცოცხლე, თორე თავ მოგჭრიო.

წამოიდა ბიჭი და დედაგთან მივიდა.

— მე რო იარაღ გიმალავდი, მამაშენი ანდერძი მქონდა, შენი ჭკუით ეგ მოგივიდაო. რახან აღარ გეშვებიან, მოგთხოვე ხემწიფეს: ოცი კუპრი ღვინოი, ოცი ურემი თავი ხარ-კამეჩით, ოცი ურემი პური, ყველა ეს მოგცეს ნაზირ-ვეზირმა, ერთი შაურიც არ ერიოს ხემწიფეისო. წამოიდა ბიჭი და უთხრა ხემწიფეს: უნა შაუსრულონ ეს და მემრე იშოვის იმ უკვდავების წყაროს, რო გააცოცხლოს ფრინველი.

დაფაცურდნენ ნაზირ-ვეზირები, მეტი რა გზაგ ქონდათ, იშოვეს ეს ღვინოი, პური და ურმები.

წაასხა ბიჭმა ურმები და წავიდა. ერთ მინდორში დაუღამდა. იქ დადგა იმ ღამეს. მემრე ეს მეურმეები ცარიელა გამააბრუნა ის ხარი და კამეჩი სუ დახოცა, რუბბები სუ დაგჭრა და ღვინო დააქცია, პურიც გაშალა მინდორში. სად იყო, სად არა, ამ მინდორში იბოტე-

ლა ფრინველი მოიდა, იმოტელა, რო სუ დააბნელა ცაი. ეს ბიჭი მეტმეტი შიშისაგან ურეგ ქვეშ დაიმალა. ფრინველთ უფროსმა უთხრა:

— გამოჩთი, ვინაჲ რახ, რა ქრიჲტიანიო. გამოიდა ბიჭი და უთხრა:—რო ესე, ფრინველი მოვკალი და ხემწიფემ მომთხოვა: გააცოცხლე, თორე თავ მოგჭრიო.

ფრინველთ უფროსმა დაიბარა ფრინველები და ჰკითხა:

— თუ იცით, სად არი უკვდავები წყაროიო. ერთმა კოჭლმა ფრინველმა თქვა:

— ერთი კლდეი არი, ერთმანეო ეტყაპუნებიან, ვინც გადაჲწრობს, გამაიტანს, ვინც არა და მოკვდება იქვეიო.

კოჭლმა ფრინველმა უთხრა ბიჭსა:

— ამეკიდე და მე გადაგიყვან იქაო. შაჯდა ბიჭი, გაფრინდა და გადაიყვანა კლდეზე. აამსო სურაი უკვდავები წყაროთი და გადმეიტანა.

მოიდნენ ისევ იქა, საცა ბინაჲ ქონდათ. ბიჭმა დაანება ფრინველებ თავი, მაიტანა უკვდავები წყაროი და გააცოცხლა ეს ფრინველი.

ნაზირ-ვეზირმა კიდე უთხრა ხემწიფეს:

— შე რა ხემწიფეი ხარ, ეგ ფრინველი სპილოჲ გალიაში რო არ გიზისო! ვინც ეგ ფრინველი გააცოცხლა, ინაჲ შაუძლიან, სპილოჲ გალია მაიტანისო.

ხენწიფემ დაიბარა ბიჭი და უთხრა:

— სპილოჲ გალია თუ არ მოგიტანია, თავ მოგჭრიო.

წავიდა ბიჭი და ისევ დედაჲთან მივიდა.

— აკი გითხარი, შვილო, — უთხრა დედამ.

დედამ დაარიგა:

— რაც წინათ წაიღე ღვინოი და პური, ურმები, საკლეები, ორი იმოტელა უნა მოგცეს ნაზირ-ვეზირმა, ხემწიფი რამეი შიგ არ ერიოსო.

მივიდა ბიჭი ხემწიფეჲთან და უთხრა ესა. ნაზირ-ვეზირებს რაღა გზაჲ ქონდათ, მიჲცეს ბიჭ ეს ქონებაი.

წავიდა ბიჭი ისევისეი, სპილოჲ გალიი საძებნათ. თან წაიყვანა, ურმები, ხარი, კაჩეჩი, პური, ღვინოი. ისევ იმ ალაგას მივიდა, წინათ რო ხარები დახოცა. იმ ღაჩესვე მეურმეები კი გამაჲტუმრა და დახოცა ხარები, რუმბები დაფაშვა და პურიც იქ გაშალა.

რაც ფრინველი იყო, ორი იმოტელა მოიდა. ბიჭი დაიმალა. ფრინველები უფროსმა დაუძახა:

— გამოჩთი, სადაჲ ხარო? გამოიდა ეს ბიჭი:

— რა გაგიჭირდაო?

— ესე, სპილოჲ გალია მამთხოვა ხემწიფემაო, თუ არ მიუტანე, თავ მომჭრისო!

— ერთ ალაგაჲ არი სპილოი, აშეკიდე და წაგიყვან, იმი მოკვლაი ძნელიაო. შუბლზე რო ნიკორი აქვ, მინამ იქ არ მახვთება ტყვიაი, არ მოკვდებაო.

ფრინველთ უფროსმა მოიყვანა ეს ბიჭი და დაანახვა სპილოი. ბიჭმა ესროლა ისარი, მაარტყა ნიშანზე და სპილოი გადააგორა.— ეხლა გამოტანა არი ძნელიო.

ფრინველთ უფროსმა დაუძახა ფრინველებ, ისე გახიცნეს, რო ასო-ასო გამაუტანეს საურმე გზაზე.

შაბა ბიჭმა ოთხი ურემი, წამოიღო ეს სპილოჲ ძვალი და მოუტანა ხემწიფეს. ხალხს ძრიან გაუკვირდა.

ის ფრინველი ჩასვეს ამ სპილოჲ გალიაში. გალობს ფრინველი იმიტანათ, რო ყველაფერ ჯობია. ხემწიფემ დაიბარა ბიჭი:

— ვინც ეგ ფრინველი გაზარდა, ის ქალი უნა მამიყვანოო.

დედამ კიდე აჲტავლა:

— წადი და ხემწიფეს სამი იმოტელა პური, ღვინოი და ხარ-კამეჩი გამაართვიო, მარტო ნაზირ-ვეზირმა მოგცეს, ხემწიფი რამე შიგ არ ერიოსო. როგორც იყო ნაზირ-ვეზირმა მოუგროეს სამოცი უღელი ხარ-კამეჩი, საშოცი რუმბი ღვინოი, სამოცი ურემი პური და მიჲცეს. ბიჭმა წამაასხა ესენი და ისევისე იმ ალაგას მივიდა, მეხრეები კი გამაჲტუმრა და ხარ-კამეჩები დაჲკლა, ღვინოი დააქცია და პური გაშალა.

ბოფრინდნენ ფრინველები. ფრინველთ უფროსიც იქ არი და ქეიფობს, საჭმელი არ აკლიათ და სასმელი.

ფრინველთ უფროსმა შაისვა ბიჭი ფთებზე და წავიდა. მივიდნენ ზღვასა და ზღვა შუა, კოშკთან. ნახეს ქალი. ბიჭმა უთხრა:

— ესეა საქმე, მე ერთი ფრინველი ბოვკალი, შენი გარდილი ყოფილა და უნა წამოხვიდეთო. ნახეს, რო იმ ფრინველითანა ფრინველი იქაჲ ყამ ქალსა, — ის მე გამიფრინდა აქიდანაიო.

ფრინველთ უფროსმა ქალი, ბიჭი და ის ფრინველიც შაისხა ფთებზედ და წამაიყვანა. მაიყვანა ხემწიფეთანა, ორთავ ფრინველი ერთად შეჲყარა. ისრე გალობენ, რო მთელ ქვეყანას აკვირვებენ.

ხემწიფეს უნა, რო იმ ქალზე დაიწეროს ჯვარი. ქალმა უთხრა:

— ირმი რძეში უნა ვიბანაოთ და მემრე დავიწეროთ ჯვარიო.

— აბა, ვინ იშოვის ირმი რძესაიო.

— ვინც ფრინველი გააცოცხლა და ქალი მოგიყვანა, ისაო. დაიბარა ხემწიფემ ბიჭი:

— ირმი რძეი უნა მამიტანოო.

ბიჭ დედამ აჲტავლა:

— გამაართვი ხემწიფეს კიდე იმოტელა ხარ-კამეჩი, ღვინოი და პურიო, მარტო ნაზირ-ვეზირებმა უნა მოგცესო. მიჲცა ხემწიფემ ესენი. მივიდა კიდე იმ მინდორში. მოფრინდნენ ფრინველები. შაისხა ფრინველთ უფროსმა ბიჭი და მივიდნენ ტყეში. იქ ირმი ჯოგი ჰყამ კაცსა. წამაიღო ერთი საარაყე ქვაბი რძეი.

მაჲტანა ეს რძეი ხემწიფეთან. ქალმა შამოდგა რძეი და ააღუღა, სუ ბზვირს ისვრის.

— ვინ უნა იბანაოს, ვინ უნა იბანაოსო?—იკითხეს.

— ვინც რძე მაიტანა იმანაო! — ნაზირ-ვეზირმა თქვა: — მერე ხემწიფეი და ქალი იბანეებსო.

ქალმა წაიძრო ბეჭედი ხელიდან და მიჲცა ბიჭსა. წამაიცვა ბიჭმა ეს ბეჭედი ხელზე, ჩადო ხელი რძეში, რძეი გაცივდა, ჩავიდა და იბანავა.

მემრე თავი ბეჭედი ისევისე ქალ მიჲცა. ქალმაც ჩახტა და იბანავა. შაუკეთეს ამ ქვაბსა და აუდუღეს ხემწიფესა. ჩახტა ეს ხემწიფეი და აღარც ხორცი გამოჩნდა და აღარც ძვალი.

ბიჭ დარჩა ის ქალი, ის გალიაც და ფრინველებიცა. გაჲწყვიტა ის ნაზირ-ვეზირები და დღესაც იქ ცხოვრობენ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა,
შენც იცოცხლე და მეცა!

30. სამი აბაზის ჭკუა

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხემწიფე. ყამდა ერთი ქალი. ის ქალი დილით რო ადგებოდა, პირ დაიბანდა და იტყოდა: „ღმერთო, მდიდარი გააღარიბე და ღარიბი გაამდიდრეო“. ეს ამბავი აცნობეს ხემწიფეს. ხემწიფემ ბრძანა: რახან ღარიბი გამდიდრება უნა, ისეთ ღარიბ უნა მივცე, მასზე ღარიბი არავინ იყვესო. გამონახეს ძალიან გაწყალებული ქაჩალი, ძრიან ღარიბი. უთხრეს: — ხემწიფის ქალი უნა შაგრთოთო. ის კაცი ძრიან უარობდა, მე ვინ და ხემწიფი

ქალი ვინაო. წაიყვანა ქაჩალმა ეს ქალი, არაფერი სავანეი არაჲ ქონდა. გათხარა მიწაი, სიმინდის კაჭაჭი დახურა და ისე დაიწყეს ცხოვრებაი.

ქალმა უთხრა:

წადი, იმუშავეი და როგორც იქნება, ვიცხოვრებთო. ქაჩალი ბარგის გადაზიდვაზე შველოდა ხალხსა, აჩუქებდნენ ერთ-ორ შაურსა და იმითი ცხოვრობდნენ.

ერთხელ შახვდა ერთი სოვდაგარი და უთხრა:

— რახან შენ ეგრეთი ღარიბი ხარო, სასოვდაგროთ მივდივარ და წამოდი ჩემთან მოჯაშაგირეთაო, წელიწადში ცხრა თუმან მოგცემ, წინდაწინაც მოგცემ რამეს, რო შენმა ცოლმა თავი ირჩინოსო. მოვიდა ქაჩალი, მეელაპარაკა ცოლსა და მანაც ნებაი დართო, მე ის ფული მეყოფა სამ წელიწადშიო.

წავიდნენ სასოვდაგროთ ჯორ-აქლემებით. ერთ ადგილას დაუღამდათ და იმ ღაშეს იქ დარჩნენ. წყალი არა აქთ, აღარც ჯორ-აქლემებითვინ. იქ არი ერთი ჭაი და ყამ ყარაული. ყარაული ამბობს.

— ვინც ჩავა ამ ჭაში, ცოცხალი ვეღარ აშოვაო. ბევრს უთხრეს: შენ უნა ჩახვიდეო; ქაჩალმა თქვა:

— მე ჩავალ, ჩემ ქალ მაინც ვტანჯამ ჩემი სიღარიბითაო.

ადგა და ჩავიდა ჭაში. რო ჩავიდა, ნახა, გვერძე ოთახი არი გამოჭრილი. ოთახში ჲტოლთან ერთი ლამაზი ბიჭი ზის და ბაყაყი ყამ ჲტოლზე. ქაჩალი მიიყვანეს და უთხრეს: ეს ბიჭი ჯობია, თუ ბაყაყიო.—თუ გამოიცნობ, ამ ბიჭს ეს ბაყაყი რიჲთვინ უზის, გაგიშვებთ, თუ არა შოგკლამთო.

— ვისაც ვინ უყვარს, იმის ლამაზი ის არისო. ალბათ, ეს ბაყაყი მაგ ბიჭსა სჯობია, თორე ჲტოლზე არ ეყოლებაო. ქაჩალამ რო ეგაჲ თქვა, ბაყაყმა გადაიცალა ტყავი და გამოვიდა ძრიან კარგი ქალი. ქაჩალი შეშინდა. ქალმა უთხრა:

— ნუ გეშინია, რახან მე ამ სატანჯველიდან დამიხსენი, მე ვიცი როგორ დაგაფასოო!

აიღო და ქაჩალ მიჲცა სამი ბროწეული.

— სანამ სახში არ შიხვიდე, ეს ბროწეულები არ გაჭრაო.

ამოიღო წყალი ქაჩალმა, მაგრა რაცა ნახა, არავის უთხრა, არც ბროწეულები აჩვენა ვისმეს.

წავიდნენ სასოვდაგროთ. დაიწყეს ვაჭრობაი, მთელი წელიწადი ივაჭრეს. სოვდაგარმა ქაჩალს სამი აბაზი აჩუქა და უთხრა:

— ამ სამი აბაზისა იყიდე რამეი და სახში გამატანე შენ ცოლ-

თანაო. ქაჩალმა გაიარ-გამაიარა, ერთი სამაბაზიანი სარკე იყიდა და უთხრა ხაზეინს: — ემ სამ ბროწეულ და სარკეს გაგატან, მეტი არა ბომივიდა რა შენი ფულიდანაო.

წამოიდა სოვდაგარი თავი ქვეყანაში. ქაჩალი იქ დარჩა. სოვდაგარს ერთ სახემწიფოში დაუღამდა. იმ ღამეს ხემწიფემ იჯტუმრა. მეორე დღეს ამ ხემწიფის ცოლმა დაიბანა პირი, ჩაასხმეინა თავი მოსამსახურეებს წყალი ვარცლში, რო დეენახა სახეი. თურმე სარკე არა ყოფილა იმ ქვეყანაშია. სოვდაგარი შაეკითხა:

— რას იცქირებით წყალშიო?

— ჩემი სახე აბა როგო უნა დავინახოო! სოვდაგარმა აჩვენა ქაჩლის გამოტანებული სამ აბაზიანი სარკეი. ხემწიფის ცოლმა კაფიოთა რო დაინახა თავი სახეი, ძრიან გაუკვირდა: თუ არ მამეცი, არ შაიძლებაო! სოვდაგარი დიდ უარზე დადგა. ხემწიფის ცოლმა მიჯცა ერთი აქლემი ოქრო-ვერცხლი და იყიდა სარკეი.

სოვდაგარმა წამაიღო ეს ოქრო-ვერცხლი, ისა და სამი ბროწეულიც მიუტანა ქაჩლი ცოლსა. კი არ უთხრა, რო სარკეი გაყიდა.

წამოიდა სოვდაგარი ისევისე სასოვდაგროთ. არც ქაჩლი ცოლი დარჩა უსაქმურათ.

— რახანა ჩემა ქმარმა ამოდოლა ფული გამომიგზავნაო, ისეთი სახლები ააგო, რო თავი მამის სახლები სუ არაჯ ჩანდა იმაჯთან. ქალმა თქვა:

— მოდი, ეს ბროწეულიც გავჭრაო. გაჭრა ბროწეული და იმდელი ოქრო-ვერცხლი ამოვიდა, რამდენიც მარცვალი აქ. ქალმა იყიდა: ცხვარი საქონელი, ღორი. იმდენი, რო რაც თავი მამას შაძლება აქ, ასი იმდენი შაიძინა.

სოვდაგარი მეორეთ მოდის. ქაჩალს კიდე მიჯცა ორი აბაზი და უთხრა:

— წადი, იყიდე რამეი და გამატანე შენ ცოლთანაო. გაილ-გამოილის ეს ქაჩალი თავი ორი აბაზითა. არაფერი მოჯდის თვალში. ქაჩალ გონია, თავი ოჯახი ისევისე გაწყალებულია. მეეწონა ერთი კატაი და თქვა:—მიწური სახლი აქ ჩემ ცოლსა, თაგვები შააწუხებდა და გაუგზავნიო. გამაატანა ეს კატაი სოვდაგარს.

სოვდაგარს დაუღამდა სხვა სახემწიფოში. დარჩა ხემწიფი ოჯახში. პური ჭამა რო უნა დეეწყოთ, მოიდა ხალხი კეტებით ხელში.

— რათ გიჭირამთ ეს ჯოხებიო?

— პურის ჭამას რო დავიწყებთ, თაგვი გამოდის და, თუ ეს ჯოხები არ მოვიშველეთ, ვერ გავრეკამთო! სუფრა რო გაშალეს,

სოვდაგარმა ახსნა თავი ყუთი და ამოუშვა კატაი. დეესივნენ თაგვები სუფრასა, კატაშ ერთი აურბინ-დაურბინა და სულ გაფანტა. ხემწიფემ მიიცა ოქრო-ვერცხლი ამ კატაში. სოვდაგარი ამბობს: შე ამდენს ვეწვალები და ის ქაჩალაი მჯობნისო.

მოუტანა სოვდაგარმა ქაჩლის ცოლსა ოქრო-ვერცხლი. კი არ უთხრა, რო კატა გაიყიდა.

სოვდაგარი მესამეთ წავიდა ქაჩალთან სასოვდაგროთ. უკვე გავიდა სამი წელიწადი და უნა წამოიდნენ ორთავენი. კიდე მიიცა სამი აბაზი. გაიარ-გამოიარა ქაჩალშა და არაფერი არ მოუვიდა თვალში, რა უნა ეყიდა სამი აბაზითა. ერთი კაცი დგა ცარელა დუქანში, მივიდა ქაჩალი და ჰკითხა:

— რას ყიდიო?

— ჭკუასა!

— ერთი აბაზი ჭკუა მამყიდეიო!

— კაცი რო მიდიოდეს, არ-უნა აჩქარდესო. მიიცა მეორე აბაზი:

— აბაზისა კიდე მამყიდეიო!

— კაცი რო გზაში წავიდეს, დაბლობ ადგილზე ნუ დადგება, ან ნიაღვარი მოვა, ან-სხვა რამე და წაიღლეკამსო. ქაჩალმა თქვა:—ეს ჩემი საქმეი არიო და მესამე აბაზიც მიიცა. მესამეთ უთხრა:

— კაცი რო სახში მივა, უბრალო რამეზე არ უნა გაბრაზდეს, მინამ თავი თვალით არ ნახოსო.

იყიდა სამი აბაზის ჭკუა და წამოიდა, გემი ჩამომდგარი არის და მიდიან. ქაჩალამ დაუბარა სოვდაგარსა:

— არ ავჩქარდეთო. დაუჯერა სოვდაგარმა და არ წავიდნენ. წავიდა თუ არა ის გემი, შუაგზაზე დაიღუპა.

მეორე დღეს წაჩოიდნენ სხვა გემითა. ზღვიდან რო გამოიდნენ, დაუღამდათ. ცივა. მგზავრებმა თქვეს:

— ძირ დავდგეთ, ხევთან ახლოო!

— არაო, აბაზი ჭკუა მაქ ნაყიდი და არ გავაუქმეფო. არ დაუჯერეს. ქაჩალა მარტოკინა ავიდა და მაღლა დადგა.

შუაღამი დროს აიტყდა საშინელი ავდარი, ნიაღვარი და სუყველა ზღვას შაუერთდა. გადარჩა მარტო ქაჩალაი.

წამოიდა დაღონებული, დაძმარებული. მაატანა თავი ქვეყანასა. დაინახა დიდძალი საქონელი, ნახირი მოურეკიათ წყლი პირსა. მივიდა ქაჩალაი მენახირეებთანა.

— ვისია ეს ამოდონა ნახირიო?

— ქაჩალასიო,—უთხრეს.

— ქაჩალი განა ქვეყანაზე სხვა არაჲ ყოფილა, რათ დაᲩცინითო? ეხლა მეცხვარეები შახვთა. იმათაც იგრე უპასუხეს. ამ კაც ტირილი მოუვიდა: რა ნახეს ჩემში, რათ დამცინიანო!

წავიდა დაღონებული. თავი სახს მიუახლოვდა, დაინახა დიდ მამულს შასევოდნენ ასი კაცი და თიბაᲩდნენ. მიესალმა იმათ. რომელი ბატონისა არი ეს ყანაიო? იმათაც უთხრეს:

— ქაჩალასიო! იქვე დაიწყო ტირილი ქაჩალამ.

მოვიდა თავი ძველ ბინაზე, ჩალით დახურულ სახთან. იᲩი ჩალი ქოხთან იმოდონა სახლები დგა, რო ხემწიფი სასახლე იმაᲩთან რა არი, ირევა ხალხი. დაიწყო ქაჩალამ ტირილი, ჩემი ცოლი გადაუსახლებიათო. იკითხა:

— ვისია ეს სახლებიო?

— ქაჩალასიო! სუ გადაირია ქაჩალაი. მიიყვანეს ცოლთან.

— შენ, ალბათ, სხვას გაᲩყოლიხარ და მე ესე გამაუბედურეიო; იმდენათ აზავდა ქაჩალაი, რო ეს ქალი უნდა მოკლას, მაგრამ დაფიქრთა, აბაზის ჭკუა რო მაქ ნაყიდი, რათა ვჩქაროფო.

ქალმა ყველაფერი უამბო: შენი გამოგზავნილი ფულითაო ჯერ ნახევარი ბროწეულის ფული მეტი არ დამიხარჯია ამოტონა ქონების შაძენაზედაო. იმოდონა ოქროი, შენმა ხაზეინშა რო მომიტანა, ჯერ არ დამიხარჯიაო.

იმ დროს შემოიდა მუახლეი და უთხრა:

— ქალბატონო, ბავშ ძუძუი მააწუეიო.

ეხლა სუ გაბრაზდა ქაჩალაი.

— ჩვენი ბავშვი ორწლი ნახევარი არიო. მემრე უთხრა:

— კატაი არ მოუყვანაიო?

— არაო!

— სარკეიო?

— არც ესაო! მაშინ ქაჩალაი დაფიქრთა და თქვა:

— ალბათ, სოვდაგარს ისინი გაუყიდნიაო.

ქაჩალა დაშოშმინდა. ერთ დღეს დაᲩპატიჟა თავისი სიმამრი, ხემწიფე, თავი ნაზირ-ვეზირებით. კარგი სადილი გამართა. ხემწიფეს თავი შვილი მკვდრათა ყამ ჩათვლილი.

ხემწიფეზე მდიდარი იყო ეს ქალი. ხემწიფემ თქვა:

— ჩემი ქალი სიტყვები გამჯრთლებულაო.

თავი სახემწიფოც ქაჩალას დაულოცა.

ჭირი იქა, ლხინი აქა!

31. მენახირე და წითელი თევზი

იყვნენ ერთი ცოლ-ქმარნი. ქმარი თავი სიცოცხლეში სუ ნახირში იდგა. თავითვინ ერთი ჭრელი ძროხაი ჰყვანდა. ერთ დღესაც აძოებს საქონელს, დაინახა, რო მტკვრი პირზე ერთი მეთევზე თევზაობს, თქვა:—ეს საქონლები მაძღრები არიან, მოდი, წავალ და უყურებ, თევზებ როგორ იჭერსო. ჩარეკა საქონელი წყლი პირსა, მივიდა მეთევზეთან, ჩაყო ვედრაში ხელი და ერთი კარგი წითელი თევზი შახვთა. მეეწონა:

- — მოდი, ეს თევზი გაუშვი, მაგის დაკვლა აბა რა იქნებაო,— უთხრა მეთევზესა.

— დაიკარგე მანდედანა, თორე თუ მაქ მოედი ამ ჯოხით და ჭოლოკითა!—მაგითანა თევზი არა მყამ და . წორე ეს აბა როგო გაუშვაო!

—ოღონც ეს თევზი გაუშვი და რასაც მთხოვ მოგცემო.

— ნეტავ შენთვინ რა გაქს, ნე რაღა უნა მომცეო,—უთხრა მეთევზემ.

— ერთი ჭრელი ძროხაი მყამ და მოგცემ, ოღონ ეგ თევზი კი გაუშვიო. მენახირემ ძროხაი ნისცა და მეთევზემ გაუშვა წითელი თევზი.

მენახირემ საღამოთი მორეკა ნახირი სახში, ცოლმა ჰკითხა:

— აბა, ჩვენი ძროხა რა იქნაო.

— ერთ მეთევზეს ერთი წითელი თევზი ჰყვანდა, ძროხა მივეცი, თევზი გამოვართვი და წყალში გაუშვიო. ცოლმა ერთი კაი კეტი აიღო, მოზდო და მოზდო ქმარსა.

— შე, ასეთ-ისეთო, თევზი სახში მაინც მოგეყვანაო. გაჯწი დამეკარგე, დღეიდან ჩემა თვალებმა აღარ დაგინახოსო.

წავიდა საწყალი მენახირე. იარა, იარა და ჩავიდა ერთ ქალაქში. გაუავდარდა. ერთ მაღაზიაჯთან ეეტუზა და შეეფარა წვიშასა. იმ დროს წორეთ ხემწიფი ქალმა იხელთა დრო და თავაანთ ნეჯინიფეჯთან (ეს მეჯინიფე მას უყვარ!) მივიდა,—აბა, შავსხდეთ ცხენებზე და წავიდეთო. საცა ეს კაცი ატუზულია, აქ რო გამაიარენ, უცფათ გაჩერდნენ. ქალმა თავი საყვარელ უთხრა:

— ერიჰა, მამიჩემი ხმალი რო არ წამოვიღეთ, ხლმიდან სისხლი წვეთას დაიწყებს და გაქცევას გაგვიგებენო, აბა, გაიქეცი და ხმალი წამაიღეო. მეჯინიფეი გაიქცა, ცხენები დგა. ეს მენახირე შაშინდა, ესე ჯგონია, ნის დასაჭერათა მოიდნენ, აღარ იცის რა ქნას.

დაიბარგანავა ფეხი და ჩამოხტა ძირსა. მაიხედა ქალმა და უთხრა (თავი საყვარელი ჟგონია!):

— მოხველიო?

— მაშა, მოვედიო!

— აბა, შაჯექი და წავიდეთო. გადაალაჯა მენახირემა ცხენზედა, გაჟწიეს და წავიდნენ. ერთ ქვეყანაში მივიდნენ, კიდეც გათენდა. მოიხედა ქალმა, შახედა, გაუკვირდა:

— ვინა ხარ, ჯაცო, შენ აქ რა გინდაო?

— ვინა და კაცი ვარ, მენახირეო!

— ჯო, მერე ჩემთან რა გინდაო?

— მე იქ ვიყაი დამალული, შენ წამომიყვანეო!

— წამო, წავიდეთ, ალბათ, ჩემი ბედი შენა ხარო. გაჟწიეს და წავიდნენ. ქალმა უთხრა:

— წადი აქაურ ხემწიფეჟთან, საცხოვრებელი ადგილი მოგცესო. წავიდა მენახირე. ხემწიფემ ერთერთი მხარე დაუდო ქალაქ გარეთ. წამოიდნენ, იქ პატარა ფიცრული ჩადგეს და ცხოვრობენ.

ამ ქალაქში ღამე არსათ შუქი არ შაიძლება. მენახირი ცოლი ისე ლამაზია, რო თავი შუქზე საკერავსა ჰკერაჟ ღამე. ამ დროს გამაიარეს მეფის კაცებმა და დაინახეს, რო იმ ოჯახიდან შუქი ვამოდის. მივიდნენ, რო შაიხედნენ, ორთავე გაოცდნენ, ლამფა კი არ უნთიათ, ქალი თავი შუქზე საკერავსა ჟკერამს.

წამოიდნენ და ხემწიფეს უთხრეს:

— ამ ჩვენ ქალაქში ერთი ბიჭი ცხოვრობს, ქალი ჰყამ ისეთი, რო ღამე თავი შუქზე საკერაჟსა ჟკერამსო. რა ხემწიფე ხარ, რო ის ქალი ცოლათ არ დაისვაო.

— მერე რა უყო, აბა ხო ვერ წავართმეო,—თქვა ხემწიფემ.

— უნა დაიბარო, ქმარსა ვამოცანები მიჟცე, თუ შაასრულა, შაასრულა, თუ არა და ქალი შენ დაგრჩებაო. დაიბარეს მენახირე და ხემწიფეს უთხრა:

— აი, აჟ ხევზე ამაღამ ისეთი ხიდი უნა გააკეთო, ეტლმა გაიაროსო. წამოიდა ბიჭმა და დაფიქრთა:

— მე ბოგირი გაკეთებაც არ შამიძლია და ხიდი საიდან გავაკეთოო! ცოლ უთხრა:

— აი, ესე ესე მითხრა ხემწიფემაო!

— დაწე, დაიძინე, ნუ გეშინიაო! ქალი შუაღამისას შაჯდა თავი ცხენზე, მივიდა ამ ხევზე. ერთი ნაპირზე გააჩერა ცხენი და ჩაიდგა ბურჯი, ერთიც შუა წელზე გააჩერა, ერთიც გავიდა იქითა ნაპირ-

ზე და იქ გააჩერა. ბოლოს მაიხედა, ისეთი ხიდია გამართული, რო დილიჯანი კი არა, აქლემები აუქცემენ. გამოიწია და წამოიდა სახშია. დილით უთხრა ქმარსა:

— აბა, ადექი, წაიღე ჩაქუჩი, წყალი, რამე და ვითომ ხიდს აკეთებ, რო ვითომ ყოველივე შენი გაკეთებულიაო! ხემწიფემ გამაიხედა, დაინახა, რო ხიდია გამართული.

დაიბარა ხემწიფემ კიდე და უთხრა:

— აი, ამ ანთებულ თონეში ისეთი ხე უნა დარგო, რო იხაროს და ოქროდ ხილი ისხასო.

წამოიდა ამ კაცმა და ეს უთხრა ცოლსა.

— ნურც მაგის გეშინია, ოღონ წადი, უთხარი ხემწიფეჲ, ცეცხლი თონეში ანთებული დაგვხვდესო. წავიდა მენახირეც. ხემწიფემ უთხრა:

— ცეცხლი ღამი თორმეტ საათზე მზათ იქნებაო. ქალმა ჩაიცვა ქმრის ტანისამოსი. გაჲწია და წავიდა. მივიდა ხემწიფი თონეშია და ერთი მათრახი რო დაარტყა, ცეცხლი გააქრო; მეორე მათრახი დაარტყა—ხე დაირგო მშვენიერი კარქი, მესამეთ ადგა, მიუს-მოუსვა მათრახი ხესა და სუ ოქროდ ხილი მოასხა.

წამოიდა სახში, ქმარს მიჲცა მაკრატელი და უთხრა:

— აბა, წაიღე, მიდი ხეჲთან და პატარ-პატარა ტოტები მააჭარო, ვითომ შენ დარგეო. წამოიდა კაცმა და მაკრატლით პატარ-პატარა ტოტებსა აჭრის.

დილით ნახა ხემწიფემ, რო ხე გამართული დგა. ძალიან გაუკვირდა.

— ახლა რაღა უნა უყოო,—უთხრა ვეზირებსა. ვეზირებმა მაახსენეს:

— ეს უნდა გაგზავნო ამა და ამ ზღვაზე, იქ ოც ძმა დევ ერთი დაი რო ჲყამ, აქ მოგვგვაროსო, ქალ ეს ვერ მოიყვან და მდევები მოჲყლამენო, თუ ცოცხალი მოვა—ჩვენ თავ მოვჭრითო. ხემწიფემ დაიბარა მენახირე და უთხრა:

— უნა წახვიდე ამა და ამ ზღვაზე, საცა ოცი ძმა მდევი ცხოვრობს და მათი დაი მამიყვანოო.

წამოვიდა მენახირე შინ. თავი ცოლ უთხრა:—ესეა ჩემი საქმეო!

— ეს ორი ხერხი მე ვიცოდი და მესამე შენ იცი, მაგის მე არ გამეგება რაო, ოღონდ აიღო ერთი ბურთი, გააგორა და უთხრა ქმარსა:

— შაჯექ ცხენზე, გაჲყე ამ ბურთსა, საცა ის გაჩერდეს, შენც გაჩერდიო. გაჲყვა ესეც, გაგორდა ბურთი და ერთ ზღვაში ჩაგორდა.

ეს კაცი რო ზღვი პირზე მივიდა, პატარა წყაროი ნახა: ზღვაში ხო ვერ შავალო და მოდი აქ დავისვენებო! ერთი პური და ერთი ქათამი აქვს. ამოიღო საჭმელი. საიდღანაც ერთი ძალიან პატარა შავი კაცი გამოჩნდა.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოთ!

— ვინა ხარ, სად გიმგზავრია, საით მიდიხარო, — ეკითხება ეს შავი კაცი.

— დაჯე, ჯერ პური ვჭამოთო, — უთხრა მენახირემ. აიღო ამ მენახირემა, ეს პურიც შუაზე გაშჭრა და ქათამიც, ნახევარი იმას დაუდო და ნახევარი თავითვინ დაიტოვა. რო შაშჭამეს პური, შავმა კაცმა კიდე ეკითხა:

— სად მიდიხარ, აბა ეხლა მითხარიო!

— ჩემი საქმე ესე-ესეა, მე იმ ოც ძმა ბდევთან ვეპირები, არ ვიცი კია, როგორ წავალ იქაო. შავმა კაცმა უთხრა:

— მოდი, მე და შენ დავძმობილდეთო, წავიდეთ, ვიაროთ, რაც ვიშოვოთ შუაზე გავიყოთო.

— კარგიო, — ამ კაცმაც უთხრა. შავმა კაცმა შამოისვა ბხარზე მენახირეი, ცხენი კი დააბეს ხევთან. რამტენ ნაბიჯსაც გადაადგან ეს შავი კაცი წყალში, იმდენი ადლი ემატება, ირდება. გაიწია და ამ წყალში მიდის ფეხდაფეხ. მივიდნენ ამ მდევების სასახლეთან. რო დაინახეს, მდევებმა მიიწვიეს. წყლიდან ავიდა სახში თუ არა, ის შავი კაცი ისევ-ისე პატარა გახთა. მდევებმა პური საჭმელათ შეიპატიჟეს. პური ჭამა რო დაიწყეს, მდევებმა ეკითხეს:

— ვინა ხართ და საიდან მოადიხართო? პატარა შავმა კაცმა უთხრა:

— ჩვენ ვართ ძმები, თქვენი დაი ამ ჩემ ძმას უნა მივათხოვოთ, მაგითვინა ვართ მოსულიო. მდევებმა კიდე ერთმანეთს შეხედეს.

საღამოთი ორთავე გაიყვანეს დასაძინებლათ. ამ ოთახში მდევებ ორთქლი აქვთ გაშვებული; თუ იმ ორთქლ გაუძლებენ, მაშინ თავაანთ დას ბიაცემენ მენახირესა, თუ ვერ გაუძლეს, დაიწვებიან და ის იქნება.

მენახირე წინ მიდის. პატარამ ხელი დაუჭირა:—დაიცა, სად მიდიხარო, წინ თვითონ წავიდა: რაბტენიც ფეხი გადადგა, იმტენი გაანელა სიცხე, რო შევიდნენ, სუ ზომაზე დააყენა. დაწვნენ და დაიძინეს. გათენდა დილაი. ამ მდევებსა ეგონიათ ისინი დაეწვნენ. შავმა კაცმა კიდე უსაყვედურა მდევებსა:

— რა იყო, წუხელ სიცივით კინაღამ დავიხოცენითო. მდევებმა შახედეს ერთმანეთსა და თქვეს:

— მაგათ თუ ის სიცივეთ მაეჩვენათ, ჩვენ მაგაზე მეტი ძალაი არა გვაქვსო.

— ქალ ვერ დაგიჭერთო, მაგრამ ჩვენი დაი ამა და აგ მდევსა ჟყამ დაბევებული, წადით იმის ნიშანი მოგვიტანეთ და წაიყვანეთ, თორე ის მდევი მოვა და დაგვხოცამსო.

—მე წავალ იმ მდევთანა, ამ ჩემ ძმას აქ დაგიტოვებთ, თუ ვნახე რამე ნაწყენი, ვაი თქვენი ბრალიო,—უთხრა პატარა შავმა კაცმა მდევებსა და წამოვიდა.

როდესაც დაინახეს, რო ეს პატარა კაცი წყალში ფეხდაფეხ მიდის და რამდენ ნაბიჯ გადაადგამ, — ირდება, მდევები შიშმა აიტანა, აბა როგორ აწყენინებენ მენახირესა!

პატარა შავი კაცი მივიდა იმ მდევთან. მდევი დედაი გარეთ ჯარას ატრიალებს და ართამ მატყლსა. ბებერმა კვირიადთავი გამააძრო და გააგორა. ეს კვირიადთავი წისქვილი ქვაა ერთი დიდი. შავ პატარა კაც დაუძახა:

— ერთი ეს კვირიადთავი მაგაწოდეო. ბებერმა იცის: თუ ის კვირიადთავი მაააწოდა, მაშინ მეერევა თავი შვილსა, თუ ვერა — ვერ მეერევა. პატარა კაცმა დაავლო კვირიადთავ ხელი და ესროლა ბებერ ისე, რო ბებერიც თან გაატანა.

მოიდა მდევი. შავმა კაცმა უთხრა:

— ბეჭედი მამეცი, ის ქალი მე უნა წავიყვანო ჩემი ძმიადთვინაო, თან რო ელაპარაკება, ეს პატარა კაცი ირდება.

— როგორ თუ მოგცე, შენ ვინა ხარო, უთხრა მდევმა; მაგრამ ეს კაცი რო ირდება, მდევს უკვე ეშინია. ადგა პატარა კაცი, მდევი მოადკლა, ბეჭედი წამოიღო და წამოიდა. ბეჭედი მოიტანა, მიადცა მდევებსა, წამოიყვანა ქალი და წამოიდნენ. ჭენახირე ერთ მხარეზე დაისვა, ეს ქალი კიდე მეორეზე და მოდის ასე. გამოიდნენ აგ თავაანთ ბინაზე, ხევთანა.

დასხდნენ და პური ჭამა დაიწყეს. პატარა კაცმა უთხრა მენახირეს:

— ჩვენი პირობით რაც გვიშოვია, უნა გავიყოთ, მაგრა ეს ქალი ხო შენ არ გიშოვნიაო?

— შენი იყოს, გენაცვალე, შენთვინა დამილოცნიაო!

— არა, როგორც შენ ქათამი და პური გამიყავი შუაზე, ესეც ისევისე უნდა გავყოთ შუაზე, — უთხრა პატარა კაცმა.

— შუაზე როგორ უნა გავყოთ, შენი იყოს ძმაო, — ეხვეწება მენახირე.

— არა, არ შაიძლებაო. აიღო და ეს ქალი მიაკრა ხეზე. ქალს უთხრა:

— აბა, არ გაინძრე, შუაზე უნა გაგჭრა, არც მეტი და არც ნაკლებიო! აიღო პატარა კაცმა და ხმალი დაუქნია. ქალმა ერთი დაიწივლა და ერთი ქაჯი წაბააგდო პირიდანა.

— წორეთ დადექი, რა იყო, ხმალი ან იქით არ მომივიდეს და ან აქეთო. აიღო და მეორეთ დაუქნია ხმალი. ქალმა კიდე დაიწივლა და პირიდან მეორე ქაჯიც წამააგდო. მესამედ დაუქნია და მესამე ქაჯი წამააგდო ამ ქალმა.—ეხლა თავისუფალი ხარო, გაუხსნა ხელები ქალსა და უთხრა მენახირეს:

— ქალი მომიცია შენთვინა, ჩემთვინ კი არ მინდოდაო. ახლა გაიწმინდა და სუფთათ დარჩა, აი, მე ვარ ის თევზი, ძროხა რო მიეცი შებადურსა და დამიხსენიო, ეხლა ამ ზღვი ნეფე ვარო,—უთხრა პატარა შავმა კაცმა მენახირესა.

ამოიღო და მიჰცა ფხაი:

— რა დროსაც გაგიჭირდეს, ახსენე ჩემი სახელი და იქ დავიბადებიო.

მენახირე შამოსხდა ცხენზე და წამოიყვანა ეს ქალი. მოვიდნენ თავი სახში. იმ დილით გადის მისი ვადაი, თავი ცოლი ხანჯალი უჭირამ მუხლებში, რამ სააჩი გაიგებს ხემწიფი ხმას, რო მოდის მის დასანიშნათა, იმ სააჩი თავ მოიკლამს, არ უნდა ქმარ უღალატოს.

სახლი ბანიანი იყო. მდევი ქალმა წაბოიძრო ბეჭედი, წააბა ძაფი თავზე, ჩაუშვა საწოლთან, საცა ქალი იწვა და ლოყაზე დაუდო.

— რო დავეხმაუროთ, ვაი თუ თავი მოიკლაო! — მდევი ქალმა უთხრა მენახირესა.

ქალ გამეღვიძა. შახედა და ქმარმა დაუძახა:

— ჩვენა ვართ, ნუ გეშინიაო. გაუღო კარი და შავიდნენ. გაიდაეხვია მენახირეი ცოლსა, ცოლმაც დაჰკოცნა. კიდეც გათენდა. ხემწიფე მაადგა, რო ქალი წაიყვანოს.

მენახირემ გამოუყვანა ე მდევი ქალი და უთხრა:

— აი, მოვიყვანე ეს ქალი და ინებეთო. ?დევი ქალმა უთხრა:

— მე ეს ხემწიფე სუ არ მინდა, შენ იშრომე ჩემზე და მეც შენი ცოლი უნა ვიყოო. ხემწიფემ უთხრა:

— რახან ასეა საქმე, უნა ვიომოთო. მენახირემ მაშინვე ამოიღო ფხაი, ინატრა შავი პატარა კაცი და ისიც მოვარდა იმ წამში. შავნა

კაცმა ოცი ძმა მდევიც წამაიყვანა თანა. დაუწყეს ხემწიფეს ჩხუბი და ერთათ აიკლეს. ორთავ ქალი დარჩა ამ მენახირესა.

ალი ართალი, ბალი ართალი,
ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი.
ოჲდეევ — მოჲდემდა ურემი
მოჲდემდა მოუხაროდა!
გადავავდე ცელი,
ვინც არ გაიცინოს
მოვჲწყვიტე წელი!

32. გლეხის სიზმარი

იყო და აბა იყო რა. მის უკეთესი რა იქნებოდა. ერთი საწყალი კაცი იყო. ერთ საღამოთი დაწვა და დაიძინა. ღამით სიზმარ ხედამს: თავით მზე უზის, ფეხთით ზთვარე, გულზე ორი მასკვლავი დააცოცამს. გამაღვიძა ამ კაცმა და თქვა, რო თუ არ წაველ და ეს სიზმარი არ ვიპოე, არ შემიძლიაო.

ადგა დილით, ჩაიცვა, გაჲწია და წავიდა. გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე. ამ მინდორზე ერთ მეცხვარეს ათი ათასი სული ცხვარი გაუფენია და აძოებს.

— გაზარჯობა შენიო! — მეცხვარეს უთხრა.

— გაგიმარჯოსო! — მეცხვარემ უთხრა.

— მოდი აქაო, — დაუძახა მეცხვარემ. აიღო ერთი ცხვარი, დაჰკლა ხელათ, გაატყავეს ორთავემ, დაანთეჲ ცეცხლი და ერთი კაი მწვადები შასწვეს. პურ ჭამენ. მეცხვარემ გლეხსა ჰკითხა:

— საით მიჲდიხარ?

— წუხელი ერთი სიზმარი ვნახე და ის უნა ვიპოვოო.

— აბა, რა სიზმარი ნახე, მითხარო.

— წუხელი სიზმარში თავით მზე მიჯდა, ფეხთით მთვარე, გულზე ორი მასკვლავი დამაცოცამდაო. მეცხვარეჲ უთხრა:

— მაიტა, მაგი სიზმარი მამეცი მე და ეგ ცხვარი შენი იყოსო.

— მამიციაო, — ამ გლეხმა კაცმა უთხრა.

მეცხვარეჲ ცხვარიც მიჲცა, ძაღლებიც, რამეც, მან მხოლოთ ერთი ხანჯალი ‘მაინარჩუნა, გაჲწია და წავიდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა ამ მეცხვარემ, მივიდა ერთ უდაბურ ტყეში. ტყის იქით ერთი დიდი კლდე არი და გზა აღარ მიდის. ძა-

ლიან დაბნელდა. მეცხვარემ ერთი დიდი ნაძვის ხეი დაინახა, მივიდა ამ ნაძვი ხი ქვეშა და დაიმალა. შუაღამე რო გახთა, მოიდა ერთი არაბი ორი ცხენით, ნაძვი ხი ქვეშ ერთი დიდი ქვაი დეშ და იქ ჩამოჯდა. მეცხვარეგ ძალიან შეეშინდა, ამაიღო ხანჯალი და ხი ქვეშიდან ნელნელა გამოგძრა. არაბსა სძინამ და ცხენები უჭირამ აღვირებით ხელში. მეცხვარემ შააჭრა ეს აღვირები ხელზე და ცხენები თვითონ დაიჭირა.

ამ დროს გაიღო კლდე და ერთი მზეთუნახავი ქალი გამოიდა. ქალმა დაუძახა:

— მოხველიო?

— ჰო, მოველიო,—უპასუხა მეცხვარემ. გამოიდა ქალი იმ საააჩი ბოხჩით ხელში, შასხდნენ ცხენებზე და წავიდნენ. გამოიდნენ ტრიალ მინდორზე და გაუთენდათ. ამ ქალმა ეს ცხენები სახლათ აქცია, შევიდნენ და დადგნენ შიგა ორთავენი. ეს იმიტვინა ქნა, რომა არ უნდოდა მზეგა ნახოს.

რო დაღამდა, სახლები აქცია ისევისე ცხენებათ, შესხდნენ და წამოიდნენ. მოიდნენ ერთ სახემწიფოში და ის არის უთენდებათ. ქალმა ცხენები ერთ პატარა მიწურ სახლათ აქცია, შავიდნენ და ცხოვრობენ ამ სახლში, ამოიღო ქალმა ჯიბიდანა და ერთი ოქროს ფული გიჟცა მეცხვარეს.

— წადი ამითი და შენთვინ კარქი ტანისამოსი იყიდე, რო ხემწიფეგათან წარდგენა შეგეძლოსო. წავიდა ბიჭი და მივიდა ერთ დიდ დუქანში.

— ერთი ხელი ისეთი ტანისაგოსი მამეცით, ვეზირს რო შაჰფერისო. დუქანში უთხრეს, რომა ჩვენ მაგ ფული ხურდაი არ გვექნებაო. წავიდა მეორე დუქანში, იქაც ისე უთხრეს. მესამე დუქანში რო მივიდა:—გვექნება მაგის ხურდაო,—უთხრეს. გადმოუღეს ერთი ხელი კარქი ტანისამოსი. წამოიღო მეცხვარემ ეს ტანისამოსი, ჩაიცვა და მოიდა სახში.

ქალმა უთხრა:

— წადი ეხლა ხემწიფეგათან და უთხარი, ვეზირათ დაგაყენოსო, თანაც სთხოვე, ერთი ბინა მოგცეს სასახლეშიო.

მივიდა მეცხვარე და სთხოვა ხემწიფეგ: ვეზირათ დამნიშნეო. დანიშნა ვეზირათ და იქვე მიცა კაი ბინა მისი ოთახების გვერდზე. წამოიდა მეცხვარემ და ცოლი შუაღამისას მიიყვანა თავი ოთახში.

მეცხვარე არის ვეზირათ. ვეზირის სახლი გვერდზე ფული სალაროა და ყარაული უდგა. ყარაული გაივლის და გამაივლის ამ ბალ-

კონზე. ვეზირი ცოლ ფანჯარა ცოტა ღიათ დარჩენია, ვერ მოუხურია, ღამით ამ ყარაულმა შაიხედა შიგა. დაინახა, შუქი გამოდის, მაგრა არც ლამპარი ჩანს და არც არაფერი.

ყარაული რო უყურებს, იქავე დეეძინა. მივიდნენ ქურდებმა და სალარო გაქურდეს. ნახეა დილით სალარო გაქურდულია. დაიჭირეს ეს ყარაული და უნა ჩამაახრჩონ მეორე დილითა. რო გაიყვანეა სახრჩობელაზე, ყარაულმა უთხრა ხემწიფეა:

— დიდებულო ხემწიფევ, მე ხომ მახრჩობთ, მაგრა ერთი სიტყვა მაინც მათქმევინეთო!

— აბა თქვიო!

— ჩე ისეთი რამე ვნახე წუხელი, შენც რო ყოფილიყავ იქ, დაგეძინებოდაო, შენ რო ეხლა ვეზირი მიიღე, იმას ისეთი ცოლი ყამ, რო სახლში ლამპარი არ ანთია და თვითონ ანათებსო.

ეს ბიჭი აღარ დაახრჩო ხემწიფემ. ჩამაიყვანეს სახრჩობელიდან. წავიდა ხემწიფე მეორე საღამოსა და თვითონ შაიხედა ამ ფანჯრიდანა. დაინახა, რო ვეზირი ცოლი ანათებდა.

გათენდა დილა და მიიწვია მეცნიერები, ვინც ჰყვანდა. დასვა საკითხი:

— შაიძლება, რო კაცსა ცოლი წავართვაო?

— არ შაიძლებაო! — ყველამ უთხრეს.

— მა როგორ მოვიქცე, თუ ის ქალი არ შავირთე, არ შამიძლიაო! (ეს ხემწიფე ქვრივი იყო!).

— მაშინ ქმარი უნა გაგზავნო სადმე, იმაჲ იქ მაჰკლამვენ და ქალი შენ დაგრჩებაო, — უთხრეს ხემწიფეჲ. — ამა და ამ ადგილაჲ არი ერთი უკვდავები წყარო, იმ წყაროჲ ეპატრონება ერთი ზეციური ქალიო, გავგზავნოთ იმ წყლი მოსატანათ და როგორც მივა, ის ქალი მოჲკლამსო.

ხემწიფემ დაიბარა ვეზირი, — ეს მეცხვარე, — და უთხრა:

— ამა და ამ ადგილას უკვდავების წყაროი არი და ის უნა მოიტანოო.

— წავალო, — ვეზირმა უთხრა. მოიდა და ქალს უთხრა:

— ხემწიფეს დამავალა ამა და ამ ადგილას წასვლაო.

— კარგი, შენ ხემწიფეს უთხარი, ულელი ხარი და ერთი ურემი მოგცესო. ხემწიფემ მიჲცა ულელი ხარი და ერთი ურემი. მოიყვანა სახში ესენი. ქალმა აჲწავლა:

— შენ რო წახვალ იმ წყაროჲთანაო, დააყენეფ ურემსა, ურ-

მი ქვეშ ხარო ამოთხარე და შიგ ჩაიმალეო. ის ქალი რო დაგინახამს, წამოა წივილ-კივილით ზევიდანაო. იმ ქალ ძალიან გრძელი თმები აქვსო, ურემ გარეშემო შამოუვლისო, შენ უნა წაიწვდე იმ თმებშია და ურემზე მიაკრა მაგრაო. იგი ბევრ ფიცს დაგიწყებ, მაგრა მინამ ცოლ-ქმრობა არ გითხრაი, არ გაუშვაო. ცოლ-ქმრობას რო გეტყვის, მერე აუშვიო. არ დაგავიწყდეს, ის ქალი ჩემი დაი არიო. ჩაისვი ურემში, ისიც წამაიყვანე, წყალიც აამსე და წამაიღეო.

წავიდა, ნართლაც, მეცხვარე და ესე მაიქცა, როგორც ცოლმა დაუბარა. დაიჭირა ეს ქალი, წამოიღო უკვდავების წყაროცა და ღამე მოიყვანა სახში.

ჰყამ ეხლა ორი ცოლი ამ ვეზირსა. გათენდა დილაი და ეს უკვდავები წყალი მიუტანა ხემწიფესა. ხემწიფემ ხელახლა დაიბარა ვეზირები ისევისე და თავი ამბავი შასჩივლა.

— ეხლა რალა უყოთ, ცოცხალი დაბრუნებულაო. ვეზირებმა უთხრეს:

— ეს უნა გაგზავნოთ ამა და ამ ადგილაი, ერთ სასახლეში ერთი მზეთუნახამი ქალი ზის,—რო გაიცინებს პირიდან ია და ვარდსა ჰყრისო, — ის ია და ვარდი მოგვიტანოსო. იმ ქალს ისეთი საიდუმლოება აქ, რო იქიდან ცოცხალი ვერ მოვაო.

დაიბარა ხემწიფემ ეს ვეზირი და უთხრა:

— შენ უნა წახვიდე ამა და ამ ალაგას, იქ მზეთუნახამი ქალია, ნას პირიდან ია და ვარდი მოუდის და ის ია და ვარდი აქ უნა მაიტანოო. მივიდა ეს ვეზირი სახში თავი ცოლებთანა.

— რა გითხრაო? — ცოლებმა ჰკითხეს.

— რა მითხრაო და ამა და ამ ალაგას ერთი მზეთუნახამი იცინის, ია და ვარდსა ჰყრის და ის უნა მოუტანოო! ქალებმა უთხრეს:

— წადი, უთხარი ხემწიფესა, ბოგცეს ორი დიდი ცხვარი და ორიც კაი ცხენიო. წავიდა და ეს შაახსენა ხემწიფეი. მიიცა ხემწიფემ ორი ცხვარი და ორი ცხენი. მოიყვანა სახში. ქალებმა უთხრეი:

— იქ რო წახვალო, ერთ ცხენ ორი ცხვარი აიკიდე, ერთზეც შენ შაჯექიო. რო მიხვალ, იქ სასახლეთან, კარებში ორი დიდი ლომი აბიაო. ერთი ცხვარი ერთ ლომ გადაუგდე, მეორე მეორესაო. შენ კი ხმას აღარ გაგცემენ და შაივლი კარებშიაო. კარებში რო შახვალ, ცხრა ღია დაგხვდება და ცხრაც დაკეტილიო, რომელიც ღიებია — ისინი დაკეტე და რომელიც დაკეტილებია — ისინი გააღე

და შადიო. იქ ქალ რო ნახამ, ის ჩვენი ბესამე დაიაო; იასაც ბევრ გამოგატან და ვარდსაცაო, ჩვენ სახელ თუ კი ეტყვიო.

შაჯდა ვეზირმა ცხენზე, მეორე ცხენ გადაჯკიდა ცხვრები და წავიდა. ბივიდა იმ სასახლეჯთან. დაინახა კარებში ორი ლომი ება. შავიდა ვეზირი კარებშია. ღია კარებები დაკეტა, დაკეტილები გააღო, შავიდა ამ ქალთანა. გაიცინა ქალმა, ია და ვარდი ზვინივით დადგა პირიდანა.

— რათ მოსულხარო?—ამ ქალმა ჰკითხა.

— ჩვენ ხემწიფეს ია და ვარდი უნა წაუღო შენგანაო.

— თქვენ ხემწიფეჯ ია და ვარდი კი არ უნა, შენი სიკვდილი უნა, რო შენი ცოლი დარჩეჯო. ცოტა ხან დაჯექი აქაო. გამოიდა ამ ქალბა და ლომებ დაუტია.

— რათ შამოუშვით ე კაციო?

— რატო არ უნა შამოგვეშვა, როდესაც ამოტელი წელიწადია შენ გყარაულობთ და ერთი ლუკმა რბილი ხორცი არ მოგიგდია ჩვენთვინა, ცარიელა ძვლებზე ვართო; მაგან კი თითო ცხვარი მოგვიტანა და გადმოგვიგდოო.

შავიდა ახლა ეს ქალი და დაკეტილ კარებსა დაუწყო ჯავრობაი:

— თქვე რატო შამოუშვით ეგ კაციო.

— იმიტვინ შამოუშვითო, რო ამტელი წელიწადია დაკეტილები ვართ, სული შახუთული გვქონდა, ამ კაცმა გაგვაღო და შამოუშვითო! ახლა ამ ღია კარებებსა შაუტია:

— თქვე რაღათ შაბოუშვითო?

— ჩვენ იმიტვინა შამოუშვით, რო რამტელი წელიწადია ღიები ვართ, დააფრაკებული ვიყავით და ეხლა პატარა დავისვენეთო!

შავიდა ეხლა ეს ქალი და ვეზირ უთხრა:

— შენ ვინ გამოგზანა, ვისი სახელით მოხველი აქაო. მე ჩემმა ცოლებმა გამომგზავნეს, ამა და ამ ქალებმაო. ამ ქალ გაუხარდა:

— მაშ, შენ ჩემი სიძეი ყოფილხარო. შაუკრა ერთი დიდი კონა ია და ვარდი და გამაატანა.

წაბოიდა ეს ბიჭი და ია და ვარდი მოუტანა ხემწიფესა. ხემწიფეჯ გაუკვირდა. დაიბარა კიდე თავი ნაზირ-ვეზირი და უთხრა:

— ესეც მაიტანა, აბა ახლა რაღა უყოთო.

— ხვალე სანადიროთ წავიყვანოთ და იქ სროლაში მოვჰკლათო! ხემწიფემ დაიბარა ვეზირი და უთხრა:

— ხვალ სანადიროთ უნა წავიდეთო!

გაუხარდა ვეზირსა და ცოლებს უთხრა: — ხვალ ხემწიფეჲ სანადიროთ მივყევარო.

— ეგ კი ძნელი ამბავიაო,—ამ ქალებმა უთხრეს. მეორე ცოლ რაშის ბეწვი ჰქონდა. მოტუსა ხელათა და მოარდა რაში.

— აი ამ რაშზე შაჯექი, სანადიროთ რო წახვალო, — უთხრა ვეზირსა და თან ერთი ბურთიც მიჲცა. სანადიროთ რო წახვალ, შენი ცხენი არც იმათ წინ გაუშვა და არც უკან, სუ გვერდში დიეო. ტყეში რო მიხვალ, საცა უნა გაიშალოთ, აიღე და ეს ბურთი გაუშვი ტყეშიო. საითაც ბურთი წავა, შენი რაშიც იმაჲ გამოჲყვებაო. ის ბურთი ამ ჩვენ კარებზე დაეცემა, რაშიც აქ მოვარდებაო, მაგრა რაშმა არ მაგასწროს ბურთი აღება, თორე შენი საქმე ცუდათ წავაო.

დილით შესხდნენ ცხენებზე და წავიდნენ სანადიროთ. მართლაც, ეს ვეზირი ხემწიფეჲ გვერდიდან არა შორდება, სუ ახლოჲ მიჲდემ. ტყეში რო მივიდნენ, ამ ბიჭმა გაუშვა ეგ ბურთი ხელიდან. ბურთი გაუშვა და ეს ბიჭიცა და რაშიც გაქრენ იმ სააჩი. ბურთი ზეთ ამ ვეზირი კარებზე დეეცა, ჩაჲხტა ამ ვეზირმა და აიტაცა ეს ბურთი. ეს რაში გაჲქრა და წავიდა. შავიდა ეს ვეზირი თავი ცოლებთან.

ვეზირი გაჲქრა თუ არა, ხემწიფე და მისი ვეზირებიც წამოიდნენ უკან, ისინი სანადიროთ კი არ წასულან. ამათ ეგონათ, რო ეს ბიჭი ტყეში დაიკარჭა, სადღაც მოკვდა. მოიდნენ სახში და ეს ვეზირი შინ დახვდათ.

ხემწიფემ დაიბარა კიდე ვეზირები და უთხრა:

— ახლა რაღა უყოთო?

— რა უყოთ და ეგ უნა გავგზავნოთ საიქიოში, მამაშენთანო!

— აბა, როგორ უნა გავგზავნოთო?

— როგორა და აი, ასე: მითომ ჩამაშენი რო მოკვდა, შენ ბევრი ფული გაატანე საიქიოშია. უნა წავიდეჲ და ის ფული მაიტანოს.

დაიბარა ხემწიფემ ეს ვეზირი და უთხრა:

— უნა წახვიდე საიქიოში და მამაჩეჩ რო ფულები გავატანე, უკან დამიბრუნოსო.

მივიდა ვეზირი თავი ცოლებთან. აი ხემწიფემ ესე და ესე მითხრაო. ქალებმა უთრხეს:

— წადი, ხემწიფეს უთხარი: ათიათასი სული ცხვარი მატყლი დაგიჩეჩოს, დაგირთას და მოგცესო. ვეზირმა ეს ხემწიფეს მაახსენა. დაურთა ხემწიფემაც ეს მატყლი და ერთი დიდი გორგალი, ამ

თქვენი სახლი ოდენა, მიცა. მიაგორა ვეზირმა თავი სახთანა, ცოლებმა გორგლის ერთი წვერი გამააბეს თავაანთ აივნის ბოძზედაი.

— ამაჲკარი ფეხი, გორგალი დაიწყებ გორვასა, საცა ეს გათავდება საიქიოც იქ იქნებაო.

ამაჲკრა ვეზირმა ფეხი გორგალსა და იგორა ამანაც. გათავდა და საიქიოიც იქ იყო. დახვდა იქ ხემწიფი დედ-მამაი ბებრები.

— თქვენა ხართ ამა და ამ ხემწიფი დედ-მამაიო?—უთხრა ვეზირმა.

— ჩვენა ვართო!

— თქვენ შვილ თქვენთვინა ბევრი ოქრო-ვერცხლი გამოუტანებია, ახლა გაჭირვებაში არი და გამამიგზავნეითო!

— აი, ის ასეთ-ისეთიო, ის იქაც არ გვასვენებდა და საიქიოშიც აღარ გვასვენებსო! — შენ იმ ფულს ვერ მეერევი, ბევრიაო, წადი, უთხრი იმ ჩვენ შვილსა, რო ისეთი ხის კოშკი უნა გააკეთოს, წვერი ზეცაში წვდებოდესო. ამოიდეს იმ კოშკზედა თავი ჯარ-ჯარამათითო და იქიდან გადავაწოდებ ოქრო-ვერცხლსაო. ისინი რო ზედ ამოიდნენ, შენ ძირიდან მაასხი ნავთი, წაუკიდე ცეცხლი და სუ ერთიანათ დაწვი, სახემწიფო კი შენ დაგრჩება, შენ ხარ ხემწიფობი ღირსიო.

წამოიდა ამ ვეზირმა საიქიოდან და მოუტანა ამ ხემწიფეჲ ამბავი, რო ასე და ასე დამაბარეს მამაშენმა და დედაშენმაო. ხემწიფემ დაიბარა რაც იმ სახემწიფოში დურგლები იყო, დაიწყო კოშკი შენებაი. მართლაც, რო ალაგდნენ ეს ხემწიფე თავი ვეზირებით სუ მაღლა, წაუკიდა ამ ბიჭმა დაბლიდან ცეცხლი და ზეთ ჩამობრაწა სუ ყველაი.

დარჩა ამ ვეზირსა ხემწიფობაი. ეს ქალები ორსულათ არიან ორთავენი. დეებადათ ოქროჲ ქოჩრიანი ვაჟიშვილები ორთავეჲ. გამოიდა ეს ახალი ხემწიფეი ერთ დილით თავი ბაღში და ჩრდილში გადაწვა. ცოლებმა თქვე: — ნეტავ სად წავიდა ამ დილა ადრიანათაო. გადმაიხედეს აივნიდანა, ბიჭსა გულაღმა სძინამ ბაღში. ჩამოიდნენ ორთავენი ბავშვებით ხელში. ერთი თავით დაუჯდა და მეორე ფეხთით. ეს ბავშვები კი ორთავენი გულზე დააცოცამენ. გამეეღვიძა ამ ბიჭსა, მაშინ თქვა, რო აი ჩემი სიზმარი ვიპუე, ესააოეგრე ახდა გლეხი სიზმარი.

ეგ არი და გორი ციხეი!

33. სუსან-სუმბული

იყო და არა იყო რა. ხვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი სოვდაგარი ერთ ალაგას. ყამდა მას სამი ვაჟიშვილი. ერთხელაც სიკვდილი დრო მოუვიდა. როდესაც კვდება, უთხრა შვილებს:

— ვინძლო მე ბოვკვდე, სამ ღამეს მიყარაულეთო. ერთი პატარა, რომელიცა ყამს, ის ერთავათ ნაცარსა ქექამს.

სოვდაგარი მოკვდა. დაასაფლავეს და სამი დღის შემდეგ პატარამ უთხრა ძმებს:

— მამაჩვენმა რო გვითხრა, აბა უყარაულოთო!

— ნეტავი შენ, მკვდარს რა ყარაულობა უნაო და ჩაუთაქეს თავში.

ადგა ამ პატარამ მაინც, გასწია და მივიდა ამ სასაფლაოზე. თავი ბამის საფლავის შორი-ახლო გაშჭრა ერთი ორმო და ჩაჯდა შიგა. სად არი, სად არა, ერთი მდევი მოდის შუაღამისას. მოიდა და შორიდან ბუტბუტებს:

— ცოცხალს ვერა გიყავი რა, მკვდარს კი ამოგიღებ მიწიდან და ლუკმა-ლუკმათ გაქცემო! დაუგდო ერთი ისარი და უნა ამააგდოს. ამ ბიჭმა დაუჭირა ისარი, ჰკრა და მოკლა. მდევს შავი რაში ჰყამდა. რაშმა უთხრა:

— მე რათ გინდა სახში წამიყვანო, აი, ჩემი ერთი ბეწვი, რაბ დროსაც მოტუსამ, იმ საათში შენთან გავჩნდებიო.

მეორე საღამოს პატარამ კიდე უთხრა ძმებს:

— წადით.რა, წუხელ მე უყარაულე, ამეღამ თქვენ უყარაულეთო. ძმებბა კიდო ჩაუთათაქეს. ადგა და მაინც წავიდა ეს ბოლოლა. ჩვეულებრივ თავის ორმოში ჩაჯდა. სად არის, სად არა, შუაღამისას მოდის ბეორე მდევი: — ცოცხალს ვერა გიყავი რა და მკვდარს მაინც ამოგიღებ მიწიდანაო! დაუჭირა ისარი ბოლოლამ, ჰკრა და გადააბრუნა ისიცა. მდევს ლურჯი რაში ჰყამ, მან უთხრა:

— რათ გინდა, რო წამიყვანო, აი, ბეწვი, როცა დაგჭირდე მოტუსე და ბე იქვე გავჩნდებიო.

წამოიდა ბოლოლა სახში. მესამე საღამოს ძმებს უთხრა: — ორი ღამე ხო უყარაულე, წადით, ერთი ღაბე მაინც უყარაულეთო. მაგრამ არავინ წავიდა. ისევისე თვითონ წავიდა.

ჩვეულებრივ იმ ხაროში ჩაჯდა. შუაღამისას მოიდა მესამე მდევი ბურტყუნით:

— ცოცხალს ვერა გიყავი რა, მკვდარს მაინც ამოგიღებ და ლუ-

კმაჯლუკმათ გაქცემო! ჰკრა ბოლოლამ ისარი და მესამე ჭდევიც მოჰკლა. მდევს წითელი რაში ჰყამ. ამანაც უთხრა:

— აი, ჩემი ბეწვი, საცა გაგიჭირდეს, მოტუსე და მე იქვე გავჩნდებიო. ბოლოლა წამოიდა სახში.

იმ ქვეყნის ხემწიფეს ერთი ძაან კაი მზეთუნახაჭი ქალი ჰყამ. ჰოდა, ათხოებს ხემწიფე ამ ქალს ამა და ამ ნიშნით: ქალი მეათე სართულში ჰყამ, კოშკში მაღლა, — ვინც ახტება იქ და ბეჭედს წააძრობს თითიდან, ჩემ შვილ იმას შავრთამო. ბოლოლას ძმები შასხდნენ ცხენებზე და წავიდნენ.

— იქნება ჩვენ შავხტეთო. წვინტლიანმა უთხრა:

— ერთი ცხენი მეც მაჭეცით, მეც წამოალო.

— დაიკარქე, სამარცხვინოთ იქ როგორ წაგიყვანოთო და ერთი კარქა ჩაუთათაქეს. გამოსწიეს და მოიდნენ ეს ორნი ძმები. რამტელიმე მანძილი რო გაიარეს, გზაში, ბოლოლამ ამოიღო წითელი ბეწვი, მოტუსა და მოვარდა იმ საათში წითელი რაში. ტანისამოსი და იარაღი ზურგზე აქვს დაკიდული რაშსა. ამ ბიჭმა ჩაიცვა კარქათ, აისხა იარაღი, შაჯდა რაშზე და წამოიდა.

წამეწია თავის ძმებს რაში. თითო ისეთი მათრახი გადაუჭირა ზურგში, რო სამ-სამი პირი ტყავი ააძრო.

— უჰ, რა მამაძაღლი კნიაზი იყო, მაგის დედაო და ლაზათიანათ მიაგინეს.

მივიდნენ ხემწიფის კარებზე. ვინ იცის რამტელი ათასი კაცია მისული. წვინტლიანს დააცქერდნენ. შახტება, არ შახტება, კარგი რაში ჰყამო. ეს კი ჯერ გარე-გარე დადის, რა არი თავი ძმები მოიდნენ.

როდესაც მოიდნენ თავი ძმები, ერთი ლაზათიანათ აჯირითა ეს რაში, დასცხო მათრახი, აახტუნა კოშკზე, წააძრო ქალს ბეჭედი და წამოიდა. უყვირიან:

— მობრუნდი, ქალი წაიყვანე, მობრუნდი, ქალი წაიყვანეო. ჭაგრამ არა, გამოჭწია და წამოიდა. გამოიდა გზაზე და თავი ძმებს უცდის. თითზე შავი შაიხვია, რო ბეჭედი არ გამოჩენილიყო.

წამოიდნენ თავი ძმები, გამოიარეს, თითო კიდო დასცხო მათრახი და წამოიდა სახში. ეს რაში გაუშვა და ისევისე ბუხართან დაჯდა. სად არი, სად არა, ეს თავი ძმებიც მოიდნენ.

— რა ქენით, ვერ წააძრეთ ი ბეჭედიო? — უთხრა წვინტლიანმა.

— წავაძრეთ, თორე სუ შენა გგამდა ის ბიჭი, ვინაც წააძროო და ერთი კიდო ჩაუთათაქეს წვინტლიანს თავშია.

— თქვენ ხო გგვანდათ, აბა რაღა გინდათო! — უთხრა წვინტ-ლიანმა. ამ ხემწიფემ გასცა განკარგულება:—მთელი ხალხი, ვინც ცხოვრობს ჩემ ქვეყანაში, აქ მომიყვანეთ, ერთი ვნახო, ვისა აქ ის ბეჭედი, გავიგო, რათ არ კადრულობს ჩემ ქალსო.

ყველა წავიდა. ბოლოლა სახში დატოვეს. ხალხი შეგროვდა. ხემ-წიფის ქალმა დაუარა ყველას, მაგრამ არავის არა აქ ბეჭედი. ქა-ლი ამბობს:

— მე ვას ვცნობ, რო შამხვდეს ვიცნობო. მაშინ ხემწიფემ ვე-ზირებს უთხრა:

— აბა, ხო არავინ დაგრჩომიათ, ყველა აქ არისო?

— ერთი წვინტლიანი დავტოვეთ მარტო ერთ ალაგას, სხვა ყვე-ლა აქ არისო! — უთხრეს ხემწიფეს.

— წადით, ისიც მაიყვანეთ ჩქარაო! წამოიდნენ და უთხრეს წვინტლიანს:

— აბა, ხემწიფე გიბარებსო!

— წადით და ახლავე მოგეწევითო. წავიდნენ თუ არა, ბოლ-ლამ გამოიღო წითელი ბეწვი, მოვარდა წითელი რაში, შაჯდა ზედ და წავიდა მაშინვე.

შახვდა თუ არა, ამ ქალმა იცნო: — აი, ეს არი, რო მოდისო. მივიდნენ და ჰკითხეს:

— ვინა ხარო?

— ვე წვინტლიანი ვარ, რა გინდათ ჩემგანო!

— ჩემი შვილის ბეჭედი შენა გაქ და მოგვეციო!

— არა, მე არა მაქვსო! — ქალი წვდა თითზე და წააძრო ბეჭედი.

გამართეს ნიშნობა, ერთი კარგი პური ჭამეს. წამოიდნენ საყ-დარში, რო ჯვარი დაიწეროს.

წვინტლიანმა ძმებს უთხრა:—აბა, წადით თქვენ, ხარჯი გაამ-ზადეთო. როისაც ჯვარი დაიწერეს და საყდრიდან გამოდიან, იმ დროს დეეცა ზეციდან ერთი რაღაც და მოიტაცა ეს ქალი. ძალიან დაღონდა ბოლოლა. ბოლოს ხემწიფეს უთხრა:

— თქვენ წადით, მე უნა ის ქალი ვიპოვო.

— შვილო, აბა სად უნდა იპოო! რაც მოხთა, მოხთა, წამოდი სახში, ბაგაზე კარქ ქალს შეგრთამო.

— არა, ჯვარი რო არ დამეწერა, სხვა იყო, რახან ჯვარი დავი-წერე, მისი უნახაობა არ იქნება, ამას ვისაც სისხლი უდგია, ვერ მო-ითმენსო. გასწია ამ ბიჭმა რაშით და წავიდა.

იარა, დღე, ღამე, ბევრი დრო გააჯწორა, მაგრამ ეს რაში მოუკვდა გზაში. ამოიღო ლურჯი რაშის ბეწვი და მოტუსა. მივარდა იმ საათში, შაჯდა ზედ, იარა ბევრი, დღე, ღამე გააჯწორა, მაგრამ, ესეც მოუკვდა გზაში. ამოიღო შავი რაშის ბეწვი, მოტუსა, მოვარდა შავი რაში. შაჯდა, ბევრი იარა და ისიც მოუკვდა გზაში. ამ ბიჭმა თქვა:—რაც არი, არი, უკან აბა ხომ ვერ გამოვბრუნდებიო. ერთ დაბურულ ტყეშია და ერთ პატარა ხევს მიადგა. წაჰყვა ამ წყალს პირდაპირ და ნახა ერთი წისქვილი არის გამართული, შავიდა ამ წისქვილში, შაიხედა, საფქვავი არ არის და ცარიელა წისქვილი ბრახაბრუხით ბრუნავს. ერთი ბერიკაცი ზის შიგა.

— გამარჯობა, ძიაჯან, რა გინდა, საფქვავი არ გქონია და რას აკეთებ აქაო?

— გაგიმარჯოს, შვილო, ჩემი ნება რო იყოს, მე ვიცი საცა წავალო, მე სხვის განკარგულებაში ვარო; ამ წისქვილსა ჰყამ პატრონად ერთი ძალიან პატარა კაცი, თითქმის ერთი არშინი, მეტი არ არი, წვერი და თმა აქვს ორი მხარი და მეტი, სუ თმაშია გახვეულიო; ის დადის ზეციერად, ხმელეთით კი არაო, ეს წისქვილი მისია; ახლა სძინამ, დღეს თუ ხვალ გაიღვიძებს; აქედან წადი, თორემა შენც მოგკლამს და მეცაო; ერთი რაში ჰყამ და იმას დაჰყამ ზეციერათ, ის რაშიც ყარაულობს მძინარესო. თუ იმ რაშმა გაგატარა და მიგიშვა, მაშინ იგი ადვილათ შაიძლება შოჰკლაო, — უთხრა ბებერმა.

ბიჭმა მაშინვე გასწია. ბილიკა მიდის და მას გაჰყვა. დაინახა კარგი, მშვენიერი სასახლე დგა. ამ სასახლი კარებში რაში აბია. მიიპარა შორი-ახლო, ამოჭრა ერთი ხარო და ჩაჯდა შიგ. სად არი, სად არა, ამოყო თავი ბიჭმა. რო დაინახა ამ რაშმა, დაიჭიხვინა და გამააღვიძა თავი პატრონი. ბიჭმა ისევისე დაიშალა. გამოიდა ეს პატრონი, გაიხედ-გამოიხედა, არსად არავინ არი. მივიდა და უთხრა რაშსა:

— სუსან-სუმბულო, შენ ჩემო გულოო, რა არის შენი გულის დარდი, რო ეგრე ჭიხვინებ და მიფრთხობ ძილსაო, მითხარ და შევასრულებო!

წვერიანმა კაცმა კიდო გაიხედ-გამოიხედა, რო ვერავინ დაინახა, წავიდა და ისევისე დაწვა. არ გავიდა ერთი საათი, როგორც ჩაიძინა, ბიჭმა კიდო ამოყო თავი, რაშმა დაიჭიხვინა კიდევა და გამააღვიძა წვერიანი. ბიჭმა დაიმალა კიდევა. გამოიდა ეაშინვე ეს წვერიანი და უთხრა რაშსა:

— სუსან-სუმბულო, შენ ჩემო გულოო, რა არის შენი გულის

დარდი, რო აგრე მიფრთხობ ძილსაო! გაიხად-გამაიხედა, არავინ იყო, წავიდა და დაიძინა.

როცა გულ-ძილში იყო, ამ ბიჭმა კიდევ ამოყო თავი. დაიჭიხვინა რაშმა და კიდევ გამააღვიძა წვერიანი კაცი. გამოვიდა მაშინვე პატრონი, გაიხედ-გამაიხედა, ვერავინ რო ვერ დაინახა, აიღო მათრახი და ერთი კარგა ჩაამათრახა ეს რაში.

— კარქი, ჩემო პატრონო, ეს ბათრახები შენ თუ ცუდათ არ წაგივა, აბა ვნახოთო! შავიდა, ისევისე დაწვა და დაიძინა.

ამ ბიჭმა კიდე ამოყო თავი. რაში ხმას აღარ იღებს. ამოვიდა ეს ბიჭი ხაროდანა. მაგრამ რაში ხმას არ იღებს. გაიწია და წავიდა. მივიდა ამ რაშთანა და უთხრა:

— სუსან-სუმბულლო, შენ ჩემო გულლო, რა არის შენი გულის დარდი, რო ასე ჭიხვინებ და ძილს უფრთხობ შენ პატრონსო!

— გაიწი გაიარე, თორე თუ დაგავლე კბილი ლუკმა-ლუკმათ გაქცემო, — უთხრა რაშმა.

შავიდა ეს ბიჭი წვერებიანი კაცის ოჯახში. ერთ არშინ კაცსა სძინამ და წვერებშია გახვეული. დაინახა კიდევ, რო თავი ცოლი, რომელიც ბოლოლას მოსტაცეს სარკმელში ზის. დაინახა თუ არა ამ ქალმა, გადმოხტა: აქ რამ მოგიყვანა, საიდან გაჩნდიო და გადაეხვია. — მე ამ კაცს პირობა მივეცი, ათი წელიწადი ახლო არ მომეკარ-ოს, რო ჩემი ქმარი ვიმგლოვოო.

— აბა, ახლა ამას რა უყოთ, შენ ხომ ვერ მოჰკლამო.

— რატო ვერ მოვკლავ, განა აბ ჩემ ხმალ არ შეუძლიანო..

აიღო ხმალი და რო უნდა დაარტყას, ამ ქალმა უთხრა: — მაიცაო! ერთ რო დაარტყამ, ეგ მაშინვე დაგიძახებს: მეორეც დამარტყი, რახან მკლაბ, მამკალიო. მეორეთ რო დაარტყამ, გაცოცხლდებაო.

ბოლოლამ აიღო ეს ხმალი, დაუქნია, დაარტყა და ზეთ შუაზე გადაწყვიტა. წვერიანმა დაუძახა:

— ბარემ ერთიც დამარტყიო!

— არა, შენთვის ეს ერთიც კმარაო! — უთხრა ბოლოლამ. წვერიანმა დალია სული, მოკვდა.

გამააგდეს გარეთ ეს მკვდარი, ბოლოლამ გაათავისუფლა საწყალი მეწისქვილეც და ქალს უთხრა:

— აბა, წავიდეთო!

— რა გეჩქარებაო, — ქალმა უთხრა, დაღლილი ხარ, ბარემ დაისვენე, ეს ხომ მოკალიო; მეორე-მესამე დღეს იბანავა ამ ქალმა, სარეცხი დარეცხა, რამე და სარეცხის წყალი რო გადააქცია, ერთი

თმა (ბეწვი) გამოჰყვა. წყალმა ეს ბეწვი ჩაიტანა ერთი ხემწიფის ტპაში. ქალი ოქროი თმიანია. ხემწიფის მეჯინიფეები მირეკამენ ცხენებს ტპასთან, მაგრამ შიგ თმა ბღვრიალებს და ცხენები ფრთხვებიან, წყალ არ სვამენ. ხემწიფეს ეს ამბავი აცნობეს, რო ცხენები ფრთხვებიან, ძალიან ხშირათ წყალ არა სვამენო. ხემწიფემ უთხრა მებადურებს:

— წადით და ნახეთ, რა არის ტპაში და აქ მომიტანეთო.

წავიდნენ ეს მებადურები, ბოუსვეს ბადე, მაგრამ ამ ერთი ოქროი ბეწვის (თმის) მეტი ვერა ნახეს რა. მოუტანეს ხემწიფეს და უთხრეს: აი, ამაზე ფრთხებოდნენ ცხენებიო.

მაშინ ხემწიფეს უთხრეს:

— შენ რა ხემწიფე ხარ, რო ასეთ თმიანი ქალი ცოლათ არა გყამო!

— მერე და ვინ იცის, აბა სად არიო, — ხემწიფემ თქვა. უნა მოიწვიო ხალხი და სად არი გაიგებო, — უთხრეს ხემწიფეს.

ხემწიფემ დაიბარა ბთელი ხალხი. ყველას შეეკითხა, მაგრამ ვერ გაიგო. ბოლოს გამოჩნდა ერთი ბებერი ქალი, ტანტაროზი და მან უთხრა ხემწიფეს:

— ერთი ისეთი რამე გამიკეთეთ, რო ზღვითაც იაროს, ტყითაც და ხმელეთითაც და მე ვიცი ის ქალი, საცა არიო. გაუკეთეს ასეთი საჯდომი. წამოიდა ეს ტანტაროზი და ამ უდაბურ ტყეში მივიდა. თავისი საჯდომი შაინახა და თვითონ ამ სახლის შორი-ახლო დაიწყო სიარული.

ტანტაროზს შამოხვდა ეს ბიჭი.

— აქ რა გინდა, რას ეძებ, ბაბო, სახში მოდიო. ქალმა უთხრა: ეს არ იქნება ქრიჲტიანი, რო აბ დროს ასეთ უდაბურ ტყეში დაეხეტებაო.

— ნეტავი ერთი, მაგან რა უნდა გვიყოს, გაგვართობს მაინცაო, — უთხრა ქალს ბიჭმა. აიყვანეს ეს ბებერი.

ბებერმა ამაიღო ერთი ბოთლი ბეუშტარი და რო პურსა სჭამენ, იმათ დაალეინა. ორთავენი დაითვრენ. მაშინვე ესენი ჩასხა თავის საჯდომში, რაშიც იქ მოათავსა და წამოუყვანა ხემწიფეს. ბიჭი ხელ-ფეხშეკრული ჩააგდო ერთ ხაროში, ქალი და რაში კი მოუყვანა ხემწიფეს.

რო გამოფხიზლდა ეს ქალი, ნახა თავი თავი, რო ხემწიფეთანაა. ხემწიფემ უთხრა:

— შენ დღეიდან ჩემი ცოლი ხარო!

— ათ წელიწადს ახლო ვერ მომეკარები, ქმარი უნდა გამოვიმ-
გლოვო, ათი წლის შემდეგ კარგიო!

ბოლოლაც გამეირკვა. პური მოშივდა. აიტეხა ერთი ყვირილი, ღრიანცელი. ამ გზაზე ერთი მგზავრი მოდის. მეესმა ეს ყვირილი, გადიხედა ამ ხაროში, ნახა ხელ-ფეხშაკრული კაცი გდია შიგა.

— ვინა ხარ, მიშველე, ამიყვანე აქედანო! ამ კაცმა ჩავიდა, გა-
უხსნა ხელები, ხაროს ფლატე კიბე-კიბე გაპოთხარა და ამოიდნენ ზევით.

გამოემშვიდობა ამ კაცსა და წამოიდა. მოიდა იმ სახემწიფოში, სადაც თავი ცოლი ყამ ხემწიფეს.

სოფლი ბოლოში ერთ ბებერ დედაკაცს ეიტუმრა.

— თუ შაიძლება, ბაბო, ამეღამ მიიტუმრეო!

— მობრძანდი, შვილო, მაგრამ შენი საკადრისი არა მაქვს რაო!
რო დასხდნენ და პურსა სჭაპენ საღამოთი, ბიჭმა ჰკითხა:

— ბაბო, ამ ქალაქში რა ამბები ხთება, რა ტრიალებსო!

— რა უნდა მახვდეს, შვილო, ჩვენ ხემწიფეს ერთი ოქროჲთმი-
ანი მზეთუნახავი მოუყვანეს და კოშკში ჰყამ, არავის ახლოს არ იკა-
რებსო. თანაც ერთი რაშიც მოუყვანეს და რამტენი მეჯინიფე მოჲკ-
ლა, არავის ახლოს არ იკარებსო. ამ ბიჭმა გაიგო, რო ჩემი ცოლი აქ
ყოფილა და რაშიცო. გათენდა დილა, მივიდა ხემწიფეთან და
უთხრა:

— მეჯინიფე ხო არ გჭირდებაო?

— ჭირდება მეჯინიფე, ხოლო ერთი რაში მყამ, თუ იმას მო-
უვლიო!

— ერთი კი არა, თუ გინდ ასი იყვესო! დაუდგა მეჯინიფეთ. ხემ-
წიფემ წაიყვანა და შორიდან აჩვენა:

— აი, ესაა ჩემი რაშიო! შავიდა თუ არა, რაშმა შახედა და იც-
ნო თავი პატრონი.

— სუსან-სუმბულოო, შენ ჩემო გულოო, რა არი შენი გულის
დარდი, ასე რო ჭიხვინებ და ამოტელა ხალხსა სწყვეტამო, — უთხ-
რა რაშსა. დაუწყო ამ რაშსა მოვლა.

ქალმა გაიგო, რო ხემწიფეს ვიღაც მეჯინეფე მოჲსვლიაო. მა-
შივე იგრძნო, რო წორეთ მოიდოდა ჩემი ქმარიო. ნელ-ნელა ქალ-
ბა თვითონ შაიჩვია აქაური ხალხი. ერთ დღეს გაუგზავნა კაცი მე-
ჯინიფეს: გაეგო თუ საიდან მოსულა და ვინ არი. მეჯინიფემ თავი-
თავგადასავალი სუ ყველაფერი უთხრა ამ კაცსა. შუამავალმა მუუ-
ტანა ამბავი ქალსა, რო წორეთ ის არი, შე რო გინდაო. გაატარეს

რამტელიმე დრო. ერთხელაც იპოვეს დრო, რო ერთი მეორეს შახვ-დნენ. ქალმა უთხრა:

— ამა და ამ დროს ამა და ამ ადგილაზე მაჭელოდე შენი რაშით, შავსხდეთ და გავიპაროთო. წორეთ იმ დროს, იმ ჩემზე ფინთსა, შა-მოხვდნენ ძმა-ბიჭები,—თითო ბოთლი ღვინოი დავლიოთო. დაიწყეს ღვინის სმაი. მეჯინიფეს ეს ქალი სუ დაავიწყდა. ქალი კიდე თავი დროზე დანიშნულ ადგილზე მივიდა და უცთის იქა. უცადა ამ ქალ-მა, მაგრა არ მოიდა. ბოლოს იფიქრა, თუ მოჭნახა—მომნახა, გასწია და წავიდა. ის ღამე იარა. დილა გათენდა. ერთი არაბი შამოხვდა გზაში. შამოისვა ცხენზე და წაიყვანა. წავიდნენ, ბევრი იარეს და ერთ მდინარე წყალსა მიადგნენ. ჩამოხტა არაბი, გადმოიყვანა ქალი, დაიბანეს ხელი, პირი, დაიწყეს პური ჭამაი.

— ერთი შენი ტანისამოსი მათხოვე, მამიხდება თუ არაო,—ამ ქალმა უთხრა არაბსა. გაიხადა აჭ არაბმა და ჩაიცვა ქალმა ეს ტანი-სამოსი.

— ერთიც ქუდიც მათხოვეო,—უთხრა ბოლოს,—აბა ერთიც იარაღიც მამეცი, ავისხა ზედაო. იარაღიც აისხა ქალმა.—მიხდებაო?

— ძალიან გიხდებაო!—ეს არაბი ეუბნევა.

— აბა, ერთი ცხენზეც შავჯდე, გავატარ-გამოვატაროო! შაჟდა ცხენზე, იქ არაბის წინ გაატარა და გამაატარა ნელ-ნელა;—მიხთე-ბა ესაო?

— ძალიანაც გიხთებაო—არაბიც ეუბნევა. შააბრუნა ცხენი, გადაჰკრა ერთი მათრახი ამ არაბსა და უთხრა:

— მიხთება და ალალიცა ყოფილა ჩემზეო!—და გაიქცა. დაიწყო ამ არაბმა ჩივილი თავითავზე:—აბა და რას ვაძლევდი ცხენსა და ტანსაცჭელსაო!

წავიდა ეს ქალი და ერთ ქვეყანაში მივიდა. იმ ქვეყანაში მოხვ-თა, საცა ხემწიფე არა ჰყამდათ და ეხლა უნდა აერჩიათ. ააფრენენ მტრედსა და ზედ ამ არაბს დააჯდება თავზე. წაიყვანეს ეს არაბი, ერთ ალაგას დაამწყვდიეს, მაგრამ მტრედი მაინც მას დააჯდება თავზე. ბოლოს თქვეს.—რაც არი, არიო; გამოიყვანეს და დასვეს ხემწიფეთ. დაიწყო ამ ქალმა ხეჭწიფობა და განაგებს ძალიან კარქათ. ქალმა თავი სახემწიფოს ჯვარედინ კუთხეებში თავი სურათები გამააკრა და ყარაულები დააყენა.—ვინც ამ სურათ შახედამს, აქ მამიყვა-ნეთო.

მეორე დილით მეჯინიფეს გეეღვიძა. ყველაფერი გაიგო. ხემწი-ფემ გამააცხადა, რო ქალი დაიკარქა წუხელისო.—ჩემი საქმე რახან

ესე უბედურათ მიდის, დეე წავიდესო, დაანება რაშ თავი და წავიდა. იარა დღე და ღამე, კვირა გააწორა და მიადგა აშ ქალი სახემწიფოს. მივიდა, შახედა სურათს და იცნო, ცრემლები გადმოადცვინდა. სწვდნენ და დაიჭირეს, წაუყვანეს მაშინვე ხემწიფეს. მიიყვანეს თუ არა, ამ ქალმა შახედა და იცნო თავი ქმარი. აშ ბიჭმა ვერ იცნო.

— იმ სურათ შენ რათ შახედეო? დაუწყო ქალმა ფეხები ტყაპუნი.

— შავხედე რა, ისე გამოიარე და შავხედე!

— მაინც მიზეზი რა არი, მითხარი თუ სიმართლეს იტყვი—იტყვი, თორემ თავ მოგჭრიო. ამ კაცმა იფიქრა: მოდი, ვეტყვი, რაც მამივა, მამივაო.

— მე ერთი ქალი მიყვარდაო, ჯერ ერთმა ადლიან წვერიანმა კაცმა მამტაცა, იქიდან როგორც იყო გამავიხსენი, ეხლა ერთმა ტანტაროზმა მამტაცა, იქიდან რა დროსაც პირობა დაუდეთ, რო გამომესხნა, იმ დროსა დავითვერი ამხანაკებში და ქალი დავკარგეო. ახლა აქ შავხედე სურათსა, ვიცან ჩემი ცოლი და იმითვინა შავხედეო!

— ამ საქმეში შენა ტყუიხარ, თუ შენი ცოლი, რო თავი დროზე არ გამოხველიო?—უთხრა ხემწიფეშ.

— რა თქმა უნდა, მე ვტყუივარო, ჩემ დანიშნულ დროზე ვერ მიველიო!

— აბა, ცოტა ხანი მამიცადე აქო,—ქალმა უთხრა და თვითონ გავიდა მეორე ოთახში. გაიხადა ტანისამოსი იმ არაბისა და გამოიდა თავი ტანისამოსით,—მე ვარ თუ არა შენი ცოლიო. გადაეხვივნენ, დაადკოცნეს ერთმანეთი. ამ ქალმა გაიცა განკარგულება:—წაიყვანეთ ეს კაცი აბანოში, კარგა გაბანეთ და მაიყვანეთ აქაო. წაიყვანეს ხელათ, აბანავეს და მოუყვანეს ხელათ. ამ ქალშა უთხრა სახემწიფოს:

— დღევანდლამდი თქვენ ხო არ იცოდით მე ქალი ვიყაი თუ კაცი, აი, ეს ჩემი ქმარია, მე კი ქალი ვარო. ჩვენი მშობლები ჩვენი დაკარგვიზა ძალიან მწუხარები არიან, ჩვენ ჩვენ მშობლებს უნა მივხედოთ, თქვენ იცით და თქვენმა სახემწიფომო.

წამოიდნენ და მივიდნენ ამ თავაანთ ქვეყანაში. აბა ერთი კარქი ქორწილი, გახარება. ის ბიჭი დღესაც ხემწიფეთ არი და კარქათა აქვთ საქმე.

ჭირი იქა, ფქვილი აქა,
ნაცარი იქა, ლხინი ვქა.
მთას ურემი ავიტანე
ძირს ჩამოვა გორვებითა;
აქ სიცოცხლით გამიძეხით
საიქიოდ ცხონებითა.

34. გველის ტყავზე ამოსული ალვის ხე

ერთ სოვდაგარს მუდამ წელიწად მოჯამაგირე ჰყამდა. წელიწადში სამ თუმნათ. ერთხელაც ერთი გლეხი წავიდა და დაუდგა მოჯამაგირეთ. სოვდაგარმა უთხრა:—მე მოჯამაგირეები სხვებიცა მყოლია და შენცა ხარო. როცა გაათავა წელიწადი აიღო და სამი თუშანი დაუწყო წინა: — ეს საში თუმანი გირჩევნიან თუ სამი სიტყვა? — უთხრა გლეხსა. ამ გლეხმა იფიქრა რა, — მაინც ღარიბი ვარ და ღარიბი, მოდი ამ სამ თუმან დავანებებ და სამი სიტყვა მითხრასო. სოვდაგარმა ეს სამი თუმანი მაშივე ჩაკეცა ჯიბეში: — სამი სიტყვა ეს არი: ერთია — აქედან რო წახვალ, რაც შენმა თვალებმა მაიწონოს, უბრალო კენჭიც რო იყვეს, აიღე და წაიღე სახში; მეორეც, ესა, როშა რასაც ვერ შეიწვდე, არ შეეტოტინო; მესამეც ესა, რო შენი გულის პასუხი, ცოლი რა ბარი, იმასაც არ უთხრა.

ადგა და წამოიდა ეს გლეხი:—ვაი, სამო თუმანო, აბა რათ მინდოდა ე სამი სიტყვა, სამი თუმანი ჩემ ცოლ-შვილ ცოტა რამეს უშველიდაო. წამოიდა და მიდის გზაში. ერთ ჭრელ გველს ტყავი გაუხთია, ჰო და, ცოტა მეეწონა ამ გლეხსა. მააგონდა სოვდაგრის სიტყვა, აიღო ე გველი ტყავი, დაკეცა და ჩაიდო ჯიბეში.

მივიდა თავი სახში. ეზოში რო შავიდა, არაფერი შეხვდეს რაოდა ეს გველი ტყავი ერთ დიდ ქვას ქვეშ შადო. შავიდა, დაწვა და დაიძინა. ცოლმა ჰკითხა:

— რა ჰქენი, კაცო!

— დამაცა, გათენდეს და ხვალ გეტყვიო. გათენდა დილაი, გამოიდა ქალი გარეთ, შახედა თავიანთ კარებზე ერთი ძალიან დიდი ალვი ხე არი ამოსული. შავიდა და უთხრა:

— კაცო, ეს ალვი ხე, შენ მოიტანე, საიდან გაჩნდა, როგოა მაგის საქმეო? ამ კაცმა შახედა, თუ არა იგრძნო, ერთი თუმანი უკვე გავინაღდეო!

ეხლა მთელი ხალხი ლაპარაკობს: — საიდან და როგო ამოიდა ამტელა ალვის ხეო. ამ გლეხმა უთხრა ხალხსა:

— თუ გაინტერესებთ, მე ვიცი აგი ხე რაზედაც არის ამოსული, დავნაძლევდეთ, მოვჭრათ, ჩემი ნათქვამი თუ მართალი არ გამოიდეს თავი ბომჭერით, თუ არა, მაშინა სანაძლეო დააწყეთო.

დღესა, ხვალა, ზეგა, ამ კაცმა გაიმარჯვა სანაძლეობით. საქმე წინ წამოეწყო. ჰოდა, მოდის და მოდის სანაძლეო, ამ დროს ერთმა ვაჭარმა ჩამოიარა ამ კაცი კარებზე, ეს ყრილობა რო არი, იკითხა:

— ეს ხალხი აბა რათ არი მოგროვილიო?

— ეგ ხალხი იმიტვინ არიან მოგროვილი, რო აგერ, აი, ეს ალვი ხე ერთ ღამე ამოიდა, პატრონმა იცის რაზეა ამოსული და სანაძლეოებს იგებსო. ვაჭარმა თქვა: აბ საქმეს თუ გავიგებ მე, ქალისაგან, თორე ვერ გავიგებ და ვერაო! ერ დილასაც ჩამოიარა ადრე, ისე რო გლეხი კარებზე არავინ იყო მოსული. აიღო ერთი ათი მეტრა ჩითი და გადაუგდო. მეორე დილას ჩამოიარა ერთი ათი მეტრა კიდევ ბოშჭრა აბრეშუმი, რამე და გადაუგდო. მესამე დილას საკაბე მოჭრა და გადაუგდო. ამ ქალმა დაუძახა:

— აქ მოდიო, — რათა შვრები ბაგ საქმეს, რათა ჰყრი მაგ ფართალს აქეთო?

— რათა და რამტელი წელიწადია მე შენ მიყვარხარ, პირში ვერ გიბედავ და ესე შორიდან მინდა გასარგებლო რამეო. ამ ქალმა თქვა: — თუ კი მე ამ ვაჭარ უყვარვარ, მაშ მეც მიყვარს! დაიწყო ამ ქალთან სიარული. დღე, ღამე, თვე მიდის ეს ვაჭარი ამ ქალთან შხირათ. ერთხელ უთხრა:

— ნუთუ არ იცი შენა, ეს ხე რაზეა ამოსულიო?

— არ ვიცი და არც მიკითხამო!

— აბა, ერთი შაეკითხე შენ ქმარს საღამოზე, რო მოიდესო!

მოიდა საღამოთი ქმარი და ქალი ეუბნევა:

— რა კარგია ვიცოდე, ეს ხე რაზეა ამოსული, მეცაო!

— აბა, რათ გინდაო?

— იმიტვინა, რომა დღეს იცი რა სანაძლეო დავკარგეო, შენ რო აქ არ იყავი, მოიდნენ სანაძლეოთ, რაკი მე არ ვიცოდი, წავიდნენ ისევისეო!

— არა უშავრა, რასაც მე ვენაძლევები და ვგებულობ, ისიც საკმარისია ჩვენთვინაო. დღე, ღამე, მაგრამ მაინც არ უთხრა ამ კაცმა.

— არა, უნა მითხრა და უნა მითხრაო, ჩასციებია ეს ქალი.

— კარგი და ხვალიდამ გეტყვიო! მეორე დღეს დაწვნენ, ვაჭრისათვის ამ ქალს ნათქომი აქვს, რო კარებთან დაწექიო. მივიდა იგიც და კარებში წემ.

ღამის თორმეტი საათია და ჩუმათ ეუბნევა, რომა არავინ არ გაგვიგოსო და ეს ალვი ხე გველის ტყავზეა ამოსულიო!

— რაო, გველი ტყავზეო?! — ხმამაღლა თქვა ამ ქალმა; რა არი კარებში რო ვაჭარი წემ, იმას გააგონოს!

გაიგო ამ ვაჭარმა და წავიდა. გათენდა დილა და ჯორ-აქლემით მაადგა სანაძლეოთ ამ გლეხ კარზე:

— აბა, სანაძლეო დავდოთ, გამოდი გარეთო. გამოიდა ეს გლეხი და დანაძლევდნენ. — მე ვიცი ეგ ხე რაზეც არი ამოსულიო, ეს ეუბნევა. დასდეს ხელწერილი, თუ მე გაჩავიცანი რაზეც არის ეს ხე ამოსული, სამ რამეს, რასაც დავადო ხელი შენ ოჯახში, ჩემი იყვესო და თუ ვერ გამავიცანი, რასაც შენ დაადებ ჩემ ოჯახში ხელს სამ რამესა, შენი იყვესო.

დანაძლევდნენ. ადგა და ვაჭარმა უთხრა: — ეგ ხე არი გველი ტყავზე აჩოსულიო. ამ გლეხმა უთხრა: მართალია! ნახეს რო გველი ტყავზეა ამოსული. ბოლოს გლეხმა უთხრა: ოცდაოთხ საათს უფლება მომეც, რო ჩემ ოჯახიდან არაფერი წაიღო, ოცდაოთხი საათის შემდეგ, რაც გნებამ წაიღეო.

დაჯკრა ფეხი გლეხმა და იმ საათში წავიდა სოვდაგართან.

— აბა, რაშია საქმე, რა დაღონებული მოხვედიო?—სოვდაგარმა ჰკითხა.

— ესეა ჩემი საქმე, ესეო.

— დაჯე ჯერ·პური ვჭამოთო. დასხდნენ, პური ჭამეს.

— მე შენ არ გითხარი, რო შენი საიდუმლო არავი უთხრაო?

— რა ვქნა, შაჩაცდინა, უთხარი ქალსაო!

სოვდაგარმა ერთი ხოროსნი ხმალი მისცა და ერთიც ქერის ფხის სალესავი.—წადი, დაადექი ამაღაჩ მთელი ღამე სუ ლესეო.—აბა რაზე ხართ დანაძლევებულიო, — ეგეც შაეკითხა. — ჩემ ოჯახში ხელ სამ რამეს, რასაც დაადებს მისი უნა იყოსო.

— აი, შენ ოჯახში სამი რამე, რაზედაც დაადებს ხელს ისა: პირველი დაადებს: შენი ცოლი ჩემი უნა იყოსო, მეორე—რაც შენ გიშრომია, მისი უნდა იყვეს, მესამე—რაც შენ ქონება გაქვ, მისი უნდა იყვესო.

როისაც წახვალ და ხმალს გალესამ, შენ კიბეზე დადექი, მეხუთე საფეხურზე დაბლიდან რო გადაითვლიო. ის რო მოვა, შამოდგება

თუ არა საფეხურზე, ხელსაც მიაჭერს მოაჯირს. მეორე ნაბიჯ რო გამოადგამს, მეორე ხელსაც მიაჭერს, მესამე საფეხურსაც მესამე ხელ დააჭერს და შენ მაშინვე გააჩერე: — აი, ესაა შენი, საბ რამეს ხო დაადე ხელი-თქო, — ჩამოუჭერი და მიეციო.

გამოაწია და ამ გლეხმა მოიდა სახში. მთელი ღამე დაადგა და ლესაგ ამ ხმალსა. ცოლი იძახის: — თუ უნა მამჭრას თავი, რაღას აგვიანებს, არა და არ დაეძინა შიშითა. გათენდა დილა, მოიდა ეს ვაჭარი.

— აბა, მეგობარო, სანაძლეოთვინ მზათახარ თუ არაო?

— მობძანდი, მზათა ვარ, რაც გნებავდეს წაიღეო! ჩაუდგა მეხუთე საფეხურზე და დაუდგა ხლმითა. მობძანდი და წაიღეო. გამოქანდა ვაჭარი, ფეხი რო გადმოდგა, ხელიც დაადო, მეორე ნაბიჯზე — მეორე ხელი დაადო, მესამეც რო გადმოდგა და ხელი დაუდო, გლეხმა ჩაუჭრა, აი ეს შენია, აიღე და წაიღეო. ხალხმა უთხრა: — სწორიაო! ისა იძახის: — არ მინდა, ძმაო, ეგ კიბე იყვეს აქაო! გასწია და წავიდა ხახამშრალი.

გლეხმა ბიბრუნდა სახში, დაადგა ამ ხლმით ქალსა და სუ ტყავი გააძრო. საიდუმლო ღამე გითხარი, დილით უკვე გამეციო. დაადგა ამ გლეხმა შემდეგ და მუშაობს ისევისე. იმ სანაძლეოში ერთ ხემწიფეს ერთი ოქროი ტარიანი დანაც მოუგო. ეს ხემწიფე უკვე აღარ არი, ეხლა მისი შვილი განაგებს სახემწიფოს. მოუტანეს ამბავი ამ ხემწიფეს, რო მაბაშენს ოქრო ტარიანი დანაგ ქონდა და ამა და ამ გლეხმა მოუგო სანაძლეოშიო, უნდა დაჰპატიჟო ისა და დანა როგორმე ხელში ჩაიგდოო.

დაჰპატიჟა მრავალი ხალხი, ეს გლეხიც და სოვდაგარიც. როდესაც მოიდნენ და დასხდნენ ხემწიფი სახში, ყველა კაცის თავზე თითოული შემწვარი ან ქათამი, ან ინდაური აწყვია. გამოუცხადა ამ ხემწიფემ, რო მე სამყოფი დანები არა ბაქ, თქვენ-თქვენი დანები ამაიღეთ, დასჭერით და მიირთვითო. აბა, მაშივე ყველამ ამაიღეს დანები, დაიწყეს დაჭრაი. ის გლეხი დანას არ იღებს, ქალი კიდე ეუბნევა:

— ამაიღე, აბა რაღა დღითვინა გინდა ეგ დანაიო. სოვდაგარი იქიდან თვალ უშვრება:

— არა, არ ამოიღოო. ამოიღო ამ ბიჭმა, როგორც დაუსვა, ფრთა და ბარკალი მოშჭრა, უყვირეს: — აბა, აგწი ხელები მაღლა და დანა დაგტოვე ძირსა, ეგ დანა მამიჩემის ნაქონია, შე მამაჩეგი მოგიკლამს და დანა წაგირთმევიაო. დაიჭირეს ეგ ბიჭი და ჩააბრძანეს

მეტეხში. ამ ხალხმა თავიანთი ქეიფი გააგრძელეს. გათენდა დილაი. სოვდაგარმა თქვა: — მოდი ერთს კიდე უშველი, ერთი თუმანი კიდევა მმართებსო.

წამოიდა სოვდაგარი და მოიყვანა ერთი პატარა კატაი. გამოიარა ამ ციხიძირში. ეს პატიმარი იყურება ფანჯრიდან.—შენ ხო იცი, ვითომ კატას ეუბნევა და სცემ ეს სოვდაგარი, ჰოდა გეტყვიან: — ეგ დანა ვინ მოგცა შენაო. — მართალია, ეგ დანა მამიშენის ნაქონია, მაგრა მამაშენს ბამიჩემის ვალი მართებია, მამაშენს რო არ მუუცია ვალი, ამდგარა, მამაჩემს მოუკლამ მამაშენი და დანაც წაურთმევია-თქო და თუ შენ გადამახთეინებ შვილს მამის ვალსა, იცოდე არც შენ შაგრჩება და ჩემი შვილი-შვილი შენც გაზღვეინებს ჩემს ვალსა-თქო.

წამოიდა სოვდაგარმა. გამოიყვანეს დილით პატიმარი.

— ეს დანა ვინ მოგცა შენ? — ეკითხება ხემწიფე.

— ეგ დანა, მართალია, მამიშენის ნაქონია, მაგრა მამაშენს მამიჩემის ვალი ჰქონია, ვალი რო არ ბოუცია, ამდგარა, მამაჩემ მოუკლამ მამაშენი და დანაც წაურთმევია. და თუ მე გადამახთეინებ, — შვილ მამი ვალსა, იცოდე არც შენ შეგრჩება, ჩემი შვილი-შვილი მაინც გაზღვეინებს.

მაშინ ამ ხემწიფემ თქვა:

— დანას ვართმევ, ვართმევ, სიკვდილ რაღას ვემართლები. გაანთავისუფლეს ეს გლეხი, წამოიყვანა ცოლი სახლში და ერთი მაგრა დაბეჟა.

ამის შემდეგ კარქათ ცხოვრობენ და მხიარულათაც არიან.

35. ამბავი ჯუმჯუმ ხემწიფისაი

იყო და არა იყო რა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. აბთარი, ბაფთარი, ცივი ზამთარი, კაცი ტყუილი, ღმერთი მართალი. იყო ერთი შეძლებული კაცი, რომელსაც ჰყამდა ერთი შვილი. შვილი რო წამაიზარდა, მოინდომა ნადირობა. მამამ თავიდანვე ასწავლა ენადირნა წითელ და თეთრ მთაზე, ხოლოთ იმის იქით რო შავი მთაი მდებარეობდა, იქ არ გადასულიყო. მართლაც, ამ ბიჭმა აისხა აბჯარი და წავიდა სანადიროთ. გადინადირა თეთრი მთაი — ვერაფერი მოჰკლა, ავიდა წითელ მთაზეც — ვერაფერი მოჰკლა, გაბრაზებული წავიდა მესამე მთაზე, რომელსაც შავი მთაი ერქვა.

ასვლისთანავე დაუხვთა ბევრი ნადირი, რომელთაც ხოცვა და-

უწყო. ან ნადირს შორის გამოუვარდა ერთი ქურციკი, რომელსაც გამაუდგა. ქურციკმა ატარა, ატარა ეს ბიჭი, მიიყვანა ერთ ხევამთან. ქურციკი, როცა ჩავიდა ხევში, გამოჩნდა ერთი სახლი, რომელსაც ჰქონდა შესავალი. ქურციკი შევარდა ემ სახში და ბიჭიც შეაყვა თანა. ქურციკი გადაიქცა ქალათ, მოუბრუნდა ბიჭსა, დაჴკრა წკეპლაი და აქცია ქვათა.

ემ ბიჭის წასვლიდან გავიდა მრავალი დროი. ბიჭის დედ-მამას კიდე გაუჩნდათ ვაჟიშვილი. ეს ვაჟიშვილიც წამაიზარდა. ერთ დღეს კოჭაობდა ამხანაკებში. წორეთ ამ დროს ჩამაიარა ერთმა ბებერმა, რომელსაც მხარზე კოკა ედგა. ბიჭმა ეს შანიშნა და უთხრა ამხანაკეფს:

— აბა, იმ კოკას ვინ მაარტყამს კოჭსა? ესროლა ემ ბიჭმა კოჭაი და გაუტეხა კოკაი. ბებერი მობრუნდა და რო დაინახა ეს ბიჭი, დაუწყო წყევლაი:

— შენ ჩემ კოკაჴთან რა გესაქმებოდა, შენი ძმა მონახე, ის გირჩევნია. ბიჭი დაღონდა და წამოიდა სახში.

დედას უთხრა: — ძუძუი მინდაო!

— შვილო, რაღა დროს შენი ძუძუია, უკვე საქორწილო ვაჟი ხარო. ეს ბიჭი არ მეეშვა და, მართლაც, ჩაიდო ძუძუი პირში, მოუჭირა კბილები მაგრა, თან უჭერდა კბილებს და თან ეუბნევოდა:

— დედა, მე ძმაი ჭყვანდა თუ არაო! ისე ეტკინა დედას ძუძუი, რო დაჴთანხმდა და უთხრა:

— შვილო, შენ გყამდა ძმაი, მაგრა სანადიროთ წავიდა და დაიკარგა, აღარ მოსულა.

ამ ბიჭმა გაიხადა ჩოხაი და დაჴკიდა კარებ უკანა. უთხრა თავის დედას, რო თუ ეს ჩოხა ჩამოვარდა, ჩემი საქმე ფინთათ არიო. ბევრი ეხვეწა დედამ არ წასვლაზე, მაგრა ბიჭმა არ დაიშალა, აისხა საჭირო აბჯარი და გაუდგა სანადიროთ გზას. გადაიარა თეთრი მთაი— ვერაფერი მოჰკლა, გადაიარა წითელი მთაი—ვერც იქ მოჰკლა და პირდაპირ წავიდა. მესამე, შავ მთაზე. იქ დაუწყო ნადირს ხოცვა, როგორც პირველმა ძმამ. იმასაც გამოუარდა ერთი ქურციკი, რომელსაც დეედევნა. მოსაკლავათ ვერ გაიმეტა და გამაუდგა ხელით დასაჭერათ. ქურციკმა, როგორც პირველი ძმა, ესეც ჩაიყვანა ხევამდი. შევარდა სახში, მაგრა ეს ბიჭი შიგ არ შეყვა. მოუარა მეორე გასავალიდან. მეორე გასავალთან რო მივიდა, დაუხვთა ქალი წინ. ქალმა უთხრა:

— რახან შენ ეგრე იჭკუე და შინ არ შამომყევი, გეტყობა კაი

ვაუკაცი იქნებიო! ქალი გამოვიდა კარშია, მოისვა ბიჭი გვერძე და უთხრა: — მე ხო მხედამ, რა ლამაზი ქალი ვარ, თუ შენ ჯუმჯუ? ხემწიფის ამბავს გამიგეფ, შენი ცოლი გავხთებიო. ეს ბიჭი დაადთანხმდა და გაუდგა გზას.

იარა, ბევრი იარა და ძრიან დაიღალა. იქვე ბახლობლათ იდგა დიდი მუხა, რომლის ტოტებსაც ეკავა ძალიან დიდი მიწაი; მივიდა ბიჭი, წამოწვა მუხი ძირში. ამ ბიჭ ძილში მეესმა რაღაც დიდი ხმაური. წამოდგა ზეზე და რას ხედამს: იმ ხეზეა ქონია ფაშკუნჯს ბუდეი და გველაშაპი მოდიოდა იმი ბარტყების დასაჭმელათ. ბარტყებმა გველაშაპის დანახვაზე აიტეხეს წივილ-კივილი და ამან გამააღვიძა ბიჭი. წამოდგა ზეზე. დაინახა, რო გველაშაპი მოდიოდა. დაუჭირა ისარი და გააპო შუაზე, მივიდა, აჩეხდაჩეხა და მიადყარა გვერძეი. თითონ ისევ მიწვა და ბიიძინა. გველაშაპის მისვლა გეეგო ფაშკუნჯს, რომელიც გამწარებული გამორბოდა. რო დაინახა იქ მწოლი ბიჭი, იმისკენ წამოიდა, მაგრა ბარტყებმა დაიწყეს ყვირილი: — მაგას არაფერი ავნო, ჩვენ მტერი მოგვაშორაო. ფუშკუნჯმა რო დაინახა თავი ბარტყები ცოცხლები, პირდაპირ ბუდეში ჩაჯდა. ბარტყებმა უამბეს ყველაფერი. ფაშკუნჯმა ამ ბიჭს ახედ-დახედა, მძინარეს ბზე მიზდგომოდა და აცხუნებდა, გაშალა ფრთა და დაუჩრდილა.

ბიჭმა გამაიძინა და წამოდგა ზეზე. ფაშკუნჯი რო დაინახა, შეშინდა ძრიან. ფაშკუნჯმა დაუძახა:

— რახან შენ ჩემი შვილები გადაარჩინე, ნურაფრისა გეშინიანო, დიდი მადლობა გადაუხადა, რასაცა მთხოვ შაგისრულეფო! ბიჭმაც აღარ დააყოვნა დიდი ხანი და უთხრა:

— ოღონ ჯუმჯუმ ხემწიფეადთან გადამიყვანე და მეტი შენი არაფერი მინდაო. ფაშკუნჯმა უთხრა:

— ეს ძნელი საქმეა, ბაგრა რადგან ეგრეთი სიკეთე მიყავ, წაგიყვანო. შაისვა ფრთებზე და გაუდგა გზას. გადიყვანა ერთ სახემწიფოში და ქალაქის მახლობლათ მინდორზე ჩამოსვა. ეს ბიჭი წავიდა შიგ ქალაქში. იკითხა ხემწიფი ბინაი და მივიდა. ხემწიფემ დიდი პატივი ცემით მიიღო. ლაპარაკის შემდეგ ჰკითხა:

— რა გიჭირს, რო ჩემთან მოსულხარო? ბიჭმა უთხრა:

— საქმე არაფერი მაქვ, ოღონ გამაგებინეთ თქვენი ამბავიო!

— ჩემ ამბავს გაგაგებინეფ, მაგრა ამბავი გათავებაადთან ერთათ მოგჭრი თავს, რადგან არ მინდა, ჩემი ამბავი კარში გავიდესო. ბიჭიც დაადთანხმთა. — შენ ნათქვამ შავასრულეფ, ხოლოთ ცოტა ხანი

გამიშვი, რო ორი სამთელი ვიყიდო და თავი მოჭრი წინ ჩემი სული მივაბარო უფალსაო. მართლაც, ხემწიფემ დართო ნებაი და ბიჭი გამოიდა კარში სამთლები საყიდლათ. იყიდა სამთლები და წავიდა ფაშკუნჯთან, რომელსაც უთხრა:

— ხემწიფის ეზოში შე რო სამთლები ანთებული დაინახო, პირდაპირ გამოქანდი და გამიტაცე, თორე ხემწიფე მომკლამსო. ფაშკუნჯიც დათანხმდა. ბიჭი მივიდა ხემწიფეჲთან, მანაც გაიყვანა ცალკე ოთახში და ჩაისვა გვერძე თავი ამბავის საამბობლათ.

— მე ვიყაი ჯუმჯუმ ხემწიფეი, რომელსაც ბადალი არა მყამდა. მყამდა ძრიან ლამაზი ცოლი, რომლის ცქერითაც ვერა ვძღებოდი. მყამდა ძრიან კაი ცხენებიც, რომლებიც თითქმის სიკვდილის პირამდის მივიდნენ. ვკითხულობდი მეჯინიფეებთან, მაგრა არაფერ პასუხს არ მაძლევდნენ. რამტელიმე მეჯინიფეს ამის გულითვის მოვკვეთე თავი. მერე ერთმა მეჯინიფემ მითხრა:

— თუ გინდა გაიგო შენი ცხენების ამბავი, ჩაიცვი ჩემი ტანისამოსი და ერთი ღამე უყარაულე შენ ცხენებსაო. მართლაც, მე ჩავიცვი მეჯინიფი ტანისამოსი და დავდექი ერთი ღამე ცხენებთან. რო გახთა შუაღამე, დამიკაკუნეს კარები. გავაღე და რას ვხედამ: შემოიდა ჩემი ცოლი და მითხრა:

— აბა, ჩქარა შეკმაზე ცხენებიო! როგორც უჩვეულო ცხენების შეკმაზისა, გვიან შავკმაზე. როცა გავმართე ორი ცხენი, შაჯდა ერთ ცხენზე თითონ და მეორეზე შენ შეჯექიო, — მითხრა. ჩეც შავჯექი. გააჭენა ცხენი და მივდევდი უკან მეც. მატარა რამტელიმე ხანი და მიმიყვანა ერთ სახთან, რომლის ბალკომში არაბი უცდიდა.

— უი, შე თმა ასაკვეცოო, — არაბმა დაუძახა შორიდან, — სადა ხარ აქამდისო! გავიდა ქალი და მივიდა არაბთან. არაბმა ერთი ხანობა ჯერ სცემა, მერე შაიყვანა ოთახში თავი სურვილების მოსაკლავათ. რამტელიმე ხნის შემდეგ გამოიდა ქალი და მითხრა:

— აბა, ჩქარა, შავსხდეთ ცხენებზე, გათენებამ არ მოგვიჯწროსო. გააჭენა ქალმა ცხენი და გავჰყე მეც უკანა. შემდეგ მე უთხარი:

— მათრახი არაბი სახლის ბოძზე დამრჩა, დავბრუნდები და ემ საჩი მოვიტან-მეთქი; მართლაც, გამგზავნა და მითხრა: ჩქარა მოდიო. მე მივედი არაბის სახში, შავედი, მოვჭერი არაბს თავი, გავახვიე ხელსახოცში და წამოვიღე. სანამ დედოფალი თავი ტანისამოს გაიხთიდა, მე უფრო უწინ გავიხადე ჩემი ტანისამოსი, მივედი ჩემ ალაგას და მოვიმძინარე თავი, არაბის თავიც თანა მქონდა. შემოიდა ფეხაკრეფით ჩემი დედოფალი და ჩაწვა ლოგინში. ეს ამბავი

ისე გავატარე, თითქოს არ გამეგოს. რო ინათლა, დაველაპარაკე დედოფალს:

— ქალო, წუხელის რა საკურელი სიზმარი ვნახე! დედოფალი გამომეპასუხა:

— მიამბე, რა სიზმარი ნახეიო! სიზმარის მაგივრად მე დაუწყე ნამდვილი ამბავი, რომელიც მე ვნახე:—ქალო, ვითომ სიზმარში არაბი ‘ბაგეყვარებინა, იმაჲთან ღამე სიარულით გველახებოდა ცხენები; ცხენების გასაგებათ მე ჩავიცვი მეჯინიფის ტანისამოსი და წამოგყეი; ვითომ არაბთან მიხვედი, იქ ისაქმე შეყვარებულთან, შემდეგ, როცა გამოხვედი და წამოველით, მე მოვიმიზეზე და გითხარი: მათრახი დაჲრჩა არაბის სახლის ბოძზე-თქო, დავბრუნდი უკან შენი ნებადართვით, მივედი არაბთან, მოვჭერი თავი და წამოვიღე თან და თუ ეს ტყუილია, მართლა გაუგორე თავი წინ. რო დაინახა დედოფალმა არაბის თავი, წამოხტა ზეზე. გამოიღო წკეპლა, დამარტყა და ვიქეცი ღორათ. მთელი სახეჲწიფოს ნეხვები სუ გადავქექე. შახედულობით ღორი ვიყა, ხოლოთ აზროვნება ადამიანისა მქონდა. მოვედი დედოფლის ეზოში, რო დამინახა, დამარტყა კიდე წკეპლა, მაქცია ძაღლათ. გავიქეცი და რო არავინ არ მაჭმევდა პურს, მივედი მემცხვარეჲთან. ისე შამიყვარა მემცხვარემ, რო ჩემ თავს მთელ ‘ცხვრებზე არ გაჲცვლიდა. ჩემი ესეთი კაი ერთგულება მივიდა მეორე ხემწიფი შვილის ყურამდე. წამოიდა და მემცხვარეს შეევაჭრა ჩემი თავი. მემცხვარემ უარი გაჲოუცხადა, მაგრა როგორც იქნა მიყიდა ხემწიფიშვილმა. წავჰყე მეცა. ეჲ ხემწიფიშვილმა ღამე ჩამაბა თოკი და თავი შვილის აკვანთან მიმაბა. თურმე იმ ხემწიფიშვილს, შვილი რო უჩნდებოდა რაღაც გადმოდიოდა და უხრჩობდა. მე იმიტვინ დამაბა აკვნი გვერძე, რო დამეცო აკვანში ბავშვი. მართლაც, უყარაულე შუაღამემდი, მერმე გაიღო ფანჯარა და გადმოიდა ხოჯა, რომელსაც ხელში ეჭირა წკეპლაი. როგორც უნა დეერტყა ამ ბავშვისათვინ და მეეკლა, მე ვეცი მაჯაში, დაჭერით კი ვერ დავიჭირე, მაგრა წკეპლაი წავართვი. წკეპლაი იქით დავმალე და მოვუჯექი ისევ აკვანს გვერძე. რო გათენდა დილაი, ტირილის ხმაი შემამესმა. თურმე ხემწიფიშვილი წინდაწინვე ტირის თავი ბავშვს, მკვდარი ჰგონია. მაგრა რო შემოიდნენ და ბავშვი ცოცხალი დაინახეს, მეტი სახარულისგან მე დამიწყეს კოცნაი. ის დღეი გავატარე ხემწიფი სახში, ღამე ავიღე წკეპლაი და გამოვიპარეი. გამოვედი ერთ ტრიალ მინდორზე და პირით დაჭერილი წკეპლაი გადავიკარი ზურგზე. გადაკვრისთანავე ვიქეცი ადამიანათ. დაუბრუნდი

ჩემ სახს. დედოფალს ეშოვნა სხვა საყვარელი და დეესვა ჩემ ალაგას. ახლო რო მივედი, მიცნო, მაგრამ წკეპლის დარტყმა ვეღარ შამაჲწრო, მე დავარტყი წკეპლაი უწინ. ვაქციე დედოფალი ვირათ; ხემწიფემ დაანახვა ერთი კოშკი: — მისი ქვა და კლდე სუ ამ ვირის ზურგით არის მოზიდული.

ხემწიფემ ეს ბიჭი გაიყვანა მეორე ოთახში, დაანახვა ერთ კედელზე გაკრული ვირი ცოცხლათ, რომელსაც თივა ეკიდა წინა და ვერაჲ წვდებოდა. ვირი ისეთ წვალებაში იყო ჩავარდნილი, რო არცა კვდებოდა და არცა რჩებოდა. ხემწიფემ უთხრა: — აი, ეს არის ჩემი ცოლი, რომელიც მე ვაქციე ვირათო. ამით გაათავა ხემწიფემ თავი აჴბავი.

ეს ამბავი რო ჩემი სახლიდან გავიდეს, კარში როგორღა უნა გავყო თავიო. გაიყვანა ბიჭი ეზოში და ამოიძრო ხმალი. ბიჭმა დაპირების თანახმად აანთო ხეზე სამთლები. ეს რო ფაშკუნჯმა დაინახა, ისეთი წივილ-კივილით წამოიდა, რო ხემწიფეს თაგვი სორო ორი შაური უღირდა.

ფაშკუნჯმა დაავლო ბიჭს ბრჭყალები, მოიტაცა და დასვა ერთ მინდორზე. იქ კი შაისვა კარგათ ზურგზე და მიიყვანა იმ ქალის ბინის მახლობლათ, რომელმაც გამოგზავნა.—ეხლა წადიო,—უთხრა ბიჭსა. მართლაც, გამეემშვიდობნენ ერთმანეთს და ბიჭი წამოიდა. რამტელიმე ხნის სიარულის შემდეგ მივიდა ბიჭი ქალთან, წინ მეეგება ქალიც. მოისვა გვერძე ბიჭი და ემ ხემწიფი ნაამბობი ყველაფერი აამბობინა. ლაპარაკი რო გაათავა, უთხრა: — მისი ცოლი ვირათ არი ნაქცევი და გაკრულია კედელზე, თივა უდემს წინა და ვერ წვდება, არცა კვდება და არცაი რჩება. ქალი წამოდგა ზეზე და უთხრა ბიჭს: — იმ ხემწიფი ცოლი არი ჩემი დაი, რომლის ამბავი მე არ ვიცოდი. რახან შენ იმისი ამბავი გამაგებინე, შენი იყვეს ეს ჩემი წკეპლაი და სახლები. რაც აქ ნადირი და ფრინველია, სუ ხემწიფე და ხემწიფი შვილებია ჩემგან გადაქცეულები. თითონ კი დაიყვირა და იქცა ნაცრათ.

ბიჭმა დაუწყო წკეპლის ცემა ქვებსა და აქცია ადამიანებათ. რაც იქ ნადირი და ფრინველი იყო, სუ ისევ ადამიანათ აქცია იმ გრძელი წკეპლით. შემდექ შავიდა სახში და დახვთა წინ ქვაი, ამ ქვასაც რო დაარტყა წკეპლაი, მისი ძმაი წამოდგა შმუშნით, დიდი მადლობა გადაუხადა ამ ბიჭსა, მაგრა კი არ იცოდა, რო ეს მისი ძმაი იყო.

ქვათ გადაქცეულნა კაცმა დაიძმობილა ეს ბიჭი. მოუყვნენ ერთმანეთს ამბავსა, გამოდგნენ ერთი დედ-მამის შვილები. წამოიდ-

ნენ სახში. მათი დედ-მამა სუ შავებში იყვნენ გახვეულები. დედ-მამამ რო გაიგო თავი შვილების ჩამოსვლა, მეტი სიხარულისგან კინაღამ გულები წაუვიდათ. გადაიხადეს დიდი ქეიფი და დროს ტარება, საცა ერთი ჯამი ღვინოი.მეც მერგო.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავაგორე
ბარს ჩამოვა გორვებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხი
საიქიოს ცხონებითა.
ელასა, მელასა,
ძილი გაამოთ ყველასა!

36. თილისმიანი სალამური და მეღორე

იყო ერთი გლეხი. ჰყამდა ერთი შვილი და ღორებში დაადყამდა. ღორებსა შაჩვეული იყო ეშმაკი და უფრთხობდა. როცა იყო გლეხმა ეს ეშმაკი დაიჭირა. უნა დეეწვა, ეშმაკმა უთხრა:

— ნუ დამწვამო და ბედსა გწეგო!

— რა ბედსაიო?

— თქვენი სახლი კედელში ერთი ქილა ფულიაო!

— ეგ ხო მამაჩემი შანახულიაო. მიიცა ერთი სალამური, ამაა დაუკრამ და შენი ღორები თამაშობას დაიწყებენ და არსათა წავლენო. მეღორემ თქვა: — ეს ეშმაკი არას მამასვენებსო და მაინც დაწვა, სალამური ჩაიდო ჯიბაში. წამაასხა ეს ღორები, დაუკრაშ სალამურსა და ათამაშებს ამ ღორებსა, არსათ არ მიიდიან.

მწყესი წამოიდა. ერთ ხემწიფესაი ერთი მზეთუნახავი ქალი ყამ. მირეკამს იმი სასახლესთან ამ ღორებ, დაუკრამ სალამურ და ღორებ აცეკვებს. ქალშა გამოგზავნა მოახლე:

— ერთი ღორი მოგვყიდოსო! მეღორემ უთხრა:

— გამოიდეს, დემენახოს და ერთ ღორსა მივცემო. ქალი უარზე დადგა:

— მე ეზეს არ დავნახვებივარ და მეღორეი როგორ დავენახოო. მოახლეებმა უთხრა:

— რა არი, რა ესმის, დეენახვე და შახვალ სახშიაო.

დეენახა ქალმა, აიღო მწყესმა და მიიცა ღორი. წამოიდა ეს მწყესი. ქალმა ღორი დაამწყარია, მაგრა არც თამაშობს და არც არაფერი. ეს მეღორეი კ ჩარეკამს ღორებ, დაუკრამს სალამურ და ათამაშებს.

ქალმა კიდე გაუგზავნა მოახლეი:

— ერთი ღორი კიდე მოგვყიდეიო, თორე ეს ერთი ღორი არ თამაშობსო. მეღორემ უთხრა:

— გამოიდეს, გადიწიოს გული, ტანი დამანახოს და ღორ მივცემ, ფულათ არა ვყიდიო. ქალმა თქვა:

— მე მზეს არ დავნახვებივარ და ვიღაც მეღორეს როგო დავენახვებიო. მაინც მოახლეებმა უთხრეს:

— რა დიდი საქმეია, დეენახეიო. შააცდინეს ეს ქალი. გადიწია ამ ქალმა გული, გამააჩინა მარცხენა ძუძუი და მეღორემ დაინახა სამი ოქროს ბეწვი.

მეღორემ წამაასხა ღორები, ერთი ღორი მიიცა მოახლეებსა. მეღორე რო მოიდა, მამამ ძალიანაა ცემა, ღორები რა უყაიო. ადგა მეღორეი და მამაი დაუდო ის ერთი ქილა ფული კედლებიდან, წაიღე და იყიდე, რაზე მცემო.

მზეთუნახავმა ქალმა თავი მამას შაუთვალა: — მოთამაშე ღორები შევიძინე ტუბრები მაიწვიე, უნა გაჩვენოო. ხემწიფემ მოიწვია ტუმრები, თავი დამკვრელებით, რო აჩვენოს მოთამაშე ღორები. გამაუშვეს ღორები, ერთი აქეთ ეცა, მეორე იქით, რის თამაში, გაფთხნენ და წავიდნენ.

ხემწიფემ იფიქრა: — წორეთ ჩემ ქალ გათხოვება უნა და ხალხი იმიტვინ მამაწვეინაო. ხემწიფემ მიიწვია თავი ხალხი და უთხრა:

— ვინც გაიგებს ჩემი ქალი ნიშნებს, მას მივათხოვებ ცოლათაო.

აბა, ვინ გაიგებდა, ბევრი რას ელაპარაკება, ბევრი რასა, მაგრა ვერავინ გაიგო. ეს ამ მეღორემაც გაიგო. გაიწია და წავიდა. ერთი კულაკი უდგია გვერძე ქალსა, ელაპარაკება, მაგრა ვერაა ხთეა იმი ნიშნებს. მეღორეი წადგა, კულაკმა იფიერა, ეს რო იტყვის, დავიძახებ: — მე უნა მეთქვაო.

წადგა მეღორეი და თქვა: — სამი ოქროს ბეწვი აქ მარცხენა ძუძუზეიო. კულაკმა დაიძახა: — ვე უნა მეთქვა ეგაო. შეეცილა ამ მეღორეს ეს კულაკი.

ხემწიფემ გადაუწყვიტა: დააწვინოს ერთათ ეს მეღორეი, ქალი და კულაკი, საითაც ქალი პირ იზამს, ქალი იმას დარჩება.

დარჩა მეღორეს ეს ქალი. გადიხადეს ქორწილი, მაიწვია ტუმრები. მეღორემ უთხრა ხემწიფეს:

— ჩემო სიმამრო, სანადიროთ უნა წავიდეიო!

— წადი, შვილო! წავიდა ერთ ტრიალ მინდორში, ესვრის მტრედებს და ხოცამს. რაჲტოლსაც მოკლამს, გამუა ღვდელი, დაავლებს ხელსა და აიღებს, არ ანებებს მეღორეს. უთხრა:

— დამანებე თავი, რას მიშლი ხელსაიო. ამ ღვდელმა მაინც თავისი არ დაიშალა. ადგა მეღორემ, დაუკრა სალამური, დატრიალდა ღვდელი, გაშალა ხელი და დაიწყო თამაში. ამ თამაშობაში სუ დაიხია ტანისამოსი. დაავლო მეღორემ მტრედებ ხელი, გამოჴწია და წაჲოიდა.

ღვდელმა მეღორეს ხემწიფეჲთან უჩივლა: — შენმა სიძემ ესეესე მიქნაიო. ხემწიფეჲ დაუნიშნა თავი სიძეს სუდი და უნა დაახრჩოს. მოიწვია მთელი ხალხი.

ბეღორემ უთხრა ხემწიფეს:

— ერთი სიტყვა მათქმეინეთ და მერე დამახრჩეთო!

— თქვიო! — უთხრა ხემწიფეჲ. ამაიღო ამ ბიჭმა სალამური, ეს რო ღვდელმა დაინახა, დაიყვირა:

— დამაბით ჩქარა. ადგნენ და ერთ ბოძზე მიაბეს, შამაახვიეს თოკი.

ბიჭმა დაუკრა სალამური, დატრიალდა ეს ხალხი, ხემწიფე და ყველა, ეს მღვდელიც მიკრული რო არი, ადის და დადის, სუ შამოიგლიჯა ანაფორაი.

ხემწიფემ თავი სიძეს მადლობა უთხრა, და ეს მღვდელი გამააგდეს იქიდან.

ხემწიფეს ერთმა სახეჲწიფომ გამოუცხადა ჩხუბი. ეს ხემწიფე დარდიანათ არი. სიძემ უთხრა:

— რა დაგემართაო?

— ესეა ჩემი საქმეი და მე იმისი ჩხუბი ძალაი არა მაქსო! მეღორემ იმედი მიჴცა:

— ნუ გეშინიანო. მეღორემ წაიღო თავი საგძალი და წავიდა იმ სახემწიფოში, რომელიც ჩხუბს უცხადებს ამ ხემწიფეს. რო წამოიდნენ საჩხუბრათ, ამაიღო თავი სალამური, დაუკრა, ჯარმა დაჴყარა იარაღი და დაიწყეს თამაშობა. წამოუარა თავი სიმამრის ჯარმა და მთელი სახემწიფო ხელში დაიჭირა.

გადმოუდგა სიმამრი, დაჰკოცნა პირზე ეს მეღორეი, დაუთმო თავი ტახტი და დღესაც ბედნიერათ ცხოვრობს.

37. მამის ანდერძი

იყვნენ ერთი ცოლ-ქმარნი და ერთი შვილი ჰყვანდათ. მამა რო კვდებოდა, ანდერძათ დჰუბარა შვილსა:

— მანამ ცოლთან ნუ დაწვები, სანამ ქალმა თავი საცვალი თავთით არ დაგიდოსო. ?ამა მოკვდა.

ამ ბიჭმა ერთი ხემწიფი ქალი ითხოვა, მაგრა თავი მამი ანდერძს ატარებს და როგორც -დაი და ძმა, ისე წვანან. ქალმა მაიწყინა და შაუთვალა თავი მამას:

— ?ე ისეთი ქმარი შამხვთა, რო კაცობა არა აქსო. მამამ მიიწერა:

— ამა და ამ დღეს წამოდი, შენტვინ სანეფო აქ მეყოლება და გზაში შენ ქმარ მავაკვლევინეფო.

წამაიყვანა ქმარი და ქალი მიიდის მამაჲთან. ხემწიფემ თორმეტი კაი ფალევანი გაგზავნა, რო ეს ბიჭი მოჲკლან. დახვდნენ გზაზე. ბიჭმა თერთმეტს იმ საჲი თავი მააცალა, ერთი კი გეექცა დაჭრილი. ქალს უთხრა:

— არამც და არამც არაფერი წაჲოგცდეს, როგორ თუ ჩემითანა ვაჟკაცს ერთი ყაჩაღი გამექცაო.

მოიდნენ ხემწიფისას. სიმამრმა უთხრა ამ ბიჭ:

— წამო, გავიაროთ, ჩემი ბაღი დაათვარიელეო. ბაღში ხემწიფეს აუარებელი ლომი და ვეფხვი ჰყამ. ?ამ ბაღში რო შაიყვანა, ხემწიფე ჩქარა გამობრუნდა, ბიჭ გაანება თავი და დატოვა ლომისა და ვეფხვის შასაჭმელათ. ბიჭს მარტოკანა ?ანჯალი აქს ზედა.

დეერია ამ ლომსა და ვეფხვსა და სუ გაჲწყვიტა. დაიარა ეს ბაღი, ერთ ჩრდილში დაიდო სიპი ქვა და დაიძინა.

ხემწიფეს კი ნიშნობა აქ გამართული. სამზარეულოში ერთი წრუწუნა თაგვი გამოარდა, ?ატეხა ერთი ჩოჩქოლი, ნეფემ დაადგა ფეხი და მოჲკლა ეგ თაგვი. შაიქნა კიდე ჩორჩქოლი:—თაგვი ვინ ?ოჲკლაო, ნეფე ულვაშებ იგრეხამს, თავს იწონებს.

ქალმა რო ეს დაინახა, თქვა:

— მეხი კი დაგეცეს, შენ თუ გვერძე მოგიწვინოო, ჩემ ქმარ თორმეტი გმირი დახვთა, თერთმეტი დახოცა და ერთი გაექცა და მითხრა, არსადა თქვა, სირცხვილიაო, ამან ერთი წრუწუნაი მოჲკლა და შეხე, როგო ტრაბახობსო.

გამაართვა მამას გასაღები და თქვა: — სადაც ჩემ ქმარი შაჭამა ლოცმა და ვეფხვმა, მეც იქ მოვკვდებიო. გააღო ბაღის კარები, ნა-

ბა ლომი, ვეფხვი დახოცილები ჰყრია, დარბის, რო ნახოს თავი ქმარი.

ნახა, რო ერთ ალაგას ჩრდილში წემს დაკაწრული, დასისხლული, თავ ქვეშ სიპი ქვა უდემ და თანაც მზე მიადგომია. ქალმა გაიხადა ხალათი და საჩრდილობლად გაუკეთა, თქვა: კაბა გავიხადო, ტიტველა დავრჩებიო, ისევისე საცვალი გაიხადა, დაახვია და თავქვეშ დაუდო.

როდის, როდის ამ ბიჭ გამეეღვიძა, ნახა საცვალი, თავი მამის ანდერძია. მაში კი მეეხვია თავი ცოლ და მამი ანდერძი უამბო.

ამის შეშდეგ ეს ქალი და ბიჭი ბედნიერათ ცხოვრობდნენ.

38. სულთამხუთავი

ერთ ალაგას ორი ძმანი ცხოვრობდნენ. ღარიბები იყვნენ. თავს მოპარული ხილით ირჩენდნენ. უფროს ერთი ვაჟიშვილი ჰყამდა. უფროსი ძმა მოკვდა და დარჩნენ ბიძა და უფროსი ძმიშვილი. ბიძამ უთხრა:

— წამო, შვილო, როგორც მე და მამაშენ გვიცხოვრია, ისე ვიცხოვროთო. წაჰყვა ეს ბიჭიც და წავიდნენ. მივიდნენ ერთ ვენახში და ბიძა ერთ ვაშლზე ავიდა. აჰყვა ძმისწულიც. ბიძას ისე გახადა შარვალი, რომ ვერაფერრ გაიგო. რო ჩამოიდნენ, ბიძამ თქვა:

— განა შარვალი არ მეცვაო?

— აბა, მე რა ვიცი, — ბიჭმა უპასუხა.

— ალბათ, სახში დამრჩებოდაო,—იფიქრა და წამოიდნენ. სახში ცოლმა უთხრა:

— შარვალი არ დაგრჩენიაო. აიღო მაშინ და ძმისწულმა მიაცა შარვალი:

— განა ეგ არი თქვენი ქურდობაი, მაგით უნდა იცხოვროთო? წამომყე და გაჩვენებ, როგორ უნდა ცხოვრებაო! წაიყვანა ბიძა ხემწიფი ხაზინაათან, აჩვენა ოქრო-ვერცხლი, წამაიღეს და წამოიდნენ. მეორე ღამესაც წავიდნენ, მესამესაც, ისე წახალისდა ეს ბიძაი, რო სუ წინ გარბის.

ერთ დღეს ხემწიფემ გაიგო, რო ხაზინას აკლდება. გათხარა გადასავალზე ხაროი და შიგ კუპრი ჩაასხა. ღამით ბიძა ხაზინი გასაქურდლათ რო მიდის, ჩავარდა ამ კუპრშია. ბევრი ეწია ამ ბიჭმა, მაგრა ვერ ამოიყვანა, ადგა ისევისე და მოშჭრა თავი ბიძას. თავი

სახში წაიღო და ვენახში დამარხა. დედასა და ძალუას უთხრა: — ესე, ესეა საქმე და ხმა არ ამოიღოთო.

გათენდა დილაი და ხემწიფემ ნახა უთავო კაცი კუპრში. გაიცა განკარგულება ხემწიფეს:

— ჩაატარეთ ქალაქში ეს კვდარი და ვინც იტიროს, იმისი იქნებაო. ბიჭის სახს რო მაატანეს, ბიჭმა იფიქრა, რო დედამისი და ძალუა უსათუოთ იტირებენო, შავარდა სახში და თუ რამე კაი ჭურჭელი ჰქონდათ სუ დალეწა. აიტეხეს ამ ქალებმა ერთი ჟრიამული და ტირილი. ხემწიფი კაცები მივარდნენ ამ ქალებ დასაჭერათ. გამოდგა ეს ბიჭი და ეუბნება:

— განა მაგიტვინ ტირიან, ვერა ხედამ ვიღაცამ ჭურჭლები დაგვილეწა და იმიტვინ ტირიანო. გაათავისუფლეს ქალები. ბევრი ატარეს ეს კვდარი ქუჩა-ქუჩა, მაგრა ტყვილა აბა ვინ იტირებდა.

წაიყვანეს კვდარი ერთ ჯვარედინ გზაზე და დადეს, ვინც გაიელიდა ან არ ბიაფურთხებდა და ან იტირებდა, მას დაიჭერდნენ. ბიჭმა იფიქრა:—ამ ტანჯვიდან თუ არ გავათავისუფლე ბიძაჩემი რაღა ბიჭობაო. შეიკაზმა ერთი ვირი, აიკიდა ხურჯინი ტიკით, ნამცხვარით და რამეთ სავსე და წავიდა. ჯვარედინზე რო მაატანა, ისე დაუკრა სალამური, რო სუ აატირა იქაურობა. ყარაულებმა უთხრეს:

— მოდი, მაინც გაგვართე შენი სალამურითო!

— ეგ მკვდარი ვირ მამპარავს დ̆ მეშინიანო. რო არ მეეშვნენ, მივიდა ბიჭიც. ამაიღო ნაბცხვარი, გაშალა სუფრა და ღვინოი დაალევინა ყარაულებს. დაითვრნენ კარქათ. ადგა ეს ბიჭი, კვდარი აიკიდა ვირსა და დაიკრა მათრახი და გამაუშვა შინ. სახში დაბარებული ჰქონდა: ვირმა რო ბიძაჩემი .მაიტანოს, მაშიე დაასაფლავეთო. მართლაც, ვირმა მიიტანა კვდარი სახში და ქალებმა დაასაფლავეს.

რო გათენდა, ერთ ყარაულ გამეეღვიძა. წამაიხედა, ვირი არ არი. გამააღვიძა მეორე: ხედამ კვდარს ვირი მოუპარნია, აღარც ვირია, აღარც კვდარიო. წაბოდგა ბიჭიც და მოიყვა ჩივილ:

— ეგ იყო ჩემი ქონება და ეხლა რაღა უნა ვქნაო!

— ოღონ ხმას ნუ ამაიღებ და ორ ვირ გიყიდითო! — უთხრეს ყარაულებმა.

წამოიდა ეს ბიჭი. ამ ხემწიფეს მეორე ხემწიფემ შამოუთვალა:

— შე რაღა ხემწიფე ხარ, ხაზინა დაგიცალეს, ქურდიც ვერ გაიგე და კვდარი კაციც მაგპარესო. ხემწიფემ გაიცა განკარგულება:— გამაჩდეს ის ქურდი, ერთი იმ ხემწიფი ნიშანი ბამიტანოს და სუ მაზე ვილოცეფო. ბიჭმა უთხრა ძალოსა და დედას:

— ქონება ხო ბევრი გაქვთ, წავალ ხემწიფეჲთან, თუ მამკლა, მამკლა, თუ არა ხო უკეთესიო. მივიდა ხემწიფეჲთან და უთხრა: — მე ვარ შენი ქურდიო!

— შაგიძლია თუ არა იმ ხემწიფი რამე ნიშანი მამიტანოო? — ჰკითხა ხემწიფემ.

— ცოლსაც და ქმარსაც ცოცხლებ მაგიყვან, თუ მიბრძანეფო, ოღონ ამტენი და ამტენი ოქროი უნა მამცეო. მიჲცა ხემწიფემ ოქროი და წავიდა. ერთ მეცხვარეს კარგი ბოტი ჰყამ, მივიდა ეს ბიჭი და უთხრა:

— ეგ ბოტი უნა მამყიდოთო.

— ეგ არი და ჩვენი ცხვარი, მაგაჲ როგო მაგყიდითო. ბიჭმა რო ფული დაახარბა, მეცხვარეებმაც მიჲყიდეს. წამაიყვანა ბოტი დააკვლევინა, ამააღებინა გუდა რქებით, წაიღო და ოქრომჭედლებ გააჭედინა, თანაც ჩასაცმელი გაუკეთა. კოხტათ რო გაამართინა, მივიდა იმ სახემწიფოში, რომელი ხემწიფეც უნა მაიპაროს. ეს ტყავი ამ ბიჭ აცვია, თანაც ჟღარუნები აქ გაკეთებული. დააჟღრიალა ამ ბიჭმა თუ არა, ყარაულები აქეთ-იქით მეეცალნენ.

— ვინა ხარო, — ჰკითხეს ყარაულებმა.

— მე ვარ სულთამხუთავიო, თქვენ ხემწიფეს სული უნა ამავხადო და წავიღოო. დაუგდეს გზა ყარაულებმა და ბიჭიც შავიდა ხემწიფი სახში. ხემწიფემ ჰკითხა:

— ვინა ხარო?

— ღვთიდან გამოგზავნილი სულთამხუთავი, სული უნა ამაგხადო და წავიღოო!

— მიირთვიო, — უთხრა ხემწიფემ. მაგრა ბიჭმა უთხრა:

— მოდი ცოცხლებ წაგასხამთ, იქნებ ღმერთმა გაპატიოთო. ჩასხა ორთავე დიდ ყუთში, აიკიდა და წამაიყვანა. ხემწიფეს და თავი ცოლ ჰგონიათ ზეცაში მიდიან, ნაჲდვილათ კი ძირ-ძირ მიდიან.

მოიყვანა ამ სახემწიფოში. მააყვანინა ხემწიფეს ხალხი და ყუთში ჩაკეტილ ხემწიფეს უთხრა:

— როცა აგხდით უნა ითამაშოთ თვალდახუჭული, იქნებ ღმერთმა გაპატიოთო. ახადა ბიჭმა და ეს ხემწიფე და მისი ცოლი ამოიდნენ თვალდახუჭულები და დაიწყეს თამაში.

— აბა, ეხლა გაახილეთ თვალებიო, გაახილეს თვალი და დაინახეს, რო მეზობელ ხემწიფეჲთან არიან.

— შე რო მასხარათ ამიგდე, ხაზინა და კვდარი მაგპარესო, შენ

ჩემმა ქურდმა ცოცხლათ მაგიპარა, მე თუ ხემწიფეი არა ვარ, შენ არც მებატეი ხარო.

ეს ხემწიფეი გაიჯტუმრა თავი ქვეყანაში. ბიჭი კი ღაასაჩუქრა და დღესაც კი კარქათა ცხოვრობს.

39. ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხემწიფე. ჰყამდა გათქმული მონადირე. ხემწიფე ტრაბახობდა: — ჩემი მონადირე რანაირი ნადირიც გინდა, ყველას მოჯკლამსო. ერთ დღეს ამ ხემწიფემ დაჯპატიჟა მეზობელი ხემწიფე. მონადირეს უთხრა: — დღეს ისეთი ამბავი მაქვ, რო სუ ნადირი ხორცი უნა ვაჭამო ტუმარ ხემწიფესო. წავიდა მონადირე, მთელი დღეი იარა, მთელი ტყეი შააჯერა, მაგრა ვერაფერი ვერ ნიჯკლა. ბოლოს ერთი მტრედი გამოუფრინდა და არ ესროლა. მტრედი მაინც არ მეეშვა. რო გადმოიღო თოფი და უნა ესროლოს, გამოქანდა და უბეში ჩაუძვრა. მოიყვანა მტრედი, გალიაში ჩასვა და არ გამააჩინა. მივიდა და ხემწიფეს უთხრა: — ესე, ესე იყო, დღეს ვერაფერი ვერ მოვკალიო. შარცხვა ხემწიფეი იმ ტუმრებთან. მეორე დღეს იმდენი ნადირი დახოცა ამ მონადირეენ, რო ასი ურემი ვერ მაიტანდა. ნონადირე რო წავა, ეს მტრედი იქცევა ბადრ ქალათ, გაიხდის ტყავსა, დატრიალდება, დაგვის, დაასუფთავებს, სადილ გაუმზადებს და ისევისე ჩაიცვამ თავი ტყავ და მტრედათ იქცევა. მონადირე ძალიან გაკვირვებულია. ყველას ეუბნევა, რო ესეა ჩემი საქმეო. მონადირეებმა უთხრეს: — უყარაულეი და გაიგებო.

მართლაც, ერთ დილას მონადირე ვითომ წავიდა, გაიჯახუნა კარები და იქვე დაიმალა. ჩანოიდა გალიიდან მტრედი, გაიხადა ტყავი და ქალი დადგა ისეთი, რო თვალ მოგტაცებს. წამოიკალთავა ქალმა და ხელათ გაახურა თონეი. მონადირე უცეფ წვდა იმ ტყავსა და თონეში უნდა ჩააგდოს. ქალმა უთხრა:

— არ ჩააგდო, თორე ინანეფო. ბიჭმა მაინც დაუწვა ტყავი. გავიდა რამდენიმე დღე და ხემწიფეჯ ამბავი მოუტანეს: — შენ მონადირეს ისეთი ქალი ჰყამ, როგორც ამომავალი მზეიო.

დაიბარა ხემწიფემ მონადირეი და უთხრა:

— წადი და მოჰიტანე ამა და ამ დიდი დათვის ყურიო. მოიდა მონადირე და ცოლ უთხრა:

— ესეა ჩემი საქმეო. ცოლმაც უთხრა:

— ხო გითხარი, ინანებო, ეხლა რო ჩემი ტყავი მქონდეს, გავფ-

რინდებოდი ჩემ დაჲთანა და რანაირსაც გინდა, მამიყვანდა, ის ნადირების ნეფეაო. აიღო და მიჲცა ერთი ბეჭედი: წადი, გადაიარე ცხრა მთაი და ერთ ქოხ ნახამ, იქ ჩემი დაი ცხოვრობს, დაანახვე ბეჭედი, გიცნობს და დაგიძახებსო. თუ ბეჭედი არ დაანახვე, ქარიშხალი ამოვარდება და სადღაც დიკარგებიო. მიჲცა ბეჭედი და გაიჲტუმრა. გადავიდა ეს ბეჭი მთებსა, ჩაადგა იმ ქოხსა. გამოიდა ლამაზი ქალი და ქარი ამოვარდა. მონადირემ დაანახვა ბეჭედი, ქალმაც იცნო და დაუძახა:

— ჩემმა დამ რო გითხრა, არ დამიწვა ტყავი, რათ დაუწვიო?

— მოვტყუვდი და რაღას ვიზამო!

— რიტვინ მოხვედიო?

— დათვი ყური მინდა, ხემწიფეს მთხოვაო! ერთი დაიწივლა ამ ქალმა და რაც ქვეყანაზე ნადირია, სუ იქ მააგროვა.

— წაიყვანე ცოცხალი დათვი და მიუყვანეო; ახლა ნადირებს უთხრა ქალმა: — აბა წაიყვათ ეს ჩემი სიძე, ისე მიიყვათ, რო არაფერი აწყინოთო, — გამაატანა დათვიც და გამაუშვა.

მოუყვანა ეს დათვი ხემწიფეს. არ გავიდა ერთი კვირა და ხემწიფემ კიდე დაიბარა მონადირე.

— ცხრა თავიანი მდევი ყური მამიტანეო. მივიდა ცოლთანა და უთხრა. ცოლმა კიდე უპასუხა:

— მე არ გითხარი, ბევრ ინანებო? ჩემი ტყავი რო ჭქონდეს, ჩავიცმევო, გავფრინდებოდი და ხელათ მოგიტანდი მდევი ყურსაო. ბოლოს უთხრა: — ისევისე ჩემ დაჲთან წადიო.

მივიდა მონადირეი თავი ცოლი დაჲთან. ქალმა ერთი დაიწივლა. მიცვივდნენ მდევები, ერთ დევ მოშჭრა ყური, გამაატანა და გაუშვა.

მოუტანა ხემწიფეს ეს მდევის ყურიც. ხემწიფე ძალიან დადარდიანდა. დაიბარა ვეზირები და უთხრა:

— ახლა რაღა უყო, ყველაფერზე გადარჩაო.

— დიდებულო ხემწიფევ, მაგ მონადირეს უთხარი, არაფერი მოგიყვანოს, არაფერ აბა როგორ იშოვნის და ქალიც შენ დაგრჩებაო!

დაიბარა მონადირე და უთხრა:

— არაფერი მომიტანეო! წამოიდა მონადირე და ცოლს შეშჩივლა:

— ესე და ესე მითხრა ხემწიფემო. ცოლმა უთხრა:

— აღმოსავლეთის მხარეს, ცხრა მთას იქით, ჩემი მეორე დაი

ცხოვრობს, პირცეცხლიანი, იმადთან მიდი და დაგეხმარებაო. გაატანა თავი ბაღდადი და დააბარა: — ეგ ბაღდადი აჩვენე, თუ არ აჩვენებ, პირიდან ცეცხლ გადმოდაყრის და დაგწვამსო.

წავიდა მონადირე და წაიღო ეს ბაღდადი. გადაიარა ცხრა მთაი და ერთი პატარა ქოხი დაინახა. გამოიდა ეს ქალი და პირიდან ცეცხლი გამოუშვა, ბაღდადი რო დაინახა, მონადირე სახში შაიყვანა.

—აბა რიტვინ მოსულხარო?

— ესე და ესა ჩემი საქმეო!

— ჩემმა დამ რო გითხრა, ტყავი რათ დაუწვიო?

— შევცდი და ეხლა რა ვუყოო! მონადირემ ჰკითხა: — არაფერი იცი, თუ არაო?

— მაგი მე არა ვიცი რა, შავეკითხები ჩემ ქაჯებსა და ვნახოთო. დაიწივლა ქალმა და სუ იქ მააგროვა, რაც ქვეყანაზე ქაჯი და ეშმაკი იყო. ყველას შაკითხა სათითაოთ. ყველა ეუბნება: „არ ვიციოთ“. ბოლოს ერთი კოჭლი ბაყაყი მოჩლახუნდა და თქვა:

— ჭე ვიციო, ერთი ცხვარი შამაჭამეთ და გეტყვითო. მოუყვანეს მაშივე ცხვარი. წაიყვანა ეს მონადირე ბაყაყმა, გაიყვანა ჭაობებში. მივიდნენ ერთ ზღვი პირზე. ბაყაყი გადახტა ზღვაში. დაღონდა ეს ბიჭი. ზღვი პირს აუარ-ჩაუარა და ერთი პატარა ქოხი დაინახა. შავიდა, ნახა იმიდთანა სახლია შიგნი გამართული, რო მშვენიერი. შავიდა სახშია და ტახტ ქვეშ დაიმალა, სად არი, სად არა. მოიდა ერთი კაცი და დაიძახა:

— აბა, ჩემო ეფემია, ფეხთა გამხადეო, აბა, ჩემო ეფემია, პური მშიან და სუფრა გამიშალეო. ჭამა პური. გათენდა დილაი და კიდე თქვა: — აბა, ჩეჩო ეფემია, პური მაჭამეო, ჭამა პური და წავიდა ის კაცი. ეს წავიდა თუ არა, ტახტიდან გამოიდა მონადირე. ხედამს რო არ'ავინ არი. მანაც დაიძახა: — აბა, ჩემო ეფემია, ერთი კარჭი სუფრა გამიშალეო. გაუშალა სუფრა. რო შჭამს პურსა, უთხრა: — ეფემია, შენცა შჭამეო. ხედამს მონადირე, ამ სჳჭმელ აკლდება, მაგრა ვერა ხედამს, ვინ არი. თქვა: — აი, ეს ყოფილა არაფერიო. პური რო ჭამეს, ჭონადირემ უთხრა: — აბა, ჩემო ეფემია, გავიარ-გამოვიაროთო. ეფემიამ იფიქრა: — ეგ რა კარგი კაცი ყოფილა, ის არც არას მაჭმევდა, არც მატარებდა, გავდაყვებიო.

გამოიდნენ სახლიდან და წამოიდნენ. გზაში ერთი კომბლიანი კაცი შამოხვდა. მგზავრმა უთხრა მონადირეს:

— პური მშიან, ცოტა რამე გექნებაო!

— აბა, ჩემო ეფემია, ერთი სუფრა გაგიშალეო! — თქვა ამ მონადირემ. გაშალა სუფრა, დასხდნენ და კაი პური ჭამეს. მგზავრმა უთხრა მონადირეს:

— მოდი, ეგ ეფემია მამეცი და ამ კომბალსა მოგცემო.

— რათ მინდა ეგ კომბალიო!

— აი, ნახე რა ძალა აქვსო, გაუშვა ეს კომბალი ტრიალ მინდორზე, რასაც კი მაადწრო, სუ დალეწა და ისევისე კომბლეადთან მოიდა. ეფემიამ უთხრა ჩუმათა:

— მიმეცი, მიმეცი, ისევისე შენთან მოვალო! მიიცა ეფემია და კომბლემაც მიიცა თავი კომბალი. ცოტა რო გაიარა, კომბლეი ეუბნევა:

— ეფემია, აქა ხარ?

— აქა ვარო! — ისიც უპასუხებს. კიდე ასე უთხრა. მესამეთ რო უთხრა, გაბრაზდა ეფემია და ერთი ლაზათიანათ ჩაიცხო კომბლესა და გამოიქცა. მოიდა მონადირეადთან. მონადირეს პური მოიშივდა და დაიძახა:

— აი, ჩემო ეფემია, სადა ხარო!

— აქა ვარო, — უთხრა ეფემიამ.

— აბა, ერთი პური გამიშალე, შენც მოგშივდებოდაო. გაიშალა სუფრა, ჭამეს პური, ადგნენ და წამოიდნენ.

შამოხვდათ ერთი ჯარისკაცი, რგვალი ყუთი მიაქვს. ცოტა პური არა გაქვს, ძალიან მშიანო, — უთხრა ამ მონადირეს. მონადირემ დაიძახა:

— აბა, ჩემო ეფემია, ერთი სუფრა გაგვიშალეო! გაიშალა სუფრა, დასხდნენ და ჭამეს. ბოლოს ჯარისკაცმა უთხრა:

— მოდი, ეგ ეფემია მე მომეცი და ეს ყუთი შენ წაიღეო!

— ეგ ყუთი აბა რათ მინდაო!

— აბა ნახეო, — უთხრა ჯარისკაცმა, — ახადა ყუთსა და სუ შეიარაღებული ჯარი ამოიდა. ეფემიამ ჩუმათ დაუძახა:

— მიმეცი, მიმეცი, ისევისე შენთან მოვალო! გამაართვა ეს ყუთი ჯარისკაცსა და მიიცა ეფემია. ჯარისკაცი ეკითხება:

— ეფემია, აქა ხარო?

— აქა ვარო! კიდე უთხრა: აქა ვარო. რო არ მეეშვა, წამოაქცია ეს ჯარისკაცი და ძაან ღაბეჟა, გამაიქცა და მოიდა მონადირეადთან. მონადირეს მოშივდა და თქვა:

— აი, სადა ხარ, ეფემია, პური მშიანო.

— აქა ვარ, შენი ეფემიაო და გაუშალა სუფრა. დასხდნენ, ერთი

კაი პური შჭამეს და კიდეც მოიდნენ თავაანთ ქვეყანაში. გამოცხადდა ხემწიფეჲთან.

— რა ქენი, მომიყვანე არაფერიო? — უთხრა ხემწიფემ.

— ბოგიყვანეო!

— მერე სად არიო? — იკითხა ხემწიფემ.

— აბა, ჩემო ეფემია, ერთი პასუხი მიეცი ხემწიფესაო. გაუშალა ამ ხემწიფეს და ერთი კაი ჭახა გაადინა ლოყაში, — ეგეც შენი არაფერიო. — მართლა მოუყვანია არაფერი ამასაო, — თქვა ხემწიფემ და ომი გამოუცხადა. გაიმართა ბეორე დღეს ომი. მონადირემ ეფემიას მიჲცა კაი გალესილი ხმალი, დაიდგა გვერდზე ყუთი და კომბალი. ეფემია დარბის ჯარში და სუ თავებ ათლის, კომბალი დარბის და სუ ხოცამს ყვლაფერს, ყუთიდან კი სუ ამოდის და ამოდის ჯარი და ხემწიფის ჯარს ხოცამს. სუ გაუწყვიტა ხემწიფის ლაშქარი. ხემწიფეც ზეთ მიაყოლეს და ხემწიფობაც მას დარჩა, ბადრივით ქალი და მთელი ქონება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

40. დავრიშ ხემწიფე

იყო და არა იყო რა. ერთ ქვეყანაში ერთი ხემწიფე იყო. რამდენი შვილიც გაუჩნდებოდა, დავრიშ ხემწიფე უჭამდა. ერთხელაც, ბოლოს, ვაჟიშვილი გაუჩნდა. მოვიდა დავრიშიც შესაჭმელათ. ამ ხემწიფემ იფიქრა: მოდი, ამ ერთ შვილ დაუმალავო.

— აბა, გამაიყვანე შვილი, უნა შავჭამოო. ამ ხემწიფემ უთხრა:

— ქალ მუცელი წაუხთა, მკვდარი ბავშვი დაბადა და გადავაგდეთო. დავრიშმა თავი გაანება და წავიდა. შვილს ხემწიფე გარეთ არ უშვებს. როცა თვრამეტი წლისა გახთა, მამას უთხრა:

— მამა, გარეთ გამიყვანე, რა არი, სუ ჩაკეტილში ვარო!

— გარეთ გაგიშვებ, შვილო, ბაგრა ვიღაც ფინთი თვალით შამოგხედავს და რამეს გავნებენო. გაუშვა მამამ ეზოში. წორეთ ამ დროს დავრიშის ბოლოლა ქალმა გამაიარა. დაინახა ეზოში ბიჭი ტრიალებს. ძალიან მეეწონა; მაღლიდან ჩასვლა არ შაიძლებოდა, გამაიძრო თითიდან ბეჭედი და ჩაუგდო წინა. აიღო ბიჭმა ბეჭედი და ზეთ წაიკითხა: „დავრიშ ხემწიფის პატარა ქალისაგან“. გაიკეთა თითზე და ზეთ ჩვარი გადაიფარა. შავიდა სახში და მამამ უთხრა:

— არ გითხარი განა, თითი გაგიფუჭებია და შეგიხვევიაო.

ორი წელიწადი კიდე გაატარა ამ დაკეტილში. ოცი წლისა რო შესრულდა, აისხა იარაღი და მაჩას უთხრა:

— მე მივდივარო!

— სად მიდიხარო? აიღო ბეჭედი და აჩვენა:

— დავრიშ ხემწიფის ქალი ცოლათ უნდა შავირთოო!

— რაც შვილები გავზარდე, სუ დავრიშ ხემწიფემ შემიჭამა, მალვით გრდიდი და შენ თავი ფეხით მიდიხარ იმაჲთან შესაჭმელათო!

—ან უნა შემჭამოს, ან თავს ზოვიკლამ და ანაც ის ქალი ცოლათ უნდა შავირთოო.

შაჯდა ბიჭი ცხენზე, გაჲწია და წავიდა. როცა დავრიშის ქვეყანაში გადავიდა, ერთი ძალიან ჭაღარშართული კაცი შემოხვდა.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! — ერთმანეთ დაუწყეს მასლაათი. ამ ბიჭმა უთხრა:

— მივდივარ დავრიშ ხემწიფეჲთან, მისი პატარა ქალი ცოლათ უნდა შავირთოო!

— არა, ძმაო, შენ იმ ქალ ცოლათ ვერ შაირთამო!

— რაც მამივა, მაჩივა, პაპაო.

— განა რამტელი წლისა ხარ, რო პაპას მეძახიო, — ჰკითხა ჭაღარშართულმა.

— ოცისაო!

— ოცდასამისა მე ვარ, განა პაპათ შეგეფერებიო, ძალიან რო ვარ გაჭაღარავებული, სამ წელიწადში დავრიშ ხემწიფემ ეს დღე დამაყენა, თორე შენზე ლაჩაზი ჯიელი ვიყაიო.

— განა რა არი ესეთი დავრიშ ხემწიფეჲო?

— ის ძალიან ფინთი კაცია, შეიძლება ლამაზი რო ხარ, არ შაგჭამოს, თორე ჩენ უარეს დღეს დაგაყენებსო!

— უკან ხო ვერ გამოვბრუნდები, ნა რა ვქნაო? — უთხრა ამ ბიჭმა.

— რახან არ დაგიშლია, როგორც მე დაგარიგო, ისე მოიქეცი, იმათ ერთი ტპა აქვთ, მუდამ დილით დავრიში ქალები გამოდიან საბანაოთ, ჯერ უფროსი იბანავებს, მერე შუათანა და, ბოლოს, უმცროსი. იქ ერთი ხე დგა, იმ ხეში უნა დაიმალო, მესამე ქალი რო მოიდეს, ჩუმათ მისი ტანისამოსი აჲ ხეში უნა დამალოო. დიდ ფიც მოგცემს, მანამ არ გამაუჩინო, სანამ ცოლ-ქრმის ფიცი არ მოგცესო.

გაჯწია ამ ბიჭმა და მივიდა იმ ტპი პირზე. შავიდა ხეში და დაიმალა. დილაზე, მართლა, ჯერ უფროსმა იბანავა, მერე შუათანამ და, ბოლოს, პატარა ქალიც მოიდა. პატარამ რო გაიხადა, ტანსაცმელი აიღო ამ ბიჭმა და შაიტანა ხეში. გამოიდა ეს ქალი, იქ კაცი არავინა ჩანდა, მიჯცა ფიცი:

— ქალი ხარ, დედათ მიგიღებ, კაცი — მამაით, ოღონ გამამიჩინე ტანისამოსიო, — თუ ვაქკაცი ხარ შენ ქმარი და მე ცოლი, არ.ას გერჩიო. ეს რო თქვა პატარა ქალმა, ბიჭმა გამოუჩინა ტანისამოსი. ეგ ქალი ეხლა იმას დარდობს, რო ბიჭს ბეჭედი ჩაუგდო და დანიშნა. ბოლოს, ქალმა უთხრა:

— დღე სახში ვერ მიგიყვან, საღამომდინ დამიცადე და წაგიყვანო. რა დაღამდა, ეს ბიჭი შაიყვანა სახში. ქალი მაინც დარდობს, მაგრა მაინც ერთათ დაწვნენ. — როგორ მოვიქცე, მამაჩემმა რო არ შაგჭამოს, თუ გაგვიგო, დავიღუპეთო. მიდი მამაშენთან, ის შეგიბრალებს რახან ლამაზი ბიჭი ხარ და უთხარი: — შენი პატარა ქალიჯთვინ მოველი-თქო, მმამაჩემი გამოგცდის და, რაც გითხრას, მე მითხარიო.

ბიჭი მივიდა დავრიშ ხემწიფეჯთან. როცა ყველაფერი მაახსენა დავრიშსა, დავრიშმა ცოლ დაუძახა:

— გამოიხედე, ადამიანო, რა მშვენიერი ვაქკაცია, განა ცოდო არ არი ამის შაჭმაიო? ცოლმა უთხრა:

— დაუძახე, დაუძახე, უნა შავჭამოთო!

— არა, ჯერ გამოვცადოთო. დავრიშმა უთხრა:

— ჩემ ქალ მაგათხოვებ, ხოლოთ ,ეგ ტპა ისე უნდა დააშრო ამაღამ, რო ერთი წვეთი წყალი შიგ არ იყვეს დილაზეო. წამოიდა ეს ბიჭი და ამ ქალ უთხრა. გაიქცა მაშივე ქალი და დედას მოჯპარა გასაღები, გააღო დაკეტილი და თავი მამი ნიავქრები გამოუშვა. შერეკა ამ ტპაშია და ერთი ნამიც არ დატოვეს შიგა. ქალმა ნიავქრები ისევისე შარეკა დაკეტილშია და გასაღებიც შაინახა. ჩაწვა აჰ ბიჭთან მაშივე; მაგრა მაინც ოხრავს, რო იმ ბიჭთან შარცხვა, ბეჭედი რო აქვ მიცემული. დახედა ბიჭსა, რო თითი აქვ შახვეული. თქვა: — ნეტავ რათა აქვ შახვეულიო? წაჯწვდა და წააძრო ფალასი. ნახა, თავი ბეჭედია, ქალი ლამი გაგიჟდა. გააღვიძა ბიჭი და უთხრა:

— მე ვდარდობდი და შენ თურმე ჩემი დანიშნული ყოფილხარო. აბა ადექი, წაიღე ჩაფი, იქ წყალი არ იქნება და ვითომ შენ დაიშრეო. იქიდან მამაჩემი დაგინახამს და დაგიძახებს:

— დაყარე და დაამტვრიე ჩაფებიო.

გაჴწია ბიჭმა, წაიღო ჩაფი და Წითომ იქიდან მააქვს. დაინახა დავრიშმა და მაშივე დაუძახა:

— დაამტვრიე და მოდი აქაო. გადაᲫყარა ამ ბიჭმა და მივიდა. დავრიშმა კიდე დაუძახა ცოლსა:

— აბა, შახედე რა უქნია, ცოდო არ არი მაგი შაᲭმაო?

— დაუძახე, დაუძახე, უნა შავᲭამოთო!

— არა, ერთი კიდე გამოვცადოთო! დავრიშმა უთხრა:

— ეგ ტᲮა რო დააშერი, ხევ ხო ხედამ, მაგ ხევზე იმითანა ხიდი უნა გააკეთო ამაღამ, რო ურემი-ურემ უნა უქცევდეს, ფურგუნი-ფურგუნსაო, აქეთ-იქიდან ალვი ხეები უნა ედგეს და შუაზე ალვი ხეი უნა იყოს, რო წყალ უსხამდეთო. წამოიდა ეს ბიჭი და თავი ცოლ უთხრა. ესე-ესე მითხრაო. ქალმა უთხრა:

— დაწე, დაიძინე, ალხეინათ იყავიო. გამოიდა ამ ქალმა, ერთი დაიკივლა და მთელი დავრიში სახემწიფო შეᲫყარა.

— მამაᲩემი განკარგულებას გაძლევთ, ამ ხევზე ხიდი უნა გააკეთოთ, არც დააკაკუნოთ, რო არ გაიღვიძოსო. მაშივე მოგროვდნენ, დაადგნენ და გამართეს ხიდი. ქალი მოიდა სახში. ამ ბიᲭ უთხრა: აი, ჩაᲭუჩი და ჩაფი, ცოტა დააკაკუნე და ალვიხეს წყალი დაუსხი, მითომ შენ გამართეო.

წავიდა ეს ბიᲭი. დატრიალებს ამ ხიდზე. გახედა დავრიშმა და გაუკვირდა.

— აბა, დედაკაცო, გახედე, რა უქნიაო?

— დაუძახე, დაუძახე, უნა შავᲭამოთო! — უთხრა ტანტაროზმა დედაკაცმა. დაუძახეს ბიᲭსა. ბოლოს დედაკაცმა თქვა:

— ერთ გამოცდასაც მე მივცემ, თუ გააკეთა, მივათხოვოთ ჩვენი ქალი, თუ არა და, შავᲭამოთო.

— ხვალ დილით, ერთი კვიცი მყამ და, ის უნა გაᲬიხედნოო, — უთხრა ტანტაროზმა. ბიᲭ გაუხარდა, ეგ აბა რა არიო და ცოლ უთხრა. ქალი შეწუხთა:

— ეგ უბრალო კი არა, Ჭაპანწყვეტა ეხლა იწყებაᲨ; აბა რამტენ ლიტრიანი მათრახი ტარება შეგიძლიანო?

— ათისაო! — ბიᲭმაც უთხრა. ქალმა გააკეთებინა ათ ლიტრიანი მათრახი რკინისა, მოსართავებიც გააᲭედინა, მიუტანა და უთხრა: — ის კაცი მაᲩაᲩემი იქნება, რო გამაართვა, ხეზე მაგრა ჩამაუკარ თავი, მოსართავებიც მაგრა მაუᲭირე, შეᲯექი ზეთ და დედას უთხარი, აღვირი მაგაწოდოსო.

მეორე დღეს მოვიდა ეს ბიᲭი, ტანტაროზმა გამაუყვანა ეს კვი-

ცი. ბიჭმა ჩამაუკრა ხეზე თავი, მოუჭირა მოსართავები, შაჯდა და დედაკაც უთხრა:

— აღვირი მამაწოდეო, გამაართვა თუ არა აღვირი, ეს კვიცი ეეშვა ცაში, მაგრა მოქნეული ათ ლიტრიანი მათრახი რო დაუშვა შუბლში, უკანუკან წამოიდა, რო მთას დააჯახოს. გადმოუქნია ამ ბიჭმა მათრახი და ორთავ ფეხები ჩაალეწა, აქეთ მთას გააქანა, იქიდან ჩეექცა, იქით მთას — აქედან მექცა ეს ბიჭი. ვერაფერი უყო კვიცმა. ჩამაიყვანა და მიიცა დედაკაცსა, აი გახედნილიაო. დედაბერმა უთხრა:

— წადი, თავისუფალი ხარო. ბიჭი რო წავიდა, დავრიშმა უთხრა:

— რა გინდოდა, დედაკაცო, რათ დაამტვრეინე ჩემი თავი, რა არი, მიგვეცა ჩვენი ქალიო!

— დაიცა, ვნახოთ, საიდან იცის ამ ბიჭმა ყველაფერიო. ბიჭი ჩივიდა თავი ქალთან. ქალმა უთხრა:

— აბა, წავიდეთ თორე, დედაჩემი ჩაიხედამს კარაბადინში, ყველაფერ გაიგებს და აქვე შაგვქამენო. შასხდნენ ნიავქრებზე, წაიღეს დიდი თილისმიანი წკეპლაი, რომელსაც რასაც დაჰკრამ, რამედ აქცევს, და გაიქცნენ.

ტანტაროზმა დედაკაცმა ჩაიხედა კარაბადინში და თქვა:

— აბა, გაიქე, ნახე, ჩვენი პატარა ქალი სად არიო? ნახა დავრიშმა, რო პატარა ქალი გაქცეულა. — აბა ნახე, შენი ქალი იმ ბიჭ წაადოლია და მიდიანო. ჩქარა გამაუშვი ნიავქრები, დაიჭირე და ორთავენი შავჭამოთო. მივიდა დავრიში ნიავქრებთან, ნახა, მთელი ტპა მათ დაულევიათ და აბუზულები დგანან. — აბა, გამოუშვი ჩქარა, დაღვარონ ეგ ტპა, მაგი სუ შენი პატარა ქალის საქმეა და გამეედევნეო,—უთხრა დედაკაცმა. ნიავქრებმა ეგ ტპა ისევისე გაუშვეს, შაჯდა დავრიში ნიავქრებზე და გამოუდგა თავი შვილსა და სიძეს.

გამოიდა თუ არა დავრიში, ლიშხმა ჩამობერა. ქალმა უთხრა ბიჭსა:

— აი, მამაჩემი წამოიდაო. დავრიშმა ახლო რო მაატანა, ქალი გადმოხტა, ეს წკეპლაი დაჰკრა თავი ნიავქრებსა და აქცია ვენახათ, დაარტყა ბიჭსა და აქცია ღობეთა, დაირტყა თვითონ და იქცა მებაღეთ და დაიწყო სიარული. მოიდა კიდეც დავრიში. დაუძახა მებაღეს:

— ქალსა და ბიჭ ხო არ გამაუვლიაო?

— აი, დაგწყევლოს ღმერთმა, საიდან გამოჩნდი, აქ ამტელი წელიწადია კაც არ გამაუვლია, ღვთისაგან დალოცვილი ბაღი მაქვსო. გამობრუნდა დავრიში და მოიდა დედაკაცთანა. დედაკაცი კარაბადინში ხედამს ყველაფერ. ერთ ამბავ ათენებს. დავრიში რო მოიდა, უყვირა, ის მებაღეი იყო შენი შვილი, ის ღობეი — შენი სიძეო. ჩქარა გაბრუნდი და მაიყვანეო.

ბიჭი და ქალი ისევისე იქცნენ ცოლ-ქმრათ და გაუდგნენ გზას. გამოუდგა კიდე დავრიში. ლიშხმა კიდე ჩამოჯკრა. ქალმა უთხრა ბიჭსა:

— აი, დედაჩემ კიდე გამაუშვია მამაჩემიო. ახლო რო მაატანა, ქალმა კიდე დაჯკრა ნიავქრებსა და აქცია საყტრათ, დაარტყა თავი ქმარს აქცია დიაკვნათ, თვითონ დაირტყა და იქცა ღვდლათ. დაიწყეს ლოცვა. მივიდა დავრიშიც. შავიდა საყტარში და პირჯვარი წერაი დაიწყო. ბოლოს ღვდელ უთხრა:

— ამ ხანებში აქ ქალსა და ბიჭ ხო არ გაუვლიათო. ქალმა უთხრა:

— აი, დაგწყევლოს ღმერთმა და მამაჩემის სალოცავებმა, ეშმაკი ხარ, ქაჯი ხარ, საიდან გაჩნდი, ღვთიდან ჩვენ დალოცვილები ვართ, ადამიანები არ გვინახიან თავი სიცოცხლეშიო. გამობრუნდა. დავრიში ისევისე. დედაკაცი, ტანტაროზი, ყოველივე ამას ხედამს თავი კარაბადინში. ესენი კვლავაც იქცნენ ცოლ-ქმრებათ და წავიდნენ თავიანთ გზით.

დედაკაცმა დავრიში რო დაინახა, მიაძახა:

— ის ღვდელი იყო შენი ქალი, დიაკვანი სიძეი და ნიავქრები — საყტარი, ეხლავე მამიყვანე ჩემი ნიავქარიც, მეც წამოვალ, რო გაჩვენო რას შვრებიან ჩვენი სიძე-ქალიო. შასხდნენ ორივენი და წამოიდნენ.

ლიშხმა წამოჯკრა კიდე. ქალმა უთხრა ბიჭსა:

— ის ტანტაროზი დედაჩემიც წამოიდა, კარაბადინი თან მააქვთ, აღარ ვიცი რა გვეშველებაო. როდესაც ახლოს მაატანეს დავრიშმა და ტანტაროზმა, ქალმა ხელათ დაჯკრა ნიავქრებსა და აქცია ალმასის წყლათ, თავი ქმარი აქცია მამალ იხვათ და თვითონ იქცა დედალ იხვათ. ცურაობენ ეს იხვები ალმასი წყალში. დავრიში და ტანტაროზიც მაადგნენ ამ წყალსა. დავრიშმა უთხრა დედაკაცსა:

— აბა, სად ვინ არიან, როგო ვნახოო?

— აი, სად არიანო, უთხრა დედაკაცმა და ამოიღო კარაბადინი,

ეს ალმასი წყალი ნიავქრებია, ეგერ რო ღედალი იხვი ჩან, ის შენი ქალია, მამალი კი-სიძეო.

— მერე რა უშველოთო?

— ერთი მხრიდან შენ დეეწაფე, მეორედან მე და ეს წყალი უნა დავლიოთ სულაო. დეეწაფნენ, ეს წყალი კი დალიეს, მაგრა ალმასის წყალმა დაშვრა მათი გვამი.

ქალმა ხელათ მაშალი იხვი აქცია ბიჭათ, თვითონ იქცა ქალათ, მიდცა ბიჭს ხმალი და უთხრა: — ორივეს თავები დააყრეინეო. ბიჭიც ეგრე შოიქცა, დავრიში და მისი ტანტაროზი დახოცა.

ქალი და ბიჭი წამოიდნენ სახში. ბიჭმა მიიყვანა ქალი თავი მამადათან. ახარა, რო დავრიში და ტანტაროზი დახოცა. მამამ დიდი ქორწილი გადაიხადა, ხემწიფობა შვილ დაულოცა და მა შემდეგ ბედნიერათ ცხოვრობენ.

ელასა, მელასა,
ყველა შაადგა ენასა,
მთქმელსაც და გამგონებელსაც,
ძილი გაამოთ ყველასა!

41. ორი ობოლი

იყო და არ იყო რა. იყო ერთი ობოლი. ის ობოლი ირდებოდა ბიძაადათან. ბიძას ჰყამდა ერთი ბიჭი, როშელიც ობოლ ჰგამდა, ბიძა ვერაად ცნობდა რომელი იყო თავი შვილი. ხოლოთ ბიჭ ნიშანი ქონდა ბარძაყზე შავათა, ეს ბიჭები ირდებოდნენ ერთათ საქუნელში. ბიჭსა მოუკვდა მამაი, დარჩა დედაი ამ ობლი ძალოი. ძალომ არ იცოდა, თავი შვილი რომელი იყო. ერთხელ, ერთ საღამოს, გაშინჯა, რო გეეგო, თავი შვილი რომელია. თავი შვილ შაბა წითელი ლენტი ფეხებზე. როდესაც საქუნელში გზანიდა, თავი შვილ ატანდა კარქა გამომცხვარ პურს, ობოლ კი ქატოს პურ. ობოლი გაილახა ძრიან; ბიჭმა უთხრა ობოლს:

— რატო გაილახე, ეგრეიო, ჩვენ ხო ძმები ვართო, ერთნაირ საჭმელსა ვსჭამთო. ობოლმა უპასუხა:

— არ ვიცი, აბა რა გითხრაიო.

— დაიჭი თითები, შვინდისარ გესვრი, თუ გაგარტყამ, გეტყვი რაშიაც არი საქმეიო. როდესაც ესროლა ობოლმა, მაარტყა ნეკა თითშია. მემრე ადგა, დაუძახა:

— მე ვჭამ ქატოს პურსა და შენ-კაი გამომცხვარსაო. სახში როცა მივიდნენ, შვილი შეეკითხა დედასა:

— რატო ატანდი ფინთ პურსაიო? დედამ უპასუხა:

— ერთნაირათ გატანდიო (მაინც არაა ტყდება დედაი!). ამოუღო საჭმელი ორივეს, იმ დროს, როცა ასეთი ლაპარაკი იყო. ობოლ დაუსხა ბევრი. თავი შვილ ცოტაი; თავი შვილმა უთხრა:

— ეგ ბევრი შენა ჭამეი და ემ ცოტასა ორივენი ვჭაჭთო. ბიჭის კერძი შეჭამეს ორივენმა, ობოლმა და ბიჭმა, ის კერძი რჩებოდა ისევისე.

— ჭამე ეგ კერძიო, — უთხრა ბიჭმა დედასა. დედამ უარი თქვა:

— ეგ მაგი კერძია და მე ვერაი ვჭამო. შვილმა უპასუხა:

— შჭამე, თორე მოგკლამო. ძალაუნებურათ შეაჭამა შვილმა დედას ის კერძი. თურმე ეს მოწამლული იყო და როცა დედაჭ შეჭამა, მოკლა.

ორივენი წავიდნენ ტყეში, ერთათ უნა დავიხოცნეთ, ობლები ვართო.

მივიდნენ ერთ ჯვარედინ გზაზე, დადგეს ერთი ჯამი წყლით სამსეი.

— მე ამ გზაზე წავალ და შენ ამაზე, სამი დღი შემდეგა მოვნახოთ ეგ წყალი, თუ სისხლით იყვეს სამსე, ერთი ჩვენთაგანი მკვდარი იქნებაო,— უთხრა ბიჭმა.

წავიდა ობოლი და გადავიდა სხვათა სახეჭწიფოში. მივიდა ერთ ხემწიფეჭთან, მეეწონა ხემწიფი ქალი. ხემწიფემ უთხრა:

— წადი ემა და ემ ადგილზე, ტყეში ერთი დიდი ღორი არი, ეშვებიანი, თუ იმას მომიკლაჭ, ჩემ ქალ მოგცემ, თუ არა, არ მოგცემო. ობოლმა უთხრა:

— ერთი კოკა არაყი მოჭეცი და სამი ძაღლიო. დაჭყაბულდა ხემწიფეი, მიჭცა ერთი კოკა არაყი, სამი ძაღლი და იარაღი. წავიდა ობოლი ტყეში. ნახა ღორი ბუნაგი. იქ პატარა გუბეი იყო, როდესაც დაჭცხებოდა, მოდიოდა და შიგ ჩაჭწვებოდა ეგ ღორი. ადგა ობოლი და ის ერთი კოკა არაყი ჩააქცია იმ გუბეში, როცა მოიდა გალექებული ღორი, ჩაჭწვა გუბეში, ღორი უკვე დაითრო, მივარდა ობოლი, დაუჭირა ისარი და მოკლა. გაატყავა და გულ-ღვიძლი წაუღო ხემწიფეს.

ობოლმა ეს რო მოუტანა, ხემწიფემ თავი ქალი დაულოცა. გადაიხადეს დიდი ქორწილი და დაიწყეს ცხოვრებაი.

ერთ დღეს ობოლი წავიდა თავი ძმობილი ბიჭის მოსანახავათ.

დანიშნულ დღეს ბიჭიც მოიდა იმ ჯაჭთანა და ობოლიცა. წამაიყვანა ბიჭი ხემწიფეჲთანა.

ამ სახემწიფოში იყვნენ სამნი დანი. ბიჭ მეეწონა უნცროსი. ხემწიფემ უთხრა: — გაიქნიე შვინდისარი და საცა დეეცეს, იქიდან, რაც წამოგყვება, ის წამოიყვანე, რაც გინდა იყვესო. ბიჭმა გაიქნია შვინდისარი, ჩაეცა ჭაობში. ამოყვა ბაყაყი. წამაიყვანა ამ ბიჭმა ბაყაყი ხეᲬწიფეჲთან. ხემწიფემ უთხრა:

— მაგი მეტი ღირსი არაჲ ხარო, ეგ არი შენი საბედოიო. დაღონდა ბიჭი. ობოლი და ეს ბიჭი მიდიოდნენ სანადიროთ, ბიჭი პური აცხობინებდა სხვათა მეზობლებს, როდესაც მოჲდიოდა საღამოთი, ეს ბაყაყი უწვებოდა ლოგინში. ემ ბიჭმა თქვა: — რა ვქნა, მეზობლებ სუ ვაწუხებ პური გამოცხობაზეიო. ერთმა კიდე უთხრა:—მე ხო შენი მუახლეი არა ვარო.

იმ დღეს მაინც წავიდა სანადიროთ ეს ბიჭი. მოიდა საღამოთი სახში და დახვთა: პური გაᲬოცხობილი და სახლიც დალაგებული. ბიჭმა უთხრა მეზობელს:

— დიდათ მადლობელი ვარო, მეზობელმა გალანძღა ბიჭი:

— რატო მადლობელი არა ხარ, როცა გიცხობდი, ეხლა მასხარათ რათ მიგდეფო. ბიჭი დაინტერესთა, თუ ვინ გამააცხო პური. ყოველთვის, როცა მოჲდიოდა ნადირობიდან, ხვთებოდა პური გამოცხობილი და სახლი დალაგებული, კი არ იცოდა, ვინ აცხობდა და ვინ ალაგებდა სახსა.

ერთ დღეს უყარაულა. ნახა, ბაყაყი იხთის ტყავსა, ქალი გაᲬოჲდის როგორც ანგელოზი. როდესაც ის ქალი ჩეეყუდა თონეში, ბიჭი შავარდა სახში, დაიჭირა იმ ქალი ტყავი ხელში და უნა ჩააგდოს თონეში. ქალმა უთხრა:

— არ ჩააგდო, თორე იზარალეფო. ბიჭმა არ გაუგონა, Ჩაინცა ჩააგდო თონეში და ჩაწვა. ქალმა უთხრა: — რაც ეხლა იზარალო, მემრე მე არ დამაბრალოო.

ხემწიფემ დაიბარა ეს ბიჭი და უთხრა:

— ერთი დღი მიწაი ამაღამ მომიხანი, თანაც დათესე და დაფარცხეიო, დილაზე კი ისევისე აკრეფილი იყოს მარცვალიო, თორე შენი ქალი უნა წავიყვანოო. ბიჭი გამოტრიალდა დაღონებული. უთხრა თავი ცოლს:

— ესე მითხრა ხემწიფემაო. ქალმა უპასუხა:

— ხო გითხარი, რო არ დაწვა ტყავიო. ქალმა გაგზავნა ბიჭი ერთ ადგილზე, თანაც წერილი გაატანა. წავიდა ბიჭი და იქიდან გა-

მაატანეს ცხრა ულელი ხარი და ხუთი ყუთი ჭიანჭველაი. იმ ღამეჲ მოხნეს მიწაი, დათესეს, დილიჲთვის ისევისე აკრიფეს ჭიანჭველებმა. ხემწიფემ ნახა და გაუკვირდა ძრიან.

მერე ისევისე დაიბარა ბიჭი და უთხრა:

— მამაჩემი რო მოკვდა, თან წაჲყვა ოქროჲ ბეჭედიო, ის ბეჭედი მამიტანე სამოთხიდან, თორე შენ ქალ წაგართმევო.

ბიჭი ძრიან დაღონდა: — სხვა ყველა, ყველაი, მაგრა სამოთხეში როგო უნა წავიდეიო. მივიდა ბიჭი ცოლთან.

— ესე, ესე მითხრა ხემწიფემ, სამოთხეში უნა წახვიდე მამაჩემთანა და ბეჭედი უნა მამიტანო, — უთხრა ცოლსა. ქალმა უპასუხა:

— ხო გითხარი, არ დაწვა ტყავიო, ის ტყავი რო მქონოდა, ასე არ დაგვემართებოდაიო. ქალმა გაატანა ერთი გორგალი ძაფი და უთხრა:

— ემა და ემ ტრიალ მინდორზე გადი, ეგ ძაფი დააგორე იქიდანა, დაჲყე თან უკანა, საცა გათავდება — იქ გასკდება დედამიწაიო, ჩავარდები შიგა, სამოთხეშიაო.

წავიდა ეს ბიჭი, წაიღო ძაფი, გასკდა დედამიწაი და ჩაჲყვა თან ეს ბიჭი. დაინახა ქალი, გახურებულ თონეში ძუძუებით აკრამს პურსა. ბიჭმა უთხრა:

— რათაჲ შვები ესეიო? ქალმა უპასუხა:

— ჩამლელი ბევრი მინახამ და ამომლელი არაიო. ჩაიარა ბიჭმა და ნახა: ერთი დიდი ქალი კვერცხებ ხარშამს, გახურებულ კვერცხ შჭამს.

— რათაჲ შვრები ეგრეიო? იმანაც უპასუხა:

— ჩამლელი ბევრი მინახამ, ამომლელი არაიო, როცა ამაივლი მაში გეტყვიო. ჩაიარა ბიჭმა და კიდე ნახა: თივა უყრია ხარსა და გალახული არი ძალზე. ბიჭი შეეკითხა ხარსა:

— რათაჲ ხარ ეგრეიო?

— ჩამლელი ბევრი მინახამ და ამომლელი არაიო, — უპასუხა ხარმა. წავიდა ეს ბიჭი და ნახა ცარიელა კლდეზე ება ხარი და გასუქებული იყო ძრიანა. ბიჭმაჲ კითხა:

— თითქო არაფერი გიყრია, რატომა ხარ ეგრე სუქანიო? ხარმა უპასუხა:

— ჩამლელი ბევრი მინახამ, ამომლელი არაიო. წავიდა ეს ბიჭი და ნახა: ცოლ-ქმარნი იწვნენ ერთათ კამეჩი ტყავზე და ერთი მეორეს ეუბნებოდნენ: — მიიწი, ადგილი არ არიო.

— რათ ეუბნევით ეგრეიო? ცოლ-ქმარმა უთხრეს:

— ჩამლელი ბევრი გვინახამ, ამომლელი არაიო. ჩაიარა და ნახა: ცოლ-ქმარნი იწვნენ ცული ტარზედა, ერთიმეორეს ეუბნებოდნენ:— მოიწი, ადგილი არი, არ გადავარდეო. შაეკითხა ბიჭი:

— როგორ ეტევით ცული ტარზედაიო? მათაც უპასუხეს:

— ჩამლელი ბევრი გვინახამ, აშომლელი არაიო.

მივიდა ეს ბიჭი ხემწიფი მამაჲთან და უთხრა:

— შენმა შვილმა გამამგზავნა, ბეჭედი გამოგყოლია და გამატანეიო. მიჲცა ეს ბეჭედი და დააბარა:

— ესე უთხარი, ეგ ერთი ბეჭედი გამამატანე და იგიც მიგაქ-შენ კურდღლათ იქეცი და შენი ნაზირ-ვეზირები მწევრებათაიო. გაშოტრიალდა ბიჭი და წამოიდა.

უთხრა ცოლ-ქმარსა, ცული ტარზე რო იწვნენ:

— აბა, მითხარი, როგორა ხართ ეგრეიო?

— იქაც გვიყვარდა ერთი-მეორე და აქაც, ცული ტარზე იმიტ-ვინ ვეტევითო. წამოიდა მეორე ცოლ-ქმართან, რომლებიც კამეჩი ტყავზე იწვნენ და უთხრა:

— ხო დავბრუნდი, ეხლა მითხარითო?

— ჩვენო იქაც გვეჯავრებოდა ერთი მეორე და აქაც გვეჯავრე-ბა, თორე ადგილი როგორ არ არიო. წამოიდა და კლდეზე რო ხა-რი ება, იმას უთხრა:

— არაფერი არ ჭამ და როგორ ხარ ეგრე გასუქებულიო?

— ჩე იქაც მსუქანი ვიყაი და აქაც ეგრე ვარო. შაეკითხა მეორე ხარსაც:

— რათაჲ ხარ ეგრე გალახული, საჭმელი ხო ბევრი გიყრიაო?

— მე იქაც არ ვარგოდი და აქაც არ ვარგივარო. ამაიარა და შახვდა, ცხელცხელ კვერცხებ რო შჭამდა და უთხრა:

— აი, ამავიარე და მითხარიო? ქალმა უპასუხა:

— მე კვერცხები მოპარვა მიყვარდა, ჩქარ-ჩქარა ვჭამდი, რო არავის მეეჲწროო, აქაც ეგრეი ვარო. შახვდა ეხლა მეორე ქალ, რომელიც თონეში პურ აკრამდა ძუძუებითა, იმ ქალმაც ეგრეი უპა-სუხა:

— გაუმაძღარი ვიყაი, სანამ ამოჲყრიდნენ პურსა, ვშჭამდი და აქაც ეგრეი ვარო.

წამოიდა ბიჭი, მოიდა ხემწიფეჲთან და მიჲცა ბეჭედი, თანაც უთხრა:

— მამაშენმა მითხრა: შენა ქცეულიყაი კურდღლათა და შენი ნა-

ზირ-ვეზირები მწევრებათაიო. მართლაც, ეს ხემწიფეი იქცა კურდღ-ლათ, ნაზირ-ვეზირები მწევრებათ, გამეეკიდნენ ხემწიფეს, დაიჭი-რეს, გაჟწიეს და გამოჟწიეს. ხემწიფი ქონებაი დარჩა აშ ბიჭსა და ობოლსა .

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

42. ბედარ-ბელმაზი

ერთ ქვეყანაში ორი ძმა-კაცი იყო. კაი მძრაული ბიჭები იყვნენ ორთავენი. ისე ჟგვანდნენ ერთმანეთს, როგორც ვაშლი ნაჭრები. თავაანთ ქვეყნის ხემწიფი კანონ არ ემორჩილებოდნენ. ადგა ხემ-წიფემა და ეს ბიჭები ორთავენი გაჟყარა თავი სახემწიფოდან.

წავიდნენ ეს ბიჭები და ერთ ტრიალ მინდორზე გავიდნენ. თქვეს: — ერთათ ხო ვერ ვივლით, გავიყოთ, ერთი ცალკე წავიდეთ და მეორეც ცალკეო. გამეემშვიდობნენ ერთმანეთ, აიღეს და ბეჭ-დები გაცვალეს. ერთმა თქვა:

— თუ შენ გაგიჭირდება, ეს ბეჭედი ისე შამიჭერს, რო სისხლ გამომადენს, თუ მე გამიჭირდება შენ მაგიჭერს და სისხლ გამოგა-დენსო. დაჟკოცნეს ერთმანეთს, უმფროსი თავქვე წავიდა და უმც-როსი — აღმა.

უმფროსი მივიდა ერთ სახემწიფოში. იქ ერთი ვეფხვი იყო შა-მოჩვეული და მთელ ქვეყანას ღამით ატიალებდა. ბიჭი ერთ ბებერ დედაკაცთან გაჩერდა.

— ბაბო, რა არი ახალი ამბავი თქვენ სახემწიფოშიო?

— ერთი ვეფხვია, შვილო, შამოჩვეული და სუ აოხრებს აქაუ-რობასო, ვინც იმ ვეფხვ მოკლამს, ხემწიფე თავი მზეთუნახამ ქალ ცოლათ მიათხოვებსო.

— წადი, ბაბო, ხემწიფეჟთან და უთხარი, ჩემთან ერთი ტუმარია და შენ ნახვას ნდომობსო. წავიდა ბებერი ხემწიფეჟთან და ეს შა-ახსენა. ხემწიფემ დაიბარა. ბიჭიც ეწვია.

— გავიგე, წყეული ვეფხვი შემოგჩვევიათ და იმას უნდა ვებრ-ძოლოო, — უთხრა.

— მაგ ვეფხვმა ბევრი ფალავანი გააფუჭა და რათ გინდა თავი მააკვლეინოო, — უპასუხა ხემწიფემ, მაგრა თუ იმ ვეფხვ მოკლამ, ჩემი ქალიც და სახემწიფოც შენი იქნებაო.

წამოვიდა ბიჭი და იმ საღამოთი ჩაუსაფრდა ვეფხვსა. მოდის ვეფხვი საზარელი ღმუილით.

გადაუხტა ბიჭი წინა, ერთი მაღალი ხმით შაჰკივლა, ვეფხვი შაკრთა კია, მაგრა გადახტა და დეეტაკა ბიჭსა. ბევრი ჭიდაობის შემდეგ ბიჭმა ვეფხვი დააწყვიტა მიწაზე, აღოიღო ხანჯალი და სუ ასო-ასოთ აკუწა.

მეორე დღეს, ეს რომ ხემწიფემ გაიგო, გამართა დიდი ქორწილი და თავი ქალი მაათხოვა ამ ბიჭსა.

ქალ ოთახში რუქაი აქვ. მიიყვან ამ ბიჭ ამ რუქაჲთან და აჲწავლის. ყველა სახემწიფოს აცნობს, მთებს, გზებს, წყლებს, მაგრა იქ ერთი შავი ზოლი იყო და იმას არ ეუბნევა. ამ ბიჭმა ჩააცივდა:

— მითხარი, ეს ზოლი რა არიო? არ უთხრა ქალმა. ისე შააწუხა, რო ქალი ლამის ავათ გახთა. მამას შასჩივლა:

— ჩამციებია ჩემი ქმარი, ის შავი ზოლი მაჲწავლე რა არიო და როგო მავიქცეო?

— უთხარი, შვილოო!

ადგა და ამ ქალმაც უთხრა:

— ეს არი გედარ-გელმაზიო.

— გედარ-გელმაზი რა არისო?

— ვინც მაგ გზაზე წავა, უკან ვეღარ გამაბრუნდებაო. ბიჭმა მეორე დღეს შაჰკრიბა ერთი კაი ფალევნები და წავიდა იმ გზაზე.

ბევრი იარეს, ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ ალაგას, იქ ცივი წყარო იყო და ერთი მოხუცებული კაცი იჯდა: ბერიკაც მუხლებამდი წვერი ჰქონდა. მოხუცი ღმერთისაგან დაწყევლილი ყოფილიყო: ვინც იმ გზაზე გაივლიდა, თითო ტაქანი წყალი უნა დაელევინებინა. მოხუცმა ყველას დაალეინა წყალი.

— ბებერ კაც არაფერი შეეკითხნენ და განაგრძეს გზა. იქ ერთი ღიდი ქალაქი მოჲჩანდა. ქალაქი მოთილისჩებული ყოფილიყო: იქ ერთი წყეული ხე იდგა და ვინც იმ ხეს შახედავდა, ყველა გაქვავდებოდა. შავიდა თუ არა ბიჭი ქალაქში, იმ საჲჩი გაქვავდა თავი ფალევნებიანათ.

ეს რო გაქვავდა, ჩეორე ძმას ბეჭედმა მოუჭირა ხელზე და სისხლი გაჩაადინა: „ჩემ ძმას გაჲჭირვებიაო“, — თქვა და წამოიდა საშველათ.

მოიდა იმ გზაზე, სადაც გაიყარნენ. შამოიდა თუ არა ამ სახემწიფოში, ახარეს ხემწიფეს: შენი სიძე მოიდაო. ბიჭმა მიხვთა: რაკი მამგზავსეს, აქ იქნება ჩემი ძმაო. მიიყვანეს ხემწიფეჲთან, მათ თა-

ვაანთი სიძე ეგონათ. იმ ღამეს კაი დროება გაატარეს. გაუშალეს ლოგინი და ქალი და ბიჭი ჩაწვნენ. ბიჭმა შუაში ხმალი ჩაიდო, ქალმა უთხრა:

— რათა ჯქენი ესაო?

— მამიჩემი ანდერძი მაქ, ამ დროზე ესე უნა მექნაო. გათენდა დილაი და ქალმა ესეც მიიყვანა რუქაჯთან, აჯწავლის ეს-ეს არიო, ბითამ ხელმეორეთ უმეორებს. ბიჭმა შავ ზოლზე ჰკითხა:

— ეს რაღა არიო?

— ეგ ხო გაჯწავლე, გედარ-გელმაზიაო.

— რა არი გედარ-გელმაზიო?

— ვინც მაგ გზაზე წავა, ვეღარ გამობრუნდებაო, — უთხრა ქალმა. ბიჭმა თქვა: ჩემი ძმა ნამდვილათ იქ იქნება წასულიო და იმ დღითვე წავიდა მარტოკინა.

ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა იმ ალაგას, საცა ეს მოხუცებული წვერებიანი კაცი ზის.

— გამარჯობა პაპაო, — უთხრა. მოხუცებულმა მაშივე პირჯვარი დაიწერა და ღმერთ მადლობა შაჯწირა: ეხლა კი გავთავისუფლდიო. ის ხვთისაგან დაწყევლილი იყო, რო გამარჯობა არავის ეთქვა, თუ გამარჯობას ვინმე ეტყოდა — ხალხითვინ წყლი-სმევისაგან განთავისუფლდებოდა. წვერიანმა უთხრა ბიჭსა:

— რახან გამარჯობა ბითხარი და გამათავისუფლე, მე ვიცი საცა მიდიხარ და გზას გაჯწავლიო.

— გთხოვ მაჯწავლო, ძმას ვეძებო!

— შე რო ქალაქში ეპირები, ის ერთ დროს ჩემი იყო, მე იმი ისეთი უდიერი ხემწიფე ვიყაი, რომ თელ ხალხ ვაწამებდი. ერთხელ კაცები მამიგზავნეს: გაანებე ხალხი წამებას თავიო. მოგზავნილი კაცები ცეცხლში დავწვი; ორი ვაჟი მყვანდა და მათაც მთხოვეს ხალხი წამებიტვინ თავი დამენებებინა, მაგრა შვილებიც ცეცხლში დავწვი; ერთი ქალი მყვანდა და იმი გაუპატიურებაც მოვინდომე; აბაზე ღმერთმა დამწყევლა და ამ წყაროჯთან დამსვა, თანაც ტაქანი მამცა ხელში, ვინც გაიარ-გამაიაროს, ყველას წყალი დაალევინე, არავინ თავი დღეში გამარჯობა არ გითხრასო, თუ გამარჯობა გითხრას ვინმემ, მაში გათავისუფლთი სარჯელიდანაო; აქ ამდენი წელიწადია ვზივარ და შენ მეტ არავი უთხრობია რაო; იმი შემდეგ ჩემა ქალმა ეგ ქალაქი მაათილისმა და ქვათ აქციაო. ქალაქი პირში რო ხე იდგა, ის არი მათილისმებული და ვინც მას შახედავს, ქვათ იქცევაო; ისე შადი სასახლეში, რო იმ ხეს არ შახედოო.

გამეემშვიდობა ბიჭი, გაჩწია და წავიდა. ისე შავიდა სასახლეში, რო არც ხეს და არც არაფერს არ შახედა. შავიდა ქალთან. ქალ გაუკვირდა. აქ ჩიტმა რო გადაფრინდეს, ისიც ქვავდება და ეგ როგო გადარჩაო. ქალმა ჰკითხა ბიჭსა:

— როგო მიხვედი, ვინ გაჩწავლა გზაიო?

— ამა და ამ ალაგას ერთი მოხუცებული კაცი ზის და იმან მაჩწავლაო.

— ის მამაჩემია, დაწყევლილიო. ბიჭმა უთხრა:

— ჩქარა, ჩემი ძმაი მაჩვენე, თორე ეხლავე მოგკლამო!

— მე შენი ძმაი არ ვიცი, არც გამიგია მისი რამეო!

— ამ ქალაქშია გაქვავებული და უნა გააცოცხლოო.

გამოიდნენ გარეთ, ნახეს, უფროსი ძმა ხმალამოღებულია გაქვავებული და თავი ფალევნებიც გაქვავებული უდგა გვერდზე. ქალმა მიუსვ-მოუსვა თავი ხელცახოცი და ყვალა გააცოცხლა იმ საჩი.

— უჰ, რამოტოლა მძინებიაო!

— ისე შენ მტერს ეძინოს, როგორც შენ გეძინაო! — უთხრა ძმამა, მოყვნენ და ბთელი ქალაქი გააცოცხლეს. უმცროსმა ძმამ უთხრა უმფროსს:

— ეგ ჯარი მე დამიტუე, შენ კი საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდიო. წამოიდა უმფროსი ძბა თავი სიმამრი სახემწიფოში, უმცროსი კი დარჩა იქა და დაქორწინდა თილისმიან ქალზე.

უფროს ძმას სიმაბრი მოუკვდა და ხემწიფობა თითონ დარჩა. ძალიან უდიერათ ექცეოდა ხალხ, აწამებდა ყველას. ადგნენ ამ სახემწიფოდან და უმცროს ძბას შაჩივლეს:

— შენი ძმა უდიერათ გვექცევაო. უმცროსმა ძმამ წერილი მოჩწერა:

— გაანებე თავი ხალხი წამებას და პატიოსნათ მეექეცი ყველასო. უმფროსი გაბრაზდა და უპასუხა: — ჩემ საქმეში ნუ ერევი, შენ ქალაქ მოუარეო. კიდე მიწერა წერილი, ბაგრა უმფროსმა არ გაუგონა.

როცა არაფერი გამოვიდა, შემოუთვალა: — საომრათ მოვდივარ და მზათ იყაიო. უმფროსმა ძმამ შაგროვა ჯარი და თავი სახემწიფოს საზღვარი გაამაგრა. წამოიდა უმცროსი საომრათ, ჯარ არაფერს არ ერჩის, ეძებს ბხოლოთ თავი ძმას. შახვთა კიდეც და ხელში დაიჭირა.

— ანებებ თუ არა ხალხის წამებას თავსაო?

— არ ვანებებ, ეს შენი საქმე არ არიო. ამოიღო უმცროსმა ხმალი და თავი მააჭრა.

შააერთა ეს ორი სახემწიფო ერთათ და იცხოვრა ბედნიერათ.

ტინიხევი, გორიხევი,
უფლიციხე, კავთიხევი!

43. გასოვდაგრეგული ხემწიფე

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხემწიფე. ერთი კარგი ბაღი ჰქონდა. ამ ბაღში გახსნილი იყო სასადილო. ხემწიფე ბაღში ხალხ მუქთათ აჭმევდა, ხოლო ვინც რამეს იტყოდა ჭამი დროს, ხემწიფეს შაატ-ყობინებდნენ. ერთხელ ბაღში სამი ახალგაზრდები შავიდნენ. მიარ-თვეს საჭმელი. ერთმა თქვა:

— ნეტა კია, ხემწიფეთ მე ვიყვე ორი კვირითაო! მეორემა თქვა:

— ნეტა კია, ეს ბაღი ჩემი იყვესო! მესამემაც თქვა:

— ნეტა კია, ხემწიფი ცოლი ზე მამცაო!

ეს ამბავი ხელათ ხემწიფეს მაახსენეს. ხემწიფემ დაიბარა სამ-თავე ახალგაზრდები. მას ვინც ხემწიფი ცოლი ინატრა, თავი მააჭრა, მეორეს კი, რომელმაც ხემწიფობა ინატრა, უთხრა:

— აი, ორი კვირით ჩაიბარე ხემწიფობა, ვნახოთ, რას იზამო; ზესამეს კი, ვინც ბაღი ინატრა, ბაღი ჩაბარა.

თითონ შაბა ოქროს ეტლში ცხენები, ჩასხა შიგ თავი ცოლ-შვილი და წავიდა სანადირთ ორი კვირაი.

ხემწიფობა ჩაიბარა თუ არა, ბიჭმა გახსნა ხემწიფი ხაზინა და მთელი ოქრო-ვერცხლი ხალხ დაურიგა. ხალხმა თქვეს: — ე, რა კაი ხემწიფეი დაგვიდგაო. მეორემ კი ბაღში ხალხი თავისუფლათ გაუშ-ვა, შიგ არც მეფის ხალხი იყო და არც არავინ.

გავიდა ორი კვირაი და მობრუნდა ხემწიფეი:

— აბა, დამითმეთ ჩემი სახემწიფოო.

— რა უნა დაგითმოთ, აი ხალხ შავეკითხოთ, თუ ისინი დაგით-მობენ, კიო, — უთხრა გახემწიფებულმა ბიჭმა. შაეკითხნენ ხალხს.

— ჩვენი ნამდვილი ხემწიფე ეს ბიჭი არი, ამოტოლა ოქრო-ვერ-ცხლი დაგვირიგაო. გამააგდეს ეს ხემწიფეი და გაუშვეს.

— ჩაჯდა ისევისე ამ თავი ეტლში და წამოიდა. ცხენები და ეტლი გაჟყიდა, წამაიყვანა თავი ორი პატარა ვაჟი და ცოლი და მიდის ბედის საძებნელათ.

გაიარა ერთ ტყე პირში. გამოიდა ერთი კაცი და ხემწიფეს შაეხვეწა:

— ჩემ ცოლ მუცელი ჸტკივა და ცოტა ხანი შენი ცოლი მამეშველოსო.

— წაჸყეო,—უთხრა ცოლ ხემწიფემ. წაიყვანა იმ კაცმა და მოუსვა.

ელოდა, ელოდა ხემწიფე ამ ტყე პირას, მაგრა ქალი არსად გამოჩნდა. ხემწიფემ დაიჭირა ისევისე თავის ორი ბავშვი ხელში და წავიდა. მაადგა ერთ წყლი პირას. პატარა ხიდი იყო გასაველელი. ორივე ბავშვ ხიდზე ვერ გაიყვანდა. იფიქრა: ჯერ ერთს გავიყვან და მერე მეორესაო. დაიჭირა ერთი ბავშვი და მიჸყამ, მეორე წყლი პირზე დატუა. შუა ადგილას რო მოვიდა, სად იყო, სად არა, მოვარდა მგელი, დაავლო ბავშვ პირი და მაჸტაცა. ხემწიფემ რო ეს დაინახა, „ვაიმეო“, დაიძახა და ეს ბავშვიც წყალში ჩაუვარდა.

დარჩა ცარიელი, უცოლ-შვილო, უსახემწიფო. მივიდა ერთ სოფელში და ნახა სოვდაგარი.

— ბოჯამაგირე არ გინდაო?

— მოჯამაგირე როგორ არ მინდა, საქმე არაფერი არ გექნება, წლი ბოლოს მხოლოთ ერთ ცხენ დამიკლამო. დაუდგა ხემწიფე მოჯამაგირეთ.

გავიდა წელიწადი. წაიყვანეს ცხენი რიყეზე და ხემწიფემ წააქცია. გამოჸჭრა ყელი ცხენსა.

— გამოფაშვეო, — უთხრა სოვდაგარმა. რო გამოფაშვა, ჰკრა სოვდაგარმა წიხლი და ეს ხემწიფე ცხენი გვაბში ჩააგდო. გაუკერა პირი, შაულოცა და ეშმაკებმა ხელათ აიტანეს ერთ საშინელ მთაზე. ამ მთაზე იყო ბევრი ოქრო-ვერცხლი.

გამოძვრა ცხენის გვამიდან ხემწიფეი. სოვდაგარმა დაუძახა:

— გადმოყარე ოქრო-ვერცხლიო. მაადგა ხემწიფეი და ბევრი გადმოყარა. რო დაღამდა, ჩამოჸძახა:

— ჩამომიყვანეო!

— თითონ ბოგივლიან მაქაო! ხემწიფეს თან დანა გაჸყვა. გარეშემო გაიკეთა წრე და შიგ ჩაჯდა. რო დაიძინა, მოცვივდნენ ეშმაკები და ხემწიფე ჩამაიტანეს რიყეზე, საცა ცხენი დაკლა.

გამეეღვიძა ხემწიფეს. ჩაიცვა სხვანაირი ტანისამოსი და მაადგა ისევისე სოვდაგარს.

— მოჯამაგირე ხო არ გინდა?

— როგო არ მინდა, საქმე ცოტა მაქვ, წლი ბოლოს ერთი ცხენი ღამიკალ.ი.

გავიდა წელიწადი და წაიყვანეს ცხენი რიყეზე. სოვდაგარმა უთხრა:

— აბა, დაკალიო!

— მე არ ვიცი, მოდი, ჯერ შენ დაკალი და მერე მე დავკლამო. წააქცია სოვდაგარმა და დაჴკლა ცხენი.

— გამოფაშვეიო!

— ჯერ შენ გამოფაშვე და მერე მე ვიზამო! გამოფაშვა სოვდაგარმა ცხენი, ჴკრა ხეᲬწიფემ ფეხი და შააგდო გვამში. მოუკრა ხელათ პირი. მოცვიდნენ ეშმაკები და აიტანეს იმ მაღალ მთაზე. გამოძვრა სოვდაგარი ცხენის გვამიდან. ხემწიფემ დაუძახა:

— გადმოყარეთ ოქრო-ვერცხლი და საღამოზე გზას გაჴწავლი, საიდანაც უნა ჩამოხვიდეიო. დაადგა სოვდაგარი და რაც უწინ ხემწიფემ გადმოჴყარა, ათი იმდენი მააგროა, ეგებ ᲬაᲬწავლოს გზაიო.

დაღამდა, მოცვივდნენ ეშᲬაკები და გაკლერტეს ეს სოვდაგარი. დარჩა ხემწიფეს სოვდაგრის ქონება და ოქრო-ვერცხლი.

მეორე დღეს გასოვდაგრებულმა ხემწიფემ გაჴცა განკარგულება: — საცა ქვეყანაზე დურგალი, ხელოსანი და კალატოზია, მოიდეს ჩამთანაო.

ხემწიფეს რო ბავშვები დაეკარგა, ერთი მეცხვარემ მგელ გააგდებინა და გაზარდა, Წეორე კი მეწისქვილემ დაიჭირა წყალში და გაზარდა.

სამუშაოთ ამ გასოვდაგრებულ ხემწიფეᲬთან მოიდნენ ეს მისი ბავშვებიც და თავი დაკარგული ცოლიც. სახში ისე მოხვდნენ, რო ერთ ოთახში ეს ქალი და თავი ქმარი იყო, მეორე ოთახში ის ორი ბიჭი იყვნენ. ეს ბიჭები ერთი მეორეს ვერ იცნობდნენ და შაეკითხნენ. თავიანთი თავგადასავალი რო შაიტყეს, გაიგეს, რო ძმები არიან, ერთმანეთ გადეეხვივნენ. ეს ქალი ემათ ლაპარაკს მეორე ოთახიდან ყურს უგდებდა. გაიგო ბიჭები მისი შვილები იყვნენ, შავარდა და კოცნა დაუწყო: მეც თქვენი დედა ვარ შვილებოო. ᲬᲬორეთ ამ დროს მოიდა აᲬ ქალი ქმარი. დაუწყო ქალ ჩხუბი, გინება, ცემა: შენ მაგ ბიჭებ ყვაროფო. დაიჭირეს ბიჭებმა და ერთი ძალიანაᲬ ცემეს ამ კაცს.

ეს კაცი წავიდა საჩივლელათ გასოვდაგრებულ ხემწიფეᲬთან. იჩივლა: ამა და ამ ბიჭებმა ცოლიც წამართვეს და კიდეც მცემესო. დაიბარა გასოვდაგრებულმა ხეᲬწიფემ ისინი.

— რათ წაართვით ამ კაც ცოლი და რათაც ცემეთო?

— გამოგვექცა, თორე უნა მოგვეკლა, ეს არი ჩვენი დედაიო!

— საიდან არი თქვენი დედაიო?

— ჩვენ ვიყაით ერთი ხემწიფი შვილები, ესეც ჩვენი დედა იყო, დედაჩვენი ამ კაცმა მაიტაცა, ერთი მგელმა მოგვიტაცა, მეორე წყალში ჩავარდით და დავკარგეთ მამაიო...

ეს რო ხემწიფემ გაიგო, ლაპარაკი დასრულება არ აცალა, გადეეხვია და ყველა დაჟოცნა.

— თქვენ ჩემი შვილები ხართ, ეს ჩემი ცოლი, მე კი თქვენი მამაიო.

ის კაცი იმ საჩი ცხენი კუდზე მააბეს. თვითონ კი იცხოვრეს ბედნიერათ.

44. გველი და გლეხი

ერთი გლეხი ცხოვრობდა. ერთი ძროხაი ჰყვანდა, მუდამ დღე ამ ძროხი რძეს ყიდდა და ცოლ-შვილი ინახამდა. ერთხელაც გაიარა და გველის სორო ნახა. გლეხმა თქვა: — გამიგონია, რომა გველ ძალიან უყვარ სითეთრეო, მოდი ამ ერთ დღეს, თუ გინდა ჩემი ცოლ-შვილი მშივრები იყვნენ, ამ რძეს გველ ვაჭმეო. დადო სოროს პირზე ეს რძეი და თითონ შორი-ახლო დადგა.

ამოიდა ამ გველმა, დალია ეს რძეი და ერთი ოქროს თუმნიანი ჩააგდო სარძევეში. გველი ისევისე ჩავიდა სოროში. აიღო კაცმა ეს სარძევე და წამოიდა. თუ უნა ეყიდა ცოტა რამე, ეხლა ამ ოქროს თუმნიანით ყველაფერი იყიდა და ცოლ-შვილიტვინ წამაიღო.

მოიდა სახში. ცოლ-შვილმა უთხრა:

— საიდან იშოვნე ამოდენი ფულიო?

— ჭამეთ, სვით, ეგ რა თქვენი საქმეაო!

ისევე მეორე დილით წამოიღო რძეი, იქვე სოროჟთან დადგა სარძევე. კიდე გამოიდა გველი. დალია რძეი, ჩააგდო ოქროს თუმნიანი და წავიდა. ასე შაეჩვია ამ გველსა, რო აღარ ერიდებიან ერთმანეთსა. პირდაპირ მივა, დაუდგამს რძეს, დაჟლევს გველი, ჩააგდებს ოქროს თუმნიანს და გლეხიც ბოდის.

ეს კაცი ძალიან გამდიდრდა. ერთხელაც დაჟპატიჟა ერთმა მეგობარმა ერთი კვირით. გლეხი დარდობს: — ერთი კვირით რო წავიდე, იმ გველ ვინ მიუტანს რძეს, არ დავჭკარგო ის გველიო.

უფროსი შვილი კაი მოზრდილია. გლეხმა იფიქრა: — მოდი, ვეტ-

ყვი ჩემ საიდუმლოებას, შვილია და გამიტანსო. წამოიყვანა თავი შვილი, წამოიღო რძეი და აჩვენა ეს გველი სორო. შვილ უთხრა:

— აი, სორო, ეს გველი და რძეი, მაიტანე რძეი, გველი დაადლევს, სარძევეში ოქროს თუმან ჩააგდებს, წამაიღე და მოდი შინო. ერთ კვირაშდინა, მერე მე მოუვლიო. მე ამ გველმა გამაკეთა, თორე პური ფულიც არ მქონდაო. წავიდა ეს კაცი ერთი კვირით სხვაგან. ბიჭიც უზიდამს რძეს ამ გველსა და ასმევს, გველიც აგდებს სარძევეში ოქროს თუმანს.

ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ რო მოიტანა ამ ბიჭმა რძეი და ოქროს ფული ნახა, თქვა: — ნეტა ამ გველ ამტონი ოქროს ფული სადა აქვსო, ალბათ, ნატვრი თვალი აქვო, მოდი ამ გველ მოვკლამ და ნატვრი თვალი მე დამრჩებაო.

ერთხელაც მოუტანა რძეი, გველი რო დეეწაფა და სვაშს, თან კეტი ჰქონდა, მოუქნია და თავში უნა დაერტყა, მაგრა გველი დაყირავდა, და ბოლო წააწყვიტა. ამოიდა ეს გველი სოროდან და დაგლიჯა ეს ბიჭი. სახლამდინ კი მიაღწია და იმ საჩი სული დალია.

სად არი, სად არა, ეს კაციც მოიდა. ნახა, სახში მკვდარი შვილი გველისაგან. მაშივე მიხვდა ეს კაცი, რო ის გველი დაგლიჯამდა. კაცი ფიქრობს: — შვილი ვიდარდო, თუ მუდამდღე ოქროს თუმნი დაკარქვაო?! დაასაფლავა შვილი და თქვა: — უნა წავიდე გველთან, ან უნა დამგლიჯოს და ან უნა შაურიგდეო.

აიღო თავი რძეი და მივიდა გველი სოროსთან. დადგა რძეი და თითონ შორ დადგა. ამოიდა გველმა და უთხრა:

— არ დავლევ, შენი რძეი უკან წაიღე, მე შენ არ შაგირიგდებიო. როგო უნდა შაგირიგდე, მივიხედავ ბოლო აღარ მექნება, მაშივა ჯავრი, შენ კიდევ ჩემი საიდუმლოება არ შაინახე და შვილ უთხარი, შენმა შვილმა ჩემი სიკვდილი მაინდომა, მე შვილი მოგიკალი, ერთხელაც იქნება და ამიტეხამ რასმეო, ჯობია, შენ შენთვინ იყო და მე ჩემთვინო!

კაცმა უთხრა:

— არა, არაფერ გერჩი, რაც მოგვივიდა, მოგვივიდა, შავრიგდეთო.

— შავრიგდეთ ხოლო იმ პირობით, რო შორ იყავი, დავლემ რძეს, ჩავაგდებ თუმან და წაიღეო.

ეს კაციც ასე იქცევა. მააქვს რძეი, შორი-ახლო დადგება, გველი დაადლემს, ჩააგდებს თუმანს და მიდის. ასე შარიგდნენ გველი და გლეხი...

45. გველი და კაცი

ერთი კაცი ცხენზე იჯდა და ბიდიოდა. გზაში ერთ გველ აუარებელი წიწილი გამეეშალა. კაცმა გადმოხტა ცხენიდან და თქვა:—გამიგონია, გველსაც არ უნდა მოუკლა შვილიო, აუქშია წიწილებს, შარეკა სოროში და წავიდა, ეს კაცი ერთ ძველებურ დარბაზ ეჯტუმრა.

ვახშამი რო ჭამეს, ყველამ — ყველა თქვეს, ამ კაცსაც ეხვეწებიან: ერთი რამე შენცა თქვიო.

საღამოზე ეს გველი რო მოიდა, წიწილებმა ამბავი დაახვედრეს:

— ერთმა კაცმა გაიარა და კეტი ცემით სუ წელები დაგვწყვიტაო. გველმა ეს რო გაიგო, გამოჯწია და წამოიდა ამ დარბაზთან. შამეეკრა გარედან, რო დაიძინებენ, უნა დაჭამოს.

ამ კაც კიდე აცივდებიენ:

— თქვი რამე, გზაში ნავალი კაცი ხარო. მასაც ´მააგონდა:

— მართლაცაო, რო მოვდიოდი, ერთ გველ აუარებელი წიწილები გამეეშალა გზაშიო, გადმოვხტი ცხენიდან და სოროში შავრეკე წიწილები, რო ცხენმა ან კვიცმა ფეხი არ დაადგას-თქო.

გველმა რო ეს გაიგო, თქვა: — ამას სიკეთე უყვია და ეს რა ამბავი მამიტანესო. მოიდა თავი სოროში და თავი წიწილებს სუ წელები დაჯწყვიტა კეტის ცემითა.

გათენდა დილაი და ამ კაცმა ცხენი წაიყვანა წყალზე. ეს გველი იქ დახვდა. გველმა უთხრა:

— ენა გამოყავი, უნა გაკოცოო. კაცი შაშინდა, ლამის გული წაუვიდეს.

— გამოყავი, ნუ გეშინია, სიკეთე მინდა შენთვის, ბოროტი არაო. გამოყო ენაი, მივიდა გველმა და ზეთ ენის წვერზე აკოცა და უთხრა:

— რამაც დაილაპარაკოს, ხე იყოს, პირუტყვი, ფრინველი, ყველას ლაპარაკი გესმოდეს, ხოლო შენი საიდუმლო არავი უთხრა, თუ ვინმეს ეტყვი, იმ საააჩი მოკვდებიო.

წამოიდა ეს კაცი და მოიდა ისევისე ამ ოჯახში. ჭაბეს პური და ცოლს უთხრა:—ადე, წავიდეთო. გზაში რო მიდიან, ორსული ქალი ცხენზე ზის, წამოჩრიხვული კვიცი კი უკან მისდევს. კვიცი ჩამორჩა და კაცმა გაიგონა მისი ლაპარაკი:

— დამიცადე, დედაო! ცხენმა დაუძახა:

— არა გცხვენიაო, მე ოთხი სული მოვდივარ და შენ ერთი სუ-

ლი ახალგაზრდა კიდე მეუბნევი დამიცადეო. აჲ კაცმა რო ცხენის ლაპარაკი გაიგო, გეეცინა, რაზე იყო ლაპარაკი მიხვთა, ქალიც ორსული იყო და ცხენიც-მაკე.

ცოლმა უთხრა:

— რათ გაიცინე, უნა მითხრაო!

— რავი, გამეცინაო! — თქვა კაცმა.

— არა, უნა მითხრა, უნა მითხრაო, ჩამოიდა ცხენიდან და აღარ მიადემს. კაცმა უთხრა:

— წამო, კაცო, სახში გეტყვი, აქ რო გითხრა, მოვკვდები და მაინც სახში მოვკვდეო.

წამოიდნენ სახში მოიდნენ თუ არა, ქალ ტანისამოსი არ გაუხთია, ისე მივარდა ქმარს:

— აბა, მითხარი ჩქარა, რათ გაიცინეო!

— ხვალ წადი, წირვა-ლოცვა მაისმინე და რო მოხვალ, გეტყვიო. წავიდა ქალი, მაგრა წირვა-ლოცვი დარდი კი არა აქვ, სუ იმაზე ფიქრობს, ჩქარა გაიგოს, რაზე გეეცინა თავი ქმარსა.

ეს კაცი, ქალი რო გაადტუმრა, ცეცხლა პირა ზის და ფიქრობს: რო ვეტყვი ქალ და სულ დავლევო, ბუხლებში კატაცა უზის.

სად არი, სად არა, ერთი მამალი შამოუარდა. ნიკარტითა და ორთავ ფეხებით წვდა ამ კატას თავში.

— ადე, გაიარ-გამოიარე, რა ჩაგიწირპლია თვალები აჲ ცეცხლაპირას, წადი, თაგვი დაიჭირე მაინცო. კატამ უთხრა:

— ნეტაი შენ, დარბიხარ და დათარეშობ, ჩემ გულში კი არ იხედებიო!

— ნეტა მაგ გულში რა გაქ სადარდებელიო? კატამ უთხრა:

— სად არი, სად არა, ამ კაც პირცეცხლიანი ცოლი ჰყამ, ეშმაკი, ტარტაროზი, ქაჯი, კაცმა სიტყვა იცის საიდუმლო, ქალი თხოვს: უნა მითხრაო, რო ეტყვის, ეს კაცი მოკვდება და მეც იგი დარდი მაქვ, რო ქალი მეც გამაგდებს აქედანაო. მამალმა უთხრა:

— მეხი შენ დაგაყარე და მაგ კაცსაცაო, მაგი კაცი როდიაო, მე ას ცოლ ვიგერიებ და ორასსა, განა არ შაუძლია, აიღოს ერთი სახრე და უდოს, მე რავიცი, რაადტვინ გამეცინაო!

ამ კაცმა ეს ამბავი ყველა გაიგო და ამ მამალ საკორკოტე ხორბალი დაუყარა.

სად არი, სად არა, ქალიც მოიდა. ამ კაც სახრე ბზადა აქ. ქალ ჯერ არ მოუხდია ლეჩაქ-ბაღდადი და მიახალა:

— აბა, ჩქარა მითხარი, რიადტვინ იცინოდიო?

— ჯერ გაიხადე, გაიხადე და მერე გეტყვიო. გაიხადა ქალმა ტანისამოსი თუ არა, კაცმა დაუჭირა საყელოი და უდო და უდო ეს სახრე: მე რავიცი რიდტვინ გამეცინაო. კარგა რო დაბეეა, ხელი უშვა. ქალი მიწვა ტახტზე.

რო დაუამდა გვერდები, თქვა: — შე ახირებულო, ჩემო თაო, რა გინდოდა იმ კაცთან, გეეცინა, გეეცინაო!..

46. სოლომან ბძენის მოჯამაგირე

იყო და არა იყო რა. ხვთის უკეთესი რა იქნებოდა. ერთი ძალიან ღარიბი კაცი იყო. ჰყვანდა ოთხი შვილი. ამ კაცმა ცოლ უთხრა: — მოდი, წავალ, რამეს წავაწყდე შაიძლება და ოჯახს უშველიო. გაიწია და წავიდა. გაიარა ერთ სოფელში.

— მოჯამაგირე ხო არავის გინდათო? — იკითხა. ერთმა კაცმა უთხრა:

— მე მინდა მოჯამაგირეიო. მაგრა რა მოქცე წელიწადშიო, წორეთ უნა მითხრა, რაცა ღირხარო. ღარიბმა იფიქრა: ნეტა წორე რა იქნებაო და უთხრა:

— ხუთი მეენთი მამეცი წელიწადშიო!

— აი არი წორე, არ მინდიხარ, წადიო, — უთხრა ამ კაცმა ღარიბს.

წავიდა ღარიბი. ცოტა იარა, შამოხვდა სოლომან ბრძენი. ღარიბმა კაცმა სოლომან ბრძენსაც კითხა:

— მოჯამაგირე ხო არ გინდაო?

— მინდაო, — სოლომანმა უპასუხა, — მაგრა რა მოგცე წელიწადშიო?

— რავი, რაც გინდა, ის მამეცი!

— თუმან მოგცემ, წლის ბოლოს, გინდა ერთ სიტყვას გაიწავლიო.

დაუდგა ეს ღარიბი მოჯამაგირეთ სოლომან ბრძენსა. წელიწადი რო გავიდა, დაიბარა სოლომანმა და უთხრა:

— აი, თუშანი, გინდა ეს აიღე, გინდა ერთ სიტყვას გაიწავლიო. ღარიბმა უთხრა:

— მოდი, აბა, ერთი სიტყვა მაიწავლე, ვნახო რა იქნებაო!

— რაც უნა ფინთი რამე იყოს და შაგეკითხონ: როგორია? შენ მაინც თქვი, კარგიაო. საწყალმა ღარიბმა თქვა: — ვაი, რა ტყვილა დავჰკარგე ეს თუმანიო. ბოლოს თხოვა სოლომანს:

— მოდი, კიდე დაგიდგები მოჯამაგირეთო! დაიყენა ეხლა ოც მეენთათ. წელიწადი რო გავიდა, მიიტანა სოლომანმა და ოც მეენთს აძლევს ამ ღარიბსა.

— გინდა ეს ოცი მეენთი წაიღე, გინდა ერთ სიტყვას გაჲწავლი კიდევაო!

— არ მინდა ოცი მეენთი, კიდე Ძაჲწავლე ერთი სიტყვაიო! — უთხრა ღარიბმა.

— რასაც ვერ შაჲწვდე, არ შაეტოტინოო! — აჲწავლა სოლომან ბრძენმა, — შენ არავის დეენაძლაო, თუ სხვამ გითხრას, დეენაძლიეო. ამ ღარიბმა უთხრა:

— მოდი, ერთ წელიწადს კიდე დაგიდგები მოჯამაგირეთო! დაიყენა ისევისე და ეხლა საᲩ თუმან აძლევს წელიწადში.

წელიწადი რო გავიდა, სოლომანმა მიუტანა სამი თუმანი და უთხრა:

— გინდ სამი თუმანი წაიღე, გინდ ერთ სიტყვას კიდე გაჲწავლიო! საწყალმა კაცმა უთხრა:

— მაინც ღარიბი ვარ, სამი თუმანი რას მიშველის, მაჲწავლე ეს ერთი სიტყვაცაო!

— რაც შენი თვალით არ ნახო და შენი ყურით არ გაიგონო, არ დაიჯეროო!

სამი წელიწადი ემსახურა ეს მოჯამაგირე სოლომან ბძენს და ისევისე უკაპეიკოთ წამოიდა სახში. გამაიარა ერთი ხემწიფი კარებზე. ძალიანა შია პური. ითხოვა: — ცოტა პური მამეცითო. დაუძახეს ამ ღარიბ კაცს და შაიყვანეს სახში. ერთი კაი სუფრაა გაშლილი, ყველაფერი ზედ არის, სასმელი, საᲭმელი. დაუდგეს სკამი და დასვეს. ჯამით კერძი მაართვეს. ჯერ კოვზი არ ჩაუყვია ჯამშია და ერთი ბაყაყი ჩაუხტა შიგა.

— როგო მოგწონს?—ხემწიფემაჲ კითხა. ჩაყო ამ ღარიბმა კაცმა ხელი ჯაᲩშია, მააგონდა სოლომან ბრძენის ნაჲწავლი სიტყვა და თქვა:

— რა .მᲩვენიერია, რა კარგიაო! გამოუცვალეს საᲭმელი და სხვა მოუტანეს. იმ ღამე ეს ღარიბი არ გამოუშვეს. მეორე დღეს კიდე გაშალეს კაი სუფრა. ხემწიფემ სხვა ხალხიც დაჲპატიჟა. მიართვეს საᲭმელები ხალხს. ამ ღარიბ კაცსაც დაუდგეს ერთი ჯამი. გაქანდა ბაყაყი და ისევისე ჩაუხტა ჯამში.

— როგო მოგწონთ? — კიდევაჲ კითხა ხეᲩწიფემ ღარიბსა.

— ძალიან მᲩვენიერია, ძალიან კარგიაო! — გაიმეორა ამ ღარიბ-

მა. ბაყაყმა გაიძრო თავი ტყავი და იმ საჩი მზეთუნახავი ქალი გამოიდა, ეს იყო ხემწიფი ცოლი.—ამტელი ხანია ბაყაყის ტყავით ამ საქმეს ჩავდივარ და ამ კაცის მეტ არავი მოვწონებივარო, — თქვა მზეთუნახავმა ქალმა.

რო ისადილა, ღარიბმა თქვა:

— გამიშვით, სამი წელიწადია ცოლ-შვილი არ მინახამ და მშივრები დამეხოცებიანო. მზეთუნახავმა ქალმა უთხრა:

— შენ ჯერ ვერსად ვერ წახვალო. ააყენა ღარიბი კაცი სუფრიდან, უბძანა თავი მოსამსახურეებს: წაიყვანეთ აბანოშიაო, აბანავეთ და ჩააცვით სოვდაგრის ტანისამოსიო. წაიყვანეს, აბანავეს და ჩააცვეს სოვდაგრის ტანისამოსი. ექვსი დღე ეს ღარიბი არ გაუშვა მზეთუნახავმა ქალმა. მეექვსე დღეს ღაუსაპალნა ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტით ექვსი ჯორ-აქლემი, მიიცა ექვსი მოსამსახურე, ერთიც კაი კრიალოსანი, ერთი კარგი ხალიჩა და ერთიც მუთაქა, გაიტუმრა და გაუშვა სახში.

ღარიბი რო მიდის ამ ქონებით, ერთ ალაგას წყაროი ნახა, იქ ერთი მშვენიერი ხეც იდგა. თავი ეოსამსახურეებ უთხრა:

— დავისვენოთ აქაო. ჩამოხადეს ჯორ-აქლემი, გაშალა ღარიბმა ხალიჩაი და წამოწვა ზედა და ათამაშებს ამ თავი კრიალოსანს...

გაიხედა, რო ერთი სოვდაგარი მოდის, მოიდა ეს სოვდაგარიც ამ წყაროიდთან, ჩამოხადა ჯორ-აქლემი და დაისვენა იმანაც. ლაპარაკობენ ერთი მეორეში. ამ ლაპარაკში რო არიან, წყაროიდთან ერთი ჩიტი მოფრინდა ასნაირი ფერისა, რამდენი ბუმბულიც აქს, იმდენ ფერიანი და ხი დაბლა ტოტზე დაჯდა..

სოვდაგარმა უთხრა ღარიბსა:

— დამენაძლიე, მაგ ჩიტ თუ დაიჭერ შენაო. ღარიბ კაც მააგონდა სოლომან ბძენის სიტყვაი და უთხრა:

— არა, მე არ შამიძლია, ვერ დავიჭერ მაგ ჩიტსაო.

— მაშ, მე დაგენაძლიები, რო დავიჭიროო!—უთხრა სოვდაგარმა.

— კარგი, დამენაძლიეო, თუ დაიჭირე ეგ ჩიტი, ჩემ ჯორ-აქლემ მოგცემ, თუ ვერ დაიჭირე, შენი ჯორ-აქლემი ქონება მამეციო,— უთხრა ღარიბმა. დანაძლევდნენ. წამოდგა ეს სოვდაგარი და წაიდწვდა ამ ჩიტსა, მაგრა ჩიტი მეორე ტოტზე შაფრინდა, რო წაიდწვდა კიდე, იქიდან მესამეზე შაფრინდა, მესამედან მეოთხეზე, შაიყვა ეს სოვდაგარიც, მაგრა გაფრინდა ჩიტი და წავიდა. მაიგო ამ ღარიბმა ეს სანაძლეოი.

წამაიყვანა თავი ექვსი ჯორ-აქლემი, ექვსიც სანაძლეოში მოგებული და წაგოიდა სახლიდკენ.

თავი სოფელ რო მაატანა, ერთი მეზობელი გლეხი შამოხთა.

— გამარჯობა, შენიო!—უთხრა ამ გასოვდაგრებულმა ღარიბმა,—გაგიმარჯოსო!—უთხრა გლეხმაც.

— ვერა მცნობო?

— ვერაო!

— მე შენი მეზობელი ღარიბი რო ვიყავი, ისა ვარო; მითხარი, ჩემი ცოლ-შვილი როგორ არიანო?

— შენი ცოლ-შვილი რამტელიხანია დაიხოცნენო, შენი სახლი ადგილზე ტპა დგა, ნანგრევიც აღარ ეტყობაო. ამ გასოვდაგრებულმა ღარიბმა იფიქრა: რაღა მინდა სოფელში, თუ ჩემი ცოლ-შვილი აღარ არიანო; გამობრუნდა და წამოიდა. ამ წყაროდთან რო მოიდა, მაში მააგონდა სოლომან ბძენის ნადწავლები: „სანამ შენი თვალით არ ნახო, არაფერი დაიჯეროო". გამობრუნდა უკან და ისევისე წავიდა თავი სოფელში.

რო მივიდა, თავი სახლი დაინახა, ცოლ-შვილი დადიან ტიტვლები და მშივრები. მივიდა და თავი ცოლს გადაეხვია. ქალმა კივილი დაიწყო, ვეღარად ცნობს ქმარსა: — შენი ქმარი ვარო. ქალ არად ჯეროდა, მაგრა გასოვდაგრებულმა ღარიბმა გადაიხსნა საყელო და გულზე ნიშანი აჩვენა. მაშინ დაიჯერა ქალმა და ისიც გადეეხვია. გამდიდრდა ეს ღარიბი, მთელი ოჯახი გაამდიდრა.

ააშენა სახლები და დღესაც კარგათ სცხოვრობს.

47. მზის სიძე

იყო და არა იყო რა. იყვნენ სამნი ძმანი ერთ ალაგად. ერთი დღი ყანად ქონდათ. ეს ძმები გაიყარნენ. ყანა რო სამათ გადყვნენ, თავი უფროს ერგო, ბოლო—შუათანასა და შუაწელი—პატარასა.

ელიამ წამოუარა და მარტო ე შუაწელი დასეტყვა, არც თავსა და არც ბოლოს არა აწყენინა რა. პატარა ძმამ უთხრა თავი ძმებსა:

— ეგ ყანაც, სახლიცა და ყველაფერიც დამილოცნია თქვენთვინაო, ადგა და წავიდა.

— რა გეწყინა, სად მიდიხარო? ძმებმა უთხრეა.

— აბა, როგორ არ უნდა მეწყინოდ, ან თავიდან დადყოლოდა ან ბოლოდან, რაღა მე დამისეტყვა შუაწელიო. გამეემშვიდობა და წავიდა.

ერთ გლეხსა ათი დღი ყანა აქვს მოსამკალი. შახვთა ეს ბიჭი.

— თუ საღამომდინ ეს ყანაი მაგიმკა, ოცი თუმანი მამეცი, თუ ვერ გავათაო მზი ჩასვლი დრომდინა, ერთი კაპიკი არ მინდაო,— უთხრა ბიჭმა აჴ გლეხსა. დაჴდეს ხელწერილი. საღამომდინ ამ ბიჭმა ამოტენა ყანა მომკა, ორი ძნაღა დარჩა, მზი ჩასვლამდინა. დაუჩოქა და ეხვეწება მზესა.

— შენი ჭირიმე, მომიცადე ცოტა, ბარემ ეს ორი ძნაც შავკრა, სანაძლევო არ წავაგოო. მზე მაგას ხო არ ეკითხება, ჩავიდა ჩვეულობრივ. შაკრა ეს ორი ძნაი. წამოიდა ეს ბიჭი და მიდის. რო მიდის, პატრონმა უთხრა:

— დაიჭი, კაცო, ფული, ხო გაათავე საჴუშაოო!

— ვრაო, პირობა — პირობაა, ე ორი ძნა, მზე რო ჩავიდა, მერე შევკარიო.

გასწია და წავიდა ბიჭი. ერთ მეცხვარეჴ ცხვარი ჰყამ აუარებელი. ეს ბიჭი ეუბნევა:—მოდი, ეს ცხვარი დამიზიარე ხუთი წლითა; თუ ამ ხუთ-წელიწად ერთი მამიკვდეს, ან დაჴეკარგოს, ან ვინმემ მომტაცოს, არ მინდა შენი კაპიკიო, თუ არა და შუაზე გავყოთო. მეცხვარეჴ დაუზიარა ცხვარი. დაჴდეს პირობაი. ხუთი წელიწადი რო გავიდა, მარეკა ცხვარი და უნდა გაჴყონ. ბაკში რო შარეკა, გადახტა ერთი ძუკნა უნამუსო მგელი და ერთი ბატკანი მოჴტაცა.

— წადი, ძმაო, ალალი იყოჴ შენთვინაო, უთხრა ამ მეცხვარემა;—მოდი, ძმაო, გავყოთ, ერთი ბატკანი აბა რა არიო!

— არაო, პირობა—პირობა არი, ერთი ცხვარი დავკარგეო.

წამოიდა ეს ბიჭი. ერთ ალაგაჴ დაუღამდა და დაიძინა. ძილშია სიზმარი ნახა: დილაზე რო ადგები, წადი ამა და ამ წყლიპირზე, იქ ერთი თელა დგა გამოქვაბული, შადი იმ ხეშია, ზეჴ ერთი შვილი ჰყამ ქალი, იმას გარდა არავინა გააჩნია ცა და ქვეყანაზე. მუდამ დილით ეს ქალი მიდის ამ წყალზედა და ბანაობს. როდესაც მოიდეს დილაზე და ტანისამოსი გაიხადოს, აიღე მისი ტანისამოსი და შეიტანე ხეში. დიდ ფიც მოგცემს, ცისა, დედამიწისა, მაგრა არ გამოუჩინო, მანაჴ არ გითხრას: შენ ქმარი და მე ცოლიო.

ამ ბიჭ გამეღვიძა. წავიდა იმ წყლი პირზე. ნახა, მართლა, ერთი ხე იდგა გამოქვაბული. შავიდა ამ ხეში. გათენდა, დილი რიჟრაჟზე მოვარდა ეს ქალი, გაიხადა ტანისამოსი, შავიდა წყალშია და ბანაობს. ბიჭმა აკრიფა ტანისამოსი და შაიტანა ამ ხეში. ქალი რო გამოვიდა, გული გაუსკდა.

— აქ არავინ იყო და ტანისამოსი ვინ აიღოო! მისცა ფიცი:— არას გერჩი, ქალი ხარ, დედათ მიგიღებ, ვაჟი ხარ, ძმათ მიგიღებ, ოღონდ გაჩომიჩინე ტანისამოსიო. მანამ არ უთხრა:—ვაჟი ხარ ახალგაზრდა, შენ ქმარი და მე ცოლიო! ბიჭი არ გამოიდა, როცა ეს თქვა ქალმა, გამოუტანა ტანისამოსი. ამ ქალმა ჩაიცვა ტანისამოსი და უთხრა ბიჭსა:

— რაც არი, არი. მე ახლა მამაჩემთან ვეღარ წავალ, წავიდეთ და საცა გინდა, ვიცხოვროთო.

მივიდნენ ერთ ქალაქში და დაიჭირეა ერთი სასახლე, ცხოვრობენ კარგათ. ამ ქალ ნივთები აქ. რასაც ინატრებს, ყველაფერი გაჩნდება. თავაანთვინ კარგათ არიან. ბიჭმა უთხრა:

— მოდი, ერთი ხემწიფე დავჩპატიეოთო. ქალმა უთხრა:

— არ გინდა, ხემწიფეს თავი დაანებე, ჩვენ ჩვენთვინა ერთილუკმა პური ვჭამოთო!

— კარგია მდიდარი კაცი ნაცნობობაო. ადგა და წავიდა ხემწიფი დასაპატიჟებლათ. მივიდა ხემწიფეჩთან.

— უნა მეწვიო ჩემთანაო. ახედ-დახედა ხემწიფემა და უთხრა ვეზირებს:—წაჰყეთ, ნახეთ ამის ვინაობა, აქ რამე თუ არა, რო ვეწვიოთო!

წამოიდნენ ვეზირები და მოიდნენ ამ ბიჭი სახში. ქალმა ინატრა, რა გინდა ენა და პირო, ყველაფერი იქ გაჩნდა. ეს ვეზირები ამ სასმელ-საჭმელს კი არა კვირობენ, ამ ქალს უყურებენ მარტო. თუ სად იშოა ამ ბიჭმა. წამოიდნენ ვეზირები ხემწიფეჩთან.

— რაჩ ქენით, როგორ არი საქმე?—ამ ხემწიფემ ჰკითხა.

— ყველაფერი კარქაა, მაგრა ქალი ჰყამ იმ ბიჭ ისეთი, რო ერთი მზეა და მეორე ისაო.

— აბა, რა ვქნათ, იმ ქალ ხო ვერ წავართმევთო?!

— უნა დაიბარო და უთხრა, მზეჩ ერთი ჭედილაი ჰყამ ოქროსი, და ის მოგიყვანოს, თორემ თავს მოგჭრი-თქო. ეგ იმ ჭედილაჩ ვერ მაიყვანს და შენ იმას თავ ჭოშჭრიო,—ურჩიეს ვეზირებმა.

ხემწიფემ დაიბარა ეს ბიჭი და უთხრა:

— შენ უნდა წახვიდე, ჭზეჩ ერთი ჭედილაი ჰყამ და მომიყვანო აქა. ამ ბიჭმა თქვა:—წავალ, ვნახამ, თუ მოვიყვანე, მოვიყვანეო.

გასწია, მივიდა სახში და უთხრა თავი ცოლ, ასე მითხრა ხემწიფემაო.

— ახია შენზე, მე რო გითხარი, არ გინდა ხემწიფე, რო დაჩპატიჟე, აგრე იქნაო.

— წადი შენ,—ქალმა უთხრა,—გზაში ბევრ რამესა ნახამ, მაგრა ერთი ირემია, ერთი რქაი დედამიწაში აქ ჩაბჯენილი და ერთი ცაში, ახვალ იმ რქაზედა და მამაჩემი ჭედილას რას დაგიჭერსო. მისცა ნიშანი და გაუშვა. წავიდა ეს ბიჭი. ერთ ალაგაჲ გუთნეულში უბიათ რვა უღელი ხარ-კამეჩი, ბეწვი რო გამააძრო, ქონი გამოჲყობა. დღეში ხან შამოვლიან ორსა და ხანაც სამსა. მეგუთნეებმა უთხრეჲ:

— სად მიდიხარო?

— მე მივდივარ მზეთანო! ერთი ჩვენი ამბავიც გაიგე, კაცო, ამითანა ხარკამეჩი გვიბია და დღეში ხან ორ შამოვლით, ხან სამსა, ვერა ვმუშაობთო!

— კარქი, გავიგეფო. გასწია და წავიდა. შახვთა ერთ მეცხვარეს. ცხვარი ჰყამ აუარებელი.

— გამარჯობა, მეცხვარევ!

— გაგიმარჯოს!

— სად მიდიხარ, ძმაო?

— მე მზეჲთან მივდივარ.

— ერთი ჩემი ამბავიც გაიგე, ამოტენა ცხვარი მყამ და სუ მეხოცებაო!

— კარქი, გავიგებფო. გაიარა იქითა და ერთი სოფელში ერთ მელოგინეჲ მუცელი ჲტკივა, ერთი კვირაა ჲტკივა და ბავშვი ვერ უშობნია.

— გამარჯობათ! აბა, რა ამბავია, რა ხორხორია თქვენსაო,— იკითხა.

— ერთი კვირა ამ ქალ მუცელი ჲტკივა და ბავშვი ვერაჲ შობაო,—უთხრეს.

— მე მზეთან მივდივარ და თქვენ ამბავსაც გავიგეფო!

წაჩოიდა ეს ბიჭი და მიადგა ამ ირემ. მართლა ერთი რქაი ზეცაში აქვ ჩიბჯენილი და ერთიც დედამიწაში, თუ ამოუა წინა ბალახი, მოსძომ, თუ არა, არი ისე მშიერი.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— ერთი მზეჲთან მივდივარ და უნა ამიყვანო ამ შენ რქაზეო!

— თუ ჩემ ამბავსაც გაიგეფ, აგიყვან, თუ არა, არაო!

— კარქი, გავიგეფო!

ავიდა ეს ბიჭი მზეჲთან. მივიდა, მზი დედაი დახვდა სახში, მზე კი არა.

— გაჩარჯობა, ბაბო!

— მობრძანდი, შვილო, საიდან, როგორ! ბიჭმა აჩვენა ნიშანი:

— აი, ასეა ჩემი საქმეო. ბებერს ძალიან გეეხარდა, რო გაიგო თავი შვილიშვილის ამბავი. პური ჭამეა და ბებერმა უთხრა:

— დაიცადე, საღამოზე მოვა მზეი და შენ საქმეა გააჯწორეფსო.

საღამოთი მოიდა მზეი. ახარა ბებერმა:

— ჩვენი შვილი ამბავი გავიგეთ, სიძე გვეჯტუმრაო, რო დარდიანობდი შვილი აეზავსა, ამასაჯ ყოლიაო. დასხდნენ, ერთი კაი პური ჭამეს. ბიჭმა უთხრა:

— ამ ქვეყანაზე დაჯდიხარ და არაფერ ცუდ რამეს არაჯ ხედამო?

— როგორ არა ვხედამო! ერთ მეგუთნეებ გუთნეული უბიათ, რვაუღელი ხარ-კამეჩი, ბეწვი რო გამააძრო, ქონი გამოჯყობა, დღეში ხან შემოუვლიან ორსა, ხან სამსაო, იმ უბედურებსა სუ ყველაფერი რკინისაი აქვთო, უნდა ყველაფერი გადაჯყარონ რკინისაი, მარტო სახნის-საკვეთი დაიჭირონ რკინისაი და დღეში მოხნამენ სამი დღისაო. ამ ბიჭმა დაიმახსოვრა ეს და უთხრა:

— კიდე გეცოდინებაო!

— როგორ არ ვიცი, ერთ მეცხვარეჯ ცხვარი ჰყამ აუარებელი და სუ ეხოცება მთლათო. იმ უბედურმა ერთი ათშაურიანი დუქარდი იყიდოს, წელიწადში ორჯერ გადაჯპარსოს, ერთი გაზაფხულით და ერთიც შემოდგომით, მატყლი მატყლათ დარჩება და ცხვარიც გაუმრავლდებაო! ესეც დაიმახსოვრა ამ ბიჭმა.

— ნახე, ნახე, კიდე გეცოდინება რამეო!

— როგორ არ ვიცი, ერთ სოფელში ერთ ქალ ერთი კვირაა მუცელი ჯტკივა და ბავშვი ვერაჯ შობაო. ქალი, კაცი, ბავშვი სუ თავზე ახვევიანო. ყველა უნა მოშორდნენ, ერთი სამი ქალი ჩივიდეს, დაუგონ ჩალა-ბულაი და ბავშვსა შობამსო, ქალიც გამთავისუფლდება და ხალხიცაო! ესეც დაიმახსოვრა ამ ბიჭმა.

— კიდე გეცოდინება, აბა ნახეო!

— როგორ არ ვიცი, ერთ საწყალ ირემსა ერთი რქაი ცაზე აქ მიბჯენილი, მეორე დედამიწაშიო, თუ ამოუა წინ ბალახი, მოჯძომ, თუ არა, არი ისე მშიერიო, იმ უბედურმა, უნა გაიქნიოს თავი ხუთწელიწადში ერთხელ, ათშიცა მეორეხელ, დაცვივა რქები, დაჯდეს დუ აძოოს ბალახიო! ესეც დაიმახსოვრა ამ ბიჭმა.

იმ ღამეჯ დაწვნენ და დაიძინეჯ. მზე ჩვეულებრივ წავიდა თავის საქმეზე.

— საღამოზე მოვალ, ერთი კარქათ ვიქეიფოთ და ზეგ დილით წაიყვანე ჭედილაი და წადიო.

ეს ბიჭი გამოიდა მზი ბაღში. ბებერმა გააკეთა საჭმელი და მოურბენინეგ ამ ელიამა და მგელმა. ამ ბიჭმა რო ესენი დაინახა, თვალები ჭყიტა. აიღო ერთი კარქი ჩომბახი, დაადგა აგ ელიასა და სუ დაამტვრია თავ-პირი, ბოლოგ ორთავ თვალები დაგთხარა. დაადგა მერე ამ მგელსა და ისე დაამტვრია თავ-პირი, სუ დააყრევინა კბილები. ეს ჭედილაი გადმოიყვანა აქეთ, მოუბრუნდა ამ ოქროგ ბაღსაცა და ისე დალეწა, ისე დალეწა, რომა ნაალაგევი აღარ გაუშვა.

ბებერმა თქვა:—ე, რა ვირი სიძე გვყოლია, აბა, რა ქნაო?! მოიდა საღამოთი მზეი. მოუტანა ამბავი დედამა:

— სიძე გყოლია გიუზე-გიჟი, ფინთიო. ელიას თავ-პირი დაამტვრია და თვალები დაგთხარაო, ბგელსა კბილებიცა და თავპირიც დაამტვრია, შენი ბაღი ხო აღარ ინახვისო! მზემ ჰკითხა ამ ბიჭსა:

— რა დაგიშავა ემ ელიამა, რო ასეთი დღე დაგითენებიაო?

— როგორ თუ რა დამიშავა მაგანა! სამნი ძმანი ვიყაით და ერთი დღი ყანა გვქონდაო, რო გავიყარენით, გავყავით, შუაწელი მერგო მეო, ბწორეთ შუაწელი დასეტყვა, არც თავი და არც ბოლოო, როგორ არ უნდა მწყენიყო, ან თავიდან დეესეტყვა, ან ბოლოდანაო: აი, იმიტვინ დავთხარე მაგაგ თვალები და თავპირიც დავამტვრიეო!

— მგელმა რაღა გიყოო?

— ბაგანაც შავი დღე დამაყენაო. ერთ მეცხვარეგ ხუთი წელი ვემსახურე, ცხვარი დავიზიარეო. წორეთ გაყოფი დრო, როცა ცხვარი მოვრეკე ბაკში, მაშინ მომტაცა ერთი ბატკანიო; ამ ხუთი წლი ნამსახურმა ჩამიარა მუქთათაო; აი, ამიტვინ დავამტვრიე თავ-პირიო!

— მე რაღა დაგიშავეო, რო ბაღი მომისპევიო?

— შენ დამიშავე, რაც დამიშავეო! ერთ კაცსა ათი დღი ყანა მოუბკე ერთ დღესა; გარიგება გვქონდა: მზი ჩასვლამდი უნდა მამემკოო. ორი ძნაღა მქონდა მოსამკალი, დავიჩოქე, გეხვეწე, შენი ჭირიმე, არ წამაგებინო სანაძლეოო, შენ ყურიც არ მიგდეო!

— მე, აბა, რა ვიცოდი აქედანაო,—უთხრა მზემ.

— იცოდი, არ იცოდი, კაცი მდგომარეობაში უნდა შახვიდეო; როგორც შენ გეწყინა მაგ ბაღი დალეწვა, ისე მე მეწყინა იმ ოცი თუმანი დაკარგვაო!

ბიჭმა უთხრა:—ეხლა დავსხდეთ, პური ვჭამოთ და დილაზე უნდა წავიდეთო. ჭამეგ პური, დაწვნენ, დაიძინეს. გათენდა დილაი. წამოიყვანა ოქროგ ჭედილაი და წამოიდა ეს ბიჭი.

მოიდა ამ ირემთანა:

— აბა, ჩამიყვანე ძირს ეხლაო!

— ჯერ მითხარი, ჩემი ამბავი გაიგე, თუ არაო?

— რო გითხრა, აქ დავრჩები, ჯერ ჩაშოიდე ძირსაო! ჩამოიდა ძირსა და უთხრა ირემსა:

— ხუთ წელიწადში ერთხელ, ათში მეორეხელ გაიქნივე თავი, დაგცვივა რქები, დაჯექი და ძოვე, რაზე იკლამ შიმშილით თავსაო! გამოაწია და წამოიდა. მოყამ ეს ჭედილაი. მოიდა იმ სოფელში, შელოგინე რო არი.

— რაჲ ქენი, ჩვენი ამბავიც გაიგეო?

— მაშ, გავიგეო; მაგოდელა ხალხი რო ახვევიხართ, უნა მოშორდეთ, ერთი სამი ქალი დარჩება, პატარა ჩალაი გაუშლიან და შობამს ბავშვსაო. გაუშალეჲ ჩალა და, მართლა, შობა ბავშვი.

ბივიდა ეს ბიჭი მეცხვარესთან.

— ჩემი ამბავიც გაიგე?

— გავიგეო, უნა იყიდო ერთი ათშაურიანი დუქარდიო, წელიწადში ორხელ უნდა გაპარსო ცხვარი, მატყლი-მატყლათ შეგენახება და ცხვარიც გამრავლდებაო!

გამოაწია იქიდან და მოიდა ამ მეგუთნეებთან.

— ჩვენი ამბავიც გაიგე?

— გავიგე; ეს სუ ყველაფერი რო რკინისაი გაქთ, სუ უნდა გადაჲყაროთ, სუ ყველაფერი ხისაი უნდა გქონდეთ, მარტო სახნისაკვეთი გარდა და დღეში სამი დღისას მოხნამთო! ეგრეც მაიქცნენ.

წაშოიდა ეს ბიჭი და ეს ჭედილაი მიუყვანა ამ ხემწიფესა. ხემწიფემ უთხრა ვეზირებ:

— ეხლა რა-ღა უყოო?

— ჩვენ გაჲწავლით, აბა, დაიბარეო! დაიბარეს ეს ბიჭი და უთხრეჲ:

—შენ უნდა წახვიდე საიქიოსაო, დედა ჩემ ერთი ოქროჲ ბეჭედი გაჲყვა რო მოკვდაო და ის ბეჭედი უნდა მაიტანოო. წავიდა ეს ბიჭი და უთხრა ცოლსა:

— ესე მითხრა ხემწიფემაო. ცოლმა უთხრა:

— მე ხო გითხარი, ხემწიფეჲ ნუ დაჲპატიჟებ, ეხლა შენ იციო, შენ საიქიოდან ვერ მოხვალ და მე ხემწიფეი გადამალაჯებსო.

წავიდა ე ბიჭი საიქიოჲ. ერთ ალაგაჲ გაიარა და დაინახა: ამოუყრიათ თონეი, ღვინოც ბევრი აქვთ, ხორციც ბევრი, დგანან და ტირიან: გვშიან და გვშიანო!

— აბა, რა გაშივებთ, საჭმელიც ბევრი გაქვთ და სასმელიც, ადექით და ჭამეთო,—უთხრა აწ ბიჭმა.

— ჩაიარე, ჩაიარეო, ჩამვლელი ბევრი გვინახამ, ამომვლელი არავინ, რო ამოივლი მერე გეტყვით ამბავსაო!

გაიწია ცოტაი და დაინახა: ერთი პატარა ნატეხი პური უგდიათ, პატარა არაყიცა და იმითანა ქეიფი აქვთ, რომა იტყვი ქორწილიაო.

— იქ იმოტელა საჭმელი ჰქონდათ, მშიერი ჰკვდებოდნენ, თქვენ ასე ცოტა რამე გაქვთ და ქეიფობთ, როგორ არი თქვენი საქმეო?

— ჩაიარე, ჩაიარე, ჩამვლელი ბევრი გვინახამ, ამომვლელი არავინ, რო ამოივლი მერე გეტყვითო!

გაიწია და წავიდა. ერთ ალაგას, დიდ დარბაზ სახში, ერთ დიდ ტახტზე ერთ ცოლ-ქმარი წვანან და ვერ ეტევიან, ბიიწი, მიიწი,— ერთმანეთში ჩხუბი აქვთ.

— რა გემართებათ, მაგოტელა ტახტზე ვერ ეტევითო?

— წადი და რო ამოივლი მერე გეტყვითო!

— გაიწია და წავიდა. დაინახა ერთ პატარა ფიცარზე ერთ ცოლ-ქმარი წვანან და ეხვეწებიან ერთმანეთს: მოიწი, გენაცვალე, აქეთ მოიწი, ბევრი ალაგიაო. ამათაც შეეკითხა:

— ისინი იმოტელა ტახტზე ვერ ეტეოდნენ და თქვენ ამ პატარა ფიცარზე როგორ ეტევითო?

— წადი, ჩაიარე და რო ამოივლი მაშინ გეტყვით, ჩამვლელი ბევრი გვინახამ და ამომვლელი არაო!

გაიწია და მივიდა ხემწიფი დედათანა.

— გაბარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— ხემწიფემ გამომგზავნა, ბეჭედი რო გამოგყვა, ის გამატანოო.

— ამ ბეჭედ გაგატან, მხოლოთ, რასაც დაგავალეფ, ყველაფერი უნდა უთხრაო; რა იყო, მთელი სახემწიფო დაგიტოვე და ეს ერთი ბეჭედი შეგშურდა ჩემთვინაო. რახან ეს ერთი ბეჭედი შეგშურდა, არ გაგაძღოს ზეციურმა ღმერთმაო, არამი იყვეჲ და ცეცხლი ჩემი ამაგი შენზედაო, აჰა, ეს ბეჭედი, და ჩემი დატანჯვითვინა-თქო, შენამცა ქცეულხარ კურდღლათა, შენი ნაზირ-ვეზირები მეძებრებათ, გწეწონ და გწეწონ-თქო.

წამოიღო ეს ბეჭედი ბიჭმა და წამოიდა. მოიდა იმ ცოლ-ქმართან, პატარა ფიცარზე რო იწვნენ.

— კაცო, როგორ ეტევით ე მაგ ფიცარზეო?

— ჩვენა იქაც ესე გვიყვარდა ერთმანეთი და აქაც, აბიტვინ ვე-

ტევით ერთათო. წამოიდა იქიდან და მივიდა იმათთან, დიდ ტახტზე რო იწვნენ.

— რა გემართებათ, მაგოტელა ტახტზე ვერ ეტევითო?

— ვერ ვეტევით, იქაც ასე ვიყავით, ჩხუბი გვქონდა, ერთმანეთ ვეჩხუბებოდით და აქაც ასე ვართო, მოიდა ამ პატარა პურზე მოქეიფეებთან.

— ე მაგ პატარა პურზე როგორაჲ ქეიფობთო?

— იმიტვინა, რო იქაც ასე მოქეიფები ვიყავით და აქაც ესე ვართო. წამოიდა იქიდანაც და მოვიდა ამ ხალხთან, ბლომათ რო აქვთ საქმელ-სასმელი და მშივრები არიან. ქამეთ, ხო გაქვთ ყველაფერი, რაღა გატირებთო?—უთხრა ამათაც.

— ჩვენა ესე ვიყავით და, აი, აქაც ასე ვართო; მთხოვარი რო მოიდოდა ჩვენ კარებზე, მე ხო დაუტატანებდი და ჩემი ქმარიც გამოვარდებოდა სახრითა, ეზოჲ კარებამდე ცემით მიდენიდაო; იქაც გაუმაძღრები ვიყავით და აქაც ასე ვართო.

წამოვა ეს ბიჭი აქედანაც. მოიდა ხემწიფეჲთან.

— რაჲ ქენი, მოიტანე ბეჭედი?

— მოვიტანეო და მისცა ბეჭედი,—ნხოლოდ, რაც დამაბარა დედაშენმა, უნა გითხრაო.

— უნა ნითხრა, მაშაო!

— დედაშენმა შამოთვალაო, ამოტელა ამაგი გიყავი, ამოტელა სახემწიფო დაგიტოვე და ერთი ბეჭედი შაგშურდა ჩემთვინაო, არამი იყვეჲ ჩემი ამაგი და ცეცხლი შენზეო; არ გაძღა შენი თვალი და არც გაძღებაო; ჰა, ე ბეჭედი და ამ ჩემი ტანჯვითვინა შენამცა ქცეულხარ კურდღლათა და შენი ნაზირ-ვეზირები — მეძებრათაო, გწეწონ და გკბინონო. იქცა ეს ხემწიფე კურდღლათ, ნაზირ-ვეზირები—ნეძებრებათა. გაუღო კარები ამ ბიჭმა, კურდღელი გამოვარდა, გამოვიდნენ მეძებრებიც და დღესაც გარბიან.

ხემწიფობაც ამ ბიჭს დარჩა და მთელი ქონებაცა. მოიყვანა თავი ცოლი და დღესაც ბედნიერათ ცხოვრობს.

48. ქურსიქი—ჯეირანი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხემწიფე. ჰყვანდა სამი ვაჟიშვილი. როდესაც ეს ხემწიფე კვდებოდა, დაიბარა შვილები და უთხრა:

— შვილებო, მე მალე მოვკვდები და ყველა სახემწიფო წაგიგეჭიდებათო, რომელ მხარეშიაც წახვიდეთ, აი, ჩემ ოთახში ერთი

მამა-პაპისეული ხმალი მაქვს ხოროსნის ფოლადით დაპირული და ჰეირ-ხიბარ-ხუბარ-ყამარ-ყათილის თილიყამყამიც გვერდზე უდემ, უიმისოთ არც ერთ მხარეჲ არ წახვიდეთო, იცოდეთ, საცა წაიღებთ, ყველ'გან გაიმარჯვებთ; მეორეც ისაო, რო ყველა მთაში ინადირეთ, არამც და არამც წითელ მთაში არ ინადიროთო.

ეს ხემწიფე მოკვდა. შვილებ ყველა სახემწიფო წამეეჰიდა, ყველამ ომი გამოუცხადა. პატარამ თქვა:

— აბა, ძმებო, წავიდეთ, ვნახოთ, ის ხმალი რა ხმალიაო. შავიდა პირველათ უფროსი ძმაი ოთახში, ეს ხმალი ალაგიდან ვერ გადააბრუნა. გამოიდა და ძმებ უთხრა:

— დაქანგებულია, ის როგო უნდა წავიღოთ სამარცხვინოთო. ეხლა შუათანა შავიდა. იმანაც აიღო ხელში, მაგრა ვერ მოერია. გამოიდა და იმანაც თქვა:

— სამარცხვინოთ აბა ის ხმალი წაიღებაო! შავიდა პატარაიც და ბედნიერ ქარქაშიდან რო ამოიღო ეს ხმალი, ხოროსნი ფოლადით არი დაპირული, ელამს პირდაპირა.

— აი, ხმალიო,—თქვა, გადაიგდო მხარზე და გამოიდა.

— წაიღე, დააგდე, სამარცხვინოთ ეს ხმალი როგორ უნდა გაბაიტანოო,—ძმებმა უთხრეს და ერთი კარქა ჩააფერთხეს თავშია. ამ პატარამ მხარზე გადიკიდა ხმალი, ფარაჯა ჩაიცვა და ისე გამოიდა. რომელ მხარეშიაც წავიდნენ, ყველა სახემწიფო დაიმორჩილეს. ბოლოს სამთავენი ხემწიფეები გახდნენ.

ერთხელაც სთქვეს: მოდი, გავინადიროთო. გაბოიდნენ, მთელი მთები დაიარეს და ერთი ჩიტიც ვერ მოჲკლეს. დასხდნენ ერთ ალაგაჲ და პურსა ჭამენ. უფროსმა. ძმამ თქვა:

— მოდი, იმ წითელ მთაში წავიდეთ, რაც იქნება, იქნებაო! შუათანაშაც დაეთანხმა:

— წავიდეთო! პატარამ უთხრა.

— რათა, ძმაო, მამაჩვენი ჭკვიანი კაცი იყო, ალბათ, იმიტომ დაგვარიგა, რო საფრთხე რამე იქნებაო, რა არი, ნუ წახვალო!

— შენ სულ ეგრე იცო,—უთხრეს ძმებმა და ერთი მაგრა ჩააფერთხეჲ თავში,—წადი აქედან, დაიკარგეო. გამოჲწია პატარა ძმამ და წაბოიდა. უფროსი ძმები კი წავიდნენ წითელ მთაში. შუათანამ უთხრა გზაში უფროსსა:

— მოდი, ნუ წავალთ, რა არიო, პატარამ განა მართალი არ გვითხრაო!

— წადი, არც შენ დამენახოო, და უფროსმა ისიც გამააგდო. გა-

ჟწია და ეს უფროსი გადავიდა ამ წითელ მთაში. აუარებელი შველი და ირემია, ჯიხვი და ჯეირანი. დაუწყო უწყალოდ ხოცვა ამ ნადირსა. სად არი, სად არა, შორიდან ერთმა მდევმა დაინახა, რომელიც დარაჯათ უყენიათ, დაუძახა ამ უფროსსა:

— აი, შე მყრალო ადამიშვილო, გადმოხველ ამ ჩემ მთაშია და ამ ჩემ შინაურ ნადირსა უწყალოთ ხოცამ, მაგი ნებაი ვინ მოგცაო?

— შორიდან ნუ ბუტბუტებ, ახლო მოდი და პასუხ გაგცემო. მოიდა ეს მდევი და დაიჯახნენ. მდევი ექვს თავიანია. აიღო ამ ბიჭმა და ხუთი თავი მააჭრა. ერთი თავი რო დარჩა, მდევმა უთხრა:

— ე ხო მამკალი, მაგრა, აი, ემ გზით რო წახვალ, კოშკ ნახავ, კოშკში სამი მზეთუნახავი ქალია და იმათ ნუ დაკარქამო. რა არი, იქ თავი ძმები სცხოვრობენ და შური იძიონ ამ ბიჭზე. ბიჭმა მოშჭრა მეექვსე თავიცა, გაჟწია და წავიდა. მეორე საძღვარზე რო გადავიდა, ათთავიანი მდევი დახვდა, ექვსთავიანის შუათანა ძმაი. ბდევმა მაშინვე იფიქრა, ჩემ ძმაჟ მოჟკლამდაო, გაუშალა ლახტი და დასცხო. ბიჭმა ფარი უჩვენა და გადარჩა. დაეძგერნენ. დიდი ომი აჟტეხეს და ესეც მოჟკლა ამ ბიჭმა. ამ დევმაც უთხრა:

— მე ხო მამკალი და ესაა, აი ემ კოშკში სამი მზეთუნახავი ქალია და მეეპატრონე, ნუ დახოცამო. რა არი, იქ უფროსი ძმა არი და იგი შურ იძიებ. მოშჭრა დევს ყველა თავი და წავიდა. ამ კოშკი კარებზე რო მივიდა, ერთი დიდი დაცემული კალო ნახა წინ. ორი სკამი დგა ქვისაი, ერთზე სამოყვრო აწერია, მეორეზე სამტროი. მივიდა ეს ბიჭი და სამტრო სკამზე დაჯდა. კოშკიდან გადმოიხედა თუ არა, თხუთმეტ თავიანმა მდევმა, იფიქრა: ეს რო სამტრო სკამზე დაჯდა, ჩემ ძმებ ხო დახოცამდაო.

ჩამოიდა გამწარებული კოშკიდან, დაავლო აბ ბიჭ ხელი და ბავშვივით აიყვანა.

— ჯერ გამხდარი ხარ, უნდა გაგასუქოო, ჩააგდო ერთ დიდ ხაროშია და ქიშმიშ-ლაბლაბი ჩაუყარა, ჭამე, გასუქდი და მერე დაგკლაბო. ამ ბიჭ დარდით რა ჭირი გაასუქებ. ხაროშია, დგა და ტირის.

შუათანა ძმა რო წავიდა, არც სახში მივიდა და არსად. თქვა, სადაც ჩემი უფროსი ძმა მოკვდა, მეც იქ უნდა მოვკვდეო და წამოიდა წითელ მთაზე. მოიდა, ნახა შველი, ირემი, ბდევები ნახოცი. თქვა: ჩემი ძმაც აქ იქნებაო. ცოტა გაიარა და მეორე მდევიც ნახა მკვდარი. მაშინ უფრო დააჯერა გული, რო ჩემი ძმა აქ იქნებაო. მივიდა ამ კოშკთანა. ისიც სამტრო სკამზე დაჯდა. გადმოიხედა მდევმა. ჩა-

მოიდა, ისიც დაიჭირა და იმ ხაროში ჩააგდო: შენც გასუქდი და მერე დაგკლამო. შასტირეს ძმებმა ერთმანეთს:

— ვაი, რა დღეში ჩავცვივდით, რა გვიჭირდა, გაბგეევლო ცოტა ხანსო.

პატარა ძმა რო სახში მოიდა, სახეიწიფო ებნევა:

— შენი ძმები რა იქნა, დაკარგე, დახოცე, აბა, გვითხარიო, წავიდეთ და მოვძებნოთო! პატარამ თქვა:

— რა ჩემი სახელია, სახემწიფო წავიყვანო ძმები საძებრათო, ადგა შუალამისას, აისხა თავი იარაღი, გაჴწია და წავიდა. გადავიდა ამ წითელ მთაში, ნახა: შველი, ირემი, მდევები ნახოცი და იფიქრა: ჩემი ძმებიც აქ იქნებაო. მივიდა იმ კოშკი კარებზე და ისიც საჴტრო სკაჴზე დაჯდა. მდევმა რო გადმოიხედა, ისევე გადმოხტა გაბრაზებული. რო გადმოხტა, წელამდი მიწაში ჩაჯდა. დაავლო ხელი ამ პატარამ და როგორც ლოქო ისე ამააძრო:—რა გემარჯება, ყოჩაღად იყაო. ამ მდევმა თქვა: ერიჰაა, ამაჴ ნაკლები ძალა არ ექნება, რო ხელში ასე ამიყვანაო. მდევმა უთხრა:

— რით ვიომოთ, ღვთითა თუ ძალითა?

— როგორც შენი ნება�ო,—ამ ბიჭმა უთხრა. მაშ, ასი ნაბიჯი უკან დაიწიე, ასჯერ შამოუაროთ ერთმანეთ და ისე დავიჯახნეთო,—დევმა უთხრა. რო შემოუარეს, დაიჯახნენ. ამ მდევმა აიღო ბიჭი და კოჭებამდი მიწაში ჩასვა; ამოხტა იმწავე ბიჭი, აიწია და მდევი მუხლებამდი ჩასვა მიწაშია; ამოხტა ეს მდევი და მუცლამდი ჩასვა ბიჭი; ამოხტა ეს ბიჭი ხელათ, აჴწია და გულამდი ჩასვა, აიწია და გულამდი ჩასვა იმანაც; ამოხტა ეს ბიჭი ხელათ, მოიკრიფა ძალაი, აჴწია და ყელაჴდი ჩასვა მიწაშია. მოუსვა ხოროსნის ფოლადით დაპირული თილიყამყამი და თავები დაათალა.

— ხომ მკლავ და ეგ არი, მაგრა ამ კოშკში სამი მზეთუნახავი ქალია და მაგათ მეეპატრონე, ნუ დახოცამო.

— მე ჩაგას არ გელაპარაკები. ჩემი ძმები სად არიან, მითხარი ჩქარაო?

— შენი ძმები არ ვიცი!—უძალავს მდევი.

— ჩქარა, თორემ ჰა, დაგათალე ეს თავებიცაო!

— ერთი თავი შემანარჩუნე შენი მადლი გულითვინ და გეტყვიო.

— ერთ თავ შაგანარჩუნებ, ოღონდ მითხარიო!

— წადი, ნახე, იმ ხაროში არიან ორთავეო. ბიჭმა ეს რო გაიგო, მოუსვა და ეს თავიც მოშჭრა. მივიდა ბიჭი მაშივე ამ ხაროჴთანა და ჩაიხედა. ძმებმა შამოჴტირეჴ იქიდან:

— გვიშველე, ძმაო, აი, რა დღეში ჩავცვივდითო! ჩაუგდო ბიჭმა ჭამანდი და მაშინვე აშოიყვანა. ამოიყვანა თუ არა ძმები, პატარა ძმამ გაშალა თავი ჰეირ-ხიბარ-ხუბარყამარყათილის თილიყამყამი ლახტი, დაუშვა და ამ კოშკი ნახევარი მხარე ჩამაანგრია. იქიდან ქალებმა შამოჟტირეჟ:

— შენი ჭირიმე, არ დაგვხოცო, რაჟ გვემართლებიო. ავიდა მაშინვე და ეს ქალები სამთავენი ჩამაიყვანა. უფროსი უფროს დაუსვა გვერდზე, შუათანა—შუათანას და უცროსი თვითონ დაიტოვა. დასხდნენ კალოზე და ერთი კაი პურიჭამა გაშართეს. როცა წასვლა დააპირეჟ, პატარა ქალმა თქვა:—ჩვენ აქედან ფეხით უნდა წავიდეთ და სამი ჩალი ფერი რაში აქა რჩებაო, ეს რაშები ცხრა დაკეტილშია და იქ ოცთავიანი მდევია ყარაულათო.

პატარა ძმამ შაიბა თავი ხმალი და ხელათ მივარდა ამ ცხრა დაკეტილ; ჩამოლეწა ამ ხლმით ცხრა დაკეტილი, ნახა ოცთავიანი მდევია ჯაჭვით დაბმული. გაუხსნა ჯაჭვი და გაამთავისუფლა.

— აი, ახლა ვიბრძოლოთო,—უთხრა ბიჭმა. შაუხაღლეჟ ერთი მეორეჟ იარაღი და მოუქნია ამ მდევმა ხმალი. ბიჭმა შააშვირა თავი თილიყამყამი და ვადაში გადაუტყდა ხმალი დევსა. მოუსვა და ცალი მხარე სუ ჩამაათალა ამ ბიჭმა. მიადგა და მდევი სუ ასო-ასო აკაფა. გამორეკა ეს რაშები სამთავენი და წამაასხა. დაურიგა თავი ძმებ სათითაოთ. შასხდნენ, წამოიყვანეს ქალები, მდევების ოქროვერცხლიც არ დაჟტოვეჟ და წამოიდნენ. მოიდნენ თავაანთ სახემწიფოში, აბა, სამთავემ ერთი დიდი ქორწილი გადაიხადეს, დაადგნენ თავიანთ საქმეს და მუშაობენ.

ეს პატარაი ზი თავი რაშზე და დადის სანადიროთ. ერთხელაც ამ ძმებმა შური აართვეჟ და უთხრეჟ ერთმანეთსა.

— ჩვე რო ესე თავწაკრული ვმუშაობთ, ბაგას აბა ნადირობით რა მოაქვს ჩვენთანაო, უნა ბოიდეჟ და ჩვენთან იმუშაოსო. საღამოთი ბოიდა ეს ბიჭი და ძმებმა სალამი არ მიჟცეჟ.

— რა იყო, აბა რაჟ მებუტებითო?—პატარამ უთხრა (ამ პატარაჟ ძალიან უყვარ თავი ძმები).

— როგორ რას გებუტებითო, ჩვენ რო ვსაქმობთ, შენ მაგ ნადირობით, აბა, რა მოგაქო!

— კარგი, თქვე კაი ხალხო, მაგაზე რას ბებუტებით, მოვალ და მეტს ვიმუშავებო. დაადგა მეორე დღეჟ და დაიწყო წერვაი იმანაც (ძმები სახემწიფოჟ საქმეებ წერამდნენ). ერთი კვირა წერა და თქვა:

— თქვენი დედაც და თქვენი საწერ-კალამიცაო, შააჯდა თავი

რაშზე და იარა, წავიდა და ნადირობს. რამდენიმე ხანი გავიდა და ძმებმა თქვეს:

— მაგას თუ არ გავეყარენით, ნადირობაზ არ დაიშლისო. ერთ საღამოსაც მოიდა ეს ბიჭი სანადიროდანა და ძმებ მიესალმა. ერთმა აქეთ წაიღო ცხვირი და მეორემ იქით, არცერთმა სალამი არ მისცა.

— რა იყო, რა დავაშავე ისეთი, რო მემდურებითო?

— თუ მოხვალ, იმუშავებ, იმუშავე, თორე ხვალიდან უნა გავიყარნოთ, შენ შენთვინ, ჩვენ ჩვენთვინაო. პატარამ უთხრა:

— ჩვენ ხოშ სამნი ძმანი ვართო, სამი დღე მომეცით უფლება ვინადიროო და მერე მოვალ და თქვენთან ვიმუშავებო.

— სამ დღეზ კი არა, სამ თვეზ მაგცემთ, მაგრა შენ კიდე არ დაიშლიო!

— არა, სამი დღეი მომეცით უფლება, მეტი არ მინდაო,—უთხრა პატარამა.

— აბა, წადი და ინადირეო.

გათენდა დილაი, გამოიდა ეს ბიჭი და წავიდა სანადიროთ. ჯერ დაიჩოქა და შეჴთხოვა ღმერთსა: ღმერთო, ზეციურო, გამჩენოო, ისეთი ნადირი მამანადირებინე, რო რაც ძმებ უშრომნიათ, იმი ფასი იყვესო. გაჴწია და წავიდა.

მივიდა ერთი ტყიჴ პირში. ღელიდან ერთი ქურციკი—ჯეირანი ვამოარდა. ოქროს ყაჯრით-დაყაჯრული, ზედ ქსოვილებ გამართული: როგორც ვინატრე, ეგ არიო, თუ ცოცხალი არ დავიჭირე, რაღა ბიჭი ვყოფილვარო, ჰოდა, გამეეკიდა თავი ჩალიფერი რაშით ამ ჯეირანს. ზდია ჯეირანს, მაგრა ვერ ეწევა. სადაც დაუღამდება, დაჯდება და დაისვენებს, ეს ჯეირანი შორიდან უცქერის ამ ბიჭსა. გადაატარა ორი-სამი სახეშწიფო.—შენ რჯულძაღლო, რა ხარ, რა სულიერი ხარ, რო ასე გადმომკარგე, მე ხო ჩემ ქვეყნაჴ ვერ გავაგნოფო! დაუჭირა ისარი, ჰკრა და გააგორა. მივიდა და გაბრაზებულმა ხანჯალი შიგ მუცელში ჩასცა. ემ ხანჯალი ჩაკვრა იყო და ეს მონადირე ბიჭი იქცა ძაღლათ. ადამიანის გონება აქ და ძაღლია. იარა, იტრიალა, იხეტიალა, და თქვა: — მოდი ისევ-ისე ქალაქში წავალ, თორე ამ ტყეში ვი რას მაჭმევსო. ჩავიდა ქალაქში და სუ დეედვნენ: ბავშვი, ქალი, კაცი ძაღლი, რომელსაც წამოჴკრამ ტოტსა, როგორც პანტაი, ეგრე ისვრის აქეთ-იქით.

ერთმა ბებერმა წყალი აამსო წყაროჴ თავზე, მივიდა და ამ ძაღლმა მიულაქუცა. ბებერმა თქვა: აი, რა ჭკვიანი ძაღლიაო და დაუწყო ბავშვებ წყევლაი. დაუყვავა და წამოიყვანა სახში. აჭამა ცოტ-

პური, გარეთ ბებერმა ცეცხლი აანთო და კერძ აკეთებ, მაგრა ქვაბი სახურავი სახში დარჩა, — რა კარგია, ერთი მორბედი ჩემთვისაო, აბა, იმ სახურავითვინა როგო წავიდეო,—წაიბუტბუტა ბებერმა. გაქანდა ამ ძაღლმა და გამოურბენინა ხელათ.—არა ვთქვი განა, ე რა გონებიანი ძაღლიაო!

რაც მოუნდება ამ ბებერსა, შეშა, წყალი, იტყვის კია და ძაღლი მაშინვე მოურბენინებს. ისე გაითქვა ძაღლმა სახელი, რო მთელი ქვეყანა მასზე ლაპარაკობს. სოფლი ახლო მეცხვარეებია და შური აართვეს ამ დედაბერსა. უთხრეს:

— შენ რათ გინდა ე ძაღლი, ჩვენ მოგვეციო.

— მე ამ ძაღლ არ გავყიდი, ჩემი შვილიც ეგ არი, ხარიცა და კამეჩიცაო, მე ამით ვსაზრდოობო, — დედაბერმა უთხრა მეცხვარეებსა. წამოიდნენ მეცხვარეებმა და მ-ეტანეგ ხემწიფეგ ამბავი: ასეთი და ასეთი ძაღლი ჰყამ ერთ დედაბერსაო. ხემწიფემ დაიბარა ეს ბებერი თავი ძაღლიანათა.

— ეს ძაღლი ვინ მოგცაო? — ჰკითხა ხემწიფემა.

— ვიპოვე, ვისიც უნა იყვესო, — თქვა ბებერმა.

— ეგ ძაღლი შენ არ გინდა, მე მჭირდებაო, — უთხრა ხემწიფემ.

— განა სახლი გაქ. საცა ცხოვრობო?

— როგორ არა, მაქო,—უთხრა ბებერმა.

— აი, ასი ოქრო, ერთი მოახლეც, და ძაღლი მე დამიტოვეო.

წავიდა ამ ბებერმა თავი სახში და ძალიან კარგათა ცხოვრობ.

ხემწიფეგთან ამ ძაღლმა კიდე უფრო გაითქვა სახელი. ბაზარში რო გაგზავნის, რასაც დააბარებს ყველაფერი მოაქ, ხურდაი როგო შაიძლება ნოქრებმა არ მიიცენ, მაშივე ჩამააგლეჯ საყელოსა. ერთხელაც ეს ძაღლი აყვირდა, აგტყდა, ლამი დაანგრიოგ იქაურობა. ხემწიფემ დაიბარა მეცნიერები და უთხრა:

— ჩემი ძაღლი ასე შვრება და გამიგეთ, რა უნაო.

— მამალია, თუ-დედალი ეგ ძაღლიო?—მეცნიერებმა ჰკითხეგ.

— მამალი ძაღლიაო.

— აბა, ერთი დედალი ძაღლი შაუგდე, საცა თვითონ არიო. შაუგდეს დედალი ძაღლი, აიღო ამ ძაღლმა და ერთი მამალი ლეკვი გააჩინა. ერთ ღამესაც ეს ძაღლი თავი დედალ ძაღლთანა და ლეკვთანა წემ, ადგა და იფიქრა: მე ხემწიფე ვიყავი და ეხლა, უყურე, ძაღლი ვარ, ძაღლი ცოლათ მყამ და ძაღლიც შვილიო. დაგკრა ამ შუშაბანდსა, საცა არი, დალეწა და გამოიქცა. მივიდა იმ ჯეირანთან, მკვდარი რო დაგტოვა, თავი ტანისაგოსიც იქაგ ყრია, იარაღიცა და

ყველაფერი. ეს ხანჯალი ისევიისე მუცელში აქ. აიღო კბილით ხანჯალი, გაუქნია და გამაუქნია: შენ რჯულ ძაღლო, შენა, რა ხარ, რა სულიერი ხარ, რო ეგრე გამტანჯეო და კიდე ჩასცხო მუცელში ხანჯალი. ძაღლი ეხლა იქცა ერთ რაშათ. ბევრი იარა და იხეტიალა. ბოლოსა თქვა: მოდი, ისევისე იმ ჩემ ბებერ ჩაუვლიო. ქალაქში ხალხი დაედო, ყველას უნდოდა დაეჭირათ, მაგრა ახლო არავი იკარებ. დედაბერმა შახედა თვალებშია: ეს უსათუოთ ის ძაღლია, ჩემთან რო იყოო. დაუყვავა. დაბა, აჭამა, ასვა. ეხლა ამ რაშმა იმ ძაღლზე უფროდ დიდი სახელი გაითქვა, რაც გინდა დაჭირდეა ამ ბებერ, ყველაფერი მზათ არი. ბებერი داببეზღეა ხემწიფეათან: ასეთი და ასეთი რაში ჰყამო. დაიბარა ხემწიფემ ბებერი თავი რაშიანათა.

— რაში მე დავჰკარქე და შენ ვინ მოგცაო.

— ვინ დაკარქა არ ვიცი, მე ის ვიპოვე კია, არ მამიპარიაო. ხემწიფემ უბრძანა:

— შენ რათ გინდა რაში, მე მჭირდება, აი, ასი ოქრო, წაიღე და იცხოვრე კარქათაო. ოქრო მიიცა ბებერსა და რაში წაიყვანა. ბებერი ამ ოქროებით გამდიდრდა.

ხემწიფეათან რაშმა ისე გაითქვა სახელი, საიდან გინდა, რო ცნახველები არ მოადიან. ერთხელა რაში აყვირდა, სუ დალეწა იქაურობა. ხემწიფემ დაიბარა მეცნიერები და ჰკითხა:

— აბა, გამიგეთ, რა გაშჭირვებია ჩემ რაშსაო. მეცნიერებმა ჰკითხეს:

— დედალია, თუ მამალი, თქვენი რაშიო?

— მამალიო.

— ერთი დედალი რაში შაუყვანე და დაუბი გვერდზეო. შაუყვანეს დედალი რაში და მასთანაც ერთი მამალი რაში გააჩინა.

ამ ხემწიფეა ერთი მზეთუნახამი ქალი ჰყამ. გარეთ არ გამოადის ეს ქალი ღამი თორმეტ საათამდი. ქალმა წერილი داببეერა და ბამაა მიიცა:

— შენი რაში სანახავათ სხვა ქვეყნებიდან მოადიან და ერთი მეც მაჩვენე, რა იქნებაო. მამამ წაუწერა ხელი:

— ღამი თორმეტ საათზე გამოდი და ერთი საათით ნახე ჩემი რაშიო. ღამის თორმეტ საათზე მზეთუნახავი ძიძამ გამოიყვანა და შაიყვანა რაშთანა, როცა ქალი შავიდა რაშთანა, ძიძა გარეთ უცდის ჩაკეტა კარები და ბივიდა ამ რაშთან. როგორც ეს ქალი უყურებ, რაშიც ისე უყურებ. ქალმა თქვა: ე, მართლა რა გონებიანი რაშიაო. ისე მიიწევ ეს რაში ამ ქალიაკენა, ლამი აკოცოს. დაიჩოქა ამ ქალმა

და შასთხოვა:—ღმერთო, ზეციერო, გამჩენო, რათაც დაბადებულა ეს რაში, იმათ აქციეო. იქცა ეს რაში ისეთ მონადირეთ როგორიც იყო. მოეხვია ამ ქალსა და ჩაჯოცნა. გავიდა საათი და დაუკაკუნეს კარები. მონადირე ისევისე რაშათ იქცა, დააბა ქალმა და წამოვიდა. იმ დღიდან დაორსულდა ეს ქალი. ასწონამ ხემწიფე, ნახაჰ თავი შვილ ემატება. — აბა, ჩემ ქალ ვიღაც შაუყვარებია და ემ სააჩი უნა ჩამოვახრჩოო. მეცნიერები ებნებიან ხემწიფეჲ:

— მარიამს, თურმე ქრიჲტე თავითავათ ჩეესახა, ეგებ მაგასაც ეგრე მოუვიდა, ჯერ დაიცა, მაგი საქმეჲ გამოვიკვლევთ, ტყვილა რათ უნდა ჩამოვახრჩოთო. დაუდვენ პირობათ ათი წელიწადი.

გაუჩნდა ან ქალ ვაჟიშვილი. ამ ხემწიფეჲ ძალიან ეჯავრება ეს ნაბუშარი ვაჟიშვილი და თავი ქალიცა. მალმალ ქალ გამოიყვან და იძახის: უნა ჩამოვახრჩო და უნა ჩამოვახრჩოო. ამ პატარა ბავშვს, რაშიშვილ და ძაღლიშვილ ისე უყვართ ერთმანეთი, რო ღამითაც არ შორდებიან. გახდა თუ არა ათი წლი, ეს ბიჭი თავი რაშითა და ძაღლით სუ სანადირეოთ დადის. ეს ხემწიფე კიდე იძახის: — უნა ჩამოვახრჩო ჩემი ქალიო. მეცნიერები კიდე უდებენ ათი წლი ვადას, უნა გამოვაკვლიოთო, რა არი, არ მოჲკლას.

ერთხელაც რაშმა ახლო არავინ გაიკარა ხემწიფი მეტი. წყალსაც ის ასჩეევ, საჭმელსაც ის უყრი და სუ ყველაფერ ხემწიფეი უკეთებ. ერთხელაც ხემწიფემ შააჯდა რაშსა და წყალზე წაიყვანა. რაში იძახის: — შენ რო ჩემ ცოლსა სჩაგრამ, აბა მიყურე რა ოინი გიყოო. წაიყვანა ნავზე. რაშმა დალია წყალი, მაიხედა და ერთი გადმოუბღვირა ამ ხემწიფეჲ. დაავლო კბილი და გააცურა ჭაობში. შასდგა წიხლითა და ისე გათელა, რო აღარც თავი შაარჩინა და აღარც ფეხი. — წადი ეხლა და ჩამაახრჩე ჩემი ცოლიო. ხემწიფე წავიდა დამტვრეული სახში. რაში გაიქცა და მივიდა იმ ჯეირანთან. აიღო კბილით ეს ხანჯალი და ისევისე ჩასცხო:

— შენ მიყავი ყოველივე ეს, ან მაჩკალი და ან ისევისე კაცათ მაქციეო. იქცა ეს რაში ისევისე მონადირეთ, როგორიც იყო. ტანისამოსი ჩაიცვა, თავი ჩალისფერი რაშიც იქ არი, იარაღიცა. დასცქერია ეს მონადირე ამ ჯეირანსა და ეუბნევა:

— რა ხარ, რა სულიერი ხარ, რო ესე გამტანჯეო?

— რა ვარ და ადამიანი ვარო და ეს ჯეირანი იქცა ადამიანათ.

— მე ვარ შენი კეთილი ანგელოზიო, — უთხრა ჯეირანმა. შენ რო გამოხველი დილით და ილოცე, ღმერთო, იმითანა ნადირი მომანადირებინეო, რო რაც ჩემ ძმებ უშრომიათ, ან იშრომებენ იმათ

ლირდესო, აბა, იმითანა ნადირი სად გინახია, რო ორი ხემწიფი ფასი ლირდესო. ეხლა თუ შნო გაქ, მოუარე, ძალიან ბევრი გაქ ნაშოვნიო. გაქრა ეს ჯეირანი და წავიდა. მონადირემ თქვა: — აბა, რა მაქ ნაშოვნი, ეს რაში ხო ჩემია, ეს იარაღიც ხო მქონდა, სახში წავიდე ცარელა იქაც ხო ვეჯავრებოდი ჩემ ძმებსა და მაგითვინ წამოვედი, არა და რა ვქნაო. მოდი და წავალ, იმ ჩემ ბებერ ჩაუვლი ისევისევაო. გამოჴწია და წაჩოიდა ბებერთან ამ ქალაქში.

— გამარჯობი!

— გაგიმარჯოს! შახედა თუ არა, ამ ბებერმა იცნო. მონადირემ რაში დააბა, დასხდნენ და ერთი კაი პური ჭამეჴ. ეს ბებერი ეუბნება:

— შვილო, ნუ დამიმალავ, ძაღლი ხო შენ არ იყავიო?

— მე ვიყავი, დიახ, ბაბოო!

— რაშიც შენ არ იყავი?

— მე ვიყავი, დიახ, ბაბოო! ამ ლაპარაკში არიან და ბებერი ხემწიფეჴთან დააბეზღეს, შენ რო რაში დაგეკარქა, ისევისე იმ ბებერსა ჰყამსო. ხემწიფემ მაშინვე დაიბარა ეს ბებერი:

— ჩემი რაში შენა გყოლია და ჩქარა მამიყვანეო.

— შენი რაში კი არა, ჴტუმარი მამივიდა და იმი რაშია, შენ იცი და იმანაო, — უთხრა ბებერმა. ხემწიფემ დაიბარა ეს ბიჭი: შენი რაშით გამოცხადდი ხემწიფეჴთანაო. ხემწიფემ ქამანდები დააყენა, მოვა თუ არა, დაიჭირონ ეს ბიჭი. მივიდა თუ არა ბიჭი, გადუყარეს ქამანდები, დაიჭირეჴ და ციხეში ჩაგდეს. დრო წავიდა და წამოიდა. ნაბუშარი ბიჭი უკვე წამოიჩრიხა, თვრაჴეტი წლი ჯიელი გახთა. ერთ დღეს შეეკითხა ხემწიფეჴ:

— პაპა, შენ მეგობარ ხემწიფეჴ ერთი მზეთუნახამი ქალი ჴყოლია, ანდერძათ მირნის ქვაბი შამოუდგამთ, ვინც მართალ ეტყვის, ქვაბი ადუღდება და ქალ ცოლათ მას აძლევს, ვინც ასეთ რამეჴ თქმას ვერ მაახერხებს, თავსა შჭრისო; წავალ, ბედსა ვცდი, თუ რამე მოვახერხე, ის ქალი ცოლათ დამრჩებაო. ხემწიფეჴ ბიჭი ეჯავრებოდა და უპასუხა:

— წადი, ეგება ჩაგაძაღლონ სადმეო. მეორე დილით ნაბუშარი უნა წავიდეს. გუნებაში ფიქრობს, უთხრას მართალი ამბავი: დილით ავდექი, პირი დავიბანე, პური ვჭამე, გამოელი წყალზეც, დავისვენე და სხვა რაც მამაგონდებაო. დილით რო გაიარა ნაბუშარმა, მონადირემ თავი გადმოყო და დაუძახა ციხიდანა:

— ახალგაზრდა, მოდი აქაო. მივიდა ნაბუშარი.

— რო მიდიხარ, რა იცი, რა უნა თქვა ჴართალი სიტყვაო?

— რა ვიცი და რაც მართალია, იმაჲ ვეტყვი, ტყუილ არ ჩაურთამო.

— ეგ მართალი არ არიო, ორი რაც შენი ნებაა ისაი თქვი და მესამე, რაც მე დაგავალო, ისაო. შენ უთხარი: მე, ეს რაში და ძაღლი ძმები ვართო და იმ სააჩი ადუღდება ის მირნის ქვაბიო. როგორ თუ ძაღლსა და რაშ დაჩადარაო. ნაბუშარმა გადმოიღო შვილდისარი და დაუჭირა, მონადირე გადახტა განზე და გადარჩა.

წავიდა ეს ნაბუშარი და სუ იმას ფიქრობ: რა მითხრა და რაო. ჩივიდა იმ მზეთუნახამ ქალთან. იმაზე წინა ერთი ორმოცი ბიჭი მაინც არი მისული, ვინც შავიდა თავმოჭრილი გამაიტანეჲ. მოუწია ამ ნაბუშარ მისმა დრომ. შავიდა და ქალმა რო შახედა, დაენანა, რაშ ჯიელიაო.

— აბა, თქვი ჯიელო, რას ამბობო, — უთხრა ქალმა. დაიწყო ნაბუშარმა:

— დილაჲ რო ავდექიო, პირი დავიბანე და პატარა დავნაყრდიო; აქეთ წამოველი, წყალი შამხვთა, იქაც დავისვენე და პური ვჭამეო; ჩუჩუნიც არ გააქვს იმ ქვაბსა. ადგა და მზეთუნახამ ქალ უთხრა:

— შაიძლება ჩემი ძაღლი და რაში რო აქ შამავიყვანოო? მაინც ვხედავ თავსა მჭრის და ვიტყვი, რაც იმ მონადირემ დამაბარა, რაც იქნება, იქნებაო!

— შამაიყვანეო . შამაიყვანა ამ ნაბუშარმა ძაღლი და რაში.

— მეო,—თქვა და გაუჩნდა ნაპერწკლები ამ ქვაბსა, — აი, ეს რაში,—უკვე აენთო ცეცხლი კარქათ,—და ძაღლი ძმები ვართო, — —თქვა და ისე ადუღდა ეს ქვაბი, კარგი სვირი შეშაი რო შაუკეთო.

დარჩა ამ ნაბუშარსა ეს მზეთუნახამი ქალი. ქალმა უთხრა:

— ჩე ისეთი აღთქმა მაქ, რაც ხალხი დავხოცე ამ ქვაბი ადუღებაზე, ამ მირნით სუ უნდა გავაცოცხლო ისინიო. გამოიტანა ამ ნაბუშარმა მირონი, დაუარა ამ თავმოჭრილებსა და ერთიანათ დააცოცხლა ყველაი. ერთი კარქი ქორწილი გადიხადეს. ხემწიფემ მიჲცა მზითები, ოქრო-ვერცხლით და უთხრა:

— ჩემი შვილიცა და ეს ქონებაც ალალი იყოს შენზეო. მაგრა მეჯლისმა უთხრაშ:

— აბა, ვინ დაამტკიცებ, რო შენ, ძაღლი და რაში ძმები ხართო? ამ ნაბუშარმა უთხრა:

— მე დავამტკიცებო. წამოიყვანა ეს ქალი და რო მოიდნენ ციხეჲთან, ნაბუშარმა გადმოხტა ხელათ და დაიძახა: რომელი იყო ის პატიმარი, მე რო ესა და ეს სიტყვა მითხრაო?

— მე ვიყავიო, — უთხრა ბონადირემ.

— აბა, გამოდი ეხლავე გარეთო. გამოიყვანა მაშინვე ეს მონადირე და წამაიყვანა. როგორც მოიდნენ თავაანთ ბინაზე, ამ ნაბუშარი დედაი აყვანილი ჰყამთ სკამზედა და ჰა, უნა ჩამოახრჩონ. ნაბუშარმა ბრძანა:

— ჩამაიყვანეთ ემ საჩი ძირსაო. შაიქმნა ერთი ამბავი. — თქვენ ხომ იცით ჩემი მზეთუნახამი აღთქმაი: ვინც მართალ სიტყვაჲ იტყოდა, იმაჲ გამოჲყოლოდაო, მე მართალი ამ მონადირეს მაჲწავლა და მოდი ბაგაჲ ვკითხოთ და მერე ჩამოვახრჩოთო; — აბა, დაიწყე, ვინა ხარო, — მონადირეს უთხრეჲ.

— ვინა ვარო, ღმერთმა რო არ იცისო, და ხმალზე ხელი მაიკიდა. იმ დღეს რო მოტყუილებით დამიჭირე, ქამანდები გადმამიგდე და ჩამაგდე ციხეშიო (იმითანა განრისხებული თვალებით უყურებ ეს მონადირე ხემწიფეს, რო ვინც იქ დგანა, ყველას ეშინიათ!), ხო არ გინდა, ემ საჩი დაგიხოცო ეგ ჯარი და აგაბუტულაოო. მე შენზე კარქი ხემწიფეიც ვიყაიო, შენზე კარქი გმირიცა ვარო, მაგრა ჩემმა ბედმა გამაწამაო. ერთხელ ძმებმა შური ამართვესო, რო გამოველი, ღმერთ ბავხატრეო: ისეთი ნადირი მომანადირებინეო, რო რაც ჩემ ძმებ უშრომიათ, იმი ფასი ღირდეჲო; ეშმაკათ ერთი ქურციკი — ჯეირანი გამოარდაო; გამოვეკიდეი ამ ჯეირანსა და ამ თქვენ ქვეყანაში გადმოჩკარგაო; ვესროლე ისარი და რო გავაგორე, ხანჯალი წავკარ და ვუთხარი: შენ რჯულძაღლო, რა ხარ ასეთი, რო ასე გადმომკარგე-მეთქი; ვიქეცი ერთ ძაღლათა, ადამიანი გონება მქონდა, ძაღლი ვიყავი და რა მექნაო; შამოელ ქალაქშია და ერთ ბებერთან მივედიო, მერე რაკი სახელი გავითქვი, მიყიდე შენაო, ძაღლი რო ვიყავი, აი, ეგ ძაღლი მაშინ გავაჩინეო; გავფთხი მერე, წაველ და მივედი იმ ჯეირანთან ისევისევაო; იმ რჯულძაღლმა ეხლა მაქცია რაშათო. რაში რო ვიყაი, ეგ რაშიც ბაშინ გავაკეთეო; მერე შენმა ქალმა მოინდომა ერთი საათით ჩემი ნახვაო; ჩამოიდა და გომურში მიყურებდაო; როგორც მიყურებდა, მეც ისე უყურებდიო; დაიჩოქა და შესთხუა:—ღმერთო, დიდებულო, რათაც გაჩენილა ეს რაში, იმათ იქცესო; ვიქეცი იგ მონადირეთ, როგორიც ვიყაიო; ჩავეხვიე შენ ქალსა და ეგ ბიჭიც მაშინ გავაკეთეო; აბა, შაეკითხე შენ ქალსა, ტყვილია თუ მართალიო!

— მართალიაო!—ამ ქალმა თქვა. წამოველი და შენი ქალი რო უნა ჩამოგეხრჩო, შენ მეტი არავინ მივიკარეო; წყლი პირში რო გაგისროლე, მე ის გახლავარო.

მონადირემ გადაეხვია და ჩაეკოცნა თავი ცოლსა. ნაბუშარს გაუხარდა და მანაც გადაეხვია. ერთი დიდი ქორწილი გადაიხადეს. მონადირემ თქვა:

— აბა, უნა წავიდე ჩემ ქვეყანაშიო, დაასაპანა ჯორ-აქლემები ოქროთი, მოეყამ თავი ცოლი, ბიჭი-ცოლით, რაში, ძაღლი და მიდის. ხემწიფე ეუბნევა:

— ეს ბიჭი მაინც დამიტოვეო.

— არა, შენ მაგი რო გეჯავრებოდა, განა არ გახსოვსო? გამოილალა ეს ხალხი და წამოიდა.

თავაანთ მიწაწყალზე რო გადმოიდნენ, დაინახა, რო ორ კაცსა უღელ-უღელი ხარი უბიათ და ხნამენ. შახედა თუ არა, იცნო თავი ძმებია, ისინი აღარ არიან ხემწიფეებათ, რო გააგდეს პატარა ძმა, დოვლათი იმას გაეყვა. მონადირემ უთხრა ცოლსა და შვილსა, რო ესენი ჩემი ძმები არიან და აქ დავისვენოთო. დასხდნენ და პური ჭამა დაიწყეს და ისინიც გამოიდნენ თავში გუთნებითა. მონადირემ დაუძახა:

— მოდით აქა, პური ჭამეთო. მოიდნენ, დასხდნენ, დაიწყეა პური ჭამაი. ამ მონადირემ უთხრა:

— სადაურები ხართ, ვინა ხართ, ან ძმა არა გყამთ, ან ვინმეო?

— როგორ არა გვყვანდაო, ძმა გვყვანდა, რო მთელი ქვეყნი ფასადა ღირდაო, მაგრა ეშმაკათ ერთი ვაწყენინეთ, წავიდა და მთელი დოვლათიც იმას გაეყვაო.

— აი, მე ვარ თქვენი ძმაო,—უთხრა მონადირემ. გადეეხვენენ და დაეკოცნენ ერთმანეთს.

ამ დროეა ერთი დედიერთა ბიჭი მორბის ობოლი.

— სად მიდიხარო? — დაუძახა ამ მონადირემ.

— სად გავრბივარ და უნა ჭტკვარზე თავი დავიხრჩოო!

— რათა, რაშია საქმეო?

— რათა? ნახირში ვიყაი, ძროხა დავკარგე და დედაჩემმა მითხრა: თუ ძროხა არ გიპოვია, უნა მოკვდეო; ძროხა ვერ ვიპოვე და თავ ვიხრჩობო!

— თავ რატო იხრჩობ, აი, ეს ყევარი ხარები წაასხი და მიუყვანე დედაშენსაო. ძმებმა წამოხტნენ და შაეტირეს: რაზე გვღუპავ, ეგ არი ჩვენი ცხოვრებაო.

— აი, თქვენ გაუმაძღრებო, ეს ჯორ-აქლემები სუ თქვენთვინა მომაქვ, ადექ და მაიხმარეთო.

წავიდნენ სახში. ჩეეკმაკნა ეს მონადირე თავი ყელ-ღაბაბსა.

წაიყვანა თავი შვილიც, ერთ კარქი მეჯლიშიც გადიხადეს და დღესაც ბედნიერათ ცხოვრობენ. დაიბრუნეა ხემწიფობაცა და ყველაფერი.

ალი ართალი, ბალი ბართალი,
ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი!

49. ლამპარი

იყო და არა იყო რა. იყო ერთ ქვეყანაში ერთი განთქმული ვაჭარი. ერთი ვაჟიშვილი ჰყამდა მეტი არაფერი. ძალიან გიქმაჟი ბიჭი იყო. მამამ შკოლაში მიიცა და არ დადგა. მერე ხელობაზე მიიცა, არც იქ დადგა. მარტო ავარებთანაა ქონდა საქმე. იჯავრა ამ ვაჭრობა, იჯავრა, გადაბრუნდა და ჯავრისაგან მოკვდა. დედამა თქვა: მოდი, ამ ჩემ შვილსა ცოტა ხან სავაჭროა უფროსათ დავაყენებო. დაიჭირა ბიჭმა მამი ადგილი. რაც ავარები ჰყვანდა ამხანაკებათ, სუ ყველა იქ მაიყვანა. დაუწყეა ამ ფულ ჭამაი. დედამა თქვა:—ერიჰაა, ესე რო ქნას, აქ ფულ შეშჭამს მალეო. ადგა დედამა და ყველაფერი გაიყიდა, რაცკი ჰქონდათ, დუქნებიცა და ქონებაცა. ფულათ აქცია ყველაფერი. მიყვენ ხელი და ნელ-ნელა შჭამდნენ ამ ფულსა. ისე გაღარიბდნენ, როცა იმათზე ღარიბი აღარავინ იყო იმ სოფელშია. ე დედაკაცი ზოგ პურ უცხობდა, ზოგ წინდებ უქსოვდა და იმით ირჩენდა თავსა.

ერთმა თვალთმაქცმა გაიგო, რომ იმ სახემწიფოში, საცა ეს კერპი ბიჭი ცხოვრობ, დედა-მიწიდ ქვეშ ოქროდ ბაღია. წამოიდა თვალთმაქცი და მოიდა ამ სახემწიფოში. ეძებს ისეთ ვინმეს, კერპი იყოს, უშიშარი, რო მიწაში ჩავიდეს. ბევრი იარა ამ თვალთმაქცმა და მოიდა იმ სოფელში, საცა ეს კერპი ბიჭი ცხოვრობს. ბიჭი იმ დროდ წორეთ ამხანაგებში თამაშობს. უყურა თვალთმაქცმა ბიჭებს ყველას, ყველაზე კერპობა ამ ბიჭს შაატყო და დაუძახა:

— აქ მოდი, ჩემთანა, განა ვისი შვილი ხარო?

— მე ემა და ემ კაცი შვილი ვარო.

— მამაშენი ცოცხალია, ისევაო?

— არა, მოკვდაო. დაიწყო თვალთმაქცმა ტირილი:

— ვაიმე, ძმაოო და ვაიმე, ძმაოო!

— რათა ტირი, ძიაო?—ამ ბიჭმა უთხრა.

— ის ჩემი ძმა იყოო, მე ადრე გადაშასახლეა ამ სოფლიდანაო და ჩემ უნახავი მოკვდაო. წადი, დედაშენ უთხარი, ძია მოიდაო.

გაიქცა ეს ბიჭი და მივიდა სახში დედადათან.

— ძია მოიდა, მამაჩემი ძმა ყოფილა, აქედან წინათ გადასახლებულიო. დედამ უთხრა:

— აბა, წადი, აქ დაუძახეო. გაიქცა ამ ბიჭიაც და დაუძახა; მივიდა თვალთმაქცი სახში. დედაკაცმა შეეტირა, თვალთმაქცმაც სამძიმარი უთხრა.

— როგორა ხართ, როგორა ცხოვრობთო?— ამ თვალთმაქცმა იკითხა. დედაკაცმა შეეტირა:

— ჩემი შვილი კერპი გამოდგაო და ამი გამო მოეკვდა ჩემი ქმარიო.

— ამ ბიჭ მე წავიყვან და გამოვზრდი, როგორც წესი და რიგიაო.

წაიყვანა თვალთმაქცმა ბიჭი, უყიდა ქალაქში ტანსაცმელი, გამააწყო და მოიდნენ სახში ისევისე. თვალთმაქცმა დედაა ფული დაუტოვა, წაიყვანა ეს კერპი ბიჭი, გაეეემშვიდობნენ და წავიდნენ. ბევრი იარეს, ცოტა იარეს და მივიდნენ ერთ უდაბურ ტყეში. დაუღამდათ კიდეც. ძალიანა ბლენა. თვალთმაქცმა უთხრა ამ ბიჭსა:

— ხო არ გეშინიანო?

— აბა, შიში რა არი, რის მეშინიანო,—უთხრა კერპმა ბიჭმაც,— შიში რასაა ქვია, რა არიო?

— მაშ თუ არ გეშინიან, ცოტაი ჩინჩხვარი მააგროვე, ცეცხლი ავანთოთო. წამოურბინა ამ ბიჭმა და მააგროვა ხელათ ჩინჩხვარი. დაანთეს კაი ცეცხლი. თვალთმაქცმა ჯიბიდან ერთი რაღაც ამაიღო და ცეცხლში გადააგდო, ცეცხლი იმ საააჩი გაქრა. იქ ერთი ასახთელი რამე გამართა. ახადა თვალთმაქცმა და ჩაიხედა შიგა. მშვენიერი კიბე დგა ჩასასვლელათ. თვალთმაქცმა უთხრა ბიჭსა:

— ჩახვალ ამ კიბეზედაო?

— რატო არ ჩავალ, რისა მეშინიანო.

— აი, მანდ რო ჩახვალო, ერთი კარები არისო, იმ კარებში შეხვალ, დიდი სახლი დაგხვდებაო, აქეთაც კარები აქვ და იქითაცაო, პირდაპირაც ერთ კარები აქო; იმ პირდაპირ კარებში რო გახვალო, ერთ დიდ ბაღ ნახამო, იმ ბაღში ყველაფერი ხილი დგა, აქედან რო გაივლი, ხელი არაფერ ახლოო, ბაღი ბოლოში რო მიხვალ, ერთ ბოძ დაინახამო, ზედ ერთი ლამპარია ჩამოკიდებულიო, ჩამოადგლიჯამ იმ ლამპარსა და მერე რაც გინდა, მოეკრიფე ხილიო, იქ ყველაფერი ოქროა ხილი დგაო.

თვალთმაქცმა ერთი ბეჭედი გაუკეთა ამ ბიჭ ხელზე და ჩაუშვა.

ჩახტა ე ბიჭი კიბეზე, გაირბინა ე სახლი, გავარდა, ბაღიც გაირბინა, გავიდა ბაღი ბოლოში, ნახა ე ბოძი, ახტა ხელათ და ჩამოგლიჯა ეს ლამპარი. შიგ ნავთი იდგა, ის გადააქცია, ჩაიგდო ხალათის უბეში, გამოიარა იქიდან და რაც მეეწონა, ეს ოქროჲ ხეხილი მოჲკრიფა და წაჲოიდა. მივიდა ამ კიბეჲთან. ეგ კიბე აღარ არი. თვალთმაქცმა ჩასძახა:

— მამაწოდე ეგ ლამპარი და ამოგიყვანო. ბიჭმა უთხრა:

— ამიყვანე და ლამპარიც აქა მაქ და სხვა რამეებიცაო.

— არა, ის ლამპარი მამაწოდე ჯერ და მერე ამოგიყვანო. ეს ბიჭი ხო კერპი იყო და არ მააწოდა.

— ჯერ ამიყვანე და ჲერე მოგცემო. არ მააწოდა ეს ლამპარი. შაულოცა ამ თვალთმაქცმა, ყველაფერი ჩაჲქრა და ე მიწაც დაიხურა. მოჲყვა ეს კერპი ბიჭი მიწი ქვეშ. ერთი დღე გავიდა, ორი დღე გავიდა. არი ბიჭი მშიერი. ეს ოქროჲ ხილი არ იჭმევა. მოშივდა პური და ის არი, სული უნდა დაჲლიოს.

— ე ღმერთო და ჩემო სიალალმართლეო,—თქვა და ხელები გაიქნია. ეს ბეჭედი ფლატის ქვაჲ მოხვდა. გამოვარდა ერთი ქაჯი და ამ ბიჭ უთხრა:

— რა გაგჭირვებიაო?

— ერთი მაღლა ამიყვანე, რა არიო. იჲ სააჩი ამაიყვანა ქაჯმა მაღლა.

— კიდე რა გინდაო?

— მეტი არაფერიო,— უთხრა შიმშილისაგან დასუსტებულმა ბიჭმა. წამოიდა ეს ბიჭი. იარა, იარა და როგორც იქნა, მოიდა დასუსტებული სახშია. დედამ უთხრა:

— რა მოგივიდა, შვილო, რამ დაგასუსტაო.

— მაიტა, დედიჯან, ჯერ პური მაჭამე, ძალიან მშიანო. მოუტანა საჭმელი და აჭაჲა ამ ბიჭსა. რო გაძღა ბიჭი, მერე უთხრა დედასა: ესე და ესე იყო, თვალთმაქცმა მიწაში ჩამაგდოო. უბეში რო ოქროს ხილი და ლამპარი ჰქონდა, მაშინ მააგონდა, ამაიღო და დაჲყარა. ცხოვრობდნენ ეს დედა და შვილი შემდეგ ისევ-ისე საწყლურათ.

ამ ბიჭმა უთხრა დედასა: — მოდი, ამ ოქროჲ ხილ წავიღებ, იქნებ გაიყიდოს ფულადო. აიღო ერთი ოქროჲ ხილი და წაიღო ბაზარში. შამოხვდა ერთი ვაჭარი.

— რა გაქ, ბიჭო, გასაყიდიო? აიღო და აჩვენა.

— აი, ესა მაქ გასაყიდიო, არც თვითონ იცოდა რა იყო.

— რა ღირსო?

— მე რა ვიცი, რაც შენი ნებაა, ის მაძეციო. აიღო ვაჭარმა და ერთ თუმნიანი მიჰცა. ყოველ დილით ამ ბიჭ მიჰქონდა ეს ხილი და თითო-თითოსაჰ ყიდდა.

ერთმა ოქრომჭედელმა შაამჩნია, რო ამ ბიჭსა ყოველ დილით რაღაცა მიაქვს გასასყიდი. გადაუდგა ეს ოქრომჭედელი მეორე დილით და უთხრა ბიჭსა:

— რა გაქ, ბიჭო, რასაჰ ყიდიო? ბიჭმა აჩვენა ოქროჰ ხილი.

— აი, ესა მაქ გასასყიდიო.

— როგორაჰ ყიდიო?

— ესე, თითო თუმნათაო.

— ეგა, ბიძია, ოცი თუმანი ღირს, გინდა მე მომეცი, გინდა სხვასაო. ადგა ამ ბიჭმა და მიჰყიდა ოქრომჭედელს ოც თუმნათ. მოჰქონდა ბიჭს ოქროჰ ხილი ყოველდღიურათა და ოქრომჭედელ აძლევდა ოც-ოც თუმნათ. გამეელია ეს ხილი. მერე უთხრა დედასა:

— დედა, ერთი ლამპარი მოხეხე, წავიღებ მაგასაც გავყიდი, ეგებ რამე ავიღოვო. ადგა დედამა და ხეხამს ამ ლამპარსა. როგორც ხელი შაავლო, გამოცვივდნენ ქაჯები. დედაკაცს გული შეუწუხდა. ქაჯები იძახიან.

— აბა, რა გაგჭირვებიათო?

— რა გამჭირვებია და მშიერი ვარ და მამიტანეთ რამე საჭმელიო. გაცვივდნენ ეს ქაჯები ხელათა და მაართვეს ოქროს თაბახით საუკეთესო საჭმელები. ბიჭმა საჭმელი შაჭამა, წაიღო ეს ოქროს თაბახი და გაჰყიდა. ეს ბიჭი გამდიდრდა. რამდენს მოუსვამს ამ ლამპარს, გამოცვივიან ქაჯები და რასაც თხოვს, იმას აძლევენ.

ერთ დღეს ადგა ბიჭი და დედას უთხრა:

— წადი და ხემწიფეს ჩემთვინ ქალი სთხოვეო. დედამ უთხრა:

— ჩვენ ხემწიფე ქალ, აბა, როგო მოგვცემს, ღარიბები ვართო!

— წადი, თორე თავ მოვიკლამო!

— ოღონ თავ ნუ მოიკლამ, შვილო, და წავალო. მოხეხა ამ ბიჭმა ლამპარი ხელათ და მოცვივდნენ ქაჯები. ბიჭმა უთხრა:

— წადი და იმ ბაღში, რო ოქროჰ ხილია, ის მამიტანეთ ბლომათო. წავიდნენ ქაჯები და ხელათ მაუტანეს. გამოუხვია დედას ეს ოქროს ხილი თეთრ ბაღდადში და გაგზავნა ხემწიფეჰთან ქალის

სათხოვნელათ. წავიდა დედაი, მივიდა ხემწიფეთან და მთხოვნელების რიგი დახვდა. არ მოუწია იმ დღითა. ექვსჯერ მივიდა ეს დედაკაცი და კიდევ არ მოუწია.

ხემწიფემ შანიშნა ის დედაკაცი, რო ყოველდღე მიდიოდა იქა. თავის კარისკაცებ უთხრა:

— დილაზე ერთი დედაკაცი მოვა, თეთრი ბაღდადით და პირველათ ის შამოუშვითო. გათენდა დილა და მოიდა ეს დედაკაცი. ხელათ შაიყვანეს ხემწიფეთან.

— რა გინდა, რიდტვინ მოსულხარო?—ხემწიფემ უთხრა. დედაკაც შიშით გული წაუვიდა, ვერ უბედამდა. მაასულიერეს და უთხრა ხეიწიფეს: ჩემი შვილი ქალსა გთხოვო.

— კარგი, სამი თვის შემდეგ გაგაგებინეფ პასუხსაო. წამოიდა დედაკაცი და მოიდა სახში თავი შვილთანა: ესე, ესე მითხრა ხემწიფემ, სამი თვი შეშდეგ პასუხ გაგვაგებინებსო. სამი თვე გავიდა და ეს ბებერი დედაკაცი წავიდა ბაზარში. ნახა, რო ბაზარი მორთულია. იკითხა: რათ არი ქალაქი მორთულიო.

— დღეს ხემწიფის ქალი ქორწილია და იმიტვინ არი მორთულიო. გამაიქცა დედაკაცი სახში იმ საიჩი. შვილმა უთხრა:

— დედი, რათ მოვარდი ესე ადრე, რიდთვინ არაფერი მაიტანეო?

— შვილო, დღეს თურმე ხემწიფის ქალს ათხოვებენ და ჩე შამეშინა, თავი არ მოიკლაო.

— ბერე რაო, ეს თუ გათხოვდა, მე სხვას ვითხოვო. რო დაღამდა და ნეფე-დედოფალი ოთახში გაიყვანეს დასაძინებლათ, ბიჭმა მოხეხა ლაძპარი, მოცვივდნენ ქაჯები და რა გაგჭირვებიაო,—ამ ბიჭს უთხრეს.

— წადი, ის ნეფე-დედოფალი რო დაიხდიან, საცვლებით მამიყვანეთ აქაო. გაცვივდნენ ქაჯებმა და მოუყვანეს ის ნეფე-დედოფალი იმ საჩი.

— ეგ ნეფე წაიყვანეთ ცალკე ოთახშიო,—ქაჯებს უთხრა ბიჭმა და დედოფალ ჰკითხა:

— ძამთხოვდები, თუ არაო?

— არ მოგთხოვდებიო. გათენებამ რო მაატანა, მააყვანინა ქაჯებს ისევ-ისე ნეფე და ორთავენი წააყვანინა თავიანთ ოთახში. გათენდა დილა, ხემწიფე ელოდება, რო უნა გაბოიდეს ნეფე-დედოფალი. მივიდნენ, გაუღეს კარები, ნეფე იქითა დგა გაბუტული და

დედოფალი აქეთა. მეორე ღამეს ნეფე-დედოფალი კიდევ გაიყვანეს ცალკე ოთახში დასაძინებლათ. ამ ბიჭმა მოხეხა ლამპარი და ქაჯებს ნეფე-დედოფალი კიდე მააყვანინა თავისთან. ნეფე ისევ-ისე ცივ ოთახში წააყვანინა და დედოფალ კიდე უთხრა:

— მაცთხოვდები, თუ არაო?

— არ მოგთხოვდები და იჯექი ეგრეო. დილას ბიჭმა ისევისე წააყვანინა ნეფე-დედოფალი თავიანთ ოთახში. გათენდა თუ არა დილა, ხემწიფემ გაუღო კარი და გამოვარდა ნეფე ყვირილით:

— აღარ მინდა თქვენი ქალი, სუ ქაჯებით ყოფილა სამსეო. ქორწილი ჩაიშალა.

ამ ბიჭმა უთხრა თავი დედასა:

— აბა, წადი, გაიგე, სამი თვე გავიდა და ხემწიფე რა პასუხს მაძლევსო. მივიდა ეს დედაკაცი ხემწიფეჲთან და უთხრა:

— სამი თვე გავიდა და ჩემი შვილი ქალსა გთხოვსო.

— შენ შვილ ქალ მივცემ მაშინ, რასაც ვიტყვი, თუ შამისრულებსო.

— აბა, რა უნდა შაგისრულოსო?—ჰკითხა დედაკაცმა.

— ორმოცი კაცით უნა მოიდეს, თითო კაცს სუ სხვადასხვანაირი ტანისამოსი ეცვასო, ცხენებზე ისხდნენ და ორ ცხენს ერთი ფერი არ ჰქონდესო. თვითონ ისეთი ცხენზე უნა იჯდეს და ისეთი ტანისამოსი ეცვას, ჩემ სიცოცხლეში არ მენახოსო.

წამოიდა ეს დედაკაცი სახში.—ჩვენ ერთი ცხენიც არა გვყამ და ჩემმა შვილმა ორმოცი საიდან უნდა იშოვნოსო,—თქვა. შვილს უთხრა.—ესე და ეს მითხრა ხემწიფემაო. ადგა ეს ბიჭი და მოხეხა ლამპარი. მოცვივდნენ ქაჯები.

— რა გაგჭირვებიაო, — ამ ბიჭს უთხრეს.

— რა გამჭირვებია და ორმოცი კაცი სუ სხვადასხვანაირათ უნა იყვეს მორთული, სხვადასხვანაირ ცხენებზე უნა ისხდნენ, ჩემთვინ კი ისეთი ცხენი და ტანისამოსი უნდა მოიტანოთ, რო არავის არ ენახოსო. მინამ ეს ბიჭი შაბრუნდა სახში, მანამ მზათ იყო ყველაფერი. დედას უთხრა:

— აბა, გაუძეხი წინა, მიიყვანე ხემწიფის კარებზე ეს ორმოცი კაციო. გაუძღვა დედაი და მიიყვანა ხემწიფეჲთან, თვითონ კი შაჯდა თავი მფრინავ ცხენზე და ჩამოეშვა ხემწიფი ეზოში. გამაიხედა ხემწიფემა და ძალიან გაუკვირდა. გაიმართა ქორწილი. ეს სიძეი ძალიან შაუყვარდა ხემწიფეს. ერთ კვირა სუ ქორწილი იყო გამართული. ბერე უთხრა ხემწიფემ ბიჭსა:

— წაიყვანე შენი ცოლი სახშიო. ბიჭმა უთხრა:

— შენ ხო იცი, მე სახლი არა მაქო, მაჩეცი ადგილი სახლი გაკეთოო. ამ ხემწიფი კარებზე ერთი დიდი მოედანი იყო. ხემწიფემ უთხრა:

— აი, ეს ადგილი მამიცია შენთვინ და გააკეთე სახლებიო.

წამოიდა ამ ბიჭმა და მოხეხა ლამპარი იმ საათში. მიცვივდნენ ქაჯები.

— რა გაგჭირვებიაო?

— რაო და ამ კარებზე ისეთი სახლები უნა დადგათ, რო ხემწიფის სახლები იმაჲთან გომათაც არ ვარგოდესო; ჩემი სახლი კარებიდან ხემწიფის სახლამდინ ისეთი ხეივანი უნა გამართოთ, რო ძირს ხალი და ხალიჩა ეგოსო. აქეთ-იქით, ქვესკნელში რო ოქროს ხეხილია, ის უნა დარგათო, შიგადაშიგაო აუზები უნა იყვეს გამართული დიდი შადრევანითო.

გათენდა დილა. ეს ყველაფერი გაამზადეს ქაჯებმა. დილით ბიჭი მივიდა ხემწიფეჲთან და უთხრა:

— ახლა წავიყვან შენ ქალსაო. ხემწიფეს ძალიან გაუკვირდა, თუ ასეთი სახლები ერთ ღამეს როგორ გააკეთა. ცხოვრობენ ეხლა ბედნიერათ.

ერთ დღეს ეს ბიჭი სანადიროთ წავიდა და თავი ლამპარი იქ დააგდო.

იმ თვალთმაქცმა, რომელმაც ეს ბიჭი მიწაში ჩააგდო, გაიგო, რო ეს კერპი ბიჭი ამოსულა მიწიდან და კაი დღეში არისო. ადგა და წამოიდა თვალთმაქცი. მოიდა ამ ქალაქში, სადაც ეს ბიჭი არის. იყიდა ბევრი ახალი ლამპრები, წორეთ იმ ნაირი, დადის ქალაქში და ყვირის.

— ახალი ლამპრები ძველებზეო. ეს გაიგონა ამ ბიჭის ცოლმა. მოსამსახურეებ უთხრა:—აბა, გაუტანეთ, მანდ რო ძველი ლამპარი გდია. თუ ახალ მოგვცემს, განა არ ჯობიაო. გაჩოუტანეს ეს ძველი ლამპარი და მიჲცეს ამ თვალთმაქცს. თვალთმაქცსაც ეს უნდოდა და ერთის მაგივრად სამი ახალი ლამპარი მიჲცა.

გავიდა ცოტა იქით ამ თვალთმაქცმა. მოხეხა ლამპარი და გამოცვივდნენ ქაჯები.

— რა გაგჭირვებიაო,—უთხრეს ამ თვალთმაქცს.

— თქვენ რო აქ სახლები დადგითო, ეს სახლები უნა აჲწიოთ და ამადაამ სახემწიფოში გადაიტანოთო. გათენდა დილა, გამაიხედ>

ხემწიფემ. იყურება და ეს სახლები აღარ არის. დაუძახა თავი უფროს ვეზირს.

— დაებრმავდი, თუ რა მამივიდა, ჩემი სიძი სახლები არ ჩანანო?

— ეგ სუ ყველაფერი მოგაჩვენა იმანაო,—უთხრა ვეზირმა. განკარგულება გაიცა:

— წადით, საცა ნახოთ, იქვე მოიკალით ჩემი სიძეიო. წავიდნენ მთელი ჯარი და მეედვნენ ტყეებს. ნახეს ეს ბიჭი ერთ ალაგს. აიღეს, მიუშვირეს თოფები, უნა მოიკლან. ამ ბიჭმა უთხრა:

— რას მერჩით, რიტვინა მკლავთო?

— ხემწიფისაგან ბრძანება გვაქ და იმიტვინაო.

— ხემწიფეთან მიმიყვანეთ და იქ მომკალით, რაღა აქა მკლამთო. მიიყვანეს ხემწიფეთან. ხემწიფემ იყვირა:

— არ დამანახოთ, მოკალით ეხლავეო.

— რათა, ჩემო სიძამრო, რაშია საქმეო?

— რა უყავ ჩემი ქალიო? ამ ბიჭმა მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ხემწიფეს უთხრა:

— სამი დღი ვადა მამეცი, წავალ და იქნებ ვიპოვო სადმეო და მამკალი თუ ვერ მოვიყვანოო. მიიცა ამ ხემწიფემ სამი დღი ვადაი. წავიდა ბიჭმა, მაგრა რას გაიგებდა, ნავალ ნახავდა, თუ რასა! გავიდა სამი დღეი. ბიჭმა თქვა:

— რაღა ხემწიფემ მამკლას, ბარემ წყალში გადავარდები და თავ ღავიხრჩობო. ადგა და გადავარდა წყალში. რო იხრჩობოდა, თავი დეენანა და ქვას მეეჭიდა. თავი ბეჭედი ქვას რო მოხვდა, ქაჯი გამოარდა.

— რა გაგჭირვებიაო?—ამ ბეჭდი ქაჯმა უთხრა.

— წყლის ნაპირზე გამიყვანე ჯერაო, გამაიყვანა ქაჯმაც.

— კიდე რა გაგჭირვებიაო?

— ამა და ამ ადგილას რო სახლები იდგა და წაიღეს, ის სახლები მაიტანე და უკან დადგი ისევ-ისეო.

— ეგ ჩემი საქმე არ არი, ეს ლამპრის ქაჯებმა იციან, მე თუ გინდა, იმ სახლებთან წაგიყვანო. შამაისვა ამ ქაჯმა ბიჭი და წაიყვანა საცა სახლებია. მიიყვანა იმ სახლებთანა და დასვა ეს ბიჭი. ბიჭი გაივლის და გამეივლის და მღერის. გაიგონა თავი ცოლმა ბიჭი ხმაი, მოსამსახურეებს უთხრა:

— აბა, გაიხედეთ, რაღაც ნაცნობი ხმა შამამესმაო. გაბაიხედეს და თქვეს:

— კოხტაი მოსულა, კოხტაიო (კოხტაი ერქვა ამ ბიჭსა). აიყვა-

ნეს ეს ბიჭი სახშია, მაგრა ამ ქალ სიხარულით გული წაუვიდა. მა-სულიერეს და ბიჭმა ჰკითხა:

— აბა, რაში იყო საქმე. რა მოხთაო?

— მე რა ვიცი, ვერაფერი გავიგეო,—ქალმაც უთხრა. ღაინახა ეს ბიჭმა, რო ლამპარი იქ აგდია, კუთხეში. აიღო ეს ლამპარი, გავიდა ცალკე ოთახშია და ზოხეხა. მოცვივდნენ ქაჯები და ბიჭ უთხრეს:

— რა გაგჭირვებია, რას გვიბრძანებო?

— ისეთი წამალი უნა მიშოვნოთ, რო კაცს ვაჭამო, გმლათ იქ-ცეს, არც კბილები ჰქონდეს და არც ძალაიო. გაიქცნენ ხელათ ქა-ჯები და ერთი პატარა კოლოფი წამალი მოუტანეს. აიღო ბიჭმა ეს წამალი და ცოლს მიჰცა:—რო მოიდეს თვალთმაქცი საღამოზე, უთხარი: ჩემი ქმარი მოვიმგლოვე-თქო და ბე და შენ ვიყვეთ ცოლ-ქმარნი-თქო, ამაღამ ერთი კაი პური ვჭამოთ ერთათა-თქო; შენ ჭი-ქაში ჩაიყარე ეს წამალიო, იმის ჭიქაში ნუ ჩაგყრიო; რო აიღოთ ჯტაქნები, უთხარი: შენ ჩემი ჭიქით უნა დალიო და მე შენითა-თქო. გაუცვალეი ტაქანი და ის იმ სააჩი გბლათ იქცევაო.

მოიდა საღამოთი თვალთმაქცი. ქალმა უთხრა:

— ჩემი ქმარი მოვიმგლოვე, მე და შენ ცოლ-ქმრები ვიყოთ! გა-ვარდა ამ თვალთმაქცმა და მოიტანა ღვინოი, საჭმელი, გაშალეს სუფრაი. ქალმა დაასხა ჯტაქნებში ღვინოი, თავი ჯტაქანში ჩაიყარა, წამალი თავი ჯტაქანი იბას მიჰცა და იმი ჯტაქანი მან აიღო.—ჩვენ შეთვისებას გაუმარჯოსო და გადაჯქრეს ორთავემ. თვალთმაქცი იქ-ცა გმლათა იმ სააჩი. კეტები მზათაჯ ქონდათ და კარები ღია იყო. დაუშინეს კეტები მგელსა და ამ ბიჭმა დაუძახა:

— წადი, საცა შენი თქვა, იქაც ჩემი თქვიო.

მოხეხა ლამპარი და ზოცვივდნენ ქაჯები ხელათ.

— რა გაგჭირვებიაო?

— ეს სახლები საცა იყო დადგმული, აჯწიეთ ამაღამ და ისევ-ისე იქ დადგითო. აჯწიეს იმ ღამე და დადგეს იმ ხემწიფის კარებზე. გათენდა დილა და მივიდა ბიჭი ხემწიფეჯთან.—წამოდი, შენი ქალი ინახულეო. გაუხარდა ამ ხემწიფეს, წავიდა და ნახა თავი ქალი. ლამპარი ამ ბიჭ ეხლა უბეში აქ, ძირ აღარ დებ.

ეს ამბავი გაიგო იმ თვალთმაქცის ძმამ. წამოიდა, რო სამაგიერო გადაუხადოს ამ ბიჭსა. მოიდა თვალთმაქცის ძმაი იმ ქალაქში, საცა ეს ბიჭი ცხოვრობს. ეს ბიჭი ამ დროს ჯწორეთ სანადიროთ არის წასული. თვალთმაქცის ძმამ აქვა: როგორ უნა შავიდე სასახლეში, რო იმ ბიჭ რამე მოუხერხოო. იმ ქალაქში ერთი გიჟი ქალი იყო—

ფატინა, მასხარობდა ქალაქში და მკითხაობდა. თვალთმაქცის ძმამ მთელი დღე ამ ფატინას ზდია უკანა. ისწავლა იმისი მასხარაობა და საღამოთი ფატინა რო მივიდა სახშია, თვალთმაქცის ძმაც მიჰყვა. უთხრა ამ ფატინას:

— მაიტა, ეგ შენი ტანისაბოსი მამეცი, ამ ჩემ ტანისამოს მოგცემო და ფულიც დააყოლა. ჩაიცვა ფატინას ტანისამოსი და წავიდა ქალაქში სასიარულოთ. გაიარა სასახლი კარებზე და დაიწყო იქ მასხარაობა და ზკითხაობა. ამ ბიჭი ცოლმა უთხრა მოსამსახურეს:

— აბა, ერთი ამაიყვანეთ ფატინაიო. ავიდა ეს თვალთმაქცი ძმაი, დაიწყო მასხარაობა; ბოლოს უთხრა ქალსა:

— რა არი, თქვენ რო ამოტოლა სახლები გაქთ, მეც ზამეცით ერთი პატარა ოთახიო! ქალმა უთხრა:

— მოვა ჩემი ქმარი საღამოზე და იმას ვეტყვიო.

საღამოთი მოიდა ეს ბიჭი. ჭამა პური და ცოლმა უთხრა:

— აი, ჩვენი გიჟი ქალი რო არი, ფატინაი, იმან გვთხოვა სახლი, ერთი ოთახი მივცეთო. ეს კერპი ბიჭი კრაოტზეა წამოწოლილი.

— აბა, ერთი დაუძახეთ ფატინასაო. შამოვიდა თუ არა, ამ ბიჭ რაღაცა არ მეეწონა თვალში. იზასხარავა, იოხუნჯა ამ ვითომდა ფატინამ, ბოლოს, ბიჭს უთხრა:

— მშვენიერი სახლები დაგიდგამ, ძალიან კარგი რამეა, მაგრამ ერთი რაღაც აკლიაო.

— რა აკლიაო?

— როკის კვერცხიო. ეს კერპი ბიჭი წამოხტა იმ საჩი, გავარდა მეორე ოთახშია და მოხეხა ლამპარი. მიცვივდნენ ქაჯები.

— რა გაგჭირვებიაო?

— რა გამჭირვებია და ეს ჩემი სახლები თქვენ კარქათ ვერ გაგიკეთებიათ, ერთი რამე დაგკლებიათო.

— რა დაგვიკლია განაო?—ქაჯებმა უთხრეს.

— რაო და როკი კვერცხიო. ისეთი დაიყვირეს ამ ქაჯებმა, რო ამ ბიჭს გული გადაუფერდა შიშითა.

— ჩვენ შენი მონები ვართ და შენ გინდა ჩვენი უფროსიც შენი მონაი იყვესო. წადი, ვინც ეგ გითხრა, ემ საჩი აქედან მააშორეო. წამოიდა ამ ბიჭმა და ცოლს უთხრა: საჭმელი მაგვიტანე რამეო. მაუტანეს ღვინოი, პური, ჩაუყარა ამ ფატინას ჺტაქანში წამალი და დაალევინა. იქცა გმლათ ეს ფატინაი, მაგარი კეტები მაავლეს, კიბეზე ყირაზალა რახარუხით ჩააგორეს და ამ ბიჭმა მიაძახა:—წადი და შენი ძმი კვალი იძიეო.

ამ ბიჭის სიმამრი ხემწიფეი მოკვდა, ხემწიფობაი ამ ბიჭ ღარჩა, ემ საჩიაც ხემწიფეი არი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ოდდევ—მოდდემდა ურემი,
მოდდემდა მოუხაროდა.
გადავდე ცელი, ვინც არ გაიცინოს
მოვწყვიტე წელი!

50. როკაპის ქალი

იყო და არა იყო რა. ხვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხემწიფე. ჰყაბდა სამი ქალიშვილი და ერთიც ვაჟი. რო დეეზარდნენ შვილები და ხემწიფეც მოხუცებშია, სიკვდილი დროც მოახლოვდა, დაიბარა ვაჟიშვილი და უთხრა:

— შვილო, ჩემი ანდერძი ეს იქნება, დღეს თუ ხვალ მოვჰკვდები, ვინძლო და ვინძლო, ვინც გთხოოს ჩემი ქალები, პირდაღებული მგელი რო იყვეს, მიეციო. ხემწიფე მოკვდა. დაასაფლავა მამაი, მოიმგლოვა და ღამის თორმეტ საათზე ვიღაც უკაკუნებს ამ ბიჭსა:

— ვინა ხარ, რა გინდაო?

— კარები გააღე, შენი უფროსი სიძე ვარო. მააგონდა მამას ანდერძი და გაუღო კარები. შავიდა ერთი ბგელი. ამ ბიჭმა თქვა:—ქალი მგელ როგორ გავატანოო. მამის ანდერძსაც ვერ უხვევს, ადგა და გაატანა უფროსი დაი. გათენდა დილაი, ბიჭი მგლოვიაროობს. მეორე ღამეს, თორმეტ საათზე ვიღაც კიდე უკაკუნებს კარებს.

— ვინა ხარ, რა გინდა ამ დროსო? — გამოსძახა ბიჭმა.

— შენი შუათანა სიძე ვარ, გამიღე კარებიო. მააგონდა მამის ანდერძი და გაუღო კარები. რას ხედამს, შავიდა დათვი. აიღო შუათანა დაი და იმასაც გაატანა, მამი ანდერძს ვერ უხვევს. მესამე ღამეს ხედამს, ღამის თორმეტ საათზე კიდე ვიღაც კარებ უკაკუნებს.

— ვინა ხარ, რა გინდა ამ დროსო?

— გააღე, შენი უმცროსი სიძე ვარო. გაუღო კარები, ხედამს, შავიდა ერთი არწივი. გაატანა პატარა დაი ამასაც და დარჩა მარტოთ. გათენდა დილაი. ამ ბიჭმა თქვა:

— მშობლები დამეხოცნენ, დებიც მგელსა, დათვსა და არწივ, გავატანე, მე რაღა კაცი ვარ ქვეყანაზეო, დაადგა ამ სახეშწიფოს და დაუწყო ბამა, ძალიან გალოთდა, გადაბამა სულა თავი ქონე-

ბა; ზოგი გაყიდა, ზოგი მოყიდა, ერთი კარგი ცხენი დაიტოვა, ერთი ხურჯინი ოქროთი გაჯეფდა, გადაჯკიდა ცხენსა და შაჯდა, თქვა ფიცი:—სანამ ჩემ დებს არ ვიპოვი, უნდა ვიარო ასეო. გაჯწინ და წავიდა.

ბევრი იარა, ცოტა იარა, დრო წავიდა-წამოვიდა და ერთ ზღვას მიადგა. თქვა:—ამ წყალში ხო ვერ გავალ, დავიხრჩობი, მოდი, პატარა პურ შავშჭამ, დავისვენებ, მერე ავდგები, შავალ და რაც მამივა, მამივაო. როდესაც დაჯდა და პურსა ჭამ, თანაც პირი წყლისკენა აქვს, დაინახა, რო ამ წყალზე რაღაც ორი სული მოჯჩანს. ამ ბიჭმა თქვა:—ეს თითქო აქეთ მიახლოვდება, მოდი, ამათ მოუცთი, გამოიდნენ, ვნახო, რა არიო, და მერე შავალ ამ წყალშიო. გამოიდნენ ორი ძალიან ჭაღარა შერთული კაცი, ერთ ფიცარზე სხედან, ხელს უსვებენ, როგორც ნავი და ისე მოდიან. გადმოხტნენ ეს კაცები და მოიდნენ.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოთ!—ბიჭმა ჰკითხა:

საიდან მოდიხართ, თქვენაო?

— ჩვენი ამბავი ძალიან გრძელიაო!

— მაინც რა ამბავიაო?

— ჩვენ ვიყაით ეაჯეთის ქვეყანაშიო, შავხვდით ასი კაციო, როკაპის ციხეში ვისხედით, ეს როკაპი კი ქაჯეთის მეფეაო. როკაპ ერთი ქალი ჰყამ ძალიან ლამაზიო. ეს ხალხი იმ ქალი თაობაზე ვიყაით დაჭერილი სუ ყველანო. ჩვენ უნა ჩამოვეხრჩეთ როკაპსაო. იმ ქალმა ჩვენი ხემწიფი ვაჟი შაიყვარაო. ქალმა ჩუმათ გამოგვაპარა ციხიდანა, ჩავსხედით გემში და წამოვედითო. გზაში ის გემი დაგვეღუპაო; ეს ორი კაცი გადავრჩით, ერთ ფიცარზე დავსხედით და წამოვედითო.

— მერე იმ ქალი ნიშანი არა გაქვთ რაო? — ჰკითხა ბიჭმა.

— გვაქ, მაგრა რათ გინდა, ახალგაზრდა კაცი ხარ, რო დახედო იმი სურათს, გული წაგივა, შენ გზაზე წადიო.

— არა, უნა მაჩვენოთ ემ სააჩიო! — უთხრა ბიჭმა. ამაიღეს ამ კაცებმა და აჩვენეს სურათი. ბიჭმა დახედა თუ არა, იმ სააჩი გული წაუვიდა. როგორც იყო, მააბრუნეს.

— რაც არი, არი, ეგ სურათი უნა ჩამცეთო, — უთხრა ბიჭმა.

— არა, ჩვენ ამ სურათ ვერ მოგცემთ, ჩვენი ხემწიფი შვილი ძალიან კაი კაცი იყო, ის ზღვაში დაიღუპა და მის სახსოვრათ გვაქ, ამ ქალი სურათი შანახულიო.

— ეგ სურათი თქვენ არ გამოგადგებათ, მომეცით, აი, ოქროვერცხლი თქვენ წაიღეთ, თორე ორთავეს დაგხოცამთო. ღიდ უარზე არიან, მაგრა თქვეს:

— ნოდი, ეს სურათი მივცეთ, ჩავარდნილი ხალხი ვართ, ოქრო წავიღოთ, დუქანს გავაღებთ ისევისეო და ვივაჭრებთო. ამ კაცებმა მიიღეს სურათი. ბოლოს ჰკითხეს ბიჭსა:

— შენ საიდანა გიმგზავრია და საით მიიდიხარო?

— ჩემი ფიცი ეს არი, თქვენც რო არ შამხვედროდით, ამ წყალში უნა შავიდე და წავიდეო.

— წყალში კაცი და ცხენი ხომ დაიხრჩობით, როგორ შაიძლება შასვლაო.

— რა ვქნა, ჩემი ფიცი ეგ არი და რაც მამივა მამივაო.

— ბარემ ჩვენ დაგარიგებთ, როგორ უნა მოიქცეო, — უთხრეს ბერიკაცებმა, — ხო უყურებ, ამ წყლის პირზე რო გზა ნიდის, მაგას დაადექი და თვითონ მიგიყვანს იმ ქაჯეთის ქვეყანაშიო. გამოემშვიდობნენ ერთი-მეორესა და წავიდა ეს ბიჭი. ოქროი იმ კაცებ მიიცა. იარა ამ ბიჭმა, გააიწორა დღე-ღამე, უღამდება და თქვა: ნეტა სად უნდა დავრჩე ამაღამო. ამ დროს წორეთ მაატანა ღა დაინახა ერთი სასახლე დგა. უახლოვდება ამ სასახლეს და ჩანს, თითქო ბალკონში თავი უფროსი დაი დაიარება. გადახედა ამ ეზოსა, ნამდვილათ თავი უფროსი დაი არი. შავიდა მაშივე ეზოშია, ავარდა ბალკონში მაღლა, გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— საიდან, როგორ, სად გივლია, როგორ მააგენი?—ეუბნევა დაი.

— ჩემი საქმე ძალიან ფინთათ არიო, შენ ხომ მგელმა წამოგიყვანა, მეორე დაცა დათვ გავატანეო, მესამეც არწივმა წაიყვანა და დავრჩი მარტოკაო; ვიტირე, ვივაგლახე, მაგრა რას გიშველითო; ქალიც დაღონდა, თავი დების ამბავი რო გაიგო;—ავდექი და ვთქვი: საცა ჩემი დები დაიკარგნენ, მეც იქ უნა დავიკარგო-მეთქი და წამოველი. შენ კი გიპოვნე, მაგრა აბა რა ვიცი, ისინი სად იქნებიანო. დამ უთხრა:

— რაც არი, არი, დაგმალავ თორე საცაა ჩემი ქმარი — მგელი-მოვა და შაგჭამსო.

— ისეთი სიძე რათ მინდა, რო ვემალო. შავხვდები, რაც მამივა მამივაო. დასხდნენ, ლაპარაკობენ და კიდეც მოიდა ეს მგელი, მაიტანა ცხვარი, ბატკანი და დააგდო. ავიდა სახში ნაღლა. შააღო კარები, დაინახა თუ არა ცოლი ძმაი: — ჩემ ძმა ალექსანდრეა გაუ-

მარჯოსო! — დაიძახა, გადაეხვია და ჰტოჟტნის. ამ ბიჭმა თქვა: ჩემი სახელი ამ მგელსა ვიღამ აჟწავლაო. გამოვარდა მგელი ხელათ მეორე ოთახშია, გაიძრო ტყავი, იმითანაი ბიჭი გამოიდა, როგორც მასკლავი.

— რას იტყვი, მაგაშენი ხო არ მოტყუებულაო!

— არა, არ მოტყუებულაო.

— დღემანდლამდე არც შენმა დამ იცის, მგელი ვარ, კაცი ვარ, თუ რაო; დღესა გვაქ ქორწილიც, ნიშნობაცა და ყველაფერიო. დასხდნენ და ერთი კარქი პური ჭამეს. — კი მაგრა, სად მიდიხარ, სად იყავიო, დაუწყო სიძემ ლაპარაკი.

— რაც არი, არი, მეც გადმოვიკარქე და არვიციო.

— ეხლა სად ზიდიხარო. ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამაიღო სურათი და აჩვენა.

— მე კი არ დავხედამ, მაგრა რაც უნა დაგიჯდეს, ეს ქალი ცოლათ უნა შავირთოო. გაიცინა სიძემა და უთხრა:

— ე, შენ, მაგ ქალ ცოლათ როგორ შაირთამო!

— ამი გზაზე მოვჰკდები და ცოლათ შავირთამო, — ბიჭმაც უთხრა. ბევრი ეხვეწნენ, უშალნენ, მაგრა დილაი რო გათენდა, ალექსანდრეი შაჯდა თავი ცხენზე და მიდის.

— რახან არ დაგიშლიაო, — სიძემ უთხრა, — რაიმეს გაჟწავლიო. გამოუტანა ერთი სუფრაი, მიჟცა, — სადაც გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე და რაც გინდა, ყველაფერი იქ დაიბადებაო. გამეემშვიდობა და წავიდა ალექსანდრეი. იარა, დღე, ღამე, დრო წავიდა, წაბოიდა. მიადგა კიდე ერთ სასახლეს. დაინახა რო ეზოში თავი შუათანა დაი ტრიალებ და წინდასა ჟქსომ. გაუკვირდა ალექსანდრესა. მაგრა იცნო, რო ნამდვილათ თავი დაი არი. მაშივე შავიდა ეზოშია, გადაეხვივნენ ერთმანეთს. იმანაც შაეკითხა:

— საიდან გივლია, სად ყოფილხარო? უთხრა იმასაც: შე ხო ნახე, უფროსი დაი მგელმა წაიყვანა, პატარა დაი — არწივმა, მეც გადმოვიკარგე და მოველი აქაო. უფროსი დაი ვნახე, კარგადაც არიო.

— რაც არი, არი, საცაა, ჩემი ქმარი მოვა — დათვიო, — დაიმალე ცოტახან, თორე გაგაფუჭებსო.

— არა, მე იზითანაი სიძეი რად მინდა, რო დავემალოო. სად არი, სად არა, მოიდა დათვი და მოიტანა შეშა, რამე, დაჟყარა ეზოშია. ავარდა მაშივე მაღლა, გადეეხვია იმანაც. — ჩემ ძმა ალექსანდრეს გაუმარჯოსო! დაუწყო ტოტნაი. — ჩემი სახელი ამას ვიღამ აჟწავლაო. გამოიდა ეს დათვი მეორე ოთახშია და გაიძრო ტყავი.

შავიდა მოყვარეადთან და ისეთი ბიჭი ჩან, რო პირველ სიძეზე უკეთესი.

— მამაშენ ხო არ უზარალნია ანდერძშიაო!

— არა, არ უზარალნიაო.

— დღევანდლაჰდი შენმა დამ არ იცოდა, დათვი ვიყავ, თუ კაცი, დღესა მაქვს ნიშნობაც, ქორწილიცა და ყველაფერიო. დასხდნენ და ერთი კაი პური ჭამეს.

— შენ სად გივლია, სად მიდიხარო? — სიძემ ჰკითხა.

— ასე იყო, ჩემი უფროსი დაი მგელმა წამოიყვანა, შუათანაც შენ წამოიყვანე და პატარაც არწივმა. მეც გამოვარდი და თქვენ ძებნაში ეს სურათი შამხვდა გზაშიო. ამაიღო და აჩვენა ქალი სურათი; — რადაც არ უნა დამიჯდეს, ეს ქალი ცოლათ უნა შავირთოო. გაიცინა სიძემა და უთხრა:

— შენ მაგ ქალ ცოლათ ვინ გაღირსებსო. ბევრი უშალა, დარჩი, სხვა ქალ ვიშოვნითო, მაგრა ალექსანდრეს არ დაიშალა.

— რახან არ დაგიშლია, ერთ რაიმეს გაჰწავლიო; გამაიტანა სიძემა და ერთი სურაი მიჰცა: — სადაც გაგიჭირდება, ჩემი სახელი ახსენე და რასაც ინატრეფ, ყველაფერი იქ დაიბადებაო.

შაჯდა ალექსანდრეი ცხენზე, გამოჰწია და წამოვიღა. იარა, იარა, გააწორა დღე და ღამე. მაადგა კიდე ერთ სასახლეს. გადახედა, რო ამ სასახლეში თავი უნცროსი დაი დაიარება. — ვენაცვალე იმ ბერიკაცებსა, ეს სურათიც მამცეს და ეს ჩემი დებიც მაპოინესო. შავიდა მაშივე ეზოში. და-ძმაი გადაეხვივნენ ერთმანეთს. დამ უთხრა:

— საიდან, როგორო?

— ე, ჩემი ამბავი, ხო იცი, როგორ მოხდა, უფროსი დაი მგელმა წაიყვანა, შუათანა — დათვმა და შენაც — არწივმაო. მეც წამოედი და გადმოვიკარგეო. ამ ჩემ დაკარგულობაში უფროსი დები ვნახე და ჰაი, შენცა გიპოვნეო.

— რაც არი, არი, დაიმალე, თორე საცაა ჩემი ქმარი—არწივი — მოვა და შაგჭამსო.

— მე ისეთი სიძეი რათ მინდა, რო დავემალოო. სად არი, სად არა, მოიდა არწივი. მაიტანა რაღაც ნანადირევი ფრინველები, დაჰყარა ეზოშია და ავარდა მაშივე მაღლა. — ჩემ ძმა ალექსანდრეს გაუმარჯოსო, გადეეხვია და დაჰკოცნა ალექსანდრეი. იმანაც გამოიდა მეორე ოთახშია, გაიძრო ტყავი და ისეთი ბიჭი გამოარდა, რო ორთავე სიძეზე უკეთესი.

— მამაშენ ხო არ უზარალნია?

— არა, არ უზარალნიაო.

— ჯერ არც შენ დას გაუგია, მე არწივი ვარ, თუ კაციო, ჩემი ქორწილი და ნიშნობაც დღეს არიო, — თქვა სიძეშ. დასხდნენ და ერთი კაი პური ჭამეს. ბოლოს სიძემ ჰკითხა: — საით გივლია, რა გინახამ, სად ყოფილხარო?

— ე, ჩემი ამბავი ძალიან გრძელიაო; როდესაც ჩემი დები დამეკარგნენო, მეც დავადექ და მთელი სახემწიფოი სუ დავანიავეო, ავდექ, შავჯექ ერთ კაი ცხენზეო, ვთქვი: საცა ჩემი დები დაიკარგნენ, მეც იქ უნა დავიკარგო-მეთქი. ფიცი დავდე, რო ტყე, კლდე, წყალი — სუ მევლოო. ერთ ზღვას მივადექიო. ამ ზღვის პირზე დავისვენე, პურსა ვჭამ და ზღვიდან ორი ჭაღარა-შართული გადმოიდნენ, ფიცარზე ისხდნენო. ეს სურათიც იცათ მამცეს და ეს გზაც იმათ მაჲწავლესო. ჩემი უფროსი დებიცა ვნახე და აი, თქვენცაო.

— აბა, ერთი გვაჩვენე, რა სურათიაო? ამაიღო, აჩვენა და უთხრა:

— ეგ ქალი უნა შავირთო ცოლათ, რაც არ უნა დამიჯდესო. გაიცინა სიძემა და უთხრა:

— შენ მაგ ქალ როგორ შაირთამ ცოლათაო; მე, დათვი და მგელი ძმები ვართო, ჩე ვარ ფრინველების მეფე, დათვი ნადირებისა და მგელი მგლების მეფე და ჩვენ ვერ გავბედეთ მაგ ქალის ცოლათ შართვაო და შენ მაგას ვინ გაღირსებსო. მოდი დარჩი, გაანებე მაგ ქალ თავი და რომელი ქვეყნიდანაც გინდა, ქალ მაგიყვანთო. არ დაიშალა, გამოჲწია და წამოიდა. — რახან აღარ დაგიშლიაო, აბა ერთ რამეჲ გაჲწავლიო. გამაიღო და ერთი ჲტაქანი მიჲცა: — საცაც გაგიჭირდეს, ახსენე ჩემი სახელი და რასაც ინატრებ, ყველაფერი იქ დაიბადებაო. წამოიდა მაშივე ალექსანდრეი. ბევრი იარა, ცოტა იარა და ერთ ხეხილი ქვეშ დაისვენა. — მოდი და ჩემ სიძეები მოცემულ ნივთებსა ვშინჯამ, მართალი მითხრეს, თუ ტყუილიო,— იფიქრა. ამაიღო სუფრა და უთხრა:

— აბა, სუფრავ, შენსა ჩზესა, გამომცემი დაგირჩესა, ერთი კარგი სუფრაი გამიშალეო. გაიშალა, რაც გინდა ყველაფერი აქ არი. ამოიღო სურაი და თქვა: — აბა, სურავ, შენსა მზესა, გამომცემი დაგირჩესა, ერთი კარგი სუფრაი გამიშალეო. გაუშალა იმანაც სუფრაი, რაც გინდა, ყველაფერი იქ არი. ამაიღო ჲტაქანი და უთხრა:— აბა, ტაქანო, შენსა მზესა, გამამცემი დაგირჩესა, ერთი კარგი სუფ-

რაი გამიშალეო. გაიშალა სუფრაი, რაც გინდა, ყველაფერია. რა გინდა ენა და პირო, რო იქ არ არი. დაჯდა ერთი კარგი პური ჭამა, ცხენსაც აჭამა და როგორც უნა ადგეს, არწივი ზედ დააწყდა.

— მოდი, ისევისე მე წაგიყვანო, თორე შენ როდის უნა გადახვიდე ქაჯეთის ქვეყანაშიო. ჩააწყო ალექსანდრეს ეს სუფრაი, სურაი და ჯტაქანი. არწივმა შაისხა ზედ ეს ცხენი და ალექსანდრეი, გაფრინდა და წავიდა. გადაიყვანა ალესანდრეი ქაჯეთი ქვეყანაში. — ეს არი ქაჯეთის ქვეყანაი, მე კი ვერ ვეჩვენები როკაპსაო, ჰაი, მშვიდობით, შენ იცი და შენმა ბიჭობამაო, — დაუბარა არწივმა და გამოფრინდა. წავიდა ეს ბიჭი და იკითხა: სად არი როკაპიო. აჯწავლეს. მივიდა. ნახა დიდი ალაყაფის კარებია და შიგ ციხეა. დაუკაკუნა კარები. კარიკაცმა გაუღო.

— რა გინდათ?

— ხემწიფეჯთან საქმე მაქვსო, მაახსენეს ხემწიფეს.

— დაუძახეთ, მოიდესო, — თქვა როკაპმა. შავიდა ყარაჩოღულათ ცხენით ალექსანდრეი და მივიდა როკაპთან. როკაპმა უთხრა:

— რა გინდა, რიჯთვინ მოსულხარო?

— შენი ქალი ცოლათ უნდა შავირთო, იმიტვინ მოვედიო.

— აბა, წაიყვათ, ციხეში ჩააგდეთ, ერთი აკლდა ასობასაო, — უთხრა კარიკაცებ როკაპმა. ამ ქალი თავობაზე ოთხმოჯდაცხრამეტი კაცი იყო დაჭერილი, როკაპი ამ ქალ არ ათხოვებ, ვინც ითხომ, ციხეში ჰყრის.

შააგდეს ალექსანდრეი ციხეში.

— აბა, რას მორბოდიო, და მიცვივდნენ ციხეში ჩამწყვდეულები ამ ბიჭსა. როგორც იყო, რამდენიმე ძველ კაცებთან დაჯდა ალექსანდრეი. იკითხა:

— როგორა ხართ, რასა ჭამთ, რასა სვამთო. ამ კაცებმა უთხრეს:

— აბა, რა ცხოვრებაა, ერთი აჩ შუადღისას გვაჭმევენ საჭმელ და მეორეც მეორე შუადღესას, ეგ არი და ეგაო.

— მოდი, ერთი სიტყვაჯ ვიტყვი მეო, — თქვა ალექსანდრემ.

— დაიკარგოს აქედანაო, იყვირეს პატიმრებმა. როგორც იყო, იძვრინა ალექსანდრემა და მაიგდო დროი, ადგა და თქვა:

— მოდი, ბიჭებო, შიმშილი გამოვაცხადოთო.

— დღეში ერთჯერ საჭმელსა ვჭამთ, აბა რა შიმშილი უნა გავაცხადოთო, — შაუტიეს ალექსანდრესა.

— თუ არ გაჭამოთ, თავი მამჭერითო, ოღონ ეს დაჩიჯერეთო.

გამააცხადეს შიმშილი. შუადღემ რო მაატანა, მიტანეჲ ქვაბი, რო საქმელი ჩამაუშვან ციხეშია, მთელმა პატიმრებმა დაიძახეს:

— არ გვინდა, არ გვინდაო და წაიღეს უკან. ალექსანდრემ ამოიღო სუფრაი და უთხრა:

— აბა სუფრავ, შენსა მზესა, გამაჲცემი დაგირჩესა, ერთი ისეთი სუფრაი გაგვიშალე, რო ყველაფერი იყოსო. კაცის თავზე თითო ბოთლი ღვინო, აქეთ ზურნა და იქით დუდუკი იყოსო, რო კარგი დრო გავატაროთო. გაიშალა სუფრაი, დასხდნენ და კაი დროს ატარებენ.

მოუტანეს როკაპს ამბავი, რო პატიმრებმა საქმელი არ მიიღესო. მაშივე იფიქრა: ეს ხო სუ ახალი პატიმრის საქმე იქნებაო. როკაპი ადგა და უთხრა თავი ქალი ძიძას:

— წადი, ჩაიხედე, რა ამბავია, რას აკეთებენო. ჩაიხედა ძიძამ, ნახა ქეიფია. მივიდა და უთხრა როკაპსა:

— გუშინ რო პატიმარი დავიჭირეთ, როკაპიც ისა ყოფილა, ხემწიფეცა და ყველაფერიო.

— რათა, რაშია საქმეო?

— რო ჩაიხედო, იტყვი კალობნის ერიაო. როკაპმა უთხრა კარიკაცებს:

— იმ ახალ პატიმარ დამიძახეთო. დაუძახეს ალექსანდრეს და მოიყვანეს როკაპთან.

— შენი სახელი რა არიო?—უთხრა როკაპმა.

— ალექსანდრეო!

— ალექსანდრე, სახელი ნუკი მაგიშალოს ღმერთმაო, მაგრა მაგ შენ შნოს არ გაჲყიდითო?

— როგორ არ გავყიდიო.

— რა ღირსო?

— მე ფულებზე არა ვყიდიო.

— მა რაზეო?

— რაზე და ხვალ ერთი საათით უნა გამაგვიშვათ მთელი პატიმრებიო, შენი ქალი უნა გამაიყვანო გარეთ ფეხშიშველაო, მთელმა პატიმრებმა უნა უყუროთ ერთ საათსა და მოგცეჲ, თორე და არა. როკაპმა დაიბარა ძიძა და უთხრა:

— ძალიან ფინთათ არი ჩვენი საქმეო. ეს ქალი ჯერ მზეს არ დაუნახამ და ამან ფეხშიშველა მთელ პატიმრებ უნა დაანახოსო. დაიბარა ქალიშვილი როკაპმა და უთხრა:

— ესეა საქმეო.

— შენი ნება არი, როგორც მიბრძანებ ისე მოვიქცევიო.

— თუ ასე არ მავიქეცით და ეგ შნო არ წავართვით, მაშინ რა-ლა პატიმრები იქნებიანო. გამოუშვეს მეორე დღეს მთელი პატიმრები. მაიყვანეს მზეთუნახავი ქალი ფეხშიშველა, შახედეს ამ ბიჭებმაც. ალექსანდრემ შახედა თუ არა, იმ საახი გული წაუვიდა. გავიდა საათი, შარეკეს ყველა პატიმრები. ალექსანდრეც ცოცხალ-მკვდარი შაათრიეს. როდის, როდის ალექსანდრე მოიდა გონებაზე. აიღო სუფრაი, დაკეცა და მიდცა როკაპსა. პატიმრებმა ძალიან იწყინეს. გათენდა მეორე დილა. შუადღემ რო მაატანა, მაიტანეა ქვაბი, პატიმრებმა დაიძახეს: არ გვინდაო. წაიღეს ეს ქვაბი უკანა. ალექსანდრემ ამოიღო ეს სურაი და უთხრა:—აბა სურავ, შენსა მზესა, გამომცემი დაგირჩესა, ერთი კარგი სუფრაი გაგვიშალეო. კაცი თავზე ორი ბოთლი ღვინო داააწყეთო. გაიწყო სუფრაი, შაიქნა ქეიფი. კიდე მიუტანეს როკაპ ამბავი, რო პატიმრებმა საჭმელი არ მიიღოო:—გუშინდელი რამე ექნებოდათ დარჩენილიო,—თქვა როკაპმა. მაგრა მაინც უთხრა ძიძას:

— წადი, გაიგე რასა შვებიანო. მოიდა ძიძამ, ჩახედა, დაინახა დიდი ქეიფია. მიუტანა როკაპ ამბავი:

— როკაპიც ის არი, ხემწიფეც და ყველაფერი. იტყვი, უსანეთობა არიო. როკაპმა დაიბარა ისევისე ალექსანდრეი.

— ალექსანდრე, მაგ შენ შნოს ჰყიდი თუ არაო?—უთხრა როკაპმა.

— ვყიდი, როგორ არაო.

— რა ღირსო?

— ფულებზე არ ვყიდიო.

— მა რა გინდაო?

— რა მინდა და გუშინ თუ შენ ქალ კაბა კოჭებამდე ააწეინე, დღეს ბარძაყებამდე ააწეინე და ისე გვაჩვენე მთელ პატიმრებს ერთი საათითა და მოგცემ ჩემ შნოსაო.

— კარგი შაგატყობინებო, — უთხრა როკაპმა.

როკაპმა დაიბარა თავი შვილი და უთხრა:

— ესე და ესეა საქმეო.

— კარგი, მაგა, ბარემ მიმათხოვე, თორე კაბი აწევაი აბა რა გამოიდაო.

— არა, შვილო, ეგრე რო არა ვქნათ, ისინი შნოდ არ გვაძლევენო.

— რაც არი, არიო, — ქალმა უთხრა მამასა. ჩაიცვა მოკლე კაბა. დაუძახეს პატიმრებს და აჩვენეს ერთი საათით. ალექსანდრემ შა-

ხედა თუ არა, გული წაუვიდა. საათი გავიდა, მოხვიეს პატიმრები და ალექსანდრეიც შაათრიეს შიგა. ალექსანდრეი გამოფხიზლდა, აიღო სურაი და მიჴცა როკაპსა, პატიმრებ კი უთხრა:

— მოხვეტეთ თუ რამე გვაქ დარჩენილი და გადაყარეთ სულაო.

გათენდა მესამე დღეი და შუადღი დროს მოდის ქვაბი ზევიდან.

— არ გვინდა, არ გვინდაო, — კიდე დაიძახეს პატიმრებმა. წაიღეს უკან ეს ქვაბი. ამოიღო ამ ალექსანდრემ ეს ჴტაქანი და უთხრა. — აბა, ტაქანო, შენსა მზესა, გამომცემი დაგირჩესა, კაცი თავზე ეხლა სამი ბოთლი ღვინო მოიტანეო. გაიშალა სუფრა. შაიქმნა ერთი ქეიფი. მიუვიდა როკაპს ამბავი, რო პატიმრებმა საკმელი არ მიიღოო. როკაპი ლამის ჯავრით გათავდეს. კიდე უთხრა ძიძასა:

— წადი, გაიგე, რა ამბავიაო. წავიდა ძიძაჴ, ჩაიხედა და თავი გაიქნია-გამოიქნია. მოიდა და როკაპ უთხრა:

— როკაპიც ის არი, ხემწიფეც და ყველაფერი, ნახე, რა დღეშიაო, წამო, ჩაიხედე, იტყვი დღეობააო. წაიყვანა როკაპი და თავი თვალით აჩვენა. გაჰკვირდა როკაპი და დაიბარა კიდე ალექსანდრეი.

— შენ შნოს ჰყიდი თუ არაო?

— ვყიდიო.

— რა ღირსო?

— ფულზე არ ვყიდიო.

— მა რაზეჴ ყიდიო?

— ნება მამეცი ვილაპარაკოო. მიჴცა უფლება ლაპარაკისა როკაპმა.

— ექამდი თუ მთელი პატიმრები გამოვდიოდით, ეხლა მარტო უნა გამომიყვანო ერთი საათითა.

წამოიდა ალექსანდრეი. დაიბარა როკაპმა შვილი და უთხრა:

— ესეა, შვილო, საქმე და რას იტყვიო.

— რას ამბობ, ხო არ გაგიჟდი, მამაჩემო, როგორ შეიძლებაო.

— სხვა რამ არ იქნება, შნო უნა წავართვაო, — უთხრა როკაპმა. პირობა მიცემული აქ, თვალები უნა ეხუჭოს, მეც ხელში მეჭირებაო.

— რაც არი, არი, შენი ნება არიო, — უთხრა ქალმა.

დაიბარა როკაპმა ალექსანდრეი და უთხრა:

— თანახმა ვარ, გამოდი ხვალაო. წავიდა ალექსანდრეი ციხეში ისევისე. პატიმრებ უთხრა ალექსანდრემა:

— აბა, ძმებო, აი ერთი შნო მქონდა და ესეც გავყიდეო. თუ როგორც დაგარიგებთ, ისე მოიქცევით, აქიდან თქვენც გაგათავისუფლებთ, თუ არა და სუ ყველა აქ დავლპებითო.

— რასაც გვეტყვი, ისე მავიქცევითო, — უთხრეს ალექსანდრეს.

— ხვალ ერთი საათით მარტოკა მე უნა გამიყვანოს როკაპმა, მე რო გავალ, თხუთმეტი წუთი რო გავა, დარჩება ორმოცდახუთი წუთიო და თქვენ ნელ-ნელა დაიძახეთ:

— ვაშა, ვაშა, ვაშა-თქო, ურა, ურა-თქო. ხუთმეტი წუთი რო გავა. კიდე მოუმატეთ ძახილსაო, ეგეც რო გავა და ხუთმეტი წუთი რო დარჩებაო, რაც ძალა და ღონე გაქვთ დაიძახეთ: ვაშაო და სუ დალეწეთ ყველაფერიო.

გათენდა დილაი. შაიყვანა ალექსანდრეი როკაპმა. რო გავიდა ხუთმეტი წუთი პატიმრებმა დაიყვირეს: ვაშა, ვაშა, ვაშაო. როკაპმა მაიხედა იქითა. ამდროს ალექსანდრეი მაეხვია ქალსა და აკოცა. გავიდა ნახევარი საათი და პატიმრებმა კიდე მოუმატეს ძახილი: ვაშა, ვაშა, როკაპმა ცქვიტა ყურები და ისევ მაიხედა იქითა. ალექსანდრეი ისევ მაეხვია ქალსა და აკოცა. ბოლოს რო დარჩა ხუთმეტი წუთი და პატიმრებმა კვლავ მორთეს ყვირილი და ღრიალი ვაშა. ვაშა, ვაშაო. დაადო ამ როკაპმა ეს ბიჭი და შეშინებული გავარდა გარეთ. უყურებს ამ ციხეს, თუ რა ამბავი გამოდისო. მინამ როკაპი შამოვა, ალექსანდრეი მაეხვია ამ ქალსა და ჰკოცნის.

— ეგ გინდოდაო? — უთხრა როკაპმა ალექსანდრესა.

— ეგ ქალი მინდოდა, თორე ფულიც მქონდა, ოქროც და შენზე უკეთესი ხემწიფეც ვიყაიო.

— რაც არი, არი, მაგრა ამ პატიმრებ რა უყოთო, — უთხრა როკაპმა,—ესენიც ხო ამ ქალი გულიდთვინა გვყავ დაჭერილიო.

— თუ მე მომანდოფ, მე ვიცი, თუ შენ გინდა, შენ იციო,—უთხრა ალექსანდრემ.

— შენთვინ მამინდვია და როგორც გინდა, მოუარეო, — უთხრა როკაპმა.

— გამოუშვათ ყველანი, კარგა დავასუფთაოთ, ვაბანაოთ აბანოში, ჩავაცვათ კარგათ, თითო ხელი ტანისამოსი და ცხენი მივცეთ, ჩემ ქორწილში ვაქეიფოთ და გაუშვათ თავიანთ ქვეყანაშიო. მართლაც, გამაიყვანეს, აბანავეს და დაასუფთავეს ეგ პატიმრები. ეხლა გაიმართა ქორწილი. პატიმრები ულოცავენ ალექსანდრეს.

— ჭართალია, ჩვენც მაგიდთვინა ვიყავით მოსული, მაგრა შე რო არ გაჩენილიყავ, ჩვენ ციხეში დავიხოცებოდითო; ალალი იყოს შენზე ეგ ქალიო. ერთი კვირა იქეიფეს და გაუშვეს სუ ყველა თავიანთ ქვეყნებში.

ამ როკაპ ჩვეულება აქვს, ერთი დღე მთაშია და ერთიც ბარში.

ქორწილის გამო თხუთმეტი დღე დაუგვიანდა მთაში წასვლა. ადგ> და დაიბარა ალექსანდრეი:

— მე ორი კვირით მთაში მივდივარ ჩემი ჩვეულების მიხედვითო, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, ბაღში თუ შახვიდე, არამც და არამც მარცხნივ არ გადახვიდეო.

წავიდა როკაპი მთაში. ალექსანდრე დარჩა. სამი დღის შემდეგ ქალს ჩეეძინა ალექსანდრეს ‍Გუხლზე. ალექსანდრემ იფიქრა:

— გავიქცევი ბაღში, ყვავილებ დავკრეფ და მძინარეს გავახვევ ყვავილებშიო. ყვავილებს რო ჰკრეფამს, მარჯვნიდან მარცხნივ გადავიდა, როკაპის ანდერძი დაავიწყდა. უცებ ხაროდან ერთი საშინელი ხვნეშა ამოესმა. მივიდა ამ ბიჭმა, ჩაიხედა და ნახა, რო ხაროში კაჟან-მდევია ჩაგდებული.

— რა გინდა მანდაო, — ჩაᲫახა ალექსანდრემ.

— რამტელი წელიწადია აქა ვგდივარ, კაცი ხმაი არ გამიგია, ერთი წყალი მწყურია და დამალეინეო. ალექსანდრემ დაინახა იქვე ერთი გოზაური, შიგ ძᲒარი დგა.

— როგორ დაგალევინოო.

— დავაღებ პირ და მაღლიდან ჩამასხიო, — უთხრა კაჟან-მდევმა, გააღო პირი და ალექსანდრემ ჩაასხა ეს ძმარი. კაჟან-მდევი დაითრო ამ ძრმითა, დაᲫკრა ხელი და ამოხტა ხაროდანა. შამოკრა ხელი ალექსანდრესა, მარცხნიდან მარჯვნივ გადააგდო და დაუძახა:

— წადი, მამიცია შენთვინა სამასი წლის სიცოცხლეო, გაიტაცა ეს ქალი და წავიდა.

ალექსანდრე გდია ჩირგვებში. სად იყო, სად არა, როკაპიც მოიდა. ნახა, ქალი არ არი სახში, არც ბიჭი ჩან. გაიქცა მაშივე ბაღში, ჩაიხედა, ნახა როᲒ კაჟან-მდევი აღარ არი. — წორეთ ის წაიყვანდა ჩემ შვილსაო, — თქვა. მიარ-მოიარა, და იპოა ეს ალექსანდრე.

— რა დაგემართა, აქ რა გინდაო?

— ესე და ესე იყო ჩემი საქმეო, — უთხრა ალექსანდრემ.

— აბა, ემ სააჩი წადი, ჩემი შვილი მაიყვანე, საცა არ უნა იყოს, თორე ასო-ასო აგკაფამო.

წამოიდა ალექსანდრე, შაჯდა ცხენზე და დაიწყო ამ ქალი ძებნაი. კაჟან-მდევᲒა ქალი რო მიიყვანა თავი ბინაში, ქალმა ათი წელიწადი პირობა დაუდვა — ჩემი ქმარი უნა მოვიᲒგლოვოო. მდევი კი წავიდა მთაში.

იმტელი იარა ალექსანდრემა, რო მიაგნო კაჟან-მდევის სასახლეს. შავიდა ეზოში, დაᲐბა ცხენი და ნახა თავი ცოლი.

— უნა წაგიყვანოო, — უთხრა ქალსა.

— მაგ ცხენით ვერ წამიყვან, სხვა გზა გამონახე რამეო, — უთხრა ქალმა.

— არა, ნამდვილათ ამით უნა წაგიყვანოო, შამაისვა ცხენზედა და წამოიყვანა.

მთაში კაჟან-მდევს ამ დროს სძინამ, თავ რაში აღგია. რაში გულთმისანია. გაიგო ქალი გატაცება და მდევ წასცხო ტოტი: — ადე, ქალი მოგტაცესო. წამოვარდა მაშივე კაჟან-მდევი და გამოუდგა ალექსანდრეს. შუაგზაზე წამეეწია.

— დიდი ამაგი გაქვ ჩემზე და არ მოგკლამ, მაგრა ჩამამეხსენ, ამ გზაზე არ გამაიარო, სამასი წელი რო მოგეცი, ეხლა ორასი იცოცხლეო, — უთხრა კაჟან-მდევმა ალექსანდრეს. წამაიყვანა ქალი და წამოიდა. ალექსანდრე მიადგემს უკან.

მდევმა კიდე მაიყვანა ქალი, თავი სახში დასვა და თვითონ წავიდა ტყეში. სად იყო, სად არა, კიდე მივიდა ალექსანდრეი ქალთანა:

— აბა, ჩქარა წავიდეთო. ქალი ეუბნევა:

— ვერ წამიყვან მაგ ცხენითა, სხვა გამანახე რამეო. არაა ქნა, წამაიყვანა ასე. რაშმა კიდე გააღვიძა კაჟან-ზდევი. კიდე წამეეწია ამ მდევმა ალექსანდრეს და უთხრა:

— ჩამამეხსენ, თავი დამანებე, მეცოდები მოსაკლავათ, ასი წელიწადიღა იცოცხლეო. წაართვა ქალი და წამაიყვანა უკან.

მდევმა დაადოვა ქალი სახში და ისევისე წავიდა. კიდე მოიდა ალექსანდრე და კიდე ისევისე წაიყვანა ქალი. გააღვიძა კიდე რაშმა მდევი, წაეეწია ალექსანდრესა და უთხრა:

— აღარ გაადის შენთან სიკეთეო. აკაფა ასო-ასოთ ხმლითა და აქეთ იქით გადაადყარა. ქალს უთხრა:

— ხო ხედამ, შენი ქმარი მოვკალი, არც ეხლა დაიჯერებო! ქალმა უთხრა:

— არა, ათი წელიწადი სანამ არ გავა, ახლო არ მამეკარო, უნდა ვიმგლოვო ჩემი ქმარიო. ადგა და კაჟან-მდევმა წამაიყვანა ეს ქალი სახში.

როცა ალექსანდრეს ლეში ყრია, ნადირი ვერ ეკარება, იმიტვინ რომა ალექსაედრეა ზგელი სიძისა ეშინიათ. სად არი, სად არა, ამ მგელმაც აიღო სუნი, მოიდა ნახა, რო თავი მოყვრი ლეშია. გაიქცა მაშინვე და შაატყობინა თავი ძმებს: არწივსა და დათვსა. მოიდნენ სამთავენი. მგელმა თქვა:

— ისე მოვაგროვებ, რო ერთ ასოს არ დავკარგამო. არწივმა თქვა:

— ისე ავასხამ როგორცა ყოფილაო. დათვმა თქვა:

— მე უკვდავები წყარო ვიცი, გავიქცევი, მავიტან და გავაცოცხლებო. გაიქცა ხელათ დათვმა და მაიტანა წყალი. გადაასხ-გადმოასხეს, ზოგიც დაალეინეს და გააცოცხლეს ალექსანდრე.

— უჰ, რამოტელა მძინებიაო.

— ისე შენ მტერ ეძინოს, როგორც შენ გეძინაო, — უთხრეს სიძეებმა.

— რო გეუბნევი იმ ქალ თავი დაანებე, რათ არ დაიჯერე ჩვენიო, — უთხრეს სიძეებმა.

— მოვიყვანე კიდეცა და ცოლათაც მყვანდა, მაგრა ეხლა კაჟანმდევმა მამტაცაო.

— ეხლა აგშენებია ოჯახი, ის ხო როკაპზე მეტი ღონიერიაო, წამოდი, თავი დაანებე, რომელი ხემწიფის ქალიც გინდა, იმას გათხოვინებთ, — ეუბნევა თავი სიძეები, ბგელი, დათვი და არწივი.

— არა. მე ან ის ქალი უნა წავიყვანო, ან მის გზაზე მოვკვდეო. ბოლოს არწივმა უთხრა:

— რახან არ დაგიშლია, როგორც მე დაგარიგო, ისე მაიქეციო. წადი ამა და ამ ზღვის კუნძულზე, იქ ერთი ეშმაკების ტარტაროზი ცხოვრობს, იმასაჲ ყამ ორი ქალი, ერთიც ძალიან კაი რაში, კაჟანმდევისა და ის რაში და-ძმანი არიანო. იმ რაშის მეტი ამ ქალ ხელში ვერავინ ჩაიგდებსო. ტარტაროზთან რო მიხვალ, სამ დღეს ემსახურეო, იგი თავი ორ ქალ აქცემს რაშებათ და გაგატანს მოსავლელათ, რო გამაუშვებ დილით, ერთი აქეთ მთას ეცემა, მეორე-იქითო. შენ იმას ყური არ უგდო, შენ გაჲწი, ზღვიპირზე ერთი ალვი ხე დგა და იმაზე ადიო, როცა მზე გადიხრებაო, ეს ალვი ხეც იხრებაო, ზღვი პირზე რო გადიხრება, იქ ორი წკეპლაი გდიაო, ის წკეპლაი როგორმე უნა წამაიღოო. საცა უნა დაიმალონ ის რაშები, დედამიწას რო დაჲკრამ, მათ მოჲხვდებათ თავში და იქვე დაიბადებიანო. თუ რაშები საღამოზე სახში არ მიიყვანე, ტარტაროზი თავ მოგჭრისო,—დაარიგა არწივმა თავი მოყვარე.

წავიდა ალექსანდრე, მაგრა გზა არ იცის. ადგა ისევ ისე არწივმა, შაისვა მხარზე და გადაიყვანა იმ ზღვი კუნძულზე.

— ეხლა წადი და ის ტარტაროზი ნახეო.

მივიდა ალექსანდრე ტარტაროზთან.

— ბაბო, ბოჯამაგირე არ გინდაო?

— როგორ არ მინდაო აი, ორი რაში მყამ, სამ დღეს საღამოთი თუ მამირეკავ სახში, რასაცა მთხოვ, დაგასაჩუქრებ, თუ არა და თავ მოგჭრიო.

— ორი რაში აბა რა არი, თუ გინდა, ასი გამამირეკეო.

— მე ორ რაშზე მეტი არა მყამო. იმ ღამეს ჭამეს პური და გათენდა დილა, თუ არა, ტარტაროზმა გამაურეკა ორი რაში. ერთი აქეთ მთას ეცა, მაროლა, და მეორე იქით. გაიჯწია ბიჭმა და მივიდა ზღვი პირზე, ავიდა ალვი ხეზე, გადაიხარა მზეი და ალვიხეეც გადაიხარა. დაწვდა მაშივე წკეპლებს და წამოიღო ორთავე. მოიდა ტრიალ მინდორზე, ერთი კაი ბეჭური ალაგი ნახა და დაჯცხო მიწას ეს წკეპლები. რამტენ დაარტყამს დედამიწას, იმდენი ამ რაშებ თავპირში ხვდებათ. ბევრი იძვრინეს, იმალნენ, მაგრა ალექსანდრეს წკეპლებს ვერ დეეშალნენ; ისევ ისე მოიდნენ ალექსანდრესთან. ერთზე შაჯდა, ერთიც გვერდზეჯ ყამ და წამოიდა ტარტაროზთან. ბებერმა ტარტაროზმა დაინახა თუ არა ეს, ელდა ეცა. შარეკა რაშები და ალექსანდრეს პური მიუტანა. ტარტაროზმა აქცია ისევისე ეს ორი რაში ქალებათ და იმტელი სცემა, იმტელი სცემა, რო სუ ააჭრელა. ხვალ საღამოთი თუ მაგიყვანათ, თავებ მაგჭრით, მთელი დღე დანა უნა ვლესოო.

ალექსანდრემ მეორე დილით ჩვეულებრივ გამარეკა რაშები, ერთი აქეთ მთას ეცა, ბეორე იქით, ბიჭმა იძინა საღამომდი, საღამოზე კი აიღო წკეპლები, დაჯკრა მიწას, რაშები აბა სად დაემალებოდნენ და საღამოზე ისევისე მაიყვანა სახში. შარეკა თუ არა ტარტაროზმა ეს რაშები, უთხრა:

— ხვალ მე უნდა წავყვე, თუ მეც დამიჭირა, მაშინ თავებ არ მოგჭრით, თუ ვერ დამიჭირა, მაშინ ვაი თქვენი ბრალიო. აქცია ერთი შვილი თავი სახის ტარტაროზად. თვითონ იქცა რაშათ და დაიწყო ლოდინი.

დილით ვითომდა ტარტაროზმა გამაუყვანა ერთი რაში და უთხრა ალექსანდრეს.

— დღეს ეს ერთი წაიყვანეო.

— წაიყვანა ალექსანდრემ, ბაგრა მაშივე გადაიკარგა, სუ გაფრინდა. საღამომდინ იძინა და საღამოზე აიღო ერთი წკეპლა, დაჯცხო მიწას. რამდენ დაჯკრამს იმტელი ეს წკეპლა ამ რაშათ ქცეულ ტარტაროზ ხვდება. ტარტაროზი ზღვაში ჩავიდა, ერთი სორო ნახა, შავიდა შიგა და თევზი მიიფარა. ალექსანდრეი სცემს წკეპლას მიწაზე,

ეხლა თევზ მოხვდა, თევზი იმ სააჩი გაშორდა. ბევრი ირბინა ამ ბებერმა ტარტაროზმა, მაგრა ვერსად ვერ დაიჭალა და ისევისე გამოცხადდა ალექსანდრესთან. მოიყვანა ალექსანდრემ რაში და გამეეგება ქალი, ვითამ იგიც ბებერი ტარტაროზია.

— შენ პური ჭამე და მე დავაბამო. იქცა ეს რაში ისევისე ტარტაროზათ და თავი რაშათ ქცეულ შვილებს აპატია.

გათენდა მესამე დილაً და ტარტაროზმა უთხრა ალექსანდრეს:

— რა გინდა, რასა მთხოვო?

— რასა გთხოვ და შე რო ამტელ ამტელი წლის მშიერი შავი რაში გყამ, გამიძღე ქიშმიშ-ლაბლაბითა და ის მამეციო.

— რაშ არ დაგიჭერ, ოღონ თუ მაიხმარო, უთხრა ტარტაროზმა. გაუძღო ქიშმიშ-ლაბლაბითა და გამოუყვანა ეს შავი რაში. ალექსანდრემ მაშივე გავაზე ხელი გადაუსვა, გააჯწორა, შაჯდა ამ რაშზე თუ არა, მაშივე ცას გააკრა, ალექსანდრე ქვეშიდან მეექცა, აქეთ მთას უნდა დააჯახოს, იქით მხრიდან მეექცა, მეორე მხრიდან უნდა დაეჯახოს კიდევ იქით მეექცა. ბოლოს დედაჩიწას უნდა დაანთხიოს, მაგრა ალექსანდრე ეხლა ზეიდან მეექცა. რო ჩამოხტნენ დედა-მიწაზე, მივიდა ეს რაში და ალექსანდრეს ზედ შუბლზედ აკოცა.

— ღირსი ყოფილხარ და კიდეც მიპუეო, მე შენი გულის პასუხი ვიცი, ნუ იდარდებ, ეხლავე წამავიყვანოთ ქალიო.

ალექსანდრე გამეემშვიდობა ტარტაროზს. ტარტაროზმაც გზა დაულოცა და ორი საათის განმავლობაში ამ შავმა რაშმა ალექსანდრე დაბადა კაჟან-მდევის სახში.

მდევი კიდე მთაშია წასული. ალექსანდრე გადაეხვია თავი ცოლსა.

— აბა, უნდა წაგიყვანოო, უთხრა ქალსა, როცა ქალმა რაში დაინახა, გაეხარდა:

— ეხლა აღარ მეშინია, კი წამიყვან, ჯერ ერთი კაი პური ვჭამოთო. დასხდნენ, ჭამეს, სვეს, ქალმა ჰკითხა:—შენ აკი მოგკლა კაჟან-მდევმა და როგორ გაცოცხლდიო.

— როგორა და მე სიძეები მყავ: არწივი, დათვი, მგელი. იმათ რო გაიგეს, მოიდნენ და გამაცოცხლესო.

შასხდნენ ამ რაშზე და წამოიდნენ. იმ სააჩი გააღვიძა კაჟან-მდევი რაშმა:—უშველე, ქალი მოგტაცესო. მდევმა თქვა:—ბიჭი მოვკალი, თუ წაიყვანდა მამამისი როკაპი, წავალ ნასაც მოვკლავო. წამეეწია მდევი. რაშმა კი ალექსანდრეს უთხრა:

— მინამ არ მოიდეს ხუთ ნაბიჯზე, არ შამატყობინოო. რო მოი-

და ხუთ ნაბიჯზე, ალექსანდრემ უყვირა რაშს, გაიქეცი, თორემ გწვდა ხელებითო. დაინახა შავმა რაშმაც, დაჯკრა ფეხი და გაჯწრო. რამტელიც წამეწივა, იმტელი გაჯწრო. გაიტანჯა ეს კაჟან-მდევი. კაჟან-მდევის რაში დაი არის, ალექსანდრეს რაში კი—ძმაი. დამ დაუძახა ძმასა:

— რას დამტანჯე, ბარემ დაიცადეო.

— მე რო გავრბივარ, შახედე მარგალიტივით ხალხი მიმყავ, შენ კი აბა, ნახე მყრალი მდევ მაათრევო. შაიხედა, მართლა, ამ რაშმა, რო თხასავით მდევი აწევ ზურგზე. მაშივე აიღო და დაჯცა დედა-მიწაზე ეს კაჟან-მდევი. ალექსანდრეც გადმოხტა ხელათ და სუ მი-კაფ-მოკაფა ეს კაჟან-მდევი. ქალი კაჟან-მდევის რაშზე შახტა, ალექსანდრე თავი რაშზე და წამოიდნენ. მოიდნენ როკაპთან. რო-კაპ ქალის მოყვანა არ გეეხარდა ისე, როგორც რაშები.

ალექსანდრემ დაჯპატიჟა თავი სიძეები, ერთი კაი ქორწილი გა-დაიხადა, მეც ერთი დიდი ჯამი ღვინოი დამალეინეს. დღესაც კარგა-თა ცხოვრობენ.

ალი ართალი, ბალი ართალი,
ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი!

51. გლეხი და ბაჯონი

ერთი ბატონი და გლეხი იყო. გლეხი ხელობით ᲩᲭედელი იყო და ბევრ ფულ იღებდა. ეს ბატონ შეშურდა,—ეს გლეხია, მე ბა-ტონი და ისა მჯობნის ფულის აღებაშიო. აღგა და ბატონმა გააღო სამᲭედლოი და დაიწყეს მᲭედლობა თითონა და თავისმა მოურავმა.

გამაიარა ერთმა გლეხმა. ბატონმა უთხრა:

— სად მიდიხარ, გლეხოო?

— თვლი რკინები უნა ვიყიდო სამი ცალიო!

— მე იაფათ მოგყიდიო.

— რას გამამართმევო?

— ათ თუმანო,—ბატონმა უთხრა.

— კარქიო.

ამ ბატონმა დაიწყო რკინების გაკეთებაი. გააცხელა რკინაი, კვე-რა, კვერა და უთხრა გლეხსა:

— სამი რკინა კი ვერ გამოვა, იქნებ ორი გამოიდესო. გლეხმა უთხრა:

— გააკეთეი და, რაც გამოვა, მოგცემ ფულსაიო. ბატონმა კიდე გააცხელა რკინაი. აკაკუნა, აკაკუნა და უთხრა:

— ე, გლეხო, ამას ორი კი არა, იქნებ ერთი რკინაი გამოიდესო.

— გააკეთეო, რაც გამოვა, მოგცემ ფულსაო. გააცხელა ბატონმა რკინაი, კვერა, კვერა და გლეხ უთხრა:

— ე, გლეხო, ერთი რკინა კი არა, იქნება გუთნი სახნისი გამოიდესო.

— კარგი, გააკეთეიო. კიდე გააცხელა რკინაი. კვერა, კვერა და უთხრა:

— ეგ გუთნი სახნისი კი არა, იქნება. გუთნი საფხეკელაი გამოიდეს, მინამ მე საფხეკელაჲ გავაკეთებ, შენ წადი და ფული მაიტანეიო.

წავიდა გლეხი. თან ერთი დიდი სახრეი გაამზადა. ბატონი არიგებ თავი მოურავსა: —ფული როდესაც მაიტანოს, უთხარი გლეხსა: ღაუმატე, დაუმატე-თქო.

გლეხმა ფული წააწოდა მოურავსა და აძლემდა, თანაც სახრე გადაჲცხო მოურავსა.

— დაუმატე, დაუმატეი,—დაიძახა როგორც იყო ბატონიდგან დარიგებული. გლეხმა სახრეი დაუმატა. ბატონი გაიპარა, რო ტყუოდა და ვერ გააკეთებდა რკინას, არც ფული მიჲცა და არც არაფელი. იმი გულიტვინ მივიდა, რო ეცემნა ბატონიტვინა. ბატონი იქ ვერ ნახა და მოურავსა ცემა.

52. ბაპონი და მოჯამაგირე

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ბატონი. დაიჭირა მოჯამაგირე. პირობა დადეს: თუ ბატონს მოჯამაგირის საქციელი გაუკვირდებოდა, ათასი მანეთი უნა გადაეხადა, თუ არა და მოჯამაგირეს უფასოთ უნა ემუშავნა.

ერთხელ მოჯამაგირემ ძროხები წაიყვანა საძოვრათ, საღამოთი აღარ მივიდა, ძროხები კი დეეყიდნა. რო მოვიდა, ბატონმა ჰკითხა:

— ძროხები რა უყავო?

— დავყიდეო,—მერე და ხო არ გიკვირსო?

— არა, რა გასაკვირველიაო. ასე ბატონს მთელი ცხოვრება გაუნიავა მოჯამაგირემ.

ბატონმა მოინდომა სახლიდან გაცლოდა მოჯამაგირეს. ეს გაანდო ცოლს. მართლაც, მეემზადნენ წასასვლელათ. დააცხვეს პურები

და კიდობანში ჩააწყეს. მოჯამაგირემ ეს რო გაიგო, ამააწყო პურები, ჩაძვრა კიდობანშია და თავ წაიყარა. აიკიდა ბატონმა კიდობანი და გაუდგნენ გზას.

გზაში ქმარი ეუბნევოდა ცოლსა:

— იქ ასე მძიმე არ იყო და აქ რამ დაამძიმაო. ამ ლაპარაკში სოფელ მაატანეს. ძაღლები გამეეკიდნენ. ბატონმა კიდობანი დააგდო და გაიქცა. დაგდებაზე კიდობანი გატყდა და პურები გამოცვივდა. მოჯამაგირემ დაიძახა:

— ბატონო, მიშველე რაზე, მეც არ დამგლიჯონ ძაღლებმაო. როცა ბატონი მოვიდა, ჰკითხა:

— ხო არ გიკვირსო?

— არა, რა გასაკვირველიაო. განაგრძეს სიარული. ბატონმა გზაში უჩურჩულა ცოლს, როცა დაღამდება დიდი ხევის ნაპირზე დაწოლილიყვნენ, ფეხთით დეეწვინათ თავაანთი მოჯამაგირე და დაძინებისას ხევში გადეეგდოთ.

ასეც მოიქცნენ. დაიძინეს. მოჯამაგირე ჩუმათ ადგა. ცოლი ფეხთით დაუწვინა და თვითონ გვერდზე მიუწვა. ბატონს გამეეღვიძა და დაიძახა:

— ტყუპი ცოლოო. მოარტყეს ფეხები და ცოლი გადაჩეხეს ხევში.

ბატონმა ეს რო დაინახა, გამწარდა. ბაგრა რაღას იზამდა.

— ხო არ გიკვირს, ბატონოო? ჰკითხა მოჯამაგირემ.

— რაღა არ მიკვირს, მთელი ცხოვრება გამინიავე და ახლა ცოლიც დამიღუპეო.

ასე აჯობა მოჯამაგირემ წყეულ ბატონს.

53. ღვდელი და ლამაზი ფოფოლია

ერთ სოფელში ბებერი ღვდელი იყო. ძალიან ლამაზი ცოლი ჰყვანდა. ცხრა დაკეტილში იყო ეს ქალი და გარეთ არ უშვებდა. იმ სოფელში ერთიც კაი ბიჭი იყო. ბიჭმა დეენაძლავა თავი ამხანაგებს:—მოდი დამენაძლავეთ, იმ ღვდლი ცოლი მე ვითხოვო ცოლათა და ჯვარიც ღვდელმა დამწეროსო.

— თუ შენ მაგას იზამ, ერთმა უთხრა, ღვინოს მე ვიყიდი, მეორემ უთხრა, ცხვარ მე დავკლამო, მესაზემ—პურ მე მოვიტანო, მეოთხემ კი—რაც სხვა ხარჯი იქნება, ის ჩემი საქმე იყოსო.

ამ ბიჭმა დაიბარა მიწი მთხრელები. გეგმა დაუდო და უთხრა ამ

მთხრელებსა:—ჩემი სახლიდან იმ ღვდლი სახლამდინ ხვრელი უნდა გაჴჭრათო. დაიწყეს ამ მიწი მთხრელებმა ხვრელი და ღვდლი სახლი განჯინაში ამაიყვანეს.—აბა, ხვრელი მზათ არიო,—უთხრეს ბიჭსა.

ერთ მშვენიერ დღეს ამ ბიჭმა, როცა ეს ღვდელი სახში არ არის, შავიდა ხვრელში, გამააღო განჯინი კარები და გადმოხტა. ეს ქალი ზის ტახტზე, უცბათ შეეშინა, ბიჭი რო დაინახა.

— ნუ გეშინიან, მე შენ მშველელათა ვარ. მოსულიო. მაგ ღვდელ რო ცხრა დაკეტილში ჰყეხარ, მე უნა გითხოვო ცოლათ და სუ ჰაერზე იაროო.—თანახმა ხარ, თუ არაო. ქალმა უთხრა:

— თანახმა ვარ, მაგთხოვდებიო. ბიჭმა აჩვენა ამ ქალსა ხვრელი და უთხრა:

— აი, აქედან იქნება სიარულიო.

წამოიდა ეს ბიჭი და ამხანაგებ უთხრა:

— მე საქმე გამზადებული მაქ, პირობაზე როგორა ხართო. ამხანაგებს, ვისაც რა პირობა ჰქონდა, ისევისე მოიქცნენ. ზოგმა პური მოიტანა, ზოგმა ღვინოი, ზოგმაც ცხვარი. ყველაფერი მაამზადეს. ეს ბიჭი წავიდა ღვდელთან და უთხრა:

— ხვალ ქალი ჩამყამ და ჯვარი უნა დამწეროო. წამოიდა ეს ბიჭი სახში. გათენდა დილა, ღვდელი გამეემშვიდობა თავი ცოლ, დატუა ცხრა დაკეტილში და წამოიდა. ღვდელი რო აქეთ წამოიდა, ეს ქალი ჩახტა ხელათ ხვრელში და მოუდგა ამ ბიჭ გვერდზე, ალავი უნა აკურთხონ. ამ ღვდელმა შახედა: ეს ხო ჩემი ცოლიაო!

— ცოტა დამაცათ, საცეცხლური დამავიწყდა სახშიაო,—ღვდელმა თქვა,—რო ნახოს ცოლი სახშია, თუ არაო. ქალმა გაირბინა ხვრელი და ისევისე დაჯდა სახშია. რო შავიდა ღვდელი, ქალმა უთხრა:

— რათ მობრუნდიო?

— საცეცხლური დაშავიწყდა აქაო. გამობრუნდა ღვდელი და წამოიდა ისევა. ქალმაც კიდე გამოირბინა ხვრელშია და მოუდგა ამ ბიჭ გვერდზე ისევისეა. მოვიდა ამ ღვდელმა, კიდე შახედა და იძახის: ეს ხომ ჩემი ცოლიაო.—სახარება დამავიწყდა და ემ საჩი მოვალო,—უთხრა ბიჭსა და კიდე გაიქცა სახშია. ღვდელი რო გაიქცა, ქალმა ხვრელში გაირბინა და ისევისე ტახტზე ზის.

— ღვდელო, ეხლა რო წახვედი, რიღაათვინ მობრუნდიო?

— სახარება დაშავიწყდა და იმიტვინ მოველიო. დაკეტა ღვდელმა ისევისე კარებები და წამოიდა. ქალმა გამაირბინა ხვრელი და კიდე მიუჯდა ბიჭ გვერდზე. მოიდა ღვდელმა და კიდე იძახის: ეს ჩე-

მი ცოლია, ნეტავი რა მემართებაო;—ოლარები დამავიწყდა, შვილო, და ემ სააჩი მოგვალო. წავიდა კიდე ღვდელი. ქალმაც გაირბინა ხვრელშია და სახში დახვდა.

— ღვდელო, რა მაგდის, რა ყოველ წუთში დარბიხარ, რა არი ვერ უკურთხე ალავი იმ ბიჭსაო!

— როგორ უნდა დავწერო ჯვარი, იმ ბიჭი ცოლი სუ შენა გგამო.

— მერე რა არი, ღვდელო, ადამიანი ადამიანსა ჰგამო. ღვდელმა დარწმუნდა, რო თავი ცოლი აქ არი და წამოიდა.

გამოირბინა ამ ქალმა ხვრელშია და მინამ ღვდელი მივა, დაუჯდა ბიჭ გვერდზე. მოვიდა ღვდელი, ალავს აკურთხებს, მაგრა მაინც იძახის:—ეგ ჩემი ცოლია და ნეტავი რა მემართებაო. წავიდნენ საყდარში, დაიწერა ჯვარი ღვდელმა ამ თავი ცოლსა, მოიდნენ საყდრიდანა და გაიმართა დიდი ქორწილი. დააყენეს ღვდელი თამადათა. ამ ბიჭმა უთხრა მეღვინეებს:

— ისე დაათვრეთ, რო ყირამალა ტრიალებდესო. ისე დაათვრეს ღვდელი, რო იქვე დაიძინა. ყველანი რო წავიდ-წამოიდნენ, ადგნენ და ამ ღვდელ მოიპარსეს წვერი, გახადეს თავი ღვდლი ტანისაჩოსი, ჩააცვეს ჯარისკაცის ტანისამოსი, დახურეს ჯარისკაცის ქუდიცა და ერთი ჟანგიანი თოფიც მიიცეს ხელშია მძინარე ღვდელს, გაიყვანეს და ერთ შარაგზაზე დააწვინეს.

ღვდელი რო გამოფხიზლდა, ღამე შაიცივდა, ცოტა მიიშმუშმაიშმუშნა. ადგა და წვერზე ხელი მაისვა. ნახა წვერი არა აქ, თავზე ცილინდრი არა აქ. ადგა და ანაფორა უნა მაიხვიოს, ნახა, რო ანაფორაც არა აქ, ჯარისკაცის შალვარი აცვია. გადაყო გვერდზე ხელი—ჯანგიანი თოფი უდემ. ღვდელმა თქვა: თუ სალდათი ვარ, ჩემი პოლკი სად არი, თუ ღვდელი ვარ, ან წვერი რა მექნა, ან ანაფორაო!

ღვდელმა იფიქრა: მოდი, წავალ ღვდელთან, თუ ღვდელი სახშია, მაშინ მე სალდათი ვიქნები, თუ შინ არ არი, მაშინ მე ღვდელი ვიქნებიო. მივიდა თავი სახში და აკაკუნებ კარებს:—ფოფოდია, ფოფოდიაო,—ყვირის. ამ დროს ფოფოდია და თავი ქმარი ღვდლი სახში არიან. ფოფოდიამ დაუძახა:

— ვინა ხარო?

— ღვდელი სახშიაო?

— ეს არი, ემ სააჩი ნათლობაში წავიდაო. აბ ღვდელმა თქვა: მაშ მე სალდათი ვყოფილვარო და გამობრუნდა. მობრუნდა ისევისე და ფოფოდიას დაუძახა:

— უკაცრავათ კი ვარ, რო გაწუხებ, მაგრა დღეს აქ ჯარი ხალხ ხო არ გაუვლიაო? ფოფოდიამ დაუძახა:

— ემ საღამოზე გაიარეს, რო ირბინო კარქა, დაეწევიო.

მოიგლიჯა ღვდელმა ქუდი, ცალ ხელში თოფი დაიჭირა და გაიქცა: არიქა, ჩემ ჯარ ჩამოვრჩენილვარო. დღესაიც გარბის ეს ღვდელი, მაგრამ არ იქნა და ვერ დეეწია თავი ჯარსა!..

54. ღვდლის ცოლი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ღვდელი. მას ჰყამდა ცოლი. ერთხელ ღვდელი სხვა სოფელში წავიდა. ცოლმა კი საყვარლები გაიჩინა. ისიც ღვდლები. ერთი დაიბარა საღამოს რვა საათზე, მეორე—ცხრაზე და მესამეც—ათზედა. თავი ქმარი უნა მოსულიყო თერთმეტ საათზე.

მართლაც, რვა საათზე მოიდა პირველი ღვდელი. მოუტანა ქალს საუზმეი, საუზმესა და ლაპარაკში ერთი საათიც გავიდა. მეორე ღვდელმაც მააკაკუნა კარები. ცოლს შეეშინა:

— ვაიმე, ჩემი ქმარი მოდის და სად დაგმალოო. ერთი ქვევრი ჰქონდა, ახადა და შიგ ჩასვა. გაუღო კარი მეორე ღვდელსა და ისიც საჭმელ-სასმელით დატვირთული შემოვიდა. მასაც ერთი საათი გააყვაინა, შემდეგ მესამე ღვდელმაც მააკაკუნა კარები. ქალი კიდე შაშინდა:—ჩემი ქმარი მოდის და სად დაგმალოო. ახადა იმ ქვევრსა და მეორე ღვდელიც შიგ ჩასვა. მესამე ღვდელსაც იგივე დაემართა და ბოლოს თავისი ქმარი მოიდა, ვერაფერი გაიგო და არხეინათ დაიძინა.

დილით ღვდელი იმავე სოფელში წავიდა. ცოლმა ქმარი რო გაიჯტუმრა, ახადა ქვევრსა და ნახა, ღვდლები ყველა დამხჩვალიყვნენ. ცოლმა თქვა: ქმარმა რო არ გაიგოს, უნა გადავყაროო. ამოიყვანა ერთი ღვდელი ქვევრიდან და ქვევრის თავზე დააგდო, გაურიგდა ერთ კაც ერთ თუმნათ, რო გადაეგდო.

— ეს ღვდელი ქვევრი თავზე დამთვრალა და აქ რა უნდა, გადააგდეო. აიკიდა კაცმა ღვდელი, წაიყვანა და შორს გადააგდო. როდესაც დაბრუნდა სახში, ნახა მეორე ღვდელია ქვევრის თავზე. ესეც აიკიდა და მაღლა მთიდან დააგორა. როდესაც ფულითვინ დაბრუნდა სახში, ქვევრი თავზე კიდე დახვდა ღვდელი. ისიც აიკიდა შორს გადასაგდებად, რო არ მოსულიყო. უკან რო მოდიოდა, დაინახა ცხენზე მჯდომარე ღვდელი, ეს იმ ქალის ქმარი იყო.

კაცმა თქვა: ეს ცხენით მოდის და მე ფეხით როგო მოვასწრებ-

დიო, გადმააგდო ცხენიდან, ჯერ მაგრა სცემა, შემდეგ ქვაზე დაუდო თავი და გაუჭეჭყა, წაიღო და შორს გადააგდო.

თითონ შეჯდა ამ ცხენზე და წამოიდა სახში ფულის ასაღებათ. ქალს გული შემოეყარა: ამას ჩემი ქმარიც მოუკლამსო. რაღას იზამდა, ადგა და თუნანიც გადაუხადა.

55. წუწკი ღვდელი

იყო ერთი ღვდელი ერთ სოფელში. ღვდლი სახლი წინ ერთი გლეხი ცხოვრობდა და კარგი ცოლი ჰყვანდა. ღვდელი გამოიდოდა დილით და ამ ქალს დაუძახებდა:

— ქალო, ყიყლიყოო! ყოველ დილით ასე უძახთა, მაგრა ქალმა ვერაფერი გაიგო.

ერთხელაც ქალმა თავი ქმარს უთხრა:

— ღვდელი ესე-ესე მიძახის ყოველ დილითაო. ბიჭმა ორი კოდი ნედლი სიმინდი, ხელსაფქვავები და ერთი კაი კომბალი მაამზადა, ცოლ უთხრა:

— ხვალ დილით ღვდელმა რო დაგიძახოს, „ყიყლიყოო“, დაუძახე:—მაყვლიყოო. ის იმ საახი შენთან მოვა სახშია და მეც აქ ვიქნები დაშალულიო.

მეორე დღეს ღვდელმა ჩამაიარა და ქალ დაუძახა:

— ყიყლიყოო! ქალმაც უპასუხა:

— მაყვლიყოო! ღვდელმა პირჯვარი გადაიწერა, რასან ვეღირსე ქალმა ხმა გამცაო და მოიდა ქალთან სახში. რო შავიდა სახში, ქმარი დახვთა.

— რა გინდა, ღვდელო, აქაო?

— ისე მოველი, როგორც მეზობელიო. ბიჭმა ცოლ უთხრა:

— გამაიღე ხელსაფქვავები, ის ორი კოდი სიმინდიცაო. ღვდელს უთხრა:

— ეს თუ არ დაგიფქვამ საღამოზდინა, თავ-პირ დაგამტვრეო. დაჯდა ამ ღვდელმა მშიერ-მწყურვალმა და საღამომდინ ატრიალა ეს საფქვავი. საღამოთი ეს რო დაფქვა, ბიჭი დაადგა კომბლითა და ერთი მაგრა ცემა, სუ სისხლი ადინა.

— წადი, საცა შენი თქვა, იქაც ჩემიც თქვიო,—უთხრა ღვდელსა და გამააგდო.

წავიდა ეს მშიერი და ნაცემი ღვდელი სახში. ცოლმა უთხრა:

— რა არი ეს, ტერტერ, რა მოგსვლიაო.

— რაღა რა მომსვლია, დილას რო ავდექი, მას აქეთ თორმეტი ნათლობა გამავიარე და ყველგან თამაღათ ვიყავიო, ძაან დავითვერი, გზაში წავიქეცი და თავ-პირი დავიმტვრიეო.

დიაძინა იმ ღამეს ამ დამტვრეულმა და ნაცემმა ღვდელმა.

მეორე დილას ღვდელმა რო ჩაზოიარა, ქალმა დაუძახა:

— ღვდელო, ყიყლიყოო! ღვდელმა დაუძახა:

— არა, შენი ჭირიმე, განა კიდე გაქვთ სიმინდი დასაფქველიო?

იმ დღიდან ის ღვდელი სუ აღარ იყურებოდა იმათ კარებიდკენ.

56. პურის მარცვალი

ერთ კაცსა გუთანი უბია და მიწასა ხნამს. ერთი პურის კაკალი ამააყოლა, კარქი მარცვალი, როგორც თხილი გული. აუგდო გუთანი და წამოიდა სახში. მოიდა სახში და ცოლმა უთხრა:

— ჰო, რათ მოხვედიო?

— რათ მოვედი და იმ დროიდინ არ ვიმუშავებ, მანამ იმ დროინდელ ხალხს არ ვიპოვი, ვინც ამ პურ ჭამდაო.

გაიწია და დიდხანს იარა. ერთ ადგილას უთხრეს, რომ ამა და ამ ალაგას ერთი ბებერი ცხოვრობს და იმას ეცოდინებაო. მივიდა ამ ბებრი კარებზე.

— ოჯახი პატრონო, ოჯახი პატრონო!

გამოიდა ძალიან მოხუცებული ქალი.—სახშია თქვენი ქმარიო?

— დიახ, სახშიაო.

— ერთი ცოტახან დაუძახე, თუ შაიძლებაო. გამოიდა ეს ძალიან ჭაღარა შართული კაცი.

— რა გინდა, შვილოო!

— აი, იმ დროის მომწრე ხარ თუ არა, როცა ხალხი იმ პურსა სჭამდაო.

— მე არა, შვილო, მაგრა ჩემი უფროსი ძმაი სცხოვრობს ეგერ იქით და შაიძლება ის იყოსო. ეგრე უთხრა შუათანამაც.

გაიწია, წავიდა და მივიდა მესამე, უფროს ძმათან.

— ოჯახი პატრონო, ოჯახი პატრონოო!

გამოიდა იმითანა ფაშფაშა ქალი, რო თვალ მოგტაცებს (ეს ქალი იმ ბებრი ცოლია!).

— რა გინდა, ვინა ხარ შენაო.

— მე ამ ოჯახის უფროსი მინდაო.

— ამ ოჯახის უფროსსა სძინამ და მეც ამ ოჯახის უფროსი ვარ, რაც გინდა თქვიო.

— არა, მე თქვენ მამაკაცთანა მაქ საქმეო.

— აბა, მოუცადე ცოტა ხანიო და მიიყვანა სახში.

უცადა კაცმა, დიდი ხანია უცდის, მარა არ ეღვიძება ამ კაცსა თავი დროთი. ქალ უფლება არა აქ უდროოთ გააღვიძოს. ეს კაცი ხოში-ძანშია და ქალმა იფიქრა: მოდი, გავაღვიძებ ჩემ ქმარსაო. გააღვიძა. წამოდგა ეს კაცი. პირი დაიბანა, სარკეში ჩაიხედა. ერთი ჭაღარა გამეერია.

— აბა, რა გინდა რაზე მოსულხარო? ჯერ პური ჭამა დაიწყეს,— ახლა თქვი რა გინდაო. ამოიღო და ის პური მარცვალი აჩვენა.

— მე მინდა გავიგო, ამ პური მომწრე ხარ, თუ არა შენაო?

— ვარო,—უთხრა,—დაიცა, ჯერ პური ვჭამოთ და მერე გეტყვიო. პური რო ჭამეს, ცოლ უთხრა (ცოლი ორსულათა ჰყაჲ, დღე დღეზე უნდა შვას ბავშვი!):—წადი ახლა მესამე სართულშია და ერთი საზამთრო ჩამოგვიტანეო.

გაიქცა ამ ქალმა ხელათ და ერთი საზამთრო ჩამოუტანა.

— ეს არა, სხვა აარჩიე და ის ჩამოიტანეო,—ქმარმა უთხრა. გაიქცა ამ ქალმა, აიტანა ეს საზამთრო ისევისეა და სხვა ჩამოიტანა.

— დე, ამაზე კარქი აარჩიეო და მესამედ გაგზავნა. წავიდა ქალმა და ისევისე ეს საზამთრო ჩამოიტანა, სხვა არა აქვთ. დაჭრეს ეს საზამთრო, ჭამეს.

— აბა, უნდა წავიდე, ბარემ მითხარი, კაცო, ამ პურის ამბავიო,— უთხრა კაცმა.

— ეგ პური იმ დროინდელიაო, როდესაც ორი ძმა-კაცი იყრებოდაო, ერთი ცოლშვილიანი იყო, ერთი უცოლოო, კალოზე რო ხვავსა ჰყოფდენო, უცოლოი ეუბნებოდა, რო წაიღე, კაცო, შენ ოჯახიანი კაცი ხარო; ცოლ-შვილიანი კიდე ეუბნებოდა: წაიღე, კაცო, შენ უცოლო ხარ და მეტი ხარჯი გაქო. ეგ ერთი მარცვალი მაშინ დაკარგულა და შენ გიპოვიავო.

— კი მაგრამა, შენ თუ ასე უფროსი ხარ, იი შენი ძმები რათ არიან ეგრე ბებრები და შენ ასე ჯიელიო?

— ეე, ნეტაი შენო!—გაიცინა ამ კაცმა,—იმ ჩემ ძმებსაო, პირველათ რო ნახეო, იმასა ჰყამ ცოლათ ვირის გვერდიო, მეორეს კი— ძაღლი პირიო და მე მყავ ადამიანი შვილიო. ჩემმა ცოლმაო, ჭე რო ძილი არ დავამთავრე და გამაღვიძა, სარკეში რო ჩავიხედე, ერთი ჭაღარა გამომერიაო. ჩემი ცოლი, ხო უყურებ, ეგრე მყოფი ქალია,

დღე დღეზე დასაწოლიაო, სამჯერ ავიდა მესამე სართულში და ჩამოიდა, მე განა ბევრი რამე მაქ აქ, ეს ერთი საზამთრო მქონდაო. ხათრი რო არ გამიტეხა, ავიდა და ჩამოიდა, იმიტვინ არ არი ბებერიო. ისინი იმიტვინ არიან ბებრები, რო, ხო გაიგე, როგორი ცოლებიცა ჰყვანანო. წადი ეხლა და როგორც გიშრომია ისევისე იშრომეო.

გამოემშვიდობა, წამოიდა და როგორც შრომობდა ისევისე დაადგა თავი შრომასა.

57. ოქროს თასი

ერთ ქვეყანაში საწყალი კაცი იყო. პატარა ვაჟიშვილის მეტი არავინა ჰყვანდა. ძალიან რო გაუჭირდა კაცსა, თქვა: ამ ბიჭს გავყიდიო. მეტი არაფერი გააჩნდა და აბა რა უნდა გაეყიდნა! ადგა და ბიჭიც წაიყვანა ბაზარზე. გზაში ერთი ტყე ჰქონდათ გასავლელი. რვა ყაჩაღი გადმოუხვდა წინ.

— ასწით ხელები! ყაჩაღებმა ნახეს საწყალზე საწყალი კაცია.

— სად მიხვალთ?—ეკითხებიან.

— ბიჭი ბაზარზე მიმყავ გასასყიდათო.

— მაიტა, ჩვენ მოგვყიდე, რახან ჰყიდიო. ყაჩაღებმა იფიქრეს: ბიჭი ჩვენ გამოგვადგება, კერძს გაგვიკეთებს, ან რამესაო.

მიაცეს ერთი დიდი ტომარა ამ კაცსა და მიიყვანეს ოქროდ ფულთან (დიდი ფული ეგროვათ!).

— რასაც მეერიო, წაიღეო. რასაც მეერია კაცმა, ჩაჰყარა ტომარაში, მაიკიდა და შინ წაიღო. კაი მშვენიერი სახლები დაუკეთა და კარქი ცხოვრებაც დაიწყო.

ბიჭი კი ყაჩაღებთან იზრდება. თხუთმეტი წლისა რო შაიქნა, უთხრა ყაჩაღებსა:

— მეც წამიყვანეთ, ვივლი თქვენთანაო. გაიხადეს მეცხრე ძმათა და დადიან ერთათ საყაჩაღოთ. ერთ საღამოთი ახალმა ყაჩაღმა თქვა:

— ყველაფერი ბევრი გვაქვს, ფულიც, საჭმელიც, სასმელიც, მაგრამ რა ჰყრია ამ ცხოვრებაში, აბა ვინ გვიცნობს ჩვენაო! წავიდეთ დიდ ქალაქში, გავაღოთ მაღაზიები და ვივაჭროთო. ყაჩაღებს ეს ძალიან მეეწონათ. მაშინ პატარა ძმამ გაამსო ერთი ხურჯინი ოქროთი, შეჯდა ცხენზე და წავიდა. მივიდა ერთ ქვეყანაში და ხემწიფი ნახვა მაითხოვა.

— ჩვენ ცხრა ძმანი ვართ, ამ თქვენი ქალაქიდან ძველათ წამო-

სულები, გადავწყვიტეთ, აქვე დავბრუნდეთ და თანაც სავაჭროები გავაღოთ, გთხოვთ, ნება მოგვცეთო,—უთხრა ხემწიფეს.

ხემწიფემაც დაუწერა ნებართვი ქაღალდი. ბიჭმაც გამოიდა ქალაქში, შუა ალაგას ცხრა შენობა დაიქირავა, ერთი ოცი ურემიც დაიჭირა და მიიყვანა თავიანთ ბინაზე. დაუდეს ურემზე თავიანთი ქონება და წამოიღნენ. გააღეს დიდი სავაჭროები. თუ სხვა ვაჭრები საქონელს ორ შაურათ ჰყიდიან, ესენი შაურ ფასებენ. ისეთი ვაჭრობა აქვთ, რომა თქვენი მოწონებული. სხვა სავაჭროებში კი ნოქრები სხედან პირღიები. ერთ საღამოთი ბიჭმა თქვა:

— ამ ქალაქშია დიდი ვაჭრები ვართ, მაგრა ვინ გვიცნობსო. ერთი დიდი ქეიფი გადავიხადოთ, ხემწიფე და დიდი ვაჭრები დავპატიჟოთო და გაგვიცნობენო. მართლაც, გააკეთეს ერთი დიდი ქეიფი ღვინი სმაი რო დაიწყეს, ბიჭმა მაიტანა თავაანთ ოქროდ თასი, თვითონ მეღვინეთ დადგა და ყველას ასმევს. ერთი ვაჭარიც იჯდა იქა, დაიჭირა ხელში თასი, ჯერ დაგცალა და ბოლოს თქვა:

— ეს თასი ჩემი არიო! ბიჭმა უპასუხა:

— შენი კი არ არი, ჩვენიაო!

— ნაშ თუ თქვენია, ამის ცალიც გექნებათ კიდეო!

შაიქნა ერთი არევ-დარევა. დანაძლევდნენ. ბიჭმა უთხრა:

— თუ ამი ცალი მოვიტანო, მაშინ თავი უნდა მოგჭრათ და შენი ქონება ჩვენ დაგვრჩესო, თუ არაო, ჩვენ მოგვჭერი თავი და ჩვენი ქონება შენ დაგრჩესო. დაწერეს ქაღალდი, ყველამ ხელი მააწერეს და სამი წლის ვადა დააწესეს.

გამეემშვიდობა ბიჭი ძმებ, ჩაიდო თასი უბეში, გაგწია და წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ სახემწიფოში. ერთ ბებერს ეგტუმრა. ტირის, ტირის ეს ბებერი, რო აღარ იცის რა ქნას.

— რათა ტირი, დიდედოო?

— რას მიშველი, რო გითხრა, შვილოო!

— მითხარი, ეგებ გიშველო რაშეო.

— ჩვენ ხემწიფეს ერთი ვაჟიშვილი ჰყვანდა, მოუკვდა და ყოველ ღამე ერთ კაცს აყარაულებს იმის საფლავზედა, ხოლო ვინცა ყარაულობს, ისიც იქვე კვდებაო; ერთი შვილი მყამ, ამაღამ იმისი რიგია და დილაზე აღარ მეყოლებაო.

ბიჭმა უთხრა:

— წადი, მაახსენე ხემწიფეს, იმ სასაფლაოს გვერდზე ერთ საფლავი კიდე ამოთხარონო. ამოთხარეს, ნართლაც, სასაფლაოი. ბიჭმა წაიყვანა ამ ბებრი შვილი და უთხრა:

— შენ აქ დაიძინე, საყარაულოთ მე წავალო. ჩაჯდა ამ სასაფლაოში და ზეიდან რამე-რუმეები გადიფარა, რო არ გამოჩნდეს. უყურებს მთელი ღამე, აი, შუაღამეც, მაგრა არაფერი არ არი. შუაღამე რო გადაიარა, ერთი ქალი მოფრინდა. ერთი წკეპლაი უჭირამ ხელშია. დაჯკრა და ეს საფლავი გაიხსნა, მკვდარი ზეით ამოვარდა. ქალმა გადააცალა კუბოს თავი, დაჯკრა წკეპლაი და მკვდარი გაცოცხლდა. ქალი ეხვევა, ჰკოცნის და რას უშვება, რას არ უშვება. ბიჭი კი, როგორც ბურანში, ვერაფერ ვერა გრძნობს. ქალმა ბიჭი სურვილი რო მოიკლა, ისევ დაარტყა წკეპლაი, მოკლა, დახურა თავი, კუბო ისევისე ჩეეშვა მიწაში და დაიკეტა საფლავიც. ბიჭმა უყურა ამ სეირს, მეორე დღეს ბებერს უთხრა:

— წადი, ხემწიფეჲ თხოვე, ამაღამაც ჩემი შვილი იყარაულებსთქო. მთელ ხალხ გაუკვირდა: ამის მეტი არავინ გადარჩენილაო. წავიდნენ მეორე ღამესაც საყარაულოთ. ისე მააწყო საფლავი, რო ერთი აშოხტომით ის ქალი უნა დაიჭიროს. ღამე კიდე მოიდა ქალი, მკვდარი გააცოცხლა და დაუწყო ხვევნა. უცეფ ამოხტა ეს ბიჭი და ეძგერა ქალსა. ქალი ხელიდან გაუფრინდა, მაგრა წკეპლაი ბიჭ შარჩა ხელში. გათენდა დილაი და ხემწიფი შვილი ცოცხალი მივიდა თავი სახში.—აბა, ვინ იყო, ვინ გააცოცხლა, შაჯქმნეს ჩოჩქოლი. დაიბარეჲ ეს ბიჭი, მანაც წკეპლაი დაჯკეცა, ჩაიდო ჯიბეში და მივიდა.

ხემწიფემ უთხრა:

— რა გინდა, რითი დაგასაჩუქრო?

— შენი არაფერი მინდა, ამოიღო ეს თასი და აჩვენა, აი, ამი ცალი თუ გაქ, მამეცი.

— მე მაგი ცალი არა ჩაქო.

— აბა, შენი არაფერი მინდა რაო. გამეემშვიდობა და წავიდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ სახემწიფოში. მაადგა ერთი ბებერი დედაკაცი ქოხსა:

— დიდედო, თუ შაიძლება ამაღამ მიჯტუმრეიო.

— მობრძანდი, შვილოო. რო დასხდნენ, ბებერმა თქვა: ამას პური ეშიებაო. გამოიღო ვარცლი და ფქვილი გაჯცრა. გადაალაჯა ბებერმა ვარცლსა...

— რა შვები, დიდედოო?—დაუყვირა ბიჭმა.

— ჩვენში წყალი არ იშოვება, შვილო, და აბა რა უყოო.

— რატო არ იშოებაო?

— ჩვენში წყალი არი, ვხედამთ, ჩანს, მაგრა ადამიანი თუ მოვიდა ახლოს, ქვავდება იმ წამაო.

— რათა, მიზეზი რა არიო?

— ერთი ხე დგა იმ წყალთან, ზედ ქალია ჩამოკიდული, ვინც იქ გაივლის, ფეხს დაარტყამს და აქვავებსო.

— აბა, მამეცი წყალი ჭურჭელი, გექნება რამეო! წამააავლო ორ კოკაჲ ხელი და გაიქცა ბიჭი წყალზე. მივიდა, აუარებელი ხალხი დგა, მაგრა ვერავინა ბედამ მისვლას. ბიჭი თამაშათ მიდის, არ ერიდება ხესა. ხალხი ეუბნევა:—ნუ მიხვალ, შვილო, თორე გაქვავდებიო! არ დაიშალა და წავიდა ხეჲთან, ნახა ერთი კარგი მზეთუნახავი ჩამოკიდულა და ყვირის:—მიშველეთ, მიშველეთ! ბიჭმა დაუძახა:

— მაიცა, მაიცა, მე გიშველიო. ქალი ეუბნევა:

— მხარი მომიშვირე, მხარი, ფეხი დაგადგა და ჩაშოვიდე. ბიჭი დაკუზულათ მიდის, როგორც ახლო მაატანა და მხარი უნა მიჲცეს, წაწვდა ფეხში. ქალი კი გაფრინდა, მაგრა ოქროჲ ქოში ხელში შარჩა. მივიდა, აამსო კოკები და ხალხიც მეესია წყალსა.

ხემწიფეს მაახსენეს: წყალი გამთავისუფლთაო. დაიბარეს ეს ბიჭი და წაიყვანეს ხემწიფეჲთანა.

— რა გინდა, რით დაგასაჩუქრო, რო ეს წყალი გაშიმთავისუფლეო,—უთხრა ხემწიფემ.

— არაფერი მინდა რა შენი, ამ თასი ცალი თუ გაქ, ის მამეციო. გაუკვირდა ხემწიფეჲ:

— შაგი ცალი ვინ მამცა, შვილო, მაგი ფასი სუ არა მაქ სახემწიფოშიო. გამეემშვიდობა ბიჭი, გაჲწია და წავიდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ წყლი პირზე, დიდი წყალი მოდის. ორი მოხუცებული კაცები სხედან და იმდენა წვერები აქვთ, რო ფეხებამდი წვდებათ.

— გამარჯვებათ!

— გაგიმარჯოს! ბიჭმა ჲკითხა:

— რას უსხედთ აქა?

— გაღმა წასვლა გვინდა და ვერ გავდივართო.

— რატომ ვერა, ნავი ხომ აქ არიო?

— ემ ნავში ვინც ჩაჯდება, შუა წყალში გადაუბრუნდება და იხრჩობაო.

— აბა, ჩასხედითო. ჩასხდნენ და ბიჭიც ჩაჯდა. მივიდნენ შუა წყალზედა, უსვამენ ნიჩბებსა, მაგრა ნავი აღარ ბოდის. ბიჭი აქეთ-იქით იყურება: ნეტავ რატო არ მოდისო! უცებ ამოყო ერთმა ქალმა

ხელი წყლიდანა, უნდოდა, ნავი გადეეტრიალებინა. წვდა ბიჭმა მაჯაში. თავი კი გააშვებინა ქალმა, მაგრა ოქროჟ სამაჯური ბიჭ შარჩა ხელში. ბიჭმა წვერიანებსა დაუყვირა:—თქვენ ნავს მოუარეთო და თვითონ გადახტა წყალში. იქ მშვენიერი სასახლე ნახა. შავიდა, რა გინდა სულო და გულო, რო არ არი, ისეა მორთული, რო ყველაფერი შიგაა. დაიარა სასახლე და ერთ ტახტ ქვეშ დაიმალა.

ის ქალები, რომელთაც ამ ბიჭმა წკეპლაი, ოქროჟ ქოში და სამაჯური წაართვა, დები ყოფილან. ეს სახლებიც მათი ყოფილა. სამ წელიწადში თურმე შინ ერთხელ მოდიან. იმ დღით გასულა სამი წელიწადიც და უნა მოიდნენ სახშია. შამააღეს კარები და შამოცვივდნენ სამთავ ქალები.

უფროს დას უთხრეს:

— ო, ქალიშვილო, რა უყაი წკეპლაი? შუათანას უთხრეს:

— ო, ქალბატონო, შენი ქოში რა იქნა? ბოლოლას უთხრეს:

— ქალიშვილო, შე რაღა უყავ სამაჯური?

ბიჭს, ტახტქვეშ რო წემ, ეს ყველაფერი ეყურება. ბოლოლამ თქვა:

— რა დროს სამაჯურია, მაიტა ერთი პური ვჭამოთ, ძალიან მშიანო. გაშალეჟ სუფრა და გააწყვეს ყველაფერი. აიღო პირველამ, დაასხა ჭიქაში ღვინოი და დაილოცა:

— ეს გაუმარჯოს იმ ადამიანს, რომელმაც, მე რო ერთი ხემწიფი შვილი მყვანდა დამონებული და ყოველღამ ვაწამებდი, ის გაამთავისუფლა და წკეპლაც წამართვაო, ნეტავი კი ეხლა აქ იყოს, სულში ჩავიძვრენდიო! აიღო და დალია ღვინოი. დაასხა და მიაწოდა შუათანა დასა.

შუათანა დამ თქვა სადღეგრძელო:

— მაშ, ამ სამსე ჟტაქნით გაუმარჯოს იმ ადამიანს, რომელმაც, მე რო ერთ წყალ ვიყამ დაპატრონებული და აუარებელ ხალხ ვაქვავებდი, ის წყალი გაამთავისუფლა და ოქროჟ ქოში გამხადაო; ნეტავი კი ახლა აქ იყოს, სულში ჩავიძვრენდიო! დაცალა ეს ჟტაქანი, დაუსხა და ბოლოლა დას მიჟცა.

პატარა დამ თქვა:

— მაშ, ამ სამსე ჟტაქნით გაუმარჯოს იმ ადამიანს, რომელმაც, მერო მდინარეზე ვიყამ დაპატრონებული და არც ერთ მენავეჟ დაუხრჩობელ არ უშვებდი, ის გაამთავისუფლა, სამაჯურიც წამაძროო; ნეტავი კი ეხლა აქ იყვეს, სულში ჩავიძვრენდიო!

გამოძვრა ეს ბიჭი ტახტი ქვეშიდან და დაიძახა:

— მე ვარ ის ადამიანია; აი, შენი წკეპლაი, შენი ქოში და შენიც სამაჯურიო. შამოეხვივნენ ქალები და ჰკოცნიან, ერთი მეორეს არ აცლიან კოცნასა. დასვეს ბიჭი და იმ ღამეს კაი დროება გაატარებინეს.

— რა გაგჭირებია, რიტვინ მოსულხარო. ამაიღო ბიჭმა თასი და აჩვენა:

— აი, ამ თასის ცალი მინდაო.

— თუ გინდა, ასი გაგატანოთო.

ბიჭი ფიქრობს: სამი წელიწადი, ვადათ რო დაუდო, უკვე გადის, ერთი დღე-ღა დარჩენილა, ვაიმე, თუ სამი წელიწადი იქიდან მოუნდი, სამიც აქედან მინდა, ჩემ ძმებ ხო დახოცამენ, მერე რაღათ, მინდა მისვლაიო.

გათენდა დილა. ბიჭმა გამაიღვიძა. აღარც პურსა შჭამს და აღარც ლაპარაკობს. ქალები ეხვეწებიან: გვითხარი, რათ დაღონებულხარ, რატო პურ არა შჭამო?

— ეე, რაღა რათ დავღონებულვარ, სანაძლეო მაქ დადებული ერთ ვაჭართან, აი, ამ თასის ცალზე, აშაღამ თორმეტ საათზე გადის ვადა, თუ არ მიველი, ჩემ ძმებ თავებ დააჭრისო.

— მაგაზე რასა ღონდები, უფრო ადრე მიგიყვანთ იქაო. დაჯდა იმ დღით ბიჭი და კაი პური ჭამა, კაი დროებაც გაატარა.

საღამოთი უთხრეს ქალებმა:—დაიძინე, დაწექიო. დაწვა ბიჭიაც და დაიძინა. ქალებმა გამაიტანეს ხალიჩა და გაშალეს, გამოიტანეს იმ ნაირი ჩვიდმეტი თასი და დააწყეს ამ ხალიჩაზე, აგრეთვე გააყოლეს ჩვიდმეტი ოქროს ჲტაქანი, ჩვიდმეტი კოვზი, ჩვიდმეტიც მათლაფა და თვრამეტი ხელი ტანისამოსი: ცხრა ქალისა, ცხრა ბიჭისა; ადგეიეს მძინარე ბიჭი, დადეს ამ ხალიჩაზე და უთხრეს პატარა დასა:

— წაიყვანე ბიჭი და თავი სახლის ბალკონზე დასვიო. პატარა დამ უბრძანა ხალიჩას:

— ხალიჩავ, წადი ამა და აგ სახემწიფოში, ამა და ამ ოთახის ბალკომში დაჯექიო. აფრინდა ეს ხალიჩაც და წავიდა. თერთმეტი საათი იყო ღამისა, რო ხალიჩა იმ ბალკომში იჯდა. გააღვიძა ბიჭი. ის წამოდგა, თვალები მაიფშვნიტა.—შენ სახში ხარ, გენაცვალე, ნუ გეშინიაო,—ეს ქალი ეუბნება. გადმააწყვეს სუ ყველაფერი, რაც კი იყო დაწყობილი ამ ხალიჩაზედა, გამოემშვიდობა ქალი და წავიდა. ერთი მაგრაც აკოცა წასვლი დროს: ნიშანი იყოს ესაო.

— სახში კი ერთი ტირილი და ერიამული უდგათ ძმებსა და რძლებსა. დააკაკუნა ბიჭმა: ძმებს ის ვაჭარი ეგონათ, მაგრამა გააღეს

კარები და გაჩნდა ერთი სიხარული, კოცნა, ხვევნა, რამე. ბიჭმა უთხრა ძმებსა:

— წადით ჩქარა, ხემწიფეჲ შაატყობინეთ, ჩემ დროზე მოველიო. გაიქცა ერთი ძმაი და შაატყობინა ხემწიფესა, შახედეს, რომა თორმეტის ნახევარი იყო. გათენდა დილაი და ეს ხალხი, ვინაც ჰყვანდათ პირველ ქეიფზე, სუ ყველა დაჲპატიჟეს. დასხდნენ და ძმებმა უთხრეს ვაჭარსა:

— მაიტანე იმ თასის ცალი თუ არაო? მან უპასუხა:

— ვერ ზოვიტანეო.

— მაშ, ჩვენ მოვიტანეთო. შამოიტანა ბიჭმა თვრამეტი იმნაირი თასები და დაუწყო წინა. ჩამაართვეს მთელი ქონება ვაჭარსა და გადაჲცეს ამ ბიჭებს. მოუბეს იგი ცხენი კუდზედა და ტყუილი თქმითვის დააგლეჯინეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა!

58. სამი ტყუილი

ერთი ხემწიფე იყო ერთ ქვეყანაში. ერთი ქალიშვილიც ჰყვანდა. ვინც სამ ტყუილს ეტყოდა, ეს ქალიშვილი იმას უნა გაჲყოლოდა ცოლათ. თუ არა და, ვინც სამ ტყუილს არ ეტყოდა, თავი უნდა მეეჭრა.

ოთხმოზდაცხრამეტ მაჭრა თავი, რადგან ტყვილები ვერ უთხრეს. იმ სახემწიფოში ერთი მენახირე ბიჭი იყო, საქონელი დაუდიოდა სოფელში. მენახირე ბიჭმა თქვა: მოდი და ასათ მე შავასრულებ იმ ოთხმოზდაცხრაშეტსაო და მაინც ვეტყვი სამ ტყუილსაო. თავი დედას უთხრა:

— წავალ, დედაჩემო, სამ ტყუილს რამე მოვახერხებ, ეგება ხემწიფი ქალი ვითხოვო ცოლათაო.

— არა, შვილო, დედა გენაცვალოს, ის თავ მოგჭრის, შენ სადიცი ტყვილები, რო უთხრაო. ადგა ეს ბიჭი და წავიდა.—ტყვილები ვიცი და არ შეიძლება, არა ვთქვაო. მივიდა ამ ხემწიფი კარებზე. კარისკაცებს უთხრა:

— მე მინდა მივიდე ხემწიფეთანაო. კარიკაცები შავიდნენ და მაახსენეს ხემწიფეჲ, რომა ერთი კაცი მოიდა შენთანა, ტყვილები სათქმელათაო. ხემწიფემ ბძანა:

— შამოუშვით, მაიყვანეთ ჩემთანაო.

მიიყვანეს ეს მენახირე ბიჭი ხემწიფეთანა.

— რითვის მოსულხარ, ბიჭიკოო?—უთხრა ხემწიფემ.

— მე მოვსულვარ სამი ტყუილი სათქველათაო.

— მერე შენ საიდან იცი სამი ტყუილი, რატო გინდა, თავი მაიჭრა ტყუილათაო.

— ოთხმოზდაცხრამეტი გყოლია თავმოჭრილი და ასათ მინდა შავასრულოო, თანა კამისია სხედან იქა, რო დაამტკიცოს მართლა ტყუილს იტყვიან, თუ არა.

— აბა, ადექი და თქვიო.

— გუშინ ნახირიდან რო მოედი ჩემ სახშიაო,—დაიწყო ამ ბიჭმა ტყუილი,— დედაჩემსაო საჭამანდი არა ჰქონდა გაკეთებულიო, მე კი პური მშიოდა ძალიანაო. ჩვენ ბახში ერთი გოგრა მეგულებოდაო, ავდექი და გოგრის მოსატანათ წავედი, რო საჭამანდი გაგვეკეთებია იმითიო. მიველ, ვნახე საცა გოგრაი მეგულებოდა, იქ აღარ იყოო. გავყე ამ გოგრის კავსა და ოკეანის გაღმა გასულიყო და გაღიდან იყო გოგრაიო. გაველი, გავიარე ამ კავზედაო. მოვგლიჯე ეს გოგრაი, საჭამანდი გავაკეთეთ და კაი ვახშამი გიახელით მე და დედაჩემმაო.

— ეგ ხო ტყუილიაო,—ხემწიფემ უთხრა.

— მეც იმიტვინ არა ვარ მოსული, რო ტყუილი ვთქვაო!

ეხლა ხემწიფემ უთხრა:—წადი და ორი დღის შემდეგ მოდიო. გავიდა ორი დღე და მივიდა ეს ბიჭი კიდევა.

— აბა, დაიწყეო,—ამ ბიჭს უთხრეს.

— გუშინ საღამოს რო ნახირიდან მოველიო, დედაჩემ საჭამანდი შეენელებინა და მარილი ვერ ეშოვნაო. მეზობლებშიც გავიკითხეთ, მაგრა ვერსად ვერ ვიშოვნეთო; მე უთხარი დედაჩემ, ემ საჩი მოიტან მარილსაო. ავდექი და გავიქეცი გუმბრშიაო, საიდანაც მარილი მოადის. წაველ, მიველ ამ გუმბრში, არაფელი მარილი არ არი, სიპი კლდეა მარტოო. მე არც ჩაქუჩი მქონდა, არც რამე, რო მამეტეხა კლდეი და მარილი წამომეღო. ხან აქეთ მივარტყი თავი, ხან იქით და ერთი კაი მორდილი ქვაი მავაგდებინეო. დავიგდე მხარზე და გამოვიქეცი შინისკენაო. მოვიტანე და შავანელეთ საჭამანდი და იმ ღამეს კაი ვახშამი გიახელითო.

— ეგ ხო ტყუილიაო?—უთხრეს.

— მეც ტყუილი მინდოდა მეთქვაო!

— წადი, ზეგ მოდიო, — კიდე უთხრეს ბიჭსა.

ამ ბიჭმა თქვა: მესამე ტყუილი რო აღარ ვიცი, რაღა უნდა

ვთქვაო. იფიქრა, იფიქრა. მათ ერთი ას კოკიანი ქვევრი ჰქონდათ, ამააღებინა ბუშებს ეს დიდი ქვევრი მიწიდანა, აგორავა, აგორავა და ეს უზარმაზარი ქვევრი მააგორა ხემწიფეთანა.

— მოხველიო? — უთხრა ხემწიფემ.

— მაშ, მოველიო.

— აბა, თქვი ტყუილიო.

— მამაშენსაო მამაჩემისა ეს ერთი დიდი ქვევრი ოქროი მართებიაო.

— ეგ ხო ტყუილიაო? — ხემწიფემ დაიძახა.

— მეც ეგ ბინდოდა, სამი ტყუილი ხო შასრულდა და ეგ არი.

დაამტკიცეს, რო სამი ტყუილი მართლა თქვა ამ ბიჭმა. დარჩა მენახირეს ხემწიფი ქალი ცოლათ. შერთეს და იმ ქვეყანაში დღესაც ეს მენახირეა ხემწიფეთა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავაგორე,
აქ ჩამოვა გორვებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოდ ცხონებითა.
ეგ არი და გორი ციხე!

59. ოქროს ქოჩრიანი შვილი

იყო და არა იყო რა. ერთი ცოლ-ქმარნი იყვნენ ერთ ქვეყანაში. ერთი ქალ-ვაჟი ჰყამდათ. დედ-მამა დაეხოცნენ და დარჩნენ ეს ქალ-ვაჟი. როდესაც ქალი გასათხოვარი გახდა, ბიჭმა უთხრა, რო უნა გათხოვდე, ჩემო დავოო.

— მე მინამ არ გავთხოვდები, სანამ შენს ამაგს არ გადავიხდი, სანამ შენ ცოლს არ მაიყვან და მის შვილებს არ ვემსახურებიო.

დაქორწინდა ეს ბიჭი, შახვდა ერთი კუდიანი ქალი. რძალს უნდა თავიდან მოიშოროს მული. ხან რას ეტყვის და ხან რას ქმარსა: ეს და გაათხოვეო. დაი კიდე არ თხოვდება, სანამ ძმიშვილებს ამაგს არ გაუწევს.

რძალი ადგა ერთ დღეს და რაც კარგი ჭურჭელი ჰქონდა, დაამტვრია. მუუტანა ამბავი ქმარსა:

— არც ეხლა გაადგებ შენს დასა, რაც კარგი ჭურჭელი გქონდა, სუ დალეწაო.

— მერე რა არი, დაამტვრია, დაამტვრია, ჭურჭელ კიდე ვიყიდიო, — უთხრა ქმარმა.

გავიდა რამტენიმე ხანი და ცოლმა რაც კარგი ტანისამოსები ჰქონდა ქმარსა, გადმოიღო და სუ დაუწვა.

— არც ეხლა გააგდებ, გეუბნევი, გიჟია შენი დაი, ტანისამოსი მან დაწვაო.

— მერე რა არი, ტანისამოს ვიშოვნი, ეგება ნაპერწკალი დაეცა და დაიწვა, მაგითვინა უნდა გავაგდო დაიო?

დაებადა რძალსა ვაჟიშვილი. მაჩიდა ამ ბავშვსა ძალიან უვლის, აკვან არ შორდება. ერთ დღეს ადგა დედამ და გამოშეკრა ყელი ამ ბავშვსა.

— არც ეხლა გააგდეფო, მიუტანა ცოლმა ამბავი ქმარსა, მე სახში არ ვიყავი და ბავშვითვინ ყელი გამოუჭრიაო.

ძმამ უჩივლა დას. საქმეი გადავიდა სამსჯავროში. სამსჯავრომ გამოუტანა განაჩენი, რო ორთავ მკლეები დააჭერით და გაუშვით ისეო. დაჭრეს დას მკლეები და გააგდეს. დაი წავიდა. იარა, იარა და ერთ უდაბურ ტყეს მიადგა. ამ ტყეში ნადირმა არ შამჭამოსო, იქვე მუხა იყო გამოხრული და შიგ შეჯდა, იქ იყო იმ ღამე. გათენდა დილა, ადგა ეს ქალი და ჩვეულებრივ მიდის გზაში.

ერთი ხემწიფი ბიჭი ჯწორეთ იმ ტყეში ნადირობს. ეს ქალი რო დაინახა, თავის ვეზირებს უთხრა:

— წადით, მამიყვანეთ აქაო (ქალი ძალიან ლამაზია!). მიუყვანეს ეს ქალი. ხემწიფი ბიჭმა შახედა თუ არა, შაუყვარდა: უნა შავირთო ცოლათაო. წამოიყვანა სახში და მამას უთხრა:

— აი, ეს ქალი უნა შავირთო ცოლათ, ჩემი ცოლია დღეიდანო.

— რათ გინდა, შვილო, ეს უხელო ქალი, განა ვინმე დაგიჭერს ქალსაო?

— რა ვქნა, ბაბა, რაც არი, არი, ალბათ, ბედი ჩემი ეს არიო!

დააყენეს ამ ქალ მოსამსახურე, აჭმევენ და ასმევენ. ეს ქალი ორსულათ გახთა.

ქმარი წავიდა სხვა ქვეყანაში. ამ დროს ჯწორეთა ქალს გაუჩნდა ოქროჯ ქოჩრიანი ვაჟიშვილი. ხემწიფემ დაჯწერა ხელათ წერილი და გაუგზავნა შვილსა.

— მადლობა ღმერთსა, შვილო, მართალია, შენი ცოლი უხელოა, მაგრამ ოქროჯ ქოჩრიანი ვაჟიშვილი დეებადა. ხემწიფემ ეს წერილი შვილზე გადასაცემათ გაატანა თავის მოსამსახურეს: — წაიღე, ახარე ჩემ შვილსაო. ამ მოსამსახურეს ქალი ყამ. ეს უნდოდა მიეცა ხემ-

წიფი შვილისათვის და შურს, რო უცხო ქალი შაირთო ხემწიფი შვილმა. გზაში წერილი გახსნა და წაიკითხა.

— ეს რო მიუტანო, გეეხარდებაო; ამიტომ წერილი დახია და ახალი დაჲწერა:—ხომ გიშლიდით ამ ქალის შერთვას, შენ ცოლ ძაღლის ლეკვი დეებადაო. წაიღო ეს წერილი და მიუტანა ბიჭსა.

გახსნა ბიჭმა და წაიკითხა. ძაღლის ლეკვი გაუჩნდა, თუ კატის ლეკვიო,—დასწერა ამ ბიჭმა წერილი, ისთე შაინახეთ ჩემ მოსვლამდი, როგორც თაიგულიო. წამოიღო მოსამსახურემ წერილი. გახსნა გზაში და წაიკითხა. დახია და ახალი წერილი დაჲწერა:—მინამ მოვიდოდე, ქალი მოკალით, ან წყალში დაახრჩვეთ, თორემო, — ჲწერდა მამასა, — შენც ბოგკლამ და დედაჩემსაცაო.

წამოიღო ქალმა ეს წერილი და მიუტანა ხემწიფესა. წაიკითხა ხემწიფემ. აჩვენა რძალსა:

— აი, შვილო, რასა ჲწერამ შენი ქმარი, ბარემ ბეცოდვები, მაგრამა რა ვქნაო. შაუკერეს ერთი დიდი გუდა, ჩაუსვეს ეს ბავშვი და გაუშვეს ცოცხალი; წადი, იარე, თორე ჩვენც დაგვხოცამს შენი ქმარიო.

წამოიდა ამ ქალმა. იარა, იარა და ერთ მდინარე წყალს მაადგა. წყალი სწყურიან, ხო ვერ დეეწაფება, ხელი არა აქ და ბავშვსაც ვერ მაიხსნის. თქვა, შავალ წყალში, რაც მამივა, მამივიდესო. შავიდა ქალი წყალში და რო დეეწაფა წყალსა, ჩაუვარდა ბავშვი. დაიწყო ყვირილი, მიშველეთ, ხალხო, მიშველეთო.

ქალის ყვირილი ესმის უფალს ცაში. უფალმა დაუძახა:

— ჩაჲყავ ხელები და ამოიღეო. ამ ქალს ესმის ეს, მაგრამა ხელები არა აქვს. — ჩაყავ ხელები, თუ არა გაქვს, გამოგებმებაო, — ეძახის უფალი. ჩაყო და უცბათა გამოება ორთავე ხელები და ამოიყვანა ბავშვი. წამოიყვანა. ხან თხოულობს, ხან ბალახსა სძოვს და ასე გაჭირვებით საზრდოობს.

ამ ხანში ხემწიფი შვილი მოიდა სახში. ხემწიფემ უჩვენა თავისი წერილი: აი, შვილო, შენი შამოთვლილი წერილიო. შენ ცოლ ოქროჲ ქოჩრიანი ბავშვი გაუჩნდა, მაგრამ ჩვენ გავაგდეთ, შენი წერილის შეგვეშინაო. წაიკითხეს, ნახეს და რას იზამდნენ. ბიჭმა უთხრა მაჲასა:

— მე წავალ, ჩემ ცოლ მოვძებნი, მინამ კი თქვენ ამ წერილის მომტანი არსად არ გაუშვათო.

წამოიდა ბიჭი. ეძებს. ტყეი, მინდორი სუ დაიარა და მიადგა ჲწორეთ ამ თავი მოყვარესა, სადაც მის ცოლ ხელები დააჭრეს. რო-

დესაც დაჯდნენ ვახშამზე და პური ჭამაი დაიწყეს, იმ დროს ჟწორეთა თავი ცოლმა გამოიარა, ამ სახთანა.

— პატარჯ რაზე გამომიტანეთო! — თხოულობს. პატარძალმა დაუტატანა. ხემწიფის შვილმა კიდო უთხრა:

— მოიდეს, ჭამოსო. ამ ქალსა ოქროჟ ქოჩრიანი ბავშვი ყამ ხელში, ბავშვს თავზე ხილაბანდი აქვს წაკრული, რო თმა არ გამაუჩნდეს.

დასხდნენ საჭმელათ. ჭამი დროს ლაპარაკობენ, ზოგი ამ მთისას, ზოგი იმ მთისას. ამ მთხოვარსაც უთხრეს:

— ნავალ-ნაწანწალი ხარ, შენც თქვი რამეო.

— მეო არა ვიცი რაო,—დიდ უარზეა, მაგრამა რო ჩააჩემდნენ, ამ ქალმა თქვა:

— ერთ სოფელში ერთი და-ძმანი დარჩნენ და მშობლები დაეხოცნენო. ძმას დაზე დიდი ამაგი ჰქონდა — პატარა აზარდაო. დამა უთხრა: მე მინამ არ გავთხოვდები, თუ შენ ამაგს შენ შვილებს არ გადაუხთიო. შაირთო ძმამ ცოლიო. ძალიან ავი ქალი გამოდგა, ქმარს ხან რა ამბებს უტანს, ხან რა ამბებს, რა არი, მაიშოროს დაიო. მაგრამა ამ ძმას ძალიან უყვარს დაი და არ უჯერებს თავი ცოლს არაფერსო. ბოლოს ვაჟიშვილი გაუჩნდა და დაი ძალიან უვლის ძმიჟწულსაო. აკვანს სუ იქ უზის ერთავათო. რო ვერაფრით შეაჯავრა, ადგა, თავი შვილს გამოშჭრა ყელი და დააბრალა მუსლაო.

— გააჩუმეთ, ნეტაი რაებსა ბოდამსო, — იყვირა პატარძალმა.

— დააჭრეს მკლეები და გააგდეს საწყალი დაიო. წავიდა, იხეტიალა და ერთ ალაგას ხემწიფი ბიჭი შამოხვდა. შაირთო ცოლათ ეს მკლეებ დაჭრილი ქალი, წაიყვანა, დედ-მაჩამ ბევრი უშალეს, მაგრა არ გაუშვა და ითხოვა ცოლათო. ეს ბიჭი სხვაგან წავიდა, ქალს ოქროჟ ქოჩრიანი ვაჟიშვილი გაუჩნდა, მაგრამ იმ საცოდავს ეჭაც უმტრეს. დაჟწერა წერილი ხემწიფემ და გაუგზავნა შვილსა. — მართალია, შვილო, უხელო იყო შენი ქალი, მაგრამ ოქროჟ ქოჩრიანი შვილი გაუჩნდაო. გაატანა წერილი მოხამსახურე ქალსა, რომელსა უნდოდა თავისი შვილი ხემწიფი ბიჭისათვის მიეთხოვებია. ოქროჟ ქოჩრიანი ბავშვის ალაგას წერილში ჩაუწერა: — ძაღლის ლეკვები დაებადა შენ ქალსაო. ნიუტანა წერილი ამ ბიჭსა, წაიკითხა, დასწერა წერილი და გამაატანა: ძაღლის ლეკვები დაებადა, თუ კატისა, მინამ მოვიდოდე, ჩემი ცოლი ისე შაინახეთ, როგორც თაიგულიო.

გახსნა ამ ქალმა მაინც ეს წერილი, წაიკითხა და სხვა დაჟწერა:— სანამ მოიდოდე, მანამ ჩემი ცოლი მოკალით, თორე მაგასაც მოვკლამ და თქვენც დაგხოცაჩთო. ადგა ხემწიფემ და უთხრა: — ძალიან

მეცოდები, შვილო, მაგრამ რა ვქნა, შენი ქმარი ასეთ წერილსა მწერამსო.

ჩაუშვეს ბავშვი გუდაში, აიკიდეს ამ ქალსა, მიიცეს საჭმელი და გაუშვეს. მოსწყურდა წყალი ერთ ალაგას, ხელით ვერ დალემდა, ვერ დეეწაფებოდა, ადგა და შავიდა წყალში, რო დეეწაფა და დაიკუზა, ბავშვი ჩაუვარდა.—ხალხო, მიშველეთ, შვილი დამეღუპა,— იყვირა, მაგრამ იქ არავინ არი. ეს ამბავი ნარტო ღმერთს ესმის. — ჩაყავ, ქალო, ხელები და ამაიყვანე ბავშვი, — დაუძახა ღმერთმა; ჩაყო ქალმა ხელები და ამაიყვანა ეს ბავშვი. წამოიდა იქიდან და დღევანდლამდი დგა და თხოულობსო; — შენ ჩემი ქმარი ხარ, ეს ჩემი ძმაი არი, ესეც მაგის ცოლი, სუ მაგის ბრალია, რო საქმეები ამირდამირიაო ,— თქვა ამ ქალმა.

ხემწიფი შვილი მივარდა მაშინვე ქალსა და გადეეხვია. ახადეს ბავშვს ხილაბანდი, ნახეს, რო ოქროთ ქოჩორი ჰქონდა. ეს პატარძალი მოაბეს ცხენის კუდზე და სუ ლუკმა-ლუკმათ აქციეს. ხემწიფი შვილმა წაიყვანა თავისი მოყვარეც და წამოიდნენ ხემწიფეთან. მააბეს იქაც ცხენის კუდზე და ბებერი ქალი სუ ლუკმა-ლუკმათ აქციეს. დიდი ქორწილი გადაიხადეს, მეც ერთი კარგი არაყი დამალევინეს და დღესაც კარქათაც ცხოვრობენ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

ᲜᲣ. ᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲧᲐᲩᲐᲚᲘ

ერთ ქვეყანაში ერთი ხემწიფე იყო. ერთი ქალიშვილი ჰყვანდა ამ ხემწიფეს, ძალიან ლამაზი. ყოველდღიურათ მათხოვრები მოზღაოდა. რო მოუვიდოდა მათხოვარი, ხემწიფე ეტყოდა: — შადით ჩემ ქალთან, თუ მაეწონებით, მოგათხოვებთ, თორე მეტი რა შამიძღიანო. რაც ქვეყანაზე ხემწიფი შვილები იყო, თუ სოვდაგრი შვილები, ყველა მოადიოდა, მაგრამ ამ ქალს არავინ არ მოაწონდა სულობით.

ეს ხემწიფე, რაც რომ ხემწიფეთ გახთა, არსათ არ წასულა, სუ სახში იყო. იმიტვინ არ მიდიოდა, რო ხაზინა ჰქონდა სამსე ოქროი. სახემწიფოში ორმოცი ყაჩაღი იყო და იმათი ეშინოდა. ერთხელ შეზობელმა ხემწიფემ დაიპატიჟა, მაგრამ ვერ მიდის ე ხემწიფეი. თავის ქალიშვილმა უთხრა:

— მამაჩემო, რატო არ მიდიხარო?

— იმიტვინ ვერ მივდივარ, შვილო, რო ხაზინას გამიქურდავენო. ქალიშვილმა უთხრა:

— ეს შენი ხაზინა ჩემ კოშკში ავზიდოთ და შენ ჯტუმრათ წადიო (ქალიშვილი მაღალ კოშკში ცხოვრობდა); ადგნენ, დაცალეს ეს ხაზინა და აზიდეს იმ კოშკში სუ მთლათ.

ხემწიფე წავიდა ჯტუმრათ. გაიგეს ამ ორმოცმა ყაჩაღმა, რო ხემწიფე ჯტუმრათ არი წასული. წამოიდნენ, რო გაქურდონ ხემწიფის ხაზინა. მოიდნენ, ნახეს, რო ხაზინაში ფული არ არი, დაცლილია. გაიგეს, ფული არი შეზიდული კოშკში. შამაუარეს, კარები არსით არა აქ, რო შავიდნენ შიგა. შაიხედენ მაღლა, ერთი პატარა ფანჯარა აქვ გადასასვლელი. თქვეს:—აქედან ავიდეთ აუცილებლათო. ეაკეთეს ერთი თოკის კიბე, შეისროლეს და მეედო ეს თოკი ფანჯარას მაღლა.

ამ ამბავს ხემწიფის ქალიშვილი უყურებს. აიღო მამისეული ხმალი და ჩადგა ფანჯარასთან. ყაჩაღების უფროსმა უბრძანა ერთს: — აბა, ადი ზევითო. ავიდა ეს ყაჩაღი, შავიდა შიგ, ამ ქალიშვილმა გაჯკრა ხმალი და კაციცა და თავიც გადავარდა შიგა. თორმეტი კაცი ავიდა ყაჩაღები და თორმეტივეს თავი დააჭრა. ყაჩაღების უფროსმა თქვა: — გავანებოთ თავი, ეს თორმეტი კაცი ავიდა, ამბის მამტანი არ გამოჩნდა, რაშია საქმეო.

დაანებეს თავი და წავიდნენ, თორმეტი კაცი დატუეს იქა. მოიდა ამ ქალის მამაი, აჩვენა ქალიშვილმა ყაჩაღები დახოცილი. ხემწიფემ აიღო ხაზინა და დაალაგა იქავე, სადაც უწინ იყო.

ეს ყაჩაღები მივიდნენ თავიანთ ბინაზე. უფროსმა ყაჩაღმა თქვა:

— მე უნა წავიდე და ის ქალი აუცილებლათ დავნიშნოო. გამეეწყო მოქალაქური ტანისამოსით და მოიდა ამ სახემწიფოში. მუუგზანა ხემწიფეს კაცი, რო მე შენი ქალი უნა ვითხოვოო. ხემწიფემ კიდე ადგა, შაიყვანა თავის ქალიშვილთან და უთხრა:

— თუ მაეწონები, დღესვე წაიყვანეო. შევიდა ბიჭი და ქალიშვილსაც და მასაც ძალიან მეეწონათ ერთი-მეორე. ბიჭს უთხრეს:

— ეხლა წაიყვან, თუ შემდეგისთვის მოხვალო?

— შემდეგისთვის მოვალ, ეხლა კი წავალო, — უთხრა ბიჭმა. წავიდა ეს ბიჭი. გავიდა ერთი თვე, ერთი წელიწადიც, და აღარ მიდის ქალის დასანიშნათ, ეს ქალი კი ლამის არის გაგიჟდეს. ძალიან შაუყვარდა ყაჩაღების უფროსი. ადგა ეს ქალი ერთ მშვენიერ ღამეს და სახლიდან გაიპარა: — ან უნა მოვჰკვდე, ან უნა ვიპოვო ის ბიჭიო.

გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე. დაინახა ერთი დიდი გალავანია

შემორტყმული. უვლის გარშემო, კარები დაკეტილია, ისე ვერა ეწვდება, რო გადიხედოს შიგ, თუ რა ამბავია. როგორც იყო, აბობღდა გალავანზე და გადავიდა შიგა. საუცხოვო ბაღი იყო. წადგა ცოტა იქით და ერთი მშვენიერი სახლი დგა, ძალიან კარქი, დაახლოვებით ხუთი-ექვსი ოთახი იქნება. ამ სახლის შესავალ კარებში ორი დიდი ძაღლი აბია, მაგრამ ძალიან სიცხისაგან მოთენთილან და დასძინებიათ. ნელინელა, სიფრთხილით შეიპარა ქალმა, რო ძაღლებმა არ გამიგოსო და შავიდა ოთახში. ნახა, ერთ ოთახში ფული აგროვია ბევრი, მეორე ოთახში ფული და სხვადასხვა რამეები. გამააღო მესამე ოთახი, ბუხარში ცეცხლი ანთია და ქვაბი დგა დიდი. მივიდა, ამაურია ქვაბს, დაინახა, შიგ ადამიანის ხორცი ყრია, ქალის ძუძუები, რამე. ძალიან შეშინდა ეს ქალი. გამააღო მეოთხე ოთახი, ერთი ქალი ფეხებით არის დაკიდული ყირამალა. დაკიდულმა უთხრა:

— შენი ფეხით მოსულხარ სასაკლაოშიო. ხემწიფის ქალს სუ შეეშინდა ახლა. გამააღო შეხუთე ოთახი, რა კარქათ იყო მორთული, ორმოცი კრაოტი დგა, თორმეტ კრაოტს კი შავი აქ გადაფარებული, თურმე ეს სახლი იმ ორმოცი ყაჩაღის ბინა იყო.

ერთი კრაოტი კი ამ ორმოცში საუცხოოთ იყო მორთული. ამ ქალს ეხლა გამოპარვა უნდოდა, მაგრამ ძაღლების ეშინოდა, ვერ გამოვიდოდა გარეთ. ადგა ამ ქალმა და რომელიც კარქი კრაოტი იყო, შეძვრა იმი ქვეშ დასაშალავათ.

არ გასულა ოცი წუთი, რო მოიდნენ ეს ოდადარვა ყაჩაღები. ყველა თავთავიანთ კრაოტთან მივიდნენ, შემოისხნეს იარაღი, რამე და დაალაგეს. დასხდნენ და, ადამიანის მოხარშული ხორცი რო ჰქონდათ, ის ჭამეს. შემდეგ დასხდნენ თავთავიანთ კრაოტებზე სუ ყველანი. წამადგა ყაჩაღების უფროსმა და ჯიბიდან ამაიღო ერთი ბეჭედი ოქროსი.

— აი, თქვენ ხომ იცით, ამხანაკებო, მე იმ ხემწიფის ქალი დავნიშნე, რომელმაც თორმეტი ამხანაკი მოგვიკლა ჩვენაო, — ხოლო იმიტომ კი არა, რო ის ცოლათ მინდაო, იმიტვინა, რომაო თორმეტი ამხანაკის სისხლი იმას ამოვსწოვო და ჩვენა ვჭამოთ მისი ხორციო. ეს ქალი კრაოტის ქვეშ შიშით ქრება რაღა! ამ დროს ეს ბეჭედი გაუვარდა ყაჩაღების უფროს ხელიდან და კრაოტის ქვეშ შაგორდა. წამოხტნენ ამხანაკებმა: — აბა, გამოვიღოთო. — არა, არ უნდა, ვინ დილაზე დაგვის ოთახსა, მან გაგოიღოსო, — ბრძანა უფროსმა.

ერთი კაცი გარეთ ყარაულათ დააყენეს, დანარჩენებმა დაიხადეს და დაწვნენ. რო დეეძინათ მაგრა, ამ ქალმა გამოჰყო ხელი და ამ

უფროსის ტანისამოსი შაიტანა კრაოტის ქვეშ. ჩაიცვა კარქათ, გამოძვრა ნელ-ნელა, სიფრთხილით, გამააღო ნელ-ნელა კარები და გამოიდა გარეთ. ამ ყარაულს თავისი უფროსი ეგონა, გაუღო კარები და ეზოს გარეთ გავიდა ეს ქალი.

ქალმა გამავიდა გარეთ თუ არა, ეს ტანისამოსი გაიძრო, გადაჰყარა და გაიქცა.

გათენდა კიდეცა. წამოხტნენ ყაჩაღებმა, რო ტანისამოსი ჩაიცვან, ნახა უფროსმა, თავისი ტანისამოსი აღარ არი.

— ნახეთ ჩქარა, წუხელ აქ ვიღაც ყოფილა, ბეჭედი მაქ არის თუ არაო. ნახეს, რო ბეჭედი არ იყო.

— აბა, სამი-ოთხი ყაჩაღი შაჯექით ცხენებზე და ვინც ნახოთ ჩვენ მიწა-წყალზე, სუ ყველას თავი მოშჭერითო.

ეს ქალი რო გარბის, ვიღაც მეფურგუნეები შახვთა, ისინიც მიარბენინებენ ცხენებსა. ქალმა უთხრა: — თქვენი ჭირიმე, დამმალეთ, აი, ისინი მე მამდევენ მოსაკლავათაო. აიღეს კართოფილი, გათხარეს, შიგ ქალი ჩააწვინეს და თავზე კართოფილი წააყარეს ამ ფურგუნში. წამეეწივნენ ყაჩაღები მეფურგენეებსა და ჰკითხეს:

— აქეთ ხო არ გამაუვლია ვინმესო. მეფურგუნეებმა უთხრეს:

— არავინ არ გვინახიან ჩვენაო. ირბინეს ყაჩაღებმა, მაგრამ აბა რას იპოვიდნენ, ქალი დამალული იყო. გამაურბინეს ამ მეფურგუენებს ისევე და ორთავეს თავები დააჭრეს. გაანებეს თავი ცხენებს და წამოიდნენ ისევ თავაანთ ბინაზე. ცოტა ხნის შემდეგ ამ ქალმა თავი ამაჰყო კარტოფილიდან, დაუშინა ცხენებს და სუ ოთხზე მაარბენინებს სახლისკენ. კართოფილი სუ დაიპნა ფურგუნიდან, ერთი მარცვალიც არ დარჩენილა.

ამ ხემწიფეს, რა დღიდან ქალიშვილი დაიკარგა, გაშაცხადებული აქ გლოვა. ქალის ფურგუნით მოვარდნამ კი ყველა გაახარა. ავიდა თავის კოშკში და დაიბარა მამა:

— ჩემი დანიშნული ხვალ-ზეგ მოვა, მინდა დავპატიჟოთ გულადი ვაჟკაცები და კარქი მეომრებიო, — უთხრა მამას. ხემწიფეს ერთი ქალიშვილი ჰყამდა და მის თხოვნას როგო არ შაასრულებდა! დაჯპატიჟა სუ კაი მეომარი ბიჭები. ქალიშვილშა მოჯთხოვა მამას:

— ჩვენ მეომრებს იარაღი გარედან არ უნდა ეკრან, მხოლოთ შიგნიდან ჰქონდენ შანახულიო.

— რათა, შვილო, განა რა არი ისეთი, მე არ მეტყვიო?

— როცა მოვლენ, მაშინ გავიგებთ, მამაჩემოო.

ყაჩაღების უფროსი ემზადება წამოსასვლელათ. ჩაიცვეს უბრალო ტანისამოსი და მივიდნენ ხემწიფეითან.

გაიმართა ქორწილი. ცალ ხარეზე ხემწიფი ჲტუმრები სხედან, მეორეზე-ყაჩაღები. აიღეს ჭიქები და პირველათ ნეფე-დედოფალი დალოცეს. ქალმა აიღო ჭიქა და თითქო მადლობა უნა მოიხადოს, მაგრამა ამბობს:

— წუხელი სიზმარში, ვითომ სახლიდან გავიპარეო; გაველი ტრიალ მინდორზე და ერთი დიდი გალავანი დავინახეო (ეს ყაჩაღები აზრზე ვერ მოდიან!); ავბობღდი ზედ და გადავედი ეზოშიო; ერთი კაი სასახლე დავინახე, კარებში ორი ძაღლი ებაო (ნეფე იძახის: აი სიზმარშიაც კი უნახივარო!); ძაღლებს გავეპარე და სახში შეველიო; ვხედამ ერთ ოთახში ფულია, მეორეშიც-ფულია, მესამეში — ქვაბი ცეცხლზე, ავხადე ქვაბსა: შიგ კაცის ხორცი იხარშებოდაო; შეველი მეოთხე ოთახში, ქალი იყო დაკიდული ყირამალაო, ბეხუთე ოთახში — ორმოცი კრაოტი იდგაო.

ყაჩაღებმა ერთმანეთს შეხედეს: — ვახ, სიზმარში ჩვენთანა ყოფილაო (ყაჩაღები აზრზე ვერ მოდიან, რო ეს მათზე ლაპარაკობს!).

— ოდარვა კრაოტი კარქათ იყო მორთული, თორმეტს შავები ჰქონდა გადაფარებულიო. შავშინდი და დასამალავათ მორთული კრაოტი ქვეშ შავძვერიო. ვნახოთ, ოდარვა კაცი მოიდნენო. გაიხადეს იარაღი და დაალაგეს თავაანთ კრაოტებთანაო. დასხდნენ და ადამიანის ხორც ჭამა დაუწყესო (ქალმა დაიძახა: გარეთ არავინ გაუშვათო!); პური ჭამა რო გაათავეს, სიზმარში, მათჩა უფროსმა თქვა: ხვალ მივდივართ ხემწიფი ქალი დასანიშნავათო, ხოლო იმიტვინ კი არა, რო ცოლათ მინდაო, არამეთ თორმეტი ამხანაკი რო მოგვიკლა, სისხლი ავიღო და ის ქალი შავჭამოთო. ლაპარაკის დროს უფროს ერთი ბეჭედი ეჭირა ხელში, ეს ბეჭედი ხელიდან გაუვარდა და, საცა ვიწექი, იმ კრაოტ ქვეშ შამოგორდაო; ამხანაკებს უნდოდათ ბეჭედი ეეღოთ, მაგრა უფროსმა უთხრა: გაუშვით, ვინც დაგვის დილით, ის იპოვისო. ის ბეჭედი მე ავიღე, მითომ სიზმარშიაო, ხოლო ყაჩაღებმა დაიძინეს სუ ერთათო. მე კი, ვითომ სიზმარში, უფროსის ტანისამოსი ჩუმათ ჩავიცვი და გავიპარეო; აი, თუ არა გჯერათ ის ბეჭედიო! ჩაიყო ჯიბეში ქალმა ხელი და მართლა ამოიღო ბეჭედი:— აი, ესენი არიან ის ვაჟბატონებიო, აჩვენა ხელით, — აბა, ჩვენო მეომრებო, დაიძახა თუ არა, ვაჟკაცებმა ლევარველები ამოიღეს და ყაჩაღებს უბრძანეს: არ გაინძრეთო.

ქალმა მამას უთხრა:

— ერთი კაცი გააქციეთ ამათ ბინაში, ერთი ქალია ჩამოკიდული, იქნებ ცოცხალს მიუჯწროსო.

ყაჩაღები გაიყვანეს და სათითაოთ ჩამაახრჩეს. იმ ქალსაც ცოცხალ მიუჯწრეს და უშველეს. იმის შემდეგ ხემწიფე უშიშრათა ცხოვრობს, აღარც ქურდებისა ეშინია და არც ყაჩაღების.

ქალი კი იმ სახემწიფოში გმირათ დარჩა!

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა!

61. თხიმვილი

იყო და არა იყო რა. ერთ სოფელში იყო ერთი ძალიან საწყალი კაცი. ექვსი შვილი ჰყვანდა ამ კაცსა. თვითონაცა და ბავშვებიც სუ თხოულობდნენ. სოფელში ბოიკოტი გამოუცხადეს. ადგა ეს საწყალი კაცი და გავიდა სოფლი ნაპირზე. ერთი მიწური სახლი გააკეთა, წაიყვანა ცოლ-შვილი, დადგა შიგა და ცხოვრობს იქა. ერთ ბნელ ღამეს სოვდაგარი ეჯტუმრა დასაპალნებული ჯორ-აქლემებითა. მიადგა ამ საწყალი კაცი კარებსა გზიპირზე. ბოდი, გავაღვიძებ, იქნებ გვიჯტუმროს ამაღამაო, — იფიქრა სოვდაგარმა.

— ოჯახი პატრონო, ოჯახი პატრონო! — დაუძახეა. გამოვიდა ეს საწყალი კაცი და ვინა ხარო, — ჰკითხა.

— თუ შაიძლება, ამაღამ გვიჯტუმრეო, — სოვდაგარი ეუბნევა.

— მობრძანდით, მაგრა თქვენი საკადრისი არაფერი არ მექნებაო.

— ჩვენ შენი არაფერი არ გვინდა, ოღონ თავი შაგვაფაროთ, გარეთ არ დავრჩეთ და არ გაგვცარცონო. შევიდნენ სახში. შახედა სოვდაგარმა, რო ძალიან ღარიბი იყო ეს კაცი.

— მოსანათლი არავინ არა გყავო? — უთხრა ამ სოვდაგარმა.

— ჩოგორ არა, აი ესენი სუ ყველა მოსანათლები არიანო, — უთხრა საწყალმა კაცმა.

— ამ პატარა ბავშვ მოგინათლამ, მე ვიქნები ნათლიაიო, — უთხრა სოვდაგარმა, — შენ წადი და ღვდელ დაუძახეო.

— ღვდელი მე არ გამომყვება, საწყალი კაცი ვარო. სოვდაგარმა ქაღალდი დაუწერა, წადი, უთხარი ღვდელსა და მოვაო. წავიდა ამ საწყალმა კაცმა და შაიყვანა ღვდელი. გაიმართა კარქი ნათლობა. სოვდაგარ შარდზე გამოსვლა მოუნდა გარეთ. კიდეც გამოიდა. იმ ღამით სამი მტრედი მოფრინდა და გარეთ რო ხე იდგა, იმაზე დასხდნენ. ეს მტრედები იყვნენ ბედისმწერლები.

ერთმა მტრედმა თქვა:

— მოდი, ეს ბიჭი ათი წლისა რო გახდეს, მოკვდესო.

— არაო, — ბეორე მტრედმა უთხრა, — ოცდახუთისა რო გახდეს, მაშინ მოკვდესო.

— არაო, — მესამე მტრედმა თქვა, — ეგ ბიჭი საქორწილოი რო გახდეს, ნათლიი ქალი ითხოოს ცოლათო და ნათლიის ქონებაც მაგას დარჩესო. მტრედები გაფრინდნენ. ეს ყველაფერი სოვდაგარმა გაიგონა.

შავიდა ნათლია სახში. იმ ღამეჲ კაი პური ჭამეჲ. გათენდა დილა. გამეემშვიდობნენ. სოვდაგარმა ამ საწყალ კაც უთხრა:

— თუ გაიმეტებ, მამეცი ეგ ჩემი ნათლული, მე გავრდიო.

— თუ კი იკადრებ, წაიყვანეო, — უთხრა ამ საწყალმა. გაახვია ლამაზათ და თბილათ ეგ ბავშვი და წამაიყვანა. სოვდაგარ უნდა, რო ბავშვი გზაში მოკლას. გზათ ტყეში გამაიარეს. მოსაკლავათ დეენანა ბავშვი და ერთი გამოფუღრული ხე იყო და შიგ ჩასვა. გაანებეს თავი და წავიდნენ.

ტირის ეგ ბავშვი. იმ ტყეში ერთ მეცხვარესა ცხვრები და თხები დაუდის საძოვარზე. დაინახა ერთმა თხამ, მივიდა იმ ბავშვთან და თავი ძუძუი ჩაუდო პირშია და მააწუა. ყოველდღიურათ ეს თხაი ამ ბავშ ძუძუს აწუებს. ეს თხა იყო ერთი ბებერი დედაკაცისაი. მივიდა ამ ბებერმა და მეცხვარეს უთხრა:

— შენ ჩემ თხასა სწველამ, საღაჲოთი აღარ იწველებაო.

— არა, მე არა ვწველამო,—მეცხვარემ უთხრა.

ამ თავი თხას წაჲყვა ერთ დღეს დედაბერი თანა. გაჲყვა თხასა და როგორც რო მიიყვანეჲ ტყეშია, გაიქცა ბავშვთანა და პირში ჩაუდო ძუძუი. ბებერ დედაკაცს გაუხარდა, რო ბავშვი ნახა. აიყვანა ეს ბავშვი და წაიყვანა. რახან უშვილო იყო, დაუწყო ზრდა. დაარქვეს ბავშს თხიშვილი.

ერთხელაც ამ სოფელზე იმ სოვდაგარმა გამოიარა, რომელმაც ეგ ბავშვი დატოვა ტყეშია. ეს ბიჭი უკვე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისაჲ. ამხანაკები უძახიან:—თხიშვილო, თხიშვილო, აბრაზიანებენ. სოვდაგარჲა იკითხა:

— ამ ბიჭ თხიშვილ რათ ეძახიან ნეტაო. დაუძახა ბიჭსა და უთხრა:—თხიშვილსა შენ რათ გეძახიან, ბიჭიკოო?

— მე იმიტვინ მეძახიან თხიშვილსა, რო ერთ ვიღასაც ხეში ჩაუგდივარ და იქ თხასა გაურდივარო.

— მე რო ერთ ალაგას გაგზავნო და წერილი გაგატანო, წაიღებო?—სოვდაგარი ეუბნევა.

— ჩემ ბებია შევეკითხები და თუ ნებაჲ მამცემ, კიო.

— წადი, მე ფულ გაჩუქებო. გაიქცა ბიჭი და შაეკითხა თავი ბებიას. ბებიამ უთხრა, რო წადი, შვილო, თუ კი გაგზავნისო.

სოვდაგარი სწერამს თავი ცოლს:—ეს ბიჭი მოიდეს თუ არა, იმ საჲჩი ზოჰკალითო. მიჲცა წერილი, გაჲწია და წავიდა ბიჭი. ბიჭმა წაკითხვა არ იცოდა და აბა რას გაიგებდა, რა ეწერა შიგა. მივიდა სოვდაგრის ბაღში. ძალიან ცხელოდა და დასასვენებლათ ჩდილში წამოწვა. მზე მიადგა ამ ბიჭსა. გამოიხედა სოვდაგრი ქალმა სახლიდან. დაინახა, რომ იმათ ბაღში ვიღაცასა სძინამ. გაიქცა და მძინარეჲთან მიირბინა. ნახა, ერთ მშვენიერ ახალგარდასა სძინამ. დაუნახა, რო ქისაში წერილი უდემ. ჩაუყო ხელი და წერილი ამააცალა. წაიკითხა და შიგ ეწერა, ეგ ბიჭი მოკალითო. დახია წერილი ქალმა და გადაყარა. გაიქცა სახშია, დაწერა ხელახლათ წერილი, ვითომ ზამაი სწერამ: ჩემო ცოლო, ეს ბიჭი მოიდეს თუ არა, ჩემ ქალზე დანიშნეთ იმ საჲჩიო. ჩაუდო წერილი ისევისე ქისაში მძინარესა.

გაიქცა და დედას უთხრა, რო ჩვენს ბაღში ვიღაც არიო. მივიდა დედამ და გააღვიძა ბიჭი.

— აქ რათ მოსულხარო, ვინა ხარო—ჰკითხა.

— აი, ეს წერილი გამომატანა თქვენმა ქმარმაო. გახსნეს, წაიკითხეს, ეწერა, რო ეს ბიჭი მოვიდეს თუ არა, ჩემ ქალზე დანიშნეთო. გაიმართა ნიშნობაი.

არ გავიდა ორი კვირაი და ეს სოვდაგარი მოიდა უკანა. ცოლ უთხრა:

— რა ჲქენი, რაც მოგწერე, შაასრულე?

— შავასრულე, დავნიშნე ჩემი ქალი იმ ბიჭზე და ეგ საჩიაც ერთათა წვანანო. ეწყინა ამ სოვდაგარ, მაგრა რას იზამს.

გათენდა დილაი. ადგნენ და ერთი კაი პური ჭამეს სიძე-სიმამრმა. წავიდა სოვდაგარმა და თავი მეკირეებს უთხრა, კირ რო წვამენ ხოლმე:

— დილაზე ადრე ვინც მოიდეს აქ, აიღეთ და საკირეში ჩააგდევითო. წამოიდა და სიძეს უთხრა:—დილაზე ადრე ადექი, გააღვიძე ჩვენი მეკირეები, რო არ დეეძინოთ, საქმეჲ ადრე მოჲკიდონ ხელიო.

იმ ღამეჲ დაწვნენ და დაიძინეჲ. გათენებამ რომ მაატანა, სოვდაგარი ადგა და სიძეჲ აღვიძებს. დაუკაკუნა კარები. ცოლჲა უთხრა: შენ ხმა არ გაჲცე, მე გაველაპარაკები მამასაო.

— რა გინდაო,—ქალმა დაუძახა მამას.

— წავიდა საკირებზედაო?

— რამდენი ხანია წავიდაო,—ქალმა დაუძახა. ეგ ბიჭი შინ კი იწვა.

ამ სოვდაგარმა თქვა:—აბა, ერთი წავიდე, როგორ იწვი ჩემი სიძე საკირეშიაო.

ჩივიდა სოვდაგარი საკირეჲთან, დაავლეს ხელი მეკირეებმა, ბევრი იყვირა, მაგრა შააგდეს საკირეშია. დაიწვა ეს სოვდაგარი ერთიანათა.

სოვდაგარობაც ამ ბიჭ დარჩა და ამ სოვდაგრი ქონებაცა. როგორც იმ სამმა მტრედმა დაჲწერეს, ისე გაიარა ცხოვრებაში ამ ბიჭის ბედმა.

ჭირი იქა და ლხინი აქა!

62. ბოლოლა შვილი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხემწიფეი. სამი ვაჟიშვილი ჰყვანდა. ამ ხემწიფეჲ ერთი კარგი ბაღი ჰქონდა წინა. შიგ ერთიც ვაშლი ხე ედგა. ის ხე წელიწადში სამ ცალ ვაშლსა იბამდა. ხოლოდ ვერცერთ წელიწად ეს ხემწიფე ვაშლი გემოს ვერ იგებდა, იმიტომ, რო იმ ხილსა ვერც ძირ ჩამოვარდნილ ნახამდა, ზედაც ისე ქრებოდა, რო ვერ იგებდნენ მის ასავალ-დასავალსა.

ხემწიფემ უთხრა თავი შვილებს:

— შვილებო, ერთი უნდა უყარაულოთ, სად იკარგება ე ვაშლიო.

უფროს შვილ უთხრა:—აბა, ჯერ უნა შენ უყარაულო. წავიდა უფროსი შვილი, რო უყარაულოს, მაგრამ მშიშარა არი და კარქათ ვერ უყარაულა, ღამე ბალახებში დაიმალა. გათენდა დილა, ამ ვაშლორი ცალი აბია, ერთი დაიკარგა იმ ღამეჲ. მეორე ღამეჲ ხემწიფემ შუათანაჲ უთხრა:

— ეხლა შენ უყარაულე, უფროსმა ვერა გაიგო რაო. წავიდა შუათანამა და უყარაულა იმ ღამეჲ. ისიც ისე მშიშარა იყო და ისიც ისევ დაიმალა. მეორე დილა გათენდა ერთი ვაშლი კიდე დაიკარგა, ეხლა ერთი ცალიღა აბია.

ბოლოლას უთხრა ხემწიფემ:

— ამელამ, შვილო, შენ უნა წახვიდე საყარაულოთაო. ბოლოლა წავიდა საყარაულოთა და სადაც ეს ერთი ცალი ვაშლი ება, ჲწორეთ იქ დაჯდა ტოტზე. შუაღამე როგორც გახთა, მიფრინდა ერთი ოქროჲ ფრინველი, მთლად გაანათა ეს ბაღი, მივიდა და ეს ვაშლი უნა მოი-

ტაცოდ. ფრინველი კი გაეფრინდა ბოლოლასა, მაგრა ვაშლი დაატოვებინა და ერთიც ბუმბული შარჩა ხელში. გათენდა დილაი. ბიჭმა მოუტანა მამას ბუმბული და ვაშლიცა. ბუმბული ისეთია, რო სულ ანათებს იქაურობას. ხემწიფემ უთხრა შვილებს:

— თუ ის ჩიტი არ მომიყვანეთ, თქვენი შვილობა აღარ მინდაო; ვინც ამ ჩიტ მომიყანსო, ხემწიფობაც მისია, სახემწიფოცა და ყველაფერიო.

ყველამ გამეეშვიდობნენ მამას, შეიარაღდნენ სამივენი. წაიღეს ფულები რაც სჭირდებოდათ, შეჯდნენ ცხენებზე და წავიდნენ. მივიდნენ ერთ ჯვარედინ გზაზე. იქ ერთი ბოძი იდგა. ზედ ფიცარი იყო გაკრული და ეწერა: „ვინც ექეთ წავა, უკან მოვაო, ვინც მეორე გზაზე წავა, ისიც მოვაო," მესამე ეწერა: „ვინც წავა იქეთ, ველარ მოვა უკანაო." პატარა ძმამ უთხრა ძმებსა:

— მე ფინთ გზაზე წავალ, თქვენ მანდეთ წადითო. იქ ერთი ქვა იდო დიდი და თქვეს:

— ვინც მოვიდეს ადრე, აქ მოიცადოსო. ქვის ქვეშ დადეს ერთი ბეჭედი ნიშნათ.

წავიდა ბოლოლა და მიაჭენებს ცხენს. გზაზე გაეოუვარდა ერთი მგელი, შაუჭამა ცხენი; ჩამოიდა ბიჭი და ფეხით მიდის. ცოტა გზაი რო გაიარა, წამეეწია ეს მგელი ისევა.

— მოდი, შემაჯექი ზურგზედაო,—უთხრა მგელმა,—ვიცი საცა მიდიხარ და მე წაგიყვან იქაო. შამააჯდა ბიჭი ზურგზე და მიდიან ერთათ. მივიდნენ სადაც ის ჩიტი არის. მგელი შორ დადგა და ბიჭ უთხრა:

— აი, იქ, გალიაში ზის ჩიტი, შადი, ისე გამოიყვანე, რო გალიას ხელი არ ახლოო, თორე გალიაჲ თუ ხელი ახლე, იქ ზარები დაირეკება, პატრონი გაიგებ და ველარ გამოიყვანო. შავიდა ეს ბიჭი, ჩიტი გამაიყვანა და თქვა:—ცარიელა ჩიტი აბა რათ მინდა, გალიაც თან უნა წავიღოო. გალიას რო ხელი წაატანა, ზარები დაირეკა, გამოვარდა პატრონი.

— რა გინდაო,—პატრონმაჲ კითხა.

— მე ეს ჩიტი უნა წავიყვანოო.

— მაგ ჩიტ მოგცემ, თუ შენ წახვალ და ამა და ამ ხელმწიფეჲ რო რაში ყამ, იმას მომიყვანო. გამოიდა ეს ბიჭი და მგელ უთხრა:

— ესეა საქმეო. მგელმა უთხრა:

— მე ხო გითხარი, გალიაჲ ხელი არ ახლოო. რახან ასეა, შამაჯექი ზურგზე და იქ წაგიყვანო. მიიყვანა ამ რაშთან, სადაც ეს რა-

ში არი გომურში დაბმული. მგელმა უთხრა:—რაში მანდ აბია გომურშია, გამაიყვანე, ხოლოთ იმის მოსართავებ ხელი არ ახლოო, თორემ პატრონი გაიგებ და ვეღარ წავიყვანთო. შავიდა ბიჭი და რაში აუშვა. მაგრამ ბიჭმა თქვა:—ცარელა რაში რათ მინდა, თუ მოსართავებ არ წავიღებო! ბიჭი აღვირ წაიწვდა თუ არა, ზარები დაირეკა და გამოიდა პატრონი.

— რა გინდა, რითვინა მოსულხარო?

— მე მინდა, ეს რაში წავიყვანოო.

— შენ მაგ რაშ მაშინ წაიყვან, თუ ამა და ამ ხემწიფი ქალ აქ მოციყვანო.

გამოიდა ეს ბიჭი და მგელ უთხრა:

— ასე და ასეა ჩვენი საქმე, პატრონი ხემწიფი ქალსა გვთხოვსო. მგელმა უთხრა:

— მე ხო გითხარი, აღვირ ხელ ნუ ახლებო. რახან გიკისრე, უნდა გატაროო. მგელმა შაიჯინა ზურგზედა და წაიყვანა. მივიდნენ იმ ხემწიფი კარებთან. მგელმა უთხრა:

— შენ აქ მამიცა და მე წავალო. დილაა ახალ გათენებული და ხემწიფი ქალი გამოიდა გარეთ. მგელი კარებ უკანაა ორ ფეხზე ატუზული. გამოიდა თუ არა ქალი, ნგელმა შაუყვირა და შააშინა, წაიქცა ქალი შიშითა და გახდა ავათ. ჰაი, ექიმები, ჰაი, პრაფისორები, მაგრა არ რჩება ქალი. მგელი იქცა კაცათ და გამაეცხადა ხემწიფეჲ. უთხრა ამ ხემწიფეჲ, რომე ვიცი კაცი ვინც მაარჩენ შენ ავადმყოფსაო. ხემწიფეჲ კი გამოცხადებული აქ, რო ვინც მაარჩენს მის ქალიშვილ, იგი ითხომ ცოლათო. მგელი გამაიქცა ამ ბიჭთან ხელათ და უთხრა:

— მე შენ ექიმათ უნდა მიგიყვანო იქ, აი, შელოცვილი ბოთლი წყალი, დაალეინე და ის ქალი იმ საჩი მორჩებაო. მივიდა ბიჭმა და როგორც მგელმა დაარიგა, ისე დაალევინა წყალი და ქალი გასაღდა. ხემწიფემ აიღო და ეს ქალი მიჲცა ამ ბიჭ ცოლათა. წამოიყვანა ბიჭმაც. შასხდნენ ორთავენი აჲ მგელზე და წამოიდნენ. მოიდნენ იმ რაში პატრონთან. ბიჭმა უთხრა მგელსა:

— აბა, მიუყვანოთ ეს ქალიო.

— რის მიყვანა, შენ აქ მამიცადეო,—მგელმა უთხრა. მგელი ხელათ იქცა ქალათ, მიუყვანა ეს ქალათ ნაქცევი მგელი რაში პატრონ. პატრონმა შეუკმაზა რაში და მისცა ბიჭსა. ბიჭმა რო რაში წამოიყვანა, მგელჲა რაში პატრონი შაიყვანა ცალკე ოთახში. თურმე რაშ პატრონი დიდი ხანია იმ ქალი სურვილი აქ. რო ესურვილება ცალკე

ოთახში, ეს ქალი იქცა უცებ მგლათ, გადასანსლა ეს კაცი, გამოვარდა და წამოიდა. მოიდა ამ ქალთანა და ბიჭთანა და წავიდნენ იმ ჩიტი პატრონთან, ბიჭმა უთხრა მგელსა:

— აბა, მიუყვანოთ ეს რაშიო. მგელმა უთხრა ამ ქალ: ეს რაში დაიჭირე და აქ მოგვიცადეო. იქცა ეს მგელი რაშათ და ბიჭ უთხრა: წამიყვანე იმ ჩიტი პატრონთანაო. მიიყვანა ბიჭმაც და უთხრა:

— აი, მოგიყვანე რაშიო. პატრონმა ჩაუსვა ჩიტი ოქროჲ გალიაში და გაატანა ამ ბიჭსა. ჩიტი გამაიყვანა გარეთ და რაშათ ქცეული მგელი იქვე დაჲტოვა. ამ ჩიტი პატრონ დიდი ხანია ამ რაშიჲ სურვილი აქ, რო იჭენაოს კარგათ. შეაჯდა ამ რაშ, რო აჯირითოს, საითაც მას უნა იქით კი ვერ მიჲყამ, საითაც რაშ უნდა იქით მიდის. იჲ ჭენობაში იქცა რაში მგლათა და გადასანსლა ეს პატრონი.

წამოვიდა და მოვიდა ამ ბიჭთან. მიდიან ლაპარაკით ეს მგელი, ბიჭი, ქალი, რაში და ჩიტი. მგელმა უთხრა: მართალია, ცხენი შაგიჭამე, მაგრა სამაგიეროთ ჩიტიც გიშოვნე, რაშიც და ქალიცაო. გამეეჲშვიდობა ამ ბიჭსა, გამაიძრო ბალანი და მიჲცა:

— აი, ეს შაინახე, სადაც გაგიჭირდება, მოტუსე და იქვე გავჩდებიო. მოიდა ბიჭი იმ ჯვარედინ გზაზე და ნახა, რო ის ბეჭედი იქვე დემ, მისი ძმები არ მოსულან ჯერა.

ცოლ უთხრა ამ ბიჭმა:—შენ აქ მომიცადე, მე წავალ და ძმებ მოვძებნიო. გაიარა ამ ბიჭმა რამოტენიმე გზაი და დაინახა თავი შუათანა ძმას ბატები ჰყამ და აძოებს მინდორში.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— ჯო, რა გინდა აქ, რათ დამდგარხარ მებატეთაო,—ჰკითხა ბოლოლამ.

— მე რო წამოველი, ერთი კაცი შემხვდა, ქაღალდი ვეთამაშე. ჩემი ფულიც წავაგე, ცხენიც და თავიც და მას ვემსახურებიო.

— უფროსი ძმა ხო არ იცი, სადღა არიო.

— უფროსი ძმაც ცოტაჲ რო გაივლი, მეცხვარეთ დგაო. დაიხსნა ეს შუათანა ძმაი და წავიდა უფროს ძმასთან. ნახა, რო ცხვარი ჰყაჲ და აძოებს.

— გამარჯობაო!—ამ უფროს ძმას უთხრა.

— გაგიმარჯოსო!

— რა დაგმართვია, ეგ რა ამბავია შენ თავსაო.

— იქიდან რო წამოვედი, კაცი შემხვდაო, ქაღალდი ვეთამაშე, სუყველაფერი წავაგე, თავიც წავაგე და მას ვემსახურებიო. ბოლოლამ

ეს უფროსი ძმაც დაიხსნა, წამოიყვანა მეორე შუათანა ძმაც და მივიდნენ ჯვარედინ გზაზე, სადაც ცოლი, რაში და ჩიტი დატუა. ძმებს შეშურდათ ესენი. — მოდი პური ვჭამოთო, — ბოლოლამ უთხრა ძმებსა. პური ჭამაში წყალი მოიწყურდათ ძმებს. იქ გვერდით ახლო ერთი ჭაი იყო. უფროს ძმას უთხრა:

— თოკით ჩაგიშვებ და წყალი ამოიტანეო. მიაბეს თოკი და ჩაუშვეა ჭაში. ამ ბიჭმა მორთო ყვირილი: დავიწვი, დავიწვიო. ამოიყვანეს ბიჭი ისევ ისე მაღლა. ბოლოლამ ახლა შუათანას უთხრა:

— შენ ჩადიო. იმანაც დაიწყო ყვირილი:—ვაიმე, ვაიმე, დავიწვიო. ამაიყვანეს ისიც მაღლა. წააბეს ბოლოლას თოკი. რამდენიც დავიძახო დავიწვი, იმდენი დაბლა ჩამიშვითო,—ბოლოლამ უთხრა ძმებსა. რო ჩაუშვეს გადუჭრეს თოკი და ეს ბოლოლა გადუშვეს შიგა. ძმებმა გაანებეს თავი. ქალმა ჩაიძახა ბოლოლასა:

— მანდ სამი თხაი გაივლის, ერთი ლურჯი, ერთი წითელი და ერთიც შავი. არც ლურჯ თხას წაიკიდო ხელი, არც შავსა, წითელ თხაი მოიკიდე ხელი და ის მაღლა აჩოგისვრისო.

თხებმა გაიარეს. ლურჯი და შავი თხაი ზედ ეხახუნებიან ამ ბიჭსა, წითელი კი შორ დადის, ახლო არ ეკარება. რო უყურა ამ ბიჭმა არ ეკარება წითელი თხაი, შავ თხაი წაიწვდა იმ საჩი, რაც იქნება, იქნებაო. მოიკიდა თუ არა ამ შავ თხაი ხელი, გაიქნია და ქვეშკნელ ჩაისროლა ბიჭი. ჩავარდა ბიჭი ქვეშკნელ. წავიდა, ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ სოფელში. ეიტუმრა ერთ ბებერ. ბებერმა თქვა: ამ ბიჭ პური ეშიებაო. გადმოიღო ბებერმა ვარცლი. გაიცრა ფქვილი და გადაალაჯა ფეხები.

— ბიჭნა უთხრა, რას შვები, ბაბოო, წყალი არ გაქთო?

— არა, შვილო, ჩვენი წყალი ერთ გველაშაპ უჭირამ, დღეში ერთხელა თუ მსხვერპლ არ მოუყვანთ, წყალ არ დაგვანებებსო. ამ ბიჭმა უთხრა:

— მამეცი, გექნება რამე ჭურჭელიო. აიღო და ბებერმა პატარა ჭურჭელი მიიცა.—ეგ რათ მინდა, დიდი ჭურჭელი გექნებაო. აიღო და ორი დიდი ღვინი ქვევრები მიიცა. გაიქცა ამ ბიჭმა. მივიდა წყალზე, ხედამს ერთი მზეთუნახავი ქალი ზი და ტირის.

— რა გატირებსო?—ბიჭმა უთხრა.

— მე ხემწიფი ქალი ვარ, მსხვერპლათა მოყვანილიო, საცაა მოვა გველაშაპი და შამჭამსო. ბიჭმა უთხრა:

— მოდი, მე შენ მუხლზე დავიძინებ და გველაშაპი რო მოიდეს, გაიღვიძეო. დაწვა ბიჭმა და დაიძინა. დაინახა ქალმა, რო მოდის

გველაშაპი. ბიჭი შეეცოდა და ვერ აღვიძებ. ისევისე ტირილი დაიწყო. ერთი ცრემლი დაეცა ლოყაზე და ხელათ გაეღვიძა ბიჭსა. წამოხტა ზეზე და „რა ამბავიაო"—იკითხა.

— აგერა მოდის გველაშაპიო. დაუჭირა ამ ბიჭმა შვილდისარი და ეს გველეშაპი შუაზე გააპო. მიჩეხ-მოჩეხა გველაშაპი და დაადყარა. მივიდა, აავსო ქვევრები და უნდა წამოიდეს. ქალმა იფიქრა:

— ეს წავა და მე აბა როგორ უნდა ვიცნოო! დაისველა ხელები გველაშაპი სისხლში და დაარტყა ბეჭებზე ბიჭსა ნიშნათ. გაიქცა ქალი და მივიდა სახში. გაუჯავრდა მამაი:

— სად მოდიხარ, ახლა გველაშაპი წყალ აღარ მოგვცემსო.

— ის გველაშაპი ერთმა ბიჭმა მოჰკლაო,—ქალი ეუბნევა. ხემწიფემ უთხრა:

— იცნოფ იმ კაცსაო?

— ვიცნობო,—უთხრა ქალმაც. ხემწიფემ იმ სააჩი გაჰცა განკარგულება:

— ჩემ სახემწიფოში ვინც არი, სუყველაი აქ მაიყვანეთო. მააგროა ხალხი. ხემწიფემ უთხრა ქალსა:—აქ არიო?

— არა, აქ არ არიო!

— მაიყვანეთ სუ ყველაო? — კარიკაცებს უთხრა ხემწიფემ.

— ჰო, ყველა მოვიყვანეთ, ერთ ბებერთან ერთი ჯტუმარი რო არი, იმი გარდაო.

— წადით, ისიც აქ მოიყვანეთო. მაიყვანეს თუ არა:—აი, ეს არისო, ამ ქალმა წამაიძახა.

— რითი დაგასაჩუქროო,—უთხრა ხემწიფემ, სახემწიფოც შენი იყვეჰ და ჩემი ქალიცაო.

— მე შენი არაფერი ვინდა, თუ შაგიძლია ზეცაში ამიყვანე, მაღლაო.

— მე ეგ კი არ შემიძლია, მაგრა ამა და ამ ადგილაჰ არი ერთი ფაშკუნჯის ბუდეო, ის ყოველწლიურათ ბღარტებსა აჩენ, მაგრამა მოდის ერთი გველაშაპი და უჭამ ამ ბღარტებსაო. შენ თუ იმ გველაშაპ მოჰკლამ, ის ფაშკუნჯი აუცილებლივ აგიყვან ზეცაშიო.

წავიდა ბიჭი ფაშკუნჯის ბუდეჰთან. მივიდა და ხი ქვეშ წამოწვა. დეეძინა ამ ბიჭსა. წამოიდა გველაშაპი, რო ეს ბღარტები შაჭამოს, ბღარტებმა ჟღივილ-ჟღივილი დაიწყეჰ. გამეეღვიძა ბიჭსა, დაინახა გველაშაპი, ჰკრა შვილდისარი და შუაზე გააპო, მიჩეხ-მოჩეხა და დაჰყარა. მივიდა დაღლილი და ამ ხი ქვეშ წამოწვა ისევისეა. აგერ

ეს ფაშკუნჯიც მიდის. მოიდა თუ არა, გეექანა და ბიჭი უნა შაჭამოს. მივიდნენ ბღარტები და ამ ბიჭ ზედ გადაეფარნენ.

— არა, ამან ჩვენი მტერი მოკლა, მაგი არაფერ გვიშავებსო. გააღვიძა ფაშკუნჯმა ეს ბიჭი.

— რა გინდა, მითხარი, რით დაგასაჩუქროო?

— შენი არაფერი მინდა რაო, ოღონდ ზეცაში აციყვანეო.

— აგიყვანო, ოღონდ მე დიდი საგზალი მჭირდება იქ ასვლამდისინ და თუ შაიძლებ იმი შოვნასაო?

— რა გჭირდებაო? — ბიჭმა უთხრა:

— თორმეტი თონე პური, თორმეტი კამეჩი და თორმეტი კოკა ღვინოო. წავიდა ამ ბიჭმა და ხემწიფეჲ უთხრა. ხემწიფემ იმ სააჩი გაამზადა ყველაფერი და მიუტანა აჷ ხეჲთან. ფაშკუნჯმა გაშალა ფრთები. დაალაგა ბიჭმა ესენი და თვითონაც დააჯდა ზედა. აფრინ, და ეს ფაშკუნჯი. რამტელიც ფრთას აიქნევს, აწვდის ერთ თონე პურ, ერთ კამეჩ და ერთ კოკა ღვინოჲ. ერთი ფრთაც რო აიქნიოს, უნა ავიდეს მაღლა და გამეელია საჭმელი. აიღო ამ ბიჭმა და გამაიჭრა რბილი კანი ბაყვიდანა და ფაშკუნჯს პირში ჩაუგდო. ხორცი ძალიან გემრიელი იყო და ფაშკუნჯმა ყბის ქვეშ შაინახა.

უკვე აიყვანა ზეცაში და გადავიდა ეს ბიჭი. რო გაიარა, კოჭლობა დაიწყო.

— რათა კოჭლობო?—ფაშკუნჯმა უთხრა.

— ბოლოს რო ხორცი ჩაგიდე, საჭმელი დამაკლდა და ბაყვიდან გამავიჭერიო და იმიტვინა ვკოჭლობო.

— თუ მცოდნიყო შენი ხორცი ეგრე გემრიელია, გზაში შაგჭამდიო, მაგრა რახან ამდენი პატივი მეცი, წადი და იარეო. გამაიღო ეს ხორცი, სადაც გამოჭრილი ჲქონდა ისევისე იქ ჩაუდო. თავი ბუმბული მოუსვა და მოურჩინა.

ფაშკუნჯმა უთხრა: — წადი, მეეჭიდე ხეს, თორე მე რო ჩავფრინდები, ჩემი ქარი ისევისე უკან წაგიღებსო. ჩაფრინდა ეს ფაშკუნჯი და წავიდა. ამ ბიჭმა გზა არ იცოდა, თუ სად წასულიყო. ამოიღო მგლის ბიცემული ბალანი, მოტუსა და იმ სააჩი მგელი იქ გაჩნდა. შამაისვა მგელმა ზურგზე და ბიჭი მაიყვანა იმ ჯვარედინ გზაზე. გამოემშვიდობა ბიჭი მგელსა და წამოიდა.

იმი ძმებმა რო წამოიყვანეს ეს ქალი, რაში და ჩიტი, გზაში ცხრა ძმაი მდევები ცხოვრობდნენ და მათ წაართვეს. ძმები ცარიელები წავიდნენ სახში. ხემწიფემ ჰკითხა:

— რა უყავით მესამე ძმაო. — გზაში რო გავიყარენით, მერე ვე-

ღარა ვნახეით და ვერც ჩიტი ვიპოეთო. ჯერ ხემწიფემ ბოლოლა შვილი იმგლოვა და მერე ამ ორი შვილი ქორწილი გამართა.

ბოლოლა ბიჭი რო მიდის, გამოიარა აგ ცხრა ძმა მდევების სახთანა. დაინახა, თავი ჩიტი და რაში იქ არიან. ბიჭმა იფიქრა, რო ქალიც აქ იქნებაო. დაინახეგ თუ არა ეს ბიჭი, ჩიტმა გალობა მორთო და რაშმა ჭიხვინი. გამოვარდა ეს ქალი: ჩემი ქმარი მოიდოდა, თორე რაც ის დაიკარგა, ჩიტს არ უგალობია, რაშს არც უჭიხვინიაო. ბიჭი კიდეც მივიდა კარებზე. ქალმა უთხრა:

— წავიდეთ ჩქარა, ჩიტი და რაში წავიყვანოთ, თორე საცაა, ის პირცეცხლიანი მდევები მოვლენ და შაგვჭამენო.

— არა, მოიდნენ, ერთი ვნახო, ვინ არიან და.მერე წავიდეთო. ბიჭი კარებზე დგა, რო გაიხედამ დევები ცხრანივე მოდიან. მდევებმა დაინახეს თუ არა ბიჭი, თქვეს:

— ეს რა კაი ლუკმა მოგვსვლიაო.

— ახლო მოდით და რაც ლუკმა ვარ, მე გაჩვენებო. მივიდნენ თუ არა, ამ ბიჭმა ჰკრა ისარი და ცხრანივე ერთათ დახოცა.

შამაისვა ეს ქალი და ჩიტი რაშზე და გამარჯვებული წამოიდა სახში.

წორეთ ამ დროს ხემწიფეგ ორი შვილი ქორწილი აქ. ხემწიფეგ ახარეს რო შენი ბოლოლა შვილი მოდისო. შევიდა ბიჭმა და ნახა, რო დიდი ქორწილია გამართული (აბა, ხემწიფეგ უბრალო ქორწილი ხო არ ექნებოდა!). ძალიან გაუხარდა ხემწიფეგ. ბიჭი დასვეს ადგილზე, რახან მანაც ქალი მოიყვანა, მესამე ნეფე გახდა. ბიჭმა უთხრა:

— მამაჩემო, ერთი სადღეგრძელო უნდა ვთქვაო. აიღო ჭიქა და თავი თავგადასავალი სუ ყველაფერი თქვა, თუ როგორ უღალატეგ ძმებმა, ქვეშკნელ როგორ ჩავარდა, როგორ ამაიყვანა ფაშკუნჯმა. გველაშაპები როგორ დახოცა, სუ ყველაფერი უთხრა. ხემწიფემ გაიგო თუ არა ეს ამბავი, თავი უფროს და შუათანა შვილ უთხრა:

— რახან თქვენ ძმი მოღალატები ყოფილხართ, ჩეგ ქვეყანაში აღარ დაგინახოთო და ერთიანათ გამოყარა გარეთ. იმათი საცოლოები სხვა ბიჭებზე გაათხოვა. გადიხადა კაი ქორწილი. ხემწიფობაც თავი ბოლოლა შვილ დაუტოვა და ყველაფერი.

არელი, ბარელი,
გორი და ქარელი!

63. დედინაცვალი და გერი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი საწყალი ცოლ-ქმარი. ჰყვანდათ ქალ-ვაჟი. დედაკაცი დაავადმყოფდა და მოჰკვდა. მამამ სხვა ცოლი მოიყვანა. დედინაცვალს გერები ძალიან ეჯავრებოდა. დღედაღამ ქმარს ეჩიჩინებოდა: ეგენი მამაშორეო. და-ძმას ერთი ფინია ჰყამდათ და ბათ არაჲ შორდებოდათ. ფინია გულთმისანი იყო.

ერთხელ ქმარი სახში არ იყო. დედინაცვალმა გამააცხო უხაი, ჩაწყო ლოგინში და ზედ დაწვა. საღამოზე ქმარი რო მოიდა, ქალი კივის. გადაბრუნდება და ამ უხასა მტვრევა გააქვს. ქალი იძახის:

— ვაი, ვაი, ნეკნები მემტვრევაო!

— მერე და რა გიშველისო, — ქმარმა უთხრა.

— თუ შენ ბავშვებ მამაშორებ, მოვრჩები, თუ არა—მოვჰკვდებიო.

კაცმა ვერაფერი მაიფიქრა. ისევისე ადგა და ბავშვებ უთხრა.

— შვილებო, ტყეში უნდა წაგიყვანოთო. ბავშვებ ძალიან გაუხარდათ. დედინაცვალმა ბავშვებ მლაშე პური გამოუცხო, ჩაუწყო ბოგუდაში და მეორე დღეს გაიჲტუმრა. მივიდნენ ტყეში. კაცმა პალტო გაიხადა, ხეზე ჩამოჲკიდა და დაიწყო მუშაობა. ბავშვებ პური მოშივდათ, ჭამეს პური და მლაშე პურმა მააწყურათ წყალი. მამამ უთხრა:

— აი, აბ პურ დავაგორებ, საცა დადგება, იქ წყალი იქნებაო. დაგორა პური, ბავშვები დაედევნენ და ფინიაც თან გაჲყვა. ჩაგორდა პური დიდ ხევში, ნახეს კაი წყაროი, დალიეს და წამოიდნენ. რო აკოიდნენ ზევითა, მამა აღარ დახვდათ, წასულიყო და დაეტოვებინა პალტოი. დაიწყეს ბავშვებმა ყვირილი, ტირილი. ბოლოს წამაიღეს ის მამი პალტოი და ისევისე იმ წყალთან ჩავიდნენ. ძმას ჯიბეში პატარა დანაჲ ქონდა. ძმამ ამ დანით პატარა ხაროი ამოთხარა, ჩაწვნენ შიგ და-ძმა და ფინა და წაიხურეს პალტოი. ასე ცხოვრობდნენ დიდ ხანს, ჭამდნენ ტყის მცენარეებსა. ძმა ძალიან ღონიერი ირდება. ფინიამ ერთ დღეს თავი ფრჩხილებით მიწას თხრა დაუწყო. ძმამ თქვა: აქ რაღაც იქნებაო და დანით მიწა გათხარა. ნახეს, მიწაში მშვენიერი დიდი ქილა დგა ოქროთი სამსე. ამაიღო ბიჭმა ქილა და დას უთხრა:

— მე წავალ და შვილდისარ გავაკეთებინებო. წაიღო ეს ოქროი და წავიდა. მივიდა ერთ მჭედელთან.—ამ ოქროჲ შენ მოგცემ, ოღონ ისეთი შვილდ-ისარი გამიჭედე, რო მე გამიძლოსო. გაუკეთა მჭედელ-

მა ერთი ისარი, მოჰწია ამ ბიჭმა და მოკაკვა, მეორე გაუკეთა, ისიც მოკაკვა. მერე უთხრა მჭედელმა:

— შენც მამეშველე, თორე მასეთ შვილდ-ისარ ვერ გავაკეთებო. მეეშველა ბიჭიც დ3 გააკეთეს ისეთი შვილდ-ისარი, რომ ამ ბიჭმა ვეღარ მოკაკვა. ეს ოქროი იმას დაუტოვა და თვითონ წამოიდა დაჰთან, დას უთხრა:

— ეხლა ავდგეთ და აქედან წავიდეთო. გავიდნენ ტყიდან, ბევრი იარეს და ერთ ტრიალ მინდორზე გავიდნენ. დაინახეს ერთი მაღალი სასახლე. ძმამ დაუჭირა ისარი და ზედ იმ სახლი ბინაზე დაარჭო. სასახლემ სუ ზანზარი დაიწყო. იმ სახლებში ცხრა ძმანი მდევები ცხოვრობდნენ. გამოცვივდნენ მდევები, დეეჭიდნენ ბანზე დარჭობილ ისარს, მაგრა საძრაობაც ვერ უყვეს.

ბიჭმა უთხრა დას: — შენ აქ მამიცადე და მე იქ წავალო. ავიდა ბანზე. — მამიცადეთ, იქნებ ჭე ამავაძრო, — უთხრა მდევებს. მდევებმა სიცილი დაიწყეს. ბიჭმა წამოჰკრა ამ ისარ ხელი, ამააძრო, შამოუსვა ამ მდევებ და ცხრანივენი ბანიდან ძირ გადმოყარა. მიკუწმოკუწა მდევები და ერთ ხაროში ჩაჰყარა. ერთი მდევი ცოცხალმკვდარი ხაროში ჩავარდნილიყო ისე, რო სიცოცხლე დარჩენოდა.

ძმამ ჭიიყვანა დაი ამ ოქრო-ვერცხლით სავსე სახში, დაიწყეს ცხოვრება მდევების სასახლეში. ძმა სანადიროთ დაჰდის მდევების რაშით, დაი კი სახშია. დაი ძმი მოსვლას იმით გებულობს, რო კარებზე რო ხე დგა, ის შრიალ დაიწყებს. მდევი რაში ისეთია, რო ქარ დაჰდემს თანა. დაი მარტოთ არი სახში. დამ უთხრა: — ისეთი რამე მიყიდე, რო გავერთოო. ძმამ ოქროს ქოშები უყიდა. რო დადიოდა სახში, ჭრიალი გაჰქონდა ოქროჰ ქოშებს და ერთობოდა. დაძმას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. რასაც სვაჭდნენ და ჭამდნენ ხო და, რაც რჩებოდათ, დაი ორმოში ჭყრიდა. ცოცხალი ჭდევი ხაროში ისე გასუქებულიყო, როგორც დათვი.

ერთ დღეს ქალმა მორჩენილი საჭჭელი რო ხაროში ჩაჰყარა, მდევმა თვალები შამააჭყიტა.

— ქრიჰტიანი არავინა ხარ, ამამიყვანე აქედანაო. ქალმა ჩაუშვა კიბეი და მდევი ამაიყვანა. შაუყვარდა დას მდევი. ძმაი რო წავა სანადიროთ, დაი მდევთან დროს ატარებს, ხეი რო დაიწყებს შრიალს, ქალმა იცის ძმა მოდის და მდევ დამალავს. ქალმა იფიქრა: — ჩემი ძმაი გამიგებს ამბავ, თუ რამე არ მაუხერხეო. მივიდა და მდევ უთხრა:

— თუ ჩემ ძმას არ მოჟკლამ, საღაპოზე რო მოვა, ვეტყვი მდევრ მყვარობს-თქო და შენ მოგკლავსო. მდევმა თქვა:

— ცხრა ძმას ერთად მოგვერია და მე მარტო როგორ შავძლებ მაგი სიკვდილსაო. ბოლოს მდევმა უთხრა: — მაიავათმყოფე თავი და ძმას უთხარი: აბა და ამ ზღვაში რო ღორია, იმი კუჭის გულ-ღვიძლს თუ მამიტან მოვრჩები, თუ არა მოვკვდები-თქო. მას ღორი მოჟკლამს და ჩვენ დავრჩებითო.

დაი ჩაწვა ლოგინში. მოიდა საღამოთი ძმაი. დაი რო ავადმყოფი დაინახა, მივარდა:

— რა მოგვიდა დაოო?

— თუ მამიტან ამა და ამ ღორი გოჭის გულ-ღვიძლ, ბოვრჩები, თუ არა და არაო! ძმამ არც დაისვენა, მააბრუნა თავი რაში და წავიდა. გაჟყვა ფინია თანა. მივიდა ზღვაჟთან. დაინახა ღორი. დაუჭირა ისარი და უნა მეეკლა. ღორმა უთხრა:

— არ გაბედო სროლაიო. რა გინდა, რიტვინ მოსულხარო?

— ესე, ესეა საქმე, დაი მყამ ავათ და შენი გოჭის გულ-ღვიძლის მეტი არაფერი მაარჩენსო!

— შენი დაი ავათ კი არ არი, გღალატობსო, — უთხრა ღორმა. გაჯავრდა ეს ბიჭი, მაგრა არაფერი თქვა. მიჟცა ღორმა გოჭი, მოუტანა დას. აჭამა და ვითომ მორჩა. მეორე დღეს ძმაი კიდე წავიდა სანადიროთ.

ქალმა უთხრა მდევს:

— თუ არ მოჟკლამ ჩემ ძმასა, საღამოზე ყველაფერ ვეტყვიო. მდევმა უთხრა:

— საღამოზე კიდე მოიავათმყოფე თავი, რო მოიდეს, უთხარი: ამა და ამ ტყეში ერთი ირემი რო არი, იმი შვილის გულ-ღვიძლი მამარჩენს-თქო. მოიდა ძმაი საღამოთი და დაი კიდე ავათ დახვთა.

— რა მაგარჩენს ჩემო დაოო? — ჰკითხა ძმამ.

— ამა და ამ მთაში რო ერთი ირემია, იმი შვილის გულ-ღვიძლიო! იმ საააჩი გაბრუნდა ძმაი, შაჯდა რაშზე და წავიდა. გაჟყვა ფინიაც თანა. მივიდა მთაში, დაინახა ირემი, დაუჭირა შვილდ-ისარი და უნა ესროლნა. ირემმა დაუძახა:

— არ გაბედო სროლაიო. რა გინდა რიტვინ მოსულხარო?

— დაი მყავ ავათ და შენი შვილის ხორცი მაინდომაო.

— მე ჩემი შვილი ხორც არ დაგიჭერ, მაგრა გახსოვდეს შენი დაი გღალატრბსო. გაჯავრდა ეს ბიჭი, მაგრა წამაიღო ირმი შვილის გულ-ღვიძლი და წამოიდა. დამ ჭამა და ვითომ კარქათ გახთა.

მეორე დღეს ძმაი ისევისე სანადიროთ წავიდა. ქალმა მდევ უთხრა:

— ხომ ხედავ, ყველგან გადარჩა, თუ არ მოკლამ, საღამოზე ყველაფერ ვეტყვიო. მდევმა უთხრა:

— კიდე გახთი ავათ და შენ ძმას ამა და ამ ადგილას რო უკვდავები წყაროია, იმი მოტანა უთხარიო, ეგ წავა, ის უკვდავები კი არა, ცეცხლი წყალია, დაიწვება და ჩვენ გამარჯვებული დავრჩებითო.

მოიდა ძმა საღამოთი და დაი კიდე ავათ დახვთა.

— რა მოგარჩენს, ჩემო დაოო?

— ამა და ამ ადგილას უკვდავების წყაროი რო არი, იგიო! გააბრუნა ამ ბიჭმა რაში ისევისე, გააფრინა და წავიდა. გაჲყვა ფინია თანა. მივიდა იმ წყაროჲთან. ნახა მისადგომი არსაიდან არა აქვს. დაჯდა და ტანსაცმელ იხთის, რო გადაჲხტეს შიგა და ამაიტანოს წყალი. ფინიამ ყველაფერი იცის, მაგრა ხო ვერ ილაპარაკებს. დახტის აქეთ-იქით, ბოლოს დაავლო ბიჭის ფეხსაცმელს კბილი და გადააგდო წყალში. ეს ფეხსაცმელი იმ საჩი ნაცრათ იქცა. ბიჭმა თქვა: რო გადავმხტარიყავ, მეც ხო დავიწვოდიო. გაიხედა ამ ბიჭმა და მშვენიერი სასახლე ჩანს. ბალკონში მზეთუნახავი ქალი იცქირება და ამ ბიჭ ხელი დაუქნია:

— მოდი აქა, ჯიელოო. მივიდა ეს ბიჭი და მზეთუნახავმა ქალმაჲ კითხა: — რა გინდა, რიჲტვინ ჲოსულხარო?

— დაი ჲყამ ავათ და თქვენი უკვდავები წყაროი მაინდომა, უნა წაუღოო.

— ეს უკვდავები წყაროი კი არ არი, ცეცხლის წყალიაო. შენ დას წყალი კი არ უნა, გღალატობსო. ბიჭს ეს ძალიან ეწყინა. ქალმა უთხრა: — ეგ წყალი წაიღე, ვიცი ჩემთან მოხვალ ისევისე და მაშინ გეტყვი ყველაფერსაო. ქალმა მიჲცა თავი ცეცხლი რაში, შააჯდა ზეთ და წამაიღო წყალი.

დას მოუტანა წყალი, ვითომ დალია და მორჩა (მაგრა აბა რას დალევდა, ცეცხლი წყალი რო იყო, კარგათ იცოდა!). მეორე დღეს ძმაი სანადიროთ წავიდა. ქალმა უთხრა მდევს:

— თუ მოჲკლამ, მოკალი, თორე საღაჲზე რო მოვა, სუ ყველაფერ ვეტყვიო. მდევმა თქვა:

— მეტი აღარაფერი შამიძლიან, ისევისე შენ გამოჲკითხე ძალაი სადა აქვსო.

საღამოთი ძმაი მოიდა სახში. დაი მეესიყვარულა და-ძმურათ, ვითომ ძალიან ერთგულია და ბოლოს უთხრა:

— ერთი მითხარი, შენი ძალაი სად არი, რო პატივი ვცეო. ყველამ უთხრა გღალატობსო, მაგრა როგორ იფიქრებდა რამეს და უთხრა დასა:

— ჩემი ძალაი ამ ჯაჭვშიაო.

მეორე დღეს ბიჭი წავიდა სანადიროთ ჩვეულებრივ. ქალმა მდევს უთხრა, რო ძმი ძალაი ჯაჭვში იყო. შამააყარეს ამ ჯაჭვსა შეშა, თივა, ყველაფერი, წაუკიდეს ცეცხლი და წვავენ. ჯაჭვ ცეცხლი წაეკი და თუ არა, ბიჭს ტყეში ისარი გაუვარდა ხელიდან. მიხვდა საქმე ცუდათ მაქვსო და ხელათ შააჯდა თავი ცეცხლი რაშსა. რაში გამოფრინდა სახლისაკენ. ბიჭი ცხენზე ცოცხალმკვდარი, უძალოთ არი ჩამოკიდებული. მინამ მდევი გამოვა და მოჴკლამს აჷ ბიჭს, მინამ დამ გამააჴწრო და მოკლა თავი ძმაი. აკუწეს, ჩაჴყარეს ხურჯინში. გადაჴკიდეს აჷ ცეცხლი რაშსა და გაუშვეს. რაში გაფრინდა და მზეთუნახავ ქალთან მივიდა. ფინიაიც რაშ გაჴყვა, მზეთუნახავმა ჩამოიღო ხურჯინი, ამაიღო დაკუწული კაცი დჷ ასო-ასო ააწყო. გადმაიღო თავი უკვდავები ბაღდადი, ჷიუსვ-მოუსვა და გააცოცხლა ეს ბიჭი.

— უჰ, რამოტელა მძინებიაო! — თქვა ბიჭმა.

— ისე შენ მტერ ეძინოს, როგორც შენ გეძინაო, — უთხრა ამ ქალმა. მიიხედ-მოიხედა ბიჭმა და მააგონდა ყველაფერი. მზეთუნახავმა უთხრა: — ხომ გითხარი, დაი გღალატობს-თქო, მაგრა არ დამიჯერეო. ბიჭმა თქვა:

— ერთი უნა წავიდე და ჩემი დაი ვნახოო. ქალმა უშალა, უშალა, ჷაგრა ბიჭმა არ დაიჯერა. წავიდნენ ორთავენი. ქალმა მაინც გზაი აუცდინა, არ უნა მააკვლევინოს თავი დაი, რო გაჴცდნენ თავი სახსა, ბიჭმა ეს იგრძნო. მზეთუნახამს უთხრა:—ნუ ამაცთინე, უნდა ვნახოო. მობრუნდა უკან ეს ბიჭი, ჯერ აკუწა ის მდევი, თავი დას თვალები დაჴთხარა და ცოცხალი დატოვა, თავს კი ერთი მოსამსახურე დააყენა: — ასვი, აჭამე, არაფერი არ მააკლო და ეგრე იყვესო.

ბიჭი წამოიდა მზეთუნახავ ქალი სახში, დაქორწინდა ამ ქალზე და დღესაც ბედნიერათ ცხოვრობენ.

ჭირი იქა, ლხინი აქა!

შენიშვნები

1. „ციება, ცხელება და სიკვდილი“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, 27 წლისა, წერა-კითხვის მცირე-მცოდნე, სოფ. ყარაღაჯი, კასპის რაიონი, 2.03. 38 წ.

ეს ლეგენდა ხალხური წარმოდგენის ერთ-ერთ უმშვენიერეს ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი უსათუოდ წინაკლასობრივი საზოგადოების შემონაქმედია. მსგავსი ლეგენდა შეიძლება შექმნილიყო იმ საზოგადოებაში, რომლის წევრებს ჭეშმარიტი წარმოდგენა ბუნებრივისა თუ ავადმყოფობის წარმომშობ მიზეზებზე ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შემუშავებული, ე. ი. იმ ეპოქაში ავადმყოფობისა და სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს ადამიანის ფანტაზია მიაწერდა განსაზღვრულ ღვთაებრივ ძალებს. ამ ლეგენდის მიხედვით ადამიანი ძლიერია, ციება, ცხელება და სიკვდილი—უძლურნი, ადამიანი ამარცხებს მათ, ხოლო თვით სიკვდილიც კი მოკლებულია შურისძიების ძალას, იგიც იძულებულია თავის ჩედს შეურიგდეს. ციება მეცხვარეს ცხვარს სთხოვს, მაგრამ როცა თავის ვინაობას გაამხელს, მეცხვარე კომბლით ეცემა. ციება შეუჯდება ტანში მეცხვარეს და გააციებს; მეცხვარე ქედს არ უხრის ციებას: წინ ცივი წყარო ჩამოუდის და მასში გადაეშვება: „გაქანდა ეს მეცხვარეი და ტყაპა გაადინა შიგა. ციებამ ველარ გაუძლო ცივ წყალსა, გამეეცალა და წავიდა“, თავის მეგობრებს: ცხელებასა და სიკვდილს კი ეუბნება: „ციება მე კი არა, ის ყოფილაო!“ ასე გააწბილა მეცხვარემ ცხელებაც. ისიც ამბობს: „ცხელება მე კი არა, ის ყოფილაო!“ მეცხვარე არც სიკვდილის მისვლას გაუფრთხა. სიკვდილმაც ცხვარი სთხოვა:

— „განა ვინა ხარო, ცხვარ რო მთხოვო!

— მე სიკვდილი ვარ.

— მთელი ფარა წაიყვანე, ხოლოთ ერთი მითხარი, როდი უნდა მოვკვდეო?

— ჩემი ძალით ხო ვერ მოგკლამ, აგერ სიას ვნახამ და გეტყვიო. გასიხჯა სია და უთხრა:

— შენა ხარ ოცი წლისა, ოთხმოცი კიდე უნდა იცოცხლო. ასათ შაასრულოო.“

ეს რომ გაიგო მეცხვარემ, გადმოიღო ჩომბახი და სიკვდილს მეგობრებზე უარესი დღე დაათენა: „რახან ოთხმოცი წელიწადი კიდევ უნდა ვიცოცხლო, ცხვარი რაში უნდა მოგცეო“...

გურულ ფოლკლორშიაც გვხვდება ზღაპარი, რომლის მიხედვით სიკვდილს სასტიკად ამარცხებს და ატყუილებს ადამიანი (გურ., 248-251). სახელგანთქმულ ყაჩაღს თეთრწვერა კაცის სახით შეხვდება სიკვდილი და დაემუქრება: „დღეის სტორს შენი სტუმარი ვიქნები, თუ ვაშკაცი ხარ, დამხთიო“. გულგახეთქილი ყაჩაღი ერთკვირაში ისეთ ქვიტკირის ციხე-სიმაგრეს ააგებს, რომ შიგ ჭიანჭველაც ვერ შეატანს. დანიშნულ დღეს ყაჩაღმა იარაღი ზვერდზე დაიწყო, კარები მაგრად ჩაირაზა და დაუწყო ლოდინი სიკვდილს. დახეთ უბედურებას! ყაჩაღს ცოტა მიეძინა, ვიღაც აღვიძებს, იცნო სიკვდილი, რომელიც მას იპატიჟებს.

— დიდი სიამუნებით წამოვალ, აბა რაღა ვქნა, მაგრამ მე, შენც იცი, დიდი

ხნის კაჩაღი ვარ, ჩემს სიცოცხლეში ბეჭრი ცოდვები ჩამიდენია, ქრისტიანი კაცი ვარ და ნუ მომკლავ იჭამდი, სანამ ერთი „მამაო ჩვენო“ არ ვთქვაო.— თქვი აბა ჩქარაო,—უთხრა სიკვდილმა.—არა, მასე ვერ ვიზამო, მომეცი პირობა, რომ სანამდი არ დავამთავრეფ „მამაო ჩვენოს“, მანამდი არ მომკლავო... მისა თავდებათ ღმერთი და კაჩაღმაც დეიწყო: „მამაო .ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“... შვამდი ქე თქვა და მერე გაჩერდა.—აბა ჩქარაო, ეუბნება სიკვტილი,— დაამთავრე ლოცვაო; არა, შენ რომ ღმერთი მომეცი თავდებათ, სანამდი არ დავამთავრეფ ვერ მომკლამ და მეტი არ მსურს ვთქვავო“. მოტყუილებული სიკვდილი დაუმეგობრდა ყაჩაღს. ყაჩაღი გახდა მკურნალი. ერთხელ ავადმყოფთან მიდიოდა. მდინარის ნაპირას დამხრჩვალი ბავშვი ნახა. ბავშვს ყელზე ჯვარი ეკიდა. ყაჩაღმა იფიქრა „ქრისტიანი ყოფილაო“ და მოდი „მამაო ჩვენოთი“ დავასაფლავებო. ახლა ბოლომდის დაამთავრა „მამაო ჩვენო“. დამხრჩვალი ბავშვი უცებ სიკვდილად იქცა... აბა ახლა ჩაბრძანდი საფლავშიო, მაგრამ ყაჩაღმა კვლავაც ხერხი იხმარა და ისევ მოატყუილა სიკვდილი.

აქაც იგივე მოტივია, დაახლოებით.

მაგრამ ჩვენს ლეგენდაში მთავარი მარტოოდენ ის კი არ არის, რომ ადამიანი ამარცხებს სიკვდილს, არამედ ინტერესს იწვევს ციებისა და ცხელების, როგორც განსაზღვრული ავადმყოფობის გამომწვევი სულების, ადამიანის სახით წარმოდგენაც. ორივე ლეგენდის აზრით, ისინი სასაცილო სულებია, უძალონი, რომლებზედაც იმარჯვებს ადამიანი. სიკვდილი უძლურია, მას არ შეუძლია ადამიანი მოჰკლას ურიგოდ. ადამიანის ბედი და სიცოცხლის ხანგრძლივობა დაკანონებულია, რის დარღვევაც არ ძალუძს სიკვდილს. ადამიანი ძლიერია, სიკვდილი სასაცილო, უძლური. აი, ამ ლეგენდის მთავარი იდეა.

მსგავსი ლეგენდისათვის ანგარიშგაუწეველად ჩვენთვის კვლავაც გაუგებარი იქნება ზმნების „მაციებს“, „მაცხელებს“ წარმოშობა, რადგან მოქმედი პირი მათ არ გააჩნიათ. ახლა კი სუბიექტები ეძებნება ამ ზმნებს, რომლებიც ძველი გრამატიკის მიერ უპიროვნად, გამონაკლისებად და უკანონოებად იყო აღიარებული. აკად. ნ. მარს იმთავითვე სწამდა, რომ ასეთი ზმნები პირიანებია და იქ გამოხატულია განსაზღვრული პირი „ის, იგი (он, она, оно). ოდესღაც 'საწარმოო ტოტემი: რუსულ ზმნაში „меня лихорадит“—ესაა უძლურების სული, ფრანგულ ზმნაში „il bait chaud“—'აცხელებს' ესაა—'მზე ღმერთი' (le Soleil) და ფრანგულ ზმნაშივე „il pleyt“, როგორც გერმანულ ზმნაში „es regnet“ „ის (ღმერთი) ასხამს წყალს“,—„ესაა ღმერთი-ცა“, ესაა—მემკვიდრეობა კაცობრიობის ნამდვილი პირველყოფილი ყოფისა, ამასთან ერთი ეპოქისა კი არა, სხვადასხვა ეპოქისა, როცა კაცობრიობა დარწმუნებული იყო, როგორც ახლა ვიტყვით, ჯერ კიდევ სწამდა, რომ ავადმყოფობას აჩენენ და ამინდს აყენებენ განსაკუთრებული სულები, ღვთაებები და ფეტიშები'.* მსგავსი ლეგენდებით ნ. მარის ამ დებულებას მშვენიერი ილუსტრაცია ეძებნება.

ანალოგიური მოტივებია სიკვდილის შესახებ ხალხურ პოეტურ გადმოცემებშიაც. აქაც იგი წესის უბრალო ამსრულებელია და არა აქტიურად მოქმედი.

---

* ნ მარი, ИР, ტ. III, Ленинград, 1934, გვ. 91-92; ან: იგივე ქართულად: ენა და აზროვნება, სახელგამი, თბ., 1934, გვ. 5-6.

საკუთარი სურვილით მას არ შეუძლია ადამიანი მოჰკლას. ხევსურულ ლექსში— „სიკვდილთან გაბაასება“—ნათქვამია:

სიკვდილმ თქვა: „აგრა რად დამწყევთ? განა ჩემსა ორ ჭკვაზედა?
ღთისგან ორ გამოგზავნილი, მაგის ორ ბძანებაზედა...
ქრთამ კი არ მიყვარს სიკვდილსა, თავნი დგან დღე წერაზედა.
დღე-წერა მკარს თუ არა მჭერს, ვერ მიოლ ყვერფ-კერაზედა“... *

სხვა ხალხური ლექსების მიხედვით სიკვდილი ბაქიაა, ტრაბახობს და თავი მოაქვს „ბევრი ვაჟკაცი მოვშალე, ვაჟკაცი ცოლ-შვილიანი“. ხევსურულ ლექს-- ში—„ჩათიბვა სიკვდილის მიერ“—ვკითხულობთ:

სიკვდილმ თქვა: ზღვა-ზღვა წამოვედ, ზღვა ჩქეფით შამოვიარე.
შავკმაზე ლურჯი აქლემი, კმელეთი შამოვიარე...
გადაუხედენ კევსურთა, თუ ოდენ როგორც ჭიანი.
ჩავედ და ისე ჩავთიბე, როგორც ნალევმა თივანი:
ბევრის თოფ გავატიალე, შიგ ისხნენ ორნი ტყვიანი;
ბევრი გავწირე ოკრადა სიათა პირ-კვამლიანი;
ბევრის კალათა შავხკიდე კირჩხაზე ჩხირ-წინდიანი;
ბევრის იარაღ შავხკიდე აშურმა-ყაწიმიანი;
ბევრისა კმალი შავხკიდე, ფრანგული ფბა-სისხლიანი;
ბევრისა ძროხა გავუშვი მინდორზე ოკერ-ტიალი;
ბევრის ნამგალი დავაგდე, სამკლავე-სათითიანი;
ბევრისა კარი დავჯარე; ბევრისა ისევ მღე არი;
ბევრი კი გამოვაბრუნე მტირალი, თვალ-ცრემლიანი;
ბევრი ვაჟკაცი მოვშალე, ვაჟკაცი ცოლ-შვილიანი. **

მეორე ლექსში ბაქია სიკვდილი სიცოცხლეს თავის ყმად მიიჩნევს და თანაც ემუქრება. ასე, ლექსში „სიკვდილი და სიცოცხლე“ ნათქვამია:

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს: სიცოცხლევ, ჩემი ყმა ხარო,
როცა ჩემი ნება არის, შენი თავი ხელთა მყავო.
არც ხელმწიფე გამაჩნია, არც ბატონი, ზრცა ყმაო...
თვალ სინათლეს მოგაშორებ, შავ მიწაში ჩაგმარხამო,
შენი გულის საყვარელსა ჭირისუფლათ დაგისვამო... ***

მაგრამ სიცოცხლე დარწმუნებულია თავის ძალაში და სიკვდილის ამ მკვეხარა განცხადებას სასაცილოდ იგდებს; მას სჯერა, რომ მთავარია წერა, ღვთის განკარგულება, უამისოდ სიკვდილს არაფერი შეუძლია. ამიტომ გაბედულად პასუხობს: „თუ ღმერთი ჩემი შემწეა, სიკვდილო, ვერას მიზამო“ (იქვე, გვ. 228); ან: „სიკვდილო, თავსაც არ მოგცემ, თავიც რომ ქვაზე ახალო!“ (იქვე, გვ. 229).

---

* ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931, გვ. 210.
** იქვე, გვ. 213.
*** პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, ფ. გოგიჩაიშვილის რედ., თბ., 1937, გვ. 227.

2. „ელია, ქრისტე და წმინდა გიორგი"; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 2.01.38 წ.

ლეგენდა რამდენიმეჯერაა გამოქვეყნებული: პირველად იგი რუსულად გამოქვეყნდა (Сб. матер. для опис. мести. и плем. Кавказа, ტ. XIX), აქედან გადაიღო ივ. ჯავახიშვილმა (ქართველი ერის ისტორია, I, მესამე გამოც., თბ., 1928, გვ. 37-38), ხოლო იგივე მოთავსებულია სერ. გორგაძის ქრესტომათიაში (ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, პარალელებით ახალ მწერლობიდან, V, გამოც., თბ., 1927, გვ. 14-15). ლეგენდა გაულექსავს აკაკი წერეთელს (იმერეთში გაგონილი, თხზულებანი, ტ. III, ი. გრიშაშვილის რედ., თბ., 1940, გვ. 135-143; ქართლში გაგონილი, იქვე, გვ. 147-153.). ჩვენს ვარიანტს გამოქვეყნებულ ტექსტებთან შედარებით სხვაობა არ ახასიათებს. სიუჟეტურადაცა და კომპოზიციურად ისინი ერთნაირ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ლეგენდის ქართული წარმოშობა იმთავითვე ცხადია და ეჭვს არ იწვევს. იგი შეუქმნია ამ საზოგადოებას, რომელიც არ სცნობს ქრისტეს საკუთარ ღვთაებად: მას ჰყავს სხვა ღვთაება, ესაა წარმართი წმ. გიორგი. ქართველებს, როგორც ამ ლეგენდისა და მსგავსი ხალხური გადმოცემების საფუძველზე დაასაბუთა ივ. ჯავახიშვილმა, წარმართობის დროს ღვთაებად მიჩნეული ჰყავდათ წმ. გიორგი, რომელსაც ავტორი მთვარეს უკავშირებს: „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობის დროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია".* აშკარაა, რომ ქრისტიანობის ეპოქაში წმ. გიორგის შემოეცალა წარმართობის სამოსელი და დაუპირისპირდა ქრისტეს, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის მიერ აღიარებულ იქნა მთავარ ღვთაებად. ქართველებს მთავარ ღვთაებად წმ. გიორგი რომ ჰყოლიათ, მსგავსი ლეგენდის გვერდით სხვა უფრო სარწმუნო წყაროებით არის დადასტურებული. საქართველოში არ მოიძებნება კუთხე, სადაც შემორჩენილი არ იყოს ხსოვნა ამ კულტისადმი თაყვანისცემის შესახებ. ეს შეეხება საქართველოს როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს მხარეს, მთასა და ბარს, ქართლს, კახეთს, სამეგრელოს, გურიას, იმერეთს, რაჭას, მთიულეთს, თუშეთს, ხევს, ხევსურეთს, მესხეთ-ჯავახეთსა** და სხვ. გამორკვეულია, რომ ეთნოგრაფიული საქართველოს ყველა რაიონში არსებობდა და ფართოდაც იყო გავრცელებული წმ. გიორგის კულტი. იქ დაცული იყო უამრავი ხატები, იმართებოდა ხატობანი, დღეობები, აშენებული იყო წმ. გიორგის სახელობის ტაძრები, დაწესებული იყო სამლოცველო ადგილები და ასე შემდეგ.

წმ. გიორგის დღესასწაულთან დაკავშირებული რიტუალები, ხატები და თვით მისი მსახური დეკანოზებიც ქრისტიანულ ეპოქაში იღებენ ოფიციალური

---

* ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 45

** ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 43; აგრეთვე: ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთის რაჭა, თბ., 1930, გვ. 69; მისივენი: მთიულეთი, თბ., 1930, გვ. 150; თუშეთი, თბ., 1933, გვ. 192; ხევი, თბ., 1934, გვ. 211, 216; ხევსურეთი, თბ., 1935, გვ. 238; მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 112; ჯეგე-მისაროონის კულტი ძველს საქართველოში, თბ., 1938, გვ. 19-40; სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 307.

სარწმუნოებისა და ამ სარწმუნოების მსახურთა ელფერს, მაგრამ მათ ქრისტიანიზმთან საერთო არა აქვს რა. წმ. გიორგის კულტი გვევლინება წარმართობის დროინდელ სარწმუნოებად, რომელიც დაკავშირებია ქრისტიანობას და გადმონაშთის სახით აქამდის მოუტანია წარმართობის დროინდელი რიტუალები. მთიულეთის საკულტო ადგილ-სამლოცველოებისა და მათთან დაკავშირებულ რიტუალების შესახებ ს. მაკალათია ამბობს: „ეს დეკანოზები და აქაური ხატებიც მოჩვენებით გაქრისტიანებულია, მაგრამ საკმარისია ამ ქრისტიანული ფენის ოდნავი აფხეკა, რომ წარმართობის ცოცხალი ნაშთები იხილოთ". *

წმ. გიორგი ქართული წარმოშობის ღვთაება არ უნდა იყოს. წინა აზიის ქრისტიანული ქვეყნების გვერდით წმ. გიორგის კულტი და მისი ნაირსახეობანი შენიშნულია მაჰმადიანურ ქვეყნებშიაც. აკად. ნ. მარს წმ. გიორგის კულტი საერთოდ იაფეტური ხალხებისათვის დამახასიათებლად მიაჩნდა. **

წმ. გიორგის კულტი და მასთან დაკავშირებული რიტუალი ახლო ენათესაობა წარმართული ეპოქის სხვა უფრო გავრცელებულ სარწმუნოებრივ სისტემას; სახელდობრ მითრაიზმთან მას არა ერთი და ორი შეხვედრის წერტილი აღმოაჩნდა. ს. მაკალათიამ ღვთაება მითრისა და წმ. გიორგის კულტების ურთიერთშედარებისა და პარალელების საფუძველზე წამოაყენა მათი იგივეობის თეორია. ავტორი აანალიზებს მრავალ ცოცხალ მასალას და, სხვათაშორის, მიუთითებს, რომ მეგრული მირსობა ეს იგივე მითრას კულტია, ჯეგე ან ჯგეირაგ-მისარონი ნიშნავს წმინდანს, იმავე დროს გიორგისა და მირსას, მითრასო. *** ხოლო მეგრ. ჯეგე, ჯგეგე, ჯგეჭე, გეგე წმინდანსა და აქიდან წმ. გიორგის რომ ჰფარავს, ეს ცნობილია ნ. მარისა და ი. ყიფშიძის **** ნაშრომებიდან. ივ. ჯავახიშვილი მითრას კულტს ამირანის ეპოსსა და მის სომხურ შესატყვისს „მჰერის" შესახებ არსებულ თქმულებას უკავშირებს. ***** ანალოგიური მოსაზრება თავის დროზე განვითარებული ჰქონდა ნ. მარსაც, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნდა ერთმანეთთან დაეკავშირებია პრომეთე—ბერძნული მითოლოგიიდან, მჰერი—სომხური ხალხური ეპოსიდან („სასუნელი დავითი"), ამირანი—ქართული საგმირო ეპოსიდან და აბერსკილი—აფხაზური თქმულებებიდან. ******

წმ. გიორგი, ხალხური ცრუ რწმენით, ნაყოფიერების ღვთაებაცაა. გადმო-

---

* ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, თბ., 1930, გვ. 149.

** ნ. მ ა რ ი, О религиозных верованиях абхазов, კრებ.: „О языке и истории абхазов", М.—Л., 1938, გვ. 105: შდრ. Г. Н. П о т а н и н, Ерке, культ сына неба в северной Азии, Томск, 1916, გვ. 50.

*** ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 19.

**** ნ. მ ა რ ი, იქვე, გვ. 120-121; ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, Грам. мингр. языка, СПб, 1914, ლექსიკ., გვ. 412; შდრ. ს. მაკალათია, იქვე.

***** ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა, გვ. 148.

****** ნ. მ ა რ ი, დასახ. შრომა, გვ. 144; შდრ. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, სასუნელი დავითი, სტალინის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, 1939, გვ. 14.

ცემით, მას ვედრებითაც მიმართავენ ადამიანისა და პირუტყვის გასამრავლებად. * გურულ რელიგიურ რწმენაში ამ ფუნქციას ილორის კულტი ასრულებს. ილორე საკონლის ღმერთია, რომელსაც შესთხოვენ პირუტყვის გამრავლებისა და ავადმყოფობიდან მორჩენაზე.** ილორე || ილორი კი იგივე ილორის წმინდა გიორგია.

წმ. გიორგის ეთანაბრება აზერბაიჯანულსა და თურქულ ლეგენდებში შეხვედრილი ხიდირ ||ხიდირელლეზ|| ხიდრიელა. „ხიდირი" გვხვდება აზერბაიჯანული ხალხური ეპოსის ერთ შესანიშნავ ძეგლში, რომელიც „აშუღ-ყარიბის" სახელითაა ცნობილი. ამ ეპოსის მრავალი ვერსიაა ცნობილი. ერთი მათგანი ჩაწერილია დიდი რუსი მგოსნის მ. ი. ლერმონტოვის *** მიერ, ჩვენ კი ვსარგებლობდით 1913 წლის ბაკოს გამოცემით. ****

აშუღ-ყარიბმა, რომელიც გადმოცემით, თბილისში ცხოვრობდა, შვიდი წლით დატოვა თავისი დანიშნული მშვენიერი შაჰსენემი და ფულის საშოვნელად ალეპს გაემგზავრა. შვიდ წელიწადს სამი დღე-ღა უკლდა, როცა გათავისუფლდა. ამ სამ დღეში თბილისამდის ვერ მოაღწევდა, შაჰსენემს კი ღალატით ათხოვებენ. მოიჩქარის დაღონებული აშუღ-ყარიბი. უცებ ცას თეთრი ღრუბელი შემოერტყმება და ამ ღრუბლიდან გამოჩნდება თეთრცხენოსანი.—სად მიდიხარო? ეკითხება იგი აშუღს.—არზრუმსაო!—დახუჭე თვალიო. აშუღმა თვალი რომ გაახილა, არზრუმს იყო. კვლავ გამოჩნდა თეთრცხენოსანი.—სად მიდიხარო?—ყარსსაო!—დახუჭე თვალიო. აშუღი ყარსში მოვიდა. ცოტა გაიარა და ისევ შეხვდა ის თეთრცხენოსანი.—სიმართლე მითხარ, სად მიდიხარო?—თბილისსაო!—დახუჭე თვალიო. როცა უკვე ყარიბმა თვალები გაახილა, თბილისს იყო. ლეგენდა ამ თეთრცხენოსანს ხიდირს ეძახის.

„აშუღ-ყარიბის" საინტერესო ქართული ვერსია 70 წლის მესხი მოხუცის ასლან ბლიაძის თქმით, 1930 წლის 18 ივლისს, სოფ. ტატანისში (ახალციხის რ.) ჩაუწერია დავით ზვიადაძეს (იხ. შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის სექციის რიგითი კატალოგი № 681). იგი თავის მთავარ ნაწილში მოგვაგონებს აზერბაიჯანულ ვარიანტს. ლეგენდის ამ მესხური ვერსიის მიხედვით აშუღ-ყარიბს გზაზე შემოეყრება ხიდრიელა ცხენით. აქ ზუსტადაა მითითებული, რომ ხიდრიელა იგივე წმ. გიორგია, რომელმაც თვალის ერთს დაუამხამებაში აშუღი ჩამოიყვანა ჯერ არზრუმში, შემდეგ ყაოსში, კოჯორსა და ბოლოს თბილისში.

აზერბაიჯანული „ხიდირ" არის ელია წინასწარმეტყველის ზედწოდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის ნიშნები, რომლებსაც ვამჩნევთ აზერბაიჯანული ლეგენდის ამ პერსონაჟს, მთლიანად ემსგავსება წმ. გიორგის. მეორე მხრით, ანგარიში უნდა გაეწიოს სხვა საბუთებსაც. კერძოდ, ცნობილ თურქულ ლექსიკონში,

---

* ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, „მიმომხილველი", I, თბ., 1926, გვ. 131.

** Н. С. Джанашиа, Религиозные верования абхазов, ХВ, IV, გვ. 78; ან: ნ. მარი, დასაბ. შრომა, გვ. 122.

*** М. Ю. Лермонтов, Ашик-кериб (турецкая сказка), Сочинений, ტ. IV, Л-град, 1940, გვ. 237-246.

**** ლეგენდის აზერბაიჯანული ვერსიიდან ჩვენთვის საინტერესო ადგილების ქართულად გადმოღებისათვის დოც. სერ. ჯიქიას მადლობას მოვახსენებ.

რომელიც 1900 წელსაა გამოცემული სტამბოლს (თურქული სისტემით 1317 წ.), მითითებულია, რომ „ხიდირელეზის“ დღედ აღიარებულია აპრილის 23 და ოქტომბრის 26-ი. ეს თარიღები კი ემთხვევა წმ. გიორგის საკულტო დღეებს. ამნაირად, ხიდირ || ხიდრიელა იგივე წმ. გიორგია. წარმართული წმ. გიორგის კულტი, მაშასადამე, გადმოცემების მიხედვით, არაქრისტიანულ ხალხებშიც ცოცხლობს.

3. „სამი მეცნიერი და გლეხი“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 11. 01. 38 წ.

4. „მეცნიერი და მენავე“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 11. 01. 38 წ.

5. „გლეხი და მელია“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 11. 01. 38 წ.

6. „მეცხვარე და მარტი“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 17. 12. 37 წ.

7. „ღმერთი და ქრისტე“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 15. 12. 37 წ.

ამ ლეგენდის მიხედვით ქრისტე უსაზღვროდ შურიანი და ბოროტია. იგი უძლურია, ადამიანმა მასზე გაცილებით მეტი იცის, პირადად არ ძალუძს გაუსწორდეს ადამიანს, იგი მხოლოდ ღმერთის ყურმოკრილი მსახურია. ღმერთმა დააჯილა ქრისტეს ქვეყნიერების დათვალიერება. ნახა, ერთ მეცხვარეს ცხვარი გაუშლია ღრანტელში.—განა ავდრის არ გეშინიაო?—ჰკითხა მეცხვარეს.—„ნეტავი შენ, საქმე გამოგლეკვიაო... ამ მთვარეზე ნამი არ გავარდებაო, მეც ამ თვეზე მეტს აქ არა ვჩერდებიო“. შეურაცხყოფილმა ქრისტემ მეცხვარის ასეთი კადნიერება ღმერთს მოახსენა. ღმერთმა „გადასინჯა სიები და მართლა არ გაავდარდებაო, თქვა... მაგრამ, რახან შენ გაწყენინა, უყურე, როგორი ღვართქაფი დავაყენო ამეღამო“. ატყდა ელვა-ქუხილი. მეცხვარემ იგრძნო ავდრის მოახლოება და ცხვარი მაღლა ამორეკა. გრიგალი და წვიმა რომ ჩადგა, ქრისტემ ჩაუარა მეცხვარეს:—„აკი ამ მთვარეზე არ უნდა გაავდრებულიყოო“—„არ უნდა გაავდრებულიყო, მაგრამ ჯაშუში ღმერთმა დაწყევლოსო; შენ რო ღმერთითვინ ამბავი არ მიგეტანა, იმან ჩვენი არა იცოდა რა და არც გაავდარდებოდაო“. ამ ლეგენდის მიხედვით, მაშასადამე, ქრისტე ჯაშუშია ღმერთისა, ადამიანის მტერი. მას თაყვანს არ სცემენ. ლეგენდიდან არ ჩანს, ვის სცემენ თაყვანს, მაგრამ ყოველშემთხვევაში არა ქრისტეს. ხალხს არ სწამს ქრისტეს ღვთაებრივი ძალა, მას ღმერთის სიძლიერეშიაც ეპარება ეჭვი. ერთი ზღაპრის მიხედვით მეკედელს, რომელსაც სიმონს ეძახიან, შეხვდა ქრისტე.—„სიმონ, რას მთხოვ რომ მოგცეო?“ სიმონმა უპასუხა:—„შე ოხერო, შენთვის რა გაქ, მე რომ მომცეო.“ ასევე უპასუხებს იგი ღმერთსაც. ბოლოს, ეშმაკს ხელმწიფე შეხვდება:—„მოდი, სიმონ, ოთხმოც თუმან მოგცემ და შენი სული ჩემ ხელში იყოსო“;—კარგიო! (ფოლკლორის სექციის რიგ. კატ., № 553).

არის ზღაპრები, რომლებშიაც კარიკატურამდისაა მიყვანილი ქრისტეს სასწაული. ერთი კაცი მუდამ გაიძახოდა: „დიდია ქრისტეს სასწაულიო“. მეორემ ეს გაიგო და თქვა: „ამას თუ დუზანი არ უყავი არ იქნებაო“. პირველს ფაშის კაცმა ძვირფასი თვალი მიუტანა ბეჭდის გასაკეთებლად. მეორემ იგი მოჰპარა და ზღვაში გადააგდო. მეორე დღეს ფაშას თვალი უნდა მოეკითხა. პირველმა გა-

დაწყვიტა იქაურობას გასცლოდა, რადგან ფაშა მაინც არ დაარჩენდა. „წასვლამდის ერთ სადილს მაინც ვჭამო“. იყიდა ნელი თევზი და სახლში წავიდა. ცოლმა გაჭრა თევზი და თვალი გადმოვარდა: თურმე ის თვალი იმ თევზს გადაეყლაპა ზღვაში. მეორე დღეს ფაშას მიართვა ბეჭედი და საჩუქრად ოთხი ოქრო მიიღო. ეს რომ მეორემ გაიგო, თქვა: „მართლაც დიდი ყოფილა ქრისტეს სასწაულიო“.

მითითებული და მსგავსი ზღაპრები გამოხატავენ მშრომელი ხალხის ანტიქრისტიანულ რწმენას. მათ არ სწამთ ქრისტე, როგორც უძლეველი ღვთაება. ღვთაების წინაშე რელიგიური შიშისა და კრთობის ნაცვლად, ჩვენ ვხვდებით მის სასტიკ გამათრახება-გაკილვას. ღმერთები უძლურნია, ადამიანები—ძლიერნი. ადამიანებს შეუძლიათ ღმერთების შევიწროება, ხოლო უკანასკნელნი კი ადამიანის მიმართ უძალონი არიან. აი, ზღაპარ-ლეგენდის ერთი მნიშვნელოვანი ციკლის—ანტირელიგიური ციკლის,—ძირითადი იდეა.

8. „როგორ გაჩნდა გამარჯობა“; მთქმელი: ფიდა თევდორეს-ძე კვიწინაძე, 75 წლისა, ბრმა, წერა-კითხვის უცოდინარი, სოფ. ბერშუეთი, გორის რაიონი, 30. 01. 40 წ. ანალოგიური ლეგენდები გაგონილი გვაქვს ატენის, ლეხურისა და თეძმის ხეობებშიაც.

ამ ლეგენდას რომ რეალური საფუძველი გააჩნია და მატერიალურად ამის გამოწვლილვა მოსახერხებელია ქართული სულიერი კულტურის ნიმუშების გაანალიზების საფუძველზე, ეს იმთავითვე ცხადია. ამ მხრით ჩვენს ყურადღებას მრავალი ფაქტი იპყრობს. უწინარეს ყოვლისა, აქ უნდა დავასახელოთ სიერთო ხელისა და კერძოდ მარჯვენა ხელის კულტი საქართველოში.

ხელს, როგორც პირვანდელ საწარმოო იარაღს, ადამიანის ცნობიერების განვითარებისათვის ჰქონდა უაღრესად დიდი მნიშვნელობა. ხელი, როგორც საწარმოო იარაღი, შექმნილა და განვითარებულა შრომის პროცესში. ფრ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხელი არა თუ შრომის იარაღია, მისი პროდუქციაცაა“. *

ხელი მდგარა ადამიანთა ურთიერთობის საშუალების, ენის წარმოქმნის აკვანთანაც. ხელის როლი ენის წარმოქმნის პროცესში იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ თვით სახელწოდება 'ხელი'ც იაფეტურ ენათა სიტყვათშემოქმედებაში რაღაც ჯადოქრულ ძალად ქცეულა. მასთან ყოფილა დაკავშირებული, როგორც განსაზღვრავს ნ. მარი, ჯერ ხელისა და შემდეგ ბგერითი ენის წარმოქმნა-განვითარება და „იაფეტურ ენათა ლექსიკური მარაგის გამდიდრება“. მაგრამ ჩვენ ამ საკითხს საგანგებოდ სხვა დროს დავუბრუნდებით. ახლა ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ მითითებულ ლეგენდაში მოცემული გაგება ტერმინი „გამარჯვებისა“ და მისი გენეტიკური კავშირი ცნება მარჯვენა ხელთან.

ლეგენდაში ახსნილია, თუ რატომაა, რომ ქართველი კაცი მეგობარ-ამხანაგთან და საზოგადოდ ნაცნობთან შეხვედრისას, მას მიესალმება სიტყვით, რომლითაც მკლავის, მარჯვენის სიძლიერეს უსურვებს: „გამარჯვებაო“. რამდენად მართებულად გადმოსცემს ლეგენდა საქმის შინაარსს? აქვს თუ არა მას მყარი საფუძველი?

---

* ფრ. ენგელსი, Диалектика природы, М., 1930, გვ. 61.

ქართველობას მისალმების აღსანიშნავად ჰქონია ტერმინები: გამარჯვება || გამარჯობა || გამარჟობა || გაუმარჯოს, სიცოცხლე, ვახლავარ, იდღეგრძელე, დილამშვიდობისა, დილაკარგაყოფნისა... გამოთხოვებისათვის: გამარჯვებით, მშვიდობით, ნახვამდის...

თითოეული ეს სიტყვა იხმარება როგორც ჩვეულებრივ საუბარში, ისე წერის დროსაც. ისინი გვხვდება როგორც ხალხურ მეტყველებაში, ისე ლიტერატურულ ენაშიაც, ოღონდ ხალხურში ოდნავი ფონეტიკური ნუანსით. მაგრამ მათ შორის ყველაზე გავრცელებულია გამარჯვება || გამარჯობა. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ეს სიტყვა თავისი მნიშვნელობით ერთადერთია, რომელიც ქართული მისალმების მთელ შნოს იძლევა. „გამარჯვება" ლიტერატურული ფორმა უნდა იყოს, „გამარჯობა" კი ხალხური (ვე—ო), მაგრამ ახლა ისეა არეული მათი ხმარება, რომ ძნელია მიჯნის დადება, თუ რომელია ლიტერატურული და რომელი დიალექტური. ქართული ენის ისეთ ოსტატებთანაც კი, როგორიც არიან ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, აკ. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ს. მგალობლიშვილი, ე. ნინოშვილი და თითქმის ყველა თანამედროვე მწერალთან, ვხვდებით როგორც ერთს, ისე მეორე ფორმასაც. ამჟამად სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა გამარჯობა.*

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ს, როგორც მისალმების აღმნიშვნელ ტერმინს, იმავე დროს რიტუალური მნიშვნელობაც ჰქონდა. გამარჯვების მოშლა, ან უთქმელობა, რაღაც საშინელების მომასწავებელი იყო; გამარჯვების მოშლა—დამარცხებას ნიშნავდა, რადგან ცოცხალი ადამიანი „გამარჯვების" გარეშე, ჩვენს წინაპართ, ვერ წარმოედგინათ. ამიტომ ხშირად გამარჯვების მთქმელს „გაგიმარჯოსთან", ან „იცოცხლესთან" ერთად უპასუხებენ: „გამარჯვება ნუ მოგიშალოსო", „ღმერთმა ნუ მოუშალოს გამარჯვება ბატონ მაყაშვილსო", რჩ., 517,3; „გამარჯობა შენი!—უბრძანა ერისთავმა.—ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოსთ", რჩ., 492, 25; „ისე ჩაუქროლა თურმე მეზობლებს, გამარჯვებაც კი არ დაუბარებია", გამს., 94, 14.

გამარჯვება || გამარჯობა მისალმების აღსანიშნავად, ჩანს, საერთო ყოფილა ქართველური ენებისათვისაც. ამ დებულებას, სხვათაშორის, მხარს უჭერს ამავე ფუძის გავრცელება მეგრულში და ნაწილობრივ ჭანურშიაც. პროფ. ი. ყიფშიძის მიერ გამოქვეყნებულ მეგრულ ტექსტებში ვკითხულობთ:

ა. ს ე ნ ა კ ურ ი კ ი ლ ო:—„გამარჯობა სქანი ჯგირი, ჯიმა!—ღორონთქ გოგიმორძგვას, ჩქიმი პატონი!" ყიფშ., 1,1;—„გამარჯება ჯგირი სქანი!—გომორძგუა ჯგირი სქანი!—უგაამუ თიქ." ყიფშ., 14,3, ქვ.

ბ. ზ უ გ დ ი დ ურ-ს ა მ ურ ზ ა ყ ა ნ ო ს ულ ი კ ი ლ ო:—გამარჯება (გომორძგუა) სქანი ჯგირი, ჯიმა!—ღორონთქ გოგიმორძგუ (გოგიმორძგვას) ჩქიმი პატენი (პატესენი), ყიფშ., 2,8;—„გამარჯება, ჯიმა, ბელთაგანი—ტარიელშია! დიირთი ბელთაგანქ დო უწუუ:—გოგიმორძგუ, ჯიმა, ღორონთქი ხრისტაგანი—ტარიელია! ყიფშ, 87, 14—16.

ამგვარად, სენაკურ გამარჯობა || გომორძგუას შეესატყვისება ზუგდიდურ-სამურზაყანოული გამარჯება || გომორძგუა; სენაკურ გოგიმორძგვას უტოლდება

---

* შდრ. ვ. თოფურია და ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ორთოგრაფიული ლექსიკონი (თბ, 1941.

ხუგდ.—სამურზ. გოგიმორძგუ. თუმცა უნდა შეინიშნოს, რომ კილოებში ამ ორი სიტყვის ხმარება არეულია. სენაკურში, მაგალითად, გვხვდება როგორც გამარ-ჯება (16, 14), ისე გომორძგუა (14,2 ქვ.).

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ნაწარმოები სიტყვაა და განეკუთვნება მასდართა მწკრივს: გა-მარჯვ-ებ-ა.

მ ა რ ჯ ვ—მ ა რ ჯ უ აგრეთვე რთული ფუძეა. იგი, უწინარეს ყოვლისა, ფუძეა სიტყვისა მარჯუენე—მარჯუენა—მარჯვენა, რაც 'მარჯვენა ხელს' ნიშნავს. მარ-ჯუენე || მარჯუენა საზოგადოდ ხელის სინონიმიცაა და ძეგლებში ამავე მნიშვნე-ლობითაც იხსენიება.

მ ა რ ჯ ვ ე ნ ა-ს საზოგადოდ ხელის მნიშვნელობით გავრცელება ქართულსა და მეგრულში, შეიძლება აიხსნას მარჯვენა ხელის კულტით. ეს კულტი ისტო-რიულად არსებულა საქართველოში და მას თითქმის იგივე სახე მოუტანია ჩვე-ნამდისაც. ხალხური ცრურწმენით, ადამიანს მარჯვენა მხარზე უზის კეთილი სუ-ლი (ანგელოზი), მარცხენაზე—ბოროტი სული (ეშმაკი); მარჯვენა ხელი დალო-ცვილია, რადგან იგი შრომისმოყვარის მქონეა, ხმალი და კალამი უნდა გეჭიროს მარჯვენა ხელში, მისალმების დროს აუცილებლად უნდა გაუწოდო მარჯვენა ხელი, სისხლის აღებისას მტერს უნდა მოკრა მარჯვენა და შინ წამოიღო; მარჯ-ვენა ადამიანის ძალა, ნიჭი და შესაძლებლობაა... მარჯვენა ხელის ფუნქციის ამ-ნაირი გააზრება ისტორიულად ერთნაირად შემუშავებულა ეთნოგრაფიული სა-ქართველოს ყველა კუთხეში და იგი საერთო ყოფილა ქართველურ ენებზე მო-ლაპარაკე ტომთათვისაც.

გადმოცემით, მარჯვენა ხელი რაღაც მაგიური ძალის მქონეც ყოფილა, მარჯ-ვენა ხელით სრულდებოდა რელიგიურ ჩვეულებათა არა მარტოოდენ რიტუალუ-ი წესები. არამედ მასზე ამბორიც სასწაულებრივი ძალის მქონედ იყო მიჩნეუ-ლი. ცნობილია, სხვათაშორის, გადმოცემა თამარის შესახებ. ლაშქრობის დაწყე-ბისას თამარს მარჯვენა ხელში ჯვარი ეჭირა და თავის მეომრებს ჯერ საკუთარს მარჯვენა ხელზე და 'შემდეგ ჯვარზე აამბორებინებდა. „ლაშქარს,—წერს მ. ჯა-ნაშვილი,—თვით თამარი წინ უძღოდა. მიიყვანდა რა დანიშნულ ადგილას, ლი-ტანიას გადიხდიდა, დალოცავდა მეომრებს, თავის მარჯვენა ხელსა და ჯვარზედ აამბორებინებდა, და მერე მიუსვევდა მტერს.“ *

მარჯვენა ხელი ხუროთმოძღვართა სიმბოლოც ყოფილა. ჩვენამდის შემონა-ხულია ეოთი საინტერესო გადმოცემა მცხეთის ტაძრის განმაახლებელი ოსტატის შესახებ. ლეგენდის თანახმად, ეს ოსტატი იყო მოწაფე სამთავროს ტაძრის მშე-ნებლისა. მოწაფეს უჯობნებია მასწავლებლისათვის, ხოლო ამას კი გამოუწვევია მასწავლებლის რისხვა და შეგირდისათვის მარჯვენა ხელის მოკრა. მოკრილი მარჯვენა ხელის გამოსახულება, მართლაც, კალატოზ-არქიტექტორთა სიმბოლი-ური ნიშნით—გონიოთი, ახლაცაა დაცული მცხეთის ტაძრის ჩრდილო კე-დელზე. ** ამაზე ხალხს უთქვამს:

---

* მ. გ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, მეორე გამოც., ზ. ჭიჭინა-ძის გამოც., თბ., 1895, გვ. 150.

** თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, თბ., 1893, გვ. 175; აგრეთვე: ალ. ღლონტი. ქართული შაირები, თბ., 1941, გვ. 33-34. მწერალმა კ. გამსახურდიამ ამ ლეგენდას შესანიშნავი ისტორიული რომანი („დიდოსტატი კოხსტანტინეს მარჯვენა“) უძღვნა.

ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, ხელი მომკრეს,
რატომ კარგი აგიგია.*

დამახასიათებელია, რომ ერთი სვანური ანდაზა სწორედ ტაძრის ამშენებლისათვის ხელმოკრაზე მიუთითებს. „საყდარი მეშნავად ში-არ ოთკკორას“ („საყდრის ამშენებლისათვის ხელები მოჭიკრიათო“).**

დამარცხებული მტრისათვის მარჯვენა ხელის მოკრა ყველაზე გავრცელებული ტრადიცია იყო მთაში. მოკრილ ხელს მიაკრავდნენ ხოლმე საცხოვრებელ სახლებს იმის აღსანიშნავად, რომ მტრის ჯავრი ამოიყარეს.*** მეორე მხრით, ამაგისათვის მადლობის გადახდისა თუ ტრადიციული დალოცვის დროს მთაშივე სცოდნიათ მარჯვენის შექება. დალოცვა და ძმადგაფიცვა მარჯვენის ქებით იწყებოდა. ალ. ყაზბეგს თავის „მამის მკვლელში“ აღწერილი აქვს ძმადგაფიცვის ეს წესები.

მარჯვენა ხელთან დაკავშირებული ყოფილა უძველეს საბრძოლო იარაღთა ხმარებაც. მატერიალური კულტურის ძეგლებიდან, რომლებიც აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრების დროს, ჩანს, რომ გარდაცვლილ სამხედრო პირს დასაფლავების დროს მარჯვენა ხელში აძლევდნენ კაჟის, ბრინჯაოს, რკინისა ან სხვა რამის ისრისწვერს, ხმალს, თუ სხვა იარაღს და ისე ასაფლავებდნენ. ტყვიავის ყორღანული სისტემის სამარხებში ამის მშვენიერი ნიმუშები აღმოჩნდა. ერთ საფლავში, რომლის არქეოლოგიური გათხრები 1938-40 წ. მოახდინა ს. მაკალათიამ და, რომელიც ავტორის დასკვნებით მესამე ათასწლეულის შუა პერიოდს განეკუთვნება, ნეშტის მარჯვენა ხელთან აღმოჩენილა მოთეთრო კაჟისაგან გაკეთებული ისრისწვერი ტარზე მისამაგრებელი ყურით.**** დამახასიათებელია, რომ იმავე სამარხებში (I ყურღანი) ნაპოვნი ადამიანის ჩონჩხებიდან 20 აღმოჩნდა მარცხენა გვერდზე მწოლარე, ხოლო ერთი კი—მარჯვენაზე (ეს უკანასკნელიც ქალის ჩონჩხი ყოფილა და არა კაცისა!).***** თრიალეთის რაიონში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროსაც უხვად უპოვიათ ანალოგური სამარხები. ამ მხრით გამოირჩევა სასანიანთა ეპოქის ყორღანებში ნაპოვნი ქვაყუთები, სადაც ასაკრავანთა დასაფლავების გავრცელებულ სისტემად მიცვალებულის მარცხენა მხარეზე მოკრუნჩხულად დაწვენა ჩანს. მსგავს სამარხებში მიცვალებულის მდგომარეობის შესახებ პროფ. ბ. კუფტინს პირდაპირ ნათქვამი აქვს: „მოწიფულ ადამიანთა ჩონჩხები ჩვეულებრივ მარცხენა მხარეზე წევს“.****** მართა-

---

* თ. ჟორდანია, იქვე, გვ. 175-176.

** თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი, სვანური ანდაზები და გამოცანები, «ძვ. საქ.» II, თბ., 1911-1913, გვ. 98.

*** ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, თბ., 1933, გვ. 93.

**** ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1943, გვ. 13. 43—44.

***** ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. თხზ., გვ. 34-35; მისივე: Археологические находки в сел. Дабагоми и Агапи, „Советская археология“, IV, 1940, გვ. 266.

****** Б. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, გვ. 21, 101.

ლია, წალკის რაიონში ავტორს უნახავს მარჯვენა მხარეზე დაწვენილი მიცვალებულის ჩონჩხებიც, მაგრამ იმ ინვენტარის მიხედვით, რომელიც ასეთ საფლავებში უპოვიათ, შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ იგინი ქალის ჩონჩხებია და არა მოწიფული კაცისა.* დასაფლავების ამ რიტუალიდან ჩანს, რომ მიცვალებულ ვაჟთა ნეშტი მარცხენა გვერდზე უნდა დაეწვინათ, რომ მარჯვენა ხელი თავისუფალი ჰქონოდათ გაცოცხლებისა ან საიქიოში საკუთარი გზის მკერდით გაკაფვის საჭიროების შემთხვევისათვის.** აშკარაა, დასაფლავების ამ რიტუალურ წესსაც გენეტიკური კავშირი აქვს მარჯვენა ხელის კულტთან.

მარჯუენე || მარჯუენა || მარჯვენა ფუძეს უკავშირდება სიტყვები: მარჯუე || მარჯვე, სიმარჯვე, ხელ-მარჯვე, გამარჯვება, მომარჯვება, თითოეული ეს ფორმა ახლა გარკვეულ ცნებას აღნიშნავს და იხმარება დამოუკიდებლად. „ვეფხის-ტყაოსანში", მაგალითად, ამ ფუძიდან მხოლოდ რვა შემთხვევა დასტურდება: გამარჯება, გამარჯვებით, გამარჯვებისა, გამარჯვებული, გაუმარჯვდა, მარჯვე, მარჯვედ, ხელ-მარჯვედ...

„გამარჯვებას" სასწაულებრივი ძალა ჰქონდა ომიანობის დროს. ამ სიტყვის წარმოთქმა მეომარს ლომის ძალას აძლევდა, მტერს გზა-კვალს უბნევდა და წარმატების ბედს წყვეტდა. ამიტომ მას სათუთად უვლიდნენ და იყენებდნენ როგორც იარაღს. ეს გარემოება მშვენივრად ჩანს იმერეთის მეფის სოლომონის დროიდან თ. მაგმაძის მიერ ჩაწერილი ერთი თქმულებიდან („ხრესილის ომი"), გადმოცემის თანახმად, რიცხვმრავალი მტერი იერიშზე გადმოვიდა, მეფის მცირერიცხოვანი ამალის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, „ოსმალნი მაინც აფოფხდნენ მთაზე და ხელჩართულით დაერიენ მეფის მხლეთ," როცა მეფის ამალა და თვით მეფეც საშინელი საფრთხის წინაშე იდგა,— „ამ დროს, ერთი ვიღაც ოკრიბელი „გლეხი", გვარად ბრეგვაძე, ზორბა ტანადი და დიდი ხმის მექონი ავიდა უზარმაზარ მუხაზე და გრგვინვასავით გადმოძახა მთელს იმ არემარეს, რამდენჯერმე განმეორებით:—„გაიმარჯვა იმერეთის მეფემ, წახთა თათარი!" ამ გადმოძახებამ გაამხნევა მამულის დამცველნი და შეაძრწუნა მტერი... გამარჯვება ჩვენებს დარჩათ... ბრძოლის ბოლოს სოლომონ მეფეს მიჰგვარეს ეს ბრეგვაძე. სოლომონს მისთვის უთქვამს:—„ბრეგვაძე! შენმა დღევანდელმა ძახილმა ბევრს ვაჟკაცს გაუმხნევა გული. ამიტომ მიბოძებია შენთვის, შვილთა და მომავალთა შენთათვის ჩემი ტახტის აზნაურობა. ახლა კი ეს ამისრულე: ადი იმავე მუხაზე და გადასძახე:—გაიმარჯვა საქრისტიანომ აგარიანებზე, აღივსო ყოველი

---

* Б. Куфтин, იქვე, გვ. 117.

** არქეოლოგიურს ლიტერატურაში სხვა მოსაზრებებსაც ეხვდებით: მაგალითად: მთა-ყარაბახში ერთ-ერთ ყორღანში 29 გვერდზე მწოლი ჩონჩხიდან—15 აღმოჩენილა მარცხენა მხარეზე და 14 მარჯვენა მხარეზე მწოლი, მაგრამ სათანადო ნიშნებით დასტურდება, რომ აღნიშნული ჩონჩხები მხოლოდ მცირე ასაკოვანთა და ბავშვებისა იყო (Л. И. Гуммель, Раскопки в нагорно-карабахской авт. обл. в. 1938 г. Изв. Аз. Фил. АН ССР," IV, Баку, 1939, გვ. 84). ბავშვთა სამარხებში, შესაძლებელია, რიტუალური წესები არეულიყო, მაგრამ როცა საქმე ეხებოდა მეომარი ვაჟკაცის დასაფლავებას, იქ კი რიტუალური წესი დაცული ყოფილა: მეომარს ასაფლავებდნენ დაწოლილს მარცხენა მხარეზე ისე, რომ მარჯვენა ხელი თავისუფალი ჰქონოდა.

ქრისტეს მოსავი მხედარი სახელითა და დიდებით, თავსლაფი დაესხა მარტო როსტომ ნიჟარაძესთ-ქო[..." *

ქართულ გამარჯვებას მნიშვნელობით ეთანაბრება მეგრ. მარძგვი, მორძგვი-მორძგუა... როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იხმარება აგრეთვე გამარჯობა || გამარჯება. ასეთი მისალმების პასუხად ამბობენ: ღორონთ გოგიმორძგუ ან გოგიმორძგვას ('ღმერთმა გაგიმარჯოს'). ამავე წრეში თავსდება მეგრული გამოთქმები: გოვომორძგაფუ, გავიმარჯვე 'ვიმორძგუუქ', 'ვიმარჯვებ', გომორძგვილი ან გემორძგვილი' 'გამარჯვებული', 'მარძგვანი', 'მარჯვენა', (ი. ყიფშიძე, Грам. мегр. яз. ლექსიკ., 282). თანახმად ქართულ-მეგრული ფონეტიკური შესატყვისობისა ქართ. გა-მარ-ჯვ-ებ-ა'ს შეესატყვისება მეგრ. გო-მორ-ძგ-უ-ა (ქართ. მა—მეგრ. მო; ქართ. ჯ—მეგრ, ძგ || ჯგ.). ამავე ფონეტიკურ ოდენობას წარმოადგენს ჭან. მარძგუანი (თუმცა მას 'მარჯვენა მხრის' მნიშვნელობა აქვს) ** და სვან. ლარსგვან.

'გამარჯვების' აღსანიშნავად მეგრულში სხვა ტერმინებიც მოიძებნება: რჯგინა, რჯგინაფა, ჯგუნა, ჯგვენა... აქედან ნაწარმოები ზმნები: ვორგჯინანქ, ვორჯგინი, მირჯგინუუ ანუ მირჯგინაფუ, მაგრამ ესენი წარმოდგებიან არა მარძგვი || მორძგვი ფუძისაგან, არამედ ჯგირი ('კარგი') ფუძიდან, ამავე დროს მათი მნიშვნელობა ტექსტებში არა მარტოოდენ გამარჯვებას უტოლდება, არამედ ასეც ითარგმნება: 'სჯობს', უმჯობესია... იმავე ჯგირი ფუძიდან წარმოებულა ჯობნა ზმნა: ვუჯგუქ, გრჯგუქ, უჯგუ, ვორჯგინი... (ი. ყიფშიძე, იქვე, 412). იგივე ითქმის ჭან. ზმნებზე: ვოჯგინამ || ვოჯგინაფ ('ვიმარჯვებ'), ვოჯგინი, ვოჯგინამინონ, რომლებიც აგრეთვე ჯგინ (მეგრ. ჯგირი, ქართ. კარგი) ფუძიდან გამოდიან და არა მარძგუანიდან (ნ. მარი, Грам. чан. яз., ლექსიკ., 236).

ამნაირად, გამარჯვება როგორც ნაწარმოები სიტყვა, ერთნაირად იხმარება ქართულსა და მეგრულ-ჭანურში, მნიშვნელობითა და ფონეტიკური ოდენობითაც ისინი ერთურთს ემთხვევიან. იგი წარმოსდგება მარჯვენ ფუძისაგან. აკად. ნ. მარს შესაძლებლად მიაჩნდა დაეშალა ეს ფუძე: მარ—ჯვენ (—მარ-ჯუენ), *** პირველი ელემენტი მარ საერთოდ 'ხელს' ნიშნავს (რაც აგრეთვე გვხვდება მეორე სიტყვაში მარ-ცხენ-ე || მარ-ცხენ-ა), ხოლო მეორე ელემენტი ჯვენ ჯუენ 'მარჯვენას' მნიშვნელობით (რუს. десница). ჩვენ, ცხადია, საფუძველი არ გვაქვს უარვყოთ ეს ეტიმოლოგია. ჯვენ—ჯუენ ელემენტიც შედგენილი, წარმოებული უნდა იყოს. თუ ჯვ—ჯუ ძირად იქნება მიჩნეული, ცხადია, —ენ სუფიქსად უნდა გავიგოთ. არნ. ჩიქობავა აქედან სამართლიანად გამოჰყოფს ამ —ენ ელემენტს (მარჯუ-ენ-ა, მარძგვ-ან-ი), მაგრამ ავტორი არაფერს ამბობს თვით მარჯუ ფუძის აგებულებაზე, „აქ არ ვეხებით საკითხს, როგორია თვით მარჯუ ფუძის შედგენილობა: მარტივია იგი თუ რთულიო." ****

---

* «ძვ. საქ.», ტ. II, გვ. 39--41.

** ნ. მ ა რ ს თავის ჭანურ გრამატიკაზე დართულ ლექსიკონში „მარძგუანი" შეუტანია ჰ. აჭარიანის სათანადო შრომის მიხედვით, ხოლო მის მიერ ჩაწერილსა და გრამატიკაზე დართულ ტექსტებში ეს სიტყვა არ გვხვდება.

*** ნ. მ ა რ ი, ИР, V, გვ. 157; ან მისივე: О языке и истории Абхазов, 1938, გვ. 219.

**** ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 29.

სვანურში მისალმების აღმნიშვნელი გამოთქმა სხვაგვარადაა ნაწარმოები. მისალმების აღმნიშვნელი სიტყვა თუ სხვა ქართველურ ენებში დაკავშირებულია ხელთან, კერძოდ მარჯვენა ხელთან, აქ პირიქით, მის ნაცვლად გვევლინება დღე „ხოჩა ლადაღ!“ რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს 'კაი დღე'. მაგრამ უნდა ვთარგმნოდ 'გამარჯვებად'. მაგალითები:—„ხოჩა ლადაღ გელა ბოგრეშს!“ სვან. პოეზ. 98, 15 ('გამარჯობა გელა ბოგრეშელს!'), „ხოჩა ლადეღ ხოჩამ ლახვბას!“ სვან. პოეზ., 120,15 ('გამარჯობა კარგ ძმებს'!); „ხოჩა ლადეღუ ჯარ, იმთე ესღრი ხოჩა მარე?“ სვან. პროზ., I, 225,19 ('გამარჯობა, სად მიდიხარ კარგო კაცო'); „ხოჩა ლადეღუ ესერ ხარ ჭაბიგვს“; სვან. პროზ., I, 265,7 ('კარგი დღე გქონდეს [გამარჯობა] ჭაბიგვს'); მაგრამ ამის პარალელურად გვხვდება გამარჯვებაც. სიმღერებში გვაქვს: „გამარჯობათ, ყმაწვილობა!“ სვან. პოეზ., 262,7; „ბოლშევიკარს გამარჯვს ხოვდი“, სვან. პოეზ., 338,20 ('ბოლშევიკებს გამარჯვებას უსურვებენ'); „კომპარტიას გამარჯუ ხარ!“ სვან. პოეზ., 330, 25 ('გაუმარჯოს კომპარტიას'). მეორე მხრით, საყურადღებოა ისიც, რომ სვანურში მარჯვე ფუძე სწორედ მარჯვენასთანაა დაკავშირებული: მარჯულ, რაც, ცხადია, სვ. მურსგვან'თან ინახავს გენეტიკურ ერთიანობას: „ტოტა ალას მარჯულდ[დ] ხეხვა,“ სვან. პოეზ., 56, 1. მარჯუ ფუძე, როგორც მისალმების აღმნიშვნელი, საერთო ყოფილა ყველა ქართველური ენისათვის.

გამარჯვების საპირისპირო ცნება ქართულში არის დამარცხება, პირველი თუ მარჯვენ ფუძისაგან არის ნაწარმოები, მეორე მარცხენ ფუძიდან მიღებულად გვევლინება:

მარცხენე || მარცხენა (შდრ. მეგრ. კვარცხანი, სვ. ლერთენ!) ფუძიდან გვაქვს მარცხი, რასაც ნ. მარმა, მეგრ. კვარჩხ-ი და იმერ. კვან-ჩხ-ი დაუკავშირა, * დამარცხება, დამარცხებული. მარ-ცხ-ენ-ა, და-ა-მარ-ცხ-ა, კვარ-ცხ-ან-ი, მარ-ცხ-ულ, მარ-ცხ-ი... უეჭველია ერთი ფუძის განსხვავებულ ვარიაციებს წარმოადგენს.

მარცხენა ხელი საზოგადოდ მარცხის, ფათერაკის უბედურების, უძლურის, აგრეთვე უვარგისის, უნიადაგოს სინონიმია. უვარგის ნაგებობაზე ხალხი ამბობს: „მარცხენა ხელით აუგიათო“; ცუდად ნაწერზე: „მარცხენა ხელით უწერიათო“ და მისთ. მტრის ძლევა, ხალხური წარმოდგენით, მარჯვენა ხელის ძალითაა მხოლოდ მისაწვდომი, მარცხი კი მარცხენა ხელის სისუსტეს მიეწერება. ხალხური წარმოდგენა ხელების ასეთ დიფერენციაციაზე მშვენივრად ასახულა ენაშიაც. ენობრივი მასალა ადასტურებს ამ წარმოდგენის მატერიალურ საფუძველს.

მარჯვენა ხელის კულტის გავრცელება ჩვენში ქართველი ხალხის შუასაუკუნოებრივ დიდ სამხედრო კულტურას უკავშირდება. ჩვენებური მისალმების აღმნიშვნელი პოპულარული გამოთქმა „გამარჯობა შენი“ ამ დიდი სამხედრო კულტურის პირდაპირი მაჩვენებელია. ენას მშვენივრად შემოუნახავს ეს სამხედრო გამოთქმა; იგი გავრცელებულა არა მარტოოდენ მოლაშქრეთა შორის, არამედ მთელს მოსახლეობაშიაც. მარჯუენე... გამარჯვება... ჩნდება ქართული ენის სწორედ შუასაუკუნეების დროინდელს ძეგლებში, მეშვიდე საუკუნის წინანდელ წყაროებში ყოველშემთხვევაში იგი არ ჩანს. მაგრამ ამ ძეგლებიდან ვერ ირკვევა, სახელდობრ თუ როდის შემოვიდა ხმარებაში გამარჯვება, როგორც მისალმების კულტობრივი გამოთქმა. საბას თავის ლექსიკონში პირდაპირი მითითება ამაზე

* ნ. მ ა რ ი, ИР, II, გვ. 165.

არ მოეპოება, მას მისალმების აღმნიშვნელად დასახელებული აქვს Არაბული ტერმინი სალიმ „მშვიდობა, გინა მადლი“ (ქართ. ლექსიკ., 292). მაგრამ საბას თითქმის სისრულით გადმოუცია მარჯვენ ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები: მარჯუე, მარჯულ, გამარჯვება, გამარჯვებული, გამმარჯვე, გამმარჯვებელი... პირდაპირ არ აღუნიშნავს გამარჯვების მეორე მნიშვნელობა. საბას თხზულებაში კი –„წიგნი სიბრძნე სიცრუისა“, ვკითხულობთ: „უთხრა მეაქლემემ: „ჯილღას გამარჯვებაო!“ (სიბრძნ., 89,15). ჩანს, საბას დროს გამარჯვება იხმარებოდა მისალმების აღსანიშნავად.

მისალმებასთან ერთად ქართველებს გამოთხოვების ტრადიციული ჩვევა ჰქონიათ. გამოთხოვებისათვის გამოყენებულია ასეთი გამოთქმები: გამარჯვებით, მშვიდობით, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ღამემშვიდობით, ნახვამდის, ბედნიერად, კარგად გნახეთ, გეთხოვებით... ყველაზე პოპულარული და გავრცელებული აქიდან არის მშვიდობით!

მისალმების სიტყვების შემდეგ „გამარჯობა შენიო!“ გამოთხოვებისას მოსალოდნელია: „მშვიდობით!“ გამოთხოვების აღსანიშნავად ამ ტერმინის ხმარებაც ქართული უძველესი სამხედრო კულტურის მემკვიდრეობას წარმოადგენს. ქართველი ადამიანის ცნობიერებაში, ჩანს, ისე მძლავრი ყოფილა გამარჯვებისა და მშვიდობიანობის მოპოვების გრძნობა, რომ თვით ეს ტერმინებიც რაღაც რიტუალური ძალის მქონე ცნებებად გადაიქცნენ. მათი ხმარება ფართოდ გავრცელდა. მტერზე გამარჯვების მიღწევა ისე, როგორც გამარჯვების შემდეგ მშვიდობიანობის დამყარება, ადამიანის ხელზე, მარჯვენაზე იყო დამოკიდებული. ხელსა და კერძოდ მარჯვენა ხელის კულტის არსებობა ჩვენში ამის უტყუარი საბუთია. ეს კულტი უნდა შექმნილიყო სამხედრო თვალსაზრისით მოწინავისა და ძლევამოსილი ხალხის მიერ. ხელი არა თუ მარტოოდენ სამხედრო სიძლიერის ცენტრში იდგა, როგორც ეს ილუსტრირებული მასალებიდან ჩანს, არამედ იგი ადამიანის განვითარების პირველი საფეხურიდანვე მდგარა ადამიანის ბრძოლის, შემოქმედების, წარმოების, შრომის, ცნობიერების, მეტყველების ცენტრში ხელი იყო შრომის ის უპირველესი იარაღი, რომლის საშუალებით ადამიანი საბოლოოდ გამოიყო ცხოველთა სამყაროდან და გახდა ბუნების ბატონპატრონად.

ქართული ენა მკაცრად ასხვავებს მარჯვენა ხელს მარცხენისაგან. მსგავსი დიფერენციაცია, ცხადია, დიდი ხნის წინათ მომხდარა. მას სოციალურთან ერთად ფიზიოლოგიურმა ფაქტორმაც შეუწყო ხელი. მარჯვენა ხელი გამარჯვების, ბედნიერების, მშვიდობიანობის სიმბოლოა, მარცხენა კი—დამარცხების, უბედურების... კოსმიური მსოფლმხედველობის დროს მარჯვენა და მარცხენა ადამიანის მიერ გააზრებული ყოფილა როგორც ‘მზე’ და ‘მთვარე’, ხოლო გვიან, ბგერითს ენაში, ისინი ხელს დაკავშირებიან.*

დასკვნები: 1. მისალმების აღმნიშვნელი ქართული ტერმინი გამარჯვება || გამარჯობა ნაწარმოები სიტყვაა, რომლის ფუძე არის მარჯუენ-ე || მარჯვენ-ა. ეგევე ტერმინი იხმარება მტრის ძლევის, ჯობნის, გამარჯვების აღსანიშნავად. მისალმებისა და ძლევის გამოსახატავად მითითებული ტერმინის ხმარება საერთოა ისტორიული საქართველოს ყველა კუთხისა და ქართველური წარმოშობის

---

* ნ. მ ა რ ი, ИР, ტ. Ш, გვ. 193.

ტომებისათვის. ქართველური ენების მასალები ამ დებულებას უტყუარად ადასტურებენ.

2. ქართველურ ენებში (ქართული, მეგრული, ჭანური) მარჯვენ ფუძე გვევლინება მტერზე ძლევის აღმნიშვნელი ტერმინის (გამარჯვება, გამარჯვებული, გამმარჯვე) მაწარმოებლად, ხოლო მარცხენ ფუძე—უბედურების, ძლეულის მაჩვენებელი ტერმინის (დამარცხება, დამარცხებული) მაწარმოებლად. მარჯვენ-ფუძის ხმარება გამარჯვებისა (მისალმების) და გამარჯვების (მტერზე ძლევის, რუს. победа) მნიშვნელობით, აიხსნება მარჯვენა ხელის კულტით საქართველოში და ამ ხელის განსაკუთრებული სოციალური და ფიზიოლოგიური თვისებებით, რაც ხალხურ ფანტაზიაში ზღაპრულ საზღვრამდის აღწევს.

3. მისალმების აღსანიშნავად „გამარჯვება შენი!" და გამოთხოვებისათვის—„მშვიდობით, გამარჯვებით!"—დამკვიდრება ქართულში წარმოადგენს შუასაუკუნეების ეპოქის ქართველი ხალხის მაღალი სამხედრო კულტურის პირდაპირ ანარეკლს. ამ სამხედრო კულტურის დევიზი იყო მხოლოდ გამარჯვება და გამარჯვების შედეგად მშვიდობიანობა. ხალხის ეს კეთილშობილი ნება და სურვილი ასახულა მისალმებისა და გამოთხოვების გამომხატველ ტერმინებშიაც.

4. ქართლური ლეგენდა—„როგორ გაჩნდა გამარჯობა"—დამყარებული უნდა იყოს ნამდვილ ისტორიულ ფაქტზე. ლეგენდის ამ მყარ ისტორიულ საფუძველში გვარწმუნებს ენობრივი მასალები.

9. „ბრმა მოსამართლე;" მთქმელი: ბაგრატ ტატიშვილი, 55 წლისა, წერა-კითხვის მცოდნე, სოფ. ტყვიავი, გორის რაიონი, 28. 01. 41 წ.

10. „ლვინო;" მთქმელი: ბაგრატ ტატიშვილი, სოფ. ტყვიავი, 28. 01. 41 წ.

11. „ბრმა მეჩონგურე;" მთქმელი: ბაგრატ ტატიშვილი, სოფ. ტყვიავი, 28. 01.41 წ.

12. „ზნიანი ქალი;" მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 18. 01. 38 წ.

13. „ამირანის შვილი;" მთქმელი: ფიდა თევდორეს-ძე კვიწინაძე სოფ. ბერშუეთი, 29. 01. 40 წ. ზღაპარი ამირანის ეპოსის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს, ოღონდ მთქმელის ფანტაზიას იგი ისევ ამირანის სიუჟეტის ფინალისათვის დაუკავშირებია და, ამირანის მსგავსად, მისი შვილიც კამარ ქალის საძებრად გაუგზავნია. ფინალის მიხედვით, „ამირანის შვილი"—„ამირანის" ვარიანტია.

14. „შავლაჲ"; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 19. 12. 37 წ.

15. „ეთერი;" მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 12. 01. 38 წ.

„ეთერიანის" რამდენიმე ვერსიაა გამოქვეყნებული, მათ შორის მთავარია: კახური (თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, II, კახეთსა და ფშავში შეკრებილი, თბ., 1909 გვ. 117—124; აქედან გადაბეჭდილი ნ. ს. გორგაძე, ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხ. პოეზ., V გამოც., გვ. 75—79; ან: თ. ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, თბ., 1941, გვ. 150—155); ფშაური (დ. ხიზანიშვილი, „ივერია", 274, 1888); მოხეური (ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილი, „საუნჯე", III, აკ. ჭყონიას რედ., თბ., 1936, გვ. 186—195); ყვარელში ჩაწერილი (ს. ყუბანეიშვილი, აბესალომ და ეთერი, „საუნჯე", ტ. I); პოეტური ვერსია (პ. უმიკაშვილი, I, გვ. 157—159); გურული (ს. ყლენტი, გურული კილო, თბ.. 1935, გვ. 101—104; ან: ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937, გვ. 205—209); აგრეთვე „ეთერიანი" შედგენილი სახალხო ნათქვამობისაგან პ. უმიკაშვილის მიერ, თბ. 1875; „ეთერი" ჩაწერილი დ. ელიოზოვის მიერ, თბ., 1870; პ. მირიანაშვილი,

აბესალომ და ეთერი, თბ., 1927; ნაწყვეტები: „ივერია“ № 270, 1887; № 275, 1889; „აკაკის კრებული,“ III, 1897; „ძვ. საქ.“, I, 1909, გვ. 88 და სხვ. ვაჟა ფშაველამ „ეთერიანის“ „ხალხური ვერსიების მიხედვით შექმნა მშვენიერი პოემა („ეთერი“, ტ. III, ალ. აბაშელის რედ., თბ., 1930, გვ., 101—141); ხალხური თქმულებისა და ვაჟა-ფშაველას ამ პოემის ურთიერთობის შესახებ იხ. ქს. სიხარულიძე, ვაჟას პოემა „ეთერი“ და ხალხური „ერთიანი“, „ლიტერატურული ძიებანი, I, თბ., 1943, გვ. 221—239. ქართული „ეთერიანის“ მიმართება ტრისტანისა და იზოლდის სიუჟეტურ არქიტექტონიკასთან განხილული აქვს პროფ. კ. დონდუას (იხ. მისი: Абесалом и Етер, კრებ. „Тристан и Исольда“, Л., 1932, გვ. 175—182).

16. „ტარიელი“; მთქმელი: ფიდა თევდორეს-ძე კვიწინაძე, სოფ. ბერშუეთი, 29.01.40 წ.

„ტარიელის“ ანუ „ხალხური ვეფხის-ტყაოსნის“ მრავალი ვერსიაა გამრქვეყნებული. მათ შორის მთავარია; ხევსურული (ს. მერკვილაძე, „ივერია“, №№ 74, 75, 1891; ან მისივე: „აკაკის კრებული“, III, თბ., 1897, გვ. 33—53); ქართლური (თ. სახოკია, „ივერია“, № 150, 1894); ხევსურული (თ. რაზიკაშვილი, „ივერია“, № 239, 1890); სოფ. არტაანში ჩაწერილი (დ. ხიზანიშვილი, „ივერია“ №№ 230, 231, 1888); კახური (ს. მაჭავარიანი, „ივერია“, № 224, 1887; ან: თ. რაზიკაშვილი, „ივერია,“ № 252, 1890); თუშური (ალ. ხახანაშვილი, „ივერია,“ № 165, 1888); ყიზლარული (ალ. ხახანაშვილი. „ივერია“, № 131—1888); კაბური ლექსად (თ. რაზიკაშვილი, ხალხ. სიტყვ.. I, გვ. 363—365): ქსნის ხეობაში ჩაწერილი (ს. მაჭავარიანი, „ივერია“, № 49, 1888); ნაწყვეტები ლექსად (პ. უმიკაშვილი, I, გვ. 17—22); სვანური (ა. შანიძე და ვ. თოფურია, სვანური პროზ. ტექსტ., I, თბ., 1939, გვ. 58—63); თბილისში ჩაწერილი (მიხ. ჩიქოვანი, „ლიტერატურული მემკვიდრეობა,“ I, თბ., 1935, გვ. 208—231); „ტარიელიანის“ 25 ხალხური ვერსია გამოკვლევითურთ გამოქვეყნებულია მიხ. ჩიქოვანის ნაშრომში: „ხალხური ვეფხის-ტყაოსანი“, გამოც. I, თბ., 1936; გამოც. II, თბ., 1937.

17. „მონადირის არაკი“; მთქმელი: ფიდა კვიწინაძე, სოფ. ბერშუეთი. 30. 01. 40 წ.

18. „ქაჩალაი;“ მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 12. 01 38 წ.

განსხვავებული ვარიანტი ჩაუწერია თ. რაზიკაშვილს სათაურით „მეცხვარე, ბრმა დევისა და ფეიქრის შეგირდისა (ხალხური ზღაპრები, I, ქართლში ჩაწერილი, თბ., 1909, გვ. 208—213); იგივე გადაბეჭდილი ნ. ქართული ხალხური ზღაპრები, I, მიხ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1938, გვ. 179—185).

19. „ვაშლადამი“; მთქმელი: ვლადიმერ გიორგის-ძე ჩიხლაძე, 21 წლისა, საშუალო განათლებით, კომკავშირელი, სოფ. პატარა ატენი, გორის რაიონი, 30. 01. 38 წ.

ზღაპრებში ვაშლი მაგიური ძალის მქონეა. მას უკავშირდება გამრავლება, სიყვარული და საზოგადოდ ქალ-ვაჟთა შორის დამოკიდებულება. სპეციალური ნაშრომებიდან ცნობილია, რომ ვაშლი, როგორც ქალ-ვაჟის ტრფობის სიმბოლიური განსახიერება, გავრცელებულია მთელი მსოფლიოს ხალხთა პოეზიაში. ამ სპეციალური ნაშრომებიდან ჩანს, რომ ვაშლი სიყვარულის სიმბოლოა, მისი დაკრეფა და სატრფოსადმი მიძღვნა გათხოვებას ნიშნავს, ქალის მიერ ვაშლის მიღება ვაჟისაგან გამიჯნურებაა, ვაშლი გამოყენებულია ქალის ლოყების შესადარებლად და ა. შ. ვაშლის სიმბოლიკა ასევეა გაგებული ქართულ ხალხურ პო-

ეზიაშიაც,* მაგრამ არანაკლები გავრცელება ჰქონია ვაშლის სიმბოლიკას ქართულ ზღაპრებშიაც. ზღაპრებში ვაშლი უფრო გრძნეული ძალის მქონე და სასწაულმოქმედია. გაირჩევა რამდენიმე შემთხვევა:

1. ვაშლის შეჭმა მაგიური ძალისაა: ადამიანსა და ცხოველსაც ფეხმძიმედ ხდის. დასახელებულ ზღაპარში („ვაშლადამი") ვკითხულობთ: ერთი ხელმწიფის მსახურმა წყალში ვაშლი დაინახა, ამოიღო და ხელმწიფის მზეთუნახავს მიართვა. მზეთუნახავმა ვაშლი შუაზე გაჭრა, ნახევარი შეჭამა და ფეხმძიმედ გახდა. „მეორე დღეს მუცელი აჯტკივდა და ეყოლა ოქროს ქოჩრიანი ბიჭი. ქალმა თქვა: მე კაცთან საქმე არაჯ მქონია და საიდან გამიჩნდა შვილიო? რახან ვაშლმა მიქნა ეგაო, დაარქვა თავის შვილსა ვაშლადამი". თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ „ეთერის" ერთ ვარიანტში ნათქვამია: უშვილო კაცს „მკითხავმა სამი ვაშლი მისცა და თანაც დაარიგა: წაიღე ეგ ვაშლები, როდესაც მოჰშივდეს, ეგ ორი ვაშლი მიეცი შენს ცოლს, შეჭამოს; ერთიც რო მოჰწყურდეს, მაშინ შეჭამოსო, და შვილი გეყოლებათო. გზაზედ კაცს მოჰშივდა, ვეღარ გაჰძლო და შეჭამა ორი ვაშლი. მოჰწყურდა წყალი და შეჭამა მესამეცა. ვაშლები შეჭამა თუ არა, კაცს კანჭში ქალი ჩაესახა" და ეს ქალი გახდა ეთერი (ხალხური ზღაპრები, II, გვ. 117—124). ზღაპარში „ქაჩალ-მებატე" ნათქვამია: ერთ კაცს შვილი არ უჩნდებოდა, „დევმა მისცა ორი ვაშლი და უთხრა: ერთს გაჰჭრით, შენ და შენი ცოლი შეჭამთ, ერთს კიდევ გოშიასა და ცხენს შეაჭმევთო. ორი ვაჟი გაგიჩნდებათ, ორი რაში და ორი ვეფხვიო." ასეც მოიქცა. „დედაკაცმა შვა ორი ოქროს ვაჟი, ცხენმა შვა ორი ოქროსფაფრიანი და ცეცხლისნალებიანი რაში, გოშიამ დაყარა ორი ოქროსფაფრიანი და ცეცხლის კბილებიანი ვეფხი" (თ. რაზიკაშვილი, იქვე, გვ. 77); ფშავში ჩაწერილ ზღაპარში „ლაზარე" ვკითხულობთ: ხელმწიფის მზეთუნახავი ქალი წყაროზე პირს იბანდა. ქალს ერთი მწევარი ჰყავდა და თან ახლდა. წყალს ვაშლი მოჰქონდა. ქალმა მწევარს ამოაღებინა. ნაკბილარები გადათალა და მწევარს შეაჭამა, გული კი თვითონ შეჭამა. ვაშლის შეჭმა და ქალისა და მწევრის დაორსულება ერთი იყო (თ. რაზიკაშვილი, იქვე, გვ. 37); ვაშლი იმავე მაგიური ძალის მქონეა ფშავში ჩაწერილ „დედა-შვილის ზღაპარშიაც": ქვრივი დედაკაცი გზაზე მიდიოდა. გზა-გასაყარში ერთი ქურ-წითელი ვაშლი იპოვა. აიღო, წითელი გვერდი მოჰკბიჩა და შეჭაჯა, სხვა კი გადააგდო, ვაშლის შეჭმაზე ქალი ფეხმძიმედ შეიქნა და ცხრა თვის შემდეგ ვაჟი შეეძინა (თ. რაზიკაშვილი, იქვე, გვ. 48); ქართლში ჩაწერილ „ზღაპარში ივანე ცისკრისა" აგრეთვე ნათქვამია: უშვილო მჭედლის ცოლმა წყალში სამი ვაშლი დაინახა. ამოიღო, ერთი ვაშლი ქმარს მისცა, ერთი თვითონ შეჭამა და ერთიც შუაზე გაიყვეს. დაორსულდა მჭედლის ცოლი (თ. რაზიკაშვილი, I, გვ. 83—89); ერთ კაცს შვილი არ უჩნდებოდა. მკითხავმა მისცა ორი ვაშლი და უთხრა; ერთი შენ შეჭამე, ერთი შენმა ცოლმა, და შვილი მოგეცემათო. ორივე შენ არ შეჭამო, თორემ გოგრას გააგდებო. წამოვიდა კაცი, ჯერ ერთი ვაშლი შეჭამა, წყალი რომ მოსწყურდა, მეორეც შეჭამა და გოგრა გააგდო (თ. რაზიკაშვილი, I, გვ. 27—28). სვანურ ზღაპარში „ვაშლიშვილ ი დევიშვილ" მითითებულია: ერთ კაცს ვაშლის-

* ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური ლირიკის სიმბოლიკის საკითხები „მნათობი", № 6, 1938, გვ. 141—163; ან: ალ. ღლონტი, ქართული ზაირები (ნარკვევი, ტექსტები, შენიშვნები), თბ., 1941, გვ. 129—145.

ხე ედგა, რომელიც წელიწადში ერთ ვაშლს ისხამდა. ვაშლი ერთმა ქალწულმა შეჭამა და ფეხმძიმედ გახდა. ქალწულს დაებადა ვაჟი, რომელსაც ვაშლიშვილი შეერქვა (ა. შანიძე და ვ. თოფურია, სვან. პროზ. ტექსტ., I, გვ. 243).

2. ვაშლი სიმდიდრეა, რომელსაც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან. მისი ნაყოფის მიტაცება შეჭირვების სიმბოლოა. ფშავში ჩაწერილ ზღაპარში „ფაშგუნდი" ნათქვამია: ერთ ხელმწიფეს ბაღში ედგა ვაშლი, რომელიც ქუდის ოდენა ნაყოფს ისხამდა ხელმწიფე თვალებივით უფრთხილდებოდა ამ ვაშლს, არც თვითონ ჭკრეფდა და არც სხვებს აკრეფინებდა, მაგრამ ვიღაც შეეჩვია და ვაშლი სულ გაუჩანაგა. ხელმწიფემ შვილები მცველად მიუჩინა. უმცროსმა შვილმა დასჭრა ქურდი დევი (თ. რაზიკაშვილი, II, გვ. 7); ფშაურ ზღაპარში „მოთამაშე ღორები" მითითებულია: სამ ძმას ერთი ვაშლის ხის მეტი არა ებადათ რა, მაგრამ იმ ვაშლსაც ეშმაკი უხლეჩდა. ვაშლს სამი ტოტი ჰქონდა, მოვიდოდა ეშმაკი, ჯერ ერთს გახლეჩდა, შემდეგ მეორესა და მესამეს. ერთხელ ვაშლმა ძალიან დაისხა, უმცროსმა ძმამ უყარაულა და დაიჭირა ეშმაკი. ეშმაკმა გრძნეული სალამუმური მისცა (თ. რაზიკაშვილი, იქვე, გვ. 35—36).

3. ვაშლი გზის მაჩვენებელია. ზღაპარში „ახრაკას წყარო" ნათქვამია: შვილმა უთხრა მამას: წყალი მწყურია, სად დავლიოო? მამამ უპასუხა: აი, ვაშლს გავაგორებ, და, ის თვითონ მოგიყვანს იმასთანაო. გააგორეს, გაჰყვნენ და ვაშლმა მიიყვანა ისინი ერთ წყაროსთან (თ. რაზიკაშვილი, I, გვ. 89). ან მეორე ტექსტი: ერთმა ხელმწიფემ ვაჟს უბრძანა: დედაჩემმა საიქიოში ბეჭედი წაიღო და მომიტანეო, ვაჟმა ეს ცოლს შესჩივლა. ცოლმა უთხრა: ნუ დარდობ, აი, ამ ვაშლს მოგცემ, გააგორე და სადაც მივა, მიჰყევიო. ვაჟმა გააგორა ვაშლი და საიქიომდის მიიყვანა (თ. რაზიკაშვილი, იქვე, გვ. 135—139);

4. წითელი ვაშლი გრძნეული ძალის მქონეა: ერთმა უმცროსმა შვილმა გზაში წითელი ვაშლის ხე დაინახა. ხელმწიფემ მოითხოვა ამ ვაშლის ხის პოვნა, იმ ხეს კი გველები იცავდნენ, ფესვებზე გველები ასხმოდა, და ვინც მის ფესვებს მიეკარებოდა, მოკვდებოდა (თ. რაზიკაშვილი, „ზღაპარი საკვირველისა," II, გვ. 94-101); ან მეორე ზღაპარში ვკითხულობთ: დედინაცვალი ქმარს ეუბნება, თავიდან მოაშოროს გერი ქალი. მამამ წაიყვანა ქალიშვილი ტყეში, „იქ ერთი წითელი ვაშლი იდგა: კაცი ავიდა და ის ვაშლი დაუბერტყა... მამა წავიდა. ქალმა მოაგროვა ვაშლი, დაჯდა და დაუწყო მამას ლოდინი... მამა აღარ მოვიდა... დაორსულდა ეს ქალი და ეყოლა ერთი ვაჟი" (იქვე, გვ. 141).

5. ვაშლი სამართლიანობის სიმბოლოა. ზღაპარში „ბრმა ხემწიფე" ნათქვამია: ერთ ქვეყანაში ხემწიფეს ირჩევდნენ. აუშვეს მტრედი და ერთ მგზავრს დააჯდა მხარზე. კაცმა ჯერ იუარა ხელმწიფობა, ბოლოს დათანხმდა და თქვა: „კაცის თვალი ხარბია, ვაი თუ სიმრუდე რამე მომივიდეს, და თვალები დამთხარეთ საბამ ხემწიფედ დამსვამდეთო: თვალები რო გამოთხრილი მექნება, ვეღარაფერს ვნახავ, და ვეღარც არაფერი შემაცდენსო. დაჰთხარეს თვალები და დასვეს ხემწიფედ. ხემწიფემ ერთი ვაშლი გაჰჭრა შუაზედ და მაღლა ჩამოჰკიდა; როდესაც სამართლებას დაიწყებდა, იმ ნაჭრებს ხელს ჩამოუსმევდა, თუ ერთად იქნებოდნენ, სწორედ იქნებოდა გადაჭრილი და, თუ ცალკ-ცალკე, მრუდედ" (თ. რაზიკაშვილი, II, გვ. 75).

6. ვაშლის ხე ბოროტების, ფათერაკის სიმბოლოა. ს. გაჩეჩილაძის მიერ იმერეთში ჩაწერილ ზღაპარში, „კუდიანი დედაბერი და პატარა ბიჭი", აღნიშნუ-

ლია: ბავშვს მოსწყურდა. მამამ წყაროზე გაგზავნა, ოღონდ დაარიგა: ამა და ამ ადგილას წყაროა, წყალი დალიე, მაღლა არ აიხედო და უკანვე გამოიქეცი. ცნობისმოყვარე ბიჭმა წყლის დალევისთანავე მაღლაც აიხედა: „ვაშლის ხე დგას და თურაშაული წითელი ვაშლებითია დაძანძული“. ბავშვი ხეზე აცოცდა და ვაშლის კრეფა დაიწყო. აშ კუდიანი დედაბერი გაჩნდა და გრძნეული ვაშლის ხის ტოტის ჩამოზნექით პატარა ბიჭი ხელში ჩაიგდო («ძვ. საქ.», ტ. IV, თბ., 1914-1915, განყ. IV, გვ. 1-4); ანალოგიურადაა გაგებული ვაშლის ხე ზღაპარში „სამი და.“ ერთი და ვაშლის ხეზე ადის და ბავშვს დაბლა ტოვებს. ვაშლის კრეფა დაიწყო თუ არა, მას ბავშვი მოჰპარეს (თ. რაზიკაშვილი, I, გვ, 47).

7. ვაშლი ადამიანის მშველელი და ქომაგია. ჩვენ მიერ ჩაწერილ ზღაპარში „გრძნეული ვაშლი“ (№ 21) მოთხრობილია: მომაკვდავმა ხელმწიფემ შვილს ანდერძად დაუბარა; დასავლეთისაკენ სანადიროდ არ წახვიდეო და საჩუქრად ერთი კოლოფი დაუტოვა: „ვიდრემდის არ გაგიპირდეს თავი არ ახადოო“. შვილი სწორედ დასავლეთისაკენ მოხდა სანადიროდ. ჩავარდა განსაცდელში. მოაგონდა მამის ანდერძი: გახსნა ყუთი, გადმოგორდა ვაშლი, რომელმაც სამი გამოცანის მაგვარი კითხვის დასმით იხსნა მეფის შვილი.

ვაშლის სიმბოლიკის ნიმუშების გამრავლება კიდევ შეიძლება, მაგრამ ესეც კმარა. ჩანს, ვაშლი წყალთანაა დაკავშირებული, იგი ადამიანის მფარველი, ქომაგი და ეზთგულია. სემანტიკურად ვაშლისა და საზოგადოდ ხილეულობის სიმბოლიკა თავის გენეტიკურ ძირებს წყალთან ინახავს. ვაშლის სიმბოლიკის ასე გავრცელება ზღაპრებშიაც ამიტომ სრულიად ბუნებრივია. ვაშლს ცნობილია, რომ მაგიურთან ერთად რიტუალური მნიშვნელობაც ჰქონია: ფშავსა და ქართლში იგი საქორწილო რიტუალის ატრიბუტივსაც წარმოადგენდა. * ვაშლის სიმბოლიკის გავრცელების შედარებითი შესწავლა ხალხურ ლირიკასა და ზღაპრებში უფრო საინტერესო სურათს გადაშლის ჩვენს წინაშე.

20. „თეთრცხენა მონადირე“; მთქმელი: ოლა ყიფშიძე, 67 წლისა, მცირემცოდნე, გორი, 18. 12. 40 წ.

ამ ზღაპარს პარალელი ეძებნება ალტაური ეპოსის პერსონაჟებთანაც. მსგავსად მონადირისა, ალტაური ზღაპრის „ალიპმანაშის“ პერსონაჟი, ბოროტი აკ-კანიც, მუდამ თეთრ ცხენზე ზის, ხოლო ზღაპრის მთავარი პერსონაჟი, თვით ალიპ-მანაში, თავდავიწყებით მღერის, ჩვენი მონადირის მაგვარად; და ეს მისი სიმღერა ესმის მთელს ქვეყანას. ზღაპარში დევგმირის ალიპმანაშის შესახებ ნათქვამია: „ერთხელ მან სიბრძნის წიგნი იპოვნა, გადაფურცლა, მოისურვა გაეგო: რა არის ალტაეთში შესანიშნავი, დედამიწაზე მცხოვრებ ხანებს შორის, ვინ ითვლება უმძლავრესად. მთავარისა და მზის შუქზე მან წაიკითხა: იქ, სადაც ცა დედამიწას უერთდება, ცხოვრობს ბოროტი აკ-კანი, რომელიც დადის თეთრი ცხენით, სიკვდილისა არ ეშინია, სამოცი ხანი დაიმორჩილა და მესამოცდაათეზედაც გაიმარჯვა. მას ეზრდება მზეთუნახავი ერკეკარაკჩი, რომელსაც არაფრის გულისათვის არ გაათხოვებს. ბოროტმა აკ-კანმა ყველა ხანი მოსპო, ქვეყანაზე ისეთი ძალისა არავინაა, რომ მას აჯობოსო,“**—წაიკითხა „სიბრძნის წიგნში“

* ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ფშავი, გვ. 133; შდრ. გ. ჩ ი ტ ა ი ა, ენიმკის მოამბე, I, თბ. 1937, გვ. 309.

** Н. У. У л а г а ш е в, Алтай-Бучай, ойротский народный эпос, под редакцией А. К о п т е л о в а, Новосибирск, 1941, გვ. 82.

ზღაპრის პერსონაჟმა. დევგმირი ალიპმანაში რამდენიმე თავგადასავალის შემდეგ მღერის და ეს სიმღერა ეხიდ ეფინება მთელს ალტაეთს. მასთან ბატები მოფრინდნენ. ალიპმანაშმა ერთ ბატს სალოკი თითით ფრთაზე წერილი დააწერა.*

ჩვენი ზღაპრის გმირი თეთრცხენა მონადირე ალიპმანაშივით გულკეთილი და უშიშარია. იგიც მიაჭროლებს თავის თეთრცხენს და მღერის ნაღვლიან სიმღერას. მისი სიმღერა ესმის ბუნებას, მზეთუნახავს კი ამ სიმღერით გაბრუებულს, ცრემლები მისცვივა.

ორივე, ქართული და ალტაური, ზღაპრის გმირები მონადირეთა წრიდან გამოდიან. მათ სწამთ ცხენის კულტი. ცხენი კი, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის უძველეს ხალხებში ღმერთი-ხარის შემდეგ გაგებული იყო, ღვთაებად—ღმერთი-ცხენი. ფიქრობენ, რომ სტეპურმა ცხენმა, რომელმაც ჯერ თავი გააცნო ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებს, გადამწყვეტი გავლენა იქონია ბერძნიზებულ და ლათინიზებულ ლტოვილ სემიტთა ანტიკური სახღვაო კულტურის ბედზე.**

მაგრამ ერთი აშკარაა, რომ არც თეთრი ცხენი და არც მომღერალი პერსონაჟები აღმოსავლურ ზღაპრებში თავისთავად არ ჩნდება. ყოველგვარ ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ მომღერალ რაინდთა გავრცელებას თავისი გენეტიკური ძირები აქვს ჭაღარა ორფეოსის ლეგენდარულ სიმღერებთან, ხოლო თეთრი ცხენის მოტივი მომდინარეობს წარმართი წმინდა გიორგიდან, რომელიც თეთრ-ცხენზე იჯდა და ეს ნიშანი მას მუდამ თან ახლდა. ამას მით უმეტეს შეიძლება ხაზი გაესვას, რადგან, როგორც გ. პოტანინის ნაშრომებიდან ჩანს, წმ. გიორგის კულტი უცხო არ ყოფილა მონგოლური და თურქული მოდგმის ხალხებისათვისაც; ავტორი ნახულობდა სარწმუნო პარალელებს მონგოლურ ცისშვილს გესერსა და წმ. გიორგის შორის.*** მეორე მხრით, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თეთრი ცხენის მოტივი ისე, როგორც თვით წმინდა გიორგის კულტი თავისი განსხვავებული ატრიბუტებით, გენეტიკურად ხალხურ წიაღს ებჯინება.

21. „გრძნეული ვაშლი"; მთქმელი: ბაგრატ ტატიშვილი, სოფ. ტყვიავი, 28. 01. 41 წ.

22. „ირმიშვილი"; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, 35 წლისა, მცირე მცოდნე, სოფ. ყარაღაჯი, 24. 12. 37 წ.

ვარიანტი: „ირმისა" (ქს. სიხარულიძე, ხალხური ზღაპრები, თბ., 1938, გვ. 133—145).

23. „ცხრა ძმანი"; მთქმელი: გიორგი მიხეილის-ძე წიქარიძე, 26 წლისა, დაბალი განათლებით, სოფ. ფუხაანთუბანი, გორის რაიონი, 31. 01. 38 წ.

24. „უმცროსი შვილი"; მთქმელი: ნიკო ჯიოშვილი, 47 წლისა, მცირე მცოდნე, სოფ. პატარა ატენი, გორის რაიონი, 29. 01. 38 წ.

ვარიანტები: „ხელმწიფისა და იმის ცხრა ვაჟის არაკი" (თ. რაზიკაშვილი, II, გვ. 19-23); „ზღაპარი საკვირველისა" (იქვე, გვ. 94-101); „ლომკაცა" (აქვე, № 25). ამ ტექსტებს შორის მხოლოდ შორეული მსგავსებაა, კომპოზიციურად და შინაარსეულად ისინი სხვადასხვა ზღაპრებია .

---

* Н. У. Улагашев, იქვე, გვ. 96.

** Г. В. Ксенофонтов, Пастушеский быт и мифологические воззрения классического Востока, Иркутск, 1929, გვ. 36-37.

*** Г. И. Потапин, Ерке, культ сына неба в северной Азии, Томск, 1916, გვ. 50.

25. „ლომკაცა"; მთქმელი: გიორგი ილიას-ძე ყოჩიშვილი, 21 წლისა, საშუალო განათლებით, გორი, 26. 03. 38 წ. (შენიშვნა ნ. № 24-თანl).

26. „გოლიათი"; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 11. 12. 37 წ.

27. „ოქროს ჩიტის კვერცხი"; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 12. 01. 38 წ.

28. „ჩეთვრიანი ქალი"; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 12. 01. 38 წ.

29. „მონადირის შვილი"; მთქმელი: ვანო ქარქიშვილი, სოფ. პატარა ატენი, 30. 01. 38 წ.

30. „სამი აბაზის ჭკუა"; მთქმელი: მარო ბუთხუზი, 38 წლისა, მცირე მცოდნე, კოლმეურნე, სოფ. ჭეჭელაანთ უბანი, გორის რაიონი, 1. 02. 38 წ.

განსხვავებული ვარიანტი: „ბედი ვარისა" (თ. რაზიკაშვილი, I, გვ. 174-178).

31. „მენახირე და წითელი თევზი"; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი. 15. 12. 37 წ.

32. „გლეხის ხიზმარი"; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 15. 12. 37 წ.

33. „სუსან-სუმბული"; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 14. 12. 37 წ.

34. „გველი ტყავზე ამოსული ალვიხე"; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 14. 12. 37 წ.

35. „ამბავი ჯუმჯუმ ხემწიფისაი"; მთქმელი: გიორგი ყოჩიშვილი, გორი, 27. 01. 38 წ. მთქმელის გადმოცემით, ეს ზღაპარი მას გაუგონია ბებიისაგან პატარაობისას და მეხსიერებაში ჩარჩენია.

36 „თილისმიანი სალამური და მეღორე"; მთქმელი: იოსებ ვასილის-ძე ვანიშვილი, 51 წლისა, მცირე მცოდნე, სოფ. დიდი ატენი, გორის რაიონი, 30. 01. 38 წ.

37. „მამის ანდერძი"; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 18. 01. 38 წ.

ვარიანტი: „უნცროსი ძმაი" (ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937, გვ. 152-155).

38. „სულთამხუთავი"; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 2. 01. 38 წ.

39. „არაფერი"; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 25. 12. 37 წ.

40. „დავრიშ ხემწიფე"; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 25. 12. 37 წ.

41. „ორი ობოლი"; მთქმელი: არსენ ედიშერის-ძე პავლიაშვილი, 23 წლისა, დაბალი განათლებით, სოფ. პატარა ატენი, 30. 01. 38 წ.

ვარიანტები: „ბაყაყის ქალისა" (თ. რაზიკაშვილი, I, გვ. 239-243); „საიქიოს ზღაპარი" (იქვე, გვ. 135-139); „სამი ძმანი" (ჯ. ნოღაიდელი, აჭარის ხალხური სიტყვიერება, I, ბათომი, 1936, გვ. 89-91).

42. „გედარ-გელმაზი"; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 15. 01. 38 წ.

43. „გასოდაგრებული ხემწიფე"; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 15. 01. 38 წ.

ვარიანტი: „სამი დღის ხემწიფე“ (თ. რაზიკაშვილი, I, გვ. 5-9).

44. „გველი და გლეხი“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 12. 01. 38 წ.

45. „გველი და კაცი“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 12. 01. 38 წ.

ვარიანტი: „მეცხვარე და გველი“ (თ. რაზიკაშვილი, II, გვ. 36-38).

46. „ხოლომან ბძენის მოჯამაგირე“; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 15. 01. 38 წ.

47. „მზის სიძე“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 17. 12. 37 წ.

ვარიანტი: „მზის ქალი“ (ქართული ხალხური ზღაპრები, I, მიხ. ჩიქოვანის რედ. გვ. 105-111).

48. „ქურციკი ჯეირანი“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 18. 12. 37 წ. ვარიანტი: „მონადირე“ (თ. რაზიკაშვილი, I, გვ. 234-236).

49. „ლამპარი“; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 18. 12. 37 წ.

50. „როკაპის ქალი“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 23. 12. 37 წ.; ეს ზღაპარი, მთქმელის გადმოცემით, ერთ კაცს მთელი ღამის განმავლობაში უამბნია და მასაც იმისაგან გაუგონია.

ვარიანტები: „ზღაპარი მინდორთ ქალისა“ (თ. რაზიკაშვილი, II, გვ. 87-93); „ეაშლა“ (იქვე, გვ. 18-23); „ფისასოს ზღაპარი“ (თ. რაზიკაშვილი, I, გვ. 9-13).

51. „გლეხი და ბატონი“; მთქმელი: დიანოზ პავლიაშვილი, 21 წლისა, მცირე მცოდნე, სოფ. პატარა ატენი, გორის რაიონი, 30. 01. 38 წ.

52. „ბატონი და მოჯამაგირე“; მთქმელი: დიმიტრი იოსების-ძე ყიფშიძე, 18 წლისა, მოწაფე, სოფ. ბრეთი, ქარელის რაიონი, 16. 12. 39 წ.

53. „ღვდელი და ლამაზი ფოფოდია“; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 19. 12. 37 წ.

54. „ღვდლის ცოლი“; მთქმელი: დიმიტრი იოსების-ძე ყიფშიძე, სოფ. ბრეთი, 16. 12. 39 წ.

55. „წუწკი ღვდელი“; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 22. 01. 38 წ.

56. „პური მარცვალი“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 14. 12. 37 წ.

ვარიანტი: „პურის მარცვალი“, ჩაწერილი ა. მაჩაბლის მიერ, „აკაკის კრებული“, I, 1895, გვ. 14-16.

57. „ოქროს თასი“; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 15. 12. 37 წ.

58. „სამი ტყუილი“; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 14. 12. 37 წ.

59. „ოქროს ქოჩრიანი შვილი“; მთქმელი: დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 13. 12. 37 წ.

60. „ორმოცი ყაჩაღი“; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 13. 12. 37 წ.

ქართულ ზღაპრებში მაგიური მნიშვნელობის ციფრები: სამის, ცხრისა და თორმეტის პარალელურად გვხვდება ორმოციც (შდრ. „სამთავიანი დევი“, „ცხრათავიანი გველაშაპი“, „თორმეტთავიანი დევი“, „ორმოცი ყაჩაღი“ და სხვ.) ერთს

გურულ მხიარულ სიმღერაში ნათქვამია: „ორმოცი წლის ბებიაო, რათ არ გათხოვდებიაო|“ (ი. კარგარეთელის მიერ ჩაწერილი, «ძვ. საქ.», ტ. I, თბ., 1909, განყ. V, გვ. 28); აჭარულ ზღაპარში „გველმა პერანგი გაიძრო“ ნათქვამია; ერთმა „მდიდარმა კაცმა გამოვიდა ერთხელ ქუჩაში და დეიწყო ყვირილი, რუმ ვინ არის, მოვიდეს ჩემთან, ორმოც დღეს ვაჭამო, ვასვა და ორმოც დღეს მემრე ერწამ ერთი საქმე გამიკეთოსო“ (ჯ. ნოღაიდელი, აჭარ. ხალხ. სიტყ., I, გვ. 27); ან სხვა ადგილებიდან: ხელმწიფემ ვაეს მოსთხოვა: ორმოცი კაცით უნდა მოხვიდე, ყველას ნაირ-ნაირი ტანსაცმელი გეცვათ, ნაირფერ ცხენებზე ისხდეთო („ლამპარი, აქვე, № 49); სხვა ზღაპრებიდან: ფინაჩს გლეხმა უთხრა: „ერთ ორმოც მუშას ვერ მიშოვიო? რამდენ კაცსაც მიშოვნი, იმდენ მეენთს მეტს მოგცემო... დატრიალდა ეს ფინაჩი ხელათა და უშოვა ორმოცი კაცი;“ „ორმოცმა კაცმა გაამსო ოცი ურემი, იმ ბიჭმა კი გაამსო სამოცი ურემი. სანამ ორმოცი კაცი ოც ურემს გაამსობდა, შეშას ცულით მოშეჩრიდნენ, ეს ბიჭი მუამტვრევდა, გაუსვებდა ხელსა და გასხვეპამდა.“

რიტუალური ციფრი ორმოცი გავრცელებული ყოფილა თითქმის მთელი მსოფლიოს ფოლკლორშიაც. რუსულ ზღაპარში „კუზმა სკორობოგატი“ ნათქვამია: მგელმა შეაგროვა ორმოცი მგელი და მიუყვანა მელას და მელამ ისინი წაასხა მეფესთან; დათვმა შეაგროვა ორმოცი შავი დათვი, მიუყვანა მელას და მელამ ისინიც მეფეს მიჰგვარა; იგივე მელა აგროვებს ორმოც-ორმოც ხახიდსა და კვერნას და მიართმევს მეფეს. * ილია მურომეცისა და მეფე კალინის შესახებ, არსებულ ბილინაში ნათქვამია: „მეფე კალინს თან ახლდა ორმოცი მეფე ბატონიშვილითურთ და ორმოცი ხელმწიფე ხელმწიფისწულითურთ.“ ** მეორე ბილინაში ვკითხულობთ: მიართვან მეფეს: ორმოცი ფორანი წმინდა ვერცხლი, ორმოცი ფორანი წითელი ოქრო, ორმოცი ფორანი დახვეული მარგალიტი, ორმოცი კაჭკაჭი, ორმოცი შავარდენი და სხვ. ***

მონგოლურს, ყირგიზულსა და ალტაურს ზღაპრებშიაც გვხვდება მოტივი ციფრი ორმოცის შესახებ. ერთ ლეგენდაში ჩინგის-ხანის შესახებ აღნიშნულია: ერთ ხანს ქალიშვილი ჰყავდა. მისთვის ააგო სპეციალური სასახლე და თავს ორმოცი ქალი დააყენა. ქალიშვილს არაფერზე წარმოდგენა არ ჰქონდა, არ ენახა არც სინათლე, არც მზე, არც მთვარე. ერთხელ მან მსახურთ ჰკითხა: რა არის ამ კედლებს გარეთო? მსახურმა ქალებმა უპასუხეს. სინათლე! ქალიშვილმა მათ სთხოვა ეჩვენებიათ სინათლე. გარეთ რომ გაიყვანეს, მთვარის შუქი მოხვდა. ფეხმძიმე შეიქმნა და ეყოლა ვაჟი, რომელიც შემდეგ ჩინგის-ხანი გახდა. **** მეორე ლეგენდაში ვკითხულობთ: ერთი ხანის ქალწულს ორმოცი მეგობარი ქალი ჰყავდა და ისინი ასეირნებდნენ, ორმოცი დღის შემდეგ მეგობარი ქალები გაშორ-

---

* Русские народные сказки, под редакцией и в абработке А. Толстого, ტ. I, М.—Л., 1941, გვ. 160-162.

** Былины и исторические песни из южной Сибири, записи С. И. Гуляева, редакция, вст. статья и комментарии М. К. Азадовского, Новосибирск, 1939, გვ. 39.

*** Былины... იქვე, გვ. 52.

**** Г. И. Потанин, Казак-киргизск. и алтайск. пред., легенды и сказки, Петроград, 1917, გვ. 49.

დნენ... * ხანმა თავის ქალს მზითევად გაატანა: ორმოცი მონა, ორმოცი მონა-ქალი და ძვირფასი ქვებით დატვირთული ორმოცი აქლემი... **

ცნობილ არაბულ ზღაპრებშიაც გვაქვს ციფრი ორმოცის რიტუალური მნიშვნელობით ხმარების შემთხვევები. ზღაპარში „ალადინი და გრძნეული ლამპა“ მითითებულია: სულთანი ალადინს სთხოვს ძვირფასი ქვებით სავსე ორმოც ლანგარს, ამ ლანგრების წამოსაღებად — ორმოც მხევალსა და ლანგრების დასაცავად ორმოც მონას... *** სულთანმა ალადინს ვადად მისცა ორმოცი დღე, რომ მოძებნოს გრძნეული ლამპის ძალით დაკარგული მზეთუნახავი. **** იმავე, „ათას ერთღამიანში“ გვაქვს ზღაპარი: „ალი-ბაბა და ორმოცი ყაჩაღი“ ***** და სხვ.

უდაოა, ციფრი ორმოცი გარკვეული საზოგადოებრივი კოლექტივის მიერ აღიარებული ყოფილა ისეთივე მაგიური ძალისა და მნიშვნელობის მქონედ, როგორც ციფრები: სამი, ცხრა, თორმეტი. ყველა მას ერთი საფუძველი გააჩნია...

61. „თხიშვილი“; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 15. 12. 37 წ.

ვარიანტი: „ვაჭარი“ (ს. გაჩეჩილაძის მიერ გურიაში ჩაწერილი, «ძვ. საქ.», ტ. IV განყ. IV, 1914-1915, გვ. 47-54).

62. „ბოლოლა შვილი“; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 17. 12. 37 წ.

63. „დედინაცვალი და გერები“; მთქმელი: სიმონ ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯი, 24. 12. 37 წ.

მთქმელთა ინდექსები

1. ბუთხუზი მარო, სოფ. ჭეკელაანთ უბანი, გორის რაიონი, 30.
2. ვანიშვილი იოსებ, სოფ. დიდი ატენი, გორის რაიონი, 36.
3. კვიწინაძე ფიდა, სოფ. ბერშუეთი, გორის რაიონი, 8; 13; 16; 17.
4. პავლიაშვილი არსენ, სოფ. პატარა ატენი, გორის რაიონი, 41.
5. პავლიაშვილი დიანოზ, სოფ. პატარა ატენი, გორის რაიონი, 51.
6. ტატიშვილი ბაგრატ, სოფ. ტყვიავი, გორის რაიონი, 9; 10; 11; 21.
7. ქარქიშვილი ვანო, სოფ. პატარა ატენი, გორის რაიონი, 29.
8. ქვრივიშვილი დავით, სოფ. ყარაღაჯი, კასპის რაიონი, 1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 12; 15; 18; 27; 28; 31; 33; 34; 37; 38; 39; 40; 44; 45; 47; 48; 50; 56; 59.
9. ქვრივიშვილი სიმონ, სოფ. ყარაღაჯი, კასპის რაიონი, 14; 22; 26; 32; 42; 43; 46; 49; 53; 55; 57; 58; 60; 61; 62; 63.
10. ყიფშიძე დიმიტრი, სოფ. ბრეთი, ქარელის რაიონი, 52; 54.
11. ყიფშიძე ოლა, ქ. გორი, 20.
12. ყოჩიშვილი გიორგი, ქ. გორი, 25; 35.
13. ჩიხლაძე ვლადიმერ, სოფ. პატარა ატენი, გორის რაიონი, 19.
14. წიქარიძე გიორგი, სოფ. ფუხაანთუბანი, გორის რაიონი, 23.
15. ჯიოშვილი ნიკო, სოფ. პატარა ატენი, გორის რაიონი, 24.

---

* Г. И. Потанин, იქვე, გვ. 154.

** Г. И. Потанин, იქვე, გვ. 161.

*** Тысяча и одна ночь, Арабские сказки, М-Л., 1941, გვ. 34.

**** იქვე, გვ. 47.

***** იქვე, გვ. 53.

ზოგიერთი სიტყვის განმარტება

აბუტულავება 191, 15. აკლება, აოხრება. „ხო არ გინდა, ემ სააჩი დაგიხოცო ეგ ჯარი და აგაბუტულაო“.

ადამიშვილი 182, 5. ადამიანი.

აგდება გუთნისა 226, 11. გუთნის გამოხსნა, ხვნისათვის თავის დანებება. „აუგდო გუთანი და წამოიდა სახში“.

აზავება 103, 15. გაბრაზება, გაანჩხლება, გამწარება. „იმდენად აზავდა ქაჩალაი, რო ქალი უნა მოკლას“.

ასობა 209, 19. ასად შესრულება. „ერთი აკლია ასობასაო“.

აქ 168, 34; 174, 1°. აქვს. „ამ კაცს სახრე მზადა აქ“.

აქვ 149, 31. ნ. აქ.

ბაბო 85, 30. ბებია.

ბაბორი 72, 29; 73, 5. წამოსასხამი, შალი. „ეს ბაბორი წამაასხი“.

ბეუშტარი 122, 29. გამაბრუებელი სასმელია, ბანგი (დ. ჩუბ.). „ბებერმა ამაიღო ერთი ბოთლი ბეუშტარი და რო პურსა სჭამენ, იმათ დაალეინა“.

ბექური ალაგი 217, 11. მომაღლო ადგილი, ბექობი (ს. მენთეშ., ქიზ. ლექსიკ.).

ბზვირი 99, 12. შხეფი. ბზვირისსვრა, შხეფის სროლა. „ქალმა შამოდგა რძეი და აადულა, სუბზვირს ისვრის“.

ბილიკა 120, 22. ბილიკი.

ბოლოლა 117, 24. ბოლო, უმცროსი; ბოლოლა შვილი, უმცროსი შვილი.

ბორა 30, 2. ძერის მსგავსი ფრინველი, დიდი ძერა (დ. ჩუბ.). „მაღლა დადის, როგორც ბორა“.

ბოტი 142, 8. თხის ერკემალი (საბა).

ბრჭყვინვა 50, 4. ბრწყინვა. „შორს გახედა, რაღაცა ბრჭყვინავს“.

ბურვალი 199, 11 (რუს. бульвар). ხეივანი.

ბღოჭიალი 82, 6. ბღაუჭი, ხელის პოტინი. „ხალხი ებღოჭიალებიან“.

ბღვრიალი 122, 3. ბრწყინვა. ნ. ბრჭყვინვა.

ბღარტი 255 17. ბარტყი.

გაკლერტვა 164, 16. გაწიწკვნა, გაფცქვნა. „მოცვივდნენ ეშმაკები და გაკლერტეს ეს სოვდაგარი“.

გალეკება 154, 31. დათრობა. „მოიდა გალეკებული ღორი“ (დ. ჩუბ.).

გალოპრვა 34, 19. გასხლვა, ხისათვის ტოტების შემოცლა („ხე ქერქშეძრცვილი“, საბა), „მოგლიჯა ერთი დიდი მუხაი, გაჯკრა ხელი, გალოპრა“.

გამოლალვა 192, 8. გამოდენა, გამორეკვა, წამოყვანა (დ. ჩუბ.). „გამოლალა ეს ხალხი და წამოიდა“.

გაწყალებული 99, 33. წყლად გადაქცეული, გაღარიბებული. „გამონახეს გაწყალებული ქაჩალი, ძრიან ღარიბი“.

გახიცნა 98, 10. გაფცქვნა, ნაწილ-ნაწილად ქცევა. „ისე გახიცნეს, რო ასოასო გამაუტანეს საურმე გზაზე“.

გორგალი 115, 35. დართული მატყლი მრგვლად დახვეული (დ. ჩუბ.).

გორვება 48, 11. ბრუნება, ტრიალი. „ძირს ჩამოვა გორგებითა“ (დ. ჩუბ).

გრამა-გრუმი 77, 20. ხრამა-ხრუმი, ხრამუნი, ხრაშა-ხრუში, რისამე კვნეტა. „რკინას ისე გაჯეოდა გრამაგრუმი“.

გუმბრი 235, 5. ადგილი. „ავდექი და გავიქეცი გუმბრშია, საიდანაც მარილი მოჯდის“.

დააფრაკება 114, 26. ფიცრის ან ფიცრებით შეკერილი კარის გამრუდება გახმობის გამო (საბა).

დაბარგანავება 105, 1. ფეხის მაგრად დადგმა, დამაგრება. „დაიბარგანავა ფეხი და ჩამოხტა ძირსა“.

დაკუნტვა 49, 20. დაკმუტვა.

დალალვა 80, 31. ნ. გამოლალვა.

დიგლიგი 42, 12. დიბლიგი, შუბის ბოლო (საბა). ტექსტში: წიხლი, „აბა ერთი დ ი გ ლ ი გ ი ჰკარი ამ ჩემი სიმამრი ცხენსაო“.

დუქარდი 176, 19. მაკრატელი, სარისველი (საბა).

ემ 101, 2. ამ. „ემ სამ ბროწეულ და სარკეს გაგატან“.

ერ 127, 12. ერთს. „ე რ დილასაც ჩამოიარა“.

ზინათი 12, 26. ქონება, სიმდიდრე, მზითევი, განძი. „ზ ი ნ ა თ ი ამაიტანეს“.

თილიყამყამი 181, 2. ხმალი, სატევარი (ვ. ბერ.).

იარქანი 75, 3. ნიავქარი. „ი ა რ ქ ნ ე ბ ი ს რძეი უნდა მომიტანო“.

კაი 147, 1. კარგი. „ერთი კ ა ი პური შეჭამეს“.

კალობნის ერი 210, 18. კალობნის სალოცავის მრევლი, მლოცველები.

კაპაპი 100, 1. მცენარის გამმბარი ღერო (საბა). „სიმინდის კ ა პ ა პ ი დახურა“.

კერპი 193, 22. თავნება, უშიშარი, კაცი ფრიად გლისპი, ჯიქი, შეუპოვარი (დ. ჩუბ.).

კერჩხა 29, 23. სადგამი. „მინდორში ერთი კ ე რ ჩ ხ ა დგა, გარს ურიგია თასები“.

კიდო 117, 24. კიდევ.

კუტალი 23, 17. წყლის ჭურჭელი თიხისა (საბა, დ. ჩუბ.). „ ა ვ ი ღ ე ბ კ ო კ ა კ უ ტ ა ლ ს ა, მოვიტან წყალსა მდინარესა“.

კუტი 20, 24. თონეში ჩაგარდნილი პური (დ. ჩუბ.).

ლამპარი 193, 5. სანათი (საბა).

ლართხი 13, 18. უსუსური, უღონო, თხელი, გამხდარი კაცი.

ლახტი 81, 34. დაწნული ჩელტი ან ჭილობი (საბა, დ. ჩუბ., ს. მენთეშ.).

ლიშხი 151, 30. წვიმანარევი ქარი. „გამოვიდა თუ არა დავრიში. ლ ი შ ხ მ ა ჩამობერა“.

მა 148, 30. მაშ, მაშა.

მათხოვარი ქალისა 10, 12; 241, 3. ქალის მთხოვნელი. „ვინც მ ა თ ხ ო ვ ა რ ი მოვიდოდა, ქალი ეუბნებოდა“; „ყოველ-დღიურათ მ ა თ ხ ო ვ რ ე ბ ი მოზდიოდა“.

მარლაც 130, 30; 131, 19. მართლაც.

მასკვლავი 23, 34. ვარსკვლავი.

მიკურწ-მოკურწვა 17, 5. მიკუწ-მოკუწვა, აკუწვა.

მკლეები 237, 30. მკლავები.

მორბედი 186, 2. მორბენალი, მსახური, შიკრიკი, მაცნე. „რა კარგია ერთი მ ო რ ბ ე დ ი ჩემთვისაო“.

მოტუსვა 115, 5. მოწვა.

მოჩლახუნება 14, 5. ნ. ჩლახუნი.

მოყვარე 239, 16. ცოლის ძმა.

მძრაული 158, 8. მძლავრი.

ნაალაგევი 177, 9. ნაადგილევი, ადგილად ნამყოფი. „ისე დალეწა, რომა ნ ა ა ლ ა-გ ე ვ ი აღარ გაუშვა“.

ნამინდვრი 32, 14. მინდორში ნამყოფი.

ნიავქარი 149, 27; 151, 28. ზღაპრული ცხენი. „თავი მამი ნ ი ა ვ ქ რ ე ბ ი გამოუშვა“; „შაჯდა დავრიში ნ ი ა ვ-ქ რ ე ბ ზ ე“. ნ. იარქანი.

რუკაი 159, 9. რუკა.

ხამთელი 131, 1. სანთელი.

საქუნელი 153, 21. საქონელი.

საძღვარი 182, 14. საზღვარი.

საპამანდი 235, 26. საპამადი, საპმელი.

სვირი შეშაი 190, 24. ხმელი, ადვილად საწვავი შეშა. „ისე ადუღდა ეს ქვაბი, კარგი ს ვ ი რ ი შეშაი რომ შაუკეთო“.

ხინი 41, 28. ლანგარი, თეფში (დ. ჩუბ.).

ხუ 147, 11. სულ.

ხულობით 241, 7. სრულებით, სრულიად.

ტანტაროზი 122, 17. ტარტაროზი.

ტპა 122, 2. ტბა.

ტყაპის გადენა 1, 14. ჩავარდნა, ჩახტომა. „გაქანდა ეს მეცხვარეი და ტ ყ ა პ ა გ ა ა დ ი ნ ა შიგა“.

უდო 1, 11. ურტყა, სცემა. „წამაავლო ჩომბახ ხელი და უ დ ო და უ დ ო“.

უნა 5, 23. უნდა. „როდი უ ნ ა მოვკვდეო“.

უსანეთობა 211, 19. რელიგიური დღეასწაული უსანეთში.

უსიარი ტყე 93, 25. უსიერი, გაუვალი, ბნელი, უდაბური ტყე. „დატოვა ქალი ... უ ს ი ა რ ტ ყ ე შ ი“.

უხაი 256, 7. მრგვალი და ხმელი ლავაში, ნამცხვარი (ი. ტყ.). „გამოაცხო უ ხ ა ი“.

ფალახი 149, 32. ჩვარი, ნაჭერი ქსოვილისა, ძონძი (დ. ჩუბ.).

ფაშკუნჯი 132, 8. ფასკუნჯი, ზღაპრული ფრინველი.

ფაშფაშა 227, 12. მოხდენილი, მსუქანი, ეზოიანი ქალი. „გამოიდა იმითანა ფ ა შ ფ ა შ ა ქალი, რომ ოვალ მოგტაცებს“ (ს. მენთეშ., ქიზიყ. ლექსიკ.).

ფერ-ფური 94, 29. ფერი. ფ ე რ-ფ ურ ი წ ა ფ ვ ი დ ა — ფერი წაუვიდა.

ფეხათ-გაყიდვა 3, 20. ყანის მოუმკელად გაყიდვა. „მაგ ·ყანას მაინც გევაპრებიან და რაც გინდა აიღე, ოღონ ამაღამვე ფ ე ხ ა თ გ ა ყ ი დ ე ო“.

ფიფინურები 62, 20. მორთულობა, სიმდიდრე, ფ ი ფ ი ნ ა ურ ი, ფული, ერთი ბისტი ანუ ორი კაპიკი (საბა, დ. ჩუბ.).

ქამანდი 184, 2. თოკი, საგზებელი(დ. ჩუბ.).

ქარშიკი 32, 36. ბრტყელი საბელი (საბა).

ქიშმიშ-ლაბლაბი 218, 21. ტკბილეული, ქიშმიშისა და ლაბლაბოს (მც. ·ნარევი).

ქუცუაი 11, 1. ღორი მოფერებით.

ღაბაბი 23, 4. ყელი, ყელის ჩამონაშვები (საბა).

ღრანტელი 6, 24. ღრე, ოღრო-ჩოღრო დაბლობი. „მეცხვარეს ცხვარი ჰყამ ერთ ღ რ ა ნ ტ ე ლ შ ი ა“.

ყარფუზი 40, 24. საზამთრო.

ყახითათ უთხრა: 47, 7. განგებ, განხრახ.

შალახო 45, 36. სიმღერა, დაკვრა, თამაში. „დაიკრეს მაშინ შ ა ლ ა ხ ო“.

შენსეეფ 77, 10 შენსაებრ.

შვინდისარი 49, 31. შვილდ-ისარი.

ჩააგდევით 248, 9. ჩააგდეთ (ბრძ.).

ჩაკმაკნა 192, 37. ჩახვევა, ჩაკონება. „ჩ ე ე კ მ ა კ ნ ა ეს მონადირე თავი ყელლაბაბსა“.

ჩალა-ბულაი 176,27. ჩალის საწოლი, ლეიბი. „დაუგონ ჩ ა ლ ა-ბ უ ლ ა ი“.

ჩაფერთხება 181, 19. ჩარტყმა, თათით თავში ცემა. „ერთი კარქა ჩ ა ა ფ ე რ თ ხ ე ს თავშია“.

ჩაყურჯუმელავება 5, 18. ჩაყვინთვა,თავის წყალში ჩაყოფინება. „კიდევ აიღო და ჩ ა ა ყ უ რ ჯ უ მ ე ლ ა ვ ა წყალში.“

ჩიკრიკი 58, 9. შიკრიკი, მაცნე. „გაგზავნეს ექიმთან ჩ ი კ რ ი კ ი“.

ჩინჩხვარი 194, 21. ნაფოტი, ფიჩხი.

ჩლახუნი 145, 15. უშნოდ, ფეხის თრევით სიარული. „ბოლოს ერთი კოჭლი ბაყაყი მ ო ჩ ლ ა ხ უ ნ დ ა“.

ჩომბახი 1, 11. კეტი, კომბალი. „წამაავლო ჩ ო მ ბ ა ხ ხელი და უდო და უდო“.

ძიენ 27, 8. ნ. ძრიან.

ძრიან 73, 10. ძლიერ.

წამოჩრიხვება 20, 20. წამოზრდა. „ეთეერი როცა ცოტა წ ა მ ე ი ჩ რ ი ხ ვ ა, მოუკვდა დედაი“.

წამოჯიღება 180, 35. შებრძოლება, ჭიდაობის დაწყება. „ყველა სახელმწიფო წ ა მ ო გ ე ჭ ი დ ე ბ ა ო“.

ჭახის გადენა 147, 7. გარტყმა, სილის გაწვნა. „ერთი კ ა ი ჭ ა ხ ა გაადინა ლოყაში“.

ჭედილაი 3, 1. საკლავი ცხვარი.

ჭო 226, 28. ნ. ჯო. „ჭო, რათ მოხვედიო“.

ჭოლოკი 104, 12. მოკლე ჯოხი.

ჭუმუტუნი 4, 27. გოჭის ჭყვირილი. „გოჭები ჭ ყ მ უ ტ უ ნ ო ბ დ ნ ე ნ“.

ხარო 9, 28. ორმო; ქვითკირის ორმო (საბა).

ხელბდუნდობა 85, 1. ხელმრუდობა, ქურდობა.

ხორხორი 175, 22. ხმაური, ღრიანცელი, ღრიალი.

ხოში-მანში ყოფნა 227, 23. შეშმუშნვა გაღვიძების წინ. „ეს კაცი ხ ო შ ი მ ა ნ-შ ი ა“.

ჯაელი 10, 15. ახალგაზრდა, ჭაბუკი, ჯეელი.

ჯო 105, 10 ბიჭო. „ჯო, მერე ჩემთან რა გინდაო“. ნ. ჭო.

შ ი ნ ა ა რ ს ი

		ᲒᲒ.
	შესავალი	III
1.	ცოცხა, ცხელება და სიკვდილი	1
2.	ელია, ქრისტე და წმინდა გიორგი	2
3.	სამი მეცნიერი და ელენა	4
4.	მეცნიერი და მენაკე	5
5.	მგელი და მელა	5
6.	მეცხვარე და მარტი	6
7.	დმერთი და ქრისტე	6
8.	როგორ ეახლა გამარჯობა	7
9.	ბრმა მოხამართლე	8
10.	დენი	9
11.	ბრმა მენონგურე	9
12.	ზნიანი ქალი	10
13.	ამირანის შვილი	11
14.	შავლიანი	15
15.	ეოერი	20
16.	ტარიელი	26
17.	მონადირის არაკი	35
18.	ქანალიანი	38
19.	კაბლაძემი	48
20.	თეორეზენი მონადირე	54
21.	გრძნეული კაბელი	56
22.	ირმაშელი	58
23.	ცხრა ძმანი	64
24.	უმცროსი შვილი	69
25.	ლომეაცა	76
26.	ეოლიანი	79
27.	ოქროს ხიტის ეკერცხი	82
28.	ნეთგრიანი ქალი	90
29.	მონადირის შვილი	95
30.	სამი აბაზის ჭკვა	99
31.	მესახლე და წითელი თევზი	104
32.	ელენის ხიზარი	110
33.	სუსან-სემბული	117
34.	ბეელი ტეკვნე ამბავული ალვეზე	126
35.	ამბავი ჯუმეჯუმ ხეშეკიანი	130
36.	თალიხეანი სალამური და მედრეკ	136
37.	ეამის ანდერძი	139

38. სულთიმზეთიკი 140
39. ბანკეტი 143
40. დაკრძალვის ხემწყვე 147
41. ორი ობოლი 153
42. ვედარ-ველმარსი 158
43. გახოვდგრებული ხემწყვე 162
44. ველი და ველეხი 165
45. ველი და ეცი 167
46. სოლომან ბესნის მოკვამბგერე 169
47. ეზის ხიმე 172
48. ქერცეფი-ჯეერანი 180
49. ლამპარი 193
50. როკაბის ქალი 203
51. გლეხი და ბატონი 219
52. ბატონი და მოკვამბგერე 220
53. ლვიელი და ლამპარი ეთეოდან 221
54. ლვიდლის ცოლი 224
55. წუწი ლვიელი 225
56. ბეერი მარცვალი 226
57. ოქრის თეხი 228
58. ხაი ტეუილი 234
59. ოქრის ქინძანი შეილი 236
60. ორმოცი ეაბალი 240
61. თხეშეილი 245
62. ბილოლის შეილი 248
63. ლვინაცვალი და ეერვი 256
შენიშვნები 261
მოქმედთა ინდექსი 285
ზოგიერთი სიტყვის განმარტება 286

АЛ. ГЛОНТИ

Картлийские сказки и легенды

(На грузинском языке) Изд-во „Сабчота Мцерали", Тбилиси, 1948

* *

რედაქტორი: შოთა ძიძიგური. გამომშვები: მ. ჯაფარიძე

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/6 1948 წ., წიგნის ზომა 6×9¼, სხტამბა ფორმა 19 ფ. 2 გვ. ხაუტორმა ფორმა 17,5, ტირაჟი 3,120
შეკვეთის № 617 უე—10640

* *

გამომცემლობა „ხელოვნება" შეურალის სტამბა, თბილისი, ჰეკუხნოვის, 181